

9(42.929)+396=999.82



მიმღები სიტყვა

საქართველოს საინტერიო და საეთნოგრაფიო
სახლის ადმინისტრაციის
მუნიციპალიტეტის



საქ. საინტერიო და საეთნოგრაფიო სახლის მუნიციპალიტეტის
გამზღვება

ტეიტისი—1926



თემატიკური კატალოგი
ქავკასი 86 წლის

დაიბეჭდა საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების
დადგენილებით (9. XII. 1925-ის სხდომის ოქმი № 243).
მდივანი: ს. ჯანაშია

შეცდა დაიწყო 1926 წლის 24 მარტს, დამთავრდა 1926 წლის 23 ივნისს.

ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტურესტი. 1-ლი სტამბა პლეხანოვის პროსპ. № 91.

1/III—26 წელი შეკვ. № 7045/819 მთავ. ლიტ. 250. დაიბეჭდა 500.

შ 0 6 პ არ ს ტ:

წინასიტყვაობა	VII
1. პროფ. კორ. კეკელიძე, ქართველთა მოქცევის მთავარი ის- ტორიულ-ქრისტიანოგიური საკითხები	1 —
2. სიმონ ყაფბჩიშვილი, გელასი კესარიელი ქართლის მოქცე- ვის შესახებ	54
3. პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული საბუთების აღმნიშვნე- ლი ტერმინები	69
4. ნიკო ბერძნიშვილი, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესშემზღვება. აფხაზეთის კათალიკოზი XIII—XV ს-ში	99
5. სერგი მაკალათია, ფალოსის კულტი საქართველოში	122
6. გიორგი ჩიტაია, ვლეხის სახლი ქვაბლიაბში (უარბაშული ტიპი)	137
7. პროფ. რობერტ ბლედე, ეფრემ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობიდან	157
8. სერგი გორგაძე, იოვანე დამასკელის მთავარი თბილება II უკუნური ქართულ მწერლობაში	173
9. პროფ. გ. ახვლედიანი, მასალები აფხაზურ ბერძნათა ფი- ზიოლოგიისათვის	195
10. ვარლამ თოფურია, ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში: I. ბევრით მოვლენათა თანამიმდევრობა	198
11. Miscellanea:	
ა. შანიძე, იოანე მტბევრის ვინობისათვის.—აკ. შანიძე, კელავ მანგლიისს წარწერების შესახებ.—აკ. შანიძე, არადეოს წარწე- რები.—აკ. შანიძე, კრიფტოგრაფიული მასალები.—გ. ახვლედია- ნი, შენიშვნები ქართულ თანხმოვანთა განდასებისათვის.	220
12. ლიტერატურული მიმოხილვა:	
გ. ჩიტაია, ქართული ეთნოლოგია (1917—1926).—ტ. კ. ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტები.	247
13. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია:	
Prof. Dr. Heinr. Goussen, Über georg. Drucke und Handschriften, ქ. კ.-ისა.—Kirsopp Lake and Robert P. Blake, The Text of the Gospels and the Koridethi Codex, ქ. კ.-ისა.—Robert P. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque patriarcale grecque à Jérusalem, ქ. კ.-ისა.—ს. კეკელიძე, საისტორიო ძეგ-	



ბანი, ქ. კ.-ისა.— <i>Paul Peeters, Histoires monastiques Géorgiennes</i> , 1-2. 1906-1907 წ.	268
კ. კ.-ისა.— <i>P. Peeters, La passion géorgienne des SS. Théodore, Julien, Eubulus, Malcamon, Mocimus et Salamanes</i> , ქ. კ.-ისა.— <i>H. Mapp, Грамматика древне-литературного грузинского языка</i> , არნ. ჩიქობავახი.	268
14. სამეცნიერო ქრონიკა:	
340თ. იგანი ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის 25 წლისთავი.— უბისის ექსპედიცია.— მცხეთის არქეოლოგიური გათხრა.— არქეოლოგიური ოღონჩენები და ძიებანი კახეთში.— ქარ- თული საენაომეცნიერო საზოგადოება.— ქართველთმეტყველების მდგომარეობა ევროპასა და ამერიკაში.	331
15. ნეკროლოგები:	
პროფესორი იოსებ ყიფშიძე, ს. გორგაძის.— დავით ყიფშიძე და სილიბისტრო ლომია, გ. ჩიტაიახი.	334
შემჩნეული შეცომები	363

შ 0 6 1 ს ი ტ ჟ ვ ა ღ ბ ა.

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წინანდელი ორგანოს „ძველი საქართველო“-ს მაგიერ, რომელიც უსახსრობის გამო შეჩერებული იყო, ამიერიდან გამოვა განახლებული ორგანო, რომელსაც საზოგადო კრების დადგენილების თანახმიდ „მიმომხილველი“ ეწოდება. სახელის გამოცელასთან ერთად თვით მისი პროგრამა და აგებულებაც იცვლება: ის უნდა იყოს ფართო კრებული, რომლის ასპარეზი ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია და ფილოლოგია იქნება, ხოლო დაკვირვების არე მარტო საქართველო კი არა, არამედ მეზობელი და მომებიც კრებულის პროგრამის ესოდენი გაფართოება გამოწვეულია თანამდეროვე ქართული სამეცნიერო აზრის და კვლევა-ძიების თვალსაჩინო ზრდითა და გალრმავებით, რამაც მრავალი ახალი პერსპექტივი წარმოშვა და თანაც ქართული ეთნოლოგიურ-ისტორიული სინამდვილე კავკასიურ გარემოსთან დაკავშირებულად და მონათესავედ წარმოგვიდგინა. ამისგამო, ქართველთმცოდნეობისათვის განკუთვნილი ორგანოს გვერდით უკვე სრულიად მომწიფებულია კავკასიისმცოდნეობისათვისაც ქართული სპეციალი მეცნიერული ორგანოს არსებობის საჭიროება. მაგრამ, რადგან „საზოგადოებას“ ორი ასეთი დამოუკიდებელი გამოცემისათვის ხარჯების გაწევა ამჟამად არ შეუძლია, უმჯობესიდ იქნა მიჩნეული მათი გაერთიანება: ამას გარდა, „მიმომხილველის“ ვანსაკუთრებული დანიშნულებაა ზემოთაღნიშნულ დარგებში გულდასმით თვალყური ადევნოს მეცნიერული აზრის მოძრაობასა და მიღწეულობას. იგულისხმება, რომ მანვე უნდა იქისროს „საზოგადოების“ ტეხნიკური ორგანოს ფუნქციებიც. ჭველობის მოლიანი ძეგლებისა და ხალხური შემოქმედების ნაწარმოებთა გამოქვეყნებისათვის (მეორე ჯგუფის მისალის დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი „ძვ. საქართველო“-ში) ცალკე გამოცემები უნდა იქნას გამოყენებული.

„მიმომხილველი“, ისე როგორც „ძველი საქართველო“, „დროგამოშვებით კრებულად“ არის განხრახული. მაგრამ მისი არსებობა ამ სახითაც კი სავსებით ქართველი საზოგადოებისა და საზოგადოებრივი დაწესებულებების თანაგრძნობასა და დახმარებაზეა დამტკიცებულ.

ს ა მ ა რ თ ვ ა ღ ბ ა
პ ა რ ლ ა პ ა ნ ტ ი ს
ე რ ვ ვ ე რ უ ლ ი
გ ი გ ლ ი რ ი ტ ე ბ ა

ჩართველთა მოქადაცის მთავარი ისტორიულ- რეოლოგიური საკითხები*.

უკელამ ვიცით, თუ რა როლი უთამაშნია ჩვენი ერის წარსულში ქრისტიანობას: მისი ზეგავლენით და მის მიზანებით ჩამოყალიბებულა სარწმუნოებრივი, პოლიტიკური და კულტურული ფიზიონომია ქართველი ერისა, მას მიუჩნია მისთვის გარკვეული აღილი საერთაშორისო ოჯახში და თავისებური ელფერი მიუცია მისი ცხოვრებისათვის. ამიტომ უკელასათვის საინტერესო უნდა იყოს საკითხი, თუ როდის შემოვიდა ჩვენში ქრისტიანობა, რომელმაც შექმნა სულ ახალი ხანა ჩვენს ისტორიაში.

სამწუხაროდ, რამდენადაც საინტერესოა ეს საკითხი, იმდენად ბურუსითაა ის მოცული. თუმცა ბევრი უწერიათ და ულაპარაკნიათ ამ თემაზე, მაგრამ საკითხი ჯერაც ღიად არის დარჩენილი და მის შესახებ ჩვენ დღეს იმაზე მეტი არ ვიცით, რაც ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა იცოდენ. ეს გარემოება გვიძულებს ჩვენ ხელი მოვჭიდოთ ამ კულტურულ-ისტორიულ პრობლემას და წარმოადგინოთ ახალი ცდა მისი მეცნიერულად გაშუქებისა.

I

ქრისტიანობის ისტორიას ჩვენში ზოგიერთები თვით ქრისტეს დროიდან იწყებენ. სახარებაში მოთხოვობილია, რომ, როდესაც, ლაზარეს ალგოინგის შემდეგ, ქრისტე იერუსალიმში მივიდა პასექის დღესასწაულზე, იქ, სხვათა შორის, მოსულიყნენ „ვინე წარმართოაგანიცა; ესენი მოვიდეს ფილიპესა და ეტყოდეს მას: უფალო, გვნებას იქსმას ხილვად. მოვიდა ფილიპე და პრექუა ანდრეას, და მოვიდეს ანდრეა და ფილიპე და პრექუა იქსმას“ (იოან. XII, 20-22). თეომურაზ ბატონიშვილის თქმით, ეს „წარმართოაგანი“ იყვნენ საქართველოდან¹, მაშასადამე, ქრისტე ჩვენში თითქოს მისსავე სი-

* მოხსენებულია საისტ.-საეთნ. საზოგ. საჯარო კრებაზე 1925 წ. დეკ. 12.

¹ М. Сабинин, История грузии. церкви до конца VI в. стр. 6, пр. 1.



გენდაა და შეთხულია წმ. ნინოს ცხოვრების დაწირმარისტული აროტადრეს მეათე საუკუნისა¹.

II

რაც შეეხება მოციქულების სამისიონერო მოღვაწეობას ჩვენ-
ვი, საკითხი ამის შესახებ პირველად ვიორე ვი ათონელ მა წამო-
ცემა თეორიულად მეთერომეტე საუკუნეში. როდესაც გიორგის კი-
ნით ჰქონდა ანტიოქიის პატრიარქ პეტრე მესამესთან ქართული ეპ-
ლესის დამოუკიდებლობის შესახებ, მან საბუთად მოყვანა „წიგნი
მიქმესლვად ანდრია მოციქულისად“ და უთხრა პატრიარქს: „წმი-
დათ მეუფეო, შენ იტყვ, ვითარმედ თავისა მის მოციქულთახა პეტ-
რეს საყდარსა ვზიო, ხოლო ჩვენ პირველწოდებულისა და მისა
თვესისა მწოდებელისა ნაწილი ვართ და სამწყსონი, მის მიერ მოქცე-
ული და განათლებულნი; და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოცი-
ქულთაგანი, სიმონს ვიტყვ კანანელსა. ქუვანისა ჩუენსა დამარტულ
არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფილი ეწოდების. ამათ წმიდათა მო-
ციქულთა[გან] განათლებულნი ვართ“². ამ ცნობას იმეორებს მერე ეფ-
რემ მცირე თავის თხზულებაში „უწყებად მიზეზთა ქართველთა
მოქცევისათად“, სადაც ის ამბობს: „ერთად კიდეთი სოფლისათა
იაკუმის ჩუენთვეს კამოსლვისა შინა წმიდათა მოციქულთასა ანდ-
რია პირველწოდებულისა მიერ ქადაგებად შორის ავაზგიანება, რო-
მელ არს აფხაზეთი, და მიერ წარსლვად ოსეთად, და კუალად ბართ-
ლომებს მიერ მიმოვლად ჩრდილოეთისად, რომელ არს ქართლი“³.
ამასვე იმეორებს რუის-ურბისის კრების (1103 წ.) ძეგლის
წერი. სადაც ნათქვამია: „პირველწოდებული ანდრია ჩუენადმდე მო-
იშიარა ჭქადაგა საცხოვრებელი ქადაგება სახარებისა ყოველსა ქუვა-
ნისა საქართველოსასი და ურიცხუნი სიმრავლენი ერთიანი განამორნა
საცოროსისაგან მრჩობლეშმაკეულებისა და ერთისა ლმრთისა და ქრის-
ტეს მისისა თანაარსით მამით სულითურთ რწმუნებით თაყუანისცემად
მჩიდვა“⁴. წმ. ნინოს ცხოვრების გადამეტაფრისებელი ბერი
არსენი, რომელიც მეორობმეტე საუკუნის პირველს ნახევარში მოლ-

¹ კ. კარალიძე, ნაწყვეტი ქართული ჰაგიოგრაფიის ისტორიდან, ტფ ი-
ლისის უნივერსიტეტის მთამბეგ, I, 43-44.

² ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაშერი აღაპებით, გვ. 315.

³ თ. ეორე დანი ა, ქრონიკები, I, 34.

⁴ საქართველოს სამოთხე, გვ. 520.



၁၄၆၃၂။

ვაწეობდა¹. ამბობს: „ხოლო კეშმარიტებისა მოსახელე, უძველესი მუსიკური და მოცეკვლი ანდრია, შემდგომად მარტვლისა კუალად ვანვი-და საქმესა ქადაგებისასა, რომლისა თანა იყვნეს სიმზ ქანანელი და მატათა და თადეოზ, და მიიწივნეს რა ედესად, თადეოზ დაშოა მუნ: ხოლო დიდებული ანდრია ორთა მათთანა ვიდოდა ქალაქითი-ქალა-ქად და სოფლითი-სოფლად..... ვიდოდემდის მიიწივნეს ქუვანისა ქართველოსა და უქადაგეს სიტყუად ცხოვრებისაც. იყო ეინძ მათ კერძოთა დედაკაცი მოავარი, რომელსა ჰპწმენა ქადაგება მოცეკვლ-თაც, და მატათა სხუათა თანა მოცეკვლთა დაადგრა მუნ და მრა-კალნი მოაქცინეს სარწმუნოებად.... ვიდოდეს და ასწავებდეს ვიღრე მდინარედ ჭოროხადმდე და სოფლებთა ნიგალისათა. ხოლო დიდე-ბული ანდრია სიმღნიურთ სხუათა თანა წარვიდა ოქსეთად და მიერ კუალად აფხაზეთად და სევასტოპოლად, რომელ არს ცუშმი, ქადა-გებდა და ასწავებდა და ურიცხუთა ერთა მოაქცევდა სარწმუნოებად⁻².

ამნაირად, ჩვენ გხედავთ, რომ, ჩვენი ძევლი მწერლობის მ
მობით, საქართველოში ქრისტიანობა უქიდავნიათ მოციქულები,
დროსა და სიმონ კანანელს (გიორგი, ეფრემი, რუს-ურბან. კუ,
არსენი), მატათას (არსენი) და ბართლომეს (ეფრემი)². ასეთი შეხე-
დულება ჩვენში მეათე-მეოთხმეტე საუკუნიდან დამყარებულა. ხო-
ლო მანამდის მას ჩვენში ადგილი არ ჰქონია და არც ჩვენს წინა-
პრებს სკოლნიათ ის. ზართლაც, წმ. ნინოს მისი თანამოღაწენ,
ეუბნებიან: „ესრა გვისწავის შენ მიერ, კითარმედ ყოფილ არიან
წინააღმდეგ მოსალვად მოსლვადმდე ძისა ღმრთისა ქუეყანად
და მერჩე მოციქული ათორმეტი და კუალად სამეოცდა ათორმეტ-
ი და ჩვენდა არავინ მთავლინა ღმრთობან, გარნა შენ³. გაშასადა-
მე, არამც თუ წმინდა ნინოს დროს, მეცხრე-მეათე საუკუნეშიაც კი.
როდესაც დაწერილია ზემომოყვანილი სიტყვები, არ იკოდენ, რე
ზოციქულებმა ჩვენში იქადაგეს ქრისტე. ეს არ იცის არც ბაკუ
მა, რომლისაგანაც პირველიდ გაიგეს ბიზანტიელებმა ქართველთა
მოქცევის მმავი. არ იცის ეს არც პეტრე მაცხმელის ასურულ-
ცხოვრების აკტორმა, არ იცის იგრიფთვე არც „მოქცევაც ქორ-

¹ ດ. ດົງກອນ ອະນຸ, ສ້າງຕະຫຼາດ ລາຄຖາວອນທີ່ມີຄວາມ ສະເກີດລົບ, 1, 317-320.

² Աթոռացրեա ՇՏ. Նոնոսո, Տայպալցոր Թղթեալմիս Համուպեմա № 10, էջ. 5.

³ ერთს ბოლდარულს აპოკლიფულ კითხვა-მიგებაში, სადაც ჩამოთვლილა მოცექულთა სამისითნერთ პუნქტები, ნათელადაც: „место святого апостола Фомы престолъ Иверскій“ (П. Тихонравова, Памятники отечественной русской литературы, II, 447).

⁴ Е. Такаишвили, Описание II, 734.



•თლისადაც“-ს ავტორმა¹. ერთი სიტყვით, ჩენწმი მეათე-შემორჩეული საუკუნემდე არა სცოდნიათ რა მოციქულთა ქადაგების შემთხვევაში კართველობი. როგორ და საიდან შემოვიდა მერე ასეთი რწმენა ჩენწმი? ის შემოვიდა მეათე საუკუნის გასულს თუ მეთერთმეტის დამდეგს ლიტერატურული გზით ბიზანტიიდან. ექვთიმე ათონელმა გადმოთარგმნა, ან, უკეთ რომ ვთქვათ, შეადგინა ათონზე „მოსაქენებელი მიმოსლვათათვეს და ქადაგებათა მოციქულისა ანდრეასი“², საიდანაც გაიგეს ქართველებმა და შეითვისეს აზრი მოციქულთა ქადაგების შესახებ ჩენწმი. ექვთიმეს შრომა წარმოადგენს სინთეზს ორი თხზულებისას ანდრიას სამისიონერო მოღვაწეობის შესახებ, რომელიც მეცხრე საუკუნეში შეუთხზავთ ბერძნულს ენაზე; ერთი ეკუთხნის ნიკიტა-დავით პაფლალონელს, მეცხრე საუკუნის პანეგირისტს, მეორე კი, 830 წელს დაწერილი, — მღვდელმონაზონს ეპიფანეს³. ექვთიმეს დასახელებულ მწერალთა შრომები თავისებურად გამოუყენებია: ზოგირამ გამოუტოვებია, ზოგი მიუმატებია უადან თან რამდენიმე კომენტარიებიც დაუტიავს, ერთი სიტყვით — მოქადაგული ისე, როგორც იქცოდა ის სხვა თხზულების თარგმნის დროს.

ამ თხზულებით ანდრია თითქოს ორჯერ ყოფილა ჩვენში: ერთ-ხელ, როდესაც ის პირველად წამოვიდა იერუსალიმიდან, „მიიწია ქალაქად ტრაპეზუნთად, რომელი იგი შენ არს სოფელსა მეგრელთა-სა... განვიდა მიერ და შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, ვინაცა იგი დაპყო უამი ფრიადი და მრავალნი განანათლნა სიტყვთა მოძღვრები-სა მისისათა“⁴. ხოლო მესამედ გამომგზავრებისას — „შემდგომად მარტვლილი კულად განვიდა საქმესა მას ქადაგებისასა და იყვნეს მისთანა მოგზაურნი სვენ, რომელსა ეწოდა კანანელი, და მატათა... და თადეობს მათთანავე და მიიწინეს ედესე ქალაქად, სადა იგი და-ზთა თადეობს... ხოლო დიდებული ანდრეა სხუათა მათთანა მოვიდო-დეს ქალაქითი-ქალაქად და სოფლითი-სოფლად... და მოიწინეს ქუე-ყანასა ქართლისასა და ვიდრე მდინარედდე ჭოროხისა დაუცადებე-ლად ჰქადაგებდეს სახელსა ღმრთისასა. მერმე შთავიდეს ნიგალი-სა⁵ სოფელსა. ხოლო მას ქუეყანასა მთავრობდა დღეთა მათ დედაკა-

¹ პითე. ი. ჯავახიშვილი, ანდრია მოციქულის და წმ. ნინოს მოღვა-წეობა საქართველოში, კურნალი მოამბე 1900 წ. VI, გვ. 35-38.

² საქართველოს სამოთხე, გვ. 24-47; ათონის კრებული, გვ. 29.

³ კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 194-5, 486.

⁴ საქართველოს სამოთხე, გვ. 30.

⁵ დედანიში სწერის „სოსანგელთა“.



ცი ვინმე მთავარი, ომელისა ჰრწმენა ქადაგებად იგი მოციქულთაც. ხოლო მატათა სხუათა მათთანა მოწაფეთა დაშთა მათ კერძოთა, ხოლო დიდი ანდრეა სკონითურთ შევიდეს ქუყანასა ლესითისასა და მიიწინეს ქალაქად, ომელისა ფოსტაფორ ეწოდების, სადა იგი დიდი სასწაული აღასრულნეს და ერთი ურიცხნი მოქცინეს და განნათლნეს. მიერ წარვიდეს და შევიდეს ქუყანასა აფხაზეთისასა და სევასტე ქალაქად მიიწინეს და უქადაგეს სიტყუად იგი ღმრთისმეცნიერებისაც და მათავალთა სიხარულით შეიწყნარეს ქადაგება იგი. და მუნ დაუტევა ნეტარმან ანდრეა სკონ კანანელი სხუათათანა ჰოწაფეთა და თავად ჯიქეთისა ქუყანად აღვიდა. ხოლო სკონ კანანელისა საფლავი არს ნიკოფე ქალაქს, შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა¹. აი ეს თხზულება ექვთიმე ათონელისა დადებით სარჩულად ქართულ ცნობებს ანდრიას საქართველოში მოღვაწეობის შესახებ და იმ ლეგენდებს, ომელიც მის ვარშემ შეუთხავთ ქართველებს. მაგალითად, არსებობს ასეთი ლეგენდა, თითქმს, ომდესაც ანდრია სამეგრელოში იყო და ქადაგებდა იმ ადგილის, სადაც უხლა ჭყონილიდა, ერთმა მეგრელმა თითო მოსკიმა მასო, ამიტომ მეგრელებს თითისკამისა ეძახიან². ამ ლეგენდას სარჩულად უდევს ეპიფანეს თხზულებიდან ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ, ომდესაც ანდრია სინომში (ან, სხვა თქმულებით, ამასტრიდაში) ჰქადაგებდა, „ერთმან ვინმე მხეცისა მსგავსმან გონებითა უყყრა კბილოთა თითო მოციქულისაც და დაცოხნა იგი ვიდრელადა სრულიად მოცკუეთნა, ომლისათვესცა ეწოდა მიერითვან სინომელთა თითის მჭამელ, ვიდრე მოაქმდე³.

ეხლა უნდა დაისვას ასეთი საკითხი: იყო თუ არა მართლა ანდრია ან სხვა ომელიმე მოციქული ან მოწაფე იესოსი ჩვენში? ეს საკითხი მეცნიერულად განუხილავს პროფ. ი. ვ. ჯავახიშვილს, ომელიც მისულა უარყოფითს დასკვნამდე⁴. ჩვენ აღარ გავიმეორებთ პროფ. ი. ჯავახიშვილის არგუმენტებს, ვიტყვით მხოლოდ, ომებერძნ-ლათინთა მწერლების ცნობებს ანდრიას კავკასიაში მოგზაურობისა და ქადაგების შესახებ სარჩულად უდევს ცნობილის ორი გენის თქმულება, ომელისაც იმეორებენ ევაკერი და ისიდორე ესპანელი. ამ თქმულებით ანდრიას წილადა ხვდა ს კვითია

¹ საქართველოს სამოთხე, გვ. 36.

² მ. საბი ნი, ისტორია ერვან. ცერკვი დო კონც. VI ს. სტ. 14, მდ. I

³ საქართველოს სამოთხე, გვ. 34.

⁴ ანდრია მოც. და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქ-ში, მოამბე; 1900 წ., V—VI.



(საუჩე) ¹. ჩვენ ვიცით, რომ ძველად სკვითია მეტად პრიმიტიული ტერმინი იყო, სკვითიას უჩვენებდენ სხვადასხვა აღგუშტული მარტივი მეტობების შორის ზავიზღვის აღმოსავლეთ-ნაპირებზედაც, ეხლინდელს და-სავლეთ-საქართველოში, მაგალითად, პლუტარხოს სი ² († 120 წ.) და სტეფანე ბიზანტიელი ³ († 500 წ.). ოუ ეს ასეა, გასაკვირველი არ უნდა იყოს, რომ ორიგენის შემდეგდროინდელი მწერლები (ცბიფანე კეიბრელი, დოროთეოს ტვირელი, იუმენი, სოფრი-ნი, ნიკიტა პატლალონელი, ეპიფანე, ნიკიფორე კალისტი, სვიშ-ონ მეტაფრისტი და სხვ.) ინდრიას წილხვდომილად ხადიან არაც-თუ ნამდვილს სკვითიას, როგორიც იყო ზავიზღვის ჩრდილოეთ-სანაპიროები, არამედ პონტის აღმოსავლეთ-სანაპიროთა მევიდრთ, როგორც, მაგალითად, ლაზებს, სვანებს, აფხაზებს და იბერებს. შეი-ძლება, ამ შემთხვევაში ერთგვარი როლი ეთამაშნოს ჰიერონიმეს თქმულებასაც, რომლითაც მოციქულმა მატოთ ქადაგა „მეორე ეთიობიაშიო“. ძველად ეთიობიას ეძახდენ კოლხიდასაც, ესე ივი-დასავლეთ-საქართველოს. არსებობდა ისეთი ვერსია ინდრიას შესა-ხებ თქმულებისა, რომელიც მის თანამგზავრად, როგორც დავინახეთ, სოფლიდა მოციქულ მატათას; მატათა, ჩანს, მატოთსთან აურევით, მატოთს კი ეთიობია-კოლხიდაში უქადაგნია, სადაც ორი მდინარეა: აპსარი და ფაზისი; აქედან, მაშასადამე, ბერძნის მწერლის სოფ-რონისათვის ადვილი იყო თქმა, რომ ანდრიამ იქადაგა დიდს სებასტონობრივი, რომლის მახლობლად ზღვის ერთვის მდინარე აპსა-რი და ფაზისი და სადაც ეთიობელები მევიდრობენონ.

ამნაირად, ანდრია მოციქული არასოდეს კაგისიაში არ ყოფი-ლა, თქმულება ამის შესახებ წარმოადგენს ერთგვარ გეოგრაფიულ გლოსას სკვითიისა და ეთიობის შესახებ.

რაც შეეხება სხვა მოციქულების ქადაგებას ჩვენში, ესეც სი-მართლეს არ შეეფერება. სახელდობრ, თქმულება მატათას შესა-ხებ, როგორც ზეეთიაც დავინახეთ, უნდა წარმოადგენდეს ორი სა-ხელის აღრევის: მატოთი და მატათისი; ვინაიდან არსებობდა ისეთი გარდამოცემა, რომელიც მატოთს წილხვდომილად ეთიობიას სოფლი-და, ეთიობიად კი ხშირად კოლხიდასაც ჰერულისხმობდენ, მატათის, რომელიც მატოთსთან აურევით და ანდრიას თანამგზავრად გაუხდი-ათ, დასავლეთ-საქართველოში მოღვაწეობას აწერენ.

¹ Migne, Patrologiae Cursus comp. ser. Graeca, t. XII, p. 82,91.

² Libellus de fluvii, I.

³ Ethnicorum quae supersunt, rec. A. Meinekii, t. I.

06036320

არც სეიმონ კანანელის შესახები თქმულება შეესაბამება უკანასკნელი რიტებას; ამ თქმულების დასადასტურებელიდ ვერ გამოდგება ის გარდამოცემა, რომელიც სეიმონის საფლავს ნიკოფსიაში უჩვენებს. პროფ. გ. ბოლტროვმა აღნიშნა, რომ სინოპტი ანდრია მოციქულის ეკლესიის არსებობა ვერ დაამტკიცებს იქ ამ მოციქულის ქადაგების პეშმარიტებას, პირიქით—იქნება იმიტომ ააშენეს იქ ასეთი ეკლესია, რომ გარდამოცემა არსებობდა, ვითომც ანდრიამ სინოპტი იქადაგავა¹. ესვე უნდა ვთქვათ ჩვენ ამ შემთხვევაშიაც: იქნება იმიტომ გაჩნდა თქმულება სიმონ კანანელის აფხაზეთში დამარხეის შესახებ, რომ მას წინ უსწრებდა ლეგენდა სეიმონის იქ მოღვაწეობის შესახებ. თქმულება, რომ სეიმონი ნიკოფსიაშია დამარხული, მომდინარეობს ეპიფანე კვიპრელისაგან. რომელიც ამბობს, რომ სეიმონ მოშურნეს საფლავი მას ბოსფორში უჩვენეს, ხოლო „სეიმონ კანანელის საფლავი არს ნიკოფსე ქალაქსა, ზორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა“². სეიმონ მოშურნე და სეიმონ კანანელი ერთიდაიგივე პირია³, მაში როგორ შეიძლებოდა, რომ ერთიდაიგივე პირი ბოსფორშიც ყოფილიყო დამარხული და ნიკოფსიაშიც? როგორ წარმოდგა თქმულება იმის შესახებ, რომ სეიმონ კანანელმა აფხაზეთში იქადაგა? დოროთეოს ტვირელის კატალოგში ანდრია მოციქულს მიჩნილი აქვს · ის პედილები, სადაც მისი ძმა პეტრე ჰქადაგებდა, ხოლო პეტრეს—ანდრიასი, მაშასადამე, ზავიზლეის ოღმოსავლეთ-სანაპიროები; პეტრეს კი ერქვა სეიმონი, ასე რომ იქ აღრეულია ორი პიროვნების სახელი, პეტრესი და სეიმონისი⁴.

ეფრემ მცირე ამბობს, რომ ქართლში იქადაგა ბართლომე მოციქულმანი: „და კუალად ბართლომეს მიერ მიმოეღად ჩრდილოეთისად, რომელ არს ქართლით“. საიდან ამოილო ეფრემი ასეთი ცხობა? ეფრემი მოღვაწეობდა შეკმთახე სირიაში, სირიელები კი მთელს ეხლანდელ ამიერ-კავკასიის, მაშასაღამე საქოთველოსაც, „ჩრდილოეთს“ ეძახდენ. მაგალითად, პტოლომეოსის გეოგრაფიის სირიულ კერძიაში, რომელიც 552-555 წლებშია შედგენილი, ნათქვამია: „ჩრდილოეთ-კვეყანაში ხუთი ქრისტიანი ერი ცხოვრობს: სომხები; ქართველები, სიუნიელები, ალანები და ბაზგუნებით“¹. პეტრე მაცუმე ე-

¹ Лекции по истории древней церкви II, 247—248.

² საქართველოს სამოთხე, გვ. 33, 36.

³ Lipsius, Apostelgeschichten und Apostellegenden I, 582.

⁴ Ibid. S. 611.

⁵ Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, стр. 219-221.

ლის ასურულს ცხოვრებაში იძერია წოდებულია „ჩრდილოეთი ქვენად (Land der Iberer, jener Nordländer)¹. ქართლი წოდებულია „ჩრდილოეთი ქრდილოეთის“ ქვენად წმ. ნინოს შატბერდულის². და ითანებ ზე-დაზნელის³ ცხოვრებაში. ჩვენ ვიცით საექლესიო ისტორიიდან, კერძოდ სომებს ისტორიულსთაგან, რომ ბართლომებმ ქრისტიანობა, გარდამოცუმით, იქადაგა სომხეთში, აღმანიაში და სიუნეთში, ესე ივი „ჩრდილოეთის ქვეყანაში“, სირიული ნომენატურით. თუ სი-რიაში არსებობდა გარდამოცუმა, რომ ბართლომებმ „ჩრდილოეთში“ იქადაგა, ჩრდილოეთიდ კი საქართველოც იგულისხმებოდა, ეფრემ მცირეს, სირიაში აღზრდილს, შეეძლო თვითონაც ეთქა, თუ ამას სირიაში არ ამბობდენ, რომ ბართლომებმ იქადაგა „ჩრდილოეთს, რომელ არს ქართლიო“. მაგრამ ასეთი გარდამოცუმა ქართლ-ში ეფრემამდეც ყოფილა; ეს იქადანა ჩანს, რომ მეათე საუკუნის თთუენ ში ჩვენ გვხვდება ლოცვა-ვედრება ბართლომების. როგორც ქართველთა განმანათლებელისა; ნინოსთან ერთად აქ ბართლომებც სახელდებულია ქართველთა განმანათლებელად⁴.

ამნაირად, ჩვენ ვხედავთ, რომ არც ერთი მოციქული საქარ-თველოში არ ყოფილა და არ უქადაგნია; ამიტომ ეფრემ მცირის და არსენ ბერის აზრი, რომ, თუმცა მოციქულებმა იქადაგეს ჩვენში ქრისტიანობა, მაგრამ ქართველებმა ის დაიგიაწყეს და ამიტომ საჭი-რო შეიქნა ხელმოორედ მოვლინებოდა ჩვენ. მქადაგებელი ჰეშმარი-ტებისა, წმ. ნინო, სინამდვილეს არ შეესაბამება; საქართველოში მოციქულებს ქრისტიანობა არ უქადაგნიათ.

III

თუმცა, როგორც ვხედავთ, მოციქულები საქართველოში არ ყოფილან და აქ მათ არ უმოვაწნიათ, მაგრამ ქართველთა შორის ქრისტიანობა მაინც აღრე შემოვიდა შედარებით. ამით ჩვენ იმისი იქმა არ ვინდა, რომ მთელი საქართველო ერთსადამავე დროს და ერთისხდამავე მისონერის ქადაგებით გაქრისტიანდა, როგორც არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, ფიქრობდენ და ამტკიცებდენ ჩვენში. მეოთე საუკუნის გასლვამდე საქართველო, იმ სიტუაციის

¹ R. Raabe, Petrus der Iberer, S. 14

² Е. Тахайшвили, Описание II, 743-744, 806.

³ ტ. ჯევალიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 154.

⁴ И. Марр, Исторический очерк грузин. первых с древнейших времен, Церковь. ведомости 1907 г. № 3, стр. 111-112.



თანამედროვე გაგებით, არ არსებობდა; იყვნენ სხვადასხვა უწყვეტიშოთ ეკა
ლი ტომებით, რომელიც სხვადასხვა გეოგრაფიულს, ისტორიულს,
პოლიტიკურს და კულტურულს პირობებში ცხოვრობდნენ, ამიტომ
ქრისტიანობაც მათ შორის სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირო-
ბებში შემოდიოდა.

დღევანდველს დასავლეთ-საქართველოში ქრისტიანობა შემო-
დიოდა უზიავრესად საბერძნეთითან. შავიზღვის აღმოსავლეთ-სანა-
პირო, რომელსაც კასიკურ დროს კოლხიდას ეძახდენ, ბიზანტიე-
ლებმა ლაზიეთ მონათლეს. ლაზიეთი იყო საქართველოში სამეფო
და შეიცავდა, ლაზების გარდა. სხვა წვრილ ტომებსაც, რომელიც
კავკასიის მთის კალთებზე ცხოვრობდნენ. პოლიტიკურად ლაზიეთ ჯერ
სპარსელებმა დაიკავეს და მერე. მეცნიერებულის ლიკან წლები-
დან, ბიზანტიელებმა. ქრისტიანობა აქ ადრიდანვე ერტყალდებოდა;
ჩვენ გამოცემული გვაქვს დანიელ მესვეტის ცხოვრებიდან ერ-
თი ადგილი, რომელიც შეეხება ლაზთა მეფეს კობაზიონს. გო-
ბაზიონი იმპერატორის ლეონ დიდის დროს (457-474) კონსტან-
ტინოპოლიში გაუწვევეით, სადაც ის 465 წლის შემდეგ მისულა. აქ
მას იმპერატორის რისხა, სპარსელებთან კაშირის დაჭრის-
თვის, თავიდან აუცილებია ქრისტიანობისადმი სიმპათიების გამოჩე-
ნით, ურთიერთობა დაუკავებია დანიელთან და მერე, სამშობლოში
დაბრუნების შემდეგ. მაწერ-მოწერა გაუმართავს მასთან, რასაც,
რასაკვირველია, ლაზიეთი ქრისტიანობის გავრცელება მოყვებოდა¹.
აქედან გასაკვირველი არაა, რომ ლაზების (Az.ii) და მათს ქრი-
სტიანობას იხსენიებს ამ ამბის თანამედროვე გლობასი კვიშიკელი.
475 წლის ახლო ხანში დაწერილს ობზელებაში²: არც ისა საკირვე-
ლი, რომ მეცნიერებული იუსტინიანე დიდი და იერუსალიმის
უფაბნოში განუხალებია ლაზთა მონასტერი³, რომელიც მის დროს,
მაშასადამე, სიძველეში მოსულა. საბოროლო კა ქრისტიანობა თა-
ზიკაში დამყარებულა მეცნიერებას საუკუნისში. ერთერთი მეფე-
ლაზიეთისა, წათე, გაემზარა ბიზანტიაში და იქ კეისარ იუსტინე აუწყა. რომ მას სურს გაქრისტიანდეს და ლაზთა მეფედ იქმნეს დან-
ტიკურებული. იუსტინემ, რომელიც ამ ამბავმა ძალზე გაახარა, დიდი

¹ K. Кекелиձე, Историко-биографические отрывки: Хри-
стианский Восток, т. II, выпуск 2, стр. 187-191.

² Historiae concilii Nicaeni lib. III (A. M. Ceriani, Monumenta sacra
et profana, t. I, p. 137, Mediolani 1861).

³ Procopius, De Aedificiis V, 9.



ტრანსლატო

სიამოვნებით მონათლა წათე და მისი შეილი 5203 ჭრისტიანული მეფის მონათლვას ის მნიშვნელობა ექნებოდა, რომ ამიერიდან ქრისტიანობა ლაზებიში სახელმწიფო სარწმუნოებად იქმნებოდა გამოცხადებული და მის გავრცელებას დაბრკოლება აღარ გადაელობდოდა. მართლაც, პროკოპი კესარი იყო ლაზებს ისენიებს როგორც საუკეთესო ქრისტიანებს¹, მაშასადამე მეექვეს საუკუნეში მათს ქრისტიანობას ჩამოყალიბებული სახე ჰქონია უკვე.

ლაზების მონათესავე კანები გაუქრისტიანებია იუსტინე კეისრის სარდალს სიტრას მისი ტახტზე ასლეის პირველსაც წელს (518)².

ლაზების პროტექტორატის ქვეშ იმყოფებოდენ სანები, რომელთაც ძევლად უფრო ვრცელი ტერიტორია სეკურიათ, ვიდრე ებლა: ის შეიცავდა, ეხლანდელი სვანეთის გარდა, ლეჩებში და ჩრდილოეთ-რავასაც; ქრისტიანობა აქაც საბერძნებთიდანაა გავრცელებული, შეიძლება ლაზებთან ერთად. აქ ეხლაც დარჩენილა ბერძნების საეკლესიო გავლენის კალი; მაგალითად, სვანეთში მღვდელს ეძნიან ბაბ (ჯუჯა), ზაბათს საფრინ (ძაღვაზავი), თიხის ჭურპელს-სტამან (თაჭარი), ჯვარს სტარუნ (თაჭარი) და სხვა³.

რაც შეეხება აფხაზეთს, ოფიციალურად ქრისტიანობა აქ დამყარდა იუსტინიანე დიდის დროს, რომელმაც, პროკოპ კესარიელის გადმოცემით⁴, აფხაზების მოსაქვევად გამოვზავნა შათოთანამემამულე საკურისი ევფრანტი. ამას ადგილი ჰქონია იმ დროს, რომელიც უშუალოდ უსწრებდა წინ 547-548 წლებს⁵.

ამნაირად, დასავლეთ-საქართველოს ტერიტორიაზე მობინადრე ქართველ ტომებში ქრისტიანობა შემოსულა მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული და საბოლოოდ დამყარებულა მეექვესში: შემოდიოდა ის, როგორცა ვთქვით, უმთავრესად საბერძნებთიდან.

¹ Theophanis Chorographia I, 168-169 (de Boor); ოფონენბერგის ასბავი 515 წლის წლის შემთხვევაში აქვს მოთხრობით.

² De bello Persico I 12, II, 28.

³ De bello Persico I, 15. Paroixie, L'eglise Byzantine 17.

⁴ H. Mapp, კრებული გრძელი გვ. 170-171 ა. შანია: ტფ. უბ. მომენტ V, 254.

⁵ De bello Gotthico IV, 3, ed. Bon, p. 472-473.

⁶ Проф. Ю. Кулаковский, Где был построен импер. Юстиниано⁷ храм для Абхазов? Археологич. известия и заметки, т. V, стр. 24.

უფრო ადრე შემოსულია ქრისტიანობა აღმოსავლეთ-საქართველოში ან, ძველი პოლიტიკური და ეკლესიური ტერმინი რომ ვახშიროთ, ქართლ ში. როდესაც ჩვენ ვხწივლობთ ქართლში ქრისტიანობის შემოსლვისა და დამყარების ისტორიის, ერთს საყრდელებო მოვლენას ვამჩნევთ: ქართლის განმანათლებლად ერთსადამიავე დროს გამოყანილი არიან გრიგოლ ვართელი, სოხებთა განმანათლებელი, და წმ. ნინო. მართლაც, გრიგოლ განმანათლებელის ცხოვრების ათასობის ვერსიაში წერია, რომ გრიგოლმა, ორდატ ჯეფესთან ერთად, მონათლა, სხვათა შორის, ქართველთა მეფე და ამის შემდეგ ეპისკოპოსიც კი გაუგზავნა ქართველებს, სახელმობრ— ვინგე იმ ირბეს ხევა¹. გრიგოლის სამისიონერო მოღვაწეობას ქართველთა შორის განსაკუთრებით გასმული აქვს ხაზი იმ მიწერ-მწერაში, რომელიც გაიძართა ქართველ და სომებს სამღვდელოებათა შორის მეექვსე საუკუნის გასულს და მეშვიდეს დასაწყისს ეკლესიური ურთიერთობის გამწვავების გამო. სომხები პირდაპირ ამბობენ: „ნუ იმნება შემოლებული რაიმე ახალი ჩვენი ქვეყნების აღსარებაში, რომელიც დანერგულია ლვის მოღვაწის გრიგოლის მიერ“; „ვინაიდან ჩვენ ვართ მოწაფენი და სამკეოდრებელი ერთისადამიავე მოძღვრისა. უნდა იმ ჯულზე ვიმყოფებოდეთ. რომელზედაც ცხოვრობდენ ჩვენი მამები“; სომხები ოდნავადაც არ ეჭვიბენ, რომ გრიგოლმა ჩვენში იქადაგა ქრისტე². ამას არც ქართველები უარყოფენ; ქართლის კათოლიკოზეს კარიონს, რომლის დროსაც ჰქონდა ადგილი ზემოხნესებულ მიწერ-მწერის, ყველაზე მეტად უნდა უარეყო ეს დებულება, თუ ის სიმართლეს მოქლებული იყო. მაგრამ ის საპასუხო წერილებში არამც თუ არ უარყოფს ამას, პირიქით — კატეგორიულად ამოწმებს, რომ ეს ასეა, — ქართველები გრიგოლმა გავვანათლოთ. ის სწორს სომხის კათოლიკოზის მთადგილეს: — გრიგოლმა გვასწავლა ჩვენ მართლმადიდებლობითი აღსარება, რომელიც მან შეითვისა იერუსალიმში, ის დაგვიმტკიცა იმან ჩვენ, ის არის ჩვენი და თქვენი კეშმარიტი შჯულიონ³. კირიონი მონაიდაც არ ეჭვიბს, რომ ეს

¹ Н. Марр. Крещение армян, грузин, аланов и абхазов св. Григорием, стр. 135-137.

² И. Джавахов, История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века, стр. 517-527 (*Известия Академии Наук* за 1908 г.).

³ Ibid., str. 521-524.

მართალია. არ უარჲყოფს ამას არც მეტაზე საუკუნის კათოლიკოზი
ასე ენ დიდი (855-882), როგორიც საპოლეოპი ტრაქიატეპერენი და
დაუწერია სომხეთი წინააღმდეგ¹. იმისი სიტყვით, „იქმნა კურლიკი იმათე
ბათ დიდი შორის სომხითისა და ქართლისა; ქართველი ეტყოდეს.
კითარმედ წმიდამან გრიგოლი საბერძნეთით გოგუა ჩვენ სარწმუ-
ნოებად, როგორიც თქვენ დაუტევეთ“². ეს კიდევ ცოტაა: უძველეს
სალეთისმასახურო წიგნებში, გეათე საუკუნებდე, ჩვენ გვხვდება მრა-
ვალი საგალობრელი გრიგოლის სახელობისა; ეს საგალობრელი მას კართველთა განმანათლებელადა სთვლიან. მაგალითად: „ვარსკულოო
სომხეთისათ გრიგოლი, მოვკასენენ სამწყსონი შენნი წინაშე მაცხოვ-
რისა და მოვჭმადლე ჩვენ წყალობად და მშვდობად მოჰტინე სო-
ფელსა“³. ერთი სიტყვით, გრიგოლის მიერ ქართველთა გოქცევა
ურყეველი რწმენა-ყოფილი არა მარტო სომხებისა, არამედ თვით
ქართველებისაც გეათე საუკუნებდე. ამავე დროს ბიზანტიელ ისტორი-
კოსთა მოწმობით, აგრეთვე გოსე ხორენელის თქმულებით და ქარ-
თული სისტორიო-საპავიოგრაფიით ჩასალების გაღმოყენით აღმოსავ-
ლეთ-საქართველო მოაქცია ტყევ ქალბა, როგორიც უკანასკნელი ნი-
ნოს ან ნუნეს უწოდებენ; მასაც ისევე ეპველუტანლად მტკიცებდენ
ძველად სომხებიცა და ქართველებიც, როგორც გრიგოლის სამისიო-
ნერო მოვაწეობას ჩვენში. როგორ უნდა შევათანხმოთ ეს ცნობე-
ბი: ნინო თუ გრიგოლი? თუ გვსურს გავერკვიოთ ამ საკითხში, უნ-
და გავითვალისწინოთ კონფრაფიული და პოლიტიკური ტერმინების
ქართლი და სჭირი წარმოდგენა ვიქონიოთ მის შესახებ.

V

ჩვენს ძველსა და ახალს მწერლობაში კლასიკურ მწერალთა
იბერია და ჩვენებური ქართლი ნახმარია განურჩევლად, როგორც
სახელწოდება ერთისადაიმავე ტერიტორიისა. პოლიტიკურად ეს, შე-
იძლება, სწორეც იყოს, ყოველ შემთხვევაში გარკვეული დროიდან,
მაგრამ ეთნოგრაფიულად ქართლი სხვაა და იბერია სხვა.

ეთნოგრაფიული ქართლი ის ტერიტორიაა, რმლის საზღვაოს-
შეადგენდა: აღმოსავლეთით ბერძუჯის მდინარე, სამხრეთით სომხე-
თის მთები და გათვალისწიერივი წაჭი მტკვრის სათავემდე, დასავლე-

¹ Տ. ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ, Հանդեսընդունության և պահպանի օրենք, 1992 թվականի մայիսի 2-ին ընդունված օրենքությամբ, 134-140.

² ଟ. କୃତ୍ତିମାନଙ୍କ, ପ୍ରକାଶିତ ।, 319.

* Н. Марр, Крещение армян, грузин... стр. 154.



თით მდინარე მტკვარი, რომელიც მას ხორძენებაგან ჰყურებული გადასახლდებოდა. ჩრდილოეთით იგივე მტკვარი ტასის კარიღაში შემოდის შესართავამდე¹. ეს იგი, გარკვეულს ეპოქაში ეს ტერიტორია შეიცვლა აღმოსავლეთ-ნაწილს შემდეგიდროის ხემოქართლისას, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს შიდაქართლისას და მოელს ქვემოქართლს; ამ ტერიტორიას ბერძნები ეძახდენ გლეგარენს (Γλεγαρηνή, ხალხს Γლეგარην), სომხები კი გუგარენს. დაახლოვებით IV-III საუკ. ქრისტემდე ეს ტერიტორია დაუკავებით ქართებს, რომელთაც აქ დაზედრიათ ქართველ ტომოვაგან. სვანებთან ნარევი მესხები, ნაწილობრივ დასავლეთისაკენ, ნაწილობრივ ჩრდილოეთისაკენ მიწეულნი ამის შემდეგ. მათ შეუქმნიათ აქ იმდენად მტკიცე თრგანიზმი, თომ, მატიანეს ბუნდოვანი გადმოცემით, საკუთარი შეფეც კი ჰყოლიათ, რომლის ჩრდილებული ითვლებოდა ქართლი, შემდეგ არ-ეა ზად წოდებული. ეს თრგანიზმი თავდაპირებელად განიცდიდა, მა-მინ კიდევ დასავლეთად მობინადრე, მანერო პოლიტიკურ ჰეგემონიას, მაგრამ მელერე საუკუნის გასულს ქრისტემდე ის სომხებს წაურთმევიათ მათთვის. პირველი საუკუნის გეოგრაფი სტრაბონი ამ-ბობს: „არმენია, თავდაპირებელად პატარა ქვეყანა, მძლავრობით გავრცელებულა. არმენებს წაუგლეჯიათ: მიღილთაგან იასპიანე, იბერ-თაგან ის ადგილები, რომელიც პარიადრის ძირიდ მდებარეობდენ, ზა ბერეთვე ხორძენ და გლეგარენე. რომელიც მტკვრის იქით ავესთ“². მეორე საუკუნის გასულსაც (ქრისტეს შემდეგ) ეს მხარე სომხებსა ჰქონიათ დაკავებული: პტოლომეოსი სომხეთის ჩრდილოეთ-ხაზღვრად მტკვარსა სდებს³. ასევე იყო მესამე საუკუნეში და მეოთხის პირველს ნახევარში.

სომხეთის სამეფოში გოგარენი-გუგარქი შეადგენდა ცალკე სა-პტოლემიას, მას განავებდა პიტიაშები, რომელსაც ეკავა უპირველესი ადგილი სხვა პიტიაშეთა შორის: სამეფო ნადიმის დროს მას, მეფის შემდეგ, პირველი ადგილი ეკავა, უფროსობდა ჩრდილოეთის არმიას

¹ ამ სახლერებში მოდიოდა, მატიანეს ბუნდოვანი გადმოცემით, ქართების მამათმთავრის ქართლის სვეფრი მიწაწყალი; სხვანაირად არც შეიძლება ვაყიფოთ მატიანეს შესაფერისი თქმულება, ვინაიდან მტკვრის ჩრდილო-ნაწილი, ლაზნიდან ტასისკარამდე, და სამხრეთ-დასავლეთის ნაწილი, ტასისკარიდან სპერის ზღვამდე, ქართლისს სტკელის შემდეგ დაუპყრიათ მის შეიღებს (კახოს და კუხოსს) და შვილისშვილებს - უფლოსს და ოძრხოსს (ქართლის ცხოველი მარიამ დედოფლისა, გვ. 2, 6, 7).

² Geographica, lib. XI, cap. 14, § 5.

³ C. Ptolomaei, Geographiae libri octo, V, c. 11.

და ბრძინებლობდა 22 თავადის¹. მეოთხე საუკუნის ნახევარში ეს მხა-
რი უკანვა დაუბრუნებიათ იბერებს; სომხურს უსახელო გოგრაფიაშიც ცალი
ნათქვამია, რომ, „გუგარქი სომხებს იბერებმა წაართვეს“² უკავშიროება
სომხდარი, ისტორიკოსის ფაზსტ ბიზანტიელის ცნობით, სო-
მხთა მეფის ორშაჟის (346—349 პროფ. ნ. ადონის ქრისტოლი-
გიონი)³. დაშობისას, ესე იგი 349 წლის⁴. ეს რომ უფრო ვვინა ამ
დებარი, იქიდანაცა ჩანს, რომ მოსე ხორებელი მირიან მეფეს უწო-
დებს „იბერის გამგეს და გუგარქის ბდებეს (II, 86, III, 6,9),
რომ კი, მოსე ხორებელისავე ცნობით, შოუკლავთ ჩრდილოელ
ხოთხო თავიდასხმისას 350 წლის ახლო ხანებში (III, 9).

VI

¹ S. Martin, Histoire sur l'Armen. I, 79; Langlois, Collection I, 1. — Chabot, Histoire de la Siounie II, 6, not. 3; Q. 8292.

49 not. Stéphanos Orbel., Hist.
d. ა. საქართველოს ისტორია, 83. 127.

² Проф. Н. Адовиц, Армения в эпоху Юстиниана, стр. 229.

³ Ibid. ctn. 428.

⁴ Ibid. cfp. 420.

ଅନ୍ଧବ୍ୟାକିତ ପରିମାଣରେ ଉପରେ । 49.

Geographica I, 3, § 21.

• ६. काकाढ़ाड़े, गारत्तु
७. फलंडम घोराड़े, १, 26.

შინაგან სომხები, რომელთაც, არტაქსიას შეთაურობით, უმშევე უწყებული იქცერებს წარატვეს, სტრაბონის მოწმობით, პარიადრი, ზრდას მუშავე გოვარენი. ახალ ადგილას იქცერებს დახვედრიათ, მატიანეს ბუნდოვანი გაღმოცემით, თურქენთა ტომები (ბუნთურქი), ებრაელები და სხვ., რომელნიც ნაწილობრივ დაუპყრიათ, ნაწილობრივ განუდევნიათ აქედან და, მათ ნაბინადრევზე, შეუქმნიათ საქაოდ ძლიერი სამეფო, რომელსაც კლასიკური მწერლები იბერიას უწოდებენ, სომხები კი ვირქს, რაც იგივე იქცრია, ვინაიდან სომხურადაც და ბერძნულადაც შოცემულია ერთიდაიგივე ძირი: *berixer birvir:* ქართლური სახელი ამ სამეფოისა უნდა იყოს ჰერეთი¹. იგი მუ-

1 საქმე ისაა, რომ ქართულმა ტევლმა მწერლობაში სახელი იბერია არ იცის, იმას ჩენ ტევლად, ყოველ შემთხვევაში საქართველოს საბოლოოდ გაერთიანებად, ვერსად ვერ ვცვდებით; სამაგიეროდ ჩენში შეარებაშია ტერმინი ჰერეთი და რაც კლასიკურმა მწერლებმა და სომხებმა არ იციან. ეს ჰერეთი შეიცავს იმავე ტერიტორიას, რასაც კლასიკურ მწერალთა იბერია. თუ მხედველობაში ვიკონიებთ იმ გარემოებას, რომ ჰერეთის სახლერებში შედიოდა კახუთი და კუხეთი, ასე რომ ჰერეთი ზოგჯერ თითქმის მთელს კახეთ-კუხეთს უწოდებოდა, ჟავა მეთერთმეტე საუკუნეში ჰერეთის საზღვრებს შეადგინდა: აღმოსავლეთით ალაზანი. ჩრდილოეთით კავკასიის ქედი, სახელმისამართი და ჭავალეთით კასპი. მეოცენობრტყელ საუკუნეშე წინ დასავლეთის საზღვარი კაშპან სცილდებოდა და, ყოველ შემთხვევაში, ლიხის მთამდე მიღიოდა (პროფ. ი. ჯ. ა ვა ხი შე ი ღ ი, ქართველ ურის ისტორია II, 297—300). მაშასადამე, გვიგრაფიულად იბერია და ჰერეთი ერთმანეთს ჰუარენ, ისინი ფონეტიკურადაც ჰუარენ ეოთმანეთს. ბერძნებლს საცეკვას ჰერეთი ძირი არის ხ. ც. ს. საიდანაც აკადემ. ნ. მარრის გამოქავეული, სხადასხვა ფონეტიკურა კომბინაციებით, დასავლეთ-საქართველოს ყველა, ქართველ ტომთა მიერ დასახლებული, ადგილების სახელწოდება, როგორც მაგ., იმერეთი, სამეგრელო, გურია, საქრი, resp. ისპირი და სხვ. (Крец., არმ. ერა. և ან. ც. გრიგორი, ცტ 166-170). უცველია, აქედანვე უნდა იყოს წარმომდგარი ჰერეთიც; ამ სახელში ეთი არის ადგილის აღმიშენებლი სუფიქსი, ბერძნებს, მათ რომ ეს სახელი ცოდნობათ, უნდა გამოითქვათ ის როგორც ჰერეთია, რაც იგივე ბერძნული, საცეკვას ან ჰერეთია (ნ. მარრის ეტროლოგიით ბერძნული საცეკვას პროტოტიპი არის ჰერეთი კერძო როლი; იბid. ცტ 168). ჰერეთი ადან რომ ჰერეთია წარმომდგარიულ, ენის წინ ვ-ნი უნდა დაკარგულიყო; ასეთი დაკარგვა რომ შესაძლებელია, ეს იქიდანაცა ჩ-ნის რომ hiatus-ის დასატარევად გ-ნს წინ ზშირად ჩართვის ვ-ნი, მაგალითად ხორცელა, დაკვენანა და სხვ. (ც. თ თ ფ უ რ ი ა, ქართლური, კრებული ა რ ი ღ ი, გვ. 136). მაგრამ უამისოდაც ჩენ გვაქვს ასეთი მოვლენის მაგალითები: გველებმაი-გველებმაი, გვამატივეს-გვამატივს (იქვე, გვ. 134), ეფხო—ეფხი (მოთულურში, პროფ. ი. ჭანიძის გადმოცემით) და სხვ. ჰერეთ-ში იმავე კანონით დაიკარგა ვ, რა კანონითაც მისგან განვითარებულ გვერ-ში, საიდანაც. ნ. მარრით (ibid.) წარმოდგა გვერ-ებრი-სამეგრელო. ანიარად, გვიგრაფიულად და ფონეტიკურად ქართული ჰერეთი უნდა იყოს კლასიკურ მწერალთა იბერია. იბერით-ჰერეთის სატანტო ქალაქი თავდაპირეელად უნდა ყოფილიყო სტრაბონის საუკ-

დამ საცილობელ საგანს შეადგენდა რომაელთა და საპატია ჰქონდეს თუმცა უფრო ხშირად რომაელების პროტექტორატის ქვეშ უკრძალებია ბოლო. მეოთხე საუკუნის ნახევარში, 349 წლის, იძერიამ საბოლოოდ შემოიერთა ეთნოგრაფიული ქართლი ან გოგარენი-გუგარეჭი. ვინაიდან ეს უკანასკნელი, სომხებთან მტკიცე ულტრული კავშირის გამო, განათლებით გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე, კლასიკურ მწერალთა დაბასიათებით. გარდა არ სული იძერია, გან სულიერად დაიმზადა ერთტობი და მონათესავე იძერები (მხვავსად იმისა, როგორც დაპყრობილმა ბერძნებმა სულიერად დაიმზადილეს დამცყრბელი რომელები), მისცა მას თავისი ენა, თავისი მწერლობა და თავისი სახელი პოლიტიკურად. ამის გამო იძერია-ჰერეთე თანდათან ვრცელდება სახელშოდება ქართლი, ასე რომ უკვე მეტყო საუკუნეში, თუ შუმანიკის ცხოვრებას დავუჯერებთ, „ძუეუანაზ ჰერეთისა“ გაქცეული იყო „სამზღვართა შინა ქართლისათაა“¹, მაშასადამე ნაწილი მისი ქართლი იწოდებოდა. რაც უფრო ვრცელდებოდა ქართლის პოლიტიკური შინაარსი, ჰერეთის საზღვრები აღმოსავლეთისაენ იწყედა, ასე რომ მეათე-მეოთხრომეტე საუკუნეში ის, ჰერეთი საკუთრივ, შეიცავდა მცირე ტერიტორიას იორსა და ალაზანს შეა, რომელიც ჯერ კახთა მეფებმა დაიკავეს, ხოლო მერე შემოუერთა საქართველოს დავით აღმაშენებელმა².

ამნაირად, აღმოსავლეთ-საქართველოს ტერიტორიაზე ცნობილი იყო ქართველთა ორი მთავარი ტრომი: საუკონივ ჰერეთები და ჰერნი. მათ ჰყოფდა მდინარე მტკეარი. მეოთხე საუკუნის ნახევარმდე ისინი ცალკე-ცალკე ცხოვრობდენ: ქართები სომხეთის ფარგლებში, ჰერნი თავიანთ სახელმწიფოში. რომელსაც იძერია-ჰერეთი ერქვა. 349 წლიდან ისინი გაერთიანდნენ პოლიტიკურად და კულტურულად, პოლიტიკური და კულტურული ჰეგემონია ქართლმა ჩაიგდო ხელში და თანდათან განდევნა ხმარებოდან ტერმინი იძერია-ჰერეთი, ასე რომ ამ ტერიტორიას ჯერ მისცა სახელი ქართლი, მერე საქართველოდ გადაქცეული. ამით აისხება, რომ ჩენენს ძელს მწერლობაში, რომელიც მას შემდეგ დაწყებულა, რაც ქართლი პოლიტიკურ ტერმინად იქცა, ეთნოგრაფიული ქართლის და იძერის ტერიტორია გამოიჯნული არაა; ჰერეთი კი მიჩნეულია ერთ პატარა პროვინციად.

მთხ (XI, c. 3, § 5), ხოლო პირველი საუკუნის გასულიდან თუ მეორედან ქრისტეს შემდგე სატახო ქალაქად გაშენდა მცხეთა.

¹ ს. გორგაძის გამოცემა, გვ. 2.

² შეად. ს. კაკაბაძე წმინდა ნინო და მისი მინშენელობა საქართველოს ისტორიაში, გვ. 8—12, ტფილის 1912 წ.

ეხლა უნდა გავითვალისწინოთ პროცესი ქრისტიანობის უმცირესი სეროისა და დამყარებისა როგორც საკუთრივ ქართლში, ასე მასშიც არიაში.

VII



ეთნოგრაფიულს ქართლში, ან ვოგარენ-გუგარქში, რომელიც შეითხე საუკუნის ნახევრამდე, როგორცა ვთქვით, სომხეთის ფარგლებში იყო მოქცეული, ქრისტიანობა უნდა შემოსულიყოს იმავე დროსა და იმავე წყაროდან, რა დროსაც და რა წყაროდანაც ის თვით სომხეთში შემოვიდა, — სახელმობრ, აღმოსავლეთიდან, იერუსალიმიდან¹. იერუსალიმიდან ქრისტიანობა გავრცელდა პირველად აღმოსავლეთ-სირიაში და მის დედა-ქალაქი ანტიოქიაში, რომელიც ქრისტიანობის მეორე აკვად იქცა. აქედან, ანტიოქიიდან, ქრისტიანობა მთელს აღმოსავლეთს მოეფინა, კერძოდ სომხეთშიაც შემოვჭრა. სომხეთსა და ანტიოქიას შუა მდებარეობდა სახელმწიფო, რომელსაც ოსროენა ერქვა, დედა-ქალაქით ედესით. ლეგენდა, ვითომც ედესის მეფემ ავგაროზმა ქრისტეს მოციქულები გაუგზავნა და თავისითან მიიბატია, ეკუთვნის ავგაროს მეცხრეს, რომელიც მეორე საუკუნის გასულს მეფობდა და რომლის დროსაც საუუძველი ჩაეყარა ედესის ქრისტიანობას². ამნაირად, ისტორიული ფაქტი, ედესიაში ქრისტიანობის დამყარება ავგაროზ მეცხრის დროს, ლეგენდის გადაუტანია ქრისტეს ეპოქაში და ავგაროს მეხუთისათვის მიუწერია. ერთი სიტყვით, ოსროენაში ქრისტიანული ეკლესიის ორგანიზაცია მხოლოდ მეორე საუკუნის გასულს დაიწყო. ოსროენაში ქვერი სომები ცხოვრობდა, თვით ნამდვილი სომხური ტერიტორიაც შედიოდა ამ სამეფოში, მაშასადამე, ეკვს გარეშეა, ოსროენაში ქრისტიანობას ადგილობრივი სომხებიც შეითვისებდენ და აქედან ის მოსაზღვრე სომხეთის სამეფოშიაც გადაჭიდოდა. ცხობილს საეკლესიო მწერალს, ტერტულიანეს, თხზულებაში, რომელსაც ეწოდება Adversus Judaeos და რომელიც მესამე საუკუნის პირველს ათეულშია დაწერილი, ჩამოუთვლია (cap. 7) ის ქვეყნები და ერები,

¹ К. Кекецидзе, К вопросу об Иерусалимском происхождении грузинской церкви. Петерб. 1914 г.

² A. Harnack, Mission und Ausbreitung des Christentums in den ersten drei Jahrhunderten II, 117-118, 2 Aufl. A. Gutschmid, Untersuchungen über die Geschichte des Königreichs Osroene (Mem. de l'Acad. de St.-P. 1887).

რომელნიც იმ დროს უკვე იცნობდენ ქრისტიანობას, და ყოველი დაუსახელებია: „პართი, მიღნი, ელამიტელი, მევიღნები შეუძლია მეტე რასანი და სომხეთი სან ი“¹. აქედან ნათელია, რომ შესამე საუკუნის პირველს ათეულში სომხეთში ქრისტიანობა უკვე ასახულია. მესამე საუკუნის ნახევარში, 260 წელს, დიონისი ალექსანდრი ი და 265 წელი (248-265) სწორს წერილს სომხეთა ეპისკოპოზს მერუანს²; მერუანი ეპისკოპოსად ყოფილა სომხეთის იმ პროვინციაში, რომელსაც სოფენა ერქვა³. სოფენას ეკლესია პირმშო შვილია ედესიის ეკლესიისა, იქედან ქრისტიანობა გადასულა ტარონში, ტარონიდან არტაზში⁴, ხოლო აქედან დიდი სომხეთში, რომელიც მესამე საუკუნის გასულს უკვე ოფიციალურად მოქცეული ყოფილა⁵: ყოველ შემთხვევაში, ევსევი კესარიელის ვარდოცემით (Historia Ecclesiastica IX, 8), მაქსიმინე დაკამ, სამხსოვის თორმეტი წლის მახლობლად, ომი აუტეხა სომხებს, რადგანაც ისინი ქრისტიანობას აღიარებდენ. გრიგოლ განმანათლებელის ლევანდარული აქტებიც ამავე თარიღს გვაძლევენ სომხეთა ოფიციალურად მოქცევისას: აღათან გელოზის გადმოცემით, მეფე თრდატი მოიქცა მაშინ, როდესაც გრიგოლი ორმოდან ამოიყვანეს, ვრიგოლი კი ორმოდან ამოიყვანეს წმ. რიფსიმეანთა წამების მეცხრე დღეს; რიფსიმეანთა წამებას ადგილი ჰქონდა მათი საბერძნეთით ვამრჩეცევიდან დაახლოვებით ერთი წლის შემდეგ, საბერძნეთით კი ისზინ, იღათანგელოზისავე თქმულებით, გამოქცეულან დიოკლიოანეს გამეფების პირველს წელს, როდესაც მან სასძლოს ძებნა დაიწყო, ესე იყი, 284 წელს. მაშინადამე, ამ გამოანგარიშებით, თრდატი 285-286 წლებში მოქცეულა⁶. გავიდა რამდენიმე წელიწადი

¹ Проф. В. Болотов, Лекции по истории древней церкви II, 235.

² Eusebii Caesariensis Historia Ecclesiastica VI, 46.

³ Н. Адоній, Армения в эпоху Юстиниана, стр. 347.

⁴ Ibid. стр. 347-9.

⁵ A. Harnack, Mission und Ausbreitung II, 168.

⁶ ასე რომ გრიგოლის აქტებში შემდევიდროისა თა ტრადიციის შეტანით უნდა იყოს და მეორე შრეს უნდა წარმოადგენდეს ის საქრონოლოგიო. ფაქტები, რომელნიც მოყვანილია განსაკუთრებით არაბულს ვერსიაში, სახელდობრი: დაკვშირება თრდატის მოქცევისა კომსტანტინე დიდის დროსთან, ხელდასხმა გრიგოლისა ლეონტი კესარიელის მიერ, რომელიც პირველი მსოფლიო კრების მონაწილე იყო (Harnack, Mission und Ausbreitung II, 171), აღნიშნვა იმისა, თომ, როდესაც გრიგოლი და თრდატი რომში მივიდენ, იქ პაად იყო ევსევი კ18 აპრ. — 17 აგვ 310 წლი, აგრეთვე იმისა, რომ გრიგოლის კურთხევისას სეპასტიის საქაპისკოპოზზე კათედრა ეკავა პეტრეს, რომელიც, გრიგოლის მიერ



ამის შემდეგ და გრიგოლი ეპისკოპოსად აურთხეს ქ. ქ ე კ ი ლ ა ძ ვ ეს უნდა მომხდარიყოს 290 წლის აბლო ხანებში¹, ყოველ შემთხვევაში არაუგვიანეს 296 წლისა, როდესაც დიოკლიტიანემ მცირე სომხეთისათვის შექმნა მელიტენის სამიტროპოლიტო, მანამდის კი ცენტრი კესარიაში იყო². ამნაირად, როგორც საკუთრივ სომხეთში, ისე, თავისთვავად გვულისხმება, მის ფარგლებში მყოფს ქართლ-გუგარქში, ქრისტიანობა უკვე მესამე საუკუნის გასულს ოფიციალურად მიღებული ყოფილა. ამით აიხსნება, რომ ოთან ეს აბანის ძე მერვე საუკუნის ოთხმოციანი წლების გასულს ქართველთა შესახებ ამბობდა, რომ ისინი „ხუთას წლისა ქამთა და უწინარესთა სჯულდებულ არიან წმიდითა მაღლითა ნათლისლებისა დათოა“³. ქართლ-გუგარქში ქრისტიანობა იმავე შისიონერებს უნდა ვაევრცელებიოს, რომელნიც ჩას სომხეთში ავრცელებდნენ. ჩვენ ვვგონია, რომ გრიგოლის არაბულს აქტებში, სადაც ლაპარაკია, თრდატოან ერთად, ქართველთა მეტის მონათლვისა და საქართველოში საგანგებო მიტროპოლიტის გაგზავნის შესახებ⁴, რეალურად გადმოცემული უნდა იყოს ტრადიცია გუგარქის ბდების მოქცევისა და იქ ეკლესიური ორგანიზაციის შექმნისა სომხეთში მომქმედ შისიონერთა მიერ.

VIII

სომხეთიდან და ქართლ-გუგარქიდან ქრისტიანობა იბერია-ჰერეთშიც გაიკათვედა გზას; ეს რომ ასეა, ამას ადასტურებს მემატიანეს თქმულება რევ მეფის (186-213) შესახებ: „ეს რევ მეფე დალაცათუ იყო წარმართი, არამედ იყო მოწყალე ყოველთა და შემწე ჭირველთა, რამეთუ სმენილ იყო მისდა სახარება უფლისა ჩუენისა იქსო ქრისტესი და აქუნდა რამე სიყუარული ქრისტესი და მან მეფო-

მიტროპოლიტად დადგნენილ იბირბზ სუასთან ერთად, თვითმშილელი იყო 40 მოწამეთა მარტივოლბისა ქ. სებასტიაში (321 წელს) და რომელმაც გრიგოლს მისცა ათინო თე გ მ მოწამის († 311 წელს) ნაწილები.

¹ ამნაირადვე ათარილებს ამ ფაქტს A. Harnack-ის, Mission und Ausbreitung II, 171.

² Проф. Н. А д о н ц. Армения в эпоху Юстиниана, стр. 360.

³ ცხოველება აბო ტფილელისა, საქართველოს სამოთხე, გვ. 334, საკულტო მუზეუმის გამოცემა, № 3, გვ. 7-8, ტფილის 1899 წ. აბოს ცხოველება დაწერილია 790 წლის აბლო ხანებში; 790-500=290, ქართლ-გუგარქის საბოლოოდ მოქცევის დრო, ხოლო „უწინარესი“ გამი—შესამე საუკუნის დამდეგიდან 290 წლამდე, როდესაც სპორადულად შემოდიოდა აქ ქრისტიანობა.

⁴ Проф. Н. М а р ი, Крест. арм. груз., алан. и абх. св. Григор, ст. 134-7.

შინა შინა მისსა არღარავის უტევა ქართლსა¹ შინა უზემდება მარტინი რომელსა იგი ამისსა უწინარეს და პირველ კერძთა მიმართ შესწირვიდეს მსხუერპლად ყრმათა, არამედ ცხურისა და ძროხისა შეწირვა განუწესა და ამისათვის ეწოდა მას რევ მართალი². ჩანს, მესამე საუკუნის პირველ ნახევარში იბერიაში იმდენად საგრძნობი ყოფილა ქრისტიანობის გავლენა, რომ ის მეფესაც კი სცნობია და ადამიანთა მსხვერპლად შეწირვის ჩვეულების გადაგდებისათვის ხელი შეუწყვია. ამ საუკუნის გასულს, მას შემდეგ, რაც ორდატ, სომხის მეფე, მოიქცა, „მიერითგან ქება-დიდება ქრისტესი არღარა ფარულად ითქმოდა ქართლსა შინა, რამეთუ მაღლსა ღმრთისასა ეწყო მოფენად აღმოსავლეთს“³. მაგრამ ჯერ კიდევ „ქება-დიდება ქრისტესი ფარულად ითქმოდა“. ის ნებადართული არ ყოფილა; საკირო იყო, თუ მეტი არა, ნახევარი საუკუნე მაინც, რომ ის ოფიციალურად ნებადართული შექმნილიყო უხენავის ხელისუფლების მიერ.

ეხლა, მაშასადამე, მივადექით მთავარ საკითხს: როდის მოიქცა იბერია და როდის შეიქმნა იქ ქრისტიანობა ნებადართულ საღმუნოებად? ამ საკითხის გარკვევისას ჩვენს განკარგულებაში ორი კატეგორიის წყაროებია: ქართული და ბიზანტიური⁴.

ქართული წყაროები შემონახულია „მოქცევად ქართლისად“ ქრისტიანიაში და წმ. ნინოს შატერდულ-ჭელიშურს ცხოვრებაში, რომელიც საბოლოოდ ჩამოყალიბებულია 882-912 წლებში⁵. ისტორიული ლირებულება ამ წყაროებისა მაინცადამაინც დიდი არ არის, ისინი საკუთრივა ლეგენდებით, ანაქრისტიანებით და ერთიმეორის საწინააღმდეგო ფაქტებითა და თქმულებებით⁶. რაც შეხება ბიზანტიურ სპურ სტატის მიმმართული კუთხით საკითხო საკითხო?

¹ ქართლსა=იბერიასა; მატუარე და სახოგადოდ ჩვენამდე შენახული წყრილობით ძველები იმ დროისა არიან, როდესაც ძველი ეთნოგრაფიული გავება დაკარგულებული იყო და იბერიასაც ქართლი ეწოდებოდა პოლიტიკურად.

² ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა, გვ. 43.

³ Ibid. გვ. 73.

⁴ არ ვასახელებთ საგანგებოდ სომხურ წყაროს, რომელიც მოსუ ხორენელის სახელითა შენახული, არც ეთიასურს, კომტურს და არაბულ სეინაქსრებს (O. Lemm, Zur Geschichte der Bekehrung der Iberer zum Christentum, ქვთ. აკადემიუ ჟურნალი 1899, თ. X., № 5, ცр. 416-434), ვინაიდან ეს წყაროები დამყარებულია გელასი—რუფინოზის თქმულებაზე და ადგილობრივის ქართულს კნობებზე.

⁵ ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 569-579.

⁶ ქ. კეკელიძე, იქვე, პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული მაისტრორია მწერლობა, გამ. 2, გვ. 73-91. მისივე „ანდრია მოკიულის და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“, მთა მბე 1900 წ. V-VI.

ცნობებს, მათ პირველწყაროდ ამდეხან მიჩნეული იყო ისტორიული და განვითარებული სიტუაციონზი, რომელმაც 401-402 წლებში გადათარგმნა ლაზების ნურად ევსევი კადესარი ელის „საეკლესიო ისტორია“ და გაგრძელების სახით დაურთო მას ორი წიგნი (X—XI), სადაც, სხვათა ზორის, იმერთა მოქცევის შესახებაცაა ლაპარაკი. მაგრამ 1914 წელს გერმანელმა მეცნიერმა Anton Glas მათ თავის სადოქტორო დისერტაციაში¹ დაამტკიცა, რომ რუფინოზს ეს ორი წიგნიც მორძნეული ენილან უთარგმნია, სახელდობრ, კესარიელი (პალესტინაში) მიტროპოლიტის გელასის თხზულებიდან. გელასი იყო დისტული იერუსალიმის მთავარეპისკოპოზის კირილესი (350—386), რომელსაც ის კესარიის მიტროპოლიტად უკურთხებია 367 წელს, თუმცა, არიანოზთა ინტრიგების გამო, კათედრის დაკავება მას მხოლოდ 381 წელს მოუხერხებია.

გელასის, რომელიც 395 წელს გარდაცვლილა, თავისი ბიძის, კირილე იერუსალიმელის, შეკვეთით, მისსავე სიცოცხლეში, დაუწერია ევსევი კადესარი ელის „საეკლესიო ისტორიის“ გაგრძელება. ეს გაგრძელება უთარგმნია ლათინურად რუფინოზს, ბერძნული ტექსტი მისი, ყოველ შემთხვევაში ის ნაწილი მისი, რომელიც ჩვენს საკითხს ეხება, შემონახულია გელასი კვიზიკელის შრომაში, რომელიც დაწერილია 475 წლის ახლო ხანებში². ამრიგად, კელაფერი ის, რაც რუფინოზს აქვს მოთხოვნილი იმერთა მოქცევის შესახებ, ამოღებულია გელასი კესარიელის თხზულებიდან³: სამწუხაროდ, გელასი კესარიელის შრომა უცვლელად არ შენახულა არც რუფინოზის თარგმანში, არც გელასი კვიზიკელის კომპილაციაში: ისინი ალაზალია ავრცელებს მას, ადგილადგილ სცვლიან, უმატებენ სიტყვებს, წინადადებებს, სახელებს, ცნობებს, რომელნიც ხშირად სიმართლეს არ ეგუებიან⁴. გელასი კესარიელს იმერთა მოქცევის ამბავი გადა-

¹ Die Kirchengeschichte des Gelasios von Kaisareia – die Vorlage für die beiden letzten Bücher der Kirchengesch. Rufins, Leipzig-Berlin, Teubner 1914.

² Gelasii Cyziceni, Historiae Concilii Nicaeni lib. III. (A. M. Ceriani, Monumenta sacra et profana ex codicibus praesertim bibliothecae Ambrosianae, Tom. I, 130 ss. Mediolani 1861). Migne, Patrol. Curs. Comp. s. gr. t. 85. col 1179-1360. Marg. Heinemann, Gelasius' Kirchengeschichte, Leipzig, Hinrichs 1918.

³ იბ. ყაუხი შვილის ბიბლიოგრაფია „ჩვენი მეცნიერება“, № 6—7, 1923 წ. გვ. 96—100.

⁴ A. Glas-ის დასახელებული თხზულება, გვ. 74—75, 77—78. სოკრატე და სოდომენი, როდესაც იმერთა მოქცევის ამბავს გადმოვცემენ, ემყარებიან რუფინოზის თარგმანს, ხოლო თეოდორი ტეოდორ კვირელი — გელასი კესარიელის ბერძნულ ტექსტს.

სცა „ფრიად სარწმუნო ბაჟურიმ, კაცმა ფრიად ღვთისეულებულები მეტის შთამომავალმან და იბერთა შორის სახელმისამართის მიერთება მელიც გახდა რომელთა სატრაპი და აჭარმოვა მის ბარბაროს სარკინოზთა წინააღმდეგ პალესტინის მწვერფალებზე და მათზე ბრწყინვა-ლედ გაიმარჯვა“¹. ამით აისხება, რომ ჩინჩხი ველისი ექსარიე-ლედ კართულ წყაროთა ოქმულებებისა ერთიდაიგივეა²: იბე-ლის და ქართულ წყაროთა ოქმულებების ქადაგებით, 2) ნა-დიორბის დროს მშეს დაპნელების გამო, 3) იმპერატორის კონსტან-ტინეს დროს, 4) რომლისაგანაც მას სამლელოება გამოუთხოვია და მიუღია კიდევაც.

IX

შთავარი საკითხები იძერთა მოქცევის ისტორიიდან შემდეგ გვა: 1) ვინაობა იმ მეფისა, რომელმაც პირველად აღიარა იძერიაში ქრისტიანობა ოფიციალურად; 2) წელიწადი მისი მოქცევისა. სამწუხაროდ, ვერც ჯორული, ვერც ბიზანტიური წყაროები ვერ გვირკვით ჩვენ ამ საკითხებს. ამიტომ მათი გათვალისწინებისათვის უნდა მიემართოთ სხვა გზას და სხვა მოსაზრებებს. მაგრამ, ვიდრე ამ საკითხების გარკვევას შეუდგებოდეთ, უნდა შევჩერდეთ იმ ლოკალიზაციაზე, რომელსაც უკეთებენ ი ბერიას მისი მოქცევის ისტორიუსები. ველასი ქსარიელი ამბობს, რომ იძერები ცხოვრობდენ „პონტის გასწვრივ მდებარე მი-წარყალზე“ (πόρις τῇ κατὰ Πόντον γῇ Ἰβηρε;). რეფინონზის ცნობით „Iberorum gens sub axe Pontico jacet“, ხოლო სოკრატე სქოლისტიკის გადმოცემით იძერები ცხოვრობდენ ევქსინის პონტის ნაპირზე. ამაზე შეჩერება მით უფრო საკიროა, რომ ამ ოცი წლის წინათ პონტი. ნ. შამოიუენა თეორია, უმთავრესად ლინგვისტურ-ტოპონიმარ მიურ მოსაზრებებზე დამყარებული, რომლითაც ის იძერია, რომლის მიურ მოსაზრებებზე დამყარებული, რომლითაც ის იძერია, რომლის

¹ შესაძლოა, ბაკური რუტინოსაც იცნობდა პირადად, ვინაიდნან ისიც მის დროს ქოვერობდა პალესტინაში, და იმერთა მოქედების აპხავი მასაც უამბო.

² ତୁମ୍ଭା ତାଙ୍କେଲାମ୍ଭୁର୍ବ୍ୟୁଳି କ୍ଷାରତୁଳି ଶ୍ରେଣୀଲବ୍ଦିତି ପ୍ରେସନ୍‌ସ ପର୍ଯ୍ୟାପ୍ତି ହେଲା, ରୁମ୍ଭେଲ୍ଲି, ଶୈସାରଳିରୀ, ମାରତିଲାପ ଗର୍ବିଗରିଲ ଏବଂ କଣ୍ଠ ପ୍ରେସନ୍‌ସ ପର୍ଯ୍ୟାପ୍ତି ହେଲା।

ლეთით, დღევანდელი სამეგრელოს საზღვრებში¹. 6. მარტის სეტემბერული პეტრე მაფუმელიც ამ ადგილიდან იყო, ამ ადგილის მკვიდრულების შესახებ პროკოპი კესარიელის „იბერნი, რომელნიც ყველა ერებშე უკით იცავდენ ქრისტიანობას“; ამ ივერთა მონასტერი იყო ის მონასტერი, რომელიც მეექვეს საუკუნეში განაახლა იუსტინიანე დიდმამ (De Aedificiis, V,9). თუ ეს ასეა, გამოდის, რომ ამ შემთხვევაში ლაპარაკია ერთორთ ქართველ ტომშე, რომელიც დასავლეთ-საქართველოში ბინადრობდა, და ომოსავლეთ-საქართველოს მოქცევის შესახებ აღარავითარი ცნობა აღიარ ვკრჩება ხელში. მაგრამ ეს ასე არ არის. 65 წლიდან მოყოლებული ქრისტეს დაბადებამდე კლასიკური მწერლები და გეოგრაფები იბერიას უჩვენებენ აღმოსავლეთ-საქართველოში, კოლხიდასა და აღბანისა შეა, სომხეთის ჩრდილოეთით. ამას მხარს უჭერს იბერია მოქცევის ერთორთი ისტორიული, სახელდობრ სოძომენი, რომელიც ამბობს, რომ „ეს ბარბაროსი ერი სომხეთის ჩრდილოეთით ცხოვრობს“. პროკოპი კესარიელი, თანახმად სტრაბონისა², ონიშნავს, რომ კოხლიდისა და იბერიის საზღვარს შეადგენს ციხე შორაპანი³, მაშასადამე, როგორ შეეძლო გას საკუთხეს ქრისტიანედ მიჩნეული იბერები დღევანდელს სამეგრელოში მოეთავსებია? საქმე შემდეგნაირად უნდა წარმოვიდგინოთ: ჯერ კიდევ სტრაბონი ამბობდა, რომ შავიზლვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიის, მესხეთის, ერთი ნაწილი იბერიის ფარგლებში შეისტო⁴. პროკოპი კესარიელის მოწმობითაც, შავიზლვის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქ. პეტრის ქვემოთ, რომელიც ლაზიეკის სამხრეთ-საზღვრად ითვლებოდა⁵, მდებარეობს მესხეთი, რომელიც იბერიის სამეფოს ეკუთვნის⁶. მაშასადამე, გარკვეულს ხანაში იბერია ჭორობის მიდამიში შავზლვას აწევდა⁷. გელასი კესარიელს, რუფინოს და სოკრატეს, ჩანს, მთლიანი გეოგრაფიული წარმოდგენა არ ჰქონიათ იმ ქვეყნის შესახებ, რომლის მოქცევას მოგვითხრობენ, და იბერიიდ მიულიათ მხოლოდ ერთი ნაწილი მისი, რომელიც

¹ Крещение армян, грузин, абхазов и аланов св. Григорием, стр. 170-174.

² Geographica, lib. XI, c. III, 4.

³ De bello Persico II, 29.

⁴ Geographica, lib. XI, c. II, 18.

⁵ De bello Persico II, 29; De bello Gotthico IV, c. 2, § 21—23.

⁶ De bello Gotthico, IV, c. 2, § 24—26.

⁷ ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრივობის გენეზისის საკითხები ხაისტორიი მოამდევ I, 21, 293.

შავიზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა, სახუროფერო ტორიული მესხთა და მისი მიღამოები. ამით აისწება პეტრი მარტინე თან დაკავშირებული ლოკალიზაცია იძერისა, რომელსაც ჩვენ მათს მოთხოვთაში ვჰქოლობთ.

ამნაირად, მეოთხე საუკუნეში მოქადაგი იბერია არის აღმოსავლეთ-ქართველთა სახელმწიფო და არა დღევანდელი სამეგრელოს ტერიტორია, როგორც ნ. მარრი ფიქრობდა.

X.

იბერთა პირველს ქრისტიან მეფეს ბიზანტიური წყაროები არ ასახელებენ, ალბათ, ბაკურისაც არ დაუსახელებია ის გელასი კესარიელისათვის; სამაგიეროდ, ქართული წყაროების დაეინებითი და კატეგორიული გადმოცემით, რომელსაც მხარს უჭერს მსეს ხორენელიც (II, 86), ეს მეფე იყო მიჰანანი, ან მირიანი. ამაში ბოლოდრომდე არც არავის შექქონდა ეჭვი, ეს ერთგვარი დოლმა იყო არა გარტო ეკლესიისა, არამედ ძველი დროის მწერლებისა და ახალი დროის მკვლევართათვისაც. მხოლოდ 1895 წელს გერმანელმა მეცნიერმა Richard Rabe მდებარეობა ასურული ტექსტი პეტრე მაცემელის ცხოვრებისა¹, სადაც ხაზგასმითაა აღნიშნული, ისიც არა ერთხელ, არამედ რამდენჯერმე, რომ პირველი ქრისტიანი მეფე იბერიისა იყო პეტრეს პაპა (დედის მამა) დოდი ბატუთა, რომელმაც ის ერთ მთაქციან. ამ ახალ ცნობას გამოეხმაურენ ზოგიერთი ისტორიკოსებიც, როგორც მაგალითად, პროფ. ვ. ბოლოტოვი² და ი. ჯავახიშვილი³, დასახელებული წყარო ამ მუხლში ისტორიულ სინამდვილეს არ უნდა შეიცავდეს. წარმოუდგენელი და დაუკარებელია, რომ ქართველებს და ქართულ ექლესიას დავიწყებოდეს ხახელი თავისი პირველი ქრისტიანი მეფისა. შესაძლებელია, როგორც ამას ქვემოთაც დავინახავთ, არცოდნა ამ დავიწყება ამ ამბის თანამედროვე ბიზანტიის ან სხვა რომელიმე

¹ Petrus der Iberer. Ein Characterbild zur Kirchen- und Sittengeschichte des fünften Jahrhunderts, Leipzig 1895.

² Журналы Совета Петерб. Духовной Академии за 1896-7 г. стр. 263—264.

³ ქართველ ერის ისტორია I, 180—181.

* საქართველოს ცენტრალური მუზეუმის მოამბე 1905 წ. III. ვ. 19—37.



უცხო მეფისა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია დავიწყება საკუთრივი უცხო
რი მეფისა. ასეურული ცნობის წარმოშობის ასახსნელად ორჩ სუპერიორი
ძლებლობა არსებობს: 1) ავტორი განვებ აზეიადებს ad majorem gloriam Petri მისი პაპის, ბაჟურის, პიროვნებასა და ღვაწლს; მარლოთაც,
მას არა ჩვეულებრივ ადამიანად გამოჰყავს არა მარტო ბაჟური, არა-
მედ ყველა ნათესავები პეტრესი. საქართვისა აღვნიშნოთ, რომ ყვე-
ლა მისი მახლობელი, ავტორის გადმოცემით, წმინდანები არიან;
წმინდანებად გამოჰყავს მას ბაჟური და მისი მეულლე ღუსტია, მას
ბაჟურისა არჩილი, დედა პეტრესი ბაჟურდუხტია, მისი ბებია (მამის
დედა) ოსდუხტია, მისი აღმშრდელები უცცო და ოწა. ერთი სიტყვით,
ავტორის ტენდენცია პეტრეს მახლობელის დახასიათებისას მქი-
თხელისათვის აშკარაა, მას სურს გააღიდოს ისინი და ხახს უსამს
განსაკუთრებით მათს სარწმუნოებრივ-ეკლესიურ ღვაწლსა და ღირ-
სებას. 2) შესაძლებელია, ავტორი, მეექვსე საუკუნის მწერალი, შე-
ცოომაში შეიყვანა რუფინოზის ფრაზაში: Bacurius, genus ipsius rex,
ანადა სოკრატეს სიტყვებმა: Baculi etiam პირზო, და პირველ ქრისტიან
მეფედ ბაჟური მიიღო მან¹. ამგვარსავე შეცოომაში შეეძლო შევ-

¹ ასეთსავე შეცოომაში შეუყვანია რუფინოზის სიტყვებს კიდაც კარმელიტი
მამა თომა (Thomas de Jesus). თიათინელთა ორდენის წინამძღვანის ცა მ 3 ის,
რომელსაც სამეცნიერებლოში ცა წელი დაუყვა XVII საუკუნეში და თავისი თხზუ-
ლება „სამეცნიეროს აღწერილობა“ გადაუკავშირდა და დაუკავშირდა და ღირ-
სებაში შემოუნახავს ერთი საყურადღებო ციტატა. იძერთა მოქმედების შესახებ,
ამბობს მამა ცა მ 3 ი, მე უფრო დასაბუთებულად მიმაჩინა აზრი კარმელიტის
მამა თომა ცა კ. თომას დაუწერია თხზულება „უკველა ერთა მოქმედებისათვის“; ამ
თხზულების მეოთხე წიგნში, თავი 9, უფრცელი 190, თომა ამბობს, რომ იძერნი
მოაქცია ჭრობი მხევალმა, სახელით ნინომ, რომლის სხეულია, ვითარცა იძერთა
მოკიტეულისა, სადღესასწაულოში დადგებულია 15 დვერებერს. თომას გადმოცემული
აქცია იძერთა მოქმედების შესახებ ნინოს მიერ საერთოდ ის, რაც რუფინოზის, მთ-
ლიოდ ბილის დასახელი: „მეფემ, რომელსაც ბა კურ ი ერქეა, ზუგბარება იმპერა-
ტორ კონსტანტინეს მოკიტეულები და აუწეა მას თავისი მოქმედების ამბავი; იმპე-
რატორს გაზურდა და ერთს დასამოძღრუად გამოუგანა მას მღვდლები და ეკ-
ლესის მსახურნი. რამოდენიმე ხის შემდეგ თვით მეუე წავიდა კონსტანტინოპოლის,
იმპერატორმა დიდი პატივთ მიიღო ის და მინიჭა მას გრაფის ღირსება პარვე-
ლი ხარისხისა, ამასთანავე დანიშნა ის მთავრად პალესტინისა და ღენერლად ორი
კორპუსისა, რომელთაც ერქვათ არყირისა და სკუტარის კორპუსი. ბაჟური იმ-
სხვერპლა ორი თავადის ხრივებმა, რომელთაც ერქვათ რუსტიკი და იოანე და
რომელთაც ბაჟურის გადიდება და ამაღლება შემურდათ. ღმერთმა ეს დაწაშული
დაუსკელად არ დასტოავა: ხაიმერატორ არმია, რომელიც შ0.000 კაცისაგან შეს-
დგებოდა, დაამარცხა სპარსეთის ჯარმა, 3'.000 კაცისაგან შემდგარმა, ხოლო
რუსტიკი და იოანე თავის წარკვეთთ დაისაჯენ“ (Chardin, Voyage en Perse. t. I,
par. 1, pag. 156-159, Amsterdam, 1711).

ვანა ის ანტიოქიის გამოჩენილს იურისტსა და ორტიქუსის მიერჩევა
ნიოსს, რომელთანაც ბაჟურს ნაცნობობა ჰქონია; 391 წელს ბაჟუ-
რი ანტიოქიაში მისულა და ლიბანიოსისათვის გამოუტელავნებია თა-
ვისი განსაჟუროებული პატივისცემა (Libanii Epist. 963, 964). ლიბა-
ნიოსი გადმოვცემს, რომ ბაჟური თავდაპირველად წარმართი იყო
და მეტე გაძრისტიანით (Epist. 980)¹. აქ, რახაციორებულია, არაა
ნათქვამი, რომ ბაჟური პირველი ქრისტიანი მეფე იყო იმერიისა, ეს
მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ბაჟური ქრისტიანობაში არ დაბადებუ-
ლა, ისე, როგორც მირიანი და სხვა წევრი მისი ოჯახისა, მაგრამ
ჰავიოზრაფს შეეძლო გაეცო ეს ცნობა სწორედ ისე, როგორც გა-
გადმოუცია.

ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ პირველ ქრისტიან მეფეს, ბაჟურს,
პეტრეს პაპას, იძულებით თუ ნებაყოფლობით, ტახტი მიუტოვებდა
და ბისანტიაში გადასახლებულა, სადაც მას სამსახურიც მიუღია, სა-
ხელდობრ კეისრის სეფე-ჯარის უფროსობა პალესტინაში. პალესტი-
ნაში ყოფნისას, იერუსალიმში, მას რუფინოზისათვის გადაუკია იმერ-
თა მოქცევის ამბავი, ომებში მონაწილეობა მიუღია და 394 წელს
ევგენიოზ ტირანთან ბრძოლაში მოკლულა².

ყველაფერი ეს სინამდვილეს არ შეესაბამება: ის ბაჟური, რო-
მელმაც რუფინოზი იბერთა მოქცევის ამბავი გადასცა, არ ყოფილა
არც პირველი ქრისტიანი მეფე და არც პეტრე მაცუმელის პაპა.

მართლაც, საქართვისი ზერელედ გადაიკითხოთ რუფინოზის (=გუ-
ლასის) თმულება, რათა დარწმუნდეთ, რომ ბაჟური თავისთვზე კი
არ ლაპარაკობს აქ და საკუთარ თავგადასაგარს კი არ გაღმოვვეუმს,
არამედ მესამე პირზე, ვიღაც სხვა მეფეზე გვესაუბრება. თან, არც
რუფინოზი ამბობს, რომ ეს ამბავი მას თვით ახლად მოქცეულმა პირ-
ველმა მეფემ გადასცა; ბაჟური, მისი თქმით, იყო მხოლოდ gentis ipsi-
us rex, გვლასი კესარიელის ტექსტით კი ის მეფეც არ ყოფილა, არა-
მედ „მეფეთა შთამომავალი“ მხოლოდ³.

ჩვენ გვვინია, რომ რუფინოზ-გელასის მოსაუბრე ბაჟური იყო

¹ Pauly—Wissowa, Real-Encyclopädie der classischen Altertumswissenschaft, II, 2724.—2725.

² იფ. ვ. ბაიიოვ, ჟურნალი სიმარტინის და აკადემიის 1896-7 წ. ეტ. 263-4.

³ A. Glasso ფიქრობს, რომ უკანასკნელი უფრო სწორეა, ვინაიდან ნა-
დვილი მეფე, მისი სიტუაცია, ბისანტიის თა სამსახურში არ შევიდოდა (Die Kirch-
chengeschichte des Gelasios, S. 52). ამ მეფეს ისტორიკოსი Zosimus შეცომით სომხადა სთვლის (ed. Mendelsson IV, 57.,).



მირიან მეფის მემკვიდრე ბაკური¹, რომელიც, მატიანე მეფის მემკვიდრე კიდევ გამეფებამდე იზრდებოდა ბიზანტიაში, როგორც მეფეალი; ხანმოქლე მეფობის შემდგომ, — არაუადრეს 362 და არაუგიანეს 368 წლისა, ის, ჩანს, ისევ ნაცნობ ბიზანტიას შეფარებით. სწორედ ამ ბაკური-სათვის შეეძლოთ ეწოდებინათ როგორც *gentis ipsius rex* (რუფინოზი), ისე აურ თუ მათსაც კენის; (გელასი).

იერუსალიმელი ბაკური, იძერთა მოქცევის მომთხრობი, არ იყო „დიდი ბაკურ მეფე“, პეტრე მახუმელის პაპა. საქმე ისაა, რომ იერუსალიმელი ბაკური, ბიზანტიელი ისტორიუსთა მოწმობით², მოუკლავთ ევგენიოზ ტირანთან ბრძოლაში 394 წელს მდინარე ფრიგი და ს თან, იტალიაში, ქ. აქვილეადან 36 მილის დაშორებით³; პეტრეს პაპა ბაკური კი თითქოს ქრისტიანობისათვის უწამებიათ სპარსეთში. ამის შესახებ ასურული ბიოგრაფია გაღმოგვცემს. შემდეგს: „ბაკურმა, ყველა სათნობასთან ერთად, მოიგო აგრეთვე გვირგვინი აღმსარებლობისა ან, უკეთ რომ ვთქვათ, მოწამეობისა; მას შევიდობიანობის ხელშეკრულება ჰქონდა დადებული სპარსეთის მეფესთან და მის მხედარომთავრადაც ითვლებოდა, ამიტომ ის ერთხელ ოში იყო გაწვეული შაპისაგან. მზის ამოსლევისას მეფე, მხედარომთავარნი და დიდებული ჩამოსტენ ცხენებიდან და დაიწყეს მზის ლოცვა-ვედრება, ბაკური კი ამ დროს განაგრძობდა ცხენზე ჯდომას. ის ამისათვის შეასმინეს შაპის, რომელმაც მას მოუწოდა და ჰკითხა: მართალია ყველაფერი ის, ჩასაც შეწენე ამბობენო?— ბაკურმა კადინერად აღიარა თავისი ქრისტიანობა, რისთვისაც „მეფე აენთო და გაკვირვებული ჩუმად ეკითხებოდა თავისიანებს: ნუ თუ ეს ბაკურია, რა უნდა უყოთ მასო?“⁴ მართალია, მოთხრობა ამაზე წყდება, არ არის ნაჩენები, თუ რა უყვეს მას ამისათვის, მაგრამ ზემომოყვანილი სიტ-

¹ ასე ფიგრობს ს. გორგაძეც. საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი, მთამბე 1905, III, 36.

² Rufinus XI (II) 33; Zosimus IV 57, 58, 5.

³ Pauly-Wissowa, Real-Encyclopädie, VII, I, eol. 104. ფიგრობენ, რომ ცნობა ზოსიმესი, ვითომებ ბაკური აღნიშნულს ბრძოლაში მოკლულიყო; შეკორმა, კინ-იდან რუფინოზთან საუბრის დროს ის კიდევ ცოცხალია (Pauly-Wissowa, Real-Encyclopädie, II, 2724-2725); მაგრამ ეს გაუგებრობაა: ჯერ ერთი—ხავერია, მართლა იცნობდა ბაკური რუფინოზს და მართლა ესაუბრა მას (პირველი წყარო ხიმ გელასია), მეორე—რატომ უნდა ვიფიქროთ, რომ რუფინოზს ის ესაუბრა 394 წლის შემდეგ და არა უფრო ადრე, რუფინოზი იერუსალიმში ხომ 378 წლიდან იმყოფებოდა?

⁴ R. Raabe, Petrus der Iberer, S. 17-18.

უკები „მოიგო გვირგვინი აღმსარებლობისა ან, უკეთ როცი^{ქრისტეფორი} მოწამეობისაო“ გვაფიქრებინებს, რომ ის მართლაც დაუსჭირდა მისი მიზანი

გარდა ამისა საყურადღებოა შემდეგი გარემოება: დიდი ბაკურის შემდეგ, პეტრეს ასურული ცხოვრებით, იბერიის ტახტი დაუკავებია, თანახმად იქ მიღებული მემკედრეობითი წესისა, მის მოხუცებულ ძმის არჩილს². მართალია, IV-V საუკუნეების მეოთხა ქრისტოლოგია ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჯერ-ჯერობით ზედმიშვნით გარევეული არაა, მაგრამ სომხურ სისტემით თხზულებათა დახმარებით მიახლოვებით მაინც შეგვიძლია, ყოველ შემთხვევაში, ბაკურისა და არჩილის ეპოქა გავითვალისწინოთ. მესროპის ბიოგრაფი კორიუნი გადმოვცემს: „მესროპი, სომხური ანბანის გამოყენების შემდეგ, გაემგზაურა იბერიაში, წარუდგა ამ ქვეყნის შეფეხს ბაკურს და ეპისკოპოზს შოსეს და მათი თანხმობით ქართველებს შეუქმნა ანბანი“; ამავე ცნობას იმეორებს მთავრენელიც, რომლის გადმოცემით ეს ამბავი მოხდა მას შემდეგ, რაც არ კადა კოსტარი გარდაიცვალა და ბიზანტიის ტახტზე ავიდა მისი შეიღილი თეოდორის მცირე (III,54), ეს იგი 408 წლის შემდეგ. გავიდა ამის შემდეგ კარგა ხანი და მესროპი, გუგარქის ბდებების არშუშას მიპატიურებით, მიღის სამისიონერო მიზნით ტაშირს; ამ დროს იბერიაში მეფობდა ვინძე არჩილიონი (III,60). როგორც არ უნდა შეეხედოთ ჩვენ ამ ცნობას, მივაკუთნებთ მას მართლა კორიუნს, თუ ვინმე ყალბისჩამდებელს, ყოველ შემთხვევაში მეექვსე საუკუნის გასულს სრ სომხურს მწერლობაში უკვე არსებობს (აბრაამ კათოლიკოზის წერილი 607 წლისა); მაშასადამე, ის ფაქტი, რომ იბერიაში მეფეთ საუკუნის პირველს მეოთხედში ცნობილი იყვნენ ბაკური და არჩილ მეფეები, დამოწმებულია ასურული (პეტრეს ცხოვრება) და სომხური (კორიუნი და მოსე ხორენელი) წყაროებით. სომხური

¹ Ibid. S. 15, 18. საყურადღებოა პეტრეს ასურული ცხოვრების დაუკირბითი ჩვენება, რომ, როგოსაც მეფედ იყო ჯერ ბაკური და მის შემდეგ მისი ძმა არჩილი, ამავე დროს მეფედ იყო ავრამეთვე პეტრეს მამა ბოსმარიოს (Rabat e, S. 15,18); ნუ თუ ერთსადამაცე დროს ორი მეფე იყო იბერიაში? აქ, უპირობია, ჩვენ გვატვს გამოძახილი ის ფაქტისა. რაც 368 წელს მოხდა იბერიაში: რომაელებმა და საარსელებმა ამ წელს იბერია ორად გაყველ, ერთს ნაწილში კამეუფეს საურმავი, მეორეში ასაგური (Ammianus's Marcellinus, Rer. gest. lib. XXVII,12,21). ორმეტობა იბერიაში მეფეთ საუკუნის პირველს მეოთხედშიაც არ მოსპობილა: ბაკური და არჩილი ყოფილან იბერიის ერთი ნაწილის (ალადად საარსელის) მეფეები, ბოსმარიოსი კი მეორესი (რომაულის). ამ ორ სამეფო ოჯახს შორის ნათესაური კავშირიც ყოფილა, ყოველ შემთხვევაში ქალის გათხვების სახით.

წყაროებიდანა ჩანს, რომ ბაკურ მეფე ცოცხალია 408 წლის გვიათ რომ თქვათ, სომხერი ანბანის გამოგონების შემდეგი კულტურული ადგილი ჰქონდა ორაუდორეს 412 წლისა¹. ეს კიდევ ცოტაა: როვორც დავინახეთ, არჩილი გამეფებულა დაახლოებით იმ ხანებში, როდესაც მესროპი ტაშირს მისულა, ეს კი, მოსე ხორენელის ქრონიკით, მომხდარა 424, წლის ახლო ხანებში². გამოდის, რომ ჯიდ ბაკურ მეფეს თავის ძის არჩილისათვის ტახტი გაუთავისუფლებია 424 წლის ახლო ხანებში; განა წარმოსადგენი და დასაჯერებელია, რომ კაცი, რომელიც მეფედ იჯდა კონსტანტინე დიდის დროს, ვაზისადამე შეოთხე საუკუნის ოც-ოცდაათიან წლებში, 424 წლის ახლო ხანებშიაც კიდევ ცოცხალი და მეფედ ყოფილოყოს?³ აი ამიტომ ვამბობთ, რომ პეტრე მაჭუმელის პაპა, „დიდი ბაკურ მეფე“, ამ შეიძლება ყოფილიყო პირველი ქრისტიანი მეფე იბერიისა. ასე რომ ტრადიციული ქართულ-სომხური რწმენა ურყევი რჩება: პირველი ქრისტიანი მეფე, რომლის დროსაც იბერიამ ქრისტიანობა მიიღო, არას მირიანი.

XI

რომელს წელს მოხდა მირიანისა და იბერთა მოქცევა? ამ საკითხე პასუხის გაცემა არც ისე ადვილია; არამც თუ წელიწადი მირიანის მოქცევისა, ჩვენ ისიც კი არ ვიცით ეპემიუტანლად, როგორც მეფობდა ის. ვასუშტის ქრონიკით მირიანი მეფობდა 265-342 წლებში⁴, ს. გორგაძის გამოანგარიშებით 300-362 წლებში⁵; პროფ. ივ. ჯავახიშვილი ამმიანე მარცელინისა და პეტრე მაჭუმელის ასურულ ცხოვრების ცნობათა მიხედვით იმის

¹ გალუსტ ტერ-მკრტიჩიანი, განხეთი ორი ზონი 1913 წ. №-№—121—122.

² როდესაც გარდაიცვალა სპარსეთის მეფე იქნდიგერ I, ესე იგი 420 წელს, მოუკლავთ სომხეთის მეფე შაფუხი, ამის შემდეგ სამი წლის განმავლობაში სომხეთში აღრეულება და უწესოება სუფედა (III, 56), ამიტომ მეოთხე წელს (424) სპარსეთის მეფემ ბაპრამ V სომხებს მეფედ მისცა არტაშერი; სწორედ ამავე ხანებში მესროპი წასულა ტაშირს (III, 60) და გაუგია, რომ იბერიაში არჩილი მეფობდა.

³ ანადა დასაჯერებელია განა, რომ ეს ბაკური მეოთხე საუკუნის ოთხმოცან წლებში კიდევ ყოფილიყო *virtute animi et corporis insignum*, როგორც რუფინიანი ამბობ (II, 33)?

⁴ დიმიტრი ბაკრაძის ვამოცემა გვ. 54—76.

⁵ საქართველოს ეკლესია და მისი დასაწყისი, მოამბე 1905, III, 23—25, 31—33. მისი კე—წერილები საქართველოს ისტორიიდან II, 63—67.

შეფობას სდებს არაუადრეს 337 წლისა და არაუგვიანეს 343 წლისა და მირიანს, resp. მიპრანს. ასახელებს მოსე ხორენელიც მატერიალური რაოში; მისი თქმით, ის ყოფილა ერთერთი მხედართმთავარი თრდა-ტისა (III, 85), დამტკიცებული ამ თანამდებობაზე 344 წელს ანტი-ოქტავი მაერ, როდესაც მან ტახტზე აიყვანა თრდატის შვილი ქასრე, (III, 6), და ვარდაცვლილი ქასრეს სიკვდილამდე († 353, III, 10), რჩდილოვეთის ხალხთა თავედასხმისას, 350 წლის ახლო ხანებში (III, 9). როგორც ვხედავთ, მირიანის ქრონოლოგია ჯერ კიდევ გარევეული არაა, ამიტომ ჩვენ არ შევვიძლია ვთქვათ, როდის დაიწყო მან მეფობა; ერთი კი ცხადია და უცილობელი, რომ 361 წელს ის კიდევ ცოცხალი იყო და ტახტზე იჯდა: ამითან მარცელინის გადმოცემით 361 წელს რომაელებს, მირიანის (Meribanes)გულის მოსაგებად, მისთვის საჩუქრები გაუგზავნიათ².

რაღაცანაც, როგორც დავინახეთ, მირიანის მეფობას 265—361 წლებში სდებენ, ცხადია, ამ ფარგლებში უნდა მოიძებნოს მისი მოქცევის წელიც.

მართლაც, სხვადასხვა მკვლევარნი სხვადასხვა წელს უჩვენებენ ამ შემთხვევაში: დაუბუა 276 წ., ვახუშტი და დ. ბაქრაძე 317 წ., პ. იოსელიანი 318 წ., თ. ეროდანია 323-5 წლ., მ. ჯანაშვილი და ს. გორგაძე 323 წ., ა. ნატროშვილი 326 წ., ბარონიუსი 327 წ., გ. ბროსე 328 წ., ა. ხახანაშვილი 332 წ., ე. თაყაიშვილი 332-3 წ., კ. ცინცაძე 335 წ., პროფ. ივ. ჯავახიშვილი 337 წლის ახლო ხანებს³.

პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ შემდეგი: ქართული და ბიჭანტიური (გელასი, რუფინოზი და მათზე დამოკიდებული სხვა ის-ტორიკოსები) წყაროები ერთხმის მოწმობენ, რომ მირიანის მოქცევის წელს ბიზანტიის იმპერატორად იყო კონსტანტინე დიდი, რომლის სამეფო ტახტი უკვე ქ. კონსტანტინოპოლიში (Կოსτავასიუს-პალე—გელასი კესარიელით) იყო (მოციქულებს იძერები კონსტანტინოპოლის ჰეზავნიან და იქიდანვე იღებენ სამლენელოებას); კონსტანტინოპოლი სატახტო ქალაქად და ოდინისტროტიულ ცენტრად გამო-

¹ ქართველ ერის ისტორია I, 180—181; კონსტანტინე დიდის მეფობისას, 323—337 წლებში, მას იბერიის შეფერდ მიაწია ბაკური, რომელსაც ის პირველ ქრისტიან მეფედა სთვლის.

² Rerum gestarum libri qui supersunt, lib. XXI, c. 6, § 7.

³ ამის შესახებ ის. ს. გორგაძე, საქართველოს ვკლესია და მისი დასაწყისი, მოა. ა. ბ. 1905, IV, 1—24, მისივე—წერილები საქართველოს ისტორიაზე II, 78.

ცხადდა მას შემდეგ, რაც ის აკურთხეს, ესე ივე 330 წლის უძველეს და უძველეს სიღან¹, ასე რომ არცერთი იმ თარიღობაგანი, რომელიც 330 წლის და უჩვენებენ მირიანის მოქავევას, მისალები არაა², მაგრამ არც სხვა, 330 წლის შემდეგი, თარიღებია მისალები, ესე ივე, სხვანაირად რომ ვთქვათ, კონსტანტინე დიდის მეფობაში მირიანის მოქცევას ვერ დავსდებთ. ეხლა კი უძნელესს და ურთულესს პრობლემას მივადეჭით; ძნელია, გულახდილად ვიტყვით, უარყოფა საუკუნეთა განმაელობაში განმტკიცებულის ქართულ-ბიზანტიური ტრადიციისა, რომ იბერ-ნი კონსტანტინე დიდის მეფობაში მოიქცენ, ძნელია მით უმეტეს, რომ ეს დადასტურებულია კონსტანტინეს ეპოქასთან ახლო მდგომის ისტორიულების, გელასი კესარიელის და რუფინოზის, თხზულებებში; არას ვამბობთ გელასი კვიზიკელის შესახებ (მას, როგორც ვთქვით, შემოუნახავს გელასი კესარიელის ბერძნული ტექსტი თავის კომპილა-ციაში), რომელიც იმასაც კი აღნიშნავს, რომ ბიზანტიის ეპისკოპო-ზი, რომელმაც აკურთხა პირველი ეპისკოპოზი იბერიისა და სამლე-დელოება გაუგზავნა ახლადმოქცეულ ქვეყანას, იყო ალექსანდრე, თანამედროვე სწორედ კონსტანტინე დიდისა (325-340 წლებში). მაგრამ ტრადიციას, თუნდაც განმტკიცებულს და შემდეგიდროის შეკრისა მიერ დადასტურებულს, ჩვენ კეშმარიტებად ვერ მივი-ღებთ, თუ მას მხარს არ უჭერს თანამედროვე ისტორიული, რომე-ლიც მას აუცილებლივ უნდა შეხებოდა.

მართლაც, ვის არ გაუგონია ისეთი ღირსშესანიშნავი ისტორი-კოსი, როგორიც იყო ევსევი კესარიელი († 340 წ.), რო-მელმაც სამართლიანად დაიმსახურა სახელწოდება „საეკლესიო ის-ტორიის მამათმთავრისა“? ევსევი დიდად განათლებული კაცი იყო, თანამედროვე და პირადი, მახლობელი მეგობარი კონსტანტინე დი-დისა, იმდენად დაახლოვებული მასთან, რომ იცოდა ყველა ინტი-მური მხარეები მისი ცხოვრებისა: მთავარ წყაროდ კონსტანტინე დი-დის ცხოვრებისა და მოლვაწეობისა, განსაკუთრებით საეკლესიო-რე-ლიგიურ სფეროში, ითვლება ევსევის შემდეგი შრომები: 1) „საეკ-ლესიო ისტორია“, რომელიც დამთავრებულია 324 წლის დამლევს და 325 წლის დამდეგს; 2) „სიტყვა კონსტანტინეს მეფობის 30

¹ Проф. А. А. Васильев, Лекции по истории Византии I, 60, Петербург 1917.

² მით უმეტეს მიუღებელია 323 წლამდე დათარიღება ამ ტაქტისა, კინა-და 323 წლამდე კონსტანტინე იმპერიის დასავლეთ-ნაწილის გამგე იყო, ამი-ტო? მას აღმოსავლეთიდან ვერ მიმართავდენ.



წლის თავზე", წარმოთქმული 335 წელს, და 3) „ცხოვრები კურტინები ერებუა ტინესი“ (Vita Constantini), რომელიც ოთხი წიგნისაგან შესდგება და დაწერილია კონსტანტინეს გარდაცვალების მეორე (338) წელს. Vita Constantini არის არა ჰავიოგრაფიული, არამედ წმიდა ისტორიული ხასიათის შრომა, რომელშიაც არაა დავიწყებული არც ერთი ნაბიჯი კონსტანტინესი, არც ერთი ფაქტი მისი, ვანსაკუთრებით, სარწმუნოებრივი საქმიანობისა. ავტორის მთავარი მიზანია დაგვანახოს, რა გააკეთა კონსტანტინემ ქრისტიანობის გასაბატონებლად, ვასამტკიცებლად და ვასაერცელებლად. ის დაწვრილებით აგვიწერს, როგორ უწყობდა კონსტანტინე ხელს ქრისტიანობის ძლევა-მოსილ მსლეველობას როგორც მეტროპოლიაში, ისე მის მახლობელსა და შორეულს პროენციებში, მაგალითად: სირიაში, პალესტინაში, ფინიკიაში, ეგვიპტეში და სხვ. (III, 58, IV, 38, 39), როგორ ზრუნავდა ის მისი, ქრისტიანობის, დამყარებისა და განმტკიცებისათვის აგრეთვე სხვადასხვა „ბარბაროსთა“ შორისაც, ვანსაკუთრებით სპარსეთში, რომლის მეფეს საპორს ის საგანგებო წერილებსაც კი სწერდა ამ მიზნით (IV, 8, 9) და რომლის ეპისკოპოზეს ის იერუსალიმის ტაძრის კურთხევაზედაც კი იწვევდა (IV, 43). ამავე დროს ევსევი კრისტიანაც არა სხმავს ქართველების შეხებ. ის ერთი სიტყვითაც არ იხსნიებს ისეთის საყურადღებო ფაქტს, როგორიც უნდა ყოფილიყო იბერთა მოქცევა. ვასაგებია, როდესაც მის შესახებ ის არას ამბობს „საეკლესიო ისტორიაში“: ჯერ ერთი, ის მოყვანილია 312 წლამდე და დამთავრებულია 324—325 წლებში, როდესაც იბერია ჯერ კიდევ მოქცეული არ იყო, მეორე ამ თხოულებაში ის ეხება ქრისტიანობის ისტორიის უმთავრესად იმპერიის სახლერებში. ვასაგებია აგრეთვე ისიც, რომ ამის შესახებ ის არას ამბობს არც საეჭილეო „სიტყვაში“, ეს უკანასკნელი უმთავრესად რიტორიკა-პანეგირიკია და ფაქტიურ მასალას იმდენად არ შეიცავს. — მაგრამ სიჩქმე მისი „კონსტანტინეს ცხოვრებაში“ მნიშვნელოვანია. იქნება მან არ იცოდა იბერია და არც მისი მოქცევის შესახებ გაუგონია რა? იბერებს, როგორც ერს, ევსევი კარგად იცნობს¹, დაუჯერებელია, მას არ სკოდნოდა ფაქტი მათი გაქრისტიანებისა: ადამიანმა, რომელსაც კონსტანტინე, წარმოიდგინეთ, თავის სიზმრებსაც კი უყვებოდა, რომელსაც ისიც კი არ გამოპარვია, თუ როგორ იღებდა იმპერიატორი „ბარბაროსების“ მიერ გამოგზავნილ მოციქულებსა

¹ Προπαχεια. Εισαγγελ. IX, 41.; Chronica, edit. A. Schoene I, 186, II, 163.

და საჩუქრებს (IV, 7), ამ იცოდა ისეთი ლირსშესანიშნავე ჭუჭულება როგორიც იყო მთელი ქვეყნის გაქრისტიანება კონსტანტინებმა პატიოფიცია რი მონაწილეობით, კონსტანტინესთან ამის გამო მოციქულების მოსლება ახლადმოქცეული ქვეყნიდან და მის მიერ იქ სამღვდელოების გაგზავნა?! ეს შეუძლებელია! მართალია, silentium ყოველთვის არ არის argumentum, მაგრამ ამ შემთხვევაში ამას ვერ ვიტყვით: ისტორიულს საგანგებო მიზნად დაუსახავს ავეიშეროს, თუ როგორ ავრცელებდა კონსტანტინე ქრისტიანობას მთელს მსოფლიოში, ამაზე აშენებს და ამ-ყარებს ის სიღიადეს მისი ლვაწლისა და პიროვნებისას, ამისთვის ზოგიერთს რასმეში აჭარბებს კიდევაც¹, და ამავე დროს სდუმს მისი მონაწილეობით ისეთი ქვეყნის მოქცევაზე, რომელსაც უდიდესი მნი-შენელობა ჰქონდა მის აღმოსავლეურს პოლიტიკაში. ეს სულ სხვა რა-მეს ნიშნავს, სახელდობრ იმას, რომ კონსტანტინეს დროს არ მომხ-დარა იბერთა და მათი მეფის მოქცევა. შეიძლება ამით აიხსნებო-დეს ის მოვლენა, რომ აღმოსავლეთ-საქართველოში ჩვენ ვერ ვპატუ-ლობთ კონსტანტინე დიდის საგანგებო ფურცს. წარმოიდგინეთ— ისეთსაც კი, როგორიც არის დასავლეთ-საქართველოში, სადაც ექ-ლესიებში ხშირად შეხვდებით კონსტანტინესა და ელენეს გამოხატუ-ლებას². ერთი სიტყვით, კონსტანტინე დიდის მეფობაში იბერია არ მოქცეულა, მაგ როდის მოიქცა ის?

აქ საჭიროა მოვახდინოთ ანალიზი ერთი ისტორიული ფაქტისა, რომელიც გაგვირკვევს არამცთუ ეპოქას, არამედ წელიწადსაც იბე-რიის მოქცევისას; ჩვენ ვპატულისხმობთ ეთიოპიელთა ან ჰაბაშ-თა ან, როგორც ძევლს ძევლებშია, „უშინაგანებსთა პინდოთა“ (India ulterior)³ მოქცევას. ეს საკითხი უკანასკნელ დრომდე უფრო მეტი სიბრძლით იყო მოცული, ვიდრე იბერიის მოქცევა. ეთიომიცილ-

¹ მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ცნობილმა მომზენმა თითქოს სა-ბოლოოო რეაბილიტაცია უყო ამ თხშელებას, არ შეიძლება იმისი უარყოფა, რომ Vita Constantini i-ში ადგილი აქვს ტენდენციას, რომელიც გამოხატება სურვილში განდიდებულ იქმნეს კონსტანტინეს ლვაწლი ქრისტიანობის სუვერობი; მაგრამ ეს ტენდენცია ოდნავადაც არ უკარგავს ამ თხშელებას მნიშვნელობას ჩვე-ნი საკითხისათვის: ადამიანი, რომელიც ხელმძღვანელობდა ასეთი ტენდენციით, თუ პირდაპირ არ მოიგონებდა და არ შესთხავდა საჭირო ფაქტებს, ყოველ შემ-თხვევაში ნამდვილ ფაქტს არ დამალავდა.

² Myravzev, Грузия и Армения II, 270. უკანასკნელი მაჩვენებელია და-სავლეთ-საქართველოს ქრისტიანობის საბერძნებიდან წარმომდინარეობისა და იქ ბერძნული ქრისტიანული ტრადიციების დიდინის განვალობაში ბატონობისა.

³ ხრონიკაფი გიორგი მონაშონისა, ს. ყაუბჩიშვილის გამოცემა, გვ. 262.



თა მოქცევის პირველწყაროდ, როგორც იბერთა მოქცევის უზრუნველყოფა ლებიდა იგივე რუფინოზი, რომელიც თავისი „ისტორიის“ შემთხვევის უზრუნველყოფა გადმოვცემს ეთიობის მოქცევის ამ-ბაეს, ხოლო მეთერტმეტე თავში იბერიის მოქცევისას. მაგრამ, რო-გორც A. Giasma დაამტკიცა¹, იქაც პირველწყაროდ იგივე გე-ლასი კესარიელი უნდა ჩაითვალოს, რუფინოზს მხოლოდ უთარ-ვმნია მისი მოთხოვნა ლათინურად. ჩონჩხი ამ მოთხოვნისა ასეთია:

ქ. ტვირთისის ერთერთ ფილოსოფოსს, მეროპას, გამოქანი-ლის მოგზაურის მიტროდორეს მიბაძვით, დაუწყია მგზავრობა და თან წაუყვანია ორი თავისი პატარა ძმისშვილი: ედესი და ფრუმე-ნტი. მოგზაურები გადმოვიდენ ეთიობის ტერიტორიასზე, აქ მათ თავს დაესხნ ადგილობრივი მცხოვრებნი, მეროპი მოკლეს, ხოლო ბავშვები მიპერარეს თავიანთ მეფეს. ფრუმენტი შეიქნა უსაყვარელე-სი მონა მეფისა და იმდენად დაიმსახურა მისი ნდობა, რომ ბოლოს მინისტრობაც კი მიიღო. მეფის გარდაცვალების შემდეგ ქვრივმა დედოფალმა მას ჩააბარა, ტახტის მემკვიდრის მცირეწლოვანობის გა-მო, სახელმწიფოს მართვა-გამგებლობა. როდესაც მეფე სრულწლოვანი შეიქნა, ედესიმ და ფრუმენტიმ გამოითხოვეს ნებართვა სამშობლოში დაბრუნებისა, ედესი მართლაც წავიდა ქ. ტვირთისში, სადაც მღვდლო-ბის პატივი მიიღო (მას გადაუცია გელასისათვის ეს ამბავი), ხოლო ფრუმენტი გაემგზავრა ქ. ალექსანდრიაში, სადაც ისიციყო (upper) ეპისკოპოსად დაედგინათ ა თანასე დიდი, რომელსაც მან აუწყა, რომ ეთიობიერები მომზადებული არიან ქრისტიანობის მისაღებად, საჭირო მხოლოდ სამღვდელოება იქნეს გაგზავნილი; ათანასემ ეპის-კოპოსად აკრტხა თვით ფრუმენტი. რომელმაც მართლაც მონათლა ეთიობიერები.

ეთიობიაში განმტკიცებულა ტრადიცია, ხოლო სამეცნიერო ლი-ტერატურაში რწმენა, რომ ეთიობის მოქცევა კონსტანტინე დიდის დროს მოხდა, თუმცა უკანასკნელის სახელი ამ ისტორიაში ერთხე-ლაც არა მოხსენებული. ეს ტრადიციული რწმენა შეარყია ნიკიერ-მა რესან ისტორიოსმა, პროფ. ვ. ბოლოტოვმა. რომელმაც დაამტკიცა, რომ ეთიობის მოქცევას კონსტანტინეს შემდეგ ჰქონდა ადგილი². პიერონიმეს „ქრონიკის“ დახმარებით პროფ. ბო-ლოტოვმა გაარკვია, რომ მიტროდორეს მოგზაურობას, რომელიც მისაბაძი გახდა მერე მეროპისათვის და რომელმაც თავისი შედეგი-

¹ Die Kirchengeschichte des Gelasios von Kaisareia.

² Акции по истории древней церкви II, 265—277.

ბით გამოიწვია ბიზანტიის ეპისკოպისა და სპარსელების ომი 338 წელი უფრო უფრო უძველესი და 334 წლის ახლო ხანებში: მაშასადამშე მშენებელი პიც შხოლოდ ამ ხანებში გაეგზავრებოდა თავისი ძმის შეიღებით. აქედან ცხადია, რომ ეთომპილები კონსტანტინე დიდის დროს უკა მოიქცეოდენ. ეს კი ჩვენი საეკისაობისათვისაც მეტად მნიშვნელოვანია. გალასი კესარიელი და რუფინოზი იბერიის მოქცევას ქრისტიანულ უკავშირებენ ეთომპილების მოქცევას: ისინი ჯერ მოვათხოვენ ეთომპილების მოქცევას და მას თან მიაყოლებენ იბერიის მოქცევის ამბავს შემდეგი სიტყვებით: *κατὰ δὲ τὸν αὐτὸν γράμμαν per idem tempus, ἡπεὶ οὐδὲν εἴη περιέχει τοῦτον τὸν αὐτὸν γράμμαν*¹. აქედან ცხადია, თუ ეთომპია არ მოქცეულა კონსტანტინეს დროს, არც იბერიი უნდა მოქცეულიყოს მის დროს. როდის მოიქცა ეთომპია?

როდესაც ფრუმენტი ეთომპილების მეფეს მიჰვარეს, 334 წლის ახლო ხანებში, მაშინ ის 15-მდე წლის ბავშვი იყო², ეთომპილები ის უნდა დარჩენილიყოს არანაელებ 20 წლისა, ვინაიდან ეპისკოპოსად კურთხევისათვის საჭირო იყო, საეკლესიო კანონებით, 35 წლის ჰასკი. მაშასადამე, ის ათანასესაგან ხელდასხმას მიიღებდა არაუადრეს 355 წლისა. კონსტანტი იმპერატორის დროს.

მართლაც, 357 წლის 24 თებერვლის ახლოხანებში კონსტანტი იმპერატორი სწერს, როგორც ათანასეს აპოლონიიდან ჩანს, ეთომპილების „*τίτλοις καὶ στάσισις*“: „ფრუმენტი ეპისკოპოსი, რაც შეიძლება, ჩქარა გამოუგზავნეთ ეგვიპტეში ალექსანდრიის ეპისკოპოზეს გოორგის, რომელსაც აქვს უფლება ხელდასხმისა. და საღვთისმეტყველო საკითხების გადაჭრისა. თქვენ იცით. რომ ფრუმენტი ეპისკოპოსად ნაკურთხია ათანასეს მიერ, რომელსაც ბრალი მიუძღვის უამრავ ბოროტმოქმედებაში, ის ეხლა უგზო-უკვლებდ დაწანწალობს და სადღაც იმალება: გაფრთხილდით, რომ ის არ შემოიპაროს თქვენს ქვეყანაში და მანდაც არ ასტეხოს აყალ-მაყალი“. ეს წერილი გამოწვეული იყო იმით, რომ ათანასეს და კონსტანტი კეისარს შორის შტრული განწყობილება

¹ საყურადღებოა, რომ ამ თარიღის თითქოს „მოქცევად ქართლისად“-ს აცტორიც აკავშირებს, როდესაც ქართველთა მოქცევის „ამბავს წინ უმძღვარებს ცნობას მის შესახებ, რომ „ქრისტიანენი იგი პრომინ და ყველი ჰინდ და ბალთა ჯურისამთა სილვეტ მრრებსათ“ (E. Т а к а й შ в и լ и, Описаниe II, 710).

² В. Б о л о т о в, ibid.



საქართველო

ჩამოვარდა საოწმუნოებრივ ნიადაგზე: კონსტანტი იყო აღმაშენებელი მომხრე, რომელთაც თავგამოდებით ებრძოდა ათანასე დიდი. 353 წლის მაისიდან კონსტანტი უკვე აღარ მალევდა თავის უქმდულებებს ათანასესადმი, ხოლო 355 წლის სექტემბერში მან აღექსანდრიაში გაგზავნა ნოტარი დიოგენი მის შესაპყრობად, მაგრამ მას ხალხმა წინააღმდევებობა გაუწია და უკან გააძრნა. 356 წლის თებერვლამდე ათანასე კიდევ აღექსანდრიაში იყო, მერე კი იძულებული შეიქნა არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყო და ეგვიპტის სხვადასხვა მივარდნილ კუთხებში და მონასტრებში იმალებოდა. აი სწორედ ამ დროს, ესე იგი 355 წლის სექტემბრიდან 356 წლის თებერვლამდე, როდესაც მას კონსტანტი აღექსანდრიის ეპისკოპოსად აღარ სთვლიდა უკვე, უნდა ეკურთხებითს ათანასეს ფრუმენტი ეთიოპიის ეპისკოპოსად. ამით აიხსნება, რომ კონსტანტი თავის წერილში არ სცნობს ათანასეს მიერ შესრულებულს ქიროტონიას: გიორგის, აღექსანდრიის ახალ ეპისკოპოზეს, გამოუგზავნეთ ფრუმენტი, მხოლოდ მას აქეს უფლება ხელდასხმისათ. სწერს ის მეფეებს. გაფრთხილებაც მისი სწორედ იმ მოსაზრებითაა ნაკარნახევი. რომ ათანასეს შეეძლო თავი შეეფარებინა ფრუმენტი ეპისკოპოზთან ეთიოპიაში, როგორც მის მიერ ხელდასხმულთან.

ამნაირად, პროფ. ვ. ბოლოტოვმა თითქმის მათემატიკურად დაამტკიცა, რომ ფრუმენტის ეპისკოპოსად კურთხევა მოხდა 355 წლის სექტემბრიდან 356 წლის თებერვლამდე; მას მხოლოდ აწყებდა რუფინოზის ცნობა, რომ, როდესაც ფრუმენტი ათანასესთან მოვიდა აღექსანდრიაში, უკანასკნელი იმხანად, ისიცი კო (puper) დაედგინათ აღექსანდრიის ეპისკოპოსადო, ეს კი ჰელისხმობდა 328 წ. 8 ივნისის ახლო ხანებს. შეგრამ ბოლოტოვის გარდაცვალების შემდეგ გამომულავნდა A. Gia sois შრომიდან, რომ ეს სავალოვო puper რუფინოზს ჩაუმატებია თავის თარგმანში, ის არ ყოფილა მის დედანში, გელასი კესარიელის ტექსტში, რასაც ამტკიცებს ველასი კვიზიკელის კომპილაცია და თეოდორიტე კვირელის „ისტორია“. რომელიც აგრეთვე პირდაპირ გელასი კესარიელის შრომაზეა დაცყარებული. პირველი ამბობს: ასτა კუპ უკ თოთ თეს ჰესის ჰეკლერათურ აკავე/ლო თას ისაკაც, ხოლო მეორე: ‚A მუკავა ის ბე თეს აკანთა თეს ჰეკლერაც ჰესის კავე/ს თას ისაკაც¹. ამნაირად, თუ ეთიოპია და იბერია ერთსადამიანი დორს მოიკცენ, ეთიოპიის მოქცევის კი ადგილი ჰქონდა 355-356 წლებში, ამავე წლებში უნდა მოქცეულიყო იბერიაც.

¹ Die Kirchengeschichte des Gelasios von Kaisareia... S. 17 Anm. 2.




ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი, აღბათ, ითმის შემთხვევაში გრაფიული ქართლის, ან გოგარენე-გუგარქის, საბოლოოდ შემორჩებამ. თუ სპორადიულად და კანტიკუნტად გუგარქიდან ქრისტიანობა მანამდისაც შემოდიოდა იბერიაში, 349 წლიდან, როდესაც მას შეუერთდა ეს ვევბერთელა მხარე, რომელსაც, მეტი თუ არა, 50 წლის ქრისტიანული ისტორია ჰქონდა, იბერიის ქრისტიანიზაცია ლოდიკური აუცილებლობით უნდა მომხდარიყო: დრომომუშლსა და გამოფიტულ წარმართობას ამ „ბარბაროსული“ ქვეყნისას აღარ შეეძლო მეტოქეობა გაეწია ნორჩისა და მძლავრი ქრისტიანული კულტურისათვის, ამიტომ 355-356 წლებში მან საბოლოოდ დაუთმო ადგილუკანასკნელს.

XIII

როდესაც ამას ვამბობთ, ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთს ფაქტს, რომელსაც თავისთავეად, განცალკევებით, გარდამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ, სხვა მოსაზრებებთან ერთად, საკმაო საბუთიანობას აძლევს იბერიის მოქცევის დათარიღებას 355-6 წლებით. საჭმე ისაა, რომ, როგორც გელასი კესარიელი, როგორინზე და სხვა ბიზანტიელი ისტორიკოსები, ისე მოსე ხორენელი და ოდგილობრივი ქართული წყაროები, ერთხმივ გადმოვცემენ, რომ იბერთა მეფის მოქცევის უახლოესი საბაბი იყო მზის დაბნელება ნალირობის დროს მცხეთა-კასპის რაიონში, „თხოოთის“ მთაზე. ცხადია, იმ ადამიანზე, რომლის გული უკვე განმზადებული იყო ახალი მოძღვრების მისაღებად, ისეთს ბუნებრივს მოვლენას, როგორიცაა მზის დაბნელება, შეეძლო არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოეხდინა და მის თვალში ბუნებრივობის ხასიათი დაეკარგა. მაგრამ საკითხავია, მართლა ჰქონდა ამ შემთხვევაში მზის დაბნელებას ადგილი?

ასტრონომიული ქრისტოლოგია, რომლის საგანია მზისა და მოვარის დაბნელების გამოანგარიშება, დადებითს პასუხს გვაძლევს ამაზე. O p p o l z e r i s შესანიშნავი „ქანონებიდან“ ვტყობილობთ, რომ მეოთხე საუკუნეში რამდენჯერმე ჰქონია ადგილი მზის დაბნელებას, რომელიც მცხეთა-კასპის რაიონზე ვრცელდებოდა: 1) 319 წლის 6 მაისს, საღამოს $6\frac{1}{4}$, საათზე, 2) 346 წლის 6 ივნისს, დილის 8 საათზე, 3) 348 წლის 9 ოქტომბერს დილის 11 საათზე.

ჩვენ არ გვევევება, რომ იმ პირთათვის, რომელთაც მირიანის მოქცევა მზის დაბნელებას დაუკავშირეს თავდაპირველად, აღნიშნული დაბნელებანიც, განსაკუთრებით თრი უკანასკნელი, 346 და 348



წლებისა, გამოსაყენებელი იქნებოდა, იმდენად დაახლოებით მოქცეული არიან ისინი 355-6 წლებთან. შაგრამ საბერძნეროდ ასეთი დაახლოებაც ა იქ არის საკირო: მზის დაბნელებას, რომელიც მტევთა-კასპის რაიონზე ვრცელდებოდა, ადგილი ჰქონია აგრეთვე ოვით ამ ხანებში, სახელდობრ 355 წლის 28 მაისს ის დაწყებულა 61/4 ს. დილით, მაქსიმალურად განვითარებულა (დაფარულა 5%, მზის დისკონისა) 7 საათზე, ხოლო დასრულებულა 8 საათზე¹.

საქმე ასე უნდა წარმოვიდგინოთ: 355 წლის გაზაფხულზე მოქცეულა მირიანი და მასთან მისი ოჯახი და ალბათ ერის ნაწილიც; როგორც ვიცით, მეფეს გაუგზავნია მოციქულები კონსტანტინოპოლში და გამოუთხვია სამღვდელოება ახალმოქცეულთა მოსანათლავად და სამღლოცველო სახლების საკურთხებლად. მოციქულების გამგზავრება-მობრუნებას და სამღვდელოების მოსლვას ერთი წელიწადი მაინც მოუნდებოდა, ასე რომ ახალმოქცეულთა მონათლვა უნდა მომხდარიყოს 356 წლის ზაფხულზე². მაშასადამე, ეთიოპია მოქცეულა 355 წლის სექტემბრიდან 356 წლის თებერვლამდე, იბერია კი 355 წლის გაზაფხულიდან 356 წლის ზაფხულამდე, ესე იგი ეს ორი ფაქტი მართლაც ერთსადაიმავა დროს მომხდარა.

ამნაირად, იბერია გაქრისტიანებულა 355-356 წლებში, იმპერატორის კონსტანტის დროს. ასეთს დათარიღებას მხარს უკერს თითქოს „მოქცევად ქართლისას“ ერთი, შეიძლება უნებლიერ მასში შენარჩუნებული, მონაცემი; სახელდობრ, აქ ნათქვამია, რომ ნინო გარდაიცალა „ქართლად მოსლვითგან მეათხუთმეტესა წელსა და ქრისტეს აღმალებითგან სამას ოცდაათურამეტსა წელსა“³. თუ ფრაზას „ქრისტეს აღმალებითგან“ მისი ნამდვილი შეიშვნელობით გავიგებთ, ხოლო „ქართლად მოსლვაში“ მის მოქცევას ვიგულისხმებთ, ნინოს გარდაცვალება მოვა $33+338=371$ წელს. თუ ნინო გარდა-

¹ Oppolzer. Canon der Finsternisse: Denkschriften der Kaiserlichen Akademie der Wissenschaften, B. LII, Wien 1887. აღნიშნულ დაბნელებათა გამოანგარიშება, Oppolzerის კანონების მიხედვით, ვეუთვნის ტუილისის ფინკური იძსერვატორიის და უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრის ასისტენტს ე. შეუსს, რომელსაც ამისათვის მაღლობასა ვსწირავთ.

² თუ მირიანას მოქცევად ჩვენ ვიგულისხმებთ მის მონათვლას და არა ნადირობის დროს მოქცევას, რასაც ადგილი ჰქონდა „თაუესა იელისა ჭ. დღესა შაბათსა“ (Описание II, 772), ეს უკანასკნელი დათარიღებაც სწორი გამოვა, ვინაიდან 20 ივლისი შაბათ დღეს სწორედ ჩჩნ წელს მოდიოდა.

³ Такайшвили, Описание II, 718.

იცვალა ქართლიდ მოსლეითგან (=ქართლის მოქცევითგან) მუჭაკურთხულები
ტე წელს, გამოდის ქართლი შის მოუქცევია 371—15=356 წლებითი მოვარდი

XIV

ეხლა იბადება ასეთი საკითხი: როგორ მოხდა, რომ ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა კონსტანტი კეისრის დროს, გადაუტანიათ მისი მამის კონსტანტინე დიდის მეფობაში? როგორ მოხდა, რომ ეს ფაქტი დაათარიღეს არა მარტო კონსტანტინე დიდის სახელით, არამედ მისი თანამედროვე ბიზანტიის ეპისკოპოზის ალექსანდრეს სახელითაც?

ალექსანდრე ეპისკოპოზის სახელი მოხსენებული აქვს მხოლოდ გელასი კვიზიკელს თავის კომპილაციაში, რუფინოზი მას არ ასახელებს. აქედან სამი შესაძლებლობა გვაქვს: 1) რუფინოზმა განვებ გამოუშვა ეს სახელი თავის თარგმანში, 2) გელასი კვიზიკელმა სხვა წყაროდან შეიტანა ის თავის კომპილაციაში¹, 3) ის არ იყო არც რუფინოზის დედანში, გელასი კესარიელის ტექსტში. მაგრამ რუფინოზი საკუთარ სახელებს არ უშევებს თავის თარგმანში, გელასი კვიზიკელს სხვა წყაროებიდან არ შეეძლო შეიტანა ეს სახელი, ვინაიდან არც ერთს სხვა ისტორიკოსს (სოკრატე, სომომენი, თეოდორიტე) ის არ მოვაწობა. მაშასადამე დავვრჩა მესამე შესაძლებლობა: ეს სახელი არ ყოფილა რუფინოზის დედანში, გელასი კესარიელის ტექსტში. ეს რომ ასეა, იქიდანაც ჩანს, რომ ეს სახელი არ აქვს აღნიშნული არც თეოდორიტე კვიზიკელს, რომელსაც, როგორც რუფინოზს. ხელთა ჰქონია უშუალოდ გელასი კესარიელის შრომა. მაში როგორ გაჩნდა ის გელასი კვიზიკელის კომპილაციაში? სულ უბრალოდ: გელასი დარწმუნებული იყო, რომ იბერთა მოქცევა კონსტანტინე დიდის დროს მოხდა, როდესაც ბიზანტიის ეპისკოპოსად აღქვსანდრე იყო, ამიტომ გელასი კესარიელის ფრაზაში: კონსტანტინე „კონსტანტინოპოლის ეპისკოპოზს ხელთდაასხმევინა იბერთა ეპისკოპოზი“. ჩაუმატა სახელი ალექსანდრე და მიიღო: რა რა კონსაკი- ციონის პირების ეპისკოპოზი „ალექსანდრის მარტინუს ჯერი რა რა რა ეპისკოპოზი“.

უფრო გაუგებარია კონსტანტინე დიდის სახელის გაჩენა ამ ისტორიაში, თუმცა შეუძლებელი არც მისი ახსნაა. ყურადღება უნდა

¹ ასე ფიქრობს A. Glasso, Die Kirchengeschichte des Gelasios von Kaisareia. 52

მივაქციოთ შემდეგს გარემოებას: სახელის *Κουστავია-ის* უკუნიშვილის
სახა-ია-ად შედევია ან

1) კონფესიონალური მოხაზრებისა: კონსტანტი კეისარი იყო
არიანოზი, რომელიც მართლმადიდებლობას და მის სამღვდელოებას
ულმობელია ავიწროებდა და სდევნიდა, რის გამო მართლმადიდებ-
ლებს ის ძალზედ ეჯავრებოდათ. ულტრამართლმადიდებელმა გვლა-
სიმ ანდა მისი შრომის გადამშერმა შეუძლებლად დაინახა მიეწერა
არიანოზი მეფისათვის ისეთი დიდი საქმე, როგორიცაა მთელი ერის
მოქცევა, და ამიტომ ეს ფაქტი მიაწერა მის დიდ მამას კონსტან-
ტინის, რომელიც საყოველთაოდ ცნობილი იყო ქრისტიანობის გა-
ვრცელებისა და დანერვების საქმეში.

2) უნებლივი შეცომისა. რომელიც სამი გზით შეიძლებო-
და დაშვებული ჰყოფილიყო: а) *Κουστავიაς* ბერძნულად ხშირად იწე-
რებოდა და გამოითქმებოდა როგორც *Κουსτავია*¹, ამიტომ გადაწე-
რის დროს ის ადვილად იქცეოდა *Κουსტავია-ად*. ბ) შესაძლებელია
სახელი *Κουსტავია* დაწერილი იყო შემოკლებით *Κ. კ.* (ამ-
გვარი შემოკლების შესაძლებლობა დამიდასტურა პროფ. გრიგ.
ჭერეთელ მა), აქედან კი თვითეული წამკითხველის და გადამ-
წერის უნარზე და ცოდნაზე იყო დამოკიდებული როგორ დაა-
რსებული სახელები, *Constantinus* და *Constantius*, რომელიც
თვით რომაელებსაც კი ეროვნათ ერთმანეთში, უფრო მეტად
აერეოდათ ბერძნებს, და, რასაკირველია, გაცილებით მეტად
ისეთს შორეულს „ბარბაროსებს“, - როგორიც იყვნენ იბერები. ასე
რომ გვლასი კესარიელის მოსაუბრე ბაკური, შეიძლება, ვერც კი არ-
ჩევდა მათ და ერთის მაგიერ მეორეს ამბობდა; ისიც დასაშვებია.
რომ მან იხმარა *Κουსტავია*, მაგრამ ისე ბარბაროსულად გამოთქვა
ის, რომ გვლასის *Κουსტავია-ად* მოესმა.

3) ონომასტიკური მოვლენებისა: ბერძნულიდან ნათარგმნს
ძეგლებში *Κουსტავია-ის* ნაცვლად ხშირად იხმარება *Κουსტავია*, რაც
იმის მომასწავებელია, რომ ბერძნულს დედამშიც ეს ასე იყო. მაგა-
ლითად, გოთრგვი მონაზონის „ხრომოლოფის“ ძველს სლავურ-
რუსულ თარგმანში ვჰკითხულობთ: по Деклитьянѣ царствова Кос-
тятинъ Зеленый (=კონსტანტი ხლორი), великаго Костянтина

¹ F. Preisigke, Namenbuch enthaltend alle griechischen Menschen-
namen, S. 190, Heidelberg 1922. W. Pape, Wörterbuch der griechischen
Eigennamen I, 752, 1884.



отець. По Константина Зеленъмъ крестился сынъ его Константина <sup>4444253-20
202-2400033</sup> отъ Силивьстра¹. „По Константина (=ропо) же царствова Константина (=յմբէրանր), сынъ его². „Знаменье крестное явится на небеси отъ святого лобнаго мѣста даже и до горы Елеоньская пресвѣтло, грамоту же послеть ради къ Константину царю (=յմբէրаанр) Кирилль Иерусалимский епископъ³. „По Константина (=յմբէրаанр) царствова Оульянъ преступникъ⁴. аузвѣа յаრтшл մցըլլեթիօւ; մագալոտագ ծեմութասաթելլեթշլո „грамота“ յորոլլ ոյրշալոմելուս մերզ սայցյնուն „ոյրշալոմուն զանինդա՛ն“ թարթերունուս: „ըծութողւ յարոլլ եծույտունուս, հոմելո մուշիյրա մեռյես յանս տան տոնես, չյարուսատչս“, հոմելո զամոհնդա ւաս Մին 352 թյժա“, դա ուշպես այս: „մեռյես լմրտուս-մույսարյես դա լմրտուսմասերիս յանս տան տոնես“⁵. ամ մուլլենան հիզբ զերգազու ագրետց սոմելլր մցըլլեթի, սագաւ յորոլլ ոյրշ-սալոմելուս եծութողւնու ագրեսարս յանս տան տոն մացոյր յվուգես յանս տան տոնես⁶. դա շատուրի յալենդարնու (մերյու սայցյնուն ձևա-նիցան), սագաւ 3 եռոմելքս յանս տան տոն մացոյր սիւրու յան-ս տան տոնես⁷. լոտոնյուն ուսուրուոցհատունու յուգուլո ուստու Մի-տեզզա, հոգուսաւ յև որո նայելո յրտումեռուս մացոյրա նամառան⁸. սայսրագուցու այ, հոմ ուզու յըլասո յըսարոյլուս դա մուս ծոփու, յո-րոլլ ոյրշալոմելուս, դրուսա ալնունելլո ասետո տնոմաւթոյշուրո մո-վլենա. տրոցինալուր յարտուլս տեխուլլենան; հոմելսաւ „մովլուզաւ յարտլուսաւ“, յվուգես, զուտեղունծու: „ուրուագ յըրուգըս յանս տան տո-նես“ մերյու, ուշուլուսեմեծ յանս տան տոնես დոգու, հու զամ, զանցր-մուն օցիւրո, „շուլցացեթշլ ուս շրջատօցան յանս տան տոն յըսարո¹⁰,

¹ Акад. В. М. Истрин, Хроника Георгия Амартола в древнем славяно-русском переводе, I, 13. 1920 г. Петроград.

² Ibid. стр. 357.

³ Ibid. стр. 358.

⁴ Ibid. стр. 360.

⁵ К. Кекелидзе, Иерусалимский Канонаръ VII века, стр. 112, 249—250.

⁶ Տուզըլլետա մշնցըմուն Եղենախյրո № 381. ց. 480.

⁷ Conybeare, Rituale Armenorum, Oxford, 1905, p. 525.

⁸ Проф. В. Болотов, Следы древних месяцесловов поместных церквей: Христ. Чтение 1893 г., Январь-Февраль, стр. 199-200, Յալու Յամ-սամ, ց. 83-84.

⁹ Pauly-Wissowa, Real-Encyclopädie IV, col. 1043.

¹⁰ Е. Такайшвили, Описание II, стр. 710.



იგულისხმება იგივე კონსტანტინე; მაშასადამე, აქაც კონსტანტინე და კონსტანტი ერთისადამავე პირის აღმნიშვნელადაა ნახმარი.

ამნაირად, ჩვენ ვაჩვენეთ რამდენიმე შესაძლებლობა კონსაკ-სა-ის კონსაკ-ისა-დ ქცევისა; ყველაზე უფრო მისაღებად ჩვენ პირა-დად მიგვაჩნია უკანასკნელი, ონომასტიქურ მოვლენებზე დამყარებული.

XV

ეხლა ორიოდე სიტყვა იმ მისიონერი ქალის შესახებ, რომელ-მაც ხელი შეუწყო მირიან მეფისა და იბერთა მოქცევას და რომელ-საც გელასი კესარიელი (ავტოვე მისგან მომდინარე ბიზანტიელი ისტორიკუსი) და ქართული წყაროები ტყვეს უწოდებენ.

მიუღებელი და დაუჯერებელია, ის ლეგენდარული დეტალები მისი ვინაობისა, რომელთაც ვაჰოულობთ ჩვენს უძველეს წყაროებში¹: ეს ქალი არც დიდიკაცის შვილი და პატრიარქის დისშვილი ყო-ფილა, არც იერუსალიმში დაბადებულა და აღზრდილა და არც კონ-სტანტინოპოლიდან თუ რომიდან მოსულა ჩვენში. ის არ ყოფილა არც ბერძენი და, მით უმეტეს, არც სომეხი², არამედ ქართველი, თუმცა ჰაგიოგრაფი ტენდენციურად უარყოფს ამას³. მისი ქადაგება ისე მაღლე ვერ გამოილებდა ნაყოფს „ბარბაროსთა“ შორის, თუ მას ამ ბარბაროსთა ენა არ სცოდნოდა. ის იყო ქართველი, მაგრამ არა კაპადიკიდან, როგორც ჩვენი წყარო გადმოვცემს*, მეოთხე საუ-კუნეში ქრისტეს შემდევ კაპადიკიდში ქართველი მოსახლეობა უკავ-ალია არსებობდა, არამედ გუგარქელი. ამით აიხსნება, რომ ეს დედაკაცი, ლეგენდის, ჩვენში შემოდის ჯ ავახეთიდან⁵ და სომ-ბურსაც ლაპარაკობს: გუგარქელ ქართველებს, თავის სამშობლო ენასთან, სომხურიც ეცოდინებოდათ, ვინაიდან ამ მხარეში, მათ მე-ზობლად, სომხებიც ცხოვრობდნენ.

მისაღებია ქართულ-ბიზანტიური წყაროების შეთანხმებული ცნობა, რომ ეს ქალი ტყვე იყო: მეოთხე საუკუნეში იბერებს, ალ-ბათ, ხშირად უხდებოდათ სომხებთან შეტაკება, თუგინდ თვით გუ-

¹ პროფ. ივ. ჯ ავახაშვილი. წმ. ნინოს და ანდრია მოციქულის მო-ღვაწეობა საქართველოში, უზრნალი მოამდე 1900 წ. V—VI.

² Aur. Palmieri, La Chiesa Georgiana e le sue origini, Roma 1901, p. 48.

³ Е. Тахайшвили, Описание II, 748.

⁴ Ibid. 737.

⁵ Ibid. 748.



გარების საკითხის გამო. ერთეულთი ასეთი შეტაკების ანდა გრძელებული ყაჩაღური თავდასხმის დროს, შესაძლოა, მათ ტყვედ ჩაუვარდათ ხელში ქრისტიანი დედაკაცი, რომელმაც მეტ მათ შორის ქრისტე იქადავი. შესაძლებელია, ეს მომხდარიყოს 349 წელს, როდესაც ვუგარები საბოლოოდ ჩამოშორდა, როგორც უკვე გვქონდა ლაპარაკი, სომხეთს და იბერიას შეუერთდა: ამ შემთხვევაში გამართლებას იპოვის ჩენი ძევლი წყარო, რომელიც გაღმოგვეცმს, რომ ნინომ მოაქცია მირიანი ქართლად მოსლვითგან მეშვიდე წელს, ესე იგი 356-7=349 წ.¹

ვერას ვიტვით გადაჭრით მისი სახელის შესახებ, რომელიც გელასი კესარიელმაც არ იცის, ის დაკარგული უნდა იყოს ისტორიისათვის. ჩენიამდე შენახულა ორი სახელი მისი: კოპტური—თ ეოგნოსტი², და ქართული ნინი resp. ნინო. არცერთი მათგანი საკუთარი სახელი არ უნდა იყოს: თეოგნოსტა ბერძნული სიტყვაა და „ლვთის მიერ ცნობილს“, „ლვთისაგან მოძიებულს“ ნიშნავს, ის გამომხატველია ამ ქალის დამოკიდებულებისა ლვთაებისადმი?³

¹ ამასვე ამართლებს აგრეთვე შემდეგი ქრონოლოგიური მონაცემი ჰაგიოგრაფია: „გარდაკედეს ქრისტეს მოსლვამდე წელი ჰქ. შობითგან ქრისტესით ვიტრე ჯუარცუმამდე ლევ., და ჯუარცუმითგან უკისტესით გადრე კონსტანტინე, ბერძნოთა მეფისა მონათლვამდე, ტია და ათონთხვეტისა შლისა შემდგომად მოვლინა ქუყანასა ჩუქმასა ქადაგი კეშვარიტებისა ნინო“ (Описаниe II, 760). თუ ამ გამოსანგარიშებაში გამოსავალ წერტილად ავილებთ დონისეს ერას (ნ508 წ.), ხოლო ჯვარცმიდან კონსტანტინეს მონათლვამდე ვიფარაულებთ არა ვ11, არამედ 310 წელს, როგორც „მოქცევაა ქართლისა“ (Описаниe II, 710), ნინოს მოსლვა ქართლად უნდა დავდგათ: (ნ500+53+310+14)=ნ508=349 წელს.

² O. Lemm, Zur Geschichte der Bekehrung der Iberer zum Christentum: Изв. Акад. Hayn: 1899 г. т. X. № 5, стр. 416—434. თუმცა საეკვოა, კოპტური სკოპესარის (აქედან ეთიომისურ-არაბულის) თეოგნოსტია იბერიის მიწონოერ ტყვე-ქალს ჰგულისხმობდეს: თეოგნოსტა მოღვაწეობს ტიბერიაში და არა იბერიაში (ეთიომ.-არაბული წყაროებით ინდოეთში), ნეხეთო საუკუნის დამდეგი (იმპერ. კონორისა და არკადის დროს) და არა მეოთხეში. სიუკეტის მსგავსება აიხსნება იმით, რომ კოპტებმა, რომესაც ისინი თეოგნოსტას შესახებ თქმულებას სიტხავდენ, გამოიყენეს იბერიის ტყვე-ქალის შესახებ თქმულება, რომელიც მათ უკოდინებოდათ არა მარტო ლიტერატურული გზით (გელასი-რუფინიში), არამედ ქართველებთან ცოტხალი მიმოსლეითა და ურთიერთობით; მაგალითად, ცნობილია, რომ მეხეთო საუკუნის ნახევარში პეტრე მაცუმელი და მისი მოწაფები ბშირად იყვნებო ხოლმე ვევიძტეში, სადაც მათ საკუთარი მონასტერიც კი ჰქონდათ (H. Mapr. ჯითი წეტრა ივერა, გლ. 27).

³ პროფ. E. Dobischütz სახელის თეოგნოსტია უკავშირებს მაცუმელას, ვინაიდან კონსტანტინოპოლის ეკლესიის სეინაქსარში ქართველთა მოქცევის ისტორიას შემდეგი სათაური აქვს: ასეუგა: მარტინ მაცუმელი და მისი მოწაფები ბშირად იყვნებო ხოლმე ვევიძტეში, სადაც მათ საკუთარი მონასტერიც კი ჰქონდათ (H. Mapr. ჯითი წეტრა ივერა, გლ. 27).



ნინა-ნინო შესახებ ორგვარი შეხედულება არსებობს. ^{არა მარტინ და არა გრიგორი გურიაშვილი} შეხედულებით ნინა-ნინო არის ქართულად გადმოკუთხული კუთხით სახელი ნონა. რომელიც კაპადოკიაში იყო გავრცელებული; მაგრამ, თუ ნინოს ვერ დაუკავშირებთ ჩვენ კაპადოკიას, როგორც ზემოთ იყო შენიშნული, ვერც კაპადოკიურ სახელს მივაკუთხნებთ მას. მეორე შეხედულებით ნინა-ნინო არის ლათინთა სახოვალო სახელი nonna, რაც მონაზონს ნიშნავს¹. მაგრამ ასეთი შეხედულება, რომელიც ჯერ კიდევ პროფ. ბოლოტოვს მიაჩნდა შეუწყისარებლად², მით უფრო მიუღებელია: საქმე ისაა, რომ ტყვე-ქალი, მართლაც რომ მონაზონი ყოფილიყო ის, იმდენად დაშორებული იყო დასავლეთ-საქრისტიანოს, რომ ასეთს ლათინურ სახელწოდებას ვერ მიიღებდა. ჩვენ გვვინია, რომ სახელი ნინა-ნინო გადმოლებულია საწარმართო რელიგიური ონთასტიკონიდან. სომები ისტორიულსთა ცნობით (ალათანგელოსი), სომხები თაყვანსა სცემდენ ერთს ქალმეტას, რომელსაც ისინი ნანე-ს უწოდებდენ და რომელსაც „არმაზის ასულადა“ სოვლიდენ³. უეპველია, ამ ნანეს იბერებიც ცნობდენ და ამიტომ მათ შეეძლოთ მისი სახელი დაეკავშირებიათ ტყვე-ქალის სახელთან; ეს მით უფრო დასაჯერებელია, რომ, ჰაგიოგრაფის გადმოცემით, მირიანი პირდაპირ ეკითხება ^{ამ} ქალს: „ანუ ხარ შენ ასული არმაზისი?⁴ ამასთან ხე-ცნობილია ისიც, რომ იბერთა პანთეონში თვალსაჩინო ადგილი, მევარ თას ქალ-ლმერის: აინინას და ნინას. იბერებს ეჩვენებოდა, რომ ტყვე-ქალი გა-

¹ M. Brosset, Histoire de la Géorgie I, 90, not. 2.

² Журналы Совета Петербург. Духов. Академии 1896—7 г. стр., 263, прим. 2.

³ Проф. Н. Эмин, Исследования и статьи по армянской мифологии, археологии, истории и литературе, Москва 1896 г. стр. 21. Проф. Г. Халатьянц, Армянский эпос в истории Армении Моисея Хоренского, стр. 292, Москва 1896 г.

⁴ Е. Тахайшвили, Описание II, 709. ქართლის ცხოვრება მარიამ დედოფლისა. გვ. 23.

⁵ Е. Тахайшвили, Описание II, 768. საინტერესოა საკითხი ამ ქალ-ლმერთთა შესახებ: შეუწყისარებელი უნდა იყოს ჰიპოთეზი. მარრისა, ვოთომები ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ერთსადაცაცე ირანულ ღვთაებასთან, რომელსაც ჰქონა ანაზიტა, tēsp. ანაპიდა, ქართულ გამოთქმები აიყონა დ ჰქონდა. მიუღებელი უ იყოს ქართველი შვილის ჰიპოთეზი, ვითომც ამ სახელებში ჩვენ რომაელთა იუნანა და დიანას სახელები გვერდიდეს შენახული. უფრო ახლო ვიქტორი სიმართლესთან, თუ ვაფაქვერებთ, რომ აქ ჩვენ გვაქვს ქუმურულ ღმერთთა, ან-თა-და-ნინას, სახელები. ორივე ეს ღვთაება მოსხეულია სუმერთა მეტის გუდეას (2600 წ. წინ) წარწერაში: „და მოვიდა იგი

საოცარ სასწაულებს ახდენდა მათ შორის, ამის გამო შეეძლოს მინჭებულებები და დასახელებულ ქალ-ღმერთთა განხორციელებად მიღლოვანი მინჭებულებები თვისებიათ მისთვის მათი სახელი, ქართულ გამოთქმაში ნინად resp. ნინად ქცეული. ამ ჰიპოთეზს შხარს უკერქნ ქართველი ჰაგიოგრაფი და ისტორიკოსი გელასი კესარიელი. ჰაგიოგრაფის გადმოცემით, მირიანი, გავირვებული ტყვევ-ქალის სასწაულთმოქმედებით, ეუბნება მას: „შ დედაკაცო, ომოლისა ღმრთისა ძალითა იქმ შენ კურნებათა ამათ, ანუ ხარ შენ ასული არმაზისი ანუ შვილი ზადენისი“? გელასი კესარიელი ამბობს: „ტყვევ-ქალს ეშინოდა ხაოხის უმეცრების, რათა, მშობლიური ცრუმორწმუნების გავლეჭით, ქრისტეს თაყვანისცემა მასზე არ გადაეტანათ“. ტყვევ-ქალმა, ალბათ, ერთხელ უკვე გამოსცადა იბერითა „მშობლიური ცრუმორწმუნების გავლენა“, როდესაც ზემოაღნიშნულ ქალმერთთა, თაყვანისცემა მასზე გადაიტანეს, ხოლო მათი მოქცევის შემდეგ შიშს გამოსთვამს ეხლა ქრისტეს თაყვანისცემა არ გადმოიტანონ ჩემ-შედაო.

XVI.

როდესაც ცოტად თუ ბევრად გათვალისწინებულია რეალური სურათი აღმოსავლეთ-საქართველოში ქრისტიანობის შემოსლევისა და დამყარებისა, გასაგები ხდება ის, პირველი შეხედვით გაუგებარი, მოვლენა, რომ ქართლის განმანათლებელად ძველად გრიგოლ პართელიც მიაჩნდათ და წმ. ნინოც.

გრიგოლ პართელის სამისიონერო მოღვაწეობას, როგორც ცნობილია, ადგილი ჰქონდა რომის იმპერიის ერთეულს სომხეთს პატარა პროვინციაში. საზოგადოდ სომხეთში კი ქრისტიანობა, როგორცა ვთქვით, უკვე მესამე საუკუნის დამდევიდან შემოდიოდა. პირველად გრიგოლის მოღვაწეობის შესახებ არსებობდა ზეპირი თქმულება; ეს თქმულება ბერძნებისა და ბერძენთმოყვარული სომხების შეხებით თანდათან ვრცელდებოდა და იყსებოდა, და ერთი პატარა უმნიშვნელო, პროვინციალური მისიონერი

ღმერთ-ქალ ნინასთან და შესთხოვა: ნინავ დედოფალო, დაუტასებელ ასრულ დედოფალო.... შენ ხარ შუამდგომელი, დედოფალი ქვეყანათა, დედა, ამის სინებრძნებისამართა“ (აღ. ს ვ ა ნ ი ძ ე, ქართული ღმერთები აინია და ნინა, უფრიალი განათლება 1914 წ. მარტი, გვ. 205 - 207). აქედან ჩანს, რომ ნინა ქალ-ღმერთი ყოფილა, დედოფლად და დედად მიჩნეული.

ბოლოსადაბოლოს მთელი სომხეთის განმანათლებელად ეჭვაცირცული აუ გრიგოლი მთელი სომხეთის განმანათლებელია, ტერეზა შემოქმედია ქართველთა ქრისტიანების თვალში, განმანათლებელია გუგარქისაც, კინაიდან გუგარქი გრიგოლის დროს სომხეთის ფარგლებში იყო მოფებოდა. ასეთი აზრი მით უფრო განმტკიცდებოდა, რომ ნამდვილად, რეალური, გუგარქში მართლაც სომხეთის გზით შემოვიდა აღმოსავლეთიდან ან ქრისტიანობა და იმ მისიონერების ქადაგებით, რომელთაც ის ნამდვილს სომხეთში გადმონერებს. როდესაც გუგარქი იძერის სამეფოს შეუერთდა და მისი სახელი, მართლო, პოლიტიკური ტერმინად, მთელი ოღმოსავლეთ-საქართველოს სახელად იქცა. გრიგოლიც მთელი ოღმოსავლეთ-საქართველოს განმანათლებლად იქმნა აღიარებული. ასე რომ გრიგოლის შესახებ თქმულება იძერიაში გუგარქელებმა შეიტანეს, მათ შეუქმნეს მას სახელი მთელი ოღმოსავლეთ-საქართველოს განმანათლებელისა. აი ამნაირად დამყარდა და განმტკიცდა ის აზრი, რომ გრიგოლ პართელი განმანათლებელია არა მარტო სომხეთისა, არამედ ქართველებისაც.

რაც შეეხება ტყვე-დედაკაცის, ნინოს, ქადაგებას, იმას როგორც გამოირკა, ადგილი ჰქონდა იძერია-ჰერეთში. მართლაც, როდესაც ჩვენ ვჰქითხულობთ წმ. ნინოს ცხოვრებას, ვხედავთ, რომ მისი სამისიონერო მოღვაწეობა იწყება მცხეთაში, მერე ადის მთიულეთში და სრულდება ბოდინში ან ბოდეში. ამ საზღვრებს ის არ სცილდება; ამ საზღვრებში კი, როგორც ვიცით, მოქცეული იყო ჰერეთი-იძერია. ამნაირად, აღმოსავლეთის ქართველებს ორი მისიონერი ჰყოლიათ: მტკერის სამხრეთით, ეგრეთწოდებულს გუგარქში, ქრისტიანობა გაუვრცელებიათ სომხეთში მოქმედ მისიონერებს, რომელნიც შემდევ გრიგოლ განმანათლებელის პიროვნებაში განსახიერებულან, ხოლო მტკერის ჩრდილოეთით, იძერია-ჰერეთში. ტყვე-დედაკაცს, რომელსაც ჩვენ ნინოს ვუწოდებთ. ასე რომ, როდესაც ეს ორი ნაწილი გაერთიანდა პოლიტიკურად, ეკლესიურად და კულტურულად, აյ შეხვდენ ერთმანეთს გრიგოლისა და ნინოს სახელები, როგორც ქართველთა განმანათლებლებისა.

ამ ორს სხვადასხვა ტრადიციას ადრე მიაქციეს ყურადღება როგორც სომხებმა, ისე ქართველებმა, და მოინდომეს იმათი შეერთება. ეს შეუსრულებია იმ მწერალს, რომელსაც ჩვენ მოსე ხორენელის სახელით ვიცნობთ; იმისი თქმით, ქართველები წმ. ნინომ მოქცია,

1. Н. Марр, Крещение армян, грузин, албанов и абхазов, стр. 149-158. Н. Адони, Армения в эпоху Юстиниана, стр. 341.

მაგრამ ის არ იყო დამოუკიდებელი მისიონერი, ის ქართველი მართლწერებულები გავჰყენა გრიგოლმა, რომელსაც ნინო ინგარიშს აძლევს თავის კართველი მედებაში და ოჩევის ეკითხება, როგორ მოიქცეო. ჩანს, ამ კომინისის ქართველებიც იზიარებდნენ, ვინაიდან „მოქცევად ქართლისაც“ ავტორს ნინო გამოყენილი ჰყავს რითსიმეანად, ესე იგი იმ ქალწულთა ამხანაგად, რომელნიც სომხეთში ეწამენ და რომელთა სახელი გრიგოლთანაა დაკავშირებული. მაგრამ, როდესაც სომხ-ქართველთა ეკლესიური და სარწმუნოებრივი დამოკიდებულება ისე გამწვავდა, რომ გრიგოლის ქართველთა განმანათლებლობა სათაკილო შეიქნა ქართველთა ეროვნული თავმოყვარეობისა და თვითშეგნებისათვის ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით დოლმატურად რიულებელი, ვინაიდან სომხები მწვალებლებად იქმნენ ალიარებულნი. საქართველოში მეცხრე-მედათე საუკუნეში გადამუშავდა საგანგებოდ წმ. ნინოს ცხოვრება, რომელსაც მიზნად აქვს დასახული დაამტკიცოს, რომ გრიგოლ პართელს, არც სხვა რომელიმე სომხის მისიონერს, წილი არ უძვეს ქართველთა განათლების საქმეში, მათ ჰყავთ საკუთარი, გრიგოლისაგან დამოუკიდებელი განმანათლებელი, წმ. ნინო, რომელიც იერუსალიმში დაიბადა და აღიზარდა და რომელმაც ქრისტიანობა საბერძნეთიდან მოიტანა. ამის შემდეგ, ესე იგი მეცხრე-მედათე საუკუნიდან, ნინო აღიარებულ იქმნა აღმისავლეთ-საქართველოს განმანათლებელად; ამ დროიდან გრიგოლის სახელი, როგორც ქართველთა განმანათლებელისა, იდენტება და დავიწყებას ეძლევა.

* * *

ამნაირად, ქართველთა გაქრისტიანების შესახებ ჩვენ შემდევს დასკვნამდე მივდივართ:

1. არცერთი მოციქული ქრისტესი საქართველოში არ ყოფილა და აქ ახალი მოძღვრება არ უქადაგნია: თქმულება მოციქულთა სამისიონერო მოლვაწეობის შესახებ ჩვენში ფეხს იყიდებს მხოლოდ მეათე საუკუნიდან.

2. რადგანაც ქართველი ტომები სხვადასხვა კულტურულ-ისტორიულ პირობებში ცხოვრობდენ, ქრისტიანობა მათში სხვადასხვა დროს და სხვადასხვა წყაროდან შემოდიოდა.

3. დასავლეთ-საქართველოში ქრისტიანობა შემოდიოდა საბერძნეთიდან უმთავრესად; აქ ის საბოლოოდ დამყარებულა მეტესე საუკუნის პირველ ნახევარში.

4. აღმოსავლეთ-საქართველოში ქრისტიანობა უფრო გავრცელდება; ან დამყარებულა აღმოსავლური, იერუსალიმური, ქრისტიანობა სირია-სომხეთის გზით.

5. პირველად ქრისტიანობა აქ შემოსულა ეთნოგრაფიულს ქართლში ან ბერძნულს გვევარენსა და სომხურს გუვარქში; რადგანაც ეს მხარე მეოთხე საუკუნის ნახევრამდე სომხეთის ფარგლებში იმყოფებოდა, ის სომხეთიან ერთად ქრისტიანდებოდა. მესამე საუკუნის გასულისათვის ის საბოლოოდ მოქცეული ყოფილა იმ მისიონერთა ქადაგბით, რომელთაც სომხები მოაციის და რომელნიც შემდეგ გრიგოლ პართელის პირველებაში იქმნენ განსახიერებულნი.

6. კლასიკურ მწერალთა იბერია, რომელიც ქართული ტერმინოლოგიით ჰქონდა ყველა კულტურა, მოქცევია გუგარქელ ტყვე-ქალს, რომელსაც მიუღია ადგილობრივ ქალღმერთთა აინინას და ნინას, ანადა სომეხთა ქალღმერთის ნანეს, სახელი ნინა resp. ნინო.

7. იბერიის მოქცევის პირველწყაროდ ყოფილა გილასი კესარიელი და ორა რუფინოზი; უკანასკნელს მხოლოდ უთარგმნია ლათინურად გელასის შრომა.

8. პირველი ქრისტიანი მეფე იბერიისა არის მირიანი და ორა „დიდი ბაკური“, როგორც ეს პეტრე მახუმელის ასურულ ცხოვრებაშია ნათქვამი.

9. იბერია მოქცეულა არა კონსტანტინე დიდის დროს, არამედ მისი შვილის კონსტანტის მეფობაში.

10. მოქცეულა იბერია იმავე დროს, რა დროსაც ეთიოპია მოიქცა, ესე იგი 355-356 წლებში; მისი მოქცევა დააჩქარა, ალბათ, ქართლ-გუგარქის საბოლოოდ შემოერთებამ 349 წელს.

11. ამ დათარილებას მხარს უჭერს აგრეთვე ასტრონომიული ქრონოლოგიაც, რომელიც 355 წელს მართლაც აღნიშნავს მზის დაბნელებას და ამით ადასტურებს ისტორიკოსთა შესაფერ თქმულებას.

12. კონსტანტინე დიდის სახელი, ნაცვლად კონსტანტისა, იბერთა მოქცევის ისტორიაში განვითარდა ან კონფესიონალური მოსაზრებით, ან შეცოტომით, ან ბერძნული Onomasticიის თავისებურებით.

13. როდესაც იბერია და გუგარქი გაერთიანებულან პოლიტიკურად და კულტურულად, აქ განმტკიცებულა ორგვარი ტრადიცია: ერთი, გუგარქიდან შემოტანილი, ქართველთა განმანათლებელად სთვლიდა გრიგოლ პართელს, მეორე, იბერიაში აღმოცენებული, ტყვე-ქალს ნინოს.



Zur Frage der Bekehrung Georgiens zum Christentum

VON

Prof. K. KEKELIDZE.

(Schlussfolgerungen).

Die Frage der Bekehrung Georgiens zum Christentum ist bis jetzt noch nicht gehörig erörtert. Der traditionellen Vorstellung gemäss wurde das Christentum in Georgien ursprünglich durch die Apostel verkündigt; da es hier aber mit der Zeit in Vergessenheit geraten war, verkündigte es von Neuem bereits im IV. Jahrhundert unter Kaiser Konstantin die heilige Nino, welche denn auch Georgien endgültig zum Christentum bekehrt hatte.

Diese Darstellung kann nicht wissenschaftlich begründet werden: Georgien in historisch-greifbarem Sinne des Wortes bestand damals nicht einmal; es waren nur einzelne georgische Stämme da, die in verschiedenen politischen, geographischen und kulturellen Bedingungen lebten und zu denen das Christentum infolgedessen zu verschiedenen Zeiten und aus verschiedenen Quellen eingedrungen war.

Die vorliegende Arbeit setzt sich das Ziel, diese dunkle und strittige Frage der Klärung näher zu rücken. Das Ergebnis unserer Forschung kann folgendermassen zusammengefasst werden:

1. Keiner aus der Apostel Christi war jemals in Georgien und keiner predigte dasselbst; diese Überlieferung ist eine Legende nur, die Georgien erst im X. Jahrhundert auf literarischem Wege erreichte, nämlich auf Grund von römisch-byzantinischen Erzählungen über die Predigt der Apostel, vor allem auf Grund entsprechender Werke des Mönches Epiphanius und des Philosophen Niketas—David Paphlagon (IX. Jahr.) entstanden.

2. Das Christentum verbreitete sich in West-Georgien oder dem sogenannten Lazika, welches einen Teil des byzantinischen Kaiserreiches bildete, aus Byzanz in dieser Zeitfolge: in Tschaniaka im Jahre 518, im eigentlichen Lazika im Jahre 523, in Abchasien um 546—547.

3. Das Christentum von Ost-Georgien ist orientalischen Ursprungs. Es erreichte Ost-Georgien im Zusammenhang mit der Verbreitung in Syrien, Persien und vor allem in Armenien.

4. In Ost-Georgien sind geographisch zwei Hauptgegenden bekannt: a) Karthli oder Γωγχρηνή der klassischen Schriftsteller, das bis 349 nach Christ. zu Armenien gehörte; b) Herethi oder Ἡρεθί der klassischen Schriftsteller, das allein unter allen georgischen Stämmen einen selbständigen Staat bildete, der abwechselnd von Byzanz oder Persien abhängig war.

5. In Karthli oder Γωγχρηνή wurde das Christentum von denselben Missionaren gepredigt, die es in Persarmenien verbreiteten und die später in Gregor dem Erleuchter (dem Parther) personifiziert wurden; die endgültige Christianisierung dieser Provinz geschah Ende des III. Jahrhunderts.

6. Als Urquelle zur Geschichte der Bekehrung Iberiens, dessen Christentum aus Γωγχρηνή kam, galt bis zuletzt Rufinus (*Historia Ecclesiast.*, X, 11); erst dem deutschen Gelehrten A. Glas gelang es in seiner Dissertation¹ zu beweisen, dass diese Urquelle in der nicht erhaltenen Geschichte des Gelasios von Kaisareia (+395), die von Rufin ins Lateinische übersetzt war, zu suchen ist.

7. Als erster christlicher König wird in Iberien, laut georgischen und armenischen Quellen, Mirian, resp. Meribanes genannt, dem die Byzantiner 361, wie Ammianus Marcellinus mitteilt, reiche Gaben sandten, um ihn von Bündnis mit Persien abzulenken. Man muss entschieden die Mitteilung der Syrischen *Vita Petrus des Iberers* (R. Rabe, *Petrus der Iberer*, Leipzig 1895) verwerfen, als ob Bakurios, der Grossvater des Petrus, der erste christliche König gewesen wäre. Dieser Bakurios ist in Persien circa 424 als Märtyrer gestorben und konnte folglich nicht König Iberiens zur Zeit Konstantin des Grossen sein, wo traditionellerweise die Bekehrung Iberiens stattfinden sollte.

8. Die Bekehrung Iberiens wird auf verschiedene Jahreszahlen zurückgeführt, von 297 an bis zum Todesjahr Konstantin des Grossen, was aber nicht zuversichtlich ist: diese Bekehrung konnte nicht vor 323 stattfinden, bevor Konstantin zum Herrscher der Osthälften

¹ Die Kirchengeschichte des Gelasios von Kaisareia—die Vorlage für die beiden letzten Bücher der Kirchengeschichte Rufins, Leipzig-Berlin 1914.



des Kaiserreiches wurde; sie konnte auch nicht vor 330 stattgefunden haben, da man nach Konstantinopel, dessen Bebauungsende und Verwendung als Verwaltungszentrum vom 11. Mai 330 datiert, die Bitte um Zusenden des Klerus für das neubekehrte Land gerichtet hatte; sie geschah auch nicht während der folgenden Regierungsjahren Konstantins, wie man überhaupt die Bekehrung Iberiens nicht zur Zeit Konstantin des Grossen rechnen darf. In der Tat sagt Eusebius von Kaisareia, Konstantins Geschichtsschreiber, über die vermeintliche aktive Teilnahme Konstantins in der Bekehrung Iberiens kein Wort, selbst in der *Vita Constantini* nichts, die ja gerade über die christliche Missionstätigkeit Konstantins nicht nur breit, sondern übertrieben erzählt. Es ist unglaublich, dass Eusebius so ein Ereignis verschweigen würde, sollte es in der Tat zu Konstantins Zeit stattgefunden haben.

9. Die Bekehrung Iberiens wird von Gelasios-Rufinus, teilweise auch in georgischen Quellen, chronologisch mit der Äthiopiens oder Abessiniens verbunden (*κατὰ δὲ αὐτὸν τὸν χρόνον—per idem tempus*), was aber, wie es mathematisch genau durch den hervorragenden russischen Historiker, Prof. W. Bolotov, festgestellt wurde, in den Jahren 355—356 (vom September bis Februar) sich ereignete¹.

10. Zur selben Zeit, genauer vom Frühjahr 355 bis Sommer 356, wird auch die Bekehrung Iberiens stattgefunden haben, nebst der Taufe durch die aus Byzanz gekommenen Geistlichen. Dies wird gewissermassen auch durch astronomische Berechnung bestätigt: einstimmige Zeugnis byzantinischer, georgischer und armenischer Quellen gibt als unmittelbaren Beweggrund zur Bekehrung des iberischen Königs die Sonnenfinsternis während seiner Jagd an. Der berühmte „Canon der Finsternisse“ von Th. von Oppolzer zeigt, dass die Sonnenfinsternis, welche am Platze der Jagd des iberischen Königs beobachtet werden konnte, gerade im Jahre 355 am 26. Mai stattgefunden hatte.

11. Die Bekehrung Georgiens hatte also nicht während der Regierung Konstantin des Grossen, sondern der seines Sohnes Konstantius stattgefunden. Der Ersatz eines Namens

¹ Vorlesungen zur Geschichte der alten Kirche, Band II, SPtbg. 1910, S. 265—272 (russisch).



durch den anderen kann in den byzantinischen Erzählungen von Konstantius von hier aus auch in den georgischen Quellen, entweder ~~die~~ ^{oder} ~~ან~~ ^{და} ~~მაგა~~ ^{მაგ} sehen, auf paläographischem Boden, oder aus den Eigentümlichkeiten des griechischen Onomasticon erklärt werden: in griechischen Quellen wird Konstantius, wie es die aus dem griechischen ins Altslavische und Altgeorgische übersetzten Texte beweisen, nicht selten Konstantin genannt.

12. In Iberien wurde das Christentum von einer Frau gepredigt, die in den georgischen Quellen Nino resp. Nina heisst. Sie war weder die Tochter eines Vornehmen aus Kappadokien, noch die Nichte des Patriarchen von Jerusalem, wie es in der Vita steht, sondern lediglich eine kriegsgefangene Georgierin aus Γογχαργνή, die in die Hände der Iberier gefallen war, vielleicht im Jahre 349, als Γογχαργνή von Armenien abfiel und mit Iberien sich vereinigt hatte. Letzteres ist desto wahrscheinlicher, da Nino, laut georgischen Quellen, nach 7 Jahren seit Ankunft in Iberien die Iberer zum Christentum bekehrt hatte (356—7=349). Der eigentliche Name dieser Gefangenen ist verloren gegangen. Nino ist weder der in Kappadokien bekannte Eigenname Nonna, noch der Gattungsname nonna (Nonne), denn sie war zu weit von Kappadokien und desto mehr von lateinischer Welt entfernt, um so einen Namen erhalten zu können. Weit eher erhielt sie diesen Rufnamen von den heidnischen Göttinnen: armenisch. Nanē, georgisch. ai-Nina und Nina; durch die Wundertätigkeit dieser Frau erstaunt, konnten die Iberer auf sie nicht nur die Kraft dieser Göttinnen übertragen, sondern auch den Namen.

13. Nachdem im Jahre 349 Γογχαργνή und Iberien sich vereint hatten, trafen zwei Überlieferungen von der Bekehrung Georgiens zusammen: die eine, welche aus Γοგχარგнή stammte, hielt Gregor den Parther für den Erleuchter Georgiens; die andere, lokaliberische, aber die hlg. Nino. Dadurch erklärt es sich, dass bis tief ins X. Jahr. hinein die Armenier und die Georgier sowohl Gregor, als auch Nino als Erleuchter Georgiens gepriesen haben.

გელასი კასარიელი ჩართლის მოქავის შესახებ.

კრებულ „ჩვენი მეცნიერების“ ერთ-ერთ ნომერში (1923 წ. № 6—7, გვ. 96—100) ჩვენ მოვათავსეთ მოქლე საბიბლიოოგრაფიო შენიშვნა, ა. გლასის შრომაზე (Die Kirchengeschichte des Gelasios von Kaisareia—die Vorlage für die beiden letzten Bücher der Kirchengeschichte Rufins. Lpz.-Brl. 1914), სადაც აღნიშნავდით, რომ თანახმად ა. გლასის გამოკვლევისა „რუფინუსის 『საექლესიო ისტორიის』 X—XI წიგნები, რომელიც დღემდე ორიგინალ ნაწარმოებად იყო ცნობილი, წარმოადგენს ბერძნულის თარგმანს“ და თვით ბერძნული ორიგინალი ნაწარმოები ეკუთვნის 395 წელს გარდაცვლილ გელასი კესარიელს, იმ დროს როდესაც რუფინუსმა თავისი 『ისტორია』 402 წელს დაიწყო.

იმავე შენიშნვაში ჩვენ—ბერძნული ტექსტის უქონლობის გამო—მხოლოდ გაკვრით მოვიხსენიეთ ბერძნული ტექსტის ის ადგილები, რომელიც ქართლის მოქცევას ქებდა. მოქ. ქ. დონ დუამ-ლენინგრადში დაგვავალა და გადმოწერილი გადმოგვიგზავნა სათანადო ნაწილი ტექსტისა, რისთვისაც მას ულრმეს მაღლობას მოვახსენებთ.

ვინაიდან ეს ბერძნული ტექსტი ამჟამად ნაკლებ ხელმისაწვდომია ქართველ მკვლევართათვის, რადგან ის ერთად-ერთი ხელნაწერით (Ambros. M. 88 sup.)¹ არის ცნობილი, საიდანაც ზოგიერთი ნაწყვეტი ჩერიანის აქვს დაბეჭდილი, და ლატიშევსაც (Scythica et Caucasicca I) მისთვის ყურადღება არ მოუქცევია, მეორეს მხრით, ვინაიდან ის ქართლის მოქცევის შესახებ რამდენიმე, აქმდე უცნობ დეტალს იძლევა, ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად დავინახეთ, დაგვიტევდა ბერძნული ტექსტი და პარალელურად დაგვერთ ქართული თარგმანიც:

¹ ზდ. Christ-Schmid, Griech. Literaturgeschichte II 1205-1206,



Κατὰ δὲ τὸν αὐτὸν γρόνον καὶ οἱ πρὸς τῇ κατὰ Πόντον γῇ Ἰβηρές τε καὶ Λαζάροι τὸν τοῦ Θεοῦ ἐδέξαντο λόγον, μήπω πρὸ τούτου εἰς αὐτὸν πεπιστευκάτες. Τοῦ δὲ μεγίστου ἀγαθοῦ τούτου αἰτίᾳ κατέστη γυνὴ τις παρ' αὐτοῖς αἴγιμάλιωτος οὖσα, ἄκρον δὲ βίον μετερχομένη δι' ἐγκρατείς τε καὶ τῶν ἄλλων ἀγαθῶν ἐργῶν πάντας αὐτοὺς εἰς ἔκστασιν ἤγειν. Ὡς δὲ τὴν κατίαν διεπυνθάνοντο τῆς τοσαύτης αὐτῆς ἀσκήσεως, ἀπλότητι μὲν ἡ ἀγία ἐκείνη γυνὴ λέγει, διὰ Χριστὸν τὸν οὐλὸν τοῦ Θεοῦ. Οὐδένα κανέντοι ἐκ τούτου εἰς πίστιν ἔψευσεν τῆς εὐσεβίας, ἐθαύμαζον δὲ μόνον τὴν γυναικαν, καὶ τῷ ἕνερῳ βίῳ αὐτῆς προσέχοντες πολλὰ ἐλαγκίζοντο.

'Αλλ' ἐπειδὴ ἔθνος ἦν αὐτοῖς, εἰπερ νήπιον εἰγόν αἰσθενεῖς περιπεσόν, περιτρέχοντας αὐτοὺς πρὸς τοὺς ἐγγωρίους ἀπαντας ἐκάστοινεν πορίζεσθαις βοήθημι, γέγονε διὰ τούτου ἐκπειρειλθιστάντια πάντας ἐλθεῖν καὶ πρὸς τὴν αἴγιμάλιων. Ἡ δὲ πρὸς τῇ θύρᾳ ἑστώσῃ σὺν τῷ παιδισκῷ τῇ γυναικὶ ἐφη· οὐδέν εἶγὼ τῷ παιδερίῳ δυνήσουμαι βοήθησαι, τὸν δὲ Χριστόν, ὃν ὑμῖν εἰπον πολλάκις, οἶδα δυνατὸν εἶναι καὶ νεκροὺς ἀνιστᾶν, καὶ τοῖς ἀπηγγορευμένοις γχαρίζεσθαι θασιν. Ἡ δὲ τοῦ παιδὸς μάγιηρ καθικάτεσσι τὴν αἴγιμάλιων. Τότε σίκτῳ τῇς δειμάνης κανγηθεῖσα τὸ νήπιον τε τῷ τάκιῳ

αδαρεῖ ხანεბში ომრტყმულებული
δა მიიღეს პონტოს მდგრადი მიწაწყალზე მცხოვრებ-
მარბერებმა და ლაზებმა, ორ-
მელთაც იქამდე ის ორ სწამდათ.
ამ დიდი საონოების მიზეზი გახ-
და ერთი დედაკაცი, ორმელიც
მათთან იყო ტყვედ: მან საონო
ცხოვრებას შიაღწია და თავისი
ქრძალულებითა და სხვა კეთი-
ლი საქმეებით მას ოლტაცებაში
მოჰყავდა ყველა ისინი. ორდე-
საც მას ეკითხებოდენ ასეთი მი-
სი განდევილობის მიზეზის შე-
სახებ, ის წმიდა ქალი მარტი-
ვად უბასუხებდა, ქრისტეს მი-
ზეზისათვის, ძისა ომრთისაო. მა-
გრამ ამით ვერავინ დაარწმუნა
კეთილსაონოებაში, მათ მხოლოდ
აკვირვებდა ეს ქალი: ისინი პე-
დავდენ მის უცნაურ ცხოვრებას
და რას ორ ფიქრობდენ!

რადგან იმათში ჩვეულება
იყო, ორმ თუ ვისმე ბავში გაუ-
ხდებოდა ოვად, ყველა იქაუ-
რებს მოივლიდა და ყველის ოხოვ-
და დახმარებას,— მოხდა (ეხლაც
ისე), ორმ ერთი ქალი, ორმელიც
ამ მიზნითა კარი-კარ დადიოდა, ამ
ტყვესთანაც მოვიდა. ხოლო ამან
მიმართა ქალს, ორმელიც ბავ-
შით ხელში კართან იდგა, და
უთხრა: «მე ვერ შევძლებ უშვე-
ლო ბავშს; ქრისტეს კი, ორ-
მელზედაც ხშირად მილაბარაკ-
ნია ოქვენთან, ვიცი, შეუძლია
მკვდრებიც გააცოცხლოს და მი-
ტოვებულო განკურნება არგუ-

თუ მართებ პარივალისა, პრისტ-
ეკომენი თუ თემი, პატებოს ასა-
თუ მეტო მეტა.

Διέδραμε δὲ εἰς πολλοὺς τὸ
γενόμενον, καὶ γε ἄχρι τῆς βασι-
λίδης ἔφθασεν, ητις πατέκειτο
βαρυτάτῃ νόσῳ κατεγορένη· καὶ
γέρ γρήνον ἐκκόνη ἀπίθενήσασα,
ἀνάτων εἶχε λιπόν τὰ περὶ τῆς
αὐθαδάσης αἴτην χαλεπωτάτης
νόσου. Ἀξιοὶ μὲν σὺν τὴν αἰγαλέ-
λωτὸν ἀποστεῖλασκαν διὰ τῶν σίκειών
πρὸς αἴτην πυραγενέσθαι. «Η δὲ
δέει καὶ εὐλαβείκ ἀνανεύει τοῦ
πρὸς τὴν βασιλίδα διερήγαν, ει-
δούσι τὸν ἐκ τῆς ἀνθρωπίης
δέξης παρεισδύνοντα ἐλεύθερον. Διά
τοι τούτῳ ἀπρίξ ἔχουσαν αἴτην
τῷ μή ἐλίθειν ἐπιγνοῦσσαν ή βα-
σιλισσαν κελεύει σὺν τῷ σκιμποδίῳ
πρὸς αἴτην ἀπαχθῆναι. Ἡς τινος
διυιωπηθείσα τὴν ταπείνωσιν ή
μακαρία αἰγαλέλωτος, τὸν αὐτὸν
τρίπον περιβάλλοντα τὴν βασιλίδα
τῷ σάκκῳ, ἐφ' ὁ γένιον κλίνασσα
τὰς εὐχὰς τῷ Θεῷ προσέφερε τῇ
συνήθει πρὸς τὸν Χριστὸν εὐχῇ,
ὑγιῇ σίκαδε ἀπιπέρπει χάρουσαν
καὶ πορευομένη τοῖς σίκείνις ποσὶ,
νέον καὶ ξένον θάλμα τοῖς ἑντο-
πίοις παρεχομένην, τοῦ Χριστοῦ
τὴν χάριν ὀμολογοῦσαν. καθὼς
παρὰ τῆς αἰγαλέλωτου γυναικὸς
ἐνδιάχθη, τρανῶς τε ἀπεφίλεγετο
πορευομένη. Δέξα σα, Χριστέ,
γηρή, δέσποστα τῆς αἰγαλέλωτου·
σοι γέρις, καὶ σοι πᾶσα τάπι,

ნოს». ბავშის დედა-^{მარწმუნებული}
რებოდა ოყვე-ქალს. ^{შესრულებული}
შეიბრალა მოხვენელი: τავის გა-
რესამოსში გახვია ბავში, შე-
ვედრო ღმერთს და განკურნებუ-
ლი გადასცა იგი დედას.

ეს ამბავი მოედო ყველას და
დედოფლის ყურამდისაც მიაღ-
წია, რომელიც მაშინ (ლოგინად)
10 იწვა მძიმე სენით დაავადებუ-
ლი: კარგა ხანია, ოაც ის ავად
გამხდარიყო, მაგრამ უკურნებე-
ლი ჩანდა მძიმე სენი, ის რომ
შეეპყრო. და ის გზავნის ოყვე-
ქალთან თავისინებს და ოხვეს
მას, ოათა ის მას გახლოს.
ის-კი შიშისა და მოკრძალების
გამო უარს ამბობს დედოფალ-
თან მოსვლაზე, რადგან იცოდა,
რომ მიწიერი საცური შემო-
პარებოდა ხოლმე. ამიტომ დე-
დოფალმა, გაიგო ოუ ორა რომ
მას ორას გზით არ უნდა მასთან
მოსვლა, ბრძანებს საწოლით წაი-
ყავონ იგი მასთან. ნეტარმა მუკი
ქალმა უსიამოენოდ შეხედა დე-
დოფლის დამცირებას: იმანირა-
დე გახვია იგი (თავის) გარესა-
მოსში, მუხლმოდრეკით შეევედ-
რა ღმერთს და ჩვეულებრივი
ლოცვით მიმართა ქრისტეს, და
განკურნებული გაისტუმრა ში-
ნისკენ გახარებული დედოფალი,
რომელიც საკუთარი ფეხებით მი-
დიოდა: ამით ამცნობდა ყველა
ადგილობრივ მცხოვრებს ახალსა
და უცხო საკვირველებას და
მადლობას უძლვნიდა ქრისტეს.

სათემუ ტან ეს ის პარასეს უ
უსამესოდ.

'ალλὰ καὶ τῷ συμβίῳ ἔκυτής
η̄ βρεστίσσει διηγήσατο ἔκαστα,
παρώρμησε ծէ աւտὸν ეს ձևութիւն
ձիւπიտεν, χρῆμատ բաსկրძნաւ
ձևենքսժաւ տὴν αἰχμάλωτον τῆς
սնეρეցსίας τῆς ეს տὴν σύμβιον
աւտօն ჰენა. 'Η ծէ բաσιλιստა
πρὸς αὐτὸν ἔψη: 'Η αἰχμάλωτος
ասτր, მ ბასιլεῦ, იუ იρეგετაւ
ձეგურის, იუ ხრასი պერიποւ-
տა: ծმრი ծէ პაχιւ პარ' ტყმუ
ձէსეგრეա, თ მანი ზრას պისտე-
სა, ծտ: ი ხრιსტის սიօ ჰეს თუ
თხის თუ უბისთ. '॥ გარ ი պა-
ჩის უწესეა კაὶ ერკრატია, პერ-
თა: მეგარი გრასი კაὶ ձეგური-
კაὶ გარ პაտეპარάზην თეს ეს-
ხინ: თალეზ ծიუკიმა ს:,, მ
բასილე. 'ალ' ეს ყო პარ სი
ფրონտის ჰეს სათერა, ձևეპუ-
მეზ კასაնტეրოն տὴნ კუნაიხ, თὸν
ხრιსტὸν ասτի: პარახებუნი ეს
პრისკანერ.

'Օ ծէ პერ ბინერტერონ ծւ-
სემუ, კაით პალაკის უპომა-
სეს სეს პრὸς თეს გამეთի: უპე-
რეს მეს, ტელურ თას ესაკკელის
տὴნ აქთა, კაὶ კარებ პრაფი-
რონ ტელიკო ასტრ პერ თუთ
ლის თელი ტელენ. "Օ კაὶ გერის

როგორც ეს იმან ტერებულები
საგან ისწავლა, და მიმავალი
ცხადად ჰლალადებდა: «დიდება
შენდა, ქრისტე— ამბობდა ის,—
5 უფალო ტყვე-ქალისაო, მაღლო-
ბა შენდა და ყველივე პატივი
შენდა, მაცხოვარო ჩვენო, რო-
მელნიც ლირისი ვიქმენით შენდა-
მი რწმენით განმსვალვისა».

10 თავის თანამეცხედრეს უამ-
ბო ყველაფური დედოფალმა და
დაარწმუნა ლირსეულად დაესა-
ჩუქრებია (ტყვე-ქალი) ისე, რომ
მან მოინდომა ფულით დაესა-
ჩუქრებია ტყვე-დედაკაცი იმის
გულისათვის, რომ მან კეთილი
საქმე უყო მის მეულლეს. ხოლო
დედოფალმა ასეთი სიტყვებით
მიმართა მას: «ტყვე-ქალი იგი,
მეფევ, არც ვერცხლისთვის ილ-
ტვის და არც ოქროსთვის ილ-
ტვის. ის მოითხოვს ჩეენგან ლირ-
სეულ საჩუქარს: (ის მოითხოვს)
მხოლოდ იმას, რომ ჩვენ გორ-
წმენოთ, რომ ქრისტე არის ძე
მაღალი ღმერთის. მისთვის მოე-
ლი სიცოცხლე მარხვა და
განდეგილობაა, ხოლო ოქროს
და ვერცხლის განძები— ზედმე-
ტია. და მე გამოვცადე ის სათ-
ნომოყვარე ქალი. ჰეშმარიტებას
მოგითხრობ, მეფევ. ასე რომ: თუ
შენ ზრუნავ ჩემს ცხონებაზე, გან-
საკუთრებულად დავასაჩუქროს:
ის დედაკაცი და თაყვანი გსცეტ
მის ქრისტეს».

15 ხოლო მეფე ერთხანს არაფერს
სწყვეტდა; თუმცა ხშირად მოა-

κατά πρόνοιαν Θεοῦ τοῦ θέλοντος πάντας ἀνθρώπους σωθῆναι, καὶ εἰς ἐπίγνωσιν ἀληθείας ἐλλεῖν. Συνέβη γάρ τούτῳ ἐν θύρᾳ περι-
σπώμενον περὶ ὑλην κάταλσον καὶ 5 βαθυτάτηγε ἐν ἡμέρᾳ σταύρῳ ὑ-
ποστῆγαις νόκτα ἀπροσδόκητον. "Α-
ριν γάρ ἐν μεσημβρίᾳ κατὰ πά-
σης τῆς ὥλης περιεχόμη σκότος 10 βαθύτατον, ἐνīτο ἦν ὁ βασιλεύς. "Ως δὲ καὶ οἱ συνόντες αὐτῷ τῇδες
κάκεισse πρὸς τὴν θύραν διατεπώ-
μενοι εὑρηνται, φόβος συνέσχε τὸν
βασιλέα μέγιστος ἥκιστα λογιζό-
μενον, ὅπως δὲ καφύγῃ τὴν ἔσοδον. 15 Επεὶ δὲ καὶ πάντες οἱ συνόντες
αὐτῷ τὴν αὐτὴν ὑπέμενον ἀνάγ-
κην ἐκκεστον γάρ τῶν πρὸς αὐ-
τὸν ἐληγυθένα: σπευδόντων, ἐν φ-
κατελήγει τόπῳ, τὸ σκήτος ἑστή-
λωσε, προβήναι μή συγχωρήσαν
εἰς ἀλλήλων παράκλησιν. Τότε 20 ὑπομνησθεὶς ὁ βασιλεὺς τῆς γαμε-
τῆς καὶ τῆς ταύτην ἀνιάτως ἔ-
γουσσαν λατρεύνης αἰχμαλώτου, ἐ-
βόησε λέγων Χριστέ, ὁ τῆς αἰχ-
μαλώτου κύριος, παράστηθι μοι 25 ταῦν, ἵνα φύγω τὴν ἐπικειμένην
ἀνάγκην· ἔχω γάρ σαφεστάτην
πειραν τῆς θείας σαυτὸν ὅντας,
τὴν ἐμήν σύμβιον. Καὶ ἅμα τῷ
τελέσαι τὴν εὐχὴν εὐθὺς περικ-
ρεθέντος τοῦ σκέτου, τὸ φῶς τῆς 30 ἡμέρας ἐπεγένθη μᾶλλον ἡ τὸ
πρότερον κατὰ πάσης τῆς ὥλης,
ἐνθα δισκεν ἐτηλωμένος.

γονῆδρα θολόμειος μαζὶ μετέπειτα
λλούμενος μαργαρίτης οἰς ταῖς αντιρρέσδαις
τοῦργοντας δραδούργεδροις δα αδ-
δοδρα, ρωθούργεδροις αθηναϊ-
σατροῖς μησιτροῖς μησαθερέδροις
ρόροις. ῥαϊρα μησέδρα γανθρα-
βεγοτα ρημροτοσατα, ρημρελσαρ-
στροδρα, ῥατα ψευλα αραμιανο
ψευνεδρούργον δα ψευθαρούργεδροις
ψευνοδαμέρει μησυρούργον. ρητ-
ρελ, ρηρελσαρ οἰς δαρούροδρα
μηρογαλκαλοιαν ψευρον θρυστο,
μασ δροισιτρειος διαμηρούργαδα μηρο-
ρηροδρελοαδ: ψευδα μησατρού-
ρρομα δηρητρειος μησιρα μητρελο
θρυ, θαραρ μητρειος ηγον. θη-
λον ραρογαν μησο μηλεδρελο
οյη ιηγενειη σαναρούρροδα γανθρα-
ρηλο, ψευρελσειο μησιρα μησο-
ραρ μητρειος δα σηρηλεδροιτο ψευ-
ρηροντα σανηλεδρο, το ρη-
ρονταρ ορεροντα (ταρορον θρηλε-
ρηδα). θηρον ραρογειρον ψευ-
ρηλο μησο τανθρελεδροιο ιημερο
γασαζηρο ηγον, δα ψηρελο
ματρογανο, ρηρελνοιρ μητρειοσταν
μησελροσ ιησηρατροδρε, θηρε-
ρηδαρο μησαθρειο ιηρογονο, θα-
ραρ οισονο ιηρογον; (αθηρομ) ματ
αρ θηρελοτο θηρ θηρειρα ρητ-
θανετοισ δασαθερεδροαδ. μαθην
μητρειος μησορ ονδρα μητρελο
δα ιηγεη-καλο, ρηρελνοιρ γανγρηρον
μησο, ψευρελεδροιο θεροιο θη-
ρηδαρο, μητρελο, θηρελο
δα το θηρειρα: «γροιστρε, ψηρελο
θηρεη-καλοσαρ, μητρειος θηρειρο
ρατα αρειρορον μητρελο ψευ-



Καὶ παραγενόμενοι οὕκως ὑγιεῖς παρηχρῆται εὑρον τὸν βασιλέα κελεύοντα τὴν αἰχμᾶλωτον ἔως πρὸς αὐτὸν γενέσθαι, μηκέτι Θεὸν ἐτερον προσκυνεῖν ἐπαγγελλόμενον, 5 ἢ Ἰησοῦν Χριστόν, διὸ ἡ γυνὴ σέβεται. "Ἐργεται σὺν ἡ γυνὴ ἡ αἰχμᾶλωτος καὶ γίνεται τοῦ βασιλέως διδάσκαλος πάντα τὸν τύπον τῆς πίστεως αὐτῷ ἐπιστήτας. Ὁ δέ χαίρων οὐκ ἥδεῖτο πρὸς εὐτελοῦς γυναικός θεοτείβειαν ἐκμανθάνων· τούναντίον δὲ ἐπ' αὐτῇ σεμνονόμενος εἰς μέτον αὐτὴν ἔγειθαι ἐπὶ τοῦ πλήθους ἐκέλευσε, 10 παρέργησικόμενος ἐπ' αὐτῇ λέγων· διτοι μου ἡ γαμιετὴ θάνατον διὰ τῆς προσευχῆς ταύτης διέδρεκ Χριστὸν τοῦ πατριβασιλέως τῇ γέ- 15 ριτι. "Ἐπειδὴ τε τοὺς ὑπηκόους, εἰ θέλοιεν σύζεσθαι, καὶ τὰ αὐτὰ ὅρονεν καὶ τὴν εἰς Χριστὸν αἰρεῖσθαι προσκύνησιν τὸν εἰδώλων καταφρονοῦντας. Ἐπειδὴ δὲ ἔπικες πρὸς τὴς ἀγίας γυναικός ὅτι ἐκκλησίας χρὴ ἴδρυσασθαι εἰς προσκύνησιν τοῦ Χριστοῦ ὅπου προέξει 20 ἐπὶ τὴν γρείαν σπουδαίως.

Ως δὲ τοῦ οἴκου τὸν περίβολον ἦγειραν οἰκοδομήσαντες, ἕδει δὲ λοιπὸν τοὺς κίονας στήσαι ἐγ μέσῳ τοῦ οἴκου πρὸς διαιρέσιν τὸν συνεγχυμένων ἀνδρῶν τε καὶ γυναικῶν, θέλων ὁ Θεὸς πάγιον γνώμην ἐνθείναι τῷ τε βασιλεῖ

დუρήδα. Μετὰ τοῦτο μάκρην διέμενον
ნათελον θεοφοροῦ θεοῦ οὐτοῦ-
δήλωσιν δολοῖς μοქμένηδοίσα, σα-
ხελφοδότης ἡθοὶ μητροῦλη», და
როგორც კი მან გაათავა ეს
ლოცვა, მაშინვე გადაიფანტა
ბურუსი, დღის შუქმა წინან-
დელზე უფრო მძლავრად გაანა-
თა მთელი ტყე, სადაც ისინი
სვეტივით იყვნენ გაშეშებული.
შინ რომ დაბრუნდენ სალი-
სალამათი, მაშინვე იპოვეს მე-
ფე, რომელსაც დაეძახნა იმ
ტყე-ქალისათვის და შეეთვალა,
რომ ამიერიდან სხვა ღმერთს
არა სცემს თაყვანს, თუ არა
იცი ქრისტეს, რომელსაც ის
დედაյაცი თაყვანს სცემდა. და
აპა, მოვიდა დედაյაცი იგი და
შეიქმნა მასწავლებელი შეფისა
და ასწავლიდა მას ყველაფერს,
რაც რწმენას შეეხებოდა. გახა-
რებულს მას არ რცხვნოდა
ღვთისმოყვარების სწავლა უბრა-
ლო დედაյაცისაგან: პირიქით,
ის იმის წინ ტრაბაბონდდა, და
უბრაბანα შუახალხში გამოეყვა-
ნათ ის და მოურიდებლად ოქა
მის შესახებ, ვითარმედ: «ჩემმა
მეუღლემ სიკედილი. ოცდინა
ამისი ლოცვის წყალობით, ქრის-
ტეს მიმართ ყოველთა უფლისა». 25
და არწმუნებდა ქვეშევრდომებს,
თუ ცხონება გსურთ, გაიზია-
რეთ ეს, მიიღეთ ქრისტეს თა-
ყვანისცემა და კერძები უკუ-
აგდეთ. ხოლო, როდესაც ის-
წავლა წმიდისა მის დედაյაცი-

καὶ πᾶσι τοῖς ὑπ' αὐτοῦ ὑπηρέσις περὶ τοῦ διὰ τῆς αἰχμαλώτου γυναικὸς κηρυχθέντος εὑαγγελίον Ἱησοῦ Χριστοῦ τοῦ οὐεὶς αὐτοῦ, ποιεῖ τὸν τρίτον κίονα εἰς μέσον ὄρθρου θέντα, ἵτις δὲ πλάγιον διπλαῖς, μὴ γενέσθαι εἰς τέλος ὄρθιον, καθέπερ καὶ οἱ δύο ἔτεροι καὶ πολλὰ πρινότες οἱ τεχνῖται τὰ τειτία σὺν ταῖς μηχαναῖς ἀπάσαις διαρρήξαντες καὶ συντρίψαντες ὑπεξαντχωροῦντι φεύγοντες, δεδίντες μὴ ἐναποιειθεντας χαμαὶ ὑπὸ τὸν κίονα ἀποθάνωσιν. ἴστατο γάρ ὁ κίονας ἐν τῷ ἀέρι κρεμάμενος πλάγιος, μηδενός, ὡς ἔπος τοῖς τεχνίταις, ἐπινεκυμένου παρ' αὐτῶν τινὸς βρηθίμιατος. Ἀκούει ταῦτα ἡ αἰχμαλώτος καὶ δέει πολλῷ συσχεθεῖσα, μὴ ἀνάπλιν τὸ πλήθιος ἐπιδῆ ἐστιν πρὸς τὰ εἴδωλα, ἔρχεται δύνοντος τοῦ ἡλίου κατὰ τὸν τόπον, καὶ κλίνασσα γένει πρὸς τὸ Θεόν ἔως πρωΐ, ἤγειρε δὲ τὴς εὐχῆς τὸν κίονα, οὐκ ἐπὶ τὴν βάσιν ἐστῶτα, ἀλλ' ὄρθιὸν μὲν ἡρτημένον ἐπάνω τῆς βάσεως ὅσον ἀπὸ πήχεως ἐνίς, σίκονομοντος τοῦ Θεοῦ μὴ ἀπιέναι τὴν αἰχμάλωτον οἷκον ἔως τῆς τοῦ πλήθους ἀφίξεως, ἵνα γάρ τινα αὐτῆς τὴν ἐν τῷ ὑπ' αὐτῆς κηρυττομένων ἀληθινῆ μετέ πίστιν.

Μέλισσον οὖν ἔωθεν σὺν τῷ βασιλεῖ, καὶ ἰδόντες ὄρθιον ἡρτημένον τὸν

σαρκαν, ῥωμὴ σαζοίρων ψυχρούστησιν περαὶ δασάρσεδα γῆροις τρέπεις τοντούσιν, αγρυπτῷ γέ ταράματρέδοιτο θεούραφα ἀμισσατρεποῖς θρηνοῦσα.

5 ῥωμέσαρψαρψαστρούστησιν περαὶ δασάρσεδα γῆροις τρέπεις τοντούσιν, αγρυπτῷ γέ ταράματρέδοιτο θεούραφα ἀμισσατρεποῖς θρηνοῦσα.
 10 ῥωμέσαρψαρψαστρούστησιν περαὶ δασάρσεδα γῆροις τρέπεις τοντούσιν, αγρυπτῷ γέ ταράματρέδοιτο θεούραφα ἀμισσατρεποῖς θρηνοῦσα.
 15 ῥωμέσαρψαρψαστρούστησιν περαὶ δασάρσεδα γῆροις τρέπεις τοντούσιν, αγρυπτῷ γέ ταράματρέδοιτο θεούραφα ἀμισσατρεποῖς θρηνοῦσα.
 20 ῥωμέσαρψαρψαστρούστησιν περαὶ δασάρσεδα γῆροις τρέπεις τοντούσιν, αγρυπτῷ γέ ταράματρέδοιτο θεούραφα ἀμισσατρεποῖς θρηνοῦσα.
 25 ῥωμέσαρψαρψαστρούστησιν περαὶ δασάρσεδα γῆροις τρέπεις τοντούσιν, αγρυπτῷ γέ ταράματρέδοιτο θεούραφα ἀμισσατρεποῖς θρηνοῦσα.
 30 ῥωμέσαρψαρψαστρούστησιν περαὶ δασάρσεδα γῆροις τρέπεις τοντούσιν, αγρυπτῷ γέ ταράματρέδοιτο θεούραφα ἀμισσατρεποῖς θρηνοῦσα.
 35 ῥωμέσαρψαρψαστρούστησιν περαὶ δασάρσεδα γῆροις τρέπεις τοντούσιν, αγρυπτῷ γέ ταράματρέδοιτο θεούραφα ἀμισσατρεποῖς θρηνοῦσα.



τηλικούτον κίνα έξισταντο. Τότε τής αἰχμαλώτου πάται γενομένης καταφανοῦς διὰ τὸ γεγονός, ἀναστάσης αὐτῆς ἐκ τῆς εὐχῆς, εὐθέως ὁ κίνα, σιά τινων τεχνιτῶν τῇ οἰκείᾳ βάσει αὐτὸν προσαριζόντων ὡς ἦν μάλιστα, ἀπετέθη, πλείστην δισην παρὰ τοὺς ἔμπροσθεν καὶ τοὺς μετ' αὐτὸν κίνους ἔχων εὑπρεπὴ τὴν ἀσφάλειαν. Ἐκ τούτου γέγονε καὶ τοὺς λειποὺς τοῦ πλήθους συνελθεῖν καὶ συμπολεγμέναι τὴν τοῦ βασιλέως πίστιν θαυμάζοντας Χριστόν· τοῦτο γάρ αὐτοῖς ἡ αἰχμαλώτις ἐκείνη ἄγια γυνὴ διεμφατίρατο ἐδεδοκεῖ γάρ τοῦ πλήθους τὴν ἀπλότητα, μήπετε ἅρα ὑπὸ τῆς πατρώς δεισιδαιμονίας νυττέμενι· εἰς αὐτὴν τὸ εἰς Χριστὸν σέβας ἀπενέγκουντο, ἥγουν δόξαν περὶ αὐτῆς σχάσιμὴ συντείνουσαν πρὸς εὐσέβειαν. Διὰ τοῦτο καὶ κοινωνήγναι αὐτοὺς τῆς εὐχῆς προσετρέψατο, ἡνίκα τὸν κίνον ἡρτηρέντον τῷ οἰκείῳ τέπιῳ προσαρμόσθηκαν πεποίηκα, συσκιάζουσαν διὰ τούτου τὴν οἰκείαν ὑπέληψιν, τὴν δὲ τοῦ Σωτῆρος Χριστοῦ ἐνέργειαν λέγουσα εἰς πάντας ἀνθρώπους τοὺς εἰς αὐτὸν εὐεξιόντας διαβαίνειν ἐν ταῖς ὑπὲρ ἀνθρωπινή πράξεσι.

Μετὰ δὲ τὸ τελειωθῆναι τὴν ἐκκλησίαν ὑποτίθεται τῷ τε βασιλεῖ καὶ τῇ βασιλικῇ ἡ αἰχμά-

საშუალεύδοιτο ἀλλαργούμενος μηδέτερος αρά ხარისხε მდგრძნელუ მარტივე მედ სწორად ჩამოკიდებული ხარისხს ზემო დაახლოვებით ერთი წყრთის მანძილზე, და ღმერთმა განაწესრიგა ისე, რომ ტყვე ქალი არ წასულიყო შინ ხალხის მოსვლამდე, რათა მათ შეეცნოთ იგი მის მიერ ქადაგებული კეშმარიტი ღმერთის რწმენაში. ✓
და, აპა, რიერაჟზე მოვიდენ ისინი მეფესთან ერთად და, დაინახეს რა სწორად დაკიდებული ამხელა სვეტი, განვირდენ. მაშინ, როდესაც ტყვე ქალი ყველასათვის საჩინო შეიქმნა ამ ამბის გამო, და როდესაც მან ლოცვის თავი დაანება და ადგა, სვეტი მაშინვე, თითქმის ვინღაც ხელოსნებმა ის მის ხარისხს რაც შეიძლებოდა კარგად მიიკრეს, გაიმართა და შედარებით წინ და შემდგომ აღმართულ სვეტებთან უდიდესი ურყყვობა ჰქონდა. ამის გამო მოხდა ის, რომ დანარჩენი ხალხიც შემოკრდა და, კვირვობდენ რა ქრისტეს, გაიზიარეს მეფის რწმენა. და ეს დაუმტკიცა მათ წმიდამან მან ტყვე ქალმა: ვინაიდან მას ეშინოდა ხალხის უმეტების, რომ მშობლიური ცრუმორწმუნების გავლენით ქრისტეს თაყვანისცემა მასზე არ გადაეტანათ, ესე იგი ჰქონდათ მასზე ისეთი წარმოდგენა, რომელიც მის კეთილსათნოებას არ შეეფერებოდა. ამიტომ იმან



λωτος πέμψαι αὐτοῖς πρὸς τὸν
τῆς εὐσεβείας σύντροφον τὸν θεο-
φιλέστατην βασιλέα Κωνσταντίνον
πεμψθήναι αὐτοῖς παρ' αὐτοῦ αι-
τουμένους τὸν τὴν ἐκκλησίαν ἐκεί-
νην καθιερώσοντα. Τότε ὑπό τε
τοῦ βασιλέως καὶ τοῦ κοινοῦ τῶν
Ἴβρων οἱ σταλέντες πρεσβυταὶ
καταλαμβάνουσι τὴν Κωνσταντί-
νουπόλιν ἀναχργέλοντες τῷ βασιλεῖ
Κωνσταντίνῳ τὴν ἐκεῖσε κρατου-
θεῖσαν τοῦ Χριστοῦ πίστιν, ἐπί-
σκοπον αἰτοῦσι τοῖς διδίκηγα: αὐτοῖς
παρ' αὐτοῦ εἰς τὴν τῶν παρ' αὐτοῖς
ἐκκλησίαν καθιέρωσιν ἔρισον καὶ
διατίπωσιν. Οὓς προτεγμῶς δεξά-
μενος ὁ εἰσσεζῆς καὶ φιλόγρατος
βασιλεὺς Κωνσταντίνος, χαίρων ἐν
τῷ κυρίῳ, παρέστη τὴν αἴτησιν,
τὸν τῆς Κωνσταντίνου πατριλεως ἐπί-
σκοπιν Ἀλέξανδρον παρερμήσας
χειριστοῦσαι τῶν Ἴβρων ἐπί-
σκοπον, ὡμοῦ συνυρῶν Θεοῦ νεῦμα
εἰναι τῷ τοῖς ἀλλοιούσιν αὐτῷ
καθίσποτάσσοντος.

Τούτων ἡμῖν ὁ πιστότατος Βα-
κούριος ὑφηγητής γέγονεν, ἀνὴρ
εὐλαβέστατος καὶ τοῦ βασιλικοῦ
γένους τῶν παρ' αὐτοῖς Ἴβρων
περιφανέστατος, στράπης Ἠρ-
μαίων καταστάς, καὶ ταῖς ἀκρι-
βεῖαις τῇς Παλαιστίνῃς κατὰ τῶν
Σαρακηνῶν βαρβάρων ἐπιτράπ-

μοῦσθρόνῳ τοῦ βασιλικοῦ
μονασθολέοντα λογοῦσα, ἥπ-
τεσαζ μαζ ἀργούρεοντο Σερότι
ταροὶς ἀλογοὶς μοιαζόντα: αἱμοτοὶ
5 δεσμοὶς ταροὶς Σιδηνοίρεος δα
αθηροὶς, ῥωμή γροὶς τρέος μαζεο-
ροὶς θεούρομέμερεος ζεγελοῦ μοι-
ταργανοίσι μερεμερελ οδαμοιανθε θε-
γαζούρ Σαμερεδούσιοι θεορομελούρεος.
10 Ζεμდρομάρο δεγλεσοὶς δασρο-
λεοὶσα ζυγεόδαλο Ζηναρδαρεόδαλο
αφλεγεος θεογεσα δα δερομελος,
ῥατο ματ γαζθαζεοντο ζρομελο-
ζθεοντο-θεογοδαροτο δα δεγτοιο-
μογαρο γροντοραντοντον (μο-
ζιζηλεο δα θεορομελο), ρατο
ματ, μοισαδο θεορογενελο, γαμο-
γεθαζεοντο (ζοιθε) αδ δεγλεσοὶς
σαγυροτερεγλορο. μαθιν δεγτοὶσα
15 20 δα ιδεροτο γρεδουλοὶς μοιρ γα-
ζθαζεοντο μογροζηλεο δο μοιροαν
γροντοραντοντο δα, ζεζηρ-
θεο δα δεγτο γροντοραντοντο ογ
(ιδεροιαζο) γροὶς τρέος: ζρομεροὶς
25 30 δα δεγτο γροζηλεο δο, θεορομελο
ματ μοισαδο γροισγροδο θεοτοαν
αρεσθεο δα δεγλεσοὶδοις γροτοε-
γισοατοὶς δα θεργοτρε (ζαγελο-
σιο Ζεσεδοὶς) θαμογαλοδεδοὶσα-
τοὶς. θαθον δα γροὶς τρέοσθογε-
ρο γροντοραντο θεογεμ δεσοὶδο
θεοροδορο δο μοιρο, ζροαροδο
ρα ζρολοὶσατοὶς; μαζ Ζεοζηναρο
θεοροντο δα γροντοραντοντο δο
γροισγροδο ζροεζεοδο ζρο-
λοτροδασθεζεοντο ιδεροτο γροὶς
γροδοθο; αδαγρο δρομο δοσ (ζαρ-
γαρ) γεθοὶς, ρωμ γε θροισ δοθο



თანაც პისლეიონ, ოკრავ მთ უა-
ლისთა თუ აკა' აუთონ წირუ
ერთი.

ღმრთისა, რომელიც მარტინი მარტინი
სლო უძველდებარებს მას.

ეს ჩვენ გვიამბო ფრიად სარ-
წმუნო ბაქურიმ, კაცმა ფრიად

5 ღვთის მოშიშმა, მეფის შთამომა-
ვალმა და იბერთა შორის სახე-
ლოვანმა, რომელიც გახდა რო-
მაელთა სატრაპი და აჭარმოვა-
ომი ბარბაროს სარკინოზთა

10 წინააღმდეგ პალესტინის მწვერ-
ვალებზე და მათზე ბრწყინვა-
ლედ გაიმარჯვა.

ზემოთ მოყვანილი ბერძნული ტექსტი, როგორც ეს უკვე მო-
სენებულია, ჩვენ დავგეტდეთ ჩერიანის მიხედვით (A. M. Ceria-
ni, *Monumenta sacra et profana ex codicibus praesertim bibliothecae
Ambrosianae. Tom. I. Mediolani 1861.* გვ. 137 და შემდგომნი) და ის
კუთვნის არა უშუალოდ გელასი კესარიელს, არამედ გელა-
სი კვიზიკელს, რომელსაც 475 წლის მახლობლად ჩივას პირვე-
ლი კრების ისტორიისათვის საჭირო მასალები შეუკრებია და, რო-
გორც ეს ა. გლასს საქმაოდ აქვს დასაბუთებული, გელასი კესა-
რიელის შრომით უსარგებლნია. ის გარემოება, რომ ტექსტი ჩვე-
ნამდე მხოლოდ ერთი საუკუნის შემდეგ დაწერილი შრომის საშუალე-
ბით არის მოღწეული და არა პირველდელი სახით, გვავალებს ჩვენ
სათანადო სიტრობილით მოვეძყრათ მასში მოცემულ ცნობებს. გარდა
იმისა, რომ თავისთავად საგულისხმებელია აეტორის მიერ მის წყა-
როებში მოთხრობილი ამბების შეფერადება-ვანვრცობა, კერძოდ გე-
ლასი კვიზიკელი ის მიმართ ეს დოკუმენტალურად არის დამტკიცე-
ბული (A. Glas, I. c. 74—75). ასე რომ ჩვენი ტექსტის მოწმობანიც
ყოველ კერძო შემთხვევაში უნდა შედარებულ იქნეს სხვა ავტორების
მიერ მოცემულ ცნობებთან.

II

ჩვენი ტექსტი შედარებით სხვა ავტორებთან (რუფინუსი,
სოკრატი, სოზომენი, თეოდორიტე¹) ბევრს ახალს, ან სხვა-

¹ ამ ავტორთა ქართლის მოქცევის შესახები ტექსტები მოყვანილი აქვს ლა-
ტიკურებს (Scythica et Caucasica I ბერძნული ტექსტები, II ლათინური). გარ-

ნაირად გაშუქებულ ცნობას იძლევა (ლაზების მოქცევა, ტაქტიკური მოქცევა და მის დეტალები, კოსტანტინე მეფესთან ელჩების გაზავნის მიზანი, ეპისკოპოზ ალექსანდრეს დასახელება, კოსტანტინეპოლის ხსენება, ბაქურის შესახებ, და ზოგიერთი სხვა დეტალი). ჩვენს მიზანს არ შეადგენს უკველა ამ ცნობების დაწვრილებით განხილვა, მით უმეტეს რომ ისინი ნაწილობრივ უკვე გაშუქებული და შეფასებული აქვთ ა. გლასს (I. c. 50—53) და პროფ. კ. კეკელიძეს (იხ. მისი „ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები“: მიმომ ხილველი I, 1—53). ჩვენ გვსურს შევეხოთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს და შევადაროთ, სადაც შესაძლებელია, სხვების მიერ მოცემულ ცნობებს.

1. რუფინუსი (Hist. eccl. I 10=ლატიშევი II 364) ტაძრის აგების შესახებ ამბობს: *Fabricari tamen ecclesiam monet, formamque describit „ის (ტყვი ქალი) ურჩევს ეკლესიის აგებას და აღუწერს მის გარეგნულ სახეს“*. ბერძნულ დედანში შესაძლებელია ეს ადგილი სხეანაირად ყოფილიყო გადმოცემული და რუფინუსი ის საზოგადო ხაზებით გადმოცეს. ამას გვათვიქრებინებს ჩვენ გელასი კვიზიკელის (rsp. კესარიელის) ტექსტი, სადაც ვკითხულობთ: «როდესაც სახლის სტოას აშენებდენ, საჭირო იყო შუაში სვეტების აღმართვაც მამაკაცებისა და დედაკაცების შესაკრებელთა გასაყოფად» (იხ. ზემოთ გვ. 60,5). აქ ჩვენ გვაქვს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიისათვის მეტად მნიშვნელოვანი ცნობა, სახელდობრ რომ უკვე უჭველეს ქართულ ტაძრებს მოცოცხებოდა სპეციალური, ნაწილი, დედაკაცთა შესაკრებელი. ძნელია აქ იმის განსაზღვრა, რუფინუსი შეამოკლა გელასი კესარიელის ცნობა, თუ გელასი კვიზიკელმა განავრცი გელასი კესარიელი. ამიტომ ჩვენ ამ მნიშვნელოვანი დეტალის შესახებ მეტს ვერაფერს ვიტყვით.

2. ჩვენი ტექსტი გარკვევით ამბობს, რომ «მეფისა და იბერთა კრებულის მიერ გაგზავნილი მოციქულები კოსტანტინეპოლში მიდიან». პროფ. კ. კეკელიძე სხვა საბუთთა შორის ამ ცნობასაც იყენებს იმის დასამტკიცებლად, რომ გარდმოცმა ქართლის მოქცევის შესახებ კოსტანტინეპოლს უკვე დაარსებულად პგულისხმობს და ამისდა მიხედვითაც ათარილებს ქართველთა მოქცევას. შევგიძლია

და ამისა თეოდორიტეს ცნობა ქართლის მოქცევის შესახებ გადმოუთარებინა ეფურებ მცირეს: თ. ფორდანია, ქრონიკები I 34—36; ე. თავარიშვილი, ახალი გარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა, გვ. XXIX—XLIII.



თუ არა ჩვენი ტექსტის ცნობა ეჭვმიუტანლად შივილოთ შემოწმებული რომ გელასი კვიზიკელის ინტერპოლაციის კი თა წარმოადგენს აქ კოსტანტინებოლის მოხსენება, არამედ ის გელასი კესარიელსაც მოეპოვებოდათ. ჩვენ ვფიქრობთ, ამ საკითხში გელასი კვიზიკელის მეორე ცნობის, სახელდობრ ალექსანდრე ეპისკოპოზის შესახებ ჯერ კიდევ ა. გლასმა აღნიშნა (I. c. 52) და კ. დეკელი დემაც გიოზიარა, რომ ის გელასი კესარიელის ტექსტში არ უნდა ყოფილყო: ის არა ყავს მოხსენებული არც ერთ სხვა ავტორს და საფიქრებელია, რომ ეს ცნობა ჩამატებინოს თვით გელასი კვიზიკელს. იყო თუ არა კოსტანტინებოლი მოხსენებული გელასი კესარიელის დედანში? მარტო ის გარემოება, რომ რუფინუს ის მოხსენებული არა აქვს, ჩვენ არ გამოგვადგება იმის დასამტკიცებლად, თითქოს ის არც გელასი კესარიელს ჰქონიდეს, რადგან არის სხვა შემთხვევებიც, როდესაც რუფინუს ჩვენს ტექსტთან შედარებით მოთხოვთ შეკვეცილობა ახასიათებს. არც ის გამოგვადგება ჩვენ ამ საკითხის გადაჭრისათვის, რომ მერმინდელი ისტორიკოსები სოკრატი და სოზომენი კოსტანტინებოლს არ იხსენიებენ. რადგან არც ერთსა და არც მეორეს გელასი კესარიელით არ უსარებლინია (A. Glas, I. c. 79–83): სოკრატი ის წყაროს რუფინუსი წარმოადგენდა; ხოლო სოზომენისას რუფინუსი და სოკრატი. ჩვენთვის აქ მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კოსტანტინებოლს არც თეოდორიტე იხსენიებს; რომლის ტექსტუალური შედარება არ ვვებს, რომ ის ზემოდასახელებულ ავტორთა დამოკიდებლივ პირველწყაროებს ემარება (Parmentier თეოდორიტეს გამოცემის წინასიტყვაობაში) და რომ მას სხვათა შორის ხელთ ჰქონდა აგრეთვე გელასი კესარიელის «ისტორია» (A. Glas I. c. 84)¹.

3. დასასრულ ჩვენ ვვინდა შევეხოთ ჩვენი ტექსტის უკანასკნელ ნაწილს, რომელიც ბაკურს იხსენიებს. ბაკურის საკითხს ჩვენ იმ მხრით კი არ გვსურს მიუდგეთ, თუ რომელ ქართველ მეფეს ჰყულისხმობენ ბერძნულ-რომაულ-ქართული წყაროები, როდესაც ქართლის

¹ შეიძლება შემთხვევითი არ იყოს ის მოვლენა, რომ ეფრემ მცირეს ითავე კეირიკეს დავალებით დაწერილ „უწყებაში“ ბერძენთა ისტორიკოსებიდან მხოლოდ თეოდორიტეს „საეკლესიო ისტორიის“ აღვილი (I. 24) მოჰყავს. თუ „უწყების“ დაწერას ბერძნული წყაროების კრიტიკული შეფასება არ უძროდა წინ, მაშინ ეს ეფრემ მცირეს მეცნიერულ აღლოს უნდა მიეწეროს, რომ მან სწორედ ის წყარო აირჩია საკითხის გასაშუალებლად, რომელიც პირველწყაროებს ემარებოდა.



მოქცევაზე ლაპარაკობენ: არის ეს ბაქურ-მეფე თუ ომელაშვილი ან ჩერებაშვილი ან გავარჩევთ ტექსტების მიხედვით, მართლა მეფე იყო ჩიზ-შესკრებული რი, ომელიც ქართლის მოქცევის წყაროებშია მოხსენებული თუ არა? ცხადია, ჩენი მიღვომა საკითხისადმი ბოლოსდაბოლოს პირველ საკითხთან მიგვიყვანს, რამდენადაც ჩენი დასკვნა ბაქურის ვაროვნობას გამოააშკარავებს.

ტრადიციული გადმოცემა მირიანს ასახელებს პირველ ქრისტიან მეფედ. ეს აზრი საისტორიო მწერლობაში მიღებული იყო, მაგრამ 1895 წლის შემდეგ, როდესაც რააბემ გამოსცა პეტრე მახუმელის ცხოვრება, სადაც პეტრეს პაპალ გამოყვანილია მეფე ბაქური, ომელსაც ვითომ ქართველები მოქცევია, ისტორიკოსებმა ტრადიციული გადმოცემა პირველი ქრისტიანი მეფის შესახებ უარ-ცვეს, და ჩენ ვხედავთ, რომ ი.ვ. ჯავახიშვილი („ქართველ ერის ისტორია“ I 180) პირველ ქრისტიან მეფედ ბაქურს აღიარებს და ამ აზრის დამტკიცების დროს რუფინუსს ემყარება. რუფინუსი სწერს: «Haec nobis ita gesta fidelissimus vir Bacurius, gentis ipsius rex... exposuit». ჩენ ეხლა უკვი ვიცით, რომ რუფინუსზე დამყარება შეუძლებელია, რადგან საბოლოოდ დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, რომ რუფინუსი ამ შემთხვევაში ბერძნული წყაროს თარგმანია და სრულიად სამართლიანი იქნება, თუ ჩენ რუფინუსის სიტყვების შესამოწმებლად ბერძნულ პირველწყაროს მივმართავთ. გელასი კესარიელი სწერს: «ეს ჩენ გვიამბო ფრიად სარწმუნო ბაქურიმ, ყაცმა ფრიად ლვთისმოშიშმა, მეფის შთამომავალმა და იბერთა შორის სახელვევანმა» (63,3). როგორც ვხედავთ, გელასი კესარიელს რუფინუსის სიტყვების gentis ipsius rex'ის ნაცვლად ბაქური მოხსენებული ჰყაბს მეფის შთამომავლად (ვაკილიშვილი ვრცელება).

არის თუ არა ამით საბოლოოდ გადაწყვეტილი ბაქურის ვინაობის საკითხი? რასავირველია, არა. ორი, ერთმანეთის მოწინააღმდეგე წყაროს მოწმობა, ცხადია, ჯერ კიდევ ვერ გადასწყვეტს სკვითხს, თუნდაც მათ შორის ქრონილოვიური მანძილი დიდი იყოს. ეს მეთოდოლოგიური დებულება ჩენს შემთხვევაში მით უფრო მისაღებია, რომ იმ ორი წყაროდან, ომელიც ჩენ ეხლა განვიხილეთ, შართალია გელასი უძველესია, მაგრამ ეს უძველესი წყარო ჩენია მოღწეულია მხოლოდ V საუკუნის მეორე ნახევრის ისტორიკოსის, გელასი კვიზიკელის, შრომის საშუალებით. და საფიქრებელია, რომ გელასი კესარიელის თავდაპირველ დედანში სწორედ gentis ipsius rex'ის შესატყვისი ფორმულა ყოფილიყოს და «მეფის



შთამომავლად» გამოცხადება ბაჟურისა გელასი კვიზიკელს ტექნიკურად დეს. ეს საფიქრებელია მით უფრო, რომ გელასი კვიზიკელს სხვა შემთხვევაშიც მოეპოვება საკუთარი ინტერპოლაცია გელასი კესარიელის ტექსტისა (აյ ჩვენ უყრადღებას ვაქცევთ როგორც ალექსანდრე ეპისკოპოსის, ისე კოსტანტინეპოლის მოხსენებას). ამიტომ ცხადია, მხოლოდ რუფინუსისა, და გელასის ტექსტებით ეს საკითხი ვერ გადაწყდება.

საკითხის გადასაწყვეტად ჩვენ მოგვეპოვება კიდევ ერთი წყარო ანალოგიური წარმოშობის. ეს არის გიორგი ამარტოლი, რომელსაც გელასი კესარიელით უსარგებლნია. გ. ამარტოლს, საზოგადოდ, სჩვევი წყაროების მოყვანა თითქმის სიტყვა-სიტყვით: საკმარისია ადამიანმა წაიკითხოს გიორგი ამარტოლის ხრონიკაფოს რომელიმე ნაწილი და შეადაროს მის წყაროებს, რომ ამაში დარწმუნდეს.

გიორგი ამარტოლი ერთ ადგილას სწერს ბაკურის შესახებ:

οἱ στρατηγοὶ... εἰς τὸν πόλεμον ἀνέψυχώθησαν, ἐξαιρέτως δὲ Βακούριος, ἀνὴρ τῇ πίστει καὶ τῇ εὐσεβείᾳ καὶ τῇ ἀρετῇ τῆς ψυχῆς καὶ τοῦ σώματος ἔνδοξός, πάντας τοὺς πλησίους τυγχάνοντας τοῦτο μὲν τῷ κοινῷ, τοῦτο δὲ τοῖς βέλεσιν, ἔστι δὲ ὅτε καὶ τῷ ξίφει: ἐπειρύννεν, καὶ τὰ τάχυμata τῶν πολεμίων συνεζευγμένα καὶ συγκεκριστημένα διέρρηξε καὶ διὰ μέσου τοῦ πλήθους τῶν πεπτωκάτων τὰς τάξεις διατήξεις καὶ τοὺς αρρεῖς τῶν γενερῶν περιών πρὸς αὐτὸν ἐπορεύετο τὸν τύραννον (de Boor II 591—592).

გიორგი ამარტოლის ტექსტი რომ იმავე ეპიზოდს ეხდება, ე. ი. ქართლის მოქცევის, მას, რასაკირველია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გიორგი ამარტოლის ხრონიკაფის ზემომყვანილი ადგილის უაღრესი მნიშვნელობა მანქც ცხადია: ის გარემოება, რომ გიორგი ამარტოლის გელასი კესარიელის «საექლესიო ისტორიით» უხვად

„სარდლები... საბრძოლველად გამხნევდენ, განსაკუთრებით ბაკური, კაცი უოვლად ღირსეული როგორც ჩრდილი და სათნაებით, ისე თავისი სულიერი და ხორციელი სილამაზით. ვინც მის ახლოს მოხვდებოდა, ზოგს შებით დაანარცხებდა, ზოგს ისრებით, ზოგს კიდევ მახვილითაც. მან გაარღვეა მტრის ლეგიონი, რომელიც მჭიდროდ იყო შეერთებული, დამარცხებული ჯარის შეაში წყებები გასწი-გამოსწია და გვამების გორაკებს გვერდი აუხვია და ოვით ტირანთან მიეიღა“.



უსარგებლნია, საზოგადოდ, თავისი ხრონიგრაფის წერტილი და მიუღია მასაც მართალია, არა ქართლის მოქცევასთან, არამედ ევგენიოს ტირანის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლასთან დაკავშირებით თეოდოსი დიდის დროს ბაკური მეფედ-კი არა, მარტივად ანგრის სახელწოდებით პყავს მოხსენებული, იმას უნდა ჰმოწმობდეს, რომ გელასი კესარი ელსაც ივი მეფედ არ უნდა ჰყოლოდა მოხსენებული, და, მაშასადამე, ბერძნულ-რომაულ წყაროებში ქართლის მოქცევასთან დაკავშირებით მოხსენებული ბაკური მეფე არ უნდა ყოფილიყოს.

ქართული საგუთაგის აღმიანიშვილი ტერმინები

§ 1. ზოგადი ტერმინები.

რამდენადაც შენახული ქეგლებისდა მიხედვით შეჯელობის უფლება გვაქვს, საბუთების აღსანიშნავად შემდეგში ჩეულებრივ მიღებული ტერმინი „სიგელი“ უძველეს ხანაში გავრცელებული არ ყოფილა. იგი IX-XI-ს ს ითვან მოყოლებული იხმარება შეფეთა საბუთებში და უკვე ბაგრატ IV-ის 1058 წ. შიომლვიმისადმი ნაბოძებს საბუთში ნათქვამია: „აშ ვინცა პნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩეუნი“-ო, „დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩეუნი“-ო. (შიომლვ. ისტ. საბ. 4). ისტორიკოსს ჯუანშერსაც მოეპოვება ეს ტერმინი და ონიშნული აქვს: „ერისთავნი ქართლისანი ვერ ცვალნა საერისთავოთაგან მათთა რამეთუ სპარსთა შეფისაგან და ბერძენთა მეფისაგან ქონდეს სიგელი მკედრობისანი“ (ცა ვახტანგისი *410, ვვ. 192). რათვან ეს სიტყვა მე-XI-ე ს -ში როგორც მწერლობაში, იხევე საბუთებში ჩეულებრივ ტერმინად იხმარება, ამიტომ საფიქრებელია, რომ ის იქნებ უფრო ადრეც იყოს შემოღებული. ამ მხრივ საყურადღებოა ბაგრატ მეფის ოპიზისადმი ნაბოძები საბუთი, სადაც მეფეს ნათქვამი აქვს, რომ მიჯნაძოროელება „მოიხუნეს სიგელი გურგენ ერისთავთა-ერისთავისაი, გურგენ მეფეთა-მეფისაი, პაპისა ჩემისა ბაგრატ კურაპალატისაი და მამისა ჩემისაი“, ხოლო მეორეს მხრით „მოიღეს ოპიზართა დაწერილი გუარამ მამფლისაი“. ამ საბუთების განხილვის დროს გამორკვეულა, რომ „მიჯნაძოროისა სიგელთა შინა გუარამ მამფლისა დაწერილი, რომელი ოპიზართათუის დაუწერია, არა კსენებულ იყო არცა დამტეკიცებულად და არცა გარდაგდებულად“-ო (ს-ქს სძე-ლნი II 2-3). ამ ცნობაში საყურადღებოა, რომ ბაგრატ IV-ის განჩინების წიგნში ორჯერვე დაუინებით გუარამ მამფლის საბუთის სახელად „დაწერილი“-ა ნახმარი, გურგენ ევ-ვისა, გურგენ მეფეთა-მეფისა და სხვა მომდევნო მეფეების საბუთებისაოვის-კი „სიგელი“. თუ გავიხსენებთ, რომ გუარამ მამფალი † 882 წ. (იბ. ქ-ლი ერის ისტ. 11. ბაგრატ. შოამომ. შტო), გურგენ ევ-ვი-კი, რომელიც-კი უნდა იყოს იგი, მეათე საუკუნის მეორე მეოთხედის შოლვაწე მფლობელი იყო, შეიძლება ერთგვარ ქრო-



ნოლოგიურ საფუძვლად გამოვიყენოთ. თუ აქ ტერმინი უკრაინული იყით დარბაზში განხილული საბუთებითგან მომდინარეობს და შემთხვევითი მოვლენა არ არის, მაშინ ირკვევა, რომ მე-IX-ე ს—ში საბუთებს ჯერ „სიგელი“ არ რქმევიათ, არამედ „დაწერილი“ და მხოლოდ მე-X-ე ს—ის მეორე მეოთხედითგან უნდა იყოს ტერმინი „სიგელი“ ხმარებაში შემოსული.

ტ-Хს — ითგან მოყოლებული ტ-ХV — ის დამდევამდის სიგელი განხაუთორებით მეფეთა მიერ ბოძებული საბუთების აღმნიშვნელ ტერმინად იხმარებოდა და, როგორიც ქვევით გამორკვეული იქნება, თვით კათალიკოზებიც კი და დიდებულნი თავიანთი საბუთების აღსანიშნავად ამ სიტყვას არა ხმარობდენ ხოლმე. ამგვარად ცხადი ხდება, რომ XI—XV ს—ში სიგელს მეფეთა საბუთების მნიშვნელობა ჰქონია.

იქნებ უკვე ტ-ХIV ს—ითგანაც, მაგრამ ამ საუკუნის საბუთების მეტისმეტი ბურე რიცხოვანობის გაშო ჯერ ეს არ ჩანდეს, მხოლოდ მე-XV ს—ის დამდევითგან კი სიგელი წინანდებურად მარტო მეფეთა ნაბოძებს საბუთს აღარ ნიშნავს, არამედ კერძო პირთა საბუთების აღსანიშნავადაც იხმარებოდა. მაგ. ხმაშია ამირახორის მარილელ-აბაზასძის სვეტიცხოვლისათვის 1405 წ. შეწირულების წიგნი „სიგელად“ არის წოდებული (ისტ. საბ. III, 9). ამგვარადვე თაყა ზედგინიეს 1433 წ. შეწირულების წიგნსაც სიგელი ჰქვიან (ისტ. საბ. II, 6) და ამაირი მაგალითების მრავლად შეიძლება დასახელება (იხ. ისტ. საბ. II, 7, 9, 10, 11, 13, 15, 20 და ბევრგან სხვაგანაც), მაშინადამ ირკვევა, რომ სიგელი ტ-ХV ს—ის დამდევითგან მოყოლებული თავის პირვანდელ მნიშვნელობას მეფეთა ბოძებული საბუთისას ჰქარგავს და საბუთების აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად ხდება.

ტ-ХI — ის ძეგლებში საბუთის ერთ-ერთი სახეობის აღმნიშვნელ ტერმინად ჩვეულების ცხმარებოდა. ქლ საისტორიო მწერლობაში ეს სიტყვა სუბბატ დავითისძესა და ჯუანშერსა აქვთ მოყვანილი ერთი და იმავე ამბავის აღწერილობაში.

ჯუანშერს სახელდობრ ნათქვამი აქვს, რომ როცა ბიზანტიიელნი საქართველოთგან იხიშნებოდენ, „მაშინ ყოველნი ნათესავნი ბერძენთანი წარჩინებულნი ჰყლვიდეს ქუეყანათა შინა განძთა... მათ დაუტევს ქუეყანა ესე (ე. ი. საქართველო) და დაფლენეს განძნი იგი მათნი... შეიტანნეს ყოვლისა საგანძურისა გუჯარნი და რა გუჯარნი აღწერეს, ნათესავი თვისი და



ქუეყანა და დადვეს, რათა, ოდესი თვით გუჯრითა მოიძინეს ნათესავნი მათხი და თვთოვეული დანუყონ განძი და ქუეყანა“-ო (ც. გაბ-ტანგ გრ-გლის *417-418, გვ. 199).

მეორეჯერ იმავე ისტორიულს ნათქვამი აქვს: „მოგვითხრობს ჩეენ აღწერილი გვიჯარი, რომელსა შინა აღწერილ არიან მეფენი, წარჩინებულნი ტომებით და სოფლებით მათით“-ო (იქვ. *426, გვ. 206). ამ ორივე ადგილის მიხედვით გუჯარი ერთგვარი ხალხისა და ქონების აღწერის დავთარი გამოდის და არა სიგელის მსგავსი საბუთი, რა მნიშვნელობითაც ეს ტერმინი შემდეგში იხმარებოდა.

ეს ტერმინი მაქსიმე აღმსარებლის ცის ეფთვკმე მთაწმიდელი ს ქართულ თარგმანშიც გვხვდება. იქ სწერია: „იხილა რა ვითარ-მედ წვალებისა იგი ბადენი განეფინებოდეს ყოველგან და საკოური იგი ერთისა ბუნებისა მეტყუელთა და... კვალად განახლდებოდა... გუჯარხა დაწერეს და ეზოსა სოფია წმინდისასა აღმართეს“-ო (პ. კეიკელი-ძე Keimena 1, 63)... „გუჯარსა მას პრომისსა დაგიწერია შენცა სახელი და წამებად შენი: წმინდამინ მაქსიმე თქუა ჰე დამიწერია“ (იქვ. 85). არც ამ ორ შემთხვევაში აქვს სიტყვა გუჯარს სიგელის მსგავსი, იურიდიული საბუთის მნიშვნელობა, არამედ სარწმუნოების აღსარების შემცველ საბუთს ნიშნავს.

მაინც და მაინც საგულისხმოა, რომ მე-XI-ე ს—ის ქლ ძე ქლებში ეს ტერმინი ნახმარია საბერძნეთისა და არა-ქართული საბუთის აღსანიშნავად. თვით ქლ სისტორიო მწერლობაში კი, როდესაც ცნობები საქლოს პოლიტიკურ ყოფა-ცხოვრებას და წესწყობილებას ეხება, და ქლ საბუთებში მე XI ს—ითვან მოყოლებული მე-XV ს—ის პირველ ნახევრის დასასრულამდის, ჯერ-ჯერობით მაინც, „გუ-ჯარი“ არსადა გვხვდება.

თუ არ ვცდებით, სიგელის მნიშვნელობით გუჯარი აუცნობილ საბუთთა შორის პირველად გიორგი მეფის 1447—8 წ. მცხ-თისადმი ნაბოძებ საბუთშია ნახმარი. მას აღნიშნული აქვს, რომ წინან-დელ მეფეებს სვეტიცხოვლისათვის მამულები შეწირული ჰქონდათ და „სიგლებითა დაემტკიცნეს“, მაგრამ შემდეგში ეს სხვებმა მი-ითვისეს, ჩეენ ეს გამოვიძიეთ და მამის ჩვენის დამტკიცებული „ახლად გუჯრითა ამით დავამტკიცეთ და ვათარხნეთ და ვათავისუფ-ლეთ“-ო (გვ. 4), „დაიწერა გუჯარი ესე ჩუენი“ ამაღამ წელიწად-

სამ (თ. უორდანი). ქ'ები II, 250—60 და ს. კაკაბა ურავარული
საკათალიკოს მამულების გუჯარი 1447—1448 წ. გოორგი IX-ის
მიერ ბოძებული ვვ. 4, 6 და 8). შემდეგ კონსტანტინე მეფის 1488
წ. დამტკიცების წიგნში გვხვდება. იქ ნათქვამია: „პაპათა და მამათა
ჩუენთაგან გაჩენილისა დამტკიცება... ჯერვიჩინეთ და... ახლად გუ-
ჯარითა ამით ჩუენცა დავძმტკიცეთ... დაიწერა მტკიცე ეს გუ-
ჯარი—“ (ს. კაკაბაძე. „სიგელი (sic) ქართლის მეფე კოსტან-
ტინესი 1488 წ., ტფილ. 1913 წ., გვ. 5 და 7).

შემდეგ უკვე გუჯარი სიგელის მაგიერი მნი-
შვნელობით ხშირად იხმარება საბუთებში. კათა მეფის
1511 წ. დამტკიცებისავე წიგნში სწერია: „ვითა სამართლად... ვა-
პათა და მამათა ჩუენთაგან გაჩენილისა დამტკიცება, ეგრეთვე... ახ-
ლად გუჯარითა ამით ჩუენცა დაუმტკიცეთ... დაიწერა მტკიცე
ეს გუჯარი—“ (ისტ. საბ. III, 45 და 46). ლუარსაბ მეფესაც
ტფილ. სიონისადმი 1552 წ. ნაბოძებ საბუთში ნათქვამი აქვს: „მო-
ვახმევინეთ ძეველი თქუენნი გუჯარნი და... ჩვენ ახლად განუახ-
ლეთ... დაიწერა მტკიცე... სიგელი ესე—“ (ისტ. საბ. II, 41
და 42).

საბა თრბელიანის განმარტებით სიგელსა და გუჯარს შო-
რის ის განსხვავება უნდა იყოს, რომ „მეფეთა მინიჭებულსა წერილსა
სიგელი“, ხოლო „აგრძაյთა და სოფლებთა დამტკიცებისა წე-
რილსა გუჯარი“ ეწოდებათ (ლექს. „წერილი“). მაგრამ ეს თვით სა-
ბუთებით არ მტკიცდება, რათგან არა ერთი მამულის წყალობისა და
დამტკიცების წიგნია, რომელისაც სიგელი ეწოდება და ხშირია, რო-
ც სიგელი და გუჯარი ერთი მეორე არის ხოლმე ნაბარი.
ორივე ტერმინი ერთსა და იმავე ხანაში გვხვდება და ხან ერთი სკარ-
ბობს ხოლმე, ხან მეორე, მაგრამ საბოლოო ბატონობა განსაკუთრე-
ბით ერც ერთმა ერ მოიპოვა. 1579 წ. საბუთში ნათქვამია: „მცე-
თის ძეველი გუჯარნი და სიგელნი მოიხუნეს... რომელნიც პირ-
ველთ ძეველთ კელმწიფეთ... გაერიგებინნეს, გაესაზღურნეს და შეე-
წირნეს—“ (ისტ. საბ. II, 50).

სიგლისა და გუჯარის ერთნაირი მნიშვნელობა
იმ გარემოებითაც ცხადად მტკიცდება, რომ მე-XVIII-ე
ს-ის დამდეგს ეს ორი სიტყვა შეაერთეს და ერთ
ტერმინად აქციეს: ერკლე 1-ის 1703 წ. ქვათახევის მონას-
ტრისადმი ბოძებულს ერთიან საბუთს „სიგელგუჯარი“ ეწოდება.
იქ სახელდობრ ნათქვამია: „ეს შეწირულობისა და მკვიდრობისა
წიგნი და ნიშანი სიგელგუჯარი განვიახლეთ და მოვახსენეთ—“

(გვ. 6), „მოვიდენ წინაშე ჩვენსა... და დევლთა შეტყმაზე დასახურავად ხელმწიფეთა სიგელგუჯარისა განახლებასა გამდიდებულ შეტყმაზე დასახურავად ხელმწიფეთა სიგელგუჯარისა აღმაშენებელთა“ - თ ლეთ სიგელგუჯარისა თქვენისა მონასტრისა აღმაშენებელთა“ - თ ლეთ სიგელგუჯარისა თქვენისა მოერ შეტყირულთა ამათ სოფელთა ანუ ავარაკოთა, ანუ სამძღვართა, ანუ გლეხთა სიგელი და ნიშანი ჰქონდეს, ჩვენ სიგლითა ამით განგვიცუდებია და მტკიცე ესე ოდენ არს და თქვენცა ლვთისმსახურნო მეფენო... ესე სიგელგუჯარი დაამტკიცეთ... მტკიცე იქმნა ნებითა ლვთისათა სიგელგუჯარი ესე ამაღამ წელსათ ქვათახვის მონასტრის გუჯარი“ (sic), მთამ- ბე 1903 წ. № IX გვ. 35).

ამგვარად ირკვევა, რომ მე-X ს-ითგან მოყოლებული სიგელი”, ხოლო მე-XV ს-ის დასასრულიონგან მოყოლებული გუჯარი“ - ც მე- ფეთა ნაბოძები საბუთების საზოგადო სახელი იყო. კერძო პირთა საბუთ ებს „დაწერილი“ ვრ ქმევია, როგორც ეტყობა. მანდა- ტურთ-უხუცესი ჭიაბერი თავისი შიომღვიმის მონასტრისადმი მიძღ- ნილი შეტყირულობის წიგნის შესახებ ამბობს: „ესე დაწერილი მე ჭიაბერსა მეფეთ-მეფისა თამარის მიწასა მანდატორთ-უხუცესა... შემიწირავს იგი კაცი და დაწერილი დამიმტკიცებია“ - თ (შიომღ. საბ. 23). თამარ მეფის-დროინდელი შიომღვიმის ძმობის ტოხაძი- სადმი მიცემული სიმტკიცის წიგნის სახელად „დაწერილი“ - ა ნახმა- რი: „ესე დაწერილი და სიმტკიცე დაგიწერეთ და მოგახსენეთ... აწ სრული არს დაწერილი ესე ჩუქრან... და დამამტკიცებელი ვართ ამას დაწერილ სა“ - თ (იქვე 24). შიომღვიმის ძმობისაგან გრიგოლ მსახურთ-უხუცესისათვის საუკუნო სალოცავის განწესების წიგნშიც ნათქვამია: შიომღვიმელთ „დაწერილი ესე დაუწე- რია“ - თ (გვ. 6). „ესე დაწერილი ჩუქრ მლუიმელთაგანვე მოკესნე- ბული თქუნებ გრიგოლ მსახურთუხუცესისათუის“ - თ (ხ. კაკ. „სიგელი“ (sic) მსახურთუხუცესის გრიგოლ სურამელის 1250 წ. შიომღვიმი- სათვის დაწერილი“, ტფილ. 1912 წ. გვ. 6 და 7, თ. კორდ. ქუბი II, 127-128 და შიომღ. საბ. გვ. 65). ასევე სხვა შიომღ. მონას- ტრის კერძო პირთა XIII-XIV-ს. საბუთებშიც (იხ. შიომღ. საბ. გვ. 61, 62, 63, 66 და 71). კახა ჯავახიშვილსა და ბექა მანდატურთ- უხუცესს შორის 1285-1308 წ. დადებული კეთილმოყვრობის წი- გნშიც ნათქვამია: თუ „ესე დაწერილი გაგიტეხო“, ესდაეს მო- მიეიდეს (ს-ქს ს-ვლნი II, 8).

თვით საქართველოს კათალიკოზების საბუთებ- საც სიგელი კი არ ეწოდებოდა, არამედ „დაწერი- ლი“. მელქისედეკ კათალიკოზს მაგ. თავის 1020 წ. შეტყირულობის

წიგნში ნათქვამი აქვს: „ესე დაწერილი მოვაკენტეც წაუზოლიკე სამოციქულო საყდარსა მცხეთისასა“ (გვ. 31)... პროცესის მიზანი დანო მღვდელ-მთავარნო, რომელთა ესე დაწერილი... ჰახოთ თქვენც სიმტკიცე დასწერეთ... ბაგრატ აფხაზთა მეფე... ესე დაწერილი... კელითა თქვენითა დამიმტკიცეთ“-ო (ქუბი II, 31 და 35).

მიქაელ კათალიკოზის მსახუროუბულესის ვაჩე გუარამასძესადმი მიცემულ წყალობის წიგნშიც სწერია: „დაგიწერეთ და მოვეცით დაწერილი ესე ჩუენ... კათალიკოზმან მიქაელ“-ო (ს. კაკ. მე-XIII საუკ. პირველი ნახევრის საქართველოს კათალიკოზები. ტფილ. 1913 წ. გვ. 5).

არსენი კათალიკოზიც თავის შიომღვიმის მონასტრისადმი შეწირულობის წიგნში ამბობს: „ვინც ეს დაწერილი და გავებული წასა უდაბნოსა მღვიმისასა შეცვალოს“-ო (შიომღ. საბ. 51).

თუ „მეცველი“ მე-X ს—ითგან და „გუჯარი“ მე-XV ს—ის პირველი ნახევრის დამლევითგან მეფეთა მიერ მოძებული საბუთების ოღანიშნავად იხმარებოდა და ამავე დროს „დაწერილი“ დანარჩენ პირთა და დაწესებულებათაგან შედგენილს საბუთს ერქვა, „წიგნი“ ყველასი და უოველგვარი საბუთების საერთო სახელი იყო. ეს გარემოება თითქოს საბა ორბელიანსაც უგრძენია და ნათქვამი აქვს: „წიგნი ეწოდების ერთსა წერილთაგანსა მრთელსა ვისიცა იყოს“-ო (ლექს. „წერილი“). მაგრამ სხვა მხრივ განმარტება ბუნდოვანია. როდესაც სახუბარი სხვადასხვა გვარ საბუთებზე გვექნება, იქ მოყვანილი მაგილითები ცხად-ჰყოფენ, რომ ყოველნაირი და ვისგანაც არ უნდა იყოს მიცემული საბუთის ხაზოგად სახელად „წიგნი“ იყო, რომელსაც შინაარსის მიხედვით მხოლოდ მისი თვისების აღმნიშვნელი სახელიც ემატებოდა.

მართლაც უძველეს ქართულ ძეგლებში „წიგნი“ საბუთის აღსანიშნავად იხმარებოდა. დაბადების ქართულ თარგმანში სწორედ ეს ტერმინია მიღებული. იერემიას მაგ. ნათქვამი აქვს „მოვილე წიგნი მოგებისა და დაბეჭდული... და მივეც წიგნი მოგებისა ბარუქს“ (თ. 32₁₁₋₁₂), რაც უდრის ბერძნულ „ξέλισ“ ცბებლის თეჯა ათესავა; თი ესტრაქსემენი ყრაბინტავ ე'ν თე ცბებლის თეჯა ათესავა. და ლათინურის „sumpsi libellum possessionis ob-signatum... scripserant in libello posses-sionist“ მაშასადამე „ტო ბიბლიონ“-ის და libellum-ის გადმოსაცემად ძველად „წიგნი“ ყოფილა მიღებული.

საბუთის ერთი გვარის მნიშვნელობის ფრაზე მარტივი მნიშვნელობა მოდა აგრეთვე ტერმინი „ხელითწერილი“. გილორი არა მანამ და არა მანამ აღმნიშვნელი აქვს, რომ ითანამდებობა მონასტერს „დაუსხნეს სიტყვიცენი და კელით-წერილი“ და ოქრობეჭედი ღმრთისმსახურთა მეფეთანი“-ი (ცაიე და ეფთხი 3). საუბარი აქ ბიზანტიის კეისრების საბუთებს ეხება უმთავრესად. „კელითწერილი“-ის სახით ეს სიტყვა ეფთკმე ეთაწმიდელისაგან ქართულად ნათარგმნ მაქსიმე აღმსარებელის ცაშიც გვხვდება: „არა სიტყვთ ხოლო შევაჩუნე, არამედ კელისწერილიცა დავწერე შეჩუენებისაც“ (Keimena I, 73). ამ ორი მაგალითის მიხედვით შეიძლება აღმიანს ეფიქრა, რომ ეს ტერმინი განსაკუთრებით უცხოეთის, ბიზანტიის, საბუთის აღსანიშნვად იხმარებოდა, მაგრამ არსენი კათალიკოზის მე-XIII ს—ის დამდეგის შიომღვიმისათვის მიცემული საბუთი ამტყაცებს, რომ საქართველოშიაც ყოფილა საბუთები, რომელთაც „კელითწერილინი“ რქმებია. იქ მოხსენებულია „კელითწერილინი სანატრელთა... წისა მამათმთავრისა მელქიზედეკისი“ (შიომღ. საბ. 51).

საბუთის აღმნიშვნელ ტერმინად ნიშანი-ც იხმარებოდა. პირველი და ეს სიტყვა ამ უამად ცნობილ საბუთებში დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი მიცემულ ანდერძში გვხვდება. იქ სახელდობრ ნათქვამია: „ტფილის საამიდოთ, ვითა სხვთაცა ნიშნითა თვა კელითა ჩემითა დამოწერია, ასი დრაპენი მღდელთა და მგალობელთათვს, ნუვინ დააკლებს მათ“-ი (თ. ეორდ. შიომღ. საბ. 17, ს. კაპ. 12). ცხადია ამით დიდებულ მეფეს ჰსურდა ეთვა, სხვა ჩემივე ხელით დაწერილი სიგლით, საბუთით განსაზღვრული მაქვს, თუ რამდენი უნდა მიეცეს მღვდლებსა და მგალობლებს. მაგრამ თვით ეს საბუთი შენახული არ არის, ჩვენამდის მოღწეული. საბუთთავანი-კი მე-XIV ს—ზე უწინარეს ჯერჯერობით არც ერთი „ნიშან“-ად არ უწოდებს თავის თავს. ამიტომ ძნელი სათქმელია, დავით აღმაშენებელის ზემოხსენებული საბუთი თვითაც ნიშანად იწოდებოდა, თუ ჩვეულებისაებრ სიგელად და დავით აღმაშენებელის ზემომოყვანილი სიტყვა ამ ძეგლის საზოგადო, მხოლოდ ვითარცა საბუთის, სახელს წარმოადგენს.

მაინც დამამაინც დამახსიათებელია, რომ მე-XIV ს—მდე არც ერთს შენახულ საბუთთაგანს ნიშანი არ ეწოდება. ჯერ-ჯერობით პირველ საბუთად, რომელიც თავის თავს ნიშანს უწოდებს, ჯავახიშეკოლი-გამრეკელისაღი 1345 წ. ნაბოძები წყალობის



შიგნი უნდა ჩაითვალოს, ომელშიაც ნათქვამია: „დაიშვირო მეტენამია :ლგ: ოქონმბერსა :იბ: ბრძანება და ნიშანალ (?) გორჩევაშიც გინდა ჩემი ბრძანება და ნიშანი ჰქონდეს...“ (ს-ქს სტ-ლნი II, 10). შემდეგ ეს ტერმინი ნახარია 1348 წ. ანდრონიკე ბაგრატონინის სიგელში, სადაც სწერია: „და თუ ვის რაი ამა ადგილთა სიგელი და ანუ ნიშანი ჰქონდეს, ყოველივე სიგლითა ამით გამიტებია“ (იქვე II, 12). მაგრამ იმ ორსავე სიგელს ჯერ კიდევ კრიტიკული განხილვა ესაჭიროება.

მე-XV და შემდეგ საუკუნეებში „ნიშანი“ უკვე იშვიათი სიტყვა და ტერმინი აღიარ არის, მაგ. 1460 წ. საბუთში სწერია: „ურდოელასშეილისაგან ნაშეილებობისა სიგელი და ნიშანი თქუნ გქონდა“ (ისტ. საბ. III, 35). 1505 წ. საბუთში ნათქვამია: „ვისაც ამა მამულისა გაცემულობისა ნიშანი ჰქონდა, სიგლითა ამით გაგვიცუდებია“-თ (ისტ. საბ. III, 43).

„ნიშანი“ სპარსული სიტყვაა ნაშა და სპარსულშიაც როგორც ვასარჩევად მიღებულ საგანს, თუ ხასს ან მოხაზულობას, ისევე საბუთსაც ეწოდებოდა.

„პიტაკი“ ვითარცა საბუთის აღმნიშვნელი ერთი ტერმინთაგანი სტეფანე მტბევარისაღმი მიმართულს დაჩის წერილში გვხვდება: „გამოშოთხოვე მსაჯულისაგან პიტაკი განთავისუფლებისად, რათა განვერე ვეჭთა მათ საშინელთა-“-თ (ქუბი I, 101), ნათქვამია იმ წერილში. ამ გვარად „პიტაკი განთავისუფლებისად“ აქ პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების საბუთს ნიშნავს.

ეს ტერმინი ვითარვი ხუცესმონაზონსაც აქვს ნახარი გიორგი მთაწმიდელის ცი-ში და იქ ნათქვამია, რომ როდესაც დიდებული ქართველი მოღვაწე ბიზანტიის კეისარს უნდა სათხოვარით წარსდგომოდა, მეფის მოსვლის მოლოდინში გიორგი მთაწმიდელშა და ეინშე პეტრემ „დაწერეს პიტაკი წინაშე შეფისა“, რომელშიაც მისი სათხოვარი ყოფილა აღნიშული. კეისარი რომ მოახოვდა, გიორგი ზოაწმიდელმა „მისცა პიტაკი თვესითა კელითა“. მას ბოლოს უთქვაშს მთხოვნელისათვის: „რაცცა პიტაკსა აძას შინა სწერია“, აგისტრულებო (გვ. 335). ზემომყვანილითვან ცხადადა ჩანს, რომ აქ „პიტაკი“ თხოვნის, ჰაჯას მნიშვნელობით არის ნახარი და რათვან აქ და უფრო ხშარად მთხოვნელი ცხოვრების უფრო დაბალ საფეხურზე იდვა ვიდრე ის, ვისაცა სოხოვდენ, ამიტომ უნდა იყოს, რომ საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში ნათქვამი აქვს: „პიტაკი სავედრებელი მინაწერი“ არისო. მეორევან



ამავე ტერმინის * შესახებ სწერია: „უდარესისაგან უალენის შესახებ განაწყობის პიტაი“ ეწოდებათ (იხ. წერილის ქვეშ).

პიტაკი ბერძნული ტერმინია და წარმომდგარ, რია პერაკიან-ისაგან, რაც საწერ თაბასს ნიშნავს. რამდენადაც დაჩი ბერძნული სკოლისა და განათლების კაცი არ ყოფილი, იმდენად შეიძლება და უნდა ვითიქროთ, რომ ეს სიტყვა მაშინ ზარტო მწიგნობრული ტერმინი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ცხოვრებაში თუ არა, განათლებულ წრეებში, საუბარში შეიძლება მიღებული ყოფილიყო. მაგრამ ჯერ-ჯერობით არავითარი მტკიცე საფუძველი არა გვაქვს ვითიქროთ, რომ პიტაკი ქართული საბუთების აღმნიშვნელ ტერმინია იხ-XI-XIV სს ში. შენახულ საბუთა შორის უძველესი, რომელიც თავის თავს პიტაკს უწოდებს, 1408 წ. არის დაწერილი. იგი თუმცა სეფე-მწიგნობრის ხელით არის შედგენილი, შავრამ შაინც შეფის სიგელი-კი არაა, არამედ კრძო პირისა, მოხელის, საწოლის მწიგნობრის დავით ცნობის ძის მიცემულია. „დაიწერა ჩემ მიერ გულმოდგინებით ნალუაწი მცირე ესე პიტაკი“, ნათელამია იქ. ამა და ამ დროს სეფე-მწიგნობრის დემეტრე მარკოზაშვილის ხელითაო (ისტ. საბ. III, 7).

დაბახასიათებელია, რომ თვით იგივე დემეტრე მარკოზაშვილი ალექსანდრე მეფის საბუთებს არის დროს პიტაკს არ უწოდებს და მხოლოდ კარის მწიგნობარი იათორიძე გორგა მეფის 1463 წ. ზაქარია, კახა და ზაზა ჯავახის შეინარჩუნებისათვის ნაბოძებს წყალმობის წიგნს პიტაკს ეძახის: „დაიწერა პიტაკი ესე... კელითა კარისა ჩუქინისა მწიგნობრისა იათორისძისა გარსიმესითა“-ო (სქეს სამკურნალო II, 19). მეორე საბუთი, რომელშიაც ეს ტერმინია ნახმარი, 1466 წ. ეკუთვნის და კოსტანტინე მეფის სახელით მდივან-მწიგნობრის ზაქარია თუმანიშვილის ხელით ამავე ჯავახის შეილებისათვის არის ნაბოძები: „დაიწერა მტკიცე პიტაკი ესე-“ო (ივე II, 21).

ცხადია, რომ ამ ორსავე შემთხვევაში საბა თრბელიანის ზემომყვანილი განმარტება არ გამოდება და იქ პიტაკს საბუთის, სიგელის, მნიშვნელობა აქვს. საზოგადოდ-კი უნდა ითქვას, რომ პიტაკი ქართულ სამდივან-მწიგნობრის ენასა და ტერმინოლოგიაში იშვიათი სტუმარია და გაშინაურება მას მაინც და მაინც არ ეტყობა.

* აღბათ კორექტურული შეცთომა უნდა იყოს, რომ იქ „პატაკი“-ა დაბეჭდილი.



ურთიერთები

ახალ ქართულ სამწერლობო ენაში ჩვეულებული და აუცილებელ ტერმინად ქცეული „საბუთი“ მე-XVIII სა—მდე, თუ არ ვცოდით, არ იხმარებოდა. საბა თრ-ბელიანს თავის ლექსიკონში ეს სიტყვა ორც-ეი მოეპოვება. მაგ-ამ 1781 წ. ნათლისმცემლის მონასტრის, სიგელში, რომელიც აღმ. საქ. სასამართლოს განაჩენს შეიცავს, ეს ტერმინი ნახმარია იმ მნიშვნელობით, როგორც ეხლა გვესმის. მსაჯულთ იქ ნათქვამი აქვთ, რომ მომჩივარნი „ვალაპარაკეთ და ამათი საბუთები გავშინჯეთ“-ო (ისტ. საბ. V, 98). ამავე მონასტრის მამულის გამო ამტყდარი საჩივრის შესახებ 1782 წ. დაწერილს სასამართლოს გარ-დაწყვეტილების წიგნში სხვათა შორის ოღნიშნულია, რომ „თუ გო-გიბედაშვილებს მონასტრის ნასყიდობის სიგელს უკან ჯავახიშვილე-ბისაგან კვიროსში მამულები უყიდნიათ რამე და სარწმუნოს წიგნით და საბუთით დაამტკიცებენ, იმის პასუხი ჯავახიშვილებმა თავიანთის წილიდამ უნდა გასცენ“-ო (ისტ. საბ. V, 103). ამავე მო-ნასტერს 1790 წ. კიდევ ჰქონია საჩივარი და ამის შესახებ დადგენი-ლებაშიც სწერია: „უძლიერესი საბუთი ეს უფროა, რომ ქალაქის დაეთარი ენახეთ და ასე ეწერა «ნათლისმცემლის მონასტრის ყმა სვიმონ მეხაშეო», —ამან უფრო დაამტკიცა-ო (ისტ. საბ. V, 109).

საბუთი, როგორც მისი ქ-ლ მწერლობაში ასე გვიან შემო-სულობისა და უთვისტომობისა გამო საფიქრებელი იყო, ქართუ-ლი სიტყვა არ არის, არამედ არაბული ტე. „ზაბტ“-ისა-გან შეიძლება იყოს წარმომდგარი. არაბულად ეს სიტყვა წიგნში, დაეთარი შეტანილს, ოქმის შედგენას, ოქმსა პინშნაეს.

ქართულად მიღებული იყო ტერმინად აგრეთვე „ოქრობეჭედი“, რომელიც ბიზანტიის კეისართა ოქ-როს ბეჭდიანი სიგელების სახელად იხმარებოდა. გიორგი მთაწმიდელის ცის სიტყვით დიდებულმა ქართველმა მოლ-ვაწემ „გადასწყვდა რათა მედიონსენი პრასტინთა ჩუენთა ვერ შე-მოვიდენ, არამედ რათა გარე-გარე, სეკრეტონსავე მიეცემოდის რო-ქისაგან ჩუენისა ლიტრა ერთი დიმოსად, ვითარცა თვთ განაწესა... მეფემან კოსტანტი მონამაბემან და ამას ზედა ოქრობეჭედი შექმნა მტკიცე და უქცეველი... ესე ლიტრა ერთი... (არსენიმ) შე-მოსწირა და ოქრობეჭედსა შინა დაეწერა-ო (სავკლ. მუხ. გამ. ათონის ქრებ. 302—303). ქართული ტერმინი „ოქ-რო ბეჭედი“ უდრის და პირდაპირი თარგმანია ბერ-ძნული ტერმინის კუსიტანას „ხრვაზებულოს“-ისა. არც ქართველ მეფეთა სიგელებშია ტერმინად ოქრობეჭედი ნახ-

მარი, არც სხვა წყაროებში მოიპოვება ცნობა, რომ ქართული ტერმინები ფეთა რომელიმე სიგელი ოქრობეჭედად ყოფილიყო და ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს ტერმინი, თუ განსაკუთრებით არა, უმეტესად მაინც ბიზანტიის კეისრების ხრვაზის ხრვაზის ხრვაზის აღსანიშნავად უნდა ყოფილიყო მიღებული.

მონალობა ბატონობის დროს ქართულ მწერლობაში სიტყვა „იარლაყი“ ანუ „იარლუყი“-ც შემოვიდა, მაგრამ, როგორც ეტყობა, განსაკუთრებით მონალობა ყაენების წყალობის წიგნების აღმნიშვნელ ტერმინად იხმარებოდა და ქართული დიპლომატიკისათვის მნიშვნელობა არ ჰქონია. ეს ტერმინი უამთააღმწერელის თხზულებაში გვხვდება ორჯერ იქ, სადაც საუბარის ამაზე, თუ საქართველოს ეკლესიის საკეთმცყრობელმა როგორ შოახერხა სამშობლოს ეკლესია-მონასტრებისათვის უპირატესობის გამოთხვა. ის ამბობს: ულო ყაენთან ნიკოლოზ კათალიკოზს „დაუშერეს იარლუყი, რომელ არს ბრძანება (ბაზა) ... „მისცეს (ი) არლაყი შეწყალებისა“ (უამთააღ. *806,807, გვ. 648,749). სტეფანოს ორბელიანსაც აქვს ეს ტერმინი მოხსენებული და განმარტებული იმგვარადვე, როგორც ზემოდასახელებულ ქართველ ისტორიოსსა აქვს ახსნილი. „ზერხნ ხალიხს ირ է ჩამამან, ყორ მხედარები კუზნეც“ (უამთააღ. სტეფანი სტეფანი. 1911 წ. გვ. 411) - უშერენ იარლეხს, რომელ არს ბრძანება, რომელსა ჩვენ სიგელად სახელვსდებოდა - ა.

ორივე განმარტება ნიშანდობლივია, საბა ორბელიანს თუმცა ნათქვამი აქვს, რომ „მეფისაგან კელქუშეთთა მიმართ მინაწერსა იერლაყი“ ჰქვიანო (ლექსიკ. „წერილის“ ქვეშ), და თითქოს გვაფიქრებინებს, ვითომიც ეს ჩვეულებრივი და ქართველ მეფეთა წყალობის წიგნი ყოფილიყოს, „იერლაყი მეფეთაგან შეწყნარების უსტარი“-ათ (ლექსიკ.), მაგრამ იარლუყი, ან იარლაყი მონალური სიტყვა და ტერმინი ჯერ „იარლიღ“-ია.

მე-XVII-XVIII ს. ს. ში შემოდის აგრეთვე „ჩაყაში“. იესე ტლაშაძეს „კათალიკოზ-ბაქარიანში“ აქვს: ხეანთქარმა „მამული სრულად მიბოძა, რაყამი მომცა ფიცისა, მაშინვე დააწერინა, დაბეჭდა, დაამტკიცისა“ (ე. თაყ. გამ. 48, § 309). თუ ამ შემთხვევაში რაყამი ოსმალეთის სულტანის წყალობისა, თუ ფიცის წიგნს და სიგელსა ჰქვიან, იესე ოსეს შვილის თავგადასავალი ცხად-ჰყოფს, რომ ეს ტერმინი თვით ქართულ საბუთები-

სათვისაც უხმარიათ მე-XVIII ს. ის მეორე ნახტური ჩამოყალიბება
მაინც. მას სხვათა შორის ნათქვამი აქვს: „მეფეს ერგებული მედალი და
ბრძანება და რაყამი ასე ბრძანებული“ (ს. კატ. გამ. 58.) და
რაყმ, რაყამ არაბული სიტყვაა და წერილს, ნაშერს,
დამწერლობას, ხაზსა და რიცხვის-ნიშანს აღნიშ-
ნავს.

შინაარსისდა მიხედვით, იმისდაგვარად, თუ რა იურიდიული
თუ სხვაგვარი დანიშნულება ჰქონდა ოვითეულ მათგანს, საბუთებს
შესაფერისი სახელები ჰქონდათ ხოლმე. საბუთების ამ სპეციური
ტერმინების განხილვა იმნაირად არის ქვემოთ დალაგებული, რომ
ჯერ სახელმწიფო სამართლისა და სახელმწიფო დაწესებულების მო-
ქმედებასთან დაკავშირებული საბუთების ტერმინები იქმნება განმარ-
ტებული, შემდეგ სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საბუთების
აღმნიშვნელი სახელები და სულ ბოლოს ადამიანთა ურთიერთობაში
მიღებული მიწერმოწერისათვის არსებული სახელებია მოყვანილ-აბ-
სნილი.

§ 2. სახელმწიფო სამართლის ხიგლები.

მეფის მიერ თუ მისი სახელით დაწერილ სა-
ბუთს, ან წერილს „წიგნი სამეუფო“, ან „წიგნი მეფისად“
ერქვა. გიორგი მთაწმიდელს მაგ. ნათქვამი აქვს, რომ ბი-
ზანტიის დედოფალმა და მისმა ხელისუფლებმა მოციქული „წიგნე-
ბითა სამეუფო ხთა ლავრას წარმოავლინეს“-ო (ც ი 9 და
ე-ფისი 9, 1¹) ხოლო როდესაც დავით კურაპალატთანაც გაგზავნესკაცი,
„ურობალატმან... წიგნები მეფეთა მითუალა“-ო (იქვე 11).

განკარგულების შემცველი საბუთის აღმნიშ-
ვნელ ტერმინად „ბრძანებად“ იყო. გიორგი მეფის სიგელი მაგ-
ასე იწყება: „სახელით ლოისითა ეს ბრძანება ჩემი ას გიორ-
გი ბაგრატინისა“-ო (შიომლ. საბ; 13, ს. კატ. შიომლ. 3 სიგ.
11). მეფის განკარგულებას „სამეფო ბრძანებად“ (გი ხუცეს მონაზო-
ნი, ც აგ მთწისე 308) ეწოდებოდა მოხელეთა ბრძანებისაგან გა-
სარჩევად.

შემდეგში მე-XVII-XVIII ს. ს. მეფის ბრძანების აღმნიშვნელ
ტერმინად „ბატონის წიგნი“ ც იხმარებოდა. ვა ა ტ ა ნ გ VI-ის და-
ტურლამალში მაგ. ნათქვამია: „ბატონის წიგნით“ სტუმრისა
და მდგმურის დაყენებათ“-ო (პ. უმიკ. 26).



ძველი მე-XI და მე-XXII სს ის მეფეთა სიგელები, ყველა სამართლებრივი ბის წიგნები, რომელნიც ცნობილი არიან ერთსაღაიმუშავებული სიველადაც და ბრძანებადაც ითვლებოდენ და ყველგან ნათქვა-
მია: „დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი“-ო. მაგ-
რამ აქ ამ ტერმინს თავის საკუთარი მნიშვნელობა არა აქვს და დიპ-
ლომატიკური ნამდგრად ბრძანებად, ბრძანების წიგნად და საბუთად
შეიძლება მხოლოდ ხელკეშეთი მოხელეებისა, ან დაწესებულე-
ბისადმი განკარგულების შემცველი წერილობითი ძეგლი ჩაითვალოს,
რომელიც XVII—XVIII სს ში ან ასე იწყებოდა ხოლმე: „ჩვენი
ბრძანება არის, აბაშო“, ან სხვა სახელი იმ მოხელისა, ვისა-
დმიც იგი მიმართული იყო (1695—1703 წ. ნაზარალიხანის ბრძანება,
სუკს სძვრი II, 113), ან ასე: „ჩვენ მაგიერად შატბერაშვილს
პატას და შანაშვილს თინისა ასრე უამბეთ“-ო (1659-81 წ. მა-
რიამ დედოფ. ბრძანება, სუკს სძვრი III, 53). თუ არ ვცდები,
მე-XI—XVI სს ის არც ერთი საკუთრივი ბრძანება ჯერ გამოცემუ-
ლი არ ყოფილა.

მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნისა და გან-
წესების დროს, ან წარვლენილობისა, თუ მოვლინე-
ბის დროს მეფე არჩეულ პირს შესაფერის სიგელს
აძლევდა ხოლმე. ასეთ სიგელს თუმცა შეწყალების, ან წყალობის
წიგნის თვისებები ჰქონდა, მაგრამ ამგვარი საბუთებისაგან იმით გან-
სხვავდებოდა, რომ შიგ მოხელის უფლება-მოვალეობა და
სარგოს რაოდენობა იყო ხოლმე აღნიშნული, ან ნათ-
ქვამიიყო, რომ ეს თანამდებობა ამ პირს ჩვეულებრი-
ვი წესით ეძლეოდა. მე-XI—XV სს ითვან ამგვარი საბუთები
ჯერ აღმოჩენილი არ არის. შემდეგ-კი, რაც უფრო და უფრო ჩვენს
დროს ვუახლოვდებით, ამნაირი ძეგლების რიცხვი მრავლდება. რათ-
გან ამ სიგელებს მხოლოდ იმ პირისათვის ჰქონდა მნიშვნელობა,
რომელსაც თანამდებობა ენიჭებოდა, და თანაც მარტო მის სიცოც-
ხლის დროს, შთამომავლობა ასეთ საბუთებს სხვებსავით არ გაუფრ-
თხილდებოდა. ამიტომ უეპველია ძველი ხანითვან ამგვარი სიგელები
მომავალშიაც ძნელი მოსალოდნელია ბლობად, ან საზოგადოდ თითო-
ოროლის მეტი რომ აღმოჩენილი იქმნენ. ძველი საბუთების უქონლო-
ბის გამო, რა ეწოდებოდა ამნაირ სიგელებს XI—XV სს ში. არა ჩანს,
თუმცა შემდეგშიაც თვით ასეთ შინაარსის საბუთებშიც ხშირად მათი
ნიშანდობლივი სახელი აღნიშნული არ არის, მაგრამ ვახტანგ VI-ის
დასტურლამალითვან ამ საკითხის გამორკვევა შეიძლება. სახელოვან
ქართველ კანონმდებელს ერთგან ნათქვამი აქვს: „გორიდამ ამილა-
მილომხრულველი I



ხორის ჯარიმა საკომის თავისგასამტებლო ან სხვა უფლდეჭმულებული არის იმისი გარიგების წიგნში უწერია. გორიდამ სამდივანბეგო და საისაულო როგორც ერგების, მდივანბეგის გარიგების წიგნში სწერია-“ო (პ. უმიკ. 20). მაშასადამე იმ საბუთს, რომელშიაც დანიშნული მოხელის უფლება-მოვალეობა ყოფილა განსაზღვრული, „გარიგების წიგნი“ ჰრემენია ვახტანგ VI-ის დროს. საერთო დებულების გარდა თვითონული თანამდებობის პირისათვის გამწერების დროს ცალკე, მხოლოდ მის-თვის განკუთვნილი, პირადი „გარიგების წიგნი“ იწერებოდა, როგორიც არის მაგ. „მდივანბეგის გარიგებისათვს“, რომელიც ორბელიშვილს ვახტანგის შეილს ერასტის ებოძა 1704 წ. მის მდივანბეგად დანიშვნის დროს და სხვა (იხ. დასტურლამალი, პ. უმიკ. 56—58, იხ. აგრეთვე გვ. 16). ამის გამო არსებობდა ამირაბორის გარიგების წიგნი, მდივანბეგის გარიგების წიგნი და მრავალი სხვაც.

საფიქრებელია, რომ ეს ტერმინივე უნდა ყოფილიყო მიღებული ამგვარი სიგელებისათვის მე-XI—XV სს—შიაც, მაგრამ იმდროინდელი სახითა და მართლწერით „განრიგების წიგნი“ ერქმეოდა და ეხლაც სამეცნიერო მწერლობაში ასე უნდა ვუწოდოთ.

როგორც სხვა დარგშიაც, აქაც მეXVII ს—ში ქართული ტერმინი სპარსულით შეიცვალა. გარიგების წიგნის მაგიერ „დასტურლამალი“, ან მოკლედ „დასტურლამა“ შემოვიდა. ერასტი ორბელიშვილისათვის ნაბოძებს მდივანბეგობის განრიგების წიგნშიც სხვათა შორის გვხვდება ეს უცხო ტერმინი და იქ ნათქვამია: „ესე... მდივანბეგობის წესი და რივი დასტურლამა კიბოძეთ“—ო (პ. უმიკ. გვ. 56). დასტურლამალი სპარსული სიტყვაა სთორა და რეგლამენტს, განრიგებას, სამდივნო წიგნსა პნიშნავს.

არსებული უფლებრივი დამოკიდებულებითგან განთავისუფლების აღმნუსხველს საბუთს „გაესნითი“ ერქვა. ეფრემ მცირეს მაგ. აღნიშნული აქვს, რომ როცა თეოფილაკტე ანტიოქიის პატრიარქმა საქართველოს ეკლესიას დამოუკიდებლობისა და თვითმწყვნობის უფლება მიანიჭა, „მისცა ქართველთა პროტეპტიკონი, რომელ არს გაკსნითი, რათა თვთ მათისა საზღურისა ებისკობოსთაგან კელნი დაესხმოდინ უამაღეამადსა კათალიკონსა ქართლისასა“ (უწყებისათვს, ქ'კბი I, 76). დავით მეფის 1355 წ. სიგელში სწერია: „დაიწერა ბრძანებაი და გაკსნითი ესე ჩუენი-“ო (ქ'კბი II, 185).

გაესნითის გარდა „აესნითი“-ც გვხვდება ტერმინზე 1399 წ. ერთს სიგელში მაგ. სწერია: „ესე აკარა ქართული კარტი ნიშნად მოგუესენებია“-ო (ქვბი II, 204).

თუმცა წყალობა და შეწყალობა იმ თავითვე მრავალი საბუთების შინაარსი იყო ხოლმე, მაგრამ თვით სიგელი რომ თავის ამგვარ თვისებას სახელითაც ამულავნებდეს, ეს უძველეს ხანაში იშვიათი მოვლენა უნდა ყოფილიყო, მე-XV—XVI სს —ითვან-კი არა ერთხელ გვხვდება . მაგ. 1546 წ. საბუთში ნათქვამია: „ესე... წყალობისა წიგნი, ნიშანი და სიგელი გიბოძეთ“-ო (ისტ. საბ. III, 61), ან კიდევ: „მე ქართლისა კათალიკოზმა... ევდემოზ მოგეც ესე წიგნი წყალობისა... დაიშერა სიგელი და ბრძანება ესე“-ო (1634 წ., ისტ. საბ. IV, 20—21).

საბუთს, რომელშიაც ერთი პირი მეორეს რამეს აძლევდა, „მიცემულობის წიგნი“ ჰრქმევია: „თუ ვის რა ამისისა მიცემულობისა წიგნი და ნიშანი ქონდეს, იგი ყოველივე დაწერილითა ამით გაგუიცუდებია“-ო (1442 წ. სიგ., ისტ. საბ. III, 25). ზემომოყვანილი ტერმინის გარდა „გაცემულობისა წიგნი“, ან ნიშანიც გვხვდება, მაგ. „ვისცა ამა მამულისა გაცემულობისა ნიშანი ჰქონდეს, სიგლითა ამით გაგუიცუდებია“-ო (1505 წ., ისტ. საბ. III, 43).

სტ. ორბელიანის სიტყვებითა მტკიცდება, რომ უკვე მე-XIII ს—ში, თუ ამაზე ადრე არა, შემოსავლის აღწერის წიგნებს საქათველოში „დავთარი“ ჰრქმევია. მას აღნიშნული აქვს, რომ როდესაც სუმბატ თრბელიანმა, სომეხთა ეკლესიის გადასახადებისაგან განთავისუფლება იყიდა, ამისათვის მან მოაშლევინა ეს დაწესებულება საქართველოს ყველა დავთრებითგან („ათამინაქან ფასტარაფ ჩ. ჭავაგ“, Պაտი. 411). მაგრამ ამდროინდელი დავთრები შენახული ან ნაპონი არ არის. ჯერ-ჯერობით უძველესი ძეგლი, რომელიც თავის თავს ამ სახელს უწოდებს, 1578 წ. არის შედგენილი და ასეთი სათაური აქვს: „დავთარი ქუთათისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა“ (იხ. ე. თაყაიშვილის გამ., ძველი საქართველო და ცალკე წიგნად 1915 წ.). მე-XVII ს—ის დამლი საქართველო და ცალკე წიგნად 1915 წ.). მე-XVII ს—ის დამდევს მალაქია ამბობდა: „როდესაც საშინელისა ძურისაგან... ცაიდევს ეკლესია დაიქცა, მაშინ ყოველივე ეკლესიის სამკაული... ხატები თუ ჯვარი, დავთრები და მრავალი რამ ეკლესიის სამსახურებელი ძირს მოეწყუდა და წარკდა“. ამოღების შემდგომ გამორკვიულა, რომ „დავთრები განრყუნილ იყო“ (იხ. ს. კაკ. საცაიშ. გამოს. დავთარი 1913 წ., გვ. 41).

ვახტანგ მეფის დასტურლამალითგან ვიცით, შემოსავლისა-კი არ, არამედ ხალხის აღწერის წიგნით. დავთარი ეჭოდებოდა. ხალხის აღწერის წესრიგის დებულებაში ნათქვამია: „როდესაც ქართლი... აღწერების... სარდარი წავა, ერთი მდივანი წავა, აღსწერს და დავთარს დაიჭერს“-ო (დასტურ. 13). გართლაც მეწინავე დროშის, 1721 წ. ხალხის აღწერის წიგნის შესავალში ნათქვამია: ვახტანგ მეფემ „ბრძანა აღწერა თვთოულად.. ხოლო აღწერა მეწინავე დროშის საბარათაშვილოსა და სომხითისა უბრძანა ძესა თვსსა ბატონიშვილსა სარდალს ვახუშტის და თანხლება ჩვენ... მდინან-მწიგნობრის თუმანიშვილის გვისა... და... აღვწერეთ ამ დავთართა შინა, რომელთა ძალედვა აგჯართა და ცხენთა კმარებანი, გინა სამეფოთა ხარკთა და ბეგარათა გამოლებანი“ (ე. თაყ. გამ. მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა, 1907 წ., გვ. 3).

სამხედრო ბეგრის მოხდისა და მორიგე ლაშქრის შემადგენლობის აღმნუსს ვეღ წიგნს თუ სიასაც: „დავთარი“ ეჭოდებოდა. ერეკლე მეფის 1774 წ. მორიგე ლაშქრის გარიგებაში მაგ. სწერია: „რაც თავადნი და ან მოხელე ან არ მოხელე, ან აზნაური მოხელე ან არ მოხელე, გლეხნი... რამდენიც რომ იყვნენ ერთს სახლსა და ოჯახში თვითოსა-თვის მორიგეობაში ჩაგვიგდია და დაგვიწერია და სხვას დავთარში გაგვირჩევა“ (სქს სძლი 1, 188).

ცალკე და სათითო, პატარა დავთარებს გარდა შეიძლება „დიდი საერთო დავთარი“-ც ყოფილყო. იმავე ზემოდასახელებულ წყაროში ნათქვამია: „ყოველი კაცი თორმეტს თვეზედ გაგვიყვია და როგორადაც გაგვიყვია ერთი დიდი საერთო დავთარი ჩვენის მოკელეებისათვის მიგვიცია. და სხვა სოფელ-სოფელ მებატონებისათვის და მოკელეებისათვის მიგვიცია“-ო (სქს სძლი 1, 188 § 1)..

„დავთარი“ ამას გარდა ყოველგვარი ანგარიშის წიგნსაც ერქვა. იესე ტლაშაძეს „კათალიკოზ-ბაქარიან“-ში ნათქვამი აქვს: „ქართველთა დასჭრეს თავები თუშთა, ქახთა და თათრისა, მოართვეს ვახტანგს. შეიქმნა მდივნისგან წერა დავთრისა“ (ე. თაყ. გამ. 9, § 38). იესე ოსეშვილიც ამბობს თავის თავების თავგადასავალში: „ეს ორი ქესა თეთრი თავს დაედვა, ისარგებლა და მამაჩემს ას სამოცდა შვიდი თუმანი... თავისი გაუციდა, რომ თავისი დაწერილი დავთარი თვითმეულად აცხადებს“-ო.



„დავთარი“ ქართულში მონლოლთა ბატონშიშვილის
დროს შემოდის და თუმცა იგი ჩამომავლობით შესაძლებელია
არც მონლოლური და არც სპარსული არ იყენს და ტყავის, ეტრატის
აღმნიშვნელი ბერძნული ტერმინი „დიფფერას“-გან იყოს წარმომ-
დგარი, მაგრამ რედ „დაჭთარ“ იმ მნიშვნელობით, როგორც ქარ-
თულში შემოვიდა, სწორეთ მონლოლთა სახელმწიფოში იხმარებოდა
და იქითგანვე უნდა იყენს შემოხიზნული.

მე-XIII ს. მეორე ნახევრითგან გვხვდება ტერმინი
„ბარათი“-ც. პირველად ეს ტერმინი ბეგა სურამელის შვილის მი-
ქელის ცოლისაგან 1299 წ. ახლო ხანებში შედგენილ შეწირულე-
ბის წიგნში გვხვდება, სადაც შემდეგი ნათქვამი: „მოვაკესნე... (სო-
ფილ) ნისტე... შეუვალად სურამელთა და მათთა ჩამომავალთაგან,
ვითა არაი ვის საქმე სდებია... გამოვიღო ბარათის ყუელა-ი-
საგან: არაი ბარათი შევიდოდეს სურამელთა სახ-
ლისაგან და არც მათთა კელოსანთაგან, არცა თეთ-
რის ბარათი, არცა მათის სახლისა ულუფის ბარათი“-ო (ქვები
II 170). ამ ცნობითგან ცხადი ხდება, რომ ბარათი იმ ვატარა
მიწერილობას ჰქონდებოდა, რომელშიაც ხელისუფალი
მოხელე, თუ მებატონე მისი კუთვნილი გადასახა-
დის გამოგზავნილ კაცისათვის ჩაბარებას სოხოვდა
ხოლმე.

ბარათიც ქართული არ არის, არამედ თურქულია პე-
მე-XIII—XIV ს. სპარსულ მწერლობაში ფულისა და გადასახადის
აღების უფლების მიცემის შესახებს საბუთს, ერთგვარს ასიგნობას,
ასიგნობის საბუთს ეწოდებოდა (პროფ. ბარტოლომე ს მედი-
სკა ნადის ანისკოვის მედის მანუჩე, 26, შენ. 1).

საბუთების ერთ ჯგუფს „სიმტკიცის წიგნი“, ანუ „სიმტკიცე“
ჰქინიან. ათონის ქართველთა მონასტრის ერთს მე-XII ს. აღაშვი მავ-
სწერია: „აღლო წიგნი სიმტკიცისაც, რომელსა ჰქვიან დიალნოსი
აღმწერელისაც“ (ათონის კრებ. 270). გიორგი მთაწმიდე-
ლის სიტყვით ითანება და ეფთვებემ პორტაციის მონასტრებს „დაუხს-
ლის სიტყვით ითანება და ეფთვებემ პორტაციის მონასტრებს „დაუხს-
ლის სიმტკიცენი და კელით წერილნი და ოქრობეჭედნი ღმრთის
მსახურთა მეფეთანი“-ო (ცხ იქ და ეფთსი 3). „ესე დაწვრილი და
სიმტკიცე დაგიწერეთ... მოვმისა ლავრისა კრებულმან... თქუნ
ტოხაძეს“-ათ (XII ს. სიგ., შიომლ. საბ. 24).

წასლის ნებართვის მიმცემ მოწმობას „განსატევებელი წიგ-
ნი“ ჰქონდებოდა. მე-VI მსოფლიო კრების სჯულის კანონის ეფთვები
მთაწმიდელის ქართულ თარგმანში ნათქვამია: „არა-ვის კელ-

ეწითების ხუცესსა ანუ დიაკონსა ანუ კერძო—დიაკონსა ტყინიერ
წიგნისა განსატევებელისა თვისისა ეპისკოპოსისა მარტინე
სამრევლოსა მისღვად (ა. ხახ. 97). ამ გვარად „განსატევებელი
წიგნი“ თანამედროვე ცხოვრებაში შეცდომით შემოღებულ ტერმინს
შვებულების მოწმობას უდრის.

„სიგელი შეუვალობისა“ ისეთ საბუთს ერქვა, რომლი-
თაც შეწყალებული გადასხადებისა. ან ჩვეულე-
ბრივი სასამართლოსგან განთავისუფლებული იყო
ხოლმე. დავით აღმაშენებელის ანდრეძის სწერია: „ძევლით-
გან ვითა სიგელი შეუვალობისა აქვს ცხუართათვეს უსა-
ბანჯრობისა სამი ათასისა ცხუარისა მთას და ბარს, აწ მე მომი-
კესნებია ორი ათასი ცხუარი და ხუთი ათასი ცხუარი... უსაბაჯ-
როდ, უბაურდ და უწყინელად დგეს და იარებოდეს“-ო (თ. უორ-
დანია, შიომლ. საბ. 17., ს. კა კ. 10 და სხვა საბუთებშიაც
ბევრგან).

მონლოლთა ბატონობის დროითგან და შემდგო-
მაც ქართული „შეუვალობის“ მაგიერ მონლოლური ტერმინი-
საგან ნაწარმოები „თარხნობის სიგელი“ შემოვიდა. ტფილისის
სიონის 1540 წ. სიგელში მაგ. ნათევამია, რომ მთავარეპისკოპოზმა-
დომენტი „პირველ გაშებულობისა და თარხნობისა სიგელი ნი-
მოგუართნა და აწ ჩუენ კუალად განვაახლეთ“-ო (АКАГК I, ქანი II,
384).

ძელი ქართული ტერმინის მაგიერ მონლოლთა გავლენით შეუ-
ვალობის წიგნის ნაცვლად იხმარებოდა „თარხნობის წიგნი“-ც. მე-
ფე სვიმონი თავის 1582 წ. სიგელში ამბობს: „მოგუადეგით კარსა
და თარხნობისა წიგნისა წყალობასა გუეაჯენით“-ო (სქ-ს
სძვ-ლნი II, 46).

თარხნობის წიგნის მაგიერ ტერმინად „სითარხნის წიგნი-ც იხ-
მარებოდა. მაგ. იესე ჯავახიშვილს თავის 1614 წ. საბუთში ნა-
თევამი აქვს: „მოკითხული ვქენით და მამათა და პაპათაგან სითარ-
ხნისა წიგნი და ნიშანი გქონდა და აწ ჩუენც დაგიწერეთ სი-
თარხნის წიგნი და ნიშანი და გათარხნეთ და განგათავი-
სუფლენით ყოვლის ფერითა“-ო (სქ-ს სძვ-ლნი II, 28). ან კიდევ
როინ ჯავახიშვილს 1642 წ. საბუთში უწერია: „ესე წყალო-
ბისა და სითარხნისა წიგნი და ნიშანი გიბოძეთ ჩუენ ჯავახი-
შვილმა მდივან-ბეგმან პატრონმან როზ შენ აბანოელს ნასყიდასა“-ო
(სქ-ს სძვ-ლნი II, 66. იხ. აგრეთვე 1760 სიგ. ისტ. საბ. V, 76).



ამგვარი საბუთის აღ 25 ი შვნელ ტერმინი ფრანგული ტობის წიგნი"-ც იხმარებოდა. ერეკლე მეფეს შპილენზე გელში სწერია: „ესე... აზატობის წიგნი და ნიშანი გიბოძეთ“... გაგვითარებისაზე „ო (სქ-ს სბგ-ლნი I, 182-183). ბატუაშვილს პაპუასაც თავის: 1773 წ. საბუთში ნათქვამი აქვს: „მე ბატონის ჩემის სოლალაშვილის ზაზასაგან თავი დავიხსენ და აზატობის წიგნი მომტა, ვისაც გინდა ეყმე“-ო (ისტ. საბ. V, 83). როგორც ამ ამონაშერითოვანა ჩანს, აზატობის წიგნი ამ შემთხვევაში გადასახადისაგან კი არა, ყმობისაგან განთავისუფლების დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობით არის ნახმარი.

განთავისუფლების მიმნიჭებელ საბუთს ერქვა „სიგელი გაშვებულობისა“. თითქოს ამ ტერმინს შეუვალობის სიგელის მსგავსი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, მაგრამ მაინც რაღაც თავისი განსაკუთრებული ელფერი ედვა და ვგონებ გაშვებას ჰქონდა უმთავრესი ყურადღება მიზრობილი. ეს ტერმინი ტფილისის სიონის 1540 წ. საბუთშია ნახმარი და იქ ნათქვამია: მთავარეპისკოპოზმა დომენტიმ „პირველ გაშვებულობისა და თარხნობისა სიგელნი მოგუაროვნა და აწ ჩუენ კუალად განვაახლეთ“-ო (АКАГК. I, ქ-ქი II, 384).

სასამართლოს განაჩენის შემცველ საბუთს „გარდაწყვეტილობის წიგნი“ ჰქონდევია. ქრისტეფორე კათალიკოზის მიერ 1651 წ. დაწერილს საბუთში, რომელშიაც ნინოწმინდელისა და თვალელთა შორის ატეხილი დავაა გარჩეული, ნათქვამია: „ესე უკუნისამდე უამთა გასათავებელი გარდაწყვეტილობის აწიგნი და პირი დავდევით“-ო (ისტ. საბ. IV, 33), ან კიდევ უ არდაწყვეტილების წიგნი“, ან სიგელი, ან ფარვანაც ჰქემევია: „მოგუადევით კარსა... გარდაწყვეტილების წიგნს გუეაჯენით... მამულზედ თქუენ და რამაზ ისარჩევობით. საბრჭოთ და სასამართლოთ დავსხედით... ესე საბოლოოთ გასათავებელი გარდაწყვეტილობის წიგნი და სიგელი უბოძეთ... თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ... რასაც (sic) ამა ჩუენგან ნაწყალობებს გარდაწყვეტილობის ფარვანში ეწეროს“-ო (როსტომ მეფისა და სასამართლოს განაჩენი 1634 წ., სქ-ს სბგ-ლნი II, 231—232).

1782 წ. სასამართლოს განჩინებაში, ნათქვამია: -ციციშვილო იოვანე, რომ გაუყო მამულები და მიჯნები ჩაუსხა, ერთი პირი გარდაწყვეტილობის წიგნი გოგიბედაშვილებს უნდა მისცე და ერთი პირიც... აქ უნდა მოიტანო“-ო (ისტ. საბ. V, 103.).



„გარდაწყვეტილობისა ფარვანა“ ტერმინად პუბლიცის მუჭათა-ს. საბუთში ნახმარი და იქ წერია: „ქ. მეფეთ-მეფეთა-
(sic) სუიმონ გიბოძეთ ესე გარდაწყვეტილობისა ფარ-
ვანა გიბოძეთ ჩუენ ლ-თსა (sic) გუირგუინსამან მეფეთ-მეფემან.
პატრონმან სუიმონ... ამა ჩუენგანით ნაბოძურმან (sic) ფარვანამან
გააუდიოსა“ (sic) (1596 წ., სქ-ს სდგ-ლნი II, 227), მაგრამ საბუთი-
საეკვოა.

სასამართლოს გადაწყვეტილებას „განაჩენი“ ეწო-
დებოდა: „დაესხედით ბრჭეთ და მოსამართლენი... ბატონის
მოურავისა და ჯავახიშვილის ქაიხოსროს გადასაწყვეტლათ... სარჩელი-
და საჩივარი ორთავესი გავიგონეთ... დაიწერა განაჩენი ესე“-ო
(1620 წ., სქ-ს სდგ-ლნი II, 51—52 და სხ.). როსტომ მეფის ბრძანე-
ბით „დაესხედით... სასამართლოდ... სარჩელი ორთავესი
გავიგონეთ და გავსინჯეთ... ჩუენ მეფეთ-მეფეს პატრონს
იესეს ეს... მეფის ბრძანებით განაჩენი ასრე დაგვიმტკიცებია, რო-
გორც ამ განაჩენში სწერია“-ო (1646 წ. საბ., სქ-ს სდგ-ლნი II, 414).

როდესაც სასამართლო ან თითონ, ან საგანგე-
ბოდ წარვლენილი მოხელის საშუალებით საზღვრე-
ბის გასწორებას შეუდგებოდა და განახორციელებ-
და, საამისო საბუთსაც ადგენდენ ხოლმე, და ასეთ
საბუთს „მიჯნების გასწორების წიგნი“ პრქმევია. 1782 წ.
სასამართლოს თავის განაჩენა და განკარგულებაში ნათქვამი აქვს:
„ციცისშვილო იოვანე რომ გაუყო მამულები და მიჯნები ჩაუ-
სხა, ერთი პირი... მიჯნების გასწორებისა—წიგნი აქ უნდა
წამოიღო და მოხასტერში უნდა მისცე“-ო (ისტ. საბ. V, 103).

„შენდობის წიგნი“ თუმცა საბუთებში შედარებით იშვიათი
ტერმინია, მაგრამ აღმათ ეს შემოხვევითი მოვლენა უნდა იყოს, რათ-
გან ამგვარი საბუთი თავისდა-თავად იშვიათი არ უნდა ყოფილიყო
საქართველოში. მე-XVII ს. პირველი ნახევრის ყიფიანისაგან გენა-
თლისათვის მირთმეულ შეწირულობის წიგნში ნათქვამია: ჩუენ
მიერ ჩადენილი ცოდვისათვის „დიდხანს გვიწყრებოდი“ და „საუპა-
ტიო არ დაგვადებინე“ და „სადამდის ეს ადგილი არ შეგვაწირვი-
ნეთ, მანამდის არც ერთს ცოლ-ქმარს შენდობის წიგნი არ მო-
გვეცით“-ო (დას. სქ-ს საბ. I, 57). აქეთგანა ჩანს, რომ შენდობის
წიგნი ისეთ საბუთს ეწოდებოდა, რომელშიაც ეპის-
კოპოსისაგან ბრალდებულისადმი ცოდვის შენდობა
და მიტევება იყო ხოლმე აღნიშნული და მინიჭე-
ბული.



როდესაც ჩამოვარდნილი უთანხმოების, ან უფრო სიცურეული წყრომის და მრისხანების დამამშვიდებლად, დამაზუებლად და შუამდგომლად გამოდიოდა ვინმე, თუ ამ საქმეს ის პირი წერილობით აწარმოებდა, ასეთ წერილს, რომელშიაც შუამდგომელი უფროსს და განრისხებულ მხარეს შესათანხმებლად მიჰმართავს, „ხაშუამავლო წიგნი“ ეწოდებოდა. სეხნია ჩეირეს მოთხრობილი აქვს: „გამოვგზავნა მეფეს გიორგისათვის ყაენს ხალათი და მირვესის საშუამავლო წიგნი «შეირიგეთო და მიიჩნივ მის მართებულად»-ი. (ცა მ-ფთა, კიქ. 24, ჩუბ. 323).

როცა საშუამავლო მოლაპარაკების დროს მომდურავი შუამდგომელს შემცოდეს მაგიერ თავდებობას მოსთხოვდა ხოლმე პირობის დარღვევისაგან უხრუნველყოფისათვის, ან ვალის აღების დროს მსესხებელიც შუამდგომელს პასუხისმგებლობას მოსთხოვდა, იმ წერილობით საბუთს, რომელშიაც შუამავალი, ან შუამდგომელი სხვის მაგიერ, ან თითონვე საბუთის მიმცემი პასუხისმგებლობას კისრულობდა, „ხათავდებო წიგნი“ ერქვა.

მაგ. 1527 წ. ახ. ხ. მცხეთის № ტო სიგელში სწერია: „ეს სათავდებო წიგნი მოგაქსენეთ ჩე ბეგამან, სარვის, ნოდარ და ამილლაბარ თქნ... ქართველის“-ი (ქუბი II, 371). ხოლო 1682 წ. ერთს ამგვარს საბუთში ნათქვამია: „ეს სათავდებო წიგნი მოგართვი“-ი (ისტ. საბ. IV, 64).

წერილობითი პირობა, რომელშიაც ფიცი და ალ-თქმა იყო დადებული, გარკვეული წესით შედგენილი, „ხათიცრის წიგნი“-ს სახელით იყო ცნობილი. საფიცრის წიგნის მიმცემი ხშირად მეფე და დიდებულიც იყო ხოლმე და ამით ის გამდგარ ყმას უვნებლობასა და ბრალუხსენებლობას ჰპირდებოდა. მაგ. თეომურაზ I ავალიშვილს შემდეგი საბუთი მისცა: „ეს მტკიცე და შეუცვალებელი საფიცრისა წიგნი გიბძეთ ჩუენ კელმწიფემან თეიმურაზ... თქუენ ჩუენსა... ნამსახურსა ყმათა ავალიშვილს... ასრე და ამა პირსა ზედა“ (1630—33 წ., სქს სძვ-ლნი III, 541). „ეს საფიცრისა წიგნი და პირი მოგართვით ჩვენ გერმანოზისშვილთა... თქვენ გოსტაშაბისშეიღლს პაჟნასა ასრე და ამა პირსაზედა“ (1636—1703 წ., სქს სძვ-ლნი I, 128).

ამგვარ საბუთს „ფიცი და პირობა“-ც ეწოდება: „ეს ფიცი და პირობა მოგეც მე... თქვენ... ასე და ამა პირსა ზედან“-ი (1675—85 წ., სქს სძვ-ლნი II, 208). „ეს ფიცი და პირი მოგეც მე... თქვენ... ასე და ამა პირსა ზედან“-ი (1675—85 წ., სქს სძვ-ლნი II, 208). „ეს ფიცი და პირი მოგეც მე... თქვენ... ასე და ამა პირსა ზედან“-ი (1675—85 წ., სქს სძვ-ლნი II, 208).

რი გიბოძეთ ჩუენ... მეფეთ-მეფემან პატრონმა სვიმონ თქუენ ბართაშვილს გომტაბაბას"-ო (1619—29 წ. სქ-ს სძვ-ლნი I, 117) და 1774 წლის 1 იანვრის დასაცულებული პირობის აღმნიშვილი გვიანდებული ბუთს „პირობის წიგნი“ პრემერია: „ესე ...პირობისა... წიგნი მოგეცი მე მდივანმა ოთარ შენ ჩემს ბიძაშვილს მდივანს ვინის“-ო (1786 წ., სქ-ს სძვ-ლნი III, 567).

ამგვარსავე საბუთს, თუ იგი ფიცე-კი არა, არა მედ მხოლოდ ალთქმას შეიცავდა, „ალთქმის წიგნი“ ერქვა. მე-XVI ს. დამდეგს კოსტანტინე მეფეს ერთს თავის სიგელში, რომელშიც მცხოვრის საკათალიკოზო საყდარს მის მოტაცებულ მამულებს უბრუნებს, ნათქვამი აქვს: „ჩუენ ლვ-თივ გვრგვნოსანმან მეფეთ-მეფემან კოსტანტინე და ძეთა ჩუენთა დავით, გიორგი და ბაგრატ ესე ალთქმისა წიგნი გვადრეთ და მოგახსენეთ“-ო (ქ-გმ II, 320).

საპატრონებო დამოკიდებულების პირობის წერილს ან „საპატრონებო წიგნი“ ეწოდებოდა, ან უფრო ხშირად „ყმობის წიგნი“, მაგ.: „ესე საპატრონებო წიგნი მოგართვით ჩუენ ალიხანაშვილებმა... თქვენ ბატონს ჩუენს ბატონს მდივან ზურაბს“ (1679 წ. სქ-ს სძვ-ლნი III, 564). „ესე წიგნი ყმობისა მოგართვი მე მუშელმან ...თქვენ თბილელ მთავარების-კოპოზისა“-ო (1619 წ. ტფ. სიონის სიგ., ისტ. საბ. IV, 11).

იმ საბუთს-კი, რომელშიაც ყმისაგან თავის დახსნის გარემოება და საყმო დამოკიდებულებისაგან განთავისუფლება იყო აღნუსხულ-დადასტურებული, „თავდახსნილობის სიგელი“ ერქვა. ვაპა პაპუნაშვილს თავის 1737 წ. საბუთში მაგ. ნათქვამი აქვს: მე უთვალმიმაცისშვილის ყმა ვიყავ. ჩვენ ბატონებმობა ალარ მოგვიცდა, ავდევ და თავი დავისხენ. რითაც გული შევიჯერე, უკლებლივ მივეც. ახლა ავიღე ჩემი თავი და სიონთა მღლ-თისმობელს შემოვწირე და თავდახსნილობის სიგელიც თქვენ მოგართვი-ო (ისტ. საბ. V, 51) იმის დასამტკიცებლად, რომ მართლა თავდახსნილი ეყმო, ბლიაძე დათუნაშვილს თევდორესაც ტფილისის სიონის 1772 წ. სიგელში აღნიშნული აქვს: „ბატონმა ჩემმა შიომ მე ობოლი და პატარა გამზარდა და თავის სიკვდილის დღეს თავისის სულის გამოსაქნელად აზატი მყო და განმათავისუფლა და მამისაგან მიცემული ნასყიდობის სიგელი მევე მომცა და მიოხრა განმითავისუფლებიხარ, მოდავე არავინა გვაისო... ასე განთავისუფლებული რომ შევიქმნე... მოველ ჩემის ნება-წარილით და ჩემის მონღომებით ჩემი თავი შენს წმიდასა და დიდებულს ეკლესიას



შემოვსწირე და ჩემი თავდაკასნილობის წიგნის ტერმინები
თვით - (ისტ. საბ. V, 82).

საბუთს, რომელშიაც პირობის წერილის სახით
გადასახადის რაოდენობა იყო ხოლმე დადებული,
„დაკუეთილობის წიგნი“ ეწოდებოდა. მაგ. 1454 წ. სიგლში
ნათქვამია: „ესე...სამკუიდრო ჭამამულე წიგნი დ სიგელი კუ-
ლუხი [ს] დაკუეთილობისა დაგიშერეთ“-ო (ისტ. საბ. III, 33).

ქალიშვილს რომ გათხოვებისთანავე მზითვად
ქონებას გაიტანდენ, ამ ქონების აღმნუსხველსა და
აირობის შემცველ საბუთს „შითვის წიგნი“ ეწოდე-
ბოდა. მაგ. ჯავახიშვილ-გამრეკელს თვის ქალისათვის 1597
წ. მიცემული მზითვის შესახებ საბუთში ნათქვამი აქვს: „ესე ზით-
ვისა წიგნი და ნიშანი დაგიშერეთ“-ო (ცეს სტული II, 49).

საბუთს, რომელშიაც ვისიმე შვილად აყვანის-
გარემოება და პირობები იყო ხოლმე აღნუსხული,
„ნაშვილებობის წიგნი“ ანუ სიგელი ეწოდებოდა. ერთს
1460 წ. საბუთში მაგ. ნათქვამია: „ურდოელაშვილისა ნაშვილები-
ცა იყვენით და ნაშვილეობისა (sic) ნიშანიცა გქონდა... ურდოელა-
შვილისაგან ნაშვილებობისა სიგელი და ნიშანი თქუნ
გქონდა“-ო (ისტ. საბ. III, 35).

ადამიანის ნებისკოფის გამოხატულებას, რო-
მელიც მისი სიკვდილის შემდგომ უნდა განხორციე-
ლებულიყო, „ანდერძი“ ერქვა, ხოლო თვით ამ ნების-
კოფის შემცველ საბუთს ან „ანდერძის წიგნი“, ან მარ-
ტივად „ანდერძი“ ეწოდებოდა. ჯერჯერობით უძველესი ან-
დერძია დავით აღმაშენებლის 1123 წ. შიომღვიმის მონასტ-
რისადმი ბოძებული, რომელშიაც ეს ტერმინი ნახმარია კიდეც: თუ „აწ
შემდგომად ამისსა... ან დერძი ესე ჩემი შეცვალებად იურვოს“,
შერისხოს ლმერთმაო (თ. უორ. შიომღ. საბ. 19, ს. კა კ. ანდერძი დ თ.
აღმ. 15). მეორე ანდერძი ამავე მეფისაა, მაგრამ გელათის მონასტრისა-
დმი ნაშვალობევია და ისედაც საყურადღებოა. ჩვეულებრივ ანდერ-
ძი მოსალოდნელი სიკვდილის წინ, ან ავადმყოფობისა და ან ომში
გამგზავრებისას იწერებოდა ხოლმე. მაგ. შიომღ. მონასტრისადმი მი-
ცემულ ანდერძში დავით აღმაშენებელს ნათქვამი აქვს: „მე დავითს
მიწყიეს უამსა ჩემისა შარვანსა ზედა განშართვისა-
სა“ და ჩემი აშენებული ეკლესის სანახავად და მოსალოცავად მი-
სულს შიომღვიმეში „განმანათლებელმან ჩემმან ბერმან არსენი მიბრ-
ძანა ამის ანდერძისა დაწერა“-ო (თ. უორდ. 15, ს. კ კ. 5).

მძიმე ავადმყოფობის დროს, როდესაც ანდერძის უდიდესი ულავა თითონ წერა აღარ ძალუდა, შეეძლო თავისი შესტკილი თან დასწრებით ნათქვამი მოძლვრის პირით გადავ-ცა ანდერძიდ. ასეა მაგ. დავით აღმაშენებლის უკანასკნელი გელათის მონასტრის შესახები ანდერძი წარმომდგარი, საღაც, თავში-ვი ნათქვამია: „გიბძანებს და მოგაკესენებს მეფეთა-მე-ფე დავით დღე შინა სიკუდილისა და სოფლით გან-სვლისა მისისათა ჩემ მიერ უნდოხესა და ულირსისა მლოც-ულისა მათისა ბერისა პირითა“-ო (ქუბი II, 51).

„ანდერძის“ გარდა, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ტერმი-ნად „ანდერძის წიგნი“-ც იხმარებოდა. დავით ჯავახი-შვილს თავის 1769 წ. სიგელში ნათქვამი აქვს მაგ.: „მე კოდვილი დავით მდივანი ჯავახიშვილი ჭეშმარიტებით. ვსწერ ამ ანდერძის წიგნს“-ამ (ისტ. საბ. V, 80).

გიორგი ლალიძის 1792 წ. ანდერძის ბოლოშიც სწერია: „მე მათ სახლში აღზრდილმან... გიორგი მღვდელმან ეს ანდერძის წიგნი ასლიდამ უმეტნაკლებოდ და თანასწორად გადმოვს წერე აგვისტოსა თ(?) ქს უბგ“ (ს-ქს სძელნი I, 296).

როდესაც ადამიანი ავადმყოფობას, ან ომს გადაურჩებოდა და ლაშქრობითგან შინ ჯანმრთელი დაბრუნდებოდა, მერმე, ზოგჯერ კარგა ხნის შემდგომაც, მას წინანდელის მაგიერ შეეძლო ახალი ანდერძი დაწერა, რომელიც პირველს რასაკვირველად გაცუდებულად ჰქიდიდა. ამის გამო ერთისა და იმავე პირისა ერთისა და იმავე საგნის შესახებ შეი-ძლება „უახლესი ანდერძი“-ც ყოფილიყო, რომელიც „უმჯობესად“ იყო მინეული და უკვე მნიშვნელობას მოქლებული უძველესიც ყოფილი-ყო. დავით აღმაშენებელს მაგ. შიომღვიმის ანდერძშივე ნათ-ქვამი აქვს: ჩემ მიერ ეს დაწერილი ანდერძი სრული არ არის და „დაკ-ლებული სისწრაფისა არს“-ო. ხოლო „თუ ინებოს ღწნ ჩემი შემო-ქცევად“ შარვანის ლაშქრობითგან, ეს ანდერძი „უმჯობესად შეიც-ვალოს“-ო (ს. კაკ. 5). ეს აზრივე მეფეს ბოლოშიაც გამეორებული აქვს: „უკუეთუ უამი მომცის“, მაშინ „სხუად უახლესი ანდე-რძი დაწერო“-ო (გვ. 16).

როდესაც ვინმე თითონვე შესწირავდა თავის-თავს ეკლესიას, ან მონასტერს, მაშინ ამის აღმნუ-სხველ დამადასტურებელ საბუთს „თავის შემოწირულო-ბის წიგნი და სიგელი“ „თავშემოწირულობის წიგნი“, „თავშემი-რულობის წიგნი და სიგელი“ ჰაქმევია. თევდორე ბლიაძეს 1772 წ. ტფილ. სიონის სიგელში მაგ. უწერია: „ესე... თავის შე-



მოწირულობის წიგნი და სიგელი მოგართვი შენცადაკორფულება
ღ-თისა მშობელსა... მე ბლიაძის დათუნაშვილმა თევდორეს მასშეც
რომე... მოველ ჩემის ნება-წადილითა და... ჩემი თავი შენს
წმიდასა და დიდებულს ეკლესიას შემოვსწირე"-ო (ისტ.
სახ. V, 82, იხ. აგრეთვე V, 91). ამგარდვე ათანელ ჩილინდ-
რიშვილი ნათლისმცემლის მონასტრის 1778 წ. სიგელში ამბობს:
„ეს თავშემოწირულობის წიგნი მოგართვი მე ჩილინ-
დრიშვილმა ათანელმა ოქვენ ნათლისმცემლის არხიმანდრიტს უფალს
ეფთეომის ასე რომე... მოველ ჩემის ნებით წყალობის ყმათ და
წმიდის ნათლისმცემლის მონასტერს თავი შემოვწი-
რე"-ო (იქვე V, 91—92). გოგია შაბათაშვილსაც იმავე მონას-
ტრის 1776 წ. სიგელში ნათქვამი აქვს: „ესე... თავშეწირულო-
ბის წიგნი და სიგელი მოგართვი... ასე რომე... შევწირე თა-
ვი ჩემი... წმიდასა ნათლისმცემლისა მონასტერსა"-ო (იქვე V, 89).

დმობა-ერთობის პირობათა აღმნესხეველ საბუთს
„მმობის წიგნი“, ან „საძმო და ერთობის წიგნი“, ან კიდევ
„შეყრილობის წიგნი“ ერქვა. მაგ. „ეს დმობის წიგნი მოგარ-
თვით ოქვენმა მმისწულებმა... ოქვენ ბიძა ჩენს... ასრე და ამა პირსა.
ზედა: გაყრილი ვიყავით და... ისევ მმათ შევეყარენით"-ო (1717 წ.
საბ., სქ-ს სდე-ლნი I, 445). „ეს საძმო და ერთობის წიგნი
მოვე მე გოსტაშაბიშვილმა ...ერასტომი... შენ ჩენს ბიძაშვილს ზუ-
რაბს... პაპა ჩემი და მამა შენი... გაყრილიყვნენ და ახლა ჩვენ ერთ-
მანერთის სიყვარულით მოვინდოვეთ დმათ შეყრა და
ერთათ ყოფნა"-ო (სქ-ს სდე-ლნი I, 102—103).

ამ უკანასკნელ საბუთითვანვე ჩანს, რომ ასეთი საბუთებისა-
თვის მოყვანილ სახელებს გარდა სხვა უფრო შესაფერისი ტერმინიც
არსებობდა. იგივე გოსტაშაბისშვილი ამბობს: „პაპა ჩემი და მამა შე-
ნი... გაყრილიყვნენ და მას უკან დმობისა და სახლისკაცობის სი-
ყვარულით დმათ შეყრილიყვნენ... მაშინდელი იმათი შე-
ყრილობის წიგნი დღესაც არის"-ო (სქ-ს სდე-ლნი I, 102-103).

მაშასადამე ამგვარ საბუთს უფრო ნიშანდობლ-
ივი სახელიც ჰქონდა და „შეყრილობის წიგნი"-ც ეწოდე-
ბოდა. 1779 წ. საბუთის ბოლოს გოგია ბეჭანისძე თუმანიშვილიც
ამბობს: „მე თუმანიშვილს ბეჭანისშვილს გოგიას ამ კურთხეუ-
ლის პაპის ჩემისაგან მოცემულის შეყრილობის წიგნის ყაბული
მაქვს"-ო (სქ-ს სდე-ლნი III, 506).

ურთიერთი დახმარების შესახები პირობის წე-
რილს „ამხანაგობის წიგნი“ ეწოდებოდა: მაგ. „ესე... საძილენოს

საქმეშედ პირობისა და ამხანაგობის წიგნი მოგეცი უკრანცელი ვანმა ოთარ შენ ჩემს ბიძაშვილს მდივანს გივისა—ო (1786 წ.—ციფრული სტატისტიკური სტატისტიკური სტატისტიკური III, 567).

საფასით შეძენილობის საბუთს „ნასყიდობის წიგნი“, ან სიგელი ერქვა. მაგ. 1589 წ. სიგელში სწერია: „ესე ნასყიდობის წიგნი მოგაქსენეთ... დაიწერა სიგელი ესე“—ო (ისტ. საბ. III, 83, 84). „ესე... ნასყიდობის წიგნი და სიგელი მოგაროვით“, „ესე ნასყიდობის წიგნი მოგაროვით“—ო (ისტ. საბ. IV, 37—1662 წ. საბ., გვ. 45—1667 წ. საბ. და გვ. 44—1669 წ. საბ.). „ოთარ გერმანოზიშვილს თავის წილი მამული გარაბდას პაატა გერმანოზიშვილისათვის... მიეყიდნა... ნასყიდობის სიგელიც... პაატას ქონდა“ (ოეიმურაზ II-ის 1752 წ. განჩინება, სქ-ს სტატისტიკური I, 394).

როდესაც ქონება შეძენილი იყო ხოლმე სამავიერო ქონების მიცემითვე, ამგვარი ნაქმარის აღმნუსხველ საბუთს „გაცულილობის წიგნი“ ეწოდებოდა. მაგ. არეჭიშვილი 1638 წ. სიგელში ამბობს: „ესე გარდაწყვიტილობისა და გაცულილობისა წიგნი მოგაროვი მე არეჭიშვილმა აღიხან... თქუნ ბარათაშვილს ბატონს გერმანოს... (მიწები) და ამ რიგად გავსცვალეთ“—ო (სქ-ს სტატისტიკური I, 482—483). მანგლელი ეპისკოპოზი ივანე ც 1718 წ. საბუთში სწერს: „ესე... უცვალებელი ვენაკის გაცვლილობის სიგელი მოგეცით ჩენ მანგლელ ეპისკოპოზმან იოსებ ყოფილმან იოვანემ თქუნ ჯავახიშვილს ბატონს ფარემუხს“—ო (სქ-ს სტატისტიკური II, 306).

როცა რომელიმე პირი ეკლესია-მონასტერს, ან სხვა დაწესებულებას მამულს, უძრავს, ან მოძრავ ქონებას მისცემდა, ამის შესახები ცნობისა და ნებისყოფის შემცველ საბუთს „შეწირულობის წიგნი“, ან ზოგჯერ „შემოწირულობის წიგნი“ ეწოდებოდა. მაგ. „დაიწერა ესე შეწირულობისა წიგნი და სიგელი“—ო (1504 წ., ისტ. საბ. II, 25, იბ. აგრეთვე 1609 და 1635 წ.წ. სიგელები, ისტ. საბ. IV, 6 და 21), ან კიდევ: „დაიწერა... ნოჯიერა შემოწირულობისა წიგნი და სიგელი“—ო (1465 წ. ისტ. საბ. II, 18. იხილე აგრეთვე იქვე 1508 წ. სიგ. ისტ. საბ. II, 26 და რუისის 1609 წ., 1618 და 1649 წ. სიგ., ისტ. საბ. IV, 5, 10 და 31).

„ხაალაპო წიგნი“ ეწოდებოდა ისეთ საბუთს, რომელ-შიაც, რომელიმე შემოწირველისა, თუ მონასტრის ქველმომქმედისათვის აღაპი იყო ხოლმე დაწესებუ-

ლი. „ეს უუნისამდე უამთაგასათავებელი სააღა ჰუსტონის უფლება გადადრეთ და მოგახსენეთ ჩუენ ქულივისძეთა მათე და ჭერის მარტინის გუოფმან ბალრიამან.. ოქუენ პატრონსა შაპყუბათს... ავიღეთ სა- აღაპე თქუენგან.. და შეგიკუეთეთ ქვათაევს ვლაქერნისა ღმთის მშობლისა წინა მისითა პანაშუიდითა კარგალებულსა აღაპსა გარდავიც დიდეთ“-ო (1492 წ. ქვათაევის სიგ. ისტ. საბ. II, 24). ეს ძეგლი ნამდვილი და წესიერად შედგენილი სააღამო წიგნი არ არის. ნამდვილი სააღამო წიგნის პირი შეტანილია ათონის აღ- პების კრებულში.

ტერმინად იხმარებოდა „ოქმი“-ც. იესე ოსეს შვილს თავის თავგადასავალში სხვათა შორის აღნიშნული აქს, რომ როდესაც უად- გილოდ ყოფილა და სამსახური არ ჰქონია, კერძო მუშაობით „ოთო- ოროლს შაურს ვიშვეიდი: ან სიგელს დაუწერდი ვისმე, ან ოქმისა“-ო (გვ. 46). აქ მაშასადამე „ოქმი“ კერძო პირთა- თვის დაწერილ საბუთს ეწოდება. მავე ცნობითგან ცხადი ხდება, რომ ოქმი სხვა იყო და სიგელი, თუნ- დაც კერძო პირთათვის შედგენილი, კიდევ სულ სხვა საბუთი ყოფილა.

მაგრამ ოქმი მარტო კერძო პირისა და პირთა- თვის შედგენილ საბუთს არ ეწოდებოდა, არამედ მთა- ვრობისასაც. დასტურლამალში მაგ. დაწესებულია მდივნებისათვის სარგო „იჯარაზედ საწიგნო ოქმისა“ და ავრეთვე „გილანისა, ფუშთუქუნისა, სუნისა, ზარაფობისა, ელიალასის“ გაცემის საბუთზე, „ამათს ოქმზედ საწიგნე“-ო (დასტურ. 50). მურდრისათვის და- წესებულ სარგოთა შორის იხსენიება „ქალაქის ბაჟის ოქმზედ თორმეტი მინალოუნი“ (იქვე 51). ამ შემთხვევებში ოქმი პნიშნავს მეტის იმ ბრძანებას, რომელიც საჯაროდ გამოიცა, და რომლითაც ან ქალაქის ბაჟის წესრიგი განისაზღვრა და ჩაპირდა მოხელეს, ანა და თანამ- დებობა ეწყალობა. ეს სიტვეა არაბ. ქ-ი-ია.

ვალის აღებისა და პირობების აღმნუსხველ სა- ბუთს „თამასუქი“ ეწოდებოდა, სულერთია ვალიანი იყო, თუ უვადო, ვირაოთი, თუ უგირაოდ. მაგ. თეიმურაზ II 1752 წ. გა- ნჩინებაში ნათქვამია: „ოთარ გერმანზიშვილს თავის წილი მამული მარაბდას პაატა გერმანზიშვილისათვის... მიეყიდნა, მერმე ისმალო- ბას მამული წაერთმიათ და პაატა მისულიყო ოთარისათვის ისევ თა- ვის თეთრის თხოვნა დაეწყო, ოთარს იმ ხელათ თეთრი ვერ უშო- ვნია და თამასუქი მიეცა პაატასთვის“ (სეს სძე ლნი I, 394),

„ამ თამასუქის თეთრი თავნი და სარგებელი სრულად უშედრებული გიგანტის განაკვეთი“ (1782 წ., იქვე I, 158).

„ავიღე მე ხითარანთ ისაიას დედამა შენ მეფურნე არუთინასაგან თორმეტი მინალთუნი ახალი თეთრი, მოგეცი ამის გირაოთ ჩემი გარეთი ერთი ოთახი, სანამდის შენი თეთრი ჩემს კელთ იყოს, არც მე ოთახის ქირა ვითხოვო და არც შენ თეთრის სარგებელი ითხოვო“—ო. შემდეგ ბოლოში სწერია: „ამ თამასუქის თანხა მე მდივანმა გორჯასპიმ მივე“—ო (1745 წ. საბ., ს-ქს სძვ-ლი III, 422). „თქვენი თეთრი მემართა, რაც ძველის თამასუქის მამა თქუნს და თქუნ მოგცემოდა... გაუყდებულია“—ო (1688 წ. საბ., ს-ქს სძვ-ლი III, 568).

„ავიღევით თქვენ აბაზაძის ბერან მდივნისაგან... ოთხი თუმანი თეთრი, რაც ხანს კელთ დაყოს, თვეში თუმნის თავს აბაზი სარგებელია, ამის გირაოდ და გიდევით (ეს და ესა)... ამის სარგებელში ეს გირაოები უნდა გეპიროს და მოიქმარო“—ო. „დაიწერა თამასუქი ესე“—ო (1727 წ. საბ., ს-ქს სძვ-ლი III, 339).

იესე ოსეს შვილიც თავის თავგადასავალში მოგვითხრობს: მოვალე „სარგებელს ყოველს თვეს გვართმევდა და ან თამასუქზე დ თავნად გვაწერდა“—ო (გვ. 9).

თამასუქი მე-XVIII ს. შემოსული უცხო ტერმინია, არაბ. سکت ძველი ქართულში ამგვარი საბუთის აღსანიშნავიდ „ვალის წიგნი“ იხმარებოდა.

„ვალის გარდაწყვეტილობის წიგნი“ ისეთ საბუთს ეწოდებოდა, რომელ შიაც ვალის გაღახდილობის გარემოება იყო ალნუსხვილი. მაგ.: „იესე გარდაწყვეტილობის წიგნი მოგეც მე ეშივალასბაშიშვილმან სოლომონ შენ ჯავახიშვილს სეიმონს ასე, რომე ჩემი ვალი გემართა... გამოგართვი, გადაგიწყვეტია, შენთან საქმე აღარ მაქვს. თუ რამ სხვა თამასუქი გამოჩნდეს, ამან გაამტყუნოს“—ო (1712 წ., ს-ქს სძვ-ლი III, 245).

§ 3. კერძო ხასიათის საბუთ-წერილები.

თხოვნის შემცველ წერილს „წიგნი ვედრებისად“ ეწოდებოდა. გიორგი მთაწმიდელის სიტყვით, როდესაც ბიზანტიის დედოფალს ვარდა სკლიაროსი განუდგა და დავით კურაპალატისაგან დახმარების ვარდა სხვის არაფრის იმედი აღარ



ჰერონეული
პერიოდი
ბისა და დაწერეს კურაპალატსა თანა"-ო (ც ი ე და ე ფომის 11).

ხოლო გისიმე ამბავის შესატყობიდ და შესატყობინებლად და დაწერილს „მოკითხვის წიგნი“ ერქვა. ისე ისე შვილს თვის თავგადასავალში ნათქვამი აქვს: ჩემი მდიდობის დროს „ყოვლი წიგნი ჩემგან იწერებოდა მოკითხვისა, თუ სიგელი“-ო (გვ. 21).

სიყვარულის გამომუღავნებელ წერილს „მიჯნურობის წიგნი“ ერქვა. შოთა რუსთველს მაგ. ნათქვამი აქვს: „დაწერა წიგნი საბრძლო მის ყმის მისართმეველი მისისა მიჯნურობისა... უსტარი შესანახავი, არ ცუდად დასახეველი“ (ვეფხისტყ. ს. კავ. 145 § 1038).

ვისიმე სტუმრად დაპატიუების შემცველ წერილს „საწუეველი წიგნი“, ან „წვეულობის წიგნი“ ეწოდებოდა. შოთა ამბობს: „მას ლამესა საწუეველი რამიაროვეს წიგნი ყმასა“ (ვეფხისტყ. კავ. 146 § 1051).

რაიმე შემთხვეული უბედურების გამო თანაგრძნობის გამომაცხადებელ წერილს ან „გლოვის წიგნი“ ეწოდებოდა, ან „სამძიმრის წიგნი“. პირველი ტერმინი უფრო უცველეს ხანაში გვხვდება, მეორე მერმინდელში. წანის შატბერდისულ ცაში ნათქვამია: „ოდეს იგი მეფობდა ჰეროდე და მოგუესმა აქა ვითარმედ სპარსთა იერუსალიმი დაიპყრესო, გლოვისა წიგნი მოეწერა ყოველთა ურიათა მომართ ქართლისათა“ (Օშის. II, 761). ისე ისე შვილი კიდევ მოვითხოვობს, გაჭირვების დროს თავს იმით გირჩნდი, რომ „ზოგს სამძიმრის წიგნი დაწერე, იმითი ვაამე“ და ფულს ვიღებდიო (თავგ. 41).

აქა-იქ ჩენ ქართული ტერმინების მაგიერ გამონაკლისის სახით უცხო ენებითგან შემოხიზული ტერმინებიც გვხვდება. სათოთაოდ ასეთი მაგალითების მოყვანა ამ გამოკვლევაში, რომელიც მხოლოდ სრულიადი საქართველოს მეფეთა სიგელთმცოდნების ეხება, შეუძლებელია, სანიმუშოდ-კი შემდეგი მაგალითიც გამოდგება. ჩვეულებრივი ტერმინის „პირობის წიგნის“ მაგიერ დარეჯან დედოფლისაგან 1796 წ. სამღებროს მოიჯარადრე იასე იასეშვილისათვის მიუმულ ერთ საბუთში ნათქვამია: „ესე შართლამის წიგნი გიბოძეთ“-ო (საქ სამუშაველი III, 246).



ତୁ ଏହି କୋର୍କେଡ଼ିଆର୍କୁଲି, ଅନ ଡାମ୍ପିଏର୍କୁଲିସ ଶ୍ରେଷ୍ଠମା ଅର୍ଥାତ୍ କ୍ଷେତ୍ରରେ
ଫେରାନଶି ଶାର୍ଟନାମିସ ଫିଗନ୍‌ ଏହିରୀବା, ବେଳିରକ୍ଷଣକ୍ଷେତ୍ରରେ
ଦାମାଶିନଖ୍ୟାବୁଲି କାରସ୍ତୁଲ ମନ୍ଦିର ଶାର୍ଟନାମାକ୍-ତାନ ଗାଙ୍ଗଜିଲ୍
ଶାଖା, କାନ୍ଦିଲ୍ କାରସ୍ତୁଲାଙ୍ଘ ମାର୍କଟାଯି କାରସ୍ତୁଲିସ ଫିଗନ୍‌ସ
ନିଷନ୍ତର୍ବାଦି.

დასავლეთ საქართველოს საეპლესიო წესები- ბილება.

აფხაზეთის კათალიკოზი XIII – XV ს-ში.

უძველესი თარიღიანი ცნობა აფხ. კათალიკოზის შესახებ, პირ-შშო დედნის სახით ჩვენამდის მოღწეული, მეცაშეტე საუკუნის აღრინ-დელი ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ასეთი ერთადერთი თა-რიღიანი ძეგლი — დავით ნარინის სიგელი 1290 წლისა — ხელთა ჰქო-ნია პატივცემულ პროფ. ექვთიმე თაყაიშვილს და აქამდის გამო-ცემული არ არის¹.

„ახალციხერი ტყავის სახარება XII საუკუნისა“ მისი მინაწე-რებით, სადაც სვიმეონ აფხაზეთის კათალიკოზია მოხსენებული, და რომელთაც განსვენებული თედო უორდანია „პალეოგრაფიული ნიშ-ნებით“ „XI საუკუნის დამლევს, ან XII საუკუნის დასაწყისს“ მია-წერს², დათარიღების მეტ საფუძვლიანობას მოითხოვს. ესევი ით-ქმის იმ სიგლის შესახებაც, რომელსაც განსვენებული მკელევარი 1078 წლით ათარიღებს³, ხოლო ბ-ნი სარგის კაკაბაძე კი ლაშა გიორგის მიაკუთხნებს⁴. უკანასკნელ აზრს იზიარებს პროფ. ე. ჭ. თა-ყაიშვილიც⁵.

ამის გამო ჯერჯერობით უდავო არ არის ის მოსაზრება, თი-თქმ აფხაზეთის საკათალიკოზო XIII საუკუნის ერთმეტობის ხანაში აღდგენილიყოს.

რაც შეეხება შემდგომდროინდელი პირის სახით ჩვენამდის მო-ლწეულ უძველეს ძეგლებს, რომლებშიაც აფხაზეთის კათალიკოზი იხ-სენიება, ასეთებია: უამთააღმწერელის თხზულება, „წესი და განვებად მეფეთ კურთხევისა“, „კელმწიფის კარის გარიგება“ და დავით ნარი-ნის მეორე სიგელი.

¹ კელმწიფის კარის გარიგება, პრ. გ. თაყაიშვილის გამოცემა, წინა-სიტყვაობა, V.

² თ. უორდანია, ქრონიკები II, 88-90.

³ იქვე, 50.

⁴ ს. კაკაბაძე, შიომღვიმის სამი სიგელი, 11.

⁵ პრ. ე. თაყაიშვილი, კელმწიფის კარის გარიგება, წინასიტყვაობა V.



გარდა ამისა აფხაზეთის კათალიკოზი იხსენიება XIV—XV საუკუნის სხვადასხვა თარიღიან სიგელებში. სამწუხაროდ, გამომცემელნი არ აღნიშნავენ, ხსენებული ძეგლები დედანია თუ პირი. ასეთი სიგელებიდან შევიძლია დავასახელოთ გიორგი მეფის სიგელი 1451 წლისა¹, ალექსანდრე დიდის სიგელი 1439 წლისა² და კოსტანტინე მეფის სიგელი 1408 წლისა³.

ზემომოყვანილი ძეგლებიდან მხოლოდ დავით ნარინის სიგელები არიან ორმეფობის ხანისა. ყველა დანარჩენი ძეგლები ერთმეფობას გულისხმობენ⁴.

ყველ შემთხვევაში ერთი რამ ამ უამად უდავოა ჩვენთვის: XIII საუკუნის ერთმეფობისა თუ ორმეფობის ხანაში აღდგენილი თუ ახლად დაარსებული აფხაზეთის საკათალიკოზო არსებობდა მაშინაც კი, როცა საქართველო ერთი ხელმწიფის გამგებლობის ქვეშ მოლიან სახელმწიფოს წარმოადგენდა⁵.

როგორი იყო ამ დროს აფხაზეთის კათალიკოზის უფლებრივი მდგომარეობა? როგორს უფლებრივ ურთიერთობაში იმყოფებოდა ის ლიხთამერის კათალიკოზთან?

აფხაზეთის კათალიკოზთა შესახებ ცნობების შემცველობის მხრით ჩვენ მიერ მოყვანილი ძეგლები ორ ჯგუფად იყოფა: მეფეთა სიგელები და სამი დანარჩენი ძეგლი. სიგელები აფხაზეთის კ-ზის მარტივი მოხსენიების გარდა სხვა რაიმე პირდაპირ ცნობას მათ შესახებ არ ვაძლევენ. მაგრამ საინტერესოა თვით ამ მოხსენიების ხასიათიც. სიგლის ბოლოში მეფე მიჰმართავს: „...და თქუენ წ-ნო მეუ-

¹ ექ. თაყაიშვილი, საქ. სიძველენი I, გვ. 1-3. თ. უორდანია, ქრონიკები II, 262-3.

² თ. უორდანია, ქრონიკები II, 224.

³ ექ. თაყაიშვილი, საქ. სიძველენი III, 432-435. ეს უკანასკნელი სიგელი ე.წ. სასისხლო სიგელთა ჯგუფს ეკუთვნის. აფხ. კ-ზი სხვა სასისხლო სიგელებშიც იხსენიება, მაგრამ თვით ეს სიგელები სინამდვილის მხრით საეჭვონი არიან, ამიტომაც მათ არც ვასახელებთ. ხოლო დასახელებული სასისხლო სიგლი, ჩვენის აზრით, მათ შორის ყველაზედ უფრო სანდოა.

⁴ რა თქმა უნდა, თუ ისინი პირმშო დედამს სისწორით გადმოგვცემენ. რაც შეეხება კერძოდ უ-აღმწერელის თხშულებას, გამოთქმული მოსაზრება ეხება მხოლოდ მის იმ ნაწილს, თუ ნაწილებს, სადაც აფხაზეთის კათალიკოზის შესახებ ცნობებია მოთავსებული.

⁵ ცნობების უქონლობის გამო ჩვენ არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ XIII ს-ში აღდგენილი თუ დაარსებული აფხაზეთის საკათალიკოზო განუწყვეტლად არსებობდა XV ს-ის მიუურულამდის. ამა თუ იმ ერთმეფობის ხანაში მისი არსებობა აღის საქმაო საბუთად ვერ ჩაითვლება.

ფენო აფხაზეთისა და ქართლისა კათალიკოზნო... უჯურულებელი უფლება მტკიცეთ“.. ან კიდევ: „და ოქუპი წ-ნო ქართლისა და აფხაზეთისა კ-ზნო უჯუარობით დაუმტკიცეთ“.. დასახელებულ ხუთ¹ სიგელთა-გან სამში აფხაზეთის კათალიკოზის მოხსენიება წინ უსწრობს ქართლის კ-ზის მოხსენიებას, ორში კი პირუკუ: ქართლის კათალიკოზი პირველადაა მოხსენებული.

რა თქმა უნდა, აქედან რაიმე დასკვნის გამოყვანა ნაჩქარევი იქნებოდა. ჩვენ უნდა გათვალისწინებული გვქონდეს: 1) ვის ეძლევა სიგელი, 2) ვის მიერ არის ის მიცემული, 3) სად იწერება ის? შესამე კითხვის შესახებ ჩვენ ჯერჯერობით უმშევრ ვართ². წხოლოდ დავით ნარინის სიგელის შესახებ, რამდენადაც ისტორიული ცნობები გვაძევდინებენ, შეიძლება ითქვას, რომ ის დასავლეთ საქართველო-შია დაწერილი. რაც შეეხება პირველს ორ კითხვას, მათ შესახებ შეგვიძლია უპასუხოთ: ხუთი სიგელიდან მხოლოდ ერთი—ალექსანდრე დიდის მცხეთისადმი ბოძებული სიგელი 1419 წ.—ეხება აღმოსავლეთ საქართველოს, ყველა დანარჩენი დას. საქართველოს ძეგლებია: ორი გელათისა, ერთი გელათის მელვინეთუხუცესის, ერთიც ვირშელ წულუკიძის. სიგელების მიმცემთა ვინაობა ასეთია: დავით ნარინი სიგელის მიცემის დროს—მეფობის მე-42-ე წელი—ფაქტიურად დასავლეთ საქართველოს მეფეა, ყველა დანარჩენი მთლიანი საქართველოს მეფეებია³.

რას გვეუბნება ყველა ეს გარემოებანი?

იმას რომ: 1) აფხაზეთის კათალიკოზი იხსენიება ისეთ სიგელებში, რომელნიც ლიხთ იმერეთს ეხებიან და 2) აქ ის წინ უსწრობს ქართლის კათალიკოზის მოხსენებას. როგორც პირველს, ისე მეორე დასკვნას რამოდენადმე სათურდ ხდის არსებული თითო გამონაკლისი: 1) ალექსანდრე დიდის სიგელი მცხეთისადმია ბოძებული და ქართლის კ-ზის გვერდით აფხ. კ-ზიც არის შიგ მოწოდებული სიგლის დამატებულად, 2) გიორგი მეფის მიერ ბოძებულ წულუკიძის სიგელში ქართლის კ-ზი წინ უსწრობს აფხაზეთის კ-ზის.

პირველი გამონაკლისის მიერ გამოწვეულ ეჭვს ანელებს ის გარემოება, რომ ჩვენ არ მოგვეპოება არც ერთი სხვა სიგელი ალექ-

¹ პრ. ეჭ. თაყაი შვილი ის ხელში არსებული სიგელის ცნობით, სამწუხაროდ, ვერ ვსარგებლობთ.

² რა თქმა უნდა ეს არ იქნება მაშინ, როცა ჩვენი დიპლომატიკა ზედა-მიწევნით შესწავლილი და გაშექმებული იქნება.

³ ივ. ჯავახი შვილი, ქართ. ერის ისტორია, IV წიგნი.

სანდრე დიდისა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მიუწმინდებოდა შიგ დამამტკიცებელთ შორის აფხ. კ-ზიც იყოს მოწოდებული. ეს ასეთ არა მარტო ალექსანდრე დიდის მიმართ: პირადად ჩვენ არ შეგვხვედრია XIII—XV ს.ს.¹ არც ერთი ისეთი სიგელი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს ეხებოდეს, მეფის მიერ იყოს მიცემული და დამამტკიცებლად აფხ. კ-ზი მოუწოდებდეს. უველგან ამ დროის აღმ. საქ. სიგელებში, რომლებშიაც კი არის მიმართვა უმაღლეს სამღვდელოებისადმი, კათალიკოზთა შორის მხოლოდ ქართლის კათალიკოზია მოხსენებული, ის ამტკიცებს გათ².

თუ ამასთან ერთად მოვიგონებთ იმ გარემოებას, რომ არ მოიპოვება არც ერთი სიგელი ხსენებული ეპოქისა, თუნდაც დას. საქართველოს შესახები, რომელსაც მხოლოდ აფხაზეთის კ-ზი ამტკიცებდეს, მაშინ ჩვენ მიერ ზემოთ სათუოდ გამოთქმული დასკვნებიდან გადაჭრილი აზრის ვამოტანა არც თუ სახიფათოდ გვეჩვენება: ერთმეტობისა და ორკათალიკოზობის ხანაში აფხაზეთის კათალიკოზი მხოლოდ ლიხთიმერეთის ეკლესიის კათალიკოზია, მაშინ როცა ქართლის კ-ზი სრულიად საქართველოს ეკლესიის უზენაესი საჭირომშემდელია.

მივმართოთ სხვა მეგლებს. თუ მართალია პრ. ექ. თაყაიშვილის მოხაზრება, რომ რუსულან მეფის კურთხევის დროს მოხსენებულ „კათალიკოზნი ორნივეს“-ს შორის ერთი აფხაზეთის კათალიკოზი უნდა იყოს³, მაშინ ესევე ითქმის უაღმწერელის თხზულების იმ ადგილის შესახებაც, სადაც ის მოვითხრობს, რომ გიორგი ლაშას შეუფერებელი საქციელი „კათალიკოზთა: ორთავე: და: თავადთა: ამის: სამეფოსათა: და: უმეტეს: ივანე“ ათაბაგს უმძიმდათ. ამის გამო „არღარა ინგებს მასთანა სამარადისო ყოლა (ბარათ. ვარიანტით: ყოფა); არამედ განეშორნეს და თვის თვისად იყოთვოდეს“⁴.

ორივე ამ ადგილიდან ირკვევა: აფხაზეთის კათალიკოზი მეფის კურთხევაში მონაწილეობს; როგორც უმაღლესი საეკლესიო ხელისუფალი, ის ქართლის კათალიკოზთან ერთად სამეფო კარის წევრია. უაღმწერელის თხზულების მესამე ადგილი, სადაც სახელდობრ აფხაზეთის კათალიკოზია დასახელებული, ეხება დავით ნარინის მეფედ

¹ ვეულისხმობთ XV საუკუნის მე-60-ე წლებამდის.

² საქ. სიც. II, 9, 12, 38; ქრონიკები II, 149, 191, 260.

³ პროფ. ე. თაყაიშვილი, კელმწიფის კარის გარიგება, წინასიტყვ. VI: მ-დ ფლის კ-ცა—564, 742.

⁴ იქვე, 548, 730.

კურთხევის. რუსუდან მეფემ „ვითარცა: წარგზავნა: მძღვანელობა“¹ ბერძნების: მოუწოდა: ყოველთა: სპათა: მისთა: აფხინთა: დადა: ბედიანთა; რაჭის: ერის: თავთა: კათალიკოზისა: აფხაზეთისასა: და: დასვეს: მეფედ: დავით: ძე: რუსუდანისა: აკურთხეს: ქუთათის: და დაადგეს: თავსა მისსა: გვირგვინი²: დასვეს: ტახტისა: ზედა: სამეფოსა: და: მიულოცეს: მეფობა: წესისა: ებრ: (აქ ქ-ცა უმატებს: და) სრულყო: კათალიკოზმან: წესი: კურთხევისა:³. ამ ამონაწერის კონტექსტი იმ აზრს უკერს მხარს, რომ დავით რუსუდანის ძის კურთხევის წესი „სრულყო“ მხოლოდ აფხაზეთის კათალიკოზმა. ტექსტის ასეთი გავების სისწორეს აძლიერებს ის გარემოებაც, რომ იგივე ქ-ალმწერელი რუსუდან მეფის კურთხევის მოთხოვობის დროს თითქმ ხაზვასმით აღნიშნავს „კათალიკოზთა ორთავ“-ეს მონაწილეობას⁴. ამასვე უკერს მხარს ისიც, რომ ქ-ალმწერელი დავით ნარინის კურთხევის მოთხოვობის ბოლოს საკიროდ სცნობს გვამცნოს: „ხოლო: ამიერ: ეს: სამეფო: უცილო (ქ-ცაში: უცალო) იყო: ხვარაზმელთაგან: რამეთუ: მანდატურთ: უხუცესი: შანშა: იყო: ანისა: და: ამირ: სპასალარი: აგა: მიჯინსა: [მიჯინს]: ეგრეთვე: ვარამ: გაველი: ჰერნი: და: კახნი: სომხითარნი: ქართველნი: თორელნი: შავში, კლარჯელნი: ტაოელნი: ყოველნი: სიმაგრეთა: შინა: ციხოვნდებოდენ: თვითოფულნი: მორჩილებასა: შინა: მეფისა: რუსუდანისასა: და: უცილოებისა: [—უცალოებისა] ძალითა: ვერ: დაუხვდეს: და: ლოცვასა: [დალოცვასა] მეფისა: დავითისასა⁵. მაგრამ აქ ქართლის კათალიკოზის მოუხსენებლობა, ცოტა არ იყოს, უცნაურია და, თუ ეს ადგილი სწორად არის ჩვენამდის მოღწეული, მაშინ მხოლოდ ისლა დაგვრჩენია ვითიქროთ, რომ ზემო მოყენილ „სრულ: ყო: კათლიკოზმან: წესი: კურთხევისა:“-ში ქართლის კათალიკოზი იგულისხმება, — რა თქმა უნდა იმ აუცილებელი პირობით, თუ მოელი ეს მოთხოვობა ლაშა გიორგიდან ვიღრე დავით რუსუდანის ძის გამეფებამდის ერთს ავტორს ეკუთხნის.

ამრიგად მხოლოდ აფხაზეთის კათალიკოზის მიერ დავით რუსუდანის ძის კურთხევის სრულყოფა უდავო არ არის და ჩვენს ცოდნას ხსენებული მღვდელმთავრის შესახებ ახალს ვერაფერს ჰპატებს.

აფხაზეთის ქ-ზის უფლებრივ დამოკიდებულებას ქართლის ქ-ზთან უდავოდ ცხად ჰყოფს „წესი და განვებად მეფეთ კურთხევისა“⁶.

¹ მ-მ დ-ფლის ქ-ცა, 583, 757.

² რა თქმა უნდა, თუ აქ აფხ. ქ-ზი იგულისხმება. მ-მ დ-ფლის ქ-ცა 564, 742.

³ მ-მ დ-ფლის ქ-ცა, 584, 758.

⁴ „მეფის კურთხევის წესი“ — ტექსტი, ს. კავაბარის გამოც.



აქ აფხაზეთის კათალიკოზი კი არ აურთხებს მეტეპერიოდების სრულიად საქართველოს კ-ზი ანუ „კათალიკოზი“, როგორც მუშავეა ძეგლში იწოდება. მეფეთ კურთხევის შესაძლოა აფხაზეთის კ-ზი არ დაესწროს¹, ხოლო „ესე საცნაურ იყან, რომელ თვინიერ კათალიკოზისა არა ვისგან ჯერ არს კურთხევა“². აფხაზეთის კათალიკოზის მაგივრობა მისი არ ყოფნის დროს შეუძლია იშხნელ მთავარ ეპისკოპოზმა გასწიოს³. ეკლესიაში სამეფო ადგილზე დასაყვენებლად წასაცყან მეფეს „დაუპყრას კელი მარჯუტნე კათალიკოზმან:.. ხოლო უკეთუ აფხაზეთისა კ-ზი არ იყოს:.. იშხნელმან ანუ მთავარ ებისკოპოზმან: [მარცხენე] და წარიყვანონ და სამეფოსა ადგილსა დააყენონ“⁴. ასევე ნაკურთხი მეფის პალატად წამოყვანის დროსაც⁵.

როგორც აქ ნაჩენები ადგილებიდან, ისე მთლიანი ძეგლიდან უდავოდ ჩანს:

1. აფხაზეთის კ-ზს უფლება არა აქვს მთლიან საქათველოს მეფის კურთხევისა, 2. საეკლესიო იერარქიის კიბურზე ის ქართლის კ-ზზე დაბლა დგას.

აქ მიღებული დასკვნები შესამჩნევად უდგება და ამტკიცებს სიგელების განხილვის შედეგად მიღებულ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს.

ეხლა ჩვენ მეტის გაბედულობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დავით ნარინის მაკურთხეველი „კათალიკოზი“ აფხაზეთის კ-ზი კი არ არის, არამედ ქართლის კათალიკოზია. წინააღმდეგი მოსაზრება საკითხს დასვამდა ერთის მხრით დავით ნარინის კურთხევის წესის სრულყოფის კანონიერების შესახებ და მეორეს მხრით (უკეთუ კურთხევის წესის სრულყოფა აფხ. კათალიკოზის მიერ „წესისაებრ“ იყო) ამ კურთხევისა და „მეფეთკურთხევის წესი და განგება“-ს ტექსტის დაწერის ქრონოლოგიური ურთიერთობის შესახებ. თუ „მეფეთ კურთხევის წესი და განგება“ დავით რუსუდანის ძის მეფედ კურთხევამდის არის შედგენილი, მაშინ მხოლოდ აფხ. კ-ზის მიერ ხსენებული მეფის კურთხევის წესის სრულყოფა „წესისაებრ“ ვერ არის და მაშ უკანონოა. ხოლო თუ ასეთი რამ წესიერია, მაშინ „მეფეთ კურთხევის წესი და განგება“-ს ტექსტის შედგენა დავით ნა-

¹ მეფის კურთხევის წესი, 6₁, 7₆, 8₅

² იქვე, 8₁₂₋₂₃

³ იქვე, 17₁₈, 7₆, 8₉

⁴ იქვე, 6₁₈₋₁₉. რომ აქ ტექსტს მართლაც აკლია და ჩვენი დამატება: „მარცხენე“ სწორია, ამას ამტკიცებს შემასმენლები „წარიყვანონ“ „დააყენონ“.

⁵ იქვე, 8₇₋₈

რინის მეფედ კურთხევის შემდგომ ხანას უნდა მიეკუთვნილი იყო. უკანას კურთხევის შესაძლებლობა გამართლდებოდა, მაშინ ჩენ „შეფერ-კურთხევის წესი და განგება“ -ში აუხ. კათალიკოზის უფლებრივ ჩა-მომცრობასთან გვექმნებოდა საქმე.

1 ბ-ნი სარგის კა ბა ძე ხსნებული ძეგლის შედგენას თამარის შეფო-ბის მეორე ნახევრით და „ლაშა გიორგის გამეფების წინა ხანით ათარიღებს (ი. მეფის კურთხევის წესი, წინასირტყეაობა). ვფიქრობთ, ეს დათარიღება ვერ არის სწორი. სრულიად სამართლიანია ბ-ნი ს. კაკაბაძის მოსაზრება, რომ ეს წე-სი მეფეთ კურთხევისა XIII საუკუნეშე ადრინდელი არ შეიძლება იყოს, „რადგან მასში მოხსნებული თანამდებობა ათაბაგისა შემოვიდა ჩენში XIII საუკუნის და-საჭყისს და პირველი საქართველოს ათაბაგი იყო ივანე მხარგრძელი“. მაგრამ, ვფიქრობთ, რომ სწორედ იმავე ათაბაგის მოხსნებია უარყოფს ბ-ნი ს. კაკაბაძის მიერ დათარიღების სისწორეს. როგორც ცნობილია, ათაბაგობა საქართველოში შემოღებულ იქმნა თამარის მეფობის უკანასკნელ წლებში, —სახელდობრ ზაქარია ამირსპასალარის სიკვდილის შემდგომ.

ზაქარია კი ჯერ იდდევ 1211 წელს ცოცხალი ჩანს (ი. პროფ. ივ. ჯავახი-შეილის „ქართველი ერის ისტორია“, ტომი II, გვ. 620—631). გიორგი ლაშა კი ამ დროს კარგა ხის გამეფებული იყო და მეფედ ნაკურთხიც, თუ „1204 წლის დასასრულს ან 1215 წლის დასაწყისს“ არა, როგორც ანგარიშობს ბ. ს. კაკაბაძე, ყოველ შემთხვევაში არა უკვითეს 1207 წლისა (ი. პროფ. ივ. ჯავახიშეილი, ქა-თველი ერის ისტორია, ტომი II, გვ. 619, 634). აქედან ცხადია, ჯერ არ არსებუ-ლი ათაბაგი გიორგი ლაშას კურთხევას ვერ მოულოცავდა. ამიტომ „წესი და გან-გება მეფეთ კურთხევისა“, „გიორგი ლაშას კურთხევისათვის“ არ შეიძლება იყოს შედგენილი.

არსებობს ჩენის ფიქრით მეორე გარეშოებაც, რომლის მიხედვით საენე-ბული ძეგლი არ შეიძლება შედგენილი იყოს თვით პირველი ათაბაგის იგანეს. და მისი ძის ავაგ ათაბაგ-ამირსპასალარის სიცოცხლეშიაც კი. საქმე ის არის, რომ ჩე-ნი ძეგლის ტექსტი ათაბაგობას საცხებით ჩამოყალიბებულ და ამირსპასალარი-საკან გამოიწყოლ თანამდებობად ჰკულისხმობს. „ამირსპასალარი ხრმალ შემორტ-ყმული მარჯვენით კერძა „კულებოდეს“ ეკლესიაში საკურთხევლად მიმავალ მეფეს (ი. მეფის კურთხ. წესი, 5—6), „ხოლო აკუნზიდელი და ათაბაგი მარცხენით მე-ფისა ვიდოდენ და სხვანი მთავარი“ (იქვე 6). ივანე სარგისის-ძე კი ათაბაგობის მიღების შემდგამ ამირსპასალარიც იყო. მან ორივე ეს ხელი ერთად მიიღო. მართა-ლია, ამირსპასალარიბის მიღების შემდგე ის ამ ხელით ერთხელაც არ ისხნიება, არამედ მხოლოდ ათაბაგად იწოდება, მაგრამ არც ვინმე სხვა ჩანს ამირსპასალა-რი და ამავე დროს ყველა მნიშვნელოვან ომებს ის მოთავეობს. ასევე ავაგიც, რომელი: სპასალარობისაგან: [ქ-ცა: ამირსპასალარობისაგან] ათაბაგ: იქმნა: მეფი-ზა: რუსულანისა მიერ“. ამირსპასალარობა კი მან მიიღო როცა და მიიცვალა ივა-ნე: ათაბაგი: და: მთავარ: ყველ: ძე: მისი: ავაგ: და უბოძეს ამირსპასალარი (ი. მ-მ დ-ელის ქ-ცა: გვ. 570, 607).

ამის შემდევ ავაგი ზოგჯერ მხოლოდ ამირსპასალარად იწოდება (იქვე, გვ. 584), ზოგჯერ ათაბაგად და ამირსპასალარად (იქვე, 572), ხან კიდევ მარტი

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „მეფეთ კურთხევის წესის უფლება“ გენის მერმინდელობა სრულიად არ განსაზღვრავს ფეხზე ჩამოჭრას დანის ძის მხოლოდ აფხაზეთის კათალიკოზის მიერ კურთხევის კანონიერება-უკანონობას. ამისათვის ჩვენ უნდა გვცოდნოდ მეფეთ კურთხევის წესი გიორგი ლაშასა და რუსულანის მეფობათა დროისა. მართალია: ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ რუსულანის კურთხევა თორთავე კათალიკოზთა თანდასწრებით იქმნა სრულყოფილი, მაგრამ ისტორიული მოთხრობა, თუნდაც მოვლენის სისწორით გადმომცემი, სახელმწიფო სამართლის ძეგლიაარ არის, რომ მისი გარდახვევა უკანონობად მივიღოთ.

განსაზილველი დაგვრჩა „კელმწიფის კარის გარიგების“ ცნობები.

სამწუხაობოდ, როგორც ცნობილია¹, ტექსტი ამ შესანიშნავი ძეგლისა ნაკლულევანიც არის და გადამწერთაგან არეულიც. სწორედ ერთ იმ თავთაგანში, რომელთაც ჩვენამდის ნაკლულევნად. მო-

ათაბაგად (იქვე, 630). ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ არც ივანეს და არც მისი ძის ავაგის სიცოცხლეში ათაბაგობა ამირსპასალარობისაგან გამიჯნული ხელისულება არ ყოფილა (ყოველ შემთხვევაში ორივე ხელის მატარებელი ჯერ მამა იყო და მერმე მისი ძე). ამიტომ მეფეთ კურთხევის ასეთი წესი საეჭვოა ამ დროს დაწერილიყოს.

ძეგლში შესამც დამატირებელი გარემოებაცაა. იქ ვკითხულობთ, რომ ახლად კურთხეულ მეფეს, როცა მას კ-ზე და ჰყონდიდელი ტახტზე დააბრძანებენ, კ-დ დედოფალმან თაყუანი სცეს, მერმეთა კათალიკოზმან, ჰყონდიდელმან, ათაბაგმან, მანდატურთხეულებმან, ამირსპასალარმან, მეჭურებლეთ უხუცესმან, მსახურთ უხუცესმან და შემდგომად ხელოსანთა და უხელოთა დარბაზის-ერთა სრულიად-თა“ (მეფის კურთ. წესი, 8).

ამ ამონაწერის ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ აქ მსახურთ უხუცესი იმ განსაკუთრებულ ხელოსან დარბაზის-ერთა რიცტებია, რომელაც ვაზირები ეწოდებოდათ. თუ ეს არა, მაშინ მსახურო უხუცესის უწინ ამირახორი იქნებოდა დასახელებული, რომელიც ჟევე მსახურო უხუცესის გავაზირების შემდგებაც კი ჟანანასენლის სწორი პატივით საოგებლობდა (ინ. ხელმწიფის კარის გარიგება, მუხ. 25). მაგრამ აქ, როგორც ვთქვით, ხელოსან დარბაზისერთა ჩამოთვლა ვაზირებით წყდება. „მსახურო უხუცესი“ კი „მანაველი რუსულან მეფეს შეუცვანია სავაზირო-სა და ვაჩნაძე შეუცვანია“ (ხელმწ. კარ. გარიგ. მუხ. 36).

ამის გამო ეს ძეგლი რუსულანის გამეფებამდის არ შეიძლება იყოს დაწერილი. ხოლო რომ ეს წესი დავით ნარინის კურთხევისათვის არ არის შედგენილი, ეს აშკარაა ყველასათვის, ერთც დავით ნარინის მეფედ კურთხევის მოთხრობას (ინ. მ-მ დ-ფლის ქ-ცა, გვ. 583) ამ ძეგლს შეადარება.

ყველა ამის გამო ვფიქრობთ, რომ „მეფეთ კურთხევის წესი და განგება“ არ შეიძლება დადებულ იყოს XIII საუკუნის 40-ან წლებზედ ადრე.

¹ პრ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. პრ. ე. თავაიშვილი. ხელმწიფის კარის გარიგება, წინასიტუაცია.

უღწევიათ, როგორც გადარჩენილი ნაწილიდან ჩანს, ჩვენი მიზუდული უდიდესი მეტად საინტერესო ცნობები ყოფილა. იქ ვკითხულობთ ჩატარებული

„...პირმშობაჲ მან მიიღო და ოდეს აკურთხეს არ მაგად აკურთხევინეს, არ მოელის კათალიკოზსა, რომე არავი [ქი] ქვეშეთ შექმოდესო. ვარქვე, და აცილნეს ორნივე კათალიკოზნი: „არა მე მჩართებსო, არა მეო“¹. აქედან ცხადად ჩანს, რომ ერთი კათალიკოზთაგანი სარგებლობს; პირმშობების მიმღების კურთხევის უფლებით, მაშინ როგორც მეორისათვის ასეთი უფლების მინიჭება შესაძლებლად ვერ უცვნიათ. უკანასკნელი ასეთ მოვლენას მის მიმართ უკანონობად სთვლის და მას იმით ასაბუთებს, რომ კ-ზე არ შეიძლება სამღვდელო-საეკლესიო საკითხში მეორე კათალიკოზს ემორჩილებოდესო. მისი განცხადება ყურადღულიათ და ამ უფლებრივი საკითხის გამოსარკვევად კათალიკოზთა პატიონის გაუმართავთ. პატიონის დროს თითოეული თავისას ამტკიცებდათ.

სამწუხაროდ, ტექსტის ნაცლულევანობის გამო ჩვენ არ ვიცით ვინ იყო ის პირმშობების მიმღები, ან კიდევ, რომელ კ-ზე აკურთხევინეს და რომელს არა. ზემოთ მიღებული დასკვნების შემდეგ საფიქრებელია, რომ აქ მოთხრობა უნდა ეხებოდეს რომელიმე მეფის კურთხევას, რომელიც აფხაზეთის კათალიკოზს არ აკურთხევინეს...

შეგრამ აქ საინტერესოა სწორედ ის მოვლენა, რომ ორ კათალიკოზს შორის ცილობაა უფლებრივ ნიადაგზე და „არავიქ ქვეშეთ შექმნილი“ უფროსთან გათანასწორებას ლამობს. აქედან შეგვიძლია დაგვასკნათ, რომ ამ ძეგლის დაწერის დროს (ე. ი. არა უადრეს XIII საუკუნის დასასრულისა) ერთი კ-ზთაგანი მეორეზე დაბლა დგას და განსაზღვრული მოვლენები მხოლოდ უკანასკნელის უფლებაში შედის. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნაცლულევანობის გამო ტექსტი შეიძლება სხვა გვარადაც იქმნას გაებული.

კარის გარიგების სხვა ადგილებიდან ირკვევა, რომ აფხაზეთის კ-ზი ისეთივე პატივით სარგებლობს წვევისა და მიგებების დროს, როგორც ქართლის კ-ზი: „ამირეჯიბს მართებსო თოხთა მონაზონთა და სამთა ვეზირთა წვევი“, ეკამათება ავტორი იმას, ვისაც „მოძღვართ მოძღვრისა, კათალიკოზთა, ჰუმინდლისა, რად დარბაზს მოვიდნენ, წვევა სამთა საბატიოთა დარბაზისელთა საწოლის მწიგნობრის წვივა დაუწერია“². „ეგრეთვე კ-ზი, რომელიც მოვიდეს, ეგრეთვე ეთაყვანოს და მეფემანცა ეგრევი კელნი დაასხნეს დამრუდებითაც,

¹ ხელმწიფის კარის გარიგება, 18_ა.

² იქვე, 18_ა.

გინა ნოხსა ზედა მესამედი წამოიაროს“¹—სწერს ავტორუს მიჩნეულებები წესში.

ასევე თანასწორი პატივით სარგებლობენ ორივე კ-ზი პურობის დროსაც: „მწდე ჩვენთაცა დარბაზით ათქმა თოხთავე: მოძღვართ-მოძღვარსა, კათალიკოზთა, ჰყონინდელსა და სამთა ვეზირთა“² „ამირეჯიბი კათალიკოზთა, მოძღვართმოძღვარ(სა), ჰყონინდელსა, ამათ წინ ტაბლას დასრგამენ და ზედ ტაბაკს იგი დაუდგამს. ეს თოხნივე ადგებიან“³.

აქედან ირკვევა, რომ აფხ. კ-ზი სამეფო დარბაზობა-პურობაში მონაწილეობს და ქართლის კ-ზის სწორი პატივით სარგებლობს. მაგრამ ჩვენ მართალი არ ვიქნებოდით, თუ ვიტყოდით, რომ მათი პატივის თანასწორობა სრულია, სანამ გამორკვეული არ არის, თუ რომელი კ-ზი იჯდა პურობა-დარბაზობის დროს მეფესთან უფრო ახლოს. რომ სწორედ ჯდომის წესს აქვს არსებითი მნიშვნელობა ორ თითქმის თანასწორ პატივით მოსარგებლე კელისუფალთა შორის განსხვავების გამოსარკვევად და არა იმ გარემოებას, თუ როგორ მიესალმება მათ მეფე, ან კიდევ რამდენის ჯამით დაუდგამენ შექმადს პურობის დროს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მეფე თანასწორად მიესალმება „სამთა ვეზირთა“, ასევე პურობის დროს „განმგეო უხუცესი მონაზონთა თოხთავე სამ-სამის ჯამით, ეგრეთვე სამთა ვეზირთა ითვალავს“⁴. ჩვენ კი ყოველ ეპს გარეშე ვიცით, რომ ჰყონინდელსა და ვაზირთ შორის უფროს-უმცროსობის მხრით განსხვავება იყო. მისალმების წესში მხოლოდ ჯგუფები განსხვავდებიან და თითოეულ ჯგუფში მოყოლილ კელისუფალთა პატივის მეტნაკლებობა არ მოჩანს. ასევე არის შეკამადის მირთმევის წესშიაც. სულ სხვაა ჯდომის წესი: აქ პატივის მეტნაკლებობა აუცილებლად ჩანს ერთი ჯგუფის წევრთ შორისაც. სამწუხაროდ, - კელმწიფის კარის გარიგების“ ავტორი გარკვევით არას ამბობს იმაზე, თუ ვინ სად (მარჯვენით შეფისა, თუ მარცხენით) და ვის შემდგომ იჯდა (შესაძლებელია ეს სწორედ დაკარგულ ნაწილში იყო). თუ სხვა კელისუფალთ ჯდომის წესის გამოსარკვევად შეგვიძლია მათი დასახელების რიგის მიხედვითაც ვიხელმძღვანელოთ, კათალიკოზთა შესახებ ასეთი ხერხი არ გამოდგება: ისინი ცალკ-ცალკ არ არიან მოხსენებული.

¹ იქვე, 13₂₄.

² იქვე, 12₂₂.

³ იქვე, 17₂₃.

⁴ იქვე, 8₂₁.

⁵ იქვე 17₂₃.

მხოლოდ ერთი ადგილი მოიპოვება, რომელიც, მართალია, 65-
კითხს დამოუკიდებლად ვერ გადავვაწყვეტინებს, მაგრამ რეზისურეკა
მე მოსახრების გამოთქმის საშუალებას იძლევა. ეს ის ადგილია, 66-
დაც ჩვენი ავტორი ეკამათება „ზოგთა ვიც“-ით, რომელთაც „ასრუ
დაუწერია, ვითა ტრაპიზონელ[ნი] და ზარჯან-ზანშე და სომეხთა მე-
ფე რა მოვიდნენ საჯდომი ერთი [არ] არის ოთხთავე“...¹ „ამ ოთხ-
თაგან ერთი საჯდომი მარჯვენით დაუწერია მოძღვართ-მოძღვრისა და
აფხაზეთის კ-ზისა ქვეშეთ და ჰყონდელისა ზემოთ, ეს თვთ მართა-
ლია მუნ მათი, მაგრამ მე ვიცი პატრიონისა ბრძანებად, რომე იოთხნი-
ვე დაისხმიან დიდრომითა სკამითა“². ეხლა ერთი მაინც ვიცით:
დიდი დარბაზობის დროს აფხაზეთის კ-ზის ქვემოთ ქართ. კ-ზი არ
ზის. კარის გარიგების სხვა ადგილებიდან ჩანს, რომ ორივე კ-ზი მეტი
პატივით სარგებლობენ, ვიდრე ჰყონდიდელი³. ამიტომ დასაშვები არ

¹ იქვე, 12₂₀.

² იქვე, 12₂₁.

= სრულიად საჭინააღმდეგო აზრისაა ძეგლის პატივებმული გამომცემელი
წინასიტყვაობის XXIX გვერდზე, სადაც მოძღვართ-მოძღვარშე აქვს საუბარი, ბ-ნი
ექვთიმე ამბობს: „მოძღვართ-მოძღვარს უფრო მეტი პატივი აქვს ვიდრე სხვა ეპი-
სკოპონებს, მეტი პატივი აქვს ვიდრე ქართლისა და აფხაზეთის კათალიკონებს.
პატივი მისი სწორია ჰყონდელის პატივისა, მაგრამ ზოგჯერ ამასაც მეტობს“.
აქედან ცხადია, ბ-ნი ექვთიმეს აზრით ჰყონდიდლის პატივი ჰმეტობს კათალიკონ-
თა პატივს, ყოველ შემახვევაში ზოგჯერ მაინც. ჩვენის აზრით, კარის გარიგების
ტექსტი ასეთ დასკვნას არ ამართლებს. იქ ვკითხულობთ: „მწდე ჩვენთაცა დარბა-
ზით ათქს იოთხთავე: მოძღვართ-მოძღვარსა, კათალიკონთა და ჰყონდელისა“...
(მუხ. 22). „მოძღვართ-მოძღვრისა, კათალიკონთა და ჰყონდელისა, რა დარ-
ბაზს მოვიდნენ... საწოლის მწინობრის წევეა დაუწერია...“ (მუხ. 23). „ამირეჯვებს
მართებს იოთხთა მონაშონთა და სამთა ვეზირთა წევეა“ (მუხ. 23). ევრე-
თვე კ-ზი, რომელიც მოვიდეს, ეგრეთვე ეთავყანოს და მეფემანცა ეგრევე
ხელი დაასხნეს დამოუდებითუა გინა ნოძა ზედა მესამედი წამიაროს და
მითვე წესითა ჰყონდელსა“... (მუხ. 24). „აშ ეს მოძღვართ-მოძღვარი, კათალი-
კონი, ჰყონდელი... ქვე დგანან თავის ადგილსა“ (მუხ. 32). „განალიკონი,
მოძღვართ-მოძღვარი, ჰყონდელი... ყოველი ზეადგებიან.“ (მუხ. 33). „მე-
უკ აშევეს კათალიკონთა, მოძღვართ-მოძღვართა, ჰყონდელსა“ (იქვე). „ამი-
რეჯვები კათალიკონთა, მოძღვართ-მოძღვართა, ჰყონდელსა, ამათ წინ ტაბ-
ლას დასდგამენ და ზედ ტაბაკს იგი დაუდგამს“ (იქვე). „განმგეტ უსუცესი მონა-
შონთა იოთხთავე სამ-სამის ჯამით ითვალის“ (იქვე). „ამ იოთხთაგან ერთი საჯდო-
მი ბარჯვენით დაუწერია მოძღვართ-მოძღვრისა და აფხ. კათალიკონისა ქვეშეთ
და ჰყონდელისა ზემოთ“ (მუხ. 21).

აი, ყველა ის ადგილები, სადაც ოთხნივე მონაშონი ერთად არიან მოხსე-
ნებული. მეფეს მიერ მისალმების წესიდან (ე. ი. ვის უწინ უნდა მიესალმოს და ვის
შემდგომ, ან უკეთ, ვინ ვის შემდგომ უნდა წარუდგეს მეფეს სადარბაზოდ) და ჩა-

არის, რომ ქართლის კ-ზი დიდი დარბაზობის დრო ჰყონდვილობა ქვემოთ იჯდეს. წვევისა და მისალმება-მოკითხვის წესის შემდგომ აგრეთვე, რომ მოძღვართ-მოძღვარი მეტის პატივით უსრულებელი, ვიდრე კათალიკოზნი¹. ამიტომ საფიქრებელი არაა, თითქო კ-ზი მოძღვართ-მოძღვრის ზემოთ იჯდა. დარჩა ორი შესაძლებლობა:

დიდი დარბაზობის დროს ქართლის კ-ზი ზის ან მოძღვართ-მოძღვრის შემდგომ და აფხ. კ-ზის ზემოთ² ან კიდევ ის მარცხენით მეფისა ზის და აქ პირველი ადგილი უტირავს. უკანასკნელ აზრს თითქო მხარს უქერს მეორე ნაკლულევნად შენახული დარბაზობის აღწერილობის შემდგომ მოყოლილი პურობის ერთი ადგილი:

ავტორი ჩამოთვლის პატივის მეტ-ნაკლებობის წესის მიხედვით საკლესიო და საერთო კელისუფალთ და განაგრძობს: „ამას ზედა ეპისკოპოზნი ქართლისა კათალიკოზისავე, გელათელი, ძმანი გარეს-ჯელი და თორმეტი უდაბნოთანი, ვითარუა მართებს, ქვემო სწე-

მოთვლის რიგის ხასიათიდანაც ნათელია ის, რაც მე-21-ე მუხლიდან აშკარა ზდება. ჰყონდიდელს მეფე მიესალმება მოძღვართ-მოძღვრისა და კ-ზთა—ურომელიც მოვიდეს“ — მისალმების შემდგომ, „ოთხთა მონაზონთა“ ჩამოთვლის დროს ის ყოველთვის უკანასკნელად მოიხსენება. ის აფხაზეთის კ-ზის ქვემოთ ზის.

¹ 1824, 122. მოძღვართ-მოძღვრის მეტ პატივისილობას კათალიკოზებთან შედარებით თითქო კარის გარეგიბის მე-33-ე მუხლი ეშინაალდევება. აქ არა-ერთი მოძღვართ-მოძღვარია ნაგულისხმევი და ისინი კათალიკოზთა შემდგომ არიან დასახელებული. ვფიქრობთ, რომ ეს ადგილი შეცვლილია მერმინდელი გადამშერის მიერ. ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ სწორედ იმ დარბაზობის აღწერილობის ბოლო მუხლში, რომელსაც უშეცალოდ პურობის აღწერილობა მოს-დევს, ერთი მოძღვართ-მოძღვარია დასახელებული და ჩამოთვლის წესში, თუ შეი-ძლება ასე ითქვას, პირველი ადგილი უტირავს (იბ. მეტ. 32). ეს მუხლი თანაბრად ეკუთხნის როგორც დარბაზობას (მის დასასრულს), ისე პურობას (დასაწყისს). თუ, ამ რაგად, პურობის დასაწყისში ერთი მოძღვართ-მოძღვარი იყო, საითვანლა გაჩიდენ პურობის დროს მოძღვართ-მოძღვარი და ისიც პატივშეცირებული?

რომ ეს მუხლი შემდგომ არის შეცვლილი და, რომ თავდაპირველად აქაც ერთი მოძღვართ-მოძღვარი იგულისხმებოდა (და ალბათ ეწერებოდა კაჭეც), ამას ცხადჲყოფს შემდგებიც. იქ ვეითხულობთ: „ამირეჯვაბი კათალიკოზთა, მოძღვართ-მოძღვართა, გულინდელსა, ამათ წინ ტაბლაში დასდგამენ... ეს ოთხნივე ადგი-ბიან“ ან კიდევ: „განმგეოთ უბუცესი მონაზონთა თთთავაც სამ-სამის ჯამით... ითვალისწინება“ (ხაზი ჩვენა). ოთხი მონაზონი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ მოძღვართ-მოძღვარი ერთია ნაგულისხმევი. გადამშერელს მოძღვართ-მოძღვარი თავისი დროის მიხედვით მოძღვართ-მოძღვარებად გადაუკეთებია, მათთვის მეორე ადგილი მიუჩინა, და მონაზონთა რიცხვის აღმნიშვნელი—„ოთხნივე“ კი შეცალე-ლად დარჩენია.

² მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ტექსტი ამ ადგილას გადაკეთებულ-დამა-რინჯებულია.



რია, ესენი მარცხენის მეარს სუფრასა¹: თუ აქ პრ. ექ. თამარი შეტავი
ლის მიერ დასმულ განკვეთის ნიშნებს მივიღებთ, მაშინ პეტრემისტები
ნი ქართლისა კათალიკოზისავე² „მარცხენის მეარს სუფრასა“ ყო-
ფილან. ხმარებული ნაწილაკი „ვე“ („კათალიკოზისავე“) კი გვაფი-
ქრებინებს, რომ დაკარგულ წინა ფურცლებში უნდა ყოფილიყო ალ-
ნიშნული, რომ ქართლის კ-ზი მარცხნით მეფისა იჯდა. მაგრამ თუ
პ-ლი გამომცემლის წინააღმდეგ სიტყვა „კათალიკოზისავე“-ს შემდ-
გომ წერტილს დავსვამო მძიმეს მაგიერ,—სულ სხვას მივიღებთ: მო-
ნასტრების წარმომადგენელნი მარცხენის მეარს სუფრასა ყოფილან, ხო-
ლო „ეპისკოპოზი ქართლისა კათალიკოზისავე“ და მაშ თითონ ქართ.
კ-ზიც მარჯვენის მეარს სუფრასა. სამწუხაროდ, ეს დიდმნიშვნელო-
ვანი საკითხი ჩვენი სახელმწიფო სამართლის ისტორიისათვის — დარ-
ბაზობის წესი—არც ისტორიულად და არც რომელიმე ეპოქისათვის
ჯერ შესწავლილი არ არის. ამიტომ ამ კითხვის გადაწყვეტა სახელ-
დახელოდ შეუძლებელია, მით უფრო, რომ ჩვენთვის ამ უამაღ საინ-
ტერესო ხანის დარბაზობის ცოტად თუ ბევრად ზედმიწევნილობითი
აღწერა არც ერთ ქართველ მწერალს არ მოეპოვება. „განგება დარ-
ბაზობისა“ მერმინდელი ხანისაა და ჩვენთვის არ გამოდგება².

კიდევ უფრო გამოუსადეგარია ჩვენი მიზნისთვის რუსი ელჩების
მიერ ალექსანდრე იმერთა მეფის დარბაზობის აღწერა XVII ს-ში³.

მიუხედავად ამისა ჩვენ ის მაინც ვიცით, რომ ქართ. კათალი-
კოზის დარბაზობის დროს, თუ ის მარჯვენით მეფისა იჯდა, მეორე
ადგილი ეჭირა, ხოლო თუ მარცხენით იჯდა — პირველი. პირველ შე-
მოხევევაში ის უდავოდ მეტი პატივმოსილია აფხ. კათალიკოზზე. მე-
ორე შემოხევევაში კი ის, თუ მეტი არა, აფხ. კათალიკოზის სწორი
პატივით მაინც სარგებლობს (თუმცა კვლავ უნდა შევნიშნოთ, რომ
სანამ დარბაზობის წესი შეუსწავლელია, ეს უკანასკნელი დებულება
სათუოა).

ეხლა თუ გავიხსენებთ იმ ადგილს, სადაც კათალიკოზით შორის
ცილობაზედაა საუბარი და დავსვამო კითხვას: რომელია ის „არავიქ
ქვეშეთ შექმნილი“ კ-ზი,— შეგვიძლია უპასუხოთ, რომ ის აფხაზეთის
კათალიკოზია.

¹ ხელმწიფის ქარის გარიგება, 17:22.

² თ. ეორ დანია, ქორინები I, 45—46.

³ პრ. მიხ. პოლიგონ ქოვი, „სტოლინიკი ტოლოჩანოვისა და დიაკი იევ-
ლევის ელჩობა იმერეთში“, 64.

ჩევნს ასეთ მოსაზრებას, როგორც ჭედავთ — სავსეპიზურული მეტება და სიგელებისა და „მეფეთ კურთხველის წესი“-ს განხილვის შედეგად ზემოთ მიღებული დასკვნები.

ამრიგად, კარის გარიგება ადასტურებს სხვა წყაროების ცნობებს და ერთ შესანიშნავ ახალ ცნობასაც გვაძლევს:

აფხაზეთის კ-ზი მიიღო ქართ. კ-ზთან უფლებრივ გათანა-სწორებისაკენ.

კელმწიფის კარის გარიგებაში აფხ. კ-ზის შესახებ სხვა ცნობაც მოიპოვება. მე-27-ე მუხლში ვკითხულობთ: „ამიერი ბედიელი მოსაფლავება და ქუთათელი მოსაფლავეც არის... და ოდეს პირველ ვახტანგ დალოცეს და მერმე კოსტანტინე დაისარჩნეს აფხაზეთის კათალიკოზი და ქუთათელი იოვანე. ქუთათელმან ასე თქვა: „თუ აშორჯელ-სამჯერ ჩემს საყდარსა შიგან ორნი მეფენი დალოცვილინ, და არ მემართლები გვრგვნი ანუ სკიპტრი ჩემს საყდარსა შიგან არ ჩასდვა“. და მერმე ვეზირთ და ერთობილთ ლაშქართა თქვეს, თუ „ქუთათელი უმართლეა“. და სკიპტრი ქუთათელს გაუჩინეს და მოანება აფხაზეთის კათალიკოზმა...“¹ პატივცემული გამომცემელი ამ ძეგლისა 3-რ. ე. თაყაიშვილი ამ ადგილის მიხედვით ამბობს²: „აფხაზეთის კათალიკოზი კ. გარიგების მიხედვით ბედიაში უნდა ცხოვრობდეს“³.

ჩვენი მიზნისათვის ეს მეტად საინტერესო საკითხია. თუ პ-ლი პროფესორის მოსაზრება სწორი იქნებოდა და მაში აფხაზეთის კ-ზის ტახტი ბედიაში იყო, მაშინ ჩვენ წინ წამოიკრებოდა ახალი საკითხი: როდის და რა მიზეზით იქმნა საკ-ზო ტახტი ბედიდან ბიჭვინთაში გადატანილი? (1529 წელს საკ-ზო ტახტი ბიჭვინთაში ჩანს).

სამწუხაროდ, კ. გარიგების ხენებული ადგილი გადაჭრილი პასუხის მიღების შესაძლებლობას არ იძლევა. ეს ადგილი შესაძლებელია შემდეგ ნაირადაც აიხსნას, რაც ჩვენ უფრო მართებულად მივვაჩნია:

აფხ. კ-ზი ამ დროს (და შეიძლება სხვა დროსაც) ბედიელი მოებისკოზიც არის. პ-ლი პროფესორის დასკვნის მიხედვით გამოდის, რომ კ. გარიგების ავტორს „ამიერი ბედიელი“ აფხაზეთის კათალიკოზის შესატყვისობით აქვს ნახმარი. ვფიქრობთ, ეს არ უნდა იყოს სწორი. წინააღმდეგ: ბედიელის, ისე როგორც ქუთათელის, შემდეგ

¹ ხელმწიფის კარის გარიგება, 14₂₇.

² სხვა ადგილი, აფხ. კ-ზის საჯდომის მაჩვენებელი, კ. გარიგებაში არ არის.

³ პ. ე. თაყაიშვილი, ხელმწიფის კარის გარიგება, წინასიტუა- ნა, 6.

აქ „მთავარეპისკოპოზი“ იგულისხმება და ერთს ქანტექტურულ-მთ.-ეპისკოპოზზე ან ქუთათელზე კი არ აქვს ავტორს ჰაქტენი, იმპირიულ საერთოდ ამ საეპისკოპოზო კათედრათა წარმომადგენლებზე. ცორია ქვემოთ კი, როცა ავტორს დასჭირდა მისი დროის (ყოველშემთხვევაში განსაზღვრული დროის) ბედიელის და ქუთათელის სახელ-დობრ აღნიშვნა, ის ამბობს: „და დაისარჩნეს აფხაზეთის კათალიკოზი და ქუთათელი იოანე“.

მით ავტორმა გვამცნო, რომ იმ დროს ბედიელი აფხაზეთის კ-ზი იყო. აფხ. კ-ზი სხვა დროსაც იყო ბედიელი მთ. ეპისკოპოზი. იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპებში მოიხსენება „ბედიელი კ-ზი ნიკოლოზ“¹. მაგრამ რომ ეს ადგილი ისევე უნდა გავიგოთ, როგორც ებლახან განხილული, ეს იქიდან ჩანს, რომ იმავ აღაპებში მოიხსენებინ „აფხაზეთის კათალიკოზი დანიელი“² (არა ბედიელი) და მიქელ ბედიელი“ ანუ მიქელ გონგლობაძეს-ძე ბედიელი³. რომ უკანასკნელი მღვდელმთავარი კ-ზიც ყოფილიყო, ის ნიკოლოზ „ბედიელ კათალიკოზი“—ვით კათალიკოზადვე იქნებოდა წოდებული. არც ერთი აქ დასახელებული აღაპთაგანი მეთხუთმეტე საუკუნეშე უფრო გვიან არ უნდა იყოს დადგებული⁴. როგორც ჩანს, აფხ. კ-ზები XIII—XV საუკუნეში ხშირად იყვნენ ამავე დროს ბედიელი მთ. ეპისკოპოზებიც, მაგრამ აქედან ბედიელობის აფხაზეთის კ-ზთან შესატყვისობამდე შორსაა, ისე როგორც ქუთათლობა და გენათლობა XVII—XVIII საუკუნეებისა არ შეეტყვება იმავე ხანების აფხაზ. კათალიკოზობას მიუხედავად იმისა, რომ ამ დროის კ-ზები ხშირად იყვნენ გენათლინიც თუ ქუთათელნიც. ამიტომ, ვფიქრობთ, არ უნდა იყოს მართებული ის აზრი, რომ აფხ. კ-ზი ბედიაში ცხოვრობდა, ან უკეთ, რომ ბედიაში იყო აფხ. საკათალიკოზო ტახტი. აქვე ვისწრაფვით აღნიშნოთ, რომ სრულის უეჭველობით არც ჩვენი დებულებაა ნათელ მრავლი, და ეს არა მარტო საეკლესიო ისტორიისათვის მნიშვნელოვანია საკითხი უთუმცაო გადაწყვეტას მოითხოვს.

კარის გარიგებიდან ზემოთ მოყვანილი ამონაწერი ერთ ახალ ცნობასაც გვაწვდის: აფხ. კათალიკოზისა და ქუთათელის სარჩელს მხოლოდ ქართ. კ-ზი არ წყვეტს. ეს კი თითქო გვაფიქრებინებს, რომ

¹ აღაპნი ჯუარის მონასტრისანი, პრ. ნ. მარრის გამოცემა, აღაპი № 97.

² იქვე, № 292.

³ იქვე, № 10.

⁴ აფხ. კ-ზი დანიელის შესახებ იხილე ს. კაკაბაძე, წერილი შტუდები, 2—6; მიქელ გონგლობას ძის შესახებ პრ. მარრის შენიშვნა იმავე წიგნში გვ. 3.

აფხ. კ-ზი ლიხთ იმერეთის საეკლესიო საქმეებში დამოუკიდებელი და სამართლის სამართლის სიტყვები: „არ მემართლები გვრგვი და სკიპტრი ჸეჭილი მომართება, რომელიც მოწიდებულია სამართლი (მე შემთხვევაში აეკლესიო, სამართლი) გააჩინოს¹. საინტერესოა, რომ სარჩელი გა-დაწყვიტეს „გვზირ და ერთობილო ლაშქართა“, ე. ი. დარბაზმა აქ, რა თქმა უნდა, ქართლის კ-ზიც და ჭყონდიდელიც მონაწილენი იქნებოდენ). საკითხის გადაწყვეტა დარბაზის მიერ, ვფიქრობთ, სა-ინტერესო ხასიათით უნდა იხსნებოდეს. მაგრამ ის ამ შემთხვევაშიაც დამახასიათებელია და საყურადღებო.

ცველა შემოთ მიღებულ დასკვნებს რომ თავი მოუყაროთ, შემ-ეგვს მივიღებთ XIII—XV საუკუნეებში აფხ. კ-ზების შესახებ:

1. აფხ. საკათალიკოში XIII საუკუნიდან ჩანს. 2. გადაჭრილი რ არის საკითხი: ერთმეტობის, თუ რო მეფობის ხანაში დაარსდა ს. 3. აფხ. კ-ზს მთლიანი საქართველოს მეფის კურთხევის უფლება რ აქვს. უკანასკნელი ქართლის კ-ზის საქმეა და ეს საქმე მას აფხ. ზის დაუსწრებლადაც შეუძლია შეისრულოს. 4. აფხ. კ-ზს ხელი არ იუწვდება ლიხთ ამერის საეკლესიო-სასულიერო საქმეებში, მაშინ თოცა ქართ. კ-ზი მთლიანი საქართველოს ეკლესიის უზენაესი წარ-მოადგენელია. 5. XIV საუკუნეში აფხ. კ-ზი ცდილობს საკებელით გა-სწორდეს ქართ. კათალიკოშს. მისი პატივი თითქმის სწორია ქართ. ზის პატივისა. 6. მთლიანი საქართველოს მეფის კურთხევის უფ-ლება მას ორც ეხლა აქვს,—ამისთვის იბრძეის ის. 7. აფხ. კ-ზის ტახ-ი ბედიაში არ არის. 8. აფხ. კ-ზი ხშირიდ ბედიელი მთ. ეპისკო-პიუც არის. 9. ლიხთ იმერეთის საშინაო საეკლესიო საკითხების უზესროვნებაში აფხ. კ-ზი დამოუკიდებელია.

სამწუხაროდ, აფხ. კ-ზის ეს უფლებრივი სურათი სრული არ ჩაის. ზოგი დებულება სადაოც არის. მაგრამ საერთო ხასიათი, ვფი-რობთ, სწორია.

დაახლოებით ასეთი იყო აფხ. კ-ზის უფლებრივი და ფაქტიუ-ი მდგომარეობა, როცა „დიდად ელვაწათ მეფეთა, მთავართა და არბაზიერთა განდიდება ცათა მობაძევისა კათოლიკე ეკლესიისა ბი-კინტისა ლუტისმშობელისა და სამოციქულოსა საყდრისა და მას ედა მჯდომარისა კ-ზისა ამაღლება და აღმატება, რათა შეკვრითა

¹ რა თქმა უნდა, ეს დასკვნა საეკეპიკა, სანამ ჩვენი სასაპართლო ტერმი-ლოგია ისტორიულად ზესწავლილი არ არის.

და განხსნითა მისითა ეგნენ სამეფონი ესე ლიხთ უკრიცვული უკრძალვაშეუტო-
სა და ყოვლისა ჩრდილოეთისა ეკლესიინი...”¹

მოყვანილი ამონაწერი გრიგოლ კ-ზის დიდი სიგლიდან 1733
წლისა, მართალია, არ ასახელებს, თუ რომელ მეფეთა მთავართა
და დარბაზიერთა „ელვაწა“ აფხაზეთის კ-ზის „ამალებდა და აღმა-
ტება“, მაგრამ ხასიათი, გამონათქმები და დასაბუთება როგორც ამ
ამონაწერის, ისე მის მიმყოლი ადგილისა გვარწმუნებენ, რომ კ-ზი
გრიგოლი სარგებლობს „მცნება სარჯულოს“ ტექსტით. თუ ეს ასეა,
ჩვენ მეტად საინტერისო ახალი ცნობა გვეძლევა აფხაზეთის კ-ზის
მდგომარეობის შესახებ XV საუკუნის მიწურულის წინა ხანაში: მისი
აღმატება და განდიდება ყოფილა საჭირო, რათა „შეკვრითა და გა-
ხსნითა მისითა ეგნენ სამეფონი ესე ლიხთ ამერისა, აფხაზეთისა და ყო-
ვლისა ჩრდილოეთისა ეკლესიინი“. თუნდაც რომ სწორი არ იყოს
ჩვენი ეს ქრონოლოგიური მოსაზრება, გრიგოლ კ-ზის მოწმობა, რო-
მელიც ისე საუცხოვოდ ეთანხმება და ავსებს ზემოთ ჩვენ მიერ მი-
ღებულ დასკვნებს, მეტად ძირითადია.

სასულიერო საქმეებში ლიხთ იმერეთის ეკლესიის უზენაესი მო-
თვე ქართლის კ-ზი ყოფილა, სამეფოთა და ეკლესიათა შეკრვა და
გახსნა მის ხელთ ყოფილა. თუ ეხლა დავსეამთ საკითხს: რათ იყო
საჭირო „ღ-ის მიერ მოვლენილი“ იერუსალიმის და ანტიოქიის პა-
ტრიიარქის მიერ აფხ. კ-ზის კურთხევა, თუ კი ის უკვე განდიდებული
და აღმატებული იყო,— შეგვიძლია გადაჭრით უპასუხოთ, რომ XV
საუკუნის მეორე ნახევრამდის (უფრო დაახლოებით 60-ან წლებამდის) აფხ. კ-ზი „არავის ქვეშეთ შექმნილი“ კათალიკოზი იყო. ამიტომ,
ვთქიქრობთ, ზერელე და უსაბუთო არ იქნება მისი თქმა. რომ აფხ.
კ-ზი მის განდიდება-აღმატებამდის ქართლის კათალიკოზი. მიერ
იკურთხებოდა ხოლმე. ეხლა ნათელი და გასაგები ხდება ის თითქო და
იდეოლოგიური დასაყრდენი. რომელიც მიქაელ პატრიიარქს მოჰყენ-
თავისი საქციელის გასამართლებლად. მართლა და რაღ სჭიროდა
მიქაელ პატრიიარქს ასეთი ღალადისი: „ვ-ე ნინო ქართველთა] დედა-
მან მოაქცინა ქართლი მისთა სამზღვრთა: აქათი წ-ნ ან[დრია მცქლ-
მან] ნათლითა მიუაჩრდილებელთა გნანთლნა და განასურნელნა
ყლნი მორჩილნი სჯლისნი“². ასეთი „დასაფუძვლება“ სრულიად სა-
ჭირო არ იყო იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთის საკ-ზო მის მობრძა-
ნებამდისაც სავსებით გამოყოფილი იყო ქართ. საკ-ზოდან და ლიხთ

¹ ს. ჭავაბაძე, დასაელეთ საქართ. საექლესიო საბუთები 1, 139.

² ს. ჭავაბაძე, მცნება სარჯულო, 9₁₈₋₂₁.



ჭა მოგვეპოვება. საიდან? ცხალია *დაზესაგან. თხელი შემოწყვეტილია
ქტივების შაჩვენებელი - უდ სუფიქსია (შდ. კმ-ედი— კმ-თბა;
კრძ-ედი — კრძ-თბა, სი-გრძ-ე; სქელი — უ-სქ-ეს-ი, სი-სქ-ე;
წით-ს (ცა) — წით-ედი; ურც-ედი — სი-ურც-ე; კურ-ედი —
კურ-ეტა და სხვ.), რომლის მიმატებით *დაზესაგანი (V)
რედუქციის გამო ამოილებოდა და *დაზელ სახეს მოგვკერდა. უკა.
ნასკნელი კი ასიმილაციით *თხელი და იქცეოდა; და თუ მოვი-
გონებთ ქართულისათვის დამახასიათებელ წესს, რომ ორი თა-
ნაბარი თანმოვნილან ერთი იქარგვის, მაშინ ჩვენთვის ნათე-
ლი წარმოსადგენია თანამედროვე და თუნდაც ძველს ქარ-
თულშივე გავრცელებული თხელის (ხოდი იეთ... კორცათა
თხელი: გრგ. ხანძთ. ბ₆₃) *თხელი იდან წარმოშობა. ამგვა-
რად, თხელის ისტორია თვალსასინოდ ასეთია: *დაზეს (ძირი) +
ელი (ალექსტ. სუფ.) > *დაზელი > *თხელი > თხელი. რომ ჩვენი
მოსაზრება სწორია და ასეთი რისამე დაშვება შესაძლებელია,
ამაში მეორე მაგალითით დავრწმუნდებით.

3. ასიმილაცია მეტათესის შემდეგ ბგერის დაკარგვის დართვით.

ამის მაგალითად და ზემოთქმულის პრეცედენტად ძველი-
ქართ.-ის თთუე გვეგულება, რომლის ისტორია მეგრულ-სვა-
ნურის მეოქებით გაიგება.

1. სვანური ღოძღული ('მთვარე') კნინაბითი ფორმითა
წარმოდგენილი, სადაც კნინობითობის შაჩვენებელი -უდ სუ-
ფიქსი ახალი მინაღები უნდა იყოს. მისი არაძირეულობა
და შედარებით ახალი წარმოშობა მტკიცდება ამ სიტყვის ძვე-
ლიდანვე შემონახული ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, სადაც
მას ადგილი არა აქვს; ეს გახლავთ დღის სახელწოდება და-
შდიშ (დაშდიშ, დაშტიშ, დეშდიშ, დეშტიშ—დიალექტური ვარი-
ანტებია: Извл. св.-р. сл., 22), რაც სიტყვა-სიტყვით
'მთვარისა' იქნება და ისე კი 'ორშაბათ'ს ნიშნავს (შდ.

ურთიერთება
ლების იარაღი არ იყვნენ მცხეთისაგან თავდაცვის ჰყავიშვილის მიერთებულ ტახტი თუნდაც XV საუკუნის მიწურულში არც ისე უმწეო იყო, რომ ყოველივე ფასს მოკლებული საბუთით: „ერ იგი პირველად ქართლისა და აფხაზეთის კუნძულის ანდობისა პატრიარქთაგან იკუროთხეოდიან“—ო, მის წინააღმდეგ გალაზქრება ვერ მოეგერებინა. ეფრემ მცირესა და გ-ი მთაწმინდელის ცნობებით მას შეეძლო ყოველგვარი ფასი დაეკარგა პატრიარქის ამ „საბუთისათვის“. სულ სხვა სიმძიმის იყო მეორე არგუმენტი წმ. ნინოს და ანდრია მოციქულის ქადაგებათა ტერიტორიალური გამიჯვნის შესახებ საქართველოში. მართალია, მცხეთის ტახტს ჰქონდა ამის საწინააღმდეგო საბუთიც რუისურბნისის ძეგლის წერის სახით, მაგრამ 1103 წლის საეკლესიო კრების ამ საბუთიანობას არ ამართლებდნენ არც წმ. ნინოს ცხოვრების და არც ანდრია მოციქულის ქადაგების არსებული რედაქციები.

საეკლესიო განცალკევების უფლების დამსაბუთებელი ასეთი „მოძღვრება“, საფიქრებელია, ანტიოქიის პატრიარქის მიერთის მობრძანებამდის დიდის ხნით ადრე წარმოიშვა. ქართლის კუთავი გათანასწორებისათვის მებრძოლი აფხ. კათალიკოზები, რა თქმა უნდა, არ დაყოვნებდენ ასეთი იარაღის აღმოჩენა-გამოყენებას. მაგრამ საუკუნეთა სიგრძეზე შექმნილი ტრადიცია მთლიანი საქართველოს ეკლესიისა მცხეთის ტახტის მოთავეობით, ქართ. კუთავის ავტორიტეტი და საბუთიანობა განცალკევების წინააღმდეგ, საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური მთლიანობის იდეიის სიცხოველე, მიუხედავად ზოგჯერ ორ სამეფოდ დაყოფისა, — კულა ესენი აფხ. კუთავის წინააღმდეგ მოქმედებდენ და მათ განხორციელებას შეუძლებლად ხდიდენ. საჭირო იყო ცენტრისაკენ მიმზიდველ ძალთა ღრმა დასუსტება, პოლიტიკური პარტიულარიზმის იდეის საბოლოო გამარჯვება და კულტურული მთლიანობის მოშლა, რომ სხენებული მოძღვრება ცხოველ-მყოფელი გამხდარიყო და მას ძლიერი საბუთის ძალა მიპინიჭებოდა.

საზოგადოების ნებისყოფითი აქტი ბუნებრივ-მექანიკური ლენა არ არის, რომ მისი დროულობაში გამოვლენა ფატალურ. აუცილებლობით და მათემატიკური ზედმიწევნილობით მოხდეს. მომზადებული პირობები სრულიად არ ჰყულისხმობენ მათ ნიადაგზე შესაძლებელ მოვლენათა აუცილებლობას. აქ სარბიელი ეშლება შემთხვევითს და ის ისტორიული აქტის მნიშვნელოვან ფაქტორად გვევლინება.

იიქაველ პატრიარქი „შემთხვევა“ სწორედ ისეთ დროსა და პირობებს, როცა მისი ქურთხევა და მადლი საჭირო და ნაყოფიერი



იყო მოლიანი საქართველოს მესაფლავეთათვის. მან შეასრულა ბეჭდის მიმღები მოლიანი სახელი და სახელი მის მომავალი განაცხადის უფლა. და „იტრუსალიმის მარჯვენად“ - ს მაღალი სახელი მიანიჭა. სამაგიეროდ მოკარდა არ ჰატრიარქმა შემოსავლის წყარო გაიჩინა. XVII საუკუნის შუაზე სამეგრელოში მყოფი იტალიელი მისიონერი პატრი არქანჯელო ლამბერტი თავის სამეგრელოს აღწერაში მოგვითხრობს: „საქართველოს და სამეგრელოს ერნი! ... ემორჩილებიან ბერძნის მსოფლიო პატრიარქს, რომელიც კოსტანტინეპოლიში არის, თუმცა წინად ანტიოქიის პატრიარქს ემორჩილებოდნენ 2, ხოლო ეს მორჩილება მარტო იმაში გამოიხატება, რომ როცა ხანგამოშვებით კოსტანტინეპოლის პატრიარქი იმ ქვეყნებში თავის ბერებს გაგზავნის შემოსაწირავთა მოსაკრეფად, მათ მოწყალებას და შესაწირავს 3 ადლევენ. გარნა ქართველებს და მეგრელებს ჰყავთ ორი თავისი პატრიარქი, რომელიც განაგებენ მთელ სამღვდელოებას 4, როგორც საქართველოში ისე კოლხიდაში“ 5. ეს ცნობა სავსებით ადასტურებს ზემორე გამოთქმულ მოსაზრებას.

მსოფლიო პატრიარქს უზომო პრეტენზიები რეალ შესაძლებლობაზე ადგილად შეუცვლია. ის მოწყალების შეგროვების უფლებას და ქაყანების უფლებულა.

როგორც უწინარეს, ისე მიქაელის შემდგომაც იყვნენ ასეთი მოგზაურობის მოყვარული პატრიარქები. მათ შორის ყველაზედ მეტად ბედმა მიქაელს გაულიმა: იგი მეტს „შეემთხეა“, ვიდრე თითონ ელოდა. მცხეთის ტახტს მთელი მხარე ჩამოაგლიჯა და მკვიდრი შემოსავალი გაიჩინა. ხოლო რომ მისი (საკუთრივ მისი) საბუთიანობა-

¹ Ганი ამ ოთხი სიტყვის მაგიერად: „народы той страны“.

² ეს ცნობა ქართლისა (sic) და აფხ. საკათალიკოთოთა კოსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებისა ჩვენთვის უცხოა. ის მეტად სანტერესოა და, თუ ლამბერტის ეს ცნობა სწორია და მთარგმნელთაგან ლამბერტის არი მეცნიერული სისწორით არის გადმოცემული, მაშინ ის განსაკუთრებული შესწავლის ლირისა. ჯერჯერობით კი ჩვენ ეცვის თვალით უფრებო ამ ცნობას და სწორედ მიტომ, რომ ის მცხეთის საწყისისაც ეხება. ასეთი რამის ოდნავად მაჩვენებელიც კართულ წყაროებში ჩვენ არ შეგვხვდით.

ამიტომ ამ ცნობას ჯერჯერობით გვერდს უვლით.

³ Ганით „им дают милостыню“.

⁴ Ганით „заведуют всеми духовными делами“.

⁵ არქანჯ. ლამბერტი, სამეგრ. აღწერა, თარგმანი აღ. ჭყობიასი - 120...

Ган-ის თარგმანი იხ. Сборник материалов для опис. местност. и племен Кавказа XLIII, 125.

დღენიალული და უსიცოცხლო იყო, ეს იქიდანაც ჩანს, რომ ითავისეს შემდეგ არც ერთი აფხ. კ-ზი პატრიარქთაგან არ კურთხეულა.

// მოქლედ, „მცნება სარჯულო“-ს აქტი შემდევნირად გვეხატება: აფხ. კ-ზები მათი არსებობის დღიდანევე ცდილობები მცხეთის ტახტს საფუძვით ჩამოსცილდენ. ისინი პპოულობენ სამისო კანონიურ საფუძველს. მათი ქადაგება დიდ ხანს ფეხს ვერ იყიდებს, რადგან სამისო ნიადაგი ჯერ მზად არ არის. საქართველოს საბოლოო დასუსტება აცხოველებს პატრიარქლისტულ ტენდენციებს. მცხეთა, მთლიანობის იდეიის მატარებელი, ძლიერი იარაღია საქართველოს მეფეთა ხელში.

გამდგარ მთავართათვის მცხეთა მიუღებელია. აფხ. კ-თა ზრახვები კი მათვის სახელდახელოა და მისი კანონიური მოსახრებანი საკმაო საფუძვლადაა მიჩნეული ლიხთ იმერეთის ეკლესიის გამოყოფა-თვითმწყსობისათვის. ანტიოქიის პატრიარქი შემთხვევითი ხასიათის მოვლენაა. მისი ავტორიტეტი სწორედ ზედ გამოჭრილია მცხეთის ტახტისათვის დასაპირდაპირებლად. მის მიერ გამოქვებნილი კანონიური საფუძველიც, თუმცა ფასნაულულია, მაგრამ მაინც მისაღებია,

ასეთ პირობებში მოხდა „განდიდება“ და „აღმატება“ აფხ. კ-ზი-სა. ამიერიდან ის ანდრია მოციქულის მოსაყდრეა¹ და პავლე „ღმრთისა მეორის“ თანამოსაგრე ქრისტეს არანების მყოფელებთან ბრძოლის საქმეში². მის ხელთ არის გახსნა და შექრავა ლიხთ ამერის „სამეფოთა“ და „ეკლესიათა“, ის „სჯულისა და მერჯულეთა უფროსი“ და უხუცესია³.

ამიერიდან მისგან მიიღებენ კურთხევას საეკლესიო და საერო დიდნი და მცირენი⁴ ე. ი. ეპისკოპოს-მიტროპოლიტი, მეფენი და მთავარი.

ამრიგად აფხ. კ-ზს მიენიჭა დამოუკიდებელი ეკლესიის მესაჭის ჯელა უფლებები. ამ მხრით ის მცხეთის ტახტის საკუთმბყრობელს გაუთანასწორდა. სწორედ ეს იყო აფხ. კ-ზთა ზრახვებიც. დარჩა ერთი რამ: აფხ. კ-ზი იკურთხა ანტიოქიის პატრიარქის მიერ. ამიტომ ის არ შეიძლებოდა უკანასკნელის სწორად ჩათვლილიყო. და მართლაც, თუ კ-ზი ანდრია მოციქულის მოსაყდრედ არის აღიარებული, ანტიოქიი და იერუსალიმის პატრიარქი თვით ქრისტეს მოსაყდრედ უწოდს თავის თავს⁵.

¹ მცნება სარჯულო, ს. კავაბაძის გამოცემა, გვ. 7₁₄₋₁₅.

² იქვე, 7₁₄₋₁₅.

³ იქვე, 7₁₄₋₁₅, 5₁₅.

⁴ იქვე, 5_{21...}

⁵ 7₁₂₋₁₄.

ფალოცის კულტი საქართველოში *.

ქართველთა სარწმუნოებრივი განცდების და უძველეს სოციალურ შემცნებათა გამოსარკვევად უაღრესი მნიშვნელობა აქვს მათშივე დღემდე დაცული რიტუალური ხასიათის ზეჩვეულებების შესწავლას. მაგრამ ამ მიმართულებით მომუშავე მკვლევარისათვის ქართულ მატიანებზე დაყირება სამწუხაროდ უიმედოა, რადგანაც ისინი ან მცირე ცნობებს გვაწვდიან, ან სრულიად სდუმან. მხოლოდ არქეოლოგიურ და ეთნოლოგიურ ილმოჩენებს თუ შეუძლია ამ მხრივ მკვლევარს ერთგვარი დახმარება გაუშოს და მეცნიერების ამ ორი დარგის მომარჯვებით განსწავლულ ეთნოლოგს ოდნავ მაინც შეუძლია გააშუქოს ჩვენი წინაპრების წყვდიადით მოცული რწმენის სამყარო. მაგრამ ამისათვის ირველყოვლისა საჭიროა, რომ თვით მკვლევარი ქართველ ხალხში მყოფებოდეს და უშუალოდ ეცნობოდეს იმ განცდებს, რომლებსაც ჩვენი მდაბით ხალხი თავის ხატობა-დღეობებში ასახიერებს.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენში ამ მიმართულებით მუშაობა მოისუსტებს და ამიტომ ჩვენს მუხეუმებს და სამეცნიერო დაწესებულებებს მართებთ განსაკუთრებული ყურადღებით ხელი შეუწყონ ქართველთა ეთნოლოგიურ შესწავლას.

ამ მხრივ, სხვათა შორის, ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს ხალკური და სარწმუნოებრივი განცდების უძველესი ნაშთები. ამგვარ უზობას ჩვენ ვაწარმოებდით ფშავ-ხევსურეთში და მათი წაწლობა-სწორფრობის წესების შესწავლამ გამოარკვია, რომ მათში არსებულა და დღემდე დაცულია ჰეტერიზმის, ენდოგამიური შეულლების და სალმრთო როსკიპობის წესებიც¹. ამ რიტუალურ სექსუალურ წესებთან ერთგვარი კავშირი ფალოცის კულტისაც აქვს, რომლის რწმენის ჩვენში არსებობას, არქეოლოგიური ილმოჩენების გარდა,

* მოხსენებულია საისტ.-საეთო. საზოგადოების საჯარო კრებაზე 1926 წლის იანვრის 2-ს.

¹ ს. ე. მაკალათია, უშავური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა. ტფილის 1925 წ.

თვით ჩვენს ხალხშივე დღემდე დაცული ეთნოლოგიური წეტილური წმობენ. მაგრამ სანამ ჩვენ ამის განხილვაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ აღვნიშნოთ, თუ რაში გამოიხატებოდა ფალოსის ოწმენა და სად იყო მისი კულტი გავრცელებული.

ლვთაება ფალოსის კულტი დღიდად გავრცელებული იყო ძველ წარმართულ მსოფლიოში. მის სიმბოლოს წარმოადგენდა მამაკაცის და დედაკაცის სქესობრივი ასო (ფალოს და კტეის). ფალოსს, როგორც ადამიანისა და დედამიწის განმანაყოფიერებელ ლვთაებას, განსაკუთრებულ თაყვანსა სკემდენ და ის ხალხის ოწმენაში ორსქესოვან არსებად იყო წარმოდგენილი, რომელსაც ამიტომ ხშირად ქალის სხეულით და მამაკაცის ასოთი აქანდაკებდენ. ფალოსის თაყვანის ცემასთან დაკავშირებული იყო აგრეთვე საღმრთო როსკიპობაც.

თანამედროვე კულტურულ ერთა შორის ფალოსის კულტი ჯერ კიდევ ი აპონიაშია დაცული და, მიუხედავად მთავრობის განკარგულებისა მისი აკრძალვის შესახებ, იაპონიის მდაბიო ხალხი მას დღესაც თაყვანსა სკემს. იქ მოიპოვებიან სხვადასხვა სახის ფალოსები, უმეტესად ცხვირწარმოზიდული კლდეების და გრძელი ნახევარკუნძულების განსახიერებით. ფალოსის ამგვარი ოწმენა გამომდინარეობს იაპონიის ხალხურ—„შინტო“-ს სარწმუნოებრივი თქმულებიდან, რომლის თანახმად მათ მთავარ ლვთაებებს იაზანაგსა და იზანამიას თავმოთქრული ფალოსის რევით ზღვაში კუნძულები გაუჩენიათ; შემდეგ ზეცამდე აღმართული ფალოსის გარშემო შემორბენით სულიერი არსებანი გააჩინეს¹. იაპონიაში ფალოსს აკეთებენ სხვადასხვა ზომისა და ნივთიერებისაგან და თან ატარებენ, როგორც თილისმას. მათივე ოწმენით ფალოსი და კტეისი ადამიანს ჰერონაგს სასქესო ორგანოს ტკივილებისაგან და ორსულს მშობიარობას უმსუბუქებს.

გარდა ამისა იქ ფალოსი მეძავთა მფარველად ითვლება და მის გამოხატულებას ხშირად საროსკიპოებში აკრავენ. ამასთანავე, უნაყოფო და სქესობრივად დაავადებული ქალები ფალოსს ნიერებს სწორავენ. მის სიმბოლოდ ითვლება სოქო და ლორის ეშვი.

ფალოსის კულტი ინდოელებშიაც გავრცელებულია—ბუდიზმი მისი ოწმენითაა გაელენილი, რაც აშეარად გამოხატულია ინდოელების ლვთაებათა სექსუალურ მხატვრობა-ქანდაკებაში. მაგრამ ფალოსი განსაკუთრებით დაკავშირებული იყო ინდურ ლვთა-

¹ Chant pie de la Saussaye, Lehrbuch der Religionsgeschichte Freiburg- Leipzig 1897. Band II.

ება „სივა“-სთან, როგორც ჩასახვის და ოლორძინების ღვთაებული რომლის სიმბოლოდაც ის იქცა.

ფალოსის კულტი აგრეთვე გავრცელებული იყო ძევლად სირიაში და მცირე აზიაში.

სირიაში ღვთაება ასტარტის და ატისის ტაძრის შესავალ კარიბებს ფალოსის ქანდაკებით ამკობდენ და მათ თაყვანის ცემასთან დაკავშირებული იყო საღმრთო როსკიპობაც.

ძევლს საბერძნეთში და რომშიც გავრცელებული იყო ფალოსის თაყვანის ცემა, სადაც ქალები ძევირდასი ნივთიერებისაგან გაკეთებულ პატარა ფალოსს ატარებდენ გულზე, როგორც საღმრთო სამკაულს. ფალოსის რწმენა ბერძნულ-რომაულ პერიოდში უმთავრესად დაკავშირებული იყო დიონისესა და აფროდიტესთან. დიონისეს მისტერიებში, რომელიც იმართებოდა შემოდგომაზე ყურძნის აქტეფისას და ყოველ გაზაფხულზე, უმთავრეს როლს ფალოსის ქანდაკება თამაშობდა, რომელსაც წითელი ტყავისაგან აკეთებდენ და ჯობზე წარმოტეს შუა პროცესიაში ატარებდენ. ამ მისტერიაში მონაწილეებს სახეზე ნიღბები ჰქონდათ გაკეთებული და ჭრელი სამოსი ეცვათ. ამასთანავე ყელზე და გვერდებზე ეკიდათ პატარა ფალოსები. საბერძნეთში და რომში ფალოსს თილისმის ძალას აძლევდენ და ავთვალის წინააღმდეგ ხმარობდენ. ფალოსს იქ აგრეთვე სოფელ-სოფელ ატარებდენ, რომ ნათესი ავსულებისაგან დაეცვათ. ქორწილში პატარძალს სვამდენ ფალოსზე, რომელსაც ის ვითომდა ამით სწირავდა თავის უმანკოებას. გარდა ამისა, იქ არსებობდა ფალოსის ღვთაების სადიდებელი სიმღერები და სათამაშოებიც და ჯერ კიდევ არის ტორელი თავის «პოეტიკაში» (4 p. 1249a) ამ ფალოსის სიმღერებიდან და პროცესიდან წარმოშობილად თვლიდა კომედიას (შ. W. Christ, Geschichte der griechischen Litteratur I⁶ გვ. 396 გმდ. და 262).

ერთი სიტყვით, როგორც ალენიშნეთ, ღვთაება ფალოსის კულტი ძლიერ გავრცელებული იყო ძევლ წარმართულ მსოფლიოში და დღესაც მისი რწმენის ნაშთები მერთალად დაცულია ჩამორჩენილ ერთა შორის, მაგალითად: გილიაკები დიდის მოწიწებით ეპყრობიან დათვის ტყავისაგან ამოჭრილ ასოს. აინგები თავიანთ მიცვალებულთა სამარხებზე დიდს ხისაგან გაკეთებულ ფალოსს აღმართავენ. ბუშმენები თავიანთ ღვთაებებს ფალოსის სახით აქანდაკებენ და მისივე ატრიბუტებით ამკობენ და სხვა.

გარდა ამისა, თითქმის ყველგან გავრცელებული წინდაცვეთის, დასაცურისების და ასოს მოკვეთის წესებიც ფალოსის ღვთაების

რწმენასთან იყო დაკავშირებული. მაგალითად, ძველ • რომელი მუჭქა ება კიბელის და ატისის საგაზაფხულო დღესასწაულზე, მაგრამ უკავშირები ბუნების განაყოფიერების სიმბოლიურ წესის შეიცავდა და საზოგადოდ 22 მარტიდან იწყებოდა, სკრიდენ ფერების ხეს, რომელსაც ყვავილებით და სხვადასხვა სამკაულებით ამჟამდენ, მის შუა ტანზე კი ახალგაზრდა ვაჟის გამოხატულებას მიაკრავდენ. 24 მარტს იმართებოდა ღვთაების დღესასწაული დიდის ზეიმით, დამაყრუებელი მუსიკით და თავბრუდამსხმელი თამაშობა-მოძრაობით, რომელსაც მორწმუნენი ექვსტაზში მოჰყავდა. ღვთაებისადმი შეწირულნი თვითმის სასქესო ასოს იჭრიდენ, რომლებსაც შემდეგ აგროვებდენ და კიბელის მღვიმეებში ინახავდენ. ეს წესი, მათი რწმენით, ხელს უწყობდა ბუნების განახლება-განაყოფიერებას¹.

ამავე ხასიათის მატარებელი იყო სირიის უდიდესი ღვთაების ასტარტის ღღესასწაული ჰიერაპოლისში, სადაც შეწირულნი თვითმის სასქესო ასოს იჭრიდენ და მას ხელით ატარებდენ.

საკითხი იმის შესახებ, თუ საიდან და ოოგორ წარმოიშვა ადამიანში ფალოსის ამგვარი რწმენა, მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. გერმანელი მეცნიერის ე. ჰანის აზრით ფალოსის გაღმერთება და თაყვანისუმა გამომდინარეობს ადამიანის იმ პრიმიტული რწმენიდან, როდესაც მან უკვე იცოდა სქესობრივი ასოს, როგორც განმანაყოფიერებელი ძალის შინაგანელობა, და დედამიწა წარმოდგენილი ჰქონდა მას, როგორც დედა-ღვთაების სქესობრივი ორგანო, სახნისი კი, რომლითაც ის მიწის წიაღს ჰკეთავდა და ანაყოფიერებდა, — როგორც მამაკაცის ასო (ფალოს)². მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა ფალოსის კულტს ინიმისტურ რწმენას უკავშირებს, როდესაც პირველყოფილ ადამიანს მთელი ბუნება გასულიერებულად ჰქონდა წარმოდგენილი და თავისი სხეულის ყოველ ნაწილში ის გრძნობდა ცალკე სულის არსებობას. ამ მხრივ მას თავისი სქესობრივი ასო მეტ საბაბს აძლევდა, რომ წარმოედგინა მისი ცალკე და დამოუკიდებელი არსებობაც, მით უმეტეს, რომ მან იცოდა სასქესო ასოს განმანაყოფიერებელი ძალა, მისი ხშირი თვითნებური გალიზიანება და იმპულსიური მოქმედებანი. ამგვარი შეგრძნებიდან, მეცნიერთა აზრით, უნდა წარმოშობილიყო სასქესო ასოს გაღმერ-

¹ I. G. Frazer, Adonis Attis, Osiris. London 1906. H. Hepding, Attis, seine Mythen und sein Kult. Giessen, 1903.

² E. Hahn. Demeter und Baubo, Versuch einer Theorie der Entstehung unseres Ackerbaues. Lübeck. 1896. E. Hahn. Die Entstehung der Pflugkultur. Heidelberg. 1909.



თება, როგორც ნაყოფიერების მიზეზის, და ამიტომ მას პრინციპულური რწმენაც სასწაულებრივ ძალას ანიჭებდა. აღამიანის სქესობრივი ასას ამგვარი გაღმიერთება შემდეგში გადატანილ იქმნა ცხოველებზე და მცენარეებზედაც, რომელთა განაყოფიერების და გამრავლების პროცესი აღამიანისაგან თითქმის არაფრით არ განსხვავდება. ამიტომ ფალოსის მისტერიები და მისი თაყვანისცემა იმართებოდა გაზაფხულზე, როდესაც ბუნება იღვიძებდა და ნაყოფიერდებოდა. აგრეთვე შემოდგომაზედაც, როდესაც დამწიფებული ნაყოფი იკრიფებოდა და საზამთრო პურეული ითესებოდა. ამ გარემოებას ე. ფ. რ. გ. ზერი ამგვარად ხსნის: დიონისეს მაგვარი ღმერთები მცენარეულობისა და პურეულობის ღვთაებანი არიან, რომელთა შემოქმედებითი ძალისაგან დამოკიდებულია სარჩოს მოსავალი და ცხოველების გამრავლება. ამიტომ, რომ ზეგავლენა მოქმდინათ ამ ღვთაებებზე, წლის მთავარ მომენტებში, გაზაფხულზე და შემოდგომაზე აღამიანები მართავდენ დიდის ზემით საღმრთო როსკიპობას, რაც მათი რწმენით იწვევდა აღნიშნულ ღვთაებათა გაღიზიანებას და ბუნების განაყოფიერებას. აი ასეთი იყო მოკლედ ღვთაება ფალოსის რწმენის შინაარსი და მისი ხილული სახიერება.

ჩვენს ამოცანს წარმოადგენს გამოვარკვით, არსებობდა თუ არა საქართველოშიაც ფალოსის კულტი და ამ რწმენის რა ნაშთებს მოუღწევიათ ჩვენამდის?

ტფილისის მუნჯუმებში დაცულია მრავალი სხვადასხვა სახის ბრინჯაოს ფალოსები. ზოგს მათვანს ცხოველის სახე და აღამიანის ასო აქვს გამოყვანილი. მაგრამ სამწუხაროდ უცნობია მათი აღმოჩენის ადგილი და დრო, მხოლოდ აღნიშნულია, რომ ისნი კავკასიაში არიან ნაპოვნი, უმეტეს შემთხვევებში, სახელდობრ, დაღესტანში. ამ უკანასკნელ ცნობებს ა. პანტელეონიც ადასტურებს თავის გამოკლევაში კავკასიის უძველესი მღვიმეების და სადგომების შესახებ, რომელშიაც სხვათა შორის ჩართულია დაღესტანში, ანდის ოლქში, აღმოჩენილი ბრინჯაოს ფალოსების სხვადასხვა სახის ქანდაკებათა სურათები¹. საქართველოში ფალოსის ნაშთის არსებობის პირველი ცნობა დაკავშირებულია ი. როსტომაშვილის არქეოლოგიურ მოზაურობასთან ახალქალაქის მაზრაში, წარსული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში. ი. როსტომაშვილის ცნობით ქ. ახალქალაქიდან სამხრეთით 4 თუ 5 ვერსის მანძილზე მდებარეობს სოფ.

¹ И. И. Пантюхов, О пещерных и позднѣйшихъ жилищъ на Кавказѣ. Тиф. 1896 г. 83. 58 (Гл. XVI).



მურჯახეთი; ეს სოფელი ცნობილია თავისი ქვის სვეტის და მურჯახეთის ადგილობრივი მცხოვრებლები „ძუძუს ქვა“-ს უწოდებულის. ამ უძუძუს ქვაზე ამობურცულად ამოჭრილია მამაკაცის ასო-ფალოსი, რომელსაც სასწაულებრივ ძალას ანიჭებენ ძუძუს რძის მოცემა-მომატებაში, ამიტომ ქალები მას თაყვანსა სცემენ, საქმელს უკმიევენ და ზედ ქონს ან ზეთს სცენებონ. მისივე ცნობით, ამ ფალოსიანი სვეტის ცოტა მოზრებით მოიპოვება მეორე ამგვარივე ქვა, რომელიც ნახევრად მიწაში ყოფილა ჩაღლული.

ის იქ. როსტომაშვილს ხელის შეყოფით გაუსინჯავს, და სვეტს თურმე თრი ჩაღრმავებული ადგილი ჰქონია. მეორე სვეტს მცხოვრებლები პირველის ძმას უწოდებენო. ხალხური გადმოცემით ერთხელ მურჯახეთს მტერი შემოსვევია და ერთი ახალგაზრდა ვაჟი ტუვი ჩაუგდიათ. როდესაც ის მიპყავდათ, მას დაც დასდევნებია და უთქვამს: ღმერთო გამაქვავეო! თრივე და-ძმა გაქვავებულანო¹ ავავე ცნობებს იმეორებს ექვ. თაყაი შვალი მურჯახეთის ძუძუს ქვის შესახებ, თავის 1902 წლ. ახალციხის და ახალქალაქის მაზრებში არქეოლოგიური მოგზაურობის აღწერილობაში². თაყაიშვილს ეს ქვის სვეტი ვაუსინჯავს და ფოტოგრაფიული სურათიც გადმოულია, რომელიც ჩართულია მისი მოგზაურობის მასალებში (სურ. 13). ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, ამ სვეტზე გამოხატული მამაკაცის სასქელი ასო საქართველოში ფალოსის კულტის არსებობის ნაშთიათ². შედეგში ი. სმირნოვმა, ს. ლომიამ და ნ. მარმა ამაში ეჭვი შეიტანეს და მურჯახეთის ქვის სვეტი ქვის ვეშაპად გამოაცხადეს. სამწუხაროდ, ჩვენ ჯერ არ ვგქონია საშუალება მურჯახეთის ძუძუს ქვა დაგვეთვალიერებინა, რომ საკუთარი აზრი შეგვედგინა მისი ფალოსიბისა თუ ვეშაპობის შესახებ. მაგრამ, რომ საქართველოში ფალოსის კულტი უნდა არსებულიყო, ამას მოწმობს 1913 წელს სოფ. ჭეკარში (იმერეთი, ბაღდადის რაიონში) აღმოჩენილი ფალოსის ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც ფრიად საყურადღებო ნიშნების მატარებელია. მისი სიმაღლე 23 სანტიმეტრია, ბეჭებ შეა სიგრძე—10 სანტ. და წონით 6 გირ. და 70 მის. ქანდაკება წარმოადგენს ორსქესოვან არსებას, რომელსაც ტანი ქალის აქვს და ამასთანავე აქტიურ მდგომარეობაში მამაკაცის ასო. მას მკლავი მოკაული და მუშტები შეერული აქვს. მისი ყელი და მკლავი მრუდე ხაზებითაა მოხატული:

¹ И. П. Ростомовъ, Ахалкалакскій уѣз. въ археолог. отношеніи: СМОМПК вып. XXV. Тиф. 1898 г. гл. 93—94.

² Материалы по Археологии Кавказа, вып. XII. Моск. 1909 г. гл. 28.



სახე უწვერულვაშო, მაგრამ მამაკაცის გამომეტყველებით, კომისარიუმის ქალურად უკან დახვეული აქვს. ერთი სიტყვით, ზეკარში აღმოჩენილი ქანდაკება ყველა თავისი დამახასიათებელი ნიშნებით და გამოხატულებით ფალოსის ლეთაებაა. რასაკვირველია, ძნელია გადაჭრით თქმა,



სოფ. ზეკარში აღმოჩენილი ფალოსის ქანდაკება (წინიდან).

თუ სად არის ფალოსის ეს ქანდაკება ჩამოსხმული, ან ის ქართველებს ეკუთვნის თუ უცხოელებს, მაგრამ ის მაინც უდავოა, რომ მის თა-
ყვანისმცემელ ერს საქართველოში უცხოვრია.

ამიტომ საჭიროა ამ უტყვი ქანდაკების ამეტეველება ქართული ეთნოლოგიური მასალებით, რომ ჩენოვის გასაგები და ცხადი იუჯუწაზუადა მართულ საქართველოში ფალოსის ღვთაების რწმენის არსებულება; მაგრამ ეს



სოფ. ზეკარში აღმოჩენილი ფალოსის ქანდაკება (ზურგილან).

ჩენ ამ მიზნით თეალს გადავავლებთ ქართულ წარმართული ხასიათის დღესასწაულებს, რომლებიც დღეს უკვი გასართობებად არიან ქული, მათი სექსუალური ხასიათის წესებისა და შესრულების დროს მიხედვით, | ფალოსის კულტს უნდა დაუკავშიროთ ჩვენებური ბერი-მიმომხრულველი I

კობა¹ და განსაკუთრებით ყევნობა². სამწუხაროდ, ჩვენ არ მომდებოდთ ვება ამ დღესასწაულთა ძველი და სრული აღწერილობა, უკიდურეს სახის აღდგენა და გაგება.

მაგრამ იმ ნაჯლული და მცირე ცნობებიდან, რომლებიც მოიპოვებიან ჩვენს პერიოდულ გამოცემებში და აგრეთვე ჩემ მიერ შეკრებილი ზოგიერთი მასალებიდან ირკვევა, რომ გერიკობა და ყვენობა, რომლებიც ჩვენში იმართებიან გაზაფხულის პირზე, თავიანთი ეროტიულ-სექსუალური წესებით ფალოსის მსგავსად ბუნების განაყოფიერების სიმბოლური გამომხატველი არიან.]

ყევნობის დროს, მაგალითად, თვით ყევნს მახინჯად ჰერაზმავენ და ხისაგან გაკეთებულ მამაკაცის სასქესო ასოსაც ჩამოჰკიდებენ, რომელსაც „კონკილა“-ს უწოდებენ. ყევნი კონკილას ამოძრავებით მაყურებელთა შორის სქესობრივ გაღინიანებას იწვევს. მცხეთელი გლეხის ზურაბ ვართან ეზარდის ცნობით, ძველად მცხეთაში ყევნობის წინ მთელი სოფელი თურმე ორ ჯგუფად იყოფოდა და იერიშის მიტანის დროს რომელი მხარეც დასძლევდა, გამარჯვებულიც ის იყო. ყევნი ბრძოლას მაღალი კოშკიდან უმნიერდა. შემდეგ მორთული ყევნი კოშკიდან ჩამობრძანდებოდა და კონკილას მოძრაობით მაყურებლებს თურმე საარშიყო სკენებს უმართავდა. ეს საყენო კონკილა მცხეთაში ერთ ოჯახს პბარებია და ყევნობას სადემონსტრაციოდ გამოჰქინდათ.

გასილ ბარნავი ს გადმოცემით, წარსული საუკუნის სამოციან წლებში ტფილისის მიდამოებში და განსაკუთრებით სოფ. კოდაში თურმე დიდი ყევნობა იმართებოდა³. იქ ყევნს კანკის ძვალს ჰერიდებდნ, რომლის მოძრაობით მაყურებლებს ის ეროტიულ სკენებს უმართავდა. დასასრულს ყევნს მდინარე წყალში გადააგდებდნ; ეს უკანასკნელი ცომენტი, ფალოსის რწმენის პირვანდელი გაგებით, ნამის მოცემასთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამასთანავე, ქართლში ერთგვარი ტებილი ნამცხვარიც არსებობს „ფალუსტაკად“ წოდებული, რომელიც ჩვენთვის, გარდა თავისი სახელწოდებისა, უმეტესად იმით არის საყურადღებო, რომ ამ ნამცხვარს განსაკუთრებით ახალ სიძეს მიართმევენ. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შერივ ქართული ხალხური ქორწინების წესი, რომელშიაც დღემდე დაცუ-

¹ „კვალი“ 1893 წ. № 5.

² „კვარია“ 1889 წ. № 50; „კვალი“ 1893 წ. № 6.

³ ამ ცნობის მოწოდებისათვის პატივუებილ შეერალს უღრმეს, მაღლობას მოვახსერებ.

ლია ფალოსის ოწმენის მრავალი რიტუალი, ჯერ სრულიად შეუსწოდებულია. გარდა ამისა, თ. სახოკიას თავის მეგრული ქოქისწმინდებული ნარკევეს ერთ-ერთს შენიშვნაში აღნიშნული აქვს, რომელიც უკურნებულია სასქესო ასოსათვის საგანგებო სალოცავიც კი არსებულა, რომელსაც ოჯახის დიასახლისი თურმე წელიწადში ერთხელ იხდიდა და ფალოსის ლეთაებას მამაკაცისა და დედაკაცის სასქესო ასოს სალობას შესთხოვდა. სამურჩაყანში ამავე სალოცავის შესრულება დაკავშირებული ყოფილა ერთგვარ სექსუალურ რიტუალთან, რომელსაც თურმე აშკარად ასრულებდენ¹.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართული წარმართული ფალოსის ოწმენა განსაკუთრებით შეტანილია წმ. გიორგის კულტში. წმ. გიორგი ჩვენი ხალხის ოწმენით ნაყოფიერების ლეთაებას და ვედრებითაც შიგ მართავენ მას საქონლისა და ადამიანის გასამრავლებლად. ამ მხრივ, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მოიპოვება წმ. გიორგის ნიშ-სამლოცველო, რომელსაც უშეილონი ნაყოფიერებას შესთხოვენ. მასამლოცველო, რომელსაც უშეილონი ნაყოფიერებას შესთხოვენ. მასამლოცველო „გვარაგ ჩანიშიშ“-ად წოდებული (წმ. გიორგი ჰანეთისა), სადაც ყოველწლიურად „ლი-ჩანიშობა“-ს ან ჰანეთობას, კვირიკობის თვეში, როდესაც მისი ხატობაც იმართება, სეანეთის სხვადასხვა კუთხებიდან მრავალი უძეოდ და უშეილოდ დარჩენილი სეანი მიერთება შესაჭიროვებით და წმ. გიორგის შესთხოვს შეილის მოციმას. ამასთანავე ფშაური წაწლობაც ხომ ლაშას და ციხე-გორის წმ. გიორგის ნიშთანაა დაკავშირებული, სადაც ხატობაში საზოგადო წოლაც კი იმართება.

მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებო მასალები სეანეთში მოიპოვება, სადაც მე 1925 წ. საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყ. მიერ მივლინებული ვიყავი ეთნოლოგიური მასალების შესაკრებად. სეანეთში დღემდე არსებულ სახალხო წესებში ფალოსის კულტის ნაშთიდ ჩენ მიგვაჩინა: „პარიკელა“, „ადრეკილა“ და განსაკუთრებით „საქმისაც“. პარიკელას ზემოსანეთში მეოსარობის პარასკევის იხდიან და ამ დღისათვის მსხვერპლად გოჭს-ჰკლავენ და ღმერთს შესთხოვენ ოჯახის მანე სულებისაგან დაცვას, გათენებისას ყოველი ოჯახიდან ტიტველა ვაჟი სახლიდან კარშიგა-მოვარდება და იმახის:

„პარიკელი, მარიანკიანი, მი ტიტელ ხური, ამჟინუ ალტშეტლელი მიშგუ კუშში ამახუ“.

¹ გვ. „Петроград. Вѣдом.“ 1916 წ. № 182.

(ჰარინჯიანი და მარიანგიანი მე რომ ტიტველი ვაუჩარუერშეფა ტიტვლე ჩემი საქონლის მტერიო). ჰარიკელას ამ რიტუალური მომენტის ვაჟის სიტიტვლე და ასოს გამოჩენა ფალოსის რწმენის ნაშთია, რადგანაც, როგორც ჩენ უკვე ზემოთ გვქონდა აღნიშნული, მამაკაცის ასოს—ფალოსს, როგორც თილისმას, ავთვალისა და მავნე სულების წინააღმდეგ ხმარობდენ და ამიტომ მის გამოსახულებას მორწმუნები ხშირად ყელზე ატარებდენ.

შემდეგ ფალოსის რწმენის ამგვარივე ნიშნების მატარებელი ქვემო სვანური „ად ო ე კი ლ ა ხ“-ს¹ წესებია, რომელიც თავისი სახელშოდებით, შესრულების დროით და სექსუალური ხასიათის ფერხულით, როდესაც მოთამაშები სასქესო ორგანოებსაც კი იტიტვლებდენ, ფალოსის კულტის უტყუარ ნაშთს უნდა წარმოადგნდეს.

მაგრამ ფალოსის რწმენის ცოცხალ და საუკეთესო გამომხატველად მაინც ზემოსვანური „ს ა ქ მ ი ს ა ხ“ უნდა ჩაითვალოს, რომლის წესების გამოკვლევასაც მე პირადად ვაწარმოებდი ზემოსვანეთში და



„საქმისა“.

საშუალებაც მომეცა ხელში ჩამეგდო ის ხის ფალოსი, რომელსაც „საქმისა“ იკიდებს. დღეს ეს ნივთი საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების საკუთრებას შეადგენს.

„საქმისახ“-ს წესების გარკვევა ჩვენთვის იმ მხრივაც საინტერესოა, რომ ის თავისი რიტუალით არამც თუ ენათესავება ქამ-

¹ Аре. Ониани из Сасаша, Сванск. тексты на Лашскомъ нарѣчіи. Мат. по Яфет. языку. IX Петр. 1907 г. зг. 21.

თულ კენობას. არამედ, ჩვენის აზრით, მასში დაცული უნდა იყოს ქართული ყენობის უძველესი წარმართული სახეც. რომ ეს ასე უნდა იყოს, ამასში ჩვენ დავრწმუნდებით, როდესაც მოკლედ გავეცნობით თვით საქმისას წარმართულ წესებს.

სკონური საქმისას შესახებ ცნობები მოპოვება რაფ. ერის-თავის¹ და ეგნ. გაბლიანის² სანერთის აღწერილობაში.

განსვენებულიარ. ერისთავი საქმისას შესახებ სამართლიანად შეიიჩნავს, „რომ საქმისას წესები სექსუალური სცნებით ენათესავებიან ბერძნულ დოონისე-გაქნის და ვენერის მისტერიებს“.

„საქმისას“ წესებს ძველად მთელს ზემოსვანეთში თურმე ასრულებდნ, მაგრამ დღეს ისინი დაცულია მხოლოდ მულაბის საზოგადოების სამ სოფელში: ჩვაბიანში. ცალდაში და ჟაბეშში. თვით ხის ფალოსი, რომელსაც საქმისას უწოდებდნ, მამაპაპიდან ინახება სოფ. ჟაბეშში მცხოვრები ივანე კახიანის სახლში და ყველიერში სვანეთის სხვადასხვა კუთხებიდან ჟაბეშში მიდიან საქმისობის სანახავად. ყველიერის ხუთშაბათიდან ჯერ დაიწყებენ თოვლის კოშკის „მურყვამ“-ის აშენებას, კოშკის თავზე ჩასვამენ ნაძვის ხეს. რომელზედაც ჩამოკიდებენ ძველ კალათას, „ფარაა“-ს, ე. ი. საცერის ძირს, რომელიც მათი რწმენით ნაყოფიერების სიმბოლოა, აგრეთვე ორ ხის ხმალს (დაშნარი) და ხისაგან გაკუთხებულ მამაკაცის სასქესო ასოს. ძველად თურმე ჩალის ადამიანის ქანდაკებასაც ზედ წამოაცმევდნ. შემდეგ ამ თოვლის კოშკზე ფერხულს მართავენ აღნიშნული სამი სოფლის მცხოვრები. ბოლოს ჩამოვლენ, იყოფიან ორ ჯგუფად და ორივე მხრივ აწვებიან კოშკს და რომელ მხარეზედაც კოშკი წაიქცევა. მათ კარგი მოსავალი მოუვათ. კვირას დილიდანვე შეუდგებიან საქმისას დღესასწაულში მოქმედი პირების არჩევის, პირველად სატმისას ირჩევენ, მას მახინჯათ კაზმავენ, უკეთებენ ჩალის კუზს. სახეზე მურს წარსვამენ. განიირ და დაგლეჯილ შარვალს აცმევენ. მას მამაკაცის ხის ასოს ჩამოკიდებენ და ხელში გაცვეთილ ცოცხს მისცემენ. საქმისას ეძლევა ექვსი მხლებელი „მოახარ“-ი. შემდეგ ირჩევენ „ყაინს“, რომელსაც შესაფერისად მორთავენ და მასაც აგრეთვე ხის ასოს ჩამოკიდებენ. მას ხელში ხის ხმალი „დაშნარ“-ი უჭირავს და თან მრი ქალურად მორთული პირი ახლავს. რომლებსაც დედოფლებს, „დედფალარ“-ს უწოდებენ. ამგვარად მორთულნი ისინი სოფლის მოდანზე გამოდიან და მათი მთელი მოქმედება სქესობრივ-ეროტიულ მო-

¹ Р. Д. Эристов, Замѣтки о Сванетіи, Тиф. 1898 г. № 106.

² ეგნ. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, ტფილ. 1925 წ. № 126—127.

ძრაობებში გამოიხატება. საქმისა ქალებს დასდევს. წვეტიანი მიზანისთვის მათ ჩხვლეტს და ეარშიყება. ამასთანავე ის ხის ასოს ათამაშებს და ამით ქალებს აღიზიანებს, ოხუჯობს და მათ დასაჭრად დასდევს. ამავე დროს ყაენი წამოწვება, გვერდზე თავის დედოფლებს მიიწვენს, კოცნის, ეარშიყება და ზედ აწვება. საქმისა მას ეპარება, ყაენი საქმისას ხის ხმლით იგერიებს, მაგრამ ბოლოს საქმისა დედოფალს მაინც მოსტაცებს და ეხვევა. მაყურებელნი ყიენას სცემენ, არის სიცილი და თამაში. ბოლოს იმართება სმა და ფერხული. ერთი სიტყვით, თუ ჩვენ ზემოაღნიშნულ საქმისას წესებს შევადარებთ სხვაგან არსებულ წარმართული ფალოსის ღვთაებათა მისტერიებს, მრავალ საგულისხმიერო მსგავსებას აღმოვაჩინო.

საქმისას წესებში გარკვეულად მოცემულია ბუნების და ადაზიანის განაყოფიერების სიმბოლური გამოხატულებანი, რაც უმთავრესად ცველგან და ყოველთვის ღვთაება ფალოსის კულტს ახასიათებდა¹. გარდა ამისა, სხვა არა იყოს რა, თუით ის ხისაგან გაეკოტული მამაკაცის ასო, რომელიც საქმისას და ყაენს ჰკიდიათ და მათს მთავარ დამახასიათებელ ატრიბუტს შეადგენს, საქართველოში ფალოსის კულტის არსებობის უტყუარ მოწმედ უნდა ჩაითვალოს. მაგრამ, თუ ჩვენ, მეორეს მხრივ, სვანური საქმისას და ადრეკილადს წესებს უკვე გადავგარებულ ქართულ ყენობას შევადარებთ, მათ შორის საგულისხმიერო მსგავსებას აღმოვაჩინო. რაც მათი თავდაპირველი ერთობის მაჩვენებელია. ჯერ ერთი, ამ სვანური ფალოსის წესების სახელწოდებანი წმიდა ქართული, სქესობრივი დამოკიდებულების აღმნიშვნელი, ტერმინებია; აგრეთვე დღესაც სქესობრივი დამოკიდებულების აღსანიშნავად ჩვენში ხშირად იტყვიან ხოლმე. ამ ვაეს იმ ქალთან საქმე აქვსო. რაც შეეხება ადრეკილადს, რომელიც აფხაზეთშიაც გამოითქმის „აღვ-რკვრა“-დ, აღსანიშნავია არა მარტო თავისი ქართული სახელწოდებით, არამედ იმით განსაკუთრებით, რომ მის შესრულების დროს გამართულ სექსუალური ხისიათის ფერხულში, ადრეკილადს შაირი გამოითქმის ქართულად და სვანურად, რაც ფრიად საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. გარდა ამისა, სვანურ საქმისაც და ქართულ ყენობაში, ყენი ერთგვარად არის მორთულ-მოკაზმული და ისინი თითქმის ერთსა და იმავე რიტუალურ წესებს ასრულებენ, მხოლოდ სვანურში უპირატესობა ჯერ-ჯერობით, ყენთან შედარებით, საქმისას შერჩენია, რომლის სახელწოდებასაც ეს ხალხური მისტერიია დღესაც ატარებს.

¹ J. Dulaure, Les divinités génératrices ou du culte du Phallus chez les anciens et les modernes Paris. 1885.

ქართულში კი მას ეს სახელწოდება დაუკარგავს და ჯირ კი-
დევ გამოსარკვევ რაღაც დიდ ისტორიულ მომენტთან დაკავშირებით
მას ყენობა დარქმევია.

ერთი სიტყვით, როგორც ჩვენში აღმოჩენილი ფალოსის ქან-
დაკების და ქართული ეთნოლოგიური მასალების შედარებითი შესწავ-
ლიდან ირკვევა, ფალოსის ის პრიმიტიული რწმენა, რომელიც გამო-
იხატებოდა ადამიანის ასოს, როგორც განაყოფიერების სიმბოლოს,
თაყვანის ცემაში, ჩვენს წარმართ წინაპრებსაც „საქმისად“-ს სახით
განუდიათ, რომლის მკრთალ ანასახს ქართული ყენობა და ბერი-
კობა ატარებენ. მაგრამ დროთა ვითარებაში მისი წესები თანდათა-
ნობით მოსპობილა და მხოლოდ ზემოსვანეობის მიუვალ მოებში და-
ცულა და იქაც მხოლოდ სოფელ უაბეშში შენახულა. გარდა ამისა,
ფალოსის სვანურ-ქართული წესების შინაგანი და გარეგანი მსგავსება,
სვანურის ქართული სახელწოდებანი და ფერხულში ქართულ-სვანური
შაირების შენაცვლება გვათვიქრებინებს, რომ წარმათობის ამ საფე-
ხურზე ქართველ ტომებს სარწმუნოებრივი ერთობა უნდა ჰქონოდათ,
რასაც უაღრესი მნიშვნელობა აქვს ჩვენ შორეულ წინაპართა სარწ-
მუნოებრივი შემცნების და კულტურული შემოქმედების ისტორიის
შესასწავლად.

Le culte du „Phallos“ en Géorgie

PAR

SERGE MACALATHIA.

(Résumé).

Le culte du „phallos“ s'exprimait dans l'adoration de l'organe génital et caractérisait en général les croyances primitives de l'homme. La religion des Géorgiens n'a pas encore été étudiée et scientifiquement éclairée à ce point de vue, quoique le peuple géorgien ait jusqu'à présent conservé les coutumes rituelles du culte du „phallos“. Entre autres il faut désigner „Quénoba“, exécuté au carnaval, et où le rôle principal est joué par un personnage en habits royaux auquel est suspendue une imitation du membre viril et qui en mouvant ce dernier érotiquement, évoque l'excitation sexuelle); „Harikela“ (en l'exécutant un jeune homme nu court autour de la maison pour disperser les démons); „Adrékilay“ (en l'exécutant on



chante des chansons pornographiques, et ceux qui dansent, découvrent leurs organes génitaux). On doit indiquer le „Sakmisay“ des zémosvanétiens (le rituel est exécuté au carnaval, où le personnage principal du „Sakmisay“ a un organe sexuel de bois avec lequel il exécute symboliquement l'acte sexuel devant le public). L'existence du culte du „phallos“ en Géorgie est témoignée en outre par les sculptures du „phallos“ trouvées en Géorgie et surtout par la sculpture ithyphallique de bronze trouvée en 1913 dans le village de Zékari.

გლეხის სახლი ჩვაბლიანში*).

(დარბაზული ტიპი).

როგორც ვიცით, ამა თუ იმ ხალხში გამომუშავებული და ხმა-
რებაში მიღებული საცხოვრებელი ბინის ესა თუ ის სახე, როდია
შემოხვევითი გარემოების შედეგი ან აღმშენებლის კაპიტული გემო-
ვნების ნაყოფი,— არმედ საცხოვრებელი ბინის ტიპები, როგორც
მატერიალური კულტურის სხვა ობიექტებიც, ემორჩილებიან, თავის
განვითარების გზაზე, იმავე საემანიპაცია პროცესს, რომელსაც
ადამიანი თავის ბრძოლის დროს ქმნის ბუნების ექსტენსიური და
ინტენსიური ბატონობის წინააღმდეგ. და როდენადაც ბინა-სახლი
მოვლენათა ასეთ კატეგორიას ეკუთვნის, ცხადია, ამდენადაც იგი
მაჩვენებელია ხალხის კულტურული მდგომარეობისა და კულტურული
დონის და მისი ხასიათის უტყვერად მამულავნებელი სარკეა.

ამიტომ, ცისაც სახლის ტიპების მეცნიერებული შესწავლა სურს,
ის ვალდებულია ორ გარემოებას, ორ მთავარ მომენტს გაუწიოს ანგა-
რიში, მით უფრო, თუ მას უძველესი სახლის სახეებთან აქვთ საქმე;
ეს მომენტებია— ერთის მხრით, ქვეყნის ბუნებრივი არე (milieu), რომე-
ლიც ადამიანის მიერ ბუნების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის
ასპარეზია, და, მეორეს მხრით, ამ გარემოში მცხოვრები ხალხის კულ-
ტურული მდგომარეობა და მისი წარმატება. ამ ორი გარემოების
გადაჭრობილობა და გადაჭრობილობისაგან წარმომდგარი სხვადასხვა
კონვერგენცია, ჩენის ფიქრით, უფროს შერთ შემთხვევაში, დამაკმა-
ყოფილებად ახსნის თვით საცხოვრებელი ბინის ტიპების წარმ-
შობის საკითხს.

მაგრამ ამ შემთხვევაშიც შემდეგ გარემოებას უნდა გაესვას ხაზი:
საკითხის სირთულე და სიძხელე იმაში მდგომარეობს, რომ საცხოვ-
რებელი ბინის სახეები თვით ერთსა და იმავე ხალხში, ხშირად
თვით ერთსა და იმავე კუთხეში, იმდენად სხვადასხვანაირია, რომ
მათი ტიპოლოგიის შედეგენა მეტად ძნელი ხდება, ვიდრე თავის მხრით
მიკეცებული არ არის მათი წარმოშობის თუ სესხების პირველი წყა-
რო, ხოლო ხალხის კულტურული ვითარება კი, განსაკუთრებით ჩენ-
ში, კავკასიურ პირობებში, სადაც საქმე გვაქვს არა პირველ-ყოფილ

*) მოხსენებულია საქ. საისტ.-საეთნ. საზ. საჯარო კურგანე 1926 წ. იარც. 1



ბელი ბინების ბევრი მახასიათებელი თვისებები, მათი გაქრობის გათ. და იძულებული ვართ ფიქსაცია უქმნათ სასწრაფოდ იმას მაინც, რაც ჯერ კიდევ ასეა თუ ისე შენახულა.

ჩვენი განხრახევა ზემოთ მოყვანილი თვალთსაზრისის მიხედვით აღვწეროთ ქვაბლიანის გლეხური სახლის ერთი ტიპი, რამდენადაც მას ჩვენამდე მოუღწევია, მხოლოდ ვიდრე თვით აღწერას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ერთ გარემოებაზე შევაჩროთ მეიოხეელის ყურადღება.

კავკასიის შემსწავლელთ არა ერთხელ მიუქცევიათ ყურადღება რომ კავკასიის განსაზღვრულ ნაწილებში ხის დამუშავება-გამოყენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა¹. ძველიდანვე ცნობილია, რომ ხის სახლები, კოშკები და სხვა მეტად გავრცელებული იყო შეერთიანების აღმოსავლეთის სანაპიროებზე, ხოლო ხის ხელობა წინათაც და თითქმის ამავადაც სახელგანთქმულია კანეთიდან დაწყებული აკარა-ზეგანზე გადავლით, ოსეთსა, სვანეთს და რაჭაში.

ვახუშტის ცნობით, როგორც აკარელები, ისე ჭანებიც— კაცნი არიან კელოვანნი ხის მუშაქობითა². სხვათა შორის მე-19 საუკუნის დასაწყისს ტფილისში საუკეთესო ხუროებად „იმერლები“ ითვლებოდენ³. საზოგადოდ რომ ჩვენს ტომებში ხის დამუშავება-გამოყენება ძველის ძველი მოვლენაა, — ამას ამოწმებენ ჰიბორატეს, ქსნითონტონტონტეს, სტრაბონის და ბევრ სხვა მოგზაურთა ცნობები⁴. ისიც უნდა ძლინიშნოს, რომ ხის დამუშავება ჩვენში დაბალ დონეზე როდი მდგარა. ამას ამტკიცებს ხის დამუშავების ტრმინების არსებობა ხალხში, როგორც მაგალითად „ნათეხალი“ (ხის დამორვის წესი— დამოწმებულია გურიაში) და სხვა.

ამ მოქლე ცნობების შემდეგ, ჩვენ აღარ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ქართველების ერთ-ერთ ტომში, მესხებშიც, ჩვენ შევხვდებით ხის გამოყენებას საშენ მასალად ძველი ტიპის სახლის აგებისას, განსაკუთრებით მისი გვირგვინიანი სახურავისათვის.

¹ იხ. სხვათა შორის И. Бартоломей, Поездка в Вольную Сванетию, ЗКОИРГО, вып. III, გვ. 198; Ф. Байерн, Заметки о строительных материалах на Кавказе и за Кавказом, ЗКОИРГО, кн. 5.

² ვახუშტი, Description géographique de la Géorgie, ბროსეს გამოცემა, SPtB, გვ. 110 და 130. შეადარე საქართველოს მუშეუმის ხის კოლექციაში მესხეთიდან, წავანეთიდან, ოსეთიდან, კოლექციების №№ 50—10; 625 Dir. 46—25 და სხვა; ნახე ბუზანის—Illustrirte Völkerkunde-ში, 1926. Stuttgart, A. Byhan-n-ს წერილი: Kaukasien, Ost und Nordrussland. Finland. გვ. 659.

³ Обозрение Российских влад. за Кавказом СПБ. 1836. ч. II. გვ. 105.

⁴ ლატიშევი, Scythica et Caucasica I.



მავრამ ეს კიდევ ცოტაა. ქვაბლიანის ხეობაში ძევლი უწინდესად სახლი წარმოდგენილია რთული კომპლექსის შენობად, რაც გვატყი-ქრებინებს, რომ შენობის აგების წინასწარი გეგმებიც უნდა ყოფილი-ყო ძევლდროში. ძველ საქართველოში ასეთი წინასწარი გეგმების არსებობას ადასტურებს მ. ჯანაშვილის მიერ ძევლი ხელთნაწერიდან გადმოღებული ახსნა-განმარტება ერთ-ერთი გეგმისა, რომელსაც დარ-თული აქვს თან მომავალი შენობის სურათიც¹. მოგვყავს ამ ხელთ-ნაწერიდან ზოგიერთი ადგილები სანიმუშოდ:

„ქ. მეორე სახლი იქნება სიმაღლით ორ ადლნახევარი და სიგრძე გული ექნება სამი ადლი და კედლის სისქეს მოაკლდება აქეთ და იქით თითო ჩარექი. ფანჯარა ექნება ასე მრგვალი ნახევრი ად-ლი ჩვენებური და ცა დაექნება აგურით, როგორც ჩანს (სურათზე) ამ სახით. ეს მესამე სახლიც ამ მეორის სახლის ტოლი უნდა იყოს, ბუხებიც დაატანეთ და ფეხის ადგილიც კოშკებს და ეს ზეითი სახ-ლები დაიხუროს ხითა.

ამ მესამე სახლზედ გრძებილ ქვეშ დაატანეთ თახჩა. ანუ ქვა ბრელაში და ამ სახით დააწერეთ სხვილის ასოებით:

ილვიძებდით და ილოცევდით, რათა არა შეხვიდეთ განსა-ცდელსაც.

როდესაც ქვაბლიანის ხეობის გლეხური სახლის შესახებ ვამ-ბობთ, ჩვენ ვგულისხმობთ ამ ხეობის განსაზღვრულ ტერიტორიას, სახელდობრ, ქვაბლიანის, ფოცხვის და აბასთუმნის წყლების შე-სართავიდან მოყოლებული დასავლეთით ზეგანამდე, რომელიც შემდეგ სოფლებს შეიცავს: ფარეხა, ვალე, არალი, უდე, კახარეთი, აღილვე-ნი, ჩორჩანი, მლაშე, ზარზმა და სადაც საქართველოს მუზეუმის და-ვალებით 1924 წ. ზაფხულზე ვმუშაობდით მხატვარ მ. შავი შვილ-თან ერთად.

აქ, ქვაბლიანის ხეობის ამ ნაწილშიც, პატარა ტერიტორიაზე-დაც, ცოტა რომ ვთქვათ სამი ტიპის საცხოვრებელი ბინაა მიღე-ბული. ერთია დარბაზული, მეორე ოდური და მესამე ე. წ. ლაზუ-რი. დაყოფის ძირითად საფუძვლად აღებული გვაჭვს შენობის და-ხურვის წესი.

ამ სამი რიგის შენობებიდან თქვენი ყურადღება გვინდა შევა-ჩეროთ დარბაზულ ტიპზე.

უნდა შევნიშნოთ ამთავითვე, რომ აქაური დარბაზული სახლი

¹ დიდად პატივუმულს მ. ჯანაშვილს ულრმეს მაღლობას მოვახსე-ნებთ მათი პალეოგრაფიული რვეულის თხოვებისათვის.



უროკული
რამდენიმედ განსხვავდება ქართლში შენახულ, ღლეჭაულურულ
გლეხური დარბაზებიდან (დილომი, მცხოვა, ტყვიავი და სხვა) ¹.

პირველ ყოვლისა განსხვავდება მდგომარეობს იმაში, რომ ქვა-
ბლიანის „დარბაზი“ შენობათა მთელი სისტემაა, რომელსაც შეად-
გენს საცხოვრებელი ბინის გარდა აქვე მოთავსებული ბაკი, საჭუ-
ჭნაო, ბოსელი, საბძელი და საფურნე, — მაშინ როდესაც ქართლის
დარბაზი, რამდენადაც ჩვენ ეს დღეს ვიცით, ასეთი კომპლექსით წარ-
მოდგენილი არ არის. მეორეს მხრით თვით გვირგვინიანი სახურა-
ვის აგებაშიც მათ შორის ცოტა თუ ბევრი სხვაობა არსებობს, რა-
საც ქვემოთ დავინახავთ.

შეუდგეთ თვით დარბაზის აღწერას.

ქვაბლიანის ხეობაში სახლებს უმრავლეს შემთხვევაში გაზა-
ფხულს აშენებენ. მასალის დამზადებას ზამთრიდანვე იწყებენ. დარ-
ბაზის ასაგებ მასალას შეადგენს ქვა, ტალახი და ხე. ქვა, რიყის ქვა
„მინდორშია“, როგორც აქ ამბობენ და იქიდან მოზიდავენ; ტალის
ადგილზევე ამზადებენ, მაგრამ უპირატესობა ეძლევა ბინალ ან ფა-
ტარო ყვითელ თიხას, რომლის მოტანა შეიძლება ახლო-მახლო ადგი-
ლებიდან. ხე ანუ „შეშა“ მახლობელი ტყეებიდან გამოიქვთ სათრე-
ვით — ბეშუმის ან აპასთუმნის აგარაკებიდან.

საზოგადოდ აქ სახლები მთის ფერდობზეა შეფენილი და დარ-
ბაზებიც ასეთ ფერდებშია ამოშენებული. როდესაც მასალა უკვე და-
გროვილია, ვიდრე ფერდობში შერჩეულ ადგილზე მუშაობას შეუდ-
გებოდენ სახლის ასაგებად, წინათ ადგილის დალოცვა ცოდნიათ და
შესაფერისი ლოცვაც არსებულა, რომლის სიტყვები ხალხის მესსიე-
რებიდან დღეს უკვე გამჭრალა. პურის ჭამა სამუშაოს დაწყების წინ
დღესაც არსებობს. სახლის წინა პირი იქით გაკეთდებოდა, საითაც
თვით ადგილს უხერხდებოდა.

ადგილის დალოცვის შემდეგ თამალს ანუ საძირკველს გასჭრიან.
სხვათა შორის აქ საძირკველს ბალაგარიც ჰქვია, როგორც ეს ჩანს
აქვე ჩაწერილი ხალხური ლექსიდან:

„ორთა ძმათა ფალაგანთა,
ქვე შეგვიდგამ ბალაგარი,
ვინც შეიდ ძმათა გამოილოს,

¹ „გვეხური დარბაზი დილომში“ გაზომა და დაბატა ხუროთმოძღვარა
ნ. ს ე ვე როვმა, წინასიტყვაობა პროფ. გ. ჩ უ ბინა შვილის, საქართველოს
სამხატვრო აკადემიის გამოცემა, ტფილისი, 1922 წ.

იმათ ვეტყვით ფაქლევანდა¹.

თუ მიწა ბინალია საძირკველი კედელშე უფრო სქელია, ხოლო უნდა ითქვას, რომ სისწორე ყოველთვის დაცული არ არის (ნახე აქე დართული გეგმა). ბალავარი², ალაბს ან ცოტათი მეტს დაიჭირს.

კედლის სისქე ერთი ალაბი იქნება, ხოლო იქ, სადაც ბუხარი უნდა ამოიყვანონ იგი მეტი მოდის (ნახ. გეგმა). რასაკეირველია წინასწარვეა მოფიქრებული, თუ კედელში რა და რა აღგილი უნდა გაუშვან — კარებისათვის, დოლაბებისათვის და სხვა. კედელი ადის წყება-წყება 8—8 გოჯი. ავა კი სულ არა უმეტეს 4 ალაბის სიმაღლისა. კედლის გასამართოებად ხმარობენ „მელს“, „ჩილფს“ (ლარს) და „ზუზს“ (სასწორს). ქვების დასამუშავებლად ჩაქუჩისა და ვარიოზს იმარჯვებენ, აგრეთვე რკინის სოლებასაც. სხვათა შორის კარგად იციან ქვის ძარღვის მიკვლევა. იშვიათ შემთხვევაში კედლის საპირეშე ხის ჩატილს ჩაატანენ ხოლმე კედლის ზედა სიმძიმის დასამჩატებლად, როგორც ეს მიღებულია ჩვენებური ციხის კედლებში.


ამგვარადაა აგებული კედლები იმ დარბაზული სახლისა, რომლის ინდივიდუალური გეგმა და გაჭრები აქვეა დანართის სახით წარმოდგენილი. მაგრამ, როგორც გეგმიდან დაინახავთ და ზემოთაც მოვიხსენეთ, ეს სახლი როული შენობაა. ვიდრე სამყოფ-საცხოვრებელ ოთახში მოხვდებოდეთ, თქვენ უნდა გაიროოთ ჯერ კარაპანი, რომლის ერთ კუთხეში დგას „ჰამბარი“ — სახორბლე ჭურჭელი, დიდი, კარაპნის ჭრამდე აზიდული, რომელსაც ჭრილიან ხის მილი ჩამოუდის ხორბლის ჩამოსაყრელად ბანიდან, ხოლო მეორე კუთხეში „სარძიე“ ყოფილა მოწყობილი, სადაც საქონლის მოსაწველად საჭირო ჭურჭელი და რძის გამოსაქნელი იარაღი ინახებოდა. გეგმაზე „სარძიე“ აღდგენილია. სინამდვილეში იგი უკვე მოშლილია. კარაპანშივე მოწყობილია „საკოკე“, სადაც დგას წყლის ჭურჭელი — „კოკა“, „ხელკოკა“, „კუტალა“ და სხვა მისთანანია².

კარაპანი შესდგება ორ წყება სვეტებისაგან, რომელთაც ბოძებსაც უწოდებენ. სვეტებზე საწარბეებია გაწყობილი, ხოლო მათზე

¹ შეადარე ამგვარსავე გურიაში ჩაშერილ ხალხურ ტაქტს: Е. Ткачев и Вили, Археологические экскурсии, разыскания и заметки. В. I, Тиф. 1905. Аმონაბეჭდი СМОМПК, т. XXXV, გვ. 5. ნახე აგრეთვე Н. Марр, Два грузинских архитектурных термина „ачрдил“ и „балавар“, ХВ. VI 1917—1920, გვ. 285—298.

² ნახე საქართველოს მუზეუმის კოლექცია №№ 46—24.

განია მოწყობილი მიწით დაფარული; საწარბეებზე ჯერ ჰქონდებოდა მათზე დევს თანისთან კერები. ზოგიერთი დარბაზული ტიპის ასეთი კარაპნის ბანზე ან ჩელტი დგას მოწნული სიმინდის შესანახად დროებით ან კიდევ „ლაზური“ სასიმინდე. საგულისხმოა, რომ რამდენადაც კარაპანთან დაკავშირებულია ხორბლისა და სიმინდის შენახვის საქმე, ამდენადევე კარაპნის დღევანდელი დანიშნულება უდგება საბა ორბელიანის მიერ აღნიშნულს კარაპნის მნიშვნელობას. საბას ოქმით „კარაპანი—არდგმულია“, ხოლო „არდგმული—კალის სახლი“¹. (ნახე ფოტოგრაფიული სურათი № 1).



სურ. 1. სახლის პირი.


ნათქვამს უნდა დავუმატოთ, რომ ზაფხულობით დროგამოშვებით ჯალაბობა საქმიობს და პურსა სჭამს მომეტებულ ნაწილად კარაპანში².

კარაპნიდან ფართო კარით, რომელიც შენობის ძირითად კედელშია ამოკრილი, თქვენ შედიხართ დიდ ოთახში. ეს ოთახი ოხელი კედლით შუაზედ არის გადატიხული. ერთ ნაწილში „ბაკია“

¹ საბა-სულხან თრბელიანი, ქართული ლექსიკონი, რ. ერისთავის რედაქტორობით.

² შეადარე A. Haxthausen, op. c. I. T. გვ. 148—49.


მოწყობილი, ხოლო მეორე ნაწილი „საკუპნაო“ ოთახს ჭარბმარცვალი გენს. „ბაჟის“ დანიშნულებაა, რომ იქ საზამთროდ ყოველწლიურად მუშაო იარაღებს ინახავენ, სხვათა შორის იქვე დგას საქოვი იარაღებიც. „ბაჟის“ სახურავი კარაპნის სახურავისებურია. საკუპნაოში კი ოწყვია ყოველგვარი საზამთრო ხორავი, ხორბლეულს გარდა, როგორც მაგალითად: წნილები, ხახვი და სხვა მისთანანი. ზაფხულობით იგი სტუმრებისთვისაც არის განკუთვნილი ისევე, როგორც მაგალითად, სვანეთში — სტუმრებისათვის ის ბინაა მიჩნეული, სადაც ხორავსა და თივას ინახავენ საზამთროდ¹. საკუპნაოს სახურავი მოდარბაზულია. თუ რას ნიშნავს მოდარბაზება, ამაზე ქვემოთ გვიჩება საუბარი.




სურ. 2. დარბაზი შიგნით.

„ბაჟიდან“ ადამიანი ორი ვიწრო კარით შედის — ერთის შერით ბოსელში ან ახორში, ხოლო მეორეს შერით ჯალაბობის საცხოვრებელ, სამუშაო და დასასვენებელ ოთახში, რომელსაც შეოლოდ ერთს,

¹ ნახე სხვათა შორის G. Radde, Reisen im mingrelischen Hochgebirge und in seinen drei Längenhochthälern Rion, Tskenis-tskali und Ingur, Tiflis, 1866.




ග. මෝරුවා, ගෙවුන් සංඛ්‍යා ව්‍යුහලුවේ.



ජාතිකාන්ත

දැයා




ජාතිකාන්ත


බෞද්ධීන්ත




ජාතිකාන්ත




ජාතිකාන්ත (ඇඳුන්)



ජාතිකාන්ත



ජාතිකාන්ත



ජාතිකාන්ත




ජාතිකාන්ත

METERS


ගැනීම් දා උඩකා 3. වැගිලුපිල්මා.

ඡායාලා 2. ගෙවුන් සංඛ්‍යා ව්‍යුහලුවේ (ලිංග. ජූලි).



ჩერების სახლი წვეპდინი

მიმღებაზე გადასახად
კიდე 267



აქ ჰქვია დარბაზი. დარბაზიდან „საფურნე ოდაში“ შეხვატებისთვის წინათ თორნე ყოფილა, ბოსლიდან კი კარი საბჭელში გადის.

მე უკვე მოგახსენეთ, რომ საკუპნოს სახურავი „მოდარბაზულია“—ასევე მოდარბაზულია დარბაზის კერიც.
გიკითხოთ, თუ რას წარმოადგენს „მოდარბაზება“.



სურ. 3. „ოჯაყი“ (ბუხარი).

ზემოთ, როდესაც ჩეენ ქვის ხუროს მუშაობას ვაკვირდებოდით, კედლის ეგებით დავამთავრეთ ჩეენი საუბარი. მაგრამ ამით როდი დასრულებულა სახლის აშენება. ახლა ხის სამუშაოები იწყე-

ბა და ვანსაკუთრებით სახურავის მორთვა, რაც დიდ სიძნელეს წარ-
მოადგენს შენობის აგებისას. ოფორტი იქნება სახურავი, რა წესით
აიგება ის, ამაზეა დამოკიდებული ბინის დაშუქება და ჰაერის მტეო-
ბაც. სახურავის აგების ერთ-ერთ წესს სწორედ მოღარბაზება წარ-
მოადგენს. რაში მდგომარეობს იგი?

იმ ტიპის შენობაში, რომელიც ჩენი აღწერის საგანს შეადგენს, ჯალაბობის სამყოფ-საცხოვრებელი ოთახის უკვე ამოყვანილ კედლებთან ხის სვეტებს დასდგამენ თავ-თავის ზომაზე (ინდივიდუალურ გვემაზე ასეთი სვეტი 16-ია, ტაბ. 1). სვეტების ძირი ქვებითაა შემაგრებული. მათ თავზე ბალიშები ადგას, რომლებიც ხშირად დაჭრებულია სხვადასხვა ორნამენტებით, განსაკუთრებით იმ სვეტების, რომლებიც ბუქართან და მის პირდაპირ არის. ბალიშებზე გაწყობილია საწარბე ხეები, რომლებიც ერთი მეორეში ბოლოებით ჩაკვეთილ-ჩასმულია. საწარბე ხეებზე ხშირად სიმბოლიურ ორნამენტებს ჰქვდებით: ადამიანის გულს, ნიბინადრეთა მარჯვენა ხელს და სხვა. მათზე გადებულია ნიუყრები. პირველი წყება ნიუყრები მომეტებულად რვაკუთხედად იდება ხოლმე და ამიტომ რიცხვითაც რვაა. მეორე და შემდეგი წყება ნიუყრებისა უკვე ოთხკუთხედს შეადგენს (ნახე ტაბ. 1 და 3) და თითეულ რიგში ოთხ-ოთხია. ეს ოთხკუთხედი, რაც უფრო ზევით აღის, თანდათან ვიწროვდება, ასე რომ უკანასკნელი ზევითა თოხკუთხის განი ერთი აღლის მეტი აღარ იქნება. ნიუყრებს შორის გამოტოვებული ცარიელი ადგილები „ფათხებით“ ამოიფიცრება. უკანასკნელ ზევითა თოხკუთხედს, საიდანაც ბინაში სინათლე ჩადის აქ „ერდოს“ ანუ „კუკოშაქს“ ეძახიან. წინათ ასეთ ერდოზე ცოდნიათ „ხაფანგების“ გამართვა, რათა ბანზე მოსიარულენი გაუფრთხილებლობით ერდოში არ ჩავტრდნილიყვნენ. აგრეთვე მიღებული ყოფილა ერდოს დახურვა სარქველით, რომლისაც, სურვილის მიხედვით, ქვემოდანვე აწევ-დაწევა შეიძლებოდა.

ზოგი დარბაზის გვირგვინის წყება 8—10—12 ყოფილა. რამ-
დენად მიღალი იქნება გვირგვინი, ცხადია, იმდენად ჰაერის დამ-
ტევი და ნათელი უნდა იყოს თვით დარბაზიც. მა მხრივ დიდი
განსხვავებაა ქართლის და ქვებლიანის დარბაზებს შორის.

Հոգործ ճազինաետ, ալֆերոլ Շեմտեցեցամո մյորց դա Շմիք-
ց նկատ նույսրեմա ռտեցտեցդեմ Շեալցինա, համապ շաաացվոլա,
շրտցարած, Տաեղրաց ըամտացրեմա. ման նազլեմ նկատ նույսրեմ
մոտետոց. մաշրամ թորանձանցեմ նեցա շարունակուց Շեմուշա Շամո-
չուցինոտ. ևոյ. շալց յրտ-յրտ ճարձանշմո ճամռմեցեմոլուս կուց-
սետո շաճանցրուս մյորց ևաե (ոեոլու բած. 3)¹. այ Տաշանձեմ ժյ-
լեմ ճանց ան ալից ճանց նույսրեմ Հոգուտեցդա աճուս յրտոմուց ուց,
հոմ նույսրեմ ըորց մյորց, տշուտ շարուց ուժրու լաժատուանո
հանս դա ճանց ճանց ուժրու մլուրուա. սետո Համանացանո շարուց
շանու ժատեց տուշմուս ար Տակորոց ճանց նույսրեմուց ուժրու մոյ-
լուց այց. ուուտ շարուց ուժրու շամատուս Շտանցէմուլցամ ա-
քնես².

Ցեմոտ իցն մոյսուտուետ օմ շարումուցանց, հոմ յարտում Շենա-
նշուլու ճարձանցեմ շարուց ուժրու ամցարուց յամունուս Տաեղ-
րաց ան. աելու, Հոգուտսա զուրու յամունուս շամուս Տաեղ-
րաց ամ բանու շարուց օգեմուս Տունմա, իցնուուս Շեմարյաց աճու-
ուու. Հոգործ շանեց, յամունուս շարուց ուժրու ռտանուս կը ժալցեմուցան
ովից ան, յարտուու ճարձանց շարուց ուժրու յո ռտանուս տուշմուս Շա-
նշուլուց աճուս³, ռտանուս կը ժալցեմուցան Շորհ մոցարու դը ճա- ծուց-
ենուան. ամուրու յարտուու շարուց ուժրու Շեմարյաց յամունունու-
տան, Ցոմուտ ուժրու Տամարա դա ռտանուս ճանց ճանց ուժրու այց. արու
Վլամարայում ուուտ շամատուս այցանուս, նույսրեմ ճալաց ճանց Շեսանց
մաշրամ յուց յրտ շարումուցամ ունճա մոյելց յուրաճուցա յամու-
նուս դա յարտուու ճարձանցեմ շարուց ունճեմ Շեմարյաց ճանց ըուռու-

յարտուու ճարձանց յուռու կըրա, Տապ յո սետո Շենանշուլու, յրտու
Ցորճաճուրա մովից անուու. յամունուս ճարձանց յուռու յո Շանց ուուց
խանու, հապ կըրա մունուու յրտու մուրնու, ռտանուս Շանց ուուց:
Այս ուու աճուու ծոխարմու շաճարմանու կը ժալցելուա. ուուտ կըրաս
մնունց նունց մունուու կը ժալցելուա. ամուրու այ յրտու մար-
թու մարթու Շանց գամթարյաց մունու դա արա Շանց ճանց ճանց ըուռու
յարտուու. մաշրամ, հոմ այս կըրա ճարձանուս Շանց ուուց:

¹ Հոգործ համս, յարածալու ճարձանց մունուու յրտու Տանուս շաճա-
նշուլու արսցնուա, նաեւ Տ. Լիսունան, Կ իշունու արմանական ժուլիս, Խա. Կայ. Աստորուու-արքուու. Տ. III. Տիֆ. 1925, չշ. 102.

² O. von Wessendonk, Archäologisches aus dem Kaukasus. Sonderabdruck aus dem Jahrbuch des deutschen archäologischen Instituts, 1925 չշ. 71—“Die Kuppel über dem Quadrat”.

³ “Ցանկան ճարձանու լուսում” Ծու. 1922 դ.



და ყოფილიყო, ამტკიცებს ქვაბლიანში შენახული, მსგავსად მართვებულისა და ოსეთისა, ერდოსთან და ცეცხლთან დაკავშირებული ჩვეულება.

მოხუცებმა ჩვენ გვითხრეს, რომ წინათ საახალწლოდ ოჯახის უფროსი სანვაგით ავსილი ხონჩით, რომლის კიდეზე სანთლები ენთო, დილა-ადრიან ერდოზე გავიდოდა, შემოილოცებდა, ჯალაბობაში დაბრუნდებოდა და ჯალაბთან ერთად ბუხრის პირად (ქართლში და ოსეთში კერასთან) სუფრას გაშლიდა. ჯავახეთში ასეთი ლოცვაც კი შენახულია. იქ, სხვათა შორის, ოჯახის უფროსი ერდოდან ტაბლაზე დალაგებულ ბურს ყრის შიგ სახლში და პურის დაცუმის მიხედვით წინასწარმეტყველობენ მომავალი წლის შესახებ¹.

განვაგრძოთ დარბაზის აღწერა.

კედლებისა და ჭერის ამოყვანით როდი დასრულებულა დარბაზის ავება. ახლა საჭიროა ბუხრის ან როგორც იქ ეძახიან „ოჯაყის“ მოწყობა. ასეთ „ოჯაყის“ შემოსასვლელი კარის პირდაპირ გამართავენ; მის მიღს ცეცხლის ბოლი ზევით აყავს. სხვათა შორის „ოჯაყის“ მორთვის აქ დიდ ყურადღებას აქცივენ. „ოჯაყის“ ძირში ფიქალ ქვებს დააგებენ, გვერდზე „ჩაქურგებს“ დაუდგამენ, რომელსაც „ქამარი“ აქავს (ნახე ტაბ. 3). ქამარი თალთან ერთად ხშირად მონუქურთმებულია, აქვს წარწერები და თარილიც (ნახე ფოტ. სურათი 2–3)².

„ოჯაყში“ მარჯვნივ სამკვარე ქვაა მოწყობილი, რომელსაც აგრეთვე კერას ეძახიან. თვით კერას კი აქ „ყარიჯის“ უხმობენ, რომელიც სამფეხს წარმოადგენს, არის ოთხფეხებიც³. ბუხარშივე, თუმცა იშვიათად, მაგრამ მაინც აქა-იქ შეხვდებით ჯაპუ-ჯინჯილს ქვაბების ჩამოსაკიდად. წინათ ეს ჯინჯილები ხისა ყოფილა. „ოჯაყის“ თავში (მარჯვნით) საპატიო ადგილი ახლაც კი მიჩნეულია მოხუცთათვის, რომლებიც გოგორდინებზე⁴ დასხდებიან ხოლმე. ამავე ოთახის კედლებში დატანებულია „თაროები“, „სალოგინე“, „დოლაბები“ და „მუსანდარა“ (მუსანდარაში „კიდობანი“ დევს, ხოლო „კიდობანში“ „ჩაქმაჯა“—ძვირფასი ნივთების შესანახავად). აქვე კი-

¹ კოპტანაშვილი, ივერია № 256, 1888 წ.

² დამოწმებული თარილები „1.2.8“, (ჰიჯრით), „1825“ წ. და სხვა.

³ შეადარე სვანური „კერა“, საქარ. მუხ. ეთნოგრაფ. განყოფილების კოლექცია № 50–10/63.

⁴ ნახე საქართველოს მუზეუმის კოლექცია № 46–24/6.

დელთან მოწყობილია „სექვი“—საწოლი ტახტი (ნახეთ კრონერის ფოტოზე 3 და ტაბ. 2. გაქრები).

იღრევე ასეთი დარბაზის ერთ კუთხეში მოაწყობდენ მომალ-ლოდ საპატარძლო ოთახს, რომელშიაც ქორწინების დღეებში ნე-ფე-დედოფალს დასვამდენ და მოყვრებ-მეზობლები მიულოცვედენ ხოლმე. ამ ოთახს „აჯილაქს“¹ ეძახდენ. ავრეთვე ცოდნიათ ბნელი კუნჭულების („ბაითელმას“) მოწყობა, სადაც ქალები იმაღებოდენ, როდესაც შიშიანობა იყო და ოჯახის მამაკაცები შინ არ იყვნენ.

დარბაზში შესასვლელი კარი შენობასთან შეფარდებით პა-ტარაა. მისი ჩარჩო შესდგება „ცის“ ანუ „ქუდის“, „ზღურბლის“ და „ამყოლებისგან“. თვით კარი შეკრულია ფიცრებისგან „ბასკე-ბით“. „ყულაბებზე“ და კიდებული და იქვე საკეტი „ზირზა“ ანუ „ურდული“. იღება შივ თოახში.

დარბაზში ცხოვრობს, სადილობს, საუზმობს და სტუმრებს იღებს მთელი ჯალაბობა. მხოლოდ ზამთრობით უმეტეს შემთხვევაში ან ბოსელში ან კიდევ საფურნე თღაში გადადიან.

გვეცნოთ დაახლოებით ბოსელს ანუ „ახორს“.

ბოსელი მსხვილ-ფეხს საქონლისთვისაა დანიშნული. სამცხვარო კი სხვაგანაა მოწყობილი². აქვე ხბორების დასაყენებელი; გამარ-თულია „ბაგეები“ და შუაში მოწყობილია „სანარცხელი“ 1 ნახ ტაბ. 1 და 2). საქონელი სვეტებზე ხოლმე მიბმული ჯინჯილით ან „წნელ-ხოლით“, რომელიც თავის მხრით მიმაგრებულია საულლე „თავკარზე“. როგორია თვით ბოსლის სახურავი?

მას შემდეგ, რაც ბოსლის კედლების ამოყვანა დამთავრდა, ისევე როგორც დარბაზისა, აქ ოთხი წერტილი სვეტები იღებება. კედლე-ბთან დაბალი, ხოლო ორი წერტილი მაღალი, ბოსლის შუაგულთან ახლო. დაბალ სვეტებზე საწარბე ძელებს გასდებენ, ხოლო მაღალებზე „ყოშა-დებს“. საწარბებსა და ყოშადებზე ერთი მეტრის მოცილებით ერთი მეორისაგან გაიღება „ყოჩაშები“, ამათზე ჰერტები გაიმართება. ყოშა-დებზე კვანტები მოეწყობა და შემდეგ ფათხებით ამოიფიცრება. ერთ ერთ ფათხას ჩაჭრილს დატოვებენ, რაც ერდოს მაგივრობას გასწევს. მაგრამ დახურვის აქ „ბოსლის დახურვის“ ეძახიან. ასეთი დახურვის გამო, ბოსელი თუმცა ჰაერმტევა კი არის, მაგრამ დარბაზთან შედარებით ბნელია. ამ წესით აგებული ბოსლის სახურავს იმგვარადვე შეამზა-

¹ საბას ახსნით: „აჯილა—საქორწილე ტახტი“. ლექსიკონი. ტფ 1884 წ.

² სხვათა შორის ეს ასეა აჩალქალაქის მაზრაშიც, გრიკურ სიმის ვ. XVII.



დებენ ნაფოტით, ბზით, თიხითა და მიწით, როგორც ეს აღვწერეთ „მოდარბაზების“ დროს.

ასევე და კიდევ უფრო სადა საბეჭისა და ბაქის ჭერები. მათი გადახურვა იმავე სახისაა, როგორც კარაპანის (იხილე ზემოთ) ამ გადახურვას „ჩაღმა დახურვა“ ჰქვია.

საკუჭანო ისევეა მოდარბაზული, როგორც დარბაზი. განსხვავება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ დათლილი ნიუურების მაგივრიდ აქ, საკუჭანოში, ძელები მრგვლად არის გამოყენებული, ან კიდევ შუაზედ პოპილი, ეგრეთ წოდებული „გარსის“ სახით.

საფურნე ოდის გადახურვა განსხვავებულია. მასში სინათლე ზემო-გვერდიდან ჩამოდის, ასე რომ თვით გადახურვა განსაკუთრებული ოდური ტიპის სახურავს წარმოადგენს ოდურ სახლებში გვხვდება და ამიტომ აქ არ ვეხებით.

ასეთი გლეხური სახლის ბანზე¹ ქვაბლიანში ხშირად კალო იმართება და მასზე სოფლელები ჩვეულებრივად კარდან კარზე გადადიან².

აი, ასეთია ზოგადი სახე აქაური გლეხის სახლის ერთი ტიპისა. ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობს აქ წარმოდგენილი სახლის ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ვარიაციები. მაგალითად ზოგიერთი მათგანი წარმოდგენილია უბაჟოდ და უსაკუჭნაოდ. ასეთ შემთხვევაში პირველის მოვალეობას კარაპანი ასრულებს, ხოლო მეორისას იგივე დარბაზი. მაგრამ ეს სხვაობა არსებითად გლეხური სახლის ამ ტიპის სახეს ვერ ცვლის.

საერთოდ კი უნდა შევნიშნოთ, რომ ამეამად ქვაბლიანის ხეობაში მოლიანი დარბაზის ტიპის სახლის მოპოვება ძნელია. ძველი, დიდი ოჯახები უკვე დარღვეულია, მოთხოვნილება ერთ ჭერქვეშ რომლებიმე თაობის ერთად ცხოვრებისა აღარ არსებობს, რომელ მოთხოვნილებას გლეხის სახლის ეს ტიპი საქსებით აქმაყოფილებდა (შეადარე გეგმაზე მოცემული ხაზთსადარი ტაბ. 1.), ხოლო გაყოფვის დროს შექმნილი ერთეულები, ვინ სად ეწყობა და ვინ სად. უკველი მათგანი თავისი ხვედრი სახლის წილის გადაკვეთებას ისტრაფის. სოფ. არალში 1922 წელს კიდევ ყოფილა მოლიანი სახის დარბაზი, რომელშიაც ოთხმოცი სული ცხოვრობდა. 1923 წელს ოჯახის შემადგენელ წევრებს ეს სახლი დაუყვითა ისე, რომ უზარმაზარი დარბაზული ოთახის გარდა სხვა აღარა დარჩინილა რა. ახალი დარბაზების აშენებაზე ლაპარაკიც მეტია. მოხუცების თქმით ამეამად შენახული

¹ ტერმინი ბანის წარმოშობის შესახებ ნახე H. Mapp, Определ. яз. втор. категориях ах. Птб. 1914, გვ. 36—37.

² შეადარე Haxthausen, op. c. I. T. გვ. 188.

დარბაზებიც წინაპართა—მესამე—მეოთხე თაობის მიერ არის აგებული. ჩვენს შეკითხვაზე, თუ შემდეგ რათ შეწყდა ამგვარური ქაფხულუბის შენება—გვიპასუხეს, რომ „შეზა“ (ხე) დაძვირდა. პირდღირება

ახლა ვიკითხოთ, რას ნიშნავს ტერმინი დარბაზი და რა მნიშვნელობას აძლევს მას თვით ხალხი.

როგორც ვიცით ეს სიტყვა სპარსულია. از رواز—ნიშნავს „Thor als Thorweg, öffentlicher Platz (იხილეთ Zencker, Arabisch-persisch-türkisches Wörterbuch). სიტყვის ეს მნიშვნელობა კარგად უდეგება ჩვენს საისტორიო-სალიტერატურო ძეგლებში შენახულს ტერმინებს—„დარბაზობა“, „წესი და რიგი დარბაზისანი“, რაც ჩვენს „კარს“, „კარისგარივებას“—ოღნიშნავს. სხვათა შორის უნდა ითქვას, რომ ჩვენს ციხეებში, სადარბაზო, საბჭო ოთახი ციხის შესავალ კარებოთ იყო. მაგრამ რა აზრით უნდა მიკუთვნებოდა ეს განსაზღვრული მნიშვნელობის მატარებელი სიტყვა გლეხის სახლ?

პირველ ყოვლისა უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ტერმინი ქვაბლიანის ხეობაში მთელს ნაშენობას, სახლს კი არ აღნიშნავს, არამედ სპეციალურად იმ დიდ ოთახს ჰქვია, რომელსაც მოდარბაზული სახურივი აქვს. მართალია მოდარბაზული სახურივი აქვს აგრეთვე საკუთხოს ოთახსაც, მაგრამ იქ ჰერი უფრო დაბალია, ამოყვანილია მრგვალი და გარსიანი ძელებიდან და ამიტომ ისეთ შთაბეჭდილებას ვერ ტოვებს, როგორც დარბაზი. ამასთანავე არ უნდა დავიკიშვილოთ, რომ საკუთხო ზაფხულობით სტუმრების დასასვენებელიცაა და ამიტომ მოდარბაზება მასაც შეფერის.

მთელს ნაშენობას აქ სახლს ეძახიან და მხოლოდ და მხოლოდ გვირგვინიან, მოდარბაზულ ოთახს დარჩემევა დარბაზი. გაყრილობის დროს უფროს ძმას უმცროსები ასე მიმართავენ: „შენ დარბაზი (როგორც საუფროსო) და ჩვენ დღიაო“ (საფურნე). აქაური ძელი კაცების წარმოდგენაში დარბაზი ისეთ შენობასთან არის დაკავშირებული, რომელსაც, უთუოდ, ფანჯარა შუაში აქვს. აქვე სოფლელებმა აგვისხნეს, რომ სადარბაზოდ წასელა ნიშნავს: „საბაასოთ წავალ, მტერ-მოყვრობის საქმის გასარჩევად“,—დაახლოვებით ისევე, როგორც საბა ხსნის „დარბაზობა სააღერსოდ სხვის სახლად მისვლა“—არისო.

ალსანიშნავია, რომ მოგზაურებს, რომელთაც ჩვენ ძელებური სახლების აღწერილობები დაგვიტოვეს—გლეხის სახლები დარბაზებად მოხსენებული არ აქვთ. არც იმათ, რომელთა აღწერილობა და

¹ საბა, op. cit.

სურათები ამჟღავნებენ, რომ დარბაზის ტიპის სახლებთან გვაქვს ჰუმბურგული განვითარებული მაგალითად — ჰაკსტაუბენი, პანტიკებოვი და სხვები. გარენა ელიტურული მოქალაქეების მთავროდ ტფილისის მოქალაქეები დარბაზის - დარბაზებად მოხსენება ა. ნეგრის და მედიჩის მიერ. პირველი გათვანი ამბობს, რომ „შეძლებული მოქალაქენი სახლები მიაშენებენ ხოლმე „დე-აბაზს“ (Derbaz) ეგრეთწოდებულს საკვაოდ დიდ თალებსა და ოთახებს... დღის სინათლე მხოლოდ შემოდან ჩამოდის“¹, ხოლო მეორე აღნიშვნას: „ყველა ზაოგანის (სახლების) სახურავს ეწოდება „დარბაზს“².

მესხ-კათოლიკეთა მიერ წარმოებულ მიწერ-მოწერაში რომის პაპისთან მე-17—18 საუკუნეებში ერთხელაც არ შევვხვდრია ტერმინი დარბაზი, სახლის აღსანიშნავად, მაშინ როდესაც სიტყვა სახლი³ (უძველესი ქართული ტერმინი)⁴, ოდა („ოდის ქირა ბილა წაართვა“, „მაბეინი ოდა“)⁵ და ოჯახი⁶ ხშირად არის ნახმარი.

¹ Л. Меликset-Беков, Старый Тифлис по описаниям А. Негри и М. Медичи, Агс, 1918 №. 2—3, გვ. 107.

² А. Меликset-Беков, оп. с. 109.

³ შემანიუს ცხოვრება, საქართველოს სამოთხე, საბრლი გვ. 183, 187; სერაპონოვ ზარბელის ცხოვრება, ქართული მწერლობა (მოსე ჯანაშვილისა) ტფ. 1909, გვ. 38. სახლის ეტამოლუგიისათვის — ნახე H. Marr, Осн. Таб. к гр. древнегреч. яз. СПБ. 1908 გვ. 5. შემიშვნაში, საჭაც ეს სიტყვა შეუარდებულია ებრაულ და არაბულ ძირებთან ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით განტრონობისთვის; მისი ვ. ე. Древнегреч.-русс. словарь к I-2 гл. ев. Мирка, СПБ 1913. აქაც სახლი ახსნილია, როგორც სამთანმოწინი ძირი.

ამ სიტყვის მნიშვნელობისათვის ნახე იქ. ჯავახი შვილი, Государственный строй др. Грузии и др. Армянии გვ. 31 და შემდევი. ს. კატაბაძე, სახლში: ს ა-ს პრეფექსაც თვლის. ხლ ძირის ის უკავშირებს სვანურ ქორს, რაც ნაწილს ოჯახს და სახლს და რომელიც იგივე სვანური ყორ=ქარი, ესი არისო (ქართულ სახელმწიფოებრიობის გენერისის საკითხები, საისტორიის მთაბეჭ, ტფ. 1924 №. I გვ. 87-88). საყურადღებოა, რომ სიტყვა კარის ადრინდელი მნიშვნელობაც შეებულობას სათან უნდა იყოს დაკავშირებული, ნახე H. Marr, Первый средиземноморский дом и его языковые наименования у греков μέγαρον, у римлян atrium — utrum, ПАН, 1924, გვ. 231. სააულისხმოა, რომ სიტყვა კასრიც შენებულობას აღნიშნავს — ნახე წმ. ნისიმეს ცხოვრებაში კასრი სახლ-მლემეს მნიშვნელობით (მ. ჯანაშვილი, ქარ. მწერ. ტფ. 1909, გვ. 73). საბასაც ახსნილი აქვს კასრი, როგორც „სახლი მომცრო, სათვაის წინააღმდეგ“ და კასრაკიც — როგორც „მცირე სახლი“. „ქართლის ცხოვრებით“ აც არჩილ მეფემ აავო კასრი (მარ. დედ. ვარ. გვ. 260).

⁴ მიხ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილის 1902 წ. გვ. 454, ნა.

⁵ Ibid. გვ. 44², 455.

⁶ Ibid., 456.

ამავე ხანებში (მეჩვიდმეტე საუკუნე) ეს ტერმინი იხმარებოდა სამოწვევების საქართველოში. იქ ოფორც ჩანს, დარბაზები ფეოდალისტური მიმდევადის განუყრელ ნაწილს შეაღენდა. მალაქია კათალიკონ-გურიელი იადგარის მინაწერში ასე წერს: „ამის გარეთ მათხოვს სასახლე გამიკეთებია და შემიმება საყდრითა, ტახტითა დარბაზითა, დიდის შეფასახლითა, საწოლის სახლითა და ჭიშკრითა და მისი ჯიხურითა“¹.

მაგრამ არსებობს ერთი ძველი აღწერილობა, რომელშიაც ტერმინი დარბაზი მართლაც იხმარება გლეხის სახლის აღსანიშნავად ყანაბის მაზრაში. ეს აღწერილობა მოთავსებულია 1836 წელს პეტერბურგში გამოცემულ წიგნში, ოობლის სათაურია: „Обозрение Российских владений за Кавказом“ (СПБ. ყI. I, გვ. 231). მოცემულ ამ აღვილს: „Жилища тамошния (ყანაბის დისტანცია) суть дорбази.. для поддержания потолка укрепляют внутри 4 деревянных столба; крышу делают обыкновенно круглою“.

მეორეს მხრით აღსანიშნავია, რომ ყარაბაღში ამგვარი ტიპის გლეხური სახლი თათრულ სახელშოდებას ატარებს ჰარაჟამი, რაც „შეს სახლს“ ნიშნავს². „ზერეფი“ იქ მხოლოდ იმ საფარის ქვია, რომელიც შესავალ კარებთანაა მოდგმული სახლის შივ³. ამგვარად ეს უკანასკნელი სიტყვა საფარ-შესასვლელი საქმაოდ გადმოგვცემს მისი სპარსული ექვივალენტის პირვენდელ მნიშვნელობას.

უკანასკნელად კიდევ ერთ აზრს დაისახელებთ დარბაზის შესახებ. კ. ჰანის მოწმობით: „Der Darbasi, der ist eine steinere Hütte, befindet sich in der Regel in der Nähe des Chati. Dort versammeln sich die Diener am Heiligtum“⁴.

როგორ უნდა იქმნეს გაგებული ტერმინი დარბაზის შესახებ ზემოთ წარმოდგენილი ცნობები. მიუხედავად არსებოლი წინააღმდე-

¹ ალ. ბახანა შვილი, გუჯრები, ქუთაისი 1891 წ. გვ. 145.

² ვახუშტის მოწმობით ფეოდალთა დარბაზები ქართული რიგისანი არიან. ის სწერს: „სანოვაგვ ქართველთა და კახთა უმეტეს ყიზილბაშთა რიგისა, ხოლო მესხთა-ურუმთა და ისერთა ურუმთავან შერუული; და სასახლეთა შენებანი მათვე რიგისა და პოლარა ქართული, თვინიერ დარბაზისა“. Descrip. geographique... გვ. 38.

³ Ст. Лисициан, оп. с. გვ. 99.

⁴ Ibid., გვ. 103.

⁵ K. von Hahn, Bilder aus dem Kaukasus. Neue Studien zur Kenntnis Kaukasiens, Leipzig, 1910 გვ. 204. By hahn-ის მიერ მოხსენებული „დარბაზები“, როგორც ხევსურთა ხევის-ბერის და დეკანონის მაბურები, გალიპბრობაზეა დამყარებული (Byhan, op. cit. გვ. 74).

გობებისა, რომელიც ამ სიტყვის სხვადასხვა მნიშვნელობაშია მუსტიციული მული, — აშეარა, რომ დარბაზი ხალხური გაგებით ერთის ჰქონის ისეთ ბინას ეწოდება, სადაც შეიძლება მტერ-მოყვრობის საქმის გარჩევა, ხოლო მეორე მხრით, ეს ისეთი შენობაა, რომელსაც „მოდარბაზულ“-მოვირვენებული სახურავი აქვს და შექი ზემოდან ჩამოუდის. ამისთანავე უნდა აღინიშნოს, რომ გვირგვინიანი სახურავი ერთოს და კერის კულტთან დაკავშირებით სარწმუნოებრივი ხასიათის მატარებელია და მეტად საგულისხმო გარემოებას წარმოადგენს. აქ გვირგვინიანი სახურავი ერთგვარი „საზეიმო“ გზაა ზეციური შექის მისაღებად მორთული¹.

მაგრამ ეს უკანასკნელი მიდგომა საკითხს სვამს თვით გვირგვინიანი („დარბაზული“) სახურავის წარმოშობის შესახებ, რომელიც თავის-თავად მრავალ სხვა საკითხთან არის დაკავშირებული; მაგ.: რამდენად ძველია დარბაზული ტიპის სახლი (ბუნებრივი გარემოს გავლენის საკითხი ამისთან დაკავშირებით უნდა დაისვას), რა კავშირი აქვს დარბაზულ გადახურვას გუმბათოვანთან, რას იძლევა „დარბაზების“ შედარება მღვიმებში შენახულ სახლებთან (უფლისციხე, ვარძია, ვანის სამეფოს დასავლეთის ნაწილი) და სხვა.² საძუხვაროდ ამ საკითხზე გადაჭრა მათი შეუსწავლელობისა და გამოქვეყნებული მასალის მეტისმეტი სიმკირის გამო ჯერ-ჯერობით შეუძლებელია. ამიტომ ჩვენ იძულებული

¹ „გლეხური დარბაზი დილომში“ გვ. I.

² განათხარი მასალა ძველი სახლების შესახებ მეტად მცირეა. ჩვენ შეგვიძლია დავისახელოთ მხოლოდ: F. B a y e r n, Untersuchungen über die ältesten Gräber und Schatzfunde in Kaukasien, Suppl. zur Ztschr. f. Ethnologie der B. O. f. Anthr. 1885, გვ. 31, სადაც ის „რედკონდაგერში“ აღმოჩენილ სახლებს და სამთავროს ქვედა სართულის გუმბათოვან სამარტებს ადარება მიწურ სახლებს; ნაბე აგრეთვე E. T a k a i s h v i l i, Археологические экспедиции, раз. и зам. B. II, გვ. 81, 84. მცხეთაში ნაერთსადენთან აღმოჩენილი სახლების შესახებ; აგრეთვე გათხრა საგურამიში 1924 წ.—Von W e s e n d o n k, op. c. გვ. 51—52. მღვიმების საცხოვრებელ ბინებთან შედარებისათვის ნახე Le hmann-Haupt, Armenian einst und jetzt. Brl. 1910. გვ. 102. აგრეთვე Byhan. op. cit. გვ. 680—81; Arthur Haberlandt, Die Volktümliche Kultur Europas in ihrer geschichtlichen Entwicklung Buschan-ის Illustrirte Völkerkunde B. II. Zweite Teil, გვ. 406; გუმბათოვან და გვირგვინიან სახურავისათვის—J. S t r z y g o w s k i. Baukunst der Armenier und Europa, Wien 1918. B. II. გვ. 619 და შემდეგი; Strzygowski-ს მოსახურებათა შესახებ ნახე შეტად მნიშვნელოვანი შენიშვნები დარბაზის გვირგვინთან დაკავშირებით G. Tschubinashwili. Die christliche Kunst im Kaukasus und ihr Verhältnis zur allgemeinen Kunstgeschichte, Monatsheft für Kunsthissenschaft, 1922 № 7—9 Brz. გვ. 226; von W e s e n d o n k, op. c. გვ. 71.

გართ წამოყენებულ პრობლემებს გვერდი იფუზვიოთ და იმ ხნისათვის იმასალებით დაკვიმაცოფილდეთ, რომელიც იქ გვაქვს შემოტკიცებული მასალები კი ზოგიერთ მოსაზრებებს გვიყარნახებს, რომელთ დააჯერებლობა, საგნის პერსპექტიული ათვისების მიხედვით, სავსებით პრობლემატურად როდი უნდა მივიჩნიოთ. ეს მოსაზრებები შემ-

დეგია:

ერთის მხრით, გლეხური სახლის დარბაზული ტიპი, როგორც ის წარმოდგენილია ქვაბლიანში, სოციალური მომენტით დაკავშირებული უნდა იყოს დიდ, გვაროვნულ ოჯახთა არსებობასთან, რამდენადც ის ოჯახის მრავალ წევრთ იტევდა და სადაც კურის გარდები (ძველად) ოჯახის წევრები (აგრეთვე გვარის) „თავს იყრიდენ მტერ-მოყვრობის საქმის გასარჩევად“.

მეორეს მხრით, მასში ჩვენ გვაქვს მოცემული სარწმუნოებრივი გლეხენტები—მოდარბაზებასთან და კერა და ერთოსთან დაკავშირებული კულტი, რომელიც, შეიძლება, ზე- და ამქვეყნიური ცეცხლის თაყვანისცემის ანარეკლს წარმოადგენდეს. მმ მოსაზრებას იძლიერებს აგრეთვე დარბაზებში შენახული სიმბოლური ორნამენტები, განსაკუთრებული სახეები.

მხოლოდ იქვე უნდა შეენიშნოთ, რომ მაინცდამინც ეს მოსაზრებები ჯერ-ჯერობით საბოლოო და გაზოვადებულ დასკვნებად არ შეიძლება ჩაითვალოს, ვიდრე სტაციონარულად შესწავლილი და სათანადოდ შედარებული არ არის, ყველა, როგორც საქართველოში, ისე მის მეზობელ ხალხებში, შენახული დარბაზული ტიპის სახლები, ვიდრე არ შემოკრებილა მათთან დაკავშირებული ეთნო-არქიოლოგიური შისალი და არ გაღრმავებულა მათი მეცნიერული დამუშავები.

The peasants' house in Quablian.

By G. TSCHITATAIA (Sommery).

The peasants' dwellings in the Quablian strait are divided into three principal types: the „darbazuli“, „oduri“ and the „lazuri“ or „khanuri“.

The peasants' darbazi have many curious peculiarities in comparison with the same kind of buildings in Kartalinia. The Quablian „darbazi“ is a complete building. It consists of a shed (Karapani) with a dairy (sardzié) and a big box for keeping corn (hambari).



Then come the lumber-room (sakuchnavo), the room for instruments of rural economy (baki), the lodgings (darbazi), the baking room (sapurne), the stables for cattle and horses (bosseli or „ahori“) and the hay-stores (sabdzeli). The Kartalinian darbazi are simply lodgings without any service premises. The difference between the two types of houses is more striking, when attention is paid to the covering, the roof, which in the Quablian darbazi is „crown-like“ and bears a special name: „modarbazuli“. This covering begins immediately from the walls of the room, therefore gains in size and increases the quantity of light coming through the roof and the air capacity of the room.

Most interesting is the system of erecting the crown-like vault.

Except the ordinary way of building teech vaults with tetragnons, the „crowns“ are erected with octagons. Buildings with such roofs have more air and light. The roof, by itself leaves the complete impression of a crown. Thus arises doubtely the comparison between these coverings and the „cupola-like“ vaults.

The descriptive and ethnographical materials here exposed, as well as the analysis of the term „darbazi“ in a perspective, light, point out the following: 1) the darbazi-type of such peasants dwellings as we see in the Quablian strait, taken in its social meaning, must be referred to the patriarchal epoch, when the darbaz used to gather around its hearth numerous members of a family, or tribe for the purpose of debating the most important questions. 2) the orifice for light (erdo) in the roof, of the peasants, darbazi combined with the hearth (Kera) are relics and religious elements, which might be considered as connected with the worshiping of celestial and terrestrial fire. This opinion finds its affirmation in the symbolical ornaments of the Kartalinian darbazis. But all these reflections cannot be considered as definitive conclusions, as long as the peasants' dwellings in the darbazi type are not all studied in Georgia and in the neighbouring countries, and the archeo-ethnological materials are not all collected together and examined scientifically.

ეცრებ მცირის ლიტერატურული მოღვაწეობიდან

იერუსალიმში ყოფნის დროს 1923-1924 წ.წ. დეკემბერ-იანვარში, როდესაც მე ხენებული ქალაქის ბერძნული საპატრიიარქო წიგნთსაცავის ქართული ხელთნაწერების კატალოგის¹ შესადგენად ვმუშაობდი, ჩემი ყურადღება ბუნებრივად მიიქცის წინა- და ბოლოსიტყვებმა (კოლოფონებმა), რომლებიც ქართველ შერიალს ეფრემ მცირეს თავის ნაწარმოებთათვის დაურთავს. გულმოღინე და განსწავლული შეერლის ლიტერატურული მოღვაწეობის ამ მიზნებლენვანბა ნაწყვეტებმა ჩვენამდე მოაწერს მხოლოდ იმ ხელთნაწერებში, რომლებიც ოდესალაც იერუსალიმის ჯვარის მონასტერში იყო დაცული, ეხლა კი ბერძნულ საბატრიიარქო წიგნთსაცავში ინახება. მაშინ ჩემს განკარგულებაში მეტად მცირე დრო იყო და ამ გარემოებამ ხელი შემიშალა დასახულებული ტექსტების პირი გადამეღო. ეს ამბავი სამწუხარო იყო მით უმეტეს, რომ ეს ძეგლები, თუმცა მათი მნიშვნელობა ცხადი გახდა ქართველთმეტყველთათვის მაშინვე, რაც ისინი ნ. მარმა აღმოაჩინა, დღემდის არ გამოქვეყნებულა, გარეშე იმ მცირე ცნობებისა და რუსული თარგმანის სახით შესრულებული მოქლე ექსკრიტებისა, რომელნიც ნ. მარმა შემოიტანა თავის „წინასწარს ინგარიშში“². მაგრამ, ბოლოს, ყველა დაბრკოლება დაძლევულ იქნა ფოტოგრაფიული აპარატის შემწეობით, და მე ეხლა საშუალება მაქვს გამოვიყენ ზემოაღნიშნული ტექსტები ჩინებული ანაბეჭდების (თეთრად ზავზე) გზით, რომლებიც შემდეგ მივიღე იერუსალიმიდან ამერიკული არქეოლოგიური სკოლის დირექტორის დ-რ W. T. Albright'-ისა და ფოტოგრაფის ბ-ნი ლარს ონის თავიზიანი ყურადღების წყვლობით.

¹ ეს კატალოგი გამოცემულია ფრანგულად Revue de l'Orient Chrétien' ში შემდეგი სათაურით: „Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque patriarchale à Jérusalem“, 3-e série t. III (XXIII) (1922-3) pp. 345-413; t. IV (XXIV) (1924) pp. 190—210; t. V (XXV) (1925) pp. 336—404. ქვემოთ ხელთნაწერების №№ ამ კატალოგის მიხედვით არის ნაჩვენები.

² Н. Я. Марр. Предварительный отчет о поездке на Синай и в Иерусалим [„Сообщения Прав. Палест. общ.“, т. XIV, ч. 2], гл. I—51, бაზა განსაკუთრებით გვ. 28—29.



ურთიერთები

წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილია შემდეგი სტატუსურული კუმენტი:

1) „დავითის“ თარგმანების შესავლის ბოლო. ეს ტექსტი გამოცემულია მარტვილის ხელთნაწერების მიხედვით 3. ინგოროვას მიერ ე. თაყაიშვილის წერილში (ძვ. საქართველო, ტ. III, განყ. 1, გვ. 243—269). 3. ინგოროვების გამოცემას აკლია ბოლო, რადგან მის ხელთ მყოფი კველა ხელთნაწერი ნაკლული იყო. ჩვენ ამ ნაკლულ ადგილს ვაქვეყნებთ იქრუს. № 1 ხელთნაწერის მიხედვით, ფფ. 2r₁—7r₂¹.

2) „თარგმანებად სამოციქულოდან“—ს, შესავალი: გამოცემულია № 16 ხელთნაწერის მიხედვით, ფფ. 1v₁—3v₂. ეს ხელთნაწერი დაზიანებულია სინესტისაგან და ზოგიერთ სვეტში სტრიქონები აღარ განირჩევა ხან ნაწილობრივ, ხან მთლიანადაც.

3) შესავალი „თექქუსმეტთა სიტყუათა გრიგოლის ღმრთისმეტყუსლისათან“—სა, რომლის თარგმანი და სქოლიებიც ეფრემ მცირეს ეკუთხნის. გამოცემულია № 43x ხელთნაწერის მიხედვით, ფფ. 1r—4r. ხელთნაწერი მეტად დაკმულია ჭიისაგან და, საზოგადოდ, ძალიან დაზარალ ძალული ცუდი ხმარებისაგან: ექვსი სტრიქონის ნაწილი 1r—1v გვერდზე დალუბულია მთლიანად.

4) იმავე გამოცემის კოლოფონი: იბეჭდება № 13 ხელთნაწერის მიხედვით, ფ. 249r₁. ეს ტექსტი შენახულა მთლიანად.

ზემოთდასახელებული ნაწყვეტების ტექსტი იბეჭდება ისე, როგორც იგი მოცემულია ხელთნაწერებში; ქარაგმები მაინც გახსნილია. ორიოდე შემთხვევაში, როცა ღლდებილი ფორმა უნდობლობას ან ყოფილს იწვევდა, ხელთნაწერის ტექსტი ქარაგმითვე დავტოვეთ. დაკლებული ასოების მიახლოვებითი რაოდენობა გადმოცემულია წერტილის რიგით, ფურცლის დაკარგული ნაწილი კი—კვადრატული ფრჩილებით. ხელთნაწერების მართლწერა უცვლელად დავტოვეთ, მხოლოდ ყველა იმ შემთხვევაში, როცა უც კომპლექსი ქარაგმაგახსნილ სიტყვებშია მოცემული, ჩვენ ეს ჯგუფი სისტემატურად გადმოცემული გვაქვს Inlaut'-სა და Auslaut'-ში, როგორც უც: ცნობილია, რომ

¹ ტექსტის გამოცემული ნაწილის ჩვენს ხელთნაწერებთან შედარების შედევნებს (მნიშვნელოვანს უმთავრესად ეფრემის სული მართლწერის დადგენისათვის) ადგილის ეკონომიკისათვის აქ აღარ ვაქვეყნებთ.

ასეთი იყო ჩვეულება თვით ავტორისა და ასევე სწერენ აშშ კონგლომის
უწყებულ ხელთანაწერთა გადამწერლებიც¹.

Harvard University
Cambridge, Mass.

„თარგმანია დავითისი“

(შესავლის ბოლო)

დამარტინულებელ ექმნა: და რომლითა იგი ერთა მოინადირებდა: უმრავლესნი თვითა მიმდგომთაგანნი ჩუპნთა ამთა ერთა შეაერთა: რამეთუ არა თუმცა მას ეწყო პირველად თხზვად სიტყუათა: და შეირდებოდა ეკლესიასა გვრგვნი იგი მრავალთუალოვანი სიტყვითა დიდისა მის ღმრთის მეტყუბლისათა: რამეთუ არა აქუნდა ჩუპულებად მეტსა და მრავალელოვანსა რასმე სიტყუა მჰევრობასა შესლვად ეზოთა უფლისათა: ხოლო ვინახთვან შეეშინა წინამძღვართა ეკლესიის და თა: ნუ უკუც მეტნობად სიტყუათად უმეტესობად ქადაგებისა წინააღმდეგომთავასა შეერაცხოს: და მიიჩიდნეს მრავალნი ამის თვეცა ქნარი იგი სულისა წმიდისად. ენად დიდისა მის ღმრთის 10 მეტყუბლისად ყვეს დამკსნელ ყოვლისავე კელოვნებისა სიტყუათად-საცა: ესრუთ უკუც ჯეროვნად განგვიცხადების რიცხულებად. რომელთამე ფსალმუნთა დავითისთად მათ გან რომელნი ზედა მიწევნით მეცნიერ არიან ენასა ებრაელთასა:.

ჯერ არს უკუც რახთა უწყოდით ესეცა: ვითარმედ დალაცათუ 15 მრავალნი იცილობებიან წიგნისა თვს ფსალმუნთავასა ვითარმედ არა ყოველნი დავითისნია: არამედ უმრავლესნი და ჩუპნი ყოველნი ერთ კმა არიან: ვითარმედ ყოველნივე დავითის მიერ თქმულ არიან: არ-ლაცათუ რომელნიმე სხუათა ვიეთმე პირსა მთავართა და საგალობლად მიუცემიან: არამედ სიტყუად ყოველი მისი არს: ასორმეოცდა- 20 ათთავე ფსალმუნთად: და ზედაწარწერილნიცა ყოველნი მისნი არიან: და არა სხუათა გან მოპოვნებულნი: ვითარ იგი თქმულ არს ვიეთვან-მე. და კუალად დიაფსლ-შე მისივე არს. და ორთა პირთა გულის კმა გვყოფს: ანუ ცვალებასა სიტყუათა ძლისსა: ანუ ქცევასა კილოსა საგალობელისსა: რამეთუ მრავალნი მწყობრნი მგალობელნი დაედ- 25 გინნეს წინააღმდეგომეტყუბლისა დავითის აღსაშენებელად ერისა: რომელნი იგი მრავალსახეთა კმათა ქცევითა საწადელ კაცთა ჰყოფდეს:

¹ ამ ნაწყვეტების ზოგადი განხილვა შინაარსის მხრით იხ. კ. კიკე-ლიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I (ტფილისი, 1923), გვ. 83. 267—269, 276—279.



შრავალ მოქცევსა მას სიკრისა საწინააღსწარმეტულომც რასწოდეს
ყუთათასა::

ხოლო წინაუკმოდ განწყობისა და უკანააღსწელთა პირველად:
და პირველთა ფსალმუნთა უკანააღსწელად დაწესებისა მიზეზი ცხად
არს. ვითარმედ ადგილადგილ თქმულნი ერთად შეკრებულ არიან და
არა მსგავსად თქმულებისა წესთა. მიულიეს რიცხვ პირველობისა და
უკანააღსწელობისაც: არამედ რომელიცა პირველ პოვნილ არს. ვი-
ცა პირველ მათი შემდგომად პოვნილ არს: დაწესებულ არს: და
ამითვე წესითა სრულ იქმნების რიცხვ: ასერგასისთა ფსალმუნთაც:
10 რომელნი იგი ჰკურიათა მორის ხუთ წიგნად განიყოფებიან. ხოლო გა-
ნიყოფებიან ესრეთ::

პირველით ფსალმუნითვანი: ვიდრე მეორმოცედმდე ერთ წი-
გნად: და ამიერითვანი: ვიდრე სამეოც და მეათერთმეტედმდე მეო-
რედ:. და მიერითვანი: ვიდრე ოთხმეოც და მეორვედმდე: მესამედ წი-
15 გნად:. და ამიერითვანი ას და მეხუთედმდე. მეოთხედ, და მიერითვა-
ნი ას ორმეოც და მეათედმდე: მეხუთედ წიგნად::

ხოლო ბერძენთა და ქართველთაც წიგნი ფსალმუნთაც ყოველი-
ვე სწორ არს და ერთ წიგნ: შეწევნითა უფლისახთა და მოსწრაფედ
მოლუაწებითა: დიდისა მის მნათობისა: გიორგი მთაწმიდელისახთა:
20 ვინააცეა მისითავე ლოცვითა: და მაღლითა ბერისა ჩუბნისახთა: ყო-
ველსავე ამას დავითისა თარგმანსა შინა: არცა ერთსა მუკლსა სადა
ეკვარა ცვალებაც: არამედ მისივე თარგმანილი მუკლი დავწერეთ:
მის მიერითა ოხითა განმეობილთა: რომლისა იყავნ საუკუნო ნე-
ტარებაც და კსენებაც მისი ამინ::

textus ap. ms. in caudam desinit.

„თარგმანებაც სამოცირულოდესაც“.

Ms.
Hieros. 16

(შესავალი)

Finis designationum capitularum actorum Apostolorum
8 versus

f 2a ესე საცნაურ იყავნ ყოველთ-
ა რომელნი მიემთხვეთ წმიდასა
ამას წიგნსა: ვითარმედ ვითარცა იგი
დავითისა თარგმანთა შინა. ე-
5 ვრეთვე ყოველსა ამას სამოც-
იქულოსა წიგნსა შინა ძა-



ლისა ებრი მოწყობად დ-
ამიცავს. დიდისა მის მო-
ძლურისა და ყოველთა ექლესი-
ათა ჩუმითა მნათობისა. ვიორგი
მთაწმიდელისა საუკუნოდ მოკ-
სენებულისად. მე უნდოსა 5
გტუბრისა წმიდათა ფერეთა მ-
ათთასა მათივე თარგმანილი სა-
ქმე მოციქულთად: კათოლიკ-
ენი და ებისტოლენი წინა-
მესხნიან: და სამოციქულოდ სიტყუად 10
მიერ დამწერია: რახთა არა მე-
ორედ თარგმნილად შეი-
რაცხოს წიგნი სამოციქულოდ:::
ხოლო ვინავთვან ბერძნთა ე-
ნად უცსკრულ ღრმა არ-
ს: და იგივე და ერთი სიტყუად
გრავილსა პირსა ალიარებს.
და უპირატესად ყოვლისა მ-
ას ადგილსა ზედამიწევნით 20
გამოიცულებს წმიდად იოვანე ოქ-
როპირი და განცხადებულ-
ად უცკრულ ჰყოფს ვითარ-
ებასა მისსა: ამათ ესე-
ვითართა ღრმათა ადგილთა 25
საღაცა უკმდა შეცვალე-
ბად. და სხუბრ ცვალებად
სიტყუასა სამოციქულისა ქართ-
ულსა: რომელი მაშინ და ძლით
გულის კმა იყოფებოდა. ოდეს 30
სამნი ვინა ოთხნი თარგმ-
ანი პავლისანი. და ეგ-
ოდენნივე ლექსიკონი. ესე
არიან ღრმათა წიგნურთა
სიტყუათა ანბანსა ზედა განშ-
ებილნი სიტყუანი: ერთად 35
შემოვერიბნი: მაშინ და ძლი-
ო მოუპოვ ქართული



მსგავსებული სიტყუად:: და
ესევითარნი სიტყუანი სადაცა
შემიცვალებიან კიდესა. სტ-
იქონისასა იოტაა დამისუა-
ნ მს: და შინა სიტყუასა წინ-
ათ ესე. ვითარმედ უსაკუთრეს
...ესრეთ: აშ უკუც სა-
დაცა კიდესა სტიქონისასა. ა-
ნუ სიტყუასა ზედა იოტაა ჰპო-
10 თ: და სიტყუასა თანა უსაკუ-
თრესი: ცან ვითარმედ მცირედ ცვა-
ლებაა ჰნებებია მას სიტყუასა::
რომელი იგი წმიდასა მამასა ჩუტნსა გოორგის:
არა ეგოდენ სხვსა რახსამე
15 მიზეზისა გან. რაოდენ ძუცლ-
ისავე პავლისა წაყოლი-
სა გან დაუტეობია: რამეთუ პირველნი
დავითნიცა. რომელ ახლად ეთარ-
გმნეს: მრავალი სიტყუად ძუცლ-
20 ისა ჩუტულებისადა მიეყვ-
ანა: ვიდრემდის უკუანახსენელ დიდ-
ძალ მის მოღუაწისა გოორგი
დაყულებულისა იძულებით
ბრძანებითა. კუალად უსრულე-
25 სად. და უწმიდესად ეთარგმნეს::
ამით მიზეზითა ვჰგონებ ს-
ამოციქულოხსაცა ამის წ-
იგნისასა: ვითარმედ რომელი მრავალ-
სა პირსა აღიარებდა. იგი
30 ძუცლისა ვე თარგმნილი-
სადა მიუვანებია. და მეცა
ეგრეთვე სამოციქულო სიტყუად.
ვითა მათ ეთარგმნა ეგრ-
ეთ დამიწერია პირველ. რახთა მო-
35 წფობაა მისი სრულ ვყო::|
ხოლო სადა თარგმნი სიტყვსაა
მაიძულებდა: იშვით ცვა-
ლებასა სიტყვსასა: იგი

თარგმანსა შინა იოტახთა
და უსაკუთრესითა ამინიშნ-
ებს ყოველსა ადგილსა: და ა-
მით სახითა ძალისა ებრ
განკრძალულ ვარ: რახთა 5
არა სიტყვსა სხუბპრობამან.
შეცვალება მცეს თარგმა-
ნიცა: და დაგუაჭირვოს
მართლ განმარტებული სი-
ტყუად წმიდათა მამათაც: არამედ რახთა 10
პირველად სიტყუად სამოციქულოე შე-
ასწორო ბერძულსა ძალ-
ისა ებრ. თანაშეწევნითა
და წინაძლომითა თარგ-
მანთა და ლექსიკონთაც 15
თა: რამეთუ არს მრავალი სიტყუად
რომელ თვისაგან პავლესა შინა
ეგრე უფრო შეიწყობვ-
ის ქართულად: ხოლო ოდეს
წმიდათა თარგმანებასა თანა 20
შეატყუა. პირველად სამოციქულო-
სა სიტყვისა გამოკულებ-
ად უნა და შედარებაც. და
ეგრეთლა თარგმანსა მის-
სა დაწერაც: ამის პირისა- 25
თვს გვევდრები ყოველთა
ქრისტეს მოყუარეთა: რახთა პავლესა f.3a
შინა. გინა სხუასა სამოციქულო-
სა. აჭათ თარგმანსა გან-
ცვალებული სიტყუად არა- 30
გინ ჩავრთოთ: არამედ უ-
ცვალებელად იპყართ.
დიდითა მოღუაწებითა
თარგმანილი წმიდისა მამისა
ჩუპნისაც: ვითარ ესე შეცა. მი-
სავე თარგმანილისაგან
დამიწერიან აქა შინა. სამოც-
იქულონი სიტყუანი: და კუალად



მე ნუ მაბრალობელ მექმ-
 ნებით. ადგილ ადგილთა
 უსაკუთრესთა თვეს: რამეთუ ა-
 რა თუმცა პირველად სიტყუად შე-
 ხ მეღარა. თარგმანი სიტყვსად
 გაირყუნებოდა: და კუალად შ-
 ემდგომნი მექნიერნი ბერძ-
 ულისანი მაბრალობელ გ-
 უტექმნებოდეს: გამოუძიებე-
 10 ლად დაწერისა თვეს სიტყ-
 უათახსა: ამის თვეს ნუ ვინ თქუმნ-
 განი მაბრალობს. თუ ვითარ-
 მე უნდომან გამოძიებად კ-
 ელ ვყავ: და უკუეთუ ჩემ-
 15 ითა ძალითა. კეშმარიტად ცოფ და
 ნავლლიან ვარ:: ხოლო უკუეთუ
 თვეთ მათვე წმიდათა მამათა
 ეფთვეს და გიორგის მეოხებითა
 წმიდისა იოვანე ოქროპირისა თა-
 20 რგმანილსა სიტყუასა არა შე-
 ატყუ და ეკრეთ ძალისა
 ებრი რად მე ამის თვეს....
 ვინ მე მაბრალობდეს. პირველად
 შენდობასა ვითხოვ: და
 25 ამისსა შემდგომად განუცხადებ სა-
 იდუმლოსა გონებისა ჩემისა-
 სა. და ვიტყვა: უკუეთუ რამ-
 ცა რად ვიდრე მოაქამდე მით-
 არგმნიეს. და რასაცა აღ-
 30 მართ ლირს ვიქმნები თარ-
 გმნად: და არა ყოველივე არამედ
 ღმრთისა. და წმიდისა ღმრთის მშო-
 ბელისა. და ყოველთა წმიდათა ეფ-
 თვემის და გიორგის მადლისა..
 35 და წინადამაშურალ....
 და აწ მეოხებისად შემირაცხ.
 ნუმცა შერაცხილ ვარ....
 სა თანა ქრისტეანეთასა:: და აწ-



და ვიტყვა: უკუთუ არა ბერ-
თა ჩუმნთა. ანტონის და საბა-
ხ ლოცვითა ქპნილად შევი-
რაცხო ყოველი ნიჭი ეფთვმის და მე-
ობათა მიერ მონიჭებული ჩემ.. 5

ნუმცა ლირს ვიქმნები წყალ-
ობასა ღმრთისასა:: ამას ყოველსა
ვიტყვა მის თვს. უკეთუ რად ი
...თარგმანილთა ამათ წი- 5.3b

ვნთა შინა ჩემთა. ლირსი რამე ღმრთისად
და შემსგავსებული საბახს და ან-
ტონის მეოხებისად: ხოლო რაოდენი რად
....ამათ შინა ცოომილი სიტყვ-
თ გინა გულის კმის ყოფით. მი-
სა აღვიარებ: ვითარბედ ჩემი ოდენ 10

არს. და ვნებათა სამჯკდრებ-
ელისა ამის გონებისად: სიმრ-
ავლისა ბრალთახსა. და ფრიადი-
სა უსწავლელობისა და უმე-
ცრებისად: ზომელთა არცალა 20

თუ ქრისტენეთი რიცხუსა თანა
ლირს: ვარ ალაცხუადა ა-
მის თვს გხადი ყოველსა ნათესავსა
ქართველთა მომავალთასა.

... ნი არს ნიჭი ესე. და ყოველთა 25

.....სად: რადთა პირველად თქუმნ მომიტეოთ
ეგრეოვე რადცა რად ცოომილებად
.....ს. რომელთაცა ჩემთა თარგ-
მანილთა შინა: უსწავლელობის-
ა თვს და სიჭაბუკისა და ულირსებ- 30

ისა: და სახიერებით ევედრნ-
ეთ ჩემ თვს ღმერთსა. რადთა არა დამსაჯ-
ოს საუკუნოდ: რამეთუ მე ძალისა ებრ
გიღუწიდ სიმართლესა. და შე-
დარებასა ბერძულისასა: მრ-
ავალთა და მეცნიერთა მოძ- 35



ღუართა. ბერძნენთა და ქა-
 რთველთა გამოკითხვითა:.
 უფალმან თქუცნითა ლოცვითა...
 მადლი. ყოველთა მიზეზთა დ..
 ၃ ალმწეთა და სიტყვთ და სა-
 ქმით თანაშემწეთა ჩემისა თ-
 არგმნობისათა: | და თქუცნ თანა
 მკდრ მყვნეს სასუფეველსა მის-
 სა. და მე ზოგად თქუცნ ყოველთა ოხი-
 10 თა მიესნას პატიჟისა გან ყოველთა
 თანანადებთა ჩემთასა ამინ:.
 ესე საქმისა მოკიქულთახსა თ-
 არგმანი. სიტყუა სიტყუად ნრა-
 ვალთა თარგმანილისა გან შ-
 15 ემოქლებულ არს: და სიკ-
 ახესა გან სახელები არა თვს თვს
 არა ეგებოდა დაწერად: ხოლო
 ვითარცა ზედაწარწერილი ცხად
 ჰყოფს: უმრავლესი და ყოველ-
 20 გან წმიდისა იოვანე ოქროპირისახ
 არს. და ადგილ ადგილ ღა
 დაერთვის სხუათაცა წმიდათად.
 მრავალთა წიგნთა გან ერთად
 შეკრებული წმიდისა კვრილეს მიერ:.

„ათევზევითთა სიზუანა გრიგოლის ღმართის გერაზიუმისათაც“.

Ms.

(შესავალი).

Hieros. 43z

- f.1a ბერსა კვრიკეს მცირე ეფრემ:
 რ[.....]სცემდი სალრტილსა კეშმარიტად ა..]
 [.....]. [.]თ მით სალმრთოსა სიუუარულისათა.
 [.....] ად ადგილთა შინა
 5 [.....]. ა: ალმავსებელი ეგი კე-

6—7 ms. თარგმნობისათა

8 ms. მყვნეს



[ლი....]. და დამდაბლებელი მთათა ბორცუმბისად. პირდაცვითა
[....]. უ ცხად არს. ვითარმედ სწავლად, ომელი არა მეს-
-ჭავა. და ცნობად შენდა მრავალ უამეულითა სი-
ბრძნითა; ბრძენთა შორის ცხადსა და გამოძიებ-
ულსა მრავალთ-საძიებელსა: და ფრიად მცირედო-
საცნობელსა: ვითარებასა და რომლენთა უკა-
ვილთა გან ერთგულობასა, ღმრთის მეტყუბლე-
ბისა გოლეულთასა: | ამისი ქმნად შენდა ჯერ იყო.
რომელმან ზედა მიწევნით უწყი რაბამობად ბერძნთა
და ქართველთა ენგბისად. და აწცა ყოველი კეთილი
და ჯეროვანი: შენთა ლოცვათა იოხეს ჩუტი თვე.
ღმრთისა მიმართ და წმიდათა მისთა: ვინახცა მომიტევი
მრავალ წელიწლეული და ვიდრე ამის სიტყვს სმ-
ენადმდეცა ურჩებად უფროს ღა მოშიშებად: რამეთუ
დიდ საკალტებელ იყო ჩემდა შესლეად შეუც-
ალთა. არა თუმცა შენ მექუმიე მოსედ და
შუამდგომელად: უფროს ღა კიდად. წიაღმყვ-
ანებელად ღმრთისა წყალობათა; მთხრებლისა
მომართ ჩემთა ულირსებათასა: | გარნა რად უ-
|..] მაბრ[ა]ლობელთა ორერძო. და მრავალ
[...] კერძო განკოფილთა: | ვითარ რომელნიმე ჩემს[.]
[...]. ლა. ით ჰერნებენ, მეორედ თარგმნისა
კად [ნიერ]ებისჭ ხოლო რომელნიმე წმიდასა მას აბრალობენ, ს. [.....]თა
რგმნისა თვე. რომელთა გულსახები[.....]გა-
რეგან წესისა ესწ[.....]
არა ვითარცა ღმრთისა და წმიდისა ღმრთის წშო[ბელისა.....] წინაშე
ყოველთა წმიდათა. და მათ თანავე ჩემდად წმიდად გ[.....].
რაცხილისა, და პირითა ალსარებულით[.....]
| მამისა ჩუტისა ეფთვემს მიერად შემირაცხიეს. რა[ც]ც[.]
რად წმიდათა წერილთაგანი გულისემა მიყოფიეს. ა-
ნუ რეცა მითარგმნია: უვარის შემოფელთა თანა
ღმრთისათა იყავნ ნაწილი ჩემი. რამეთუ ვითარ ეგე გამოწუ-
ლილეით უწყის თქუმნმან დღითა და მაღლითა მიმე-
ცოვნებულებამან: | არა საღრმატიკოსოთა არცა
საფილოსოფოსოთა: არამედ შემდგომნი თარგმანი
პირველდამაშუალოთა თარგმანთა წიგნებისა გან
განვისწავლებით: და ვითარცა ღმრთისად ეგრეოვე ჩუტითა
უწინარესთად შევპრაცხთ მადლსა მას: და მათსა

მეოხებასა რომელ შედ ვიკუმევთ ვითარცა ყოველთა წმიდაოშქა: რა იცია
ამით განვისწავლებით ამით ვთარგმნითცა.

არა რაოდენ ჩუპნი ლირსებად იყოს არამედ რაოდენ მათმან
და ყოველთა ძმათა და მამათა ჩუპნთა ქართველთა
ლოცვამან მოვუანიჭოს: ხოლო უკუეთუ მათთა თარგმნილ
თასა შინა რადე ვიხილოთ დაშთომილად: ანუ სისწ-
რაფისა გან, : ანუ დელისა და თარგმანთა ვერ პოვ-
ნისა გან, ანუ შემდგომთა გარდამშერელთა გან-
რყუნი ი ესა. მას არა ჩუპნ გან არამედ სხუათა მიერ ით [. . .]

10 ნჯრნ ქმნილსა, შემდგომად სხუათა მიერისა იძულებ...
და ... გამოკითხვითა. და მრავალთა წიგნთა და
მოძლუართა თანა მიმოსლვითა შიშით და ძრწოლით
ვიკადრებთ განმარტებად: რომელი მე უკუც შურითა
და კდომითა: ანუ ვითარ იგი ვითმე თქუეს ჩემ თვს
15 [თავ]ისა უმჯობესად გამოჩინებისა თვს ვქმნა, ანუ
მიქმე ნიეს. უცხომცა ვარ ღმრთისა გან და ყოველთა წესთა
ქრისტეანობისათა: რამეთუ ანბანი ბერძულისა და ქართ-
ულისად მათ გან მისწავიეს შემდგომად ღმრთისა. და მიერით გან რად-
ცა და ვისგან ვისწავლო მას მათდად ვე შევპრაცხ.

20 რამეთუ მათითა ენითა ვზრახავ და მათითა ყურითა მესმის. |
და მათითა კელითა ვშრუები. და უკუეთუ მათითავე
ჩემდა დატევებულითა კეტებითა და ურუებითა.
მათსა ახოდ გაქაფულსა და ლოდოვანობისა გან.
ყანობირ ქმნილსა შინა. ადგილ ადგილ სიმაშურალი-

25 თა დაშთომილი მათდა ძირი ანუ კლდე. აღმოვჰ-
კაფო. ამას მათსა მო-თა გან მათდავე შევსწირავ:
ვინაფცა ესევე უკუეთუ თვნიერ შურისა კრძალულე-
ბით გამოძიებითა. და კეშმარიტის მოყუარითა ცნობითა
ჩემთაცა ვინმე თარგმნილთა შეამოხვოს განმარტე-

30 ბაა შეცოომილისაც. უფალმან მისცეს სასყიდელი გულს მო-
დვინებისაც: ხოლოდ ამითვე გულის სიტყვთა მინებს
რადთა მეყოს ვითარ ესე მე მიქმნიეს და წინაშე ესე ვითართა
განმხილველთა ვითარ ეგე არს თქუპნი საღმრთოდ ზედა მხ-
ედველობაც: გარნა ვითარცა სხუად ყოველი უმეტებაც ესეცა
35 მომიტევეთ: რამეთუ თავისა განმარტებაც უცხო არს
წესთაგან სამონაზნოთა: და მოზრახვისა ამის ჩემისა
მიზეზი არს გულ საგსე ყოფისა ძმათახასა წადიერებაც.
რამეთუ თქუპნ საღმრთოთა სულითა განრბძნობილთა მამათა და
ყოველი-

ეს ცად არს:. და სულის წმიდისა თქუცნ შორის მკუდაჭმულებული განკდილ ყოველი ბნელი უმეტებისად: ამას ყოველსა პარაზიტულ წყი რამეთუ ვითარ იგი პირველ უსმობისა თვის ეგრეთვე აწ დაყოვნებისა თვის ვიბრალო. და ნუვე მაბრალობთ.

რამეთუ არა ვითარ ვჰვონებდ ექუსეულ არამედ მრჩობლ ექუსეულცა იქმნებ თუცნი ჩემისა ამათ ათექუსმეტ-თა საკითხავთა შრომისანი; და მცირედ წამართ: და დაღათუ თქუცნ ისწრაფდით. შიშითა ამიერ მიცვალებისაგათა. გარნა ესე ნიკ ლმრთისა. რომელ ჯერეთ კორცთალა შინა ყოფისა, შენ კორც ზეშთადესასა: ამათ მიიღეს აღსასრული: ო ამეთუ არცალა შესაძლებელ იყო გარეწარად ქმნად ამათ ადგილთად სადა სიტუათა შეცვალებად მიხუდებოდა: რამეთუ რაეამს ცვალებად მინდის სიტუკსად პირველად თარგმნითა გავჰმართი. და თარგმანი არავე კრავიცი უმეტესისა გულსავსებისა თვის. არამედ უმრავლესი მათ სიტუათად წერით ანტიოქს შევიტანი: და დიდისა საპატრიაქონისა ფილოსოფოსთა და მიტროპოლიტთა და თვით მათ ყოველთა უბრძნებისა წმიდისა მეუფისა მიერ გამოვიძიეს საეკვ ყოველივე: ვინადცა ნუმცა უკრს: უკუეთუ წმიდად მამად ჩუცნი ეფთვმე. ამათგანსა რასმე თანაწარშედა. და სიჩ-ჩოებასა ჩუცნისა ნათესავისასა: სძითა ზრდიდა, და მხლითა.

ხოლო აწ მის მიერ აღზრდილი მისითავე მაღლითა.

მტკიცისა საზრდელისა მოქენე იქმნა. და რამეთუ მას |

პავლეს გან ესწავა ესე და ურწყულობასა ძლიერისა ამისა ღმრთის მეტყუბლისა წიგნისა ღვნისასა. განკზავებდა წყალთა გან სულიერთა. რაეამს სიტუა სიმოკლე მოძღვრისად განავრცის ლიტონისა ერისა თვის. რამეთუ მაშინ ჩუცნი ნათესავი ლიტონ იყო. და ჩჩკლ მისდაღმდე: ამის თვის რომელიმე თარგმანთაგანიცა წმიდისა სიტუათა შინა განეზავა: ხოლო შენ თავადი ეგე შინამძღვარი. ჩუენ მის მიერ აღზრდილთად მებრვე ამას წადიერ იქმნენ: რადთა ზედა დართული ყოველი და თარგმნისა გან ჩართული დაუტეო. და თვით წმიდისა ოდენ სიტუანი მარტოდ ვთარგმნენ: ამის პირისა თვის დიდად დავიყოვნე: და ოდეს ძუბლმან წამზიდნის ზეპირით კსოვნებისა ჩუცლებამან. რამეთუ ძუბლი წინა არა მდებია: გარნა დაღათუ დაეწერი რად მე. რომელი არა იპოვის დედასა. არ დავიცონი კულა აკოცად და მართლ-ად დაწერად: ღმერთმან თქუცნითა მაღლითა აკურთხენ და ნეტარ



ყავნ, სული ბასილი ლრმატიკოსისად. და შეუნდვენ ამის დედისა ჩუპნდა მომცემელთა: ოკუთომელად და გამოწულილვით გაემართა, და ყოველნი დაჯერებულ იქმნენ ამას დედასა. ხოლო აწ აპა თქუპნითა ლოცვითა წინა 5 ა დაგრც ეს: და ძულისა მისდა ყოვლად არა შეხებულ ვართ. და თქუპნ მიერ ვევედრები ყოველთა აწ მყოფ- 10 თა და მომავალთა: რახთა მას პატივს ცემდენ ვითარცა წმი- რ დისა მოძღვრისასა. და ამას არავე განაგდებდენ ვითარცა არაწმი- 5 დისა და უნარჩევესისა მოწაფისასა. იგი ყოველთა 15 ექლესიათა ზედა განფენილი ბრწყინავს: ხოლო ეს იშვით ვიეთოვსმე იღვას გულის კმის მყოფელთა თვე, ეს ცხად ჰყოფინ სიტუა სიმოკლესა და სილრმესა დიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუბლისასა: ხოლო იგი სიტუა სი- 20 ვრც- 15 სა და განათლებასა წმიდისა მამისა ჩუპნისა ეფოვმესსა: რამეთუ ესეცა შისივე არს: და აქად უწულილეს გამოძიე- ბული მასვე გზა უყოფის ჩუპნდა: ხოლო უკუეთუ ლომი ვერ ციდამტკველებრ ხლდებოდა. კარებსა ფილო- სოფოსთასა ამას ანაცვალე ლომებრივობად შისი. 25 10 და მეუფებრივობად კრომისად. რამეთუ ყოველი მჭელი ღმრთის- მეტყუბლისად მას აედვა ურემსა ქართველთასა. ხოლო მე მისითავე სანთელითა კუვილნი ღა აღმი- 15 რებიან დატვრთვად ორენსა მისსა: და უკუეტუ ვინმე იკვრვობ- დეს ამათ ახალ თარგმანილთა სიტუათა წიგნისა უჩუბველობ- ასა ანუ სხუბრობასა: ანუ ღმრთის მეტყუბლებისა 20 სიტუათა მიფარულებასა: რომელი მას ნუ უკუც და ერი- სა არმინდობისა თვე სხუბრ შეცვალა: მის თვე 25 მე სიშიძე შენი მყავს მოწამედ და ლმერთი. რომელ არა რას კელ- კ მეწითებოდა თვისით გულით დართვად, და სხუბრ 30 ცვალებად ვიდრე დონანთამდეცა. ხოლო ოდეს ეს ზედამი- წევნით უჩუბნ ანუ თუ ნახოს ვითარმედ ბერძულ- სა წინა არს და ღმრთის მეტყუბლსა ეგრეთ 35 უთქუამს. მიერითაგან ნუღარა მე არამედ წიგნსა ეზ- ჯოდენ, და ღმრთის მეტყუბლსა ამისსა გაღმეტყუბლსა: რამეთუ მე 40 I. 23 და... მისსა add. in margine manu correctoris.

საქმეთა ჩემთა ბრალულებისა და ცოდვათა სიჩრავლ-
ისა თვეს: ვერ ოდეს განვიმართლებ თავსა ჩემსა. რამეთუ
ყოველთა კაცთა უცოდვილეს და უულირსეს ვარ: და
არა ჩემთა ლირსებათა თვეს: არამედ ბერისა საბახსა
ლოცვათა თვეს ვიჩინე მსახურებასა მისა. ოცცა
თარგმანებისასა. გარეგან ყოვლისა ლირსებისა და
სწავლულებისა. ხოლო მართლისა სარწმუნოებისა თვეს
მზა ვარ სიტყვს გებად ყოველთა გამომეძიებელთა
და შევეჩერებ ყოველსა ცვალებასა და წინააღმ-
დგომსა წმიდათა მამათა და მართლმადიდებელთა კრებულთა
სჯულის დებისასა: და ესრუთ მრწამს ვითარცა ქადაგებს
დიდი გრიგოლი ღმრთის შეტყუბლი: ხოლო ვითარ თუ ანუ რა-
სა ქადა-

გებს ესე თვეთ მას ჰეითხეთ: ხოლო მე მართლ შორწმუნება
შეიღოსა თქუც ყოველთა კათოლიკე ეკლესიისა: ცალიერსა
ყოველთა კეთილთა საქმეთა გან. წმიდად ლოცვად თქუცი მო-
მადლეთ

წინდად სატკუნომასა ცხორებისა: და აღმეოცელად ყოველთა
უსჯულოებათა. რამეთუ მებრკე მის სასოებისა თვეს და მიცავა
ტირილი ჩემ ურიცხუთა ბრალთაც. და ამას რას-
მე შექცეულ ვიყა ვითარცა თქუც მიერ მომლოდე კსნისად:
შემიწყალეთ ყოველთა შემიწყალეთ და ასოებასა ჩემსა
ნუ არცხუცნთ. რადთა თქუციცა ჰპონო წყალობად უფლისბ
მიერ. და სუფევდეთ მის თანა უკუნისაზე ამინ:....:-
განწმედილ სადგურ შედო-ზადლოთა სულისათა:-
ეთერ პირ-სიბრძნის წყარო ღმრთის შეტყუბლების:.
ოვდლ-თუალ ორ-პირ მახვილ-მჭრელ მწვალებელთა:.
რიტორ-რიტორთა სამეაულ მლდელთ-მთავართა:.
გიცნობთ გრიგოლი ღმრთისად-მცნობელ ღმრთისათა:.
იამბიკოდ მიგიძლუნებ თავ ედო. ე. ნად¹ /

„ათეზუსეთთა სიტუათა გრიგოლი ღმრთის-გეტაულისადთა:“
(კოლოფონი)

დიდებად და გადლობად დასაბამსა და სრულ მყოფელსა ყოვე-
ლთა კეთილთასა წმიდასა სამებასა ერთარსებასა: რომელმან სრულ
ყვენა ათევესხეტნი ესე. საეკლესიონი სიტყუანი დიდისა გრიგოლი

¹ in rasura; non legitur [იამბიკოში შაგად აწყობილ ასოებს დედანში მა-
ხვილი უზით. რ ე დ.]



ლმრთის შეტყუბლისანი: მეოხებითა ყოვლად წმიდისა ლმრთუს შეტყუბლისან
ბელისა და ყოველთა წმიდათახთა: და ლოცვითა ბერისა ჩუპნისა სა-
ბახსითა. რომლისა კსენებად და ნეტარებად საუკუნო იყაენ წმიდათა
თანა ამინ:. ლოცვა ყავთ იოგანეს თვის ხუცისა მთავარახსინისა. რო-
მ ბელმან არა დაგვშორვა თვისი ქალალდი სასურვლად. და პური სა-
ზრდელად. თანადგომითურთ თვისით: რახთა ესრეთ სრულ იქმნეს.
მრავალ უამეული იძულებით ბრძანებად სულიერისა მამისა ჩუპნისა
ბერისა კვრიკე ალექსანდრიელისად: კუალად მეორედ ბერძულისა
გან თარგმნითა ამათ სადღესასწაულოთა საკითხევთახთა: რახთა
10 ცხად იქმნეს მაძიებელთა მიერ და მაყუბდრებელთა: თუ ვითარისა
სილრჩისა. და სიტყუა მოკლებისა გან. ვითარად სივრცედ და განა-
თლებად მიეწინეს ესნი. წმიდასა მამასა ჩუპნისა ეფთვმეს: დიდისა
პავლეს შეგავსად. სძითა გზრდელსა ჩუპნისა სიჩრიებისასა: და ესო-
დენად პასაკად მომაწევნელსა. ვიდრე ლა აწ. უმტკიცესისა საზრდე-
15 ლისა თვის ალვისურვეთ: და შუეუთუ ვპოვეთმცა. ესე მისთა ოხათა.
და წინადაბაშურალობათად არს. რომელსა ვხადი სასოდ ჩემდა და
ყოველთა მორწმუნეთა: და თქუცნ ყოველთა სულიერთა შვილთა მი-
სთა: რაბეთუ ჩემთა უფალთა და ჩამათა ლოცვითა. ვითხოვ ლმრთი-
სა გან აკოცასა ყოველთა ბრალთა, და უშჯულობათა ჩემთასა ამინ:.
20 გვედრები კუალადცა. ქრისტეს მცნებისა თვის. ყოველთა ლმობით
ქმნილსა, ულმობელად მიმსთულებელთა: რახთა უსასყიდლოდ ლოც-
ვასა მომიკენოთ. მრავალ სალმობიერად მკვდრი ჯოჯოხეთისად. ყო-
ვლად უბადრუება მცირე ეფრემ. შემიწყალეთ წმიდანო შემიწყალეთ
და სასოებისა ჩემსა ნუ არცხუპნო:.....:

რედაციისაგან. ზემოთდაბეჭდილ ტექსტებში ზოგიერთი ფორმა
აღდგენილია რედის მიერ იმ სახით, როგორც ეს მისალოდნელი უწყებული ხანის
ძეგლში (მაგ. დაბეჭდილია—გვ. 159; წინამძღვართა, იყო—წინამძღვართა; 159,
წინააღმდეგომთახთა: წინააღმდეგომთამა; 159, არის: არნ; 160, შეათერომეტედ-
მდე: მეათერთუმეტედმედე და სხვ.). ზოგჯერ მარც რედ. იძულებული იყო თავი
შეეკავებინა ასეთი კორექტურისაგან (რომელიც ამ შემთხვევაში მეტ საფუძვლია-
ნობას მოითხოვდა), თუმცა მას პროფ. ბლეჭის მიერ მაცემული ჭაკითხვა ან
ჭარაგმის გაბსნა საეჭვოდ მიაჩნდა (მაგ. 171¹⁰ და მიცავდა სხვა). ამასთავე საჭი-
როა აღნიშნულ იქნას, რომ „თარგმანებად სამოკავეულოსად“—ს შესავალში, 161„
„მე უწდოსა მტუცისა წმიდათა ფერეთა მათთასა“—ს უნდა მისდევდეს „ეფრემს
მცირესა რამეთუ“ და სხვ.. როგორც ამას გადმოგვცემს პროფ. ივ. ჯავახიშვილი
(აკად. ნ. მარის გარდმონაწერიდან ამოღებული მოკლე ექსცერპტის მიხედვით).

იოვანე დამასკელის მთავარი თხზულება „წერე
ურავა“ ჩართულ მფრიდნბაში *.

იოვანე დამასკელის ცხოვრების მთავარი ფაქტები ცნობილია¹. მისი სამწერლო მოღვაწეობის უნაყოფიერესი პერიოდი მეტვე საუკუნის 20-ანსა, 30-ანსა და 40-იან წლებს ეკუთვნის. არ დარჩენილა საეკლესიო მწერლობის თითქმის არც ერთი დარგი, რომელშიაც იოვანე დამასკელს თავისი წვლილი არ შეეტანოს: დოლმატიკა და პოლემიკა, ეგზეგეტიკა და ჰიმილეტიკა, ასკეტიკა და ჰიმნოგრაფია, — აი დისახელებული მწერლობის მთავარი დარგები, რომელთაც იოვანე დამასკელის მარჯვენამ მრავალი მარგალიტი შესძინა².

მაგრამ მის ნაწარმოებთა შორის მთავარი ადგილი ეგრეთწერებულს «წერე ურავა»-ს (ანუ «წყაროს ცოდნისახ»-ს) უკირავს.

I.

„წერე ურავა“

ეს არის იოვანე დამასკელის უმთავრესი და უცვლაშე უცრო ცნობილი ნაწარმოები. მისი შემადგენლობა ასეთია:

მთელ თხზულებას წინ მიუძღვის ერთგვარი წინასიტყვაობა, სხელდობრ ივტორის სიტყვა-ეპისტოლე კოზმა მადუმელისადმი. კოზმა მადუმელი იოვანეს მამის ოჯახში იყო გაზრდილი, იოვანესთან ერთად, კოზმა კალაბრიელის ხელმძღვანელობით, ხოლო შემდეგნა მადუმის ეპისტოლასად იქნა დანიშნული პალესტინაში. როგორ ეპისტოლედან ჩანს, იოვანე დამასკელს, ვითარცა უბრალო ხუცეს

* ცალკე მოხსენებად იყო წაკითხული „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ ჩვეულებრივ კრებაზე 1920 წელს, 1-ელ თებერვალს.

¹ იხ, სხვათა შორის A. Сагарда, Полное собрание творений Святого Иоанна Дамаскина. Т. I. Спб. 1913, гл. VII—XXIII; 1—22; 23—44. აგრეთვა პროფ. კ. კეკულიძე, Грузинская версия арабского жития св. Иоанна Дамаскина (Христ. Востокъ. Т. III, вып. II, 142—174).

² იოვანე დამასკელის თხზულებათა ბერძნულ-ლათინური გამოცემა Migne, Patrologiae Cursus Completus. Series graeca. Tom. 94—96.

მონაზონს, სწორედ ამ კონტა მახუმელის დავალებითა და ლოცვა-კურთხევით დაუშერია თავისი მთავარი თხზულება. ამავე ეპისტოლეში აღნიშნულია ის გზა, ის მეთოდი, რომელსაც იოვანე დამასკელი დასდგომია თავისი მუშაობაში, და ის გეგმა, რომელზედაც მას განუზრახავს თავისი მასალის დალაგება.

ეპისტოლეს მოსდევს „*Կեչალաւ ჭალა თაფა: ან ათავნი საფილოსოფოსონი*“, რომელიც საშუალო საუკუნეებში უფრო „დიალექტიებს“ სახელით იყო ცნობილი. ეს თხზულება ავტორს შედგენილი აქვს უმთავრესად არისტოტელის «*კარტეგორიებისა*»=„*კარტეგორია*“ და ნეოპლატონური ფილოსოფოსის პორფირის თხზულების თანაბმად: «*Εἰς αγωγὴν εἰς τὰς κακογένετας*»=«*შესავალი კათეგორიათადმი*» (ე. ი. არისტოტელის ზემოხსენებული თხზულებისადმი), რომელიც ჩვენს მწერლობაში „პორფირის შეყუანილობის“ სახელით არის ცნობილი. იოვანე დამასკელის „დიალექტია“ ბერძნულს ენაზე ორგვარის რედაქციით გვხვდება: ვრცელითა და შემოქლებულით, და, როგორც ჰფიქტობენ, ორივე რედაქცია იოვანე დამასკელსავე უნდა ეკუთვნოდეს. Migne’ის გამოცემაში ვრცელი რედაქციაა დაბეჭდილი (ტ. 94, გვ. 526—676=რუსულ თარგმანში, გვ. 47—121). როგორც შედარებამ დაგვარწმუნა, ქართულ თარგმანებს შემოქლებული რედაქცია დასდებია საფუძვლად.

შემდეგი ადგილი უკირავს მოკლე საისტორიო თხზულებას მწვალებელთა შესახებ: „*Περὶ κιρίσεων*“ ანუ „*მწვალებლობათათვეს*“. ეს თხზულებაც უმთავრესად წინა დროის მწერალთა (უმთავრესად ეპიფანე კვპრელისა და თეოდორიტე კვრელის) ნაწარმოების მიხედვით შედგენილია და ავტორს ეკუთვნის მხოლოდ ბოლო, სადაც მაჰადიანობასა და ხატმებრძოლთა შესახებაა ლაპარაკი (Migne, PG. ტ. 91, გვ. 677—780=რუს. თარგმ. 122—155).

დასასრულ მოთავსებულია იოვანე დამასკელის დოლმატია, ანუ ეგრეთშოდებული «*Ἐκδόσις ἀκριβῆς τῆς ὁρθοδόξου πίστεως*», ე. ი. „*გარდმოცემა უცილობელი მართლმადიდებლობითისა სარწმუნოებისაა*“. ეს არის პირველი სისტემატური დალაგება საქრისტიანო მოძღვრებისა აღმოსავლეთის ეკლესიაში. იოვანე დამასკელამდე აღმოსავლეთის ეკლესის ამგვარი სისტემა არა ჰქონია. ბერძნულ ხელთნაწერებში ეს თხზულება 100 თავადაა დაყოფილი, როგორც ჰფიქტობენ, თვითონ იოვანე დამასკელის მიერ. ქართულ ხელთნაწერებშიაც ამგვარი დაყოფა გვხვდება. დასავლეთის ეკლესიაში კი მე-12-ე საუკუნიდან ამ თხზულებას ჩვეულებრივ რომ წიგნად ჰყოფდენ და

Migne's გამოცემაშიაც ამგვარი დაყოფაა დაცული (ტ. 94, გვ.
789—1228=რუს. თარგმ. 158—345).

შემოვნევა
გიგანტური ხელი

II.

ქართული თარგმანები.

იოვანე დამასკელი იმდენად ცნობილი საეკლესიო მოძღვარი იყო და სირია-პალესტინასა და საქართველოს შორისაც იმ დროს ისეთი ურთიერთობა სუფევდა¹, რომ ძნელი დასაჯერებელია, ქართველებს ეს პირველხარისხოვანი სასულიერო მწერალი მის სიცოცხლეშივე არა სცნობებოდათ. მაგრამ იმთავითვე ითარგმნა იოვანე დამასკელის თხზულებები ქართულს ენაზე, თუ არა, ამის შესახებ ჯერჯერობით ვერაფერს ვიტუვით. ვიცით მხოლოდ, რომ ზოგიერთი მისი თხზულება მეათე საუკუნემდე უთარგმნიათ, ზოგიც მეათესა და შემდეგ საუკუნეებში². რაც შეეხება საკუთრივ იოვანე დამასკელის მთავარ თხზულებას (ურთის გართული), იქიდან ქართველებს თვედა-პირველად მხოლოდ ზოგიერთი ადგილი ამოულიათ (ისიც შემოკლებით) და მოუთავსებიათ ერთ პატარა, სახელდახელოდ სახმარებელ წიგნში, რომელსაც მეთერთმეტე საუკუნეში ჩვენი წინაპრები «წინამძღვარს» ან უკეთ «მოკლე წინამძღვარს» უწოდებდენ და რომელიც წარმოადგენს იოვანე დამასკელის თითქმის ყველა სადოლმატიკო და საპოლემიკო თხზულებათა compedium'ს³.

¹ ვგულისხმობთ საქართველოს ეკლესიის იურიდიულს დამოკიდებულებას ანტიოქიასთან მერვე საუკუნის პირველ ნახევარში და შემდეგაც მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე: უზენაასი ხელმძღვანელობა საქართველოს ეკლესიისა ანტიოქიის პატრიარქების ხელში დარჩა (იხ. კ. ცინცაძის აზიოეფშია ცერკვი ერუზანის). ტფ. 1905 წ., გვ. 19.—21. და ჩვენი რეცენზია ამ წიგნაზე, გვ. 2—4).

ვგულისხმობთ აგრეთვე, რომ პლიტკურად საქართველო იმ დროს იმავე არაბებს ემორჩილებოდა, რომელთა საბალიფოს სატახტო ქალაქი დამასკი (იოვანე დამასკელის სამშობლო) იმავე სირიის პლიტკური ცენტრი იყო; ხოლო იოვანეს მოღაწეობის მეორე მთავარი ადგილი — საბაჭიფის მონასტერი, იქრესალიმის მარლობლად, ხომ ქართველებისთვისაც კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა, განსაკუთრებით შემდევ საუკუნეებში.

² შეად. კ. ვეკელიძე: ერუზანის გვ. 133—141 (=Хр. Востокъ, т. III, виц. II).

³ ივე, გვ. 135. ეს „მოკლე“ ანუ „მცირე წინამძღვარი“ ჩვენ გვხედება შემდგეს ხელონაწერებში: ყოფილი საეკლესიო (აწ სახელმწ. უნივ.) მუხეუმისა № 440, 853, 240, 200; ყოფილის წერა-კოთხ. სახოვადოებისა (აწ სახელმწ. უნივ. მუხეუმისა) №№ 1147 და 2397; საქართველოს საისტორიო და საეთონგრაფიო მუხეუმისა №№ 5 და 28.

მაგრამ ამ მცირე თხულებას დიდხანს ვერ დაუქმაყოფილია/ განვითარებული ქართველი მცითხველი საზოგადოება და შეჯიტებულია უკუნის უკანასკნელ მეოთხედში საჭიროდ უცენიათ იოვთმებულის მთავარ ნაწარმოებთა ტექსტის სრულად გადმოღება ქართულ ენაზე. ეს მძიმე საქმე პირველად უტვირთნია ცნობილს ლვილის მთავარ უკუნის უკანასკნელ მცირებ მცირეს, რომლის სამწერლო მოღვაწეობის უუნაყოფიერესი ხანა, როგორც ვიციო, დასახელებული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედს ეკუთვნის. მაგრამ ეფრემ მცირეს გადმოუთარებია არა მთელი „წყაროო ცოდნისაა“, არამედ მისი მხოლოდ ორი უმთავრესი ნაწილი, სახელდობრ „დიალეკტიკა“ და „გარდმოცემაა“, შესავალი ეპისტოლითურთ კოზმა მაცუბელისადმი, თანაც თავისი თარგმანისათვის დაურთავს ვრცელი საკუთარი წინასიტყვაობა და ამ ორი თხულების ზანდუკი ანუ თავთა საძიებელი¹. ამ თარგმანის ბერძნულ დედანთან შედარებამ დაგვარწმუნა, რომ ეფრემს დედნად დამასკელის „დიალეკტიკას“ მოკლე რედაქცია ჰქონია, თუმცა საქმაოდ განსხვავებული იმ მოკლე რედაქციისაგან, რომელიც Migne'-ს გამოცემაშია (ვრცელ რედაქციისათან ერთად) წარმოდგენილი. „გარდმოცემაა“ კი ეფრემის დედანშიაც დაახლოებით ისკონი ყოფილა, როგორიც Migne-ს აქვს გამოცემული.

დასასრულ, ვერც ეფრემის თარგმანი აღმოჩენილი შეიძლება დამატაყოფილებელი, და რამოდენიმე ხნის შემდეგ ეს ორი თხულება („დიალეკტიკა“ და „გარდმოცემაა“), შესავალი სიტყვითურთ კოზმა მაცუბელისადმი, განმეორებით უთარებიათ ბერძნულიდანვე ქართულად. ეს შრომა შეუსრულებია, როგორც თეთი მთარგმნელი ამბობს თავის ანდერძში, არსენი ვაჩეს ძეს², რომლის ვინაობა ჩვენთვის კარგად გამორკვეული არ არის. ყოველ შემთხვევაში, არა გვგონია, იგი ერთი პირი იყოს „არსენი იყალთოელთან“, რომელსაც მიეწერება იოვანე დავით კელის ზოგიერთ თხულებათა გადმოთარება ქართულ ენაზე³. არსენი იყალთოელი და ეფრემ მცი-

¹ ეს წინასიტყვაობა და ზანდუკი, აგრეთვე ეპისტოლე კონტა მაცუბელისადმი ქვემოთ ცალკე დამატებად გვაძეს დართული.

² „დასასრული შრომათა იოვანე მანსურისათაა: . . . ბოლო ითარგმნა არსენისაგან ვაჩეს ძისა:“ იბ. ქ. შ. წ. კ. საზოგადოების ხელისაწერი ას 1463 (არა უგვიანეს მე-XIII-ე საუკუნისა), ფურც. 102, მეორე გვერდი. სვეტი 2.

³ კორნ. კუკელიძე. იბ. Xp. Востокъ, т. Ш, ვაп. II, стр. 139—140. ასრი არსენი ვაჩეს ძისა და არსენი იყალთოელის იგივეობის შესახებ პატიცი-მულ მკვლევარს გამორკვეული აქვს თავის ვრცელ ნაშრომშიაც „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ტ. I. ტფილისი, 1923, გვ. 287 და შემდეგი. მაგრამ ვერც იქ მოყვანილი საბუთები ჰქონტავს ეჭეს ამ ორი პირის იგივეობის წინააღმდეგ.

რე თანამედროვეებად და თანამოღვაწეებად არიან ცნობილნი; და, რადგან ძნელი დასაჯერებელია, ერთს ნათგანს არ სცოდნობის მარტივი მეორეც იმავე თხზულებასა სთარგმნის¹, აგრეთვე, რადგან პრეტორიანი საშენები არ არის, რომ ეფრემის ჩინებულ თარგმანს ისე მაღლ მოყვა- მოს დრო და მნიშვნელობა დაპკარგოდეს, — ამიტომ უფრო სარწმუ- ნოდ მიგვაჩინია ვიფიქროთ, რომ ეფრემ მცირესა და არსენ ვაჩეს ძეს შორის უფრო დიდი პერიოდი (თუ მოელი საუკუნე არა, რამო- დენიმე ათეული წელი მაინც) უნდა გასულიყოს, ვიდრე ის, რომე- ლიც ეფრემ მცირესა და მის თანამედროვე არსენ იყალთოელს შო- რის შეიძლება ვიგულისხმოთ². ერთი სიტყვით, ჩვენ გვგონია, რომ იოგანე დამასკელის მთავარი თხზულების მეორე მთარგმნელი არსე- ნი ვაჩეს ძე მე-XII-ე საუკუნის მოღვაწეა და არა არსენი იყალთოე- ლი, რომელიც 1103 წელს უკვე ცოცხალი აღარ იყო³.

როგორც ტექსტების შედარებამ დაგვარწმუნა, არსენი ვაჩეს ძესაც „დიალექტიკის“ შემოკლებული რედაქცია ჰქონია დედნად, მაგრამ ეფრემ მცირის დედნისაგან საკმაოდ განსხვავებული; „გარდ- მოცემის“ დედნად კი ორსავე მთარგმნელს დაახლოებით ერთისადა- იმავე რედაქციის ტექსტი ჰქონდა.

III.

ხელნაწერები და ნაბეჭდი გამოცემა.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა ხელნაწერებისა და ნაბეჭდი გა- მოცემის შესახებ.

¹ გასაფალისწინებელია ის გარემოება, რომ არსენის თარგმანის ენა, განსა- კუთრებით ტერმინოლოგია, იმდენად ახლო სლექს ეფრემის ენასა და ტერმინოლო- გიასთან, რომ ეკვს გარეშე არსენს ეფრემის თარგმანი სცნობებია. ხოლო რომ ეფრემი არსენის თარგმანს არ იცნობს, ამას ცხადად გვიჩვენებს თვით ეფრემის წინასიტყვაობა, რომელიც ქვემოთ იძებდება (დამატება 1).

² არსენ იყალთოელს თვით ეფრემ მცირე ასახელებს თავის აკეთილთა მოღვაწეთა და განმაძლიერებელთა და თანამშრდელთა⁴ შორის, რომელთაც ეფ- რემისთვის შემწეობა აღმოუჩინათ იოვანე დამასკელის მთავარი თხზულების გად- მოთარგმნაში (იხ. საეკლ. მცნ. ხელნაწერი № 24, ფურცელი 137b, ეფრემ მცი- რის ანდერძი).

³ რუის-ურბისის კრების (1103 წ.) აქტებში ვკითხულობთ: „დაუსრულე- ბელისა ნეტარებისა მკუდრთა, ბერთა ჩუქრთა: საბაზ სულაძეს ძისა, და ანტონი ტბელისა, და ეფრემ მცირა ასა და არსენი იყალთოელი სა- საუკუნომცა [არს ხსენება და კურთხევა მათი]“. იხ. თ. ეორდანიას „ქრონი- კები“, ტ. II, გვ. 71–72.

მიმომხსილველი 1

იოვანე დამასკელის მთავარ თხზულებათა („დიალექტურულ ფონეტიკული „გარდმოცემის“) ეფრემისეული თარგმანი ჩვენ გვხვდება შესაბუთი სამს ხელნაწერში: საეკლესიო (აწ სახელმწიფო უნივერსიტეტის) მუზეუმის № 24 (ეფრემის კრებული) და № 406-ში და ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაგრცელებელი საზოგადოების (დღეს იმავე სახელმწ. უნივერსიტეტის) № 1358-ში; აქედან „დიალექტიკა“ სამსავე ხელნაწერშია, ხოლო „გარდმოცემა“ მარტო პირველში (№ 24).

არსენი ვაჩეს ძის თარგმანი კი უფრო მრავალ ხელნაწერშია დაცული, სახელდობრ „დიალექტიკა“ გვხვდება შემდეგს ხელნაწერებში: ყოფ. წერა-კითხვის საზოგადოების (აწ სახელმწ. უნივერსიტ.): №№: 2562, 1463, 2574, 358, 162, 361, 2397, 145, 1132-ში; საეკლესიო (აწ სახელმწ. უნივ.) მუზეუმისა №№: 66 და 250-ში და საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო მუზეუმის № 97-ში.

ხოლო „გარდამოცემა“ (არსენისეული ტექსტი) ჩვენ გვხვდება შემდეგ ხელნაწერებში:

წერა-კითხვის საზოგადოების (სახ. უნივ.): №№ 1463, 2574, 358, 162, 4579, 2744-ში და საეკლესიო (სახელმ. უნივ.) მუზეუმის №№ 66 და 157-ში.

აქ ჩამოთვლილი ხელნაწერები ყველანი შედარებული და შესწავლილი გვაქვს, ხოლო უუცველესნი და საუკეთესო მათგანნი აღწერილიც ჩვენს ხელნაწერ შრომაში: „ფილოსოფიის მთავარი დარგები ქართულ მწერლობაში“. ამიტომ აქ მათ აღწერას აღიარ გამოვუდგებით. შეენიშნავთ მხოლოდ, რომ ტექსტების გადმოწერის დროს ჩვენთვის საუკეთესო უძველეს ხელნაწერთა შორის შემდეგი დამოკიდებულება გამოირჩეა:

ეფრემის ტექსტის შემცველ ხელნაწერთა შორის პირველი აღგილი ქრონოლოგიურად საეკლესიო (აწ სახ. უნივ.) მუზეუმის ხელნაწერს № 24 უჭირავს, დანარჩენები მასზე არიან დამოკიდებული, მაგრამ არა პირდაპირ, არამედ რომელიმაც დაზიანებული, დღეს უცვე დაქარგული, ხელნაწერის საშუალებით. ამ ჯგუფის ხელნაწერები (ეფრემის ტექსტიანნი) რომ ლათინური ასოებით აღვნიშვნოთ, მივიღებთ შემდეგს საგნენალოგიო შტოს:

A (საეკლ. მუხ. № 24) → [A⁰] — A¹ (წ.-კ. სახ. № 1358).
A (საეკლ. მუხ. № 24) → [A⁰] — A² (საეკლ. გ. № 406)¹.

¹ ამ ხელნაწერთაგან A გადაწერილია მე-XII-ე საუკუნეში და მთლიან თავზი რამდენიმე ფურცელი გამახლებულია მე-XVIII-ე საუკუნის ხელით; A¹ ხელნა-

არსენი ვაჩეს ძის ტექსტის მატარებელ ხელნაწერზე მონაცემები
ნავად რომ ლათინური ხ ვიხმაროთ, შემდეგს თანდათანობას მიერ-
ღობთ:

B = ქ. შ.-ქ. საზოგად. № 2562 (XIII საუკ.).

B⁰=იმავე საზოგად. № 1463 (XIII საუკ.).

B¹=იმავე საზოგად. № 2574 (XIII—XIV საუკ.).

B²=საექლესიო (აწ უნივ.) მუხ. № 66 (1710 წ.)¹.

მხოლოდ ამ უკანასკნელ სიაში თანდათანობა ქრისტიანურია
და არა გენეტიური: სახელდობრ, B⁰ სრულებითაც არ შეიძლება ჩა-
ითვალოს B-ს პირად (კობილი), არც B¹ მისი მომდევნო B²-ის უმეშ-
ვეო დედნად. დანარჩენი ცნობები ხელნაწერთა შესახებ იქ აღარ
შემოგვაჯეს.

დაგვრჩა კიდევ სათქმელი ნაბეჭდი გამოცემის შესახებ.

იყვანე დამასკელის მთავარი ნაწარმოების („დიალექტიკა“ +
„გარდმოცემა“) ეფრემისეული თარგმანი ჯერ-ჯერობით დაბეჭდი-
ლი არ არის: როგორც ვნახეთ, იგი ხელნაწერებადაც ძალიან სუს-
ტად არის წარმოდგენილი (სულ სამ ხელნაწერშია). სამაგიეროდ არ-
სენისეულს თარგმანს, როგორც ხელნაწერებში, ისე ტვიფრვაშიაც
ბედი სწყალობდა, თუმც სიმართლე მოითხოვს ითქვას, რომ ერთხელ
მეტად იგი არ დაბეჭდილა, და ისიც არა ორივე თხზულება, არამედ
მხოლოდ საღვთისმეტყველონ ნაწილი, სახელდობრ „გარდმოცემად
უცილობელი მართლმადიდებელთა სარწმუნოებისაც“.

ეს გამოცემა შესრულებულია მოსკოვს, 1744 წელს, ვახტანგ
მე-VI-ის ძის ბაქარის ბრძანებითა, იოსებ არქიეპისკოპოსის წარსა-
გებელითა“ და ქრისტეფორე მღვდელმონაზონის ხელმძღვანელობით.
როგორც შედარებამ დაგვარწმუნა, არსენისეულ ტექსტში გამომცემ-
ლებს ზოგი რამ შეუცვლიათ: მაგალითად, „გარდმოცემის“ 100 თა-
ვი თოხ წიგნად გაუცვიათ და თავების სათვალავიც ყოველ წიგნში
ახალი შეუტანიათ². ამასთანავე ზოგიერთი თავი (არსენის ტექსტი-

წერი გადაწერილია მე-XVIII-ე საუკუნის პირველი ნახევრის ხელით, ხოლო A²
ხელნაწერს თარიღდა უნის 1751 წელი. „თავალეცტიკის“ ტექსტი ამ სამი ხელნა-
წერის მიხედვით დიდი ხარია დამზადებული გვაქვს გამოსაცემად. ტექსტი იქა-
ამავე ლიტერებითა გვაქვს აღნიშნული: AA¹A².

¹ არსენისეული ტექსტიც „დაალექტიკისა“ დამზადებული გვაქვს დაა-
ბეჭდად ამ ოთხი ხელნაწერის მიხედვით ამავე ლიტერების ქვეშ: BB⁰B¹B².

² არსენისეული ტექსტიც ა—იდ თავები უდრის მოსკოვის გამოცემის I-ელ
წიგნს (თავ. 1—19); იგ — მე თავები = მოსკ. გამოც. მე-II-ე წიგნს (1—33 თავ.); მდ—
ობ = მოსკ. გამოც. მე-III-ე წიგნს (1—29 თავ.); ხოლო ოგ—რ თავები = მოსკოვ.
გამ. მე-IV-ე წიგნს (1—28 თავი).

სა) ორ-ორ და სამ-სამ თავად გაუცვიათ¹ და ძველი ორთოგრაფიაც მეოურამეტე საუკუნის შესაფერად შეუცვლიათ. ამას გარდა, რაღა თქმა უნდა, ეს პირველი ნაბეჭდი გამოცემა თავისუფალი არ არის კორექტურული შეცოდებისაგან, რომლებიც მასში ბლომად გვხვდება.

IV.

დამატებანი.

აქვე ვათავსებთ ტექსტებს ეფრემ მცირისა და არსენი ვაჩეს ძის თარგმანთაგან.

I. პირველი დამატება წარმოადგენს ეფრემ მცირის შედგენილ ზანდუქა და შესავალს იოვანე დამასკელის მთავარი თხზულებისას და აქ იბეჭდება ყველა არსებულ ხელნაწერითა (AA¹A²) მიხედვით. პირველად იგი დაიბეჭდა განსვენებულის ისტორიკოსის თურქდანის „ქრონიკებში“ (წ. I, ტყილისი, 1892 წ., გვ. 215—219). მაგრამ მხოლოდ ამოკრებით და ისიც მარტო ერთი ხელნაწერიდან (N^o 24=A); შემდევ პროფესორის ე. თაყაიშვილის „წერა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერთა აღწერილობაში“ (Описание... т. I, стр. 710—717), მაგრამ იქცა არა სრულად და მხოლოდ ერთი ხელნაწერიდან (A¹). ვბეჭდავთ სრულად იმ დიდალი სალექსიკონ მასალის გასაცნობად, რომელიც „ზანდუქში“ მოიპოვება და ავრეთვე იმ ძვირფის საბიბლიოგრაფიო და საბიოგრაფიო ცნობებისათვის. რომელთაც ეს „შესავალი“ გვაწვდის, უმთავრესად თვით მთარგმნელის შესახებ.

II. მეორე დამატება იმავე ეფრემის თარგმანიდან ამოღებული ეპისტოლეა იოვანე დამასკელისა კოშმა მაცხუმელისადმი, რომელიც დღემდე არსად ყოფილა დაბეჭდილი. ამისაც სამივე ხელნაწერის მიხედვით ვბეჭდავთ.

III. მესამე დამატებაც ესევე ეპისტოლეა, მხოლოდ არსენი ვაჩეს ძის თარგმანიდან ამოღებული. ისიც აქ პირველად იბეჭდება ოთხი უძველესი ხელნაწერის თანახმად (BB¹B²).

¹ ასეთია მაგალითად: არსენის ტექსტის კა თავი, რომელიც მოსკოვურ გამოცემაში წარმოდგენილია მე-II-ე წიგნის ორ თავად (7 და 8 თავ.); არსენის კა=მოსკ. II წაგნის 12—13 თავებს; არსენის იგ თავი=მოსკ. I წიგნის 16, 17 და 18 თავებს; არსენის ლე=მოსკ. II წიგნის 23, 24 და 25 თავებს; ხოლო არსენის თარგმანის შერჩევ თავი მოსკოვის გამოცემაში ოთხ თავადაა წარმოდგენილი: I წიგნის 8, 9, 10 და 11 თავებად.

ტექსტი სამსაცე დამატებაში უცვლელი დავტოვეთ მშენებელი რეც მხოლოდ აშკარა გადაწერითი შეცომები, პუნქტუაცია ჩვენი დროისა ვიხმარეთ, ქარაგმები ყველგან გავხსნით მთარგმნელთა დროის თრთოვრაფიის თანახმად¹ და საზოგადოდ ვეცადეთ მართლწერაში უპირატესობა იმ ხელნაწერისთვის მიგვეცა, რომლის ტექსტსაც უფრო კარგად დაუცავს უცველესი საორთოგრაფიო ნორმები. კერძოდ A ხელნაწერის (=საეკლ. მუხ. № 24) შესახებ საჭიროა შეენიშნოთ, რომ სწორედ ის ფურცლები, რომლებზედაც ამ ხელნაწერში „ზანდუკი“ და „შესავალია“ მოთავსებული, მერეა ჩამატებული და აქ ტექსტი მე-XVIII-ე საუკუნის ნუსხა ხუცურითა გადაწერილი. ამიტომ აქ ზოგიერთ შემთხვევაში უპირატესობა დანარჩენ ხელნაწერებს (A^1A^2) მიეცით; საზოგადოდ კი ამ ფურცლებზე მოთავსებული ტექსტის ორთოგრაფია ჩვენ შევუთანხმეთ იმავე ხელნაწერის ძველი ნაწილის ორთოგრაფიას. ამჟამად ამაზე შორს არ წავსულვართ, თუმცა შესაძლოა ეფრემის ტექსტის გამოცემის დროს უმჯობესი ყოფილიყო არსებულ ხელნაწერთა (AA^1A^2) ორთოვრაფიაზე ერთი შესწორებაც შეგვეტანა, სახელდობრ ჯგუფი „უც“ ყველგან შეგვეცალა ასე: „უც“, რადგან, როგორც თანდათან ირკვევა, ორთოვრაფია „უც“ ეფრემის ხანას (და კერძოდ არც ეფრემს) არ ეყუთვნის, არამედ ცოტა უფრო ვგიანდელი ეპოქის ნაყოფია². მაგრამ ჯერ-ჯერობით თავი შევიკავეთ ამგვარი შესწორებისაგან. არ აღვადგინეთ სწორე თრთოვრაფია არც სიტყვაში „გულისხმისყოფა“, რომელშიაც ხ-ანის ნაცვლად ყველგან დავტოვეთ ხელნაწერების კ-არი: „გულისხმისყოფა“, თუმცა აქაც (რამდენადაც საქმე ეფ-

¹ გაუხსნელად დავტოვეთ მხოლოდ ორი სიტყვა: რ-ა და რ-, რადგან ეფრემისა და არსენი ვაჩეს ძის მიმართ ჯერ კიდევ გამოსარკვევია, როგორ გამოთქვამდენ იგინი ამ სიტყვებს: „რათა“ და „რამეთუ“, თუ „რათა“ და „რამეთუ“. ხელნაწერებში კი ეს ორი სიტყვა მუდამ ქარაჭმიანია.

² ქ. შ. ჭერა-კოთხვის გ.ს. ერთ ხელნაწერში (№ 1276), რომელიც XI—XII საუკუნეშია გადაწერილი, ჩვენ შეგვხდა ეფრემის მიერ ნათარგმი „ცხორებაა“ იოვანე დამასკელისა, რომელშიაც ჯგუფი „უც“ მუდამ ასე იწერება და არა ისე, როგორც AA^1A^2 ხელნაწერებშია. აი პირველშეგვეღრილი მაგალითები დასახელებული ხელნაწერიდან: „შეებულ ჰყოლენ“ (გვ. 84). „იშეუბს“ (გვ. 85), „წარმოტყენებს“ (86a), „შემთხვევის“ (8b), „ტყუები“ (იქვე), „წუ შელი“ (იქვე) და მრავალი სხვანი. როგორც ჩანს, ეს ჩინებული ხელნაწერი ხელთ არა ჰქონია ბ. კორნ. კერძო ლიდეს დასახელებული „ცხორების“ ტექსტის კრიტიკულად გამოცემის დროს (Xp. Востокъ, т. Ш, ვაп. II, стр. 126—127).

რემის ტექსტს შეეხება) საბუთი გვქონდა ასეთი შესწორება მოღვაწე—
ღინა!

საზოგადოდ მხედველობიდან არ გავვიშვია ის გაორმოება, ომრ
ეფრემ მცირის „სალიტერატურო ენა“, როგორც ბ. კ. კეკლიძე
ბრძანებს, „ჯერ კიდევ შესწავლილი არ არის“² და ამიტომ შესაძ-
ლოა ზოგიერთი უწწორ-მასწორობა და რყევა ორთოვრაფიაში თვით
ეფრემისა იყოს და არა შემდეგი დროს რედაქტორ-გადამწერლე-
ბისა.

ესევე უნდა ითქვას განსაკუთრებით არსენი ვაჩეს ძის სალიტე-
რატურო ენის შესახებ, რომელსაც შხოობდ ახლა ვეცნობით. ამი-
ტომ მისი ტექსტის (დამატება III) გამოცემის დროს კიდევ უფრო
მეტი სიცროთხილე და თავის შეკავება ვცას ით საჭიროდ³.

დამატება I.

ზანდური და შესავალი

წიგნისა ამის, რომელსა ეწოდების გარდა მოვალეობა,
თქუმული წმიდისა მამისა ჩუღნისა იოვანე დამასკელისა—

- ა. ნამდვლვე კეშმარიტისა არ-
ს სტბისათვს და შემთხუცითისათვს.
 - ბ. ნათესავისათვს ნათესავოანი-
სა და სახისა სახოვანისა.
 - გ. განუქუცელთათვს.
 - დ. არსებათა განტენისათვს.
- 10 ე. თითოსახისა განყოფილები-
სათვს.
- ვ. შემთხუცითისათვს.
- ზ. თვისისათვს.

- ც. შესმენითთა სიტუათათვს.
- თ. მრთსახელთა და თანამოსა-
ხელეთა შესმენათათვს.
- ი. ნართაულთათვს.
- ია. თუ რასა შინა არს შესმე-
ნად.
- იბ. პუამისათვს და გუამოვნები-
სა და უგუამოხსა.
- იგ. არსებისათვს და ბუნებისა.
- იდ. განყოფათათვს.

¹ შეად. კ. კეკლიძის მიერ გამოცემული, წინა სხოლიოში დასახელუ-
ბული, „ცხორებაა“ იოვანე დამასკელისა, რომლის ხელნაწერთა ტექსტის დაპა-
სიათების დროს პატივცემული მკვლევარი იძლევა ძვირფას ცნობას: „გულის-ბმის-
ყოფა“ пишется вездѣ правильно, только въ одномъ случаѣ читается
გულис-ѣміс-ყოფа“—т (Хр. Востокъ, Ш, вып. II, стр. 129).

² იქვე, გვ. 127—128.

³ ამ შემთხვევაში კარგი ძველი ხელნაწერების თანხმობაც ამავე სიცროთხი-
ლეს გვიარნახებდა, განსაკუთრებით ორი უძველესი ძირითადი ხელნაწერისა ს. 129.

- ი. პირველობისათვეს ბუნებისა.
 ი. განსაზღვრებისათვეს.
 ი. თანამოსახელეთათვეს.
 ი. ერთსახელთათვეს.
 ი. მრავალსახელთათვეს.
 კ. სხუათადისხუათი სახელთათვეს.
 კ. სახელნართაულთათვეს.
 კ. პირთა მათთვეს ნათესავოან-
 თა ნათესავთა.
 კ. თანამონათესავეთა და თა-
 ნამოსახელეთათვეს.
 კ. რასაშინაობისათვეს.
 კ. მერმეცა არსებისათვესვე.
 კ. ბუნებისათვეს.
 კ. შესახედავისათვეს.
 კ. გუამისათვეს.
 კ. პირისათვეს.
 ლ. ერთგუამოვნებისათვეს.
 ლ. უგუამირ[ც]სათვეს.
 ლ. პირსებისა ნათესავოანად
 განყოფისათვეს.
 ლ. თითოსახისა განყოფილე-
 ბისათვეს.
 ლ. თქვებისათვეს არსებისა და
 მოძღვრებისა.
 ლ. ერთნათესავთა და ერთსა-
 ხეთათვეს.

- ლ. რაოდენისათვეს ფურუზულები
 დენობისა. გილაკორისება
 ლ. ვისსამიმართთათვეს.
 ლ. რომელობისათვეს.
 ლ. შმიდისათვეს და ვნებისა და რ
 მდებარეობისა.
 მ. სადაობისათვეს.
 მ. ოდესობისათვეს.
 მ. ძონებისათვეს.
 მ. წინააღმდეგომთათვეს. 10
 მ. წესისათვეს და მოკლებისა.
 მ. პირველისათვეს და უკუანახს-
 კნელისა.
 მ. მყისთანაღისათვეს.
 მ. მოძრაობისათვეს. 15
 მ. ძონებისათვეს.
 მ. წართქმისათვეს და უკუ-
 ტქმისა.
 ნ. საზღურისათვეს და წინადაწე-
 სებისა და შემოკრებისა. 20
 ხოლო ამათ შეუდგან ურიცხუნი
 თავნი:
 განსაზღურებისათვეს ფილოსო-
 ფოსობისათა—ერთი;
 ბუამოვნებითისა შეერთები- 25
 სათვეს—ერთი;
 არსებისათვეს და შემთხუცი-
 სა—ერთი.

მსჯ ერგასისნი თავნი რიცხუმდნი მათ თანა ნართაულით თა-
 ვებითურთ გარეშეთა წიგნთა და საფილოსოფოსოდას სწავლულები- 30
 საგანინი არიან, რომელთამ დაღურათუ საჭირო იყო დატევნად ენისა
 ჩუცნება, ვინახთაგან სხუად არარად ოდეს თარგმნილა საფილოსოფო-
 სოთა წიგნთაგანი; არამედ მე დაჭრასა და განბძარვასა წიგნისასა მცი-
 რედი ჭირი ვირჩიე; და თქუცნა ამასვე გევედრები მკითხველთა და
 გარდამწერელთა, რა არა დაუტეოთ ამათი დაშერად, რეცა სილრ- 35
 მისათვეს, უკარსავონებელობისათვეს. ვაქებ წესია საწინახსწარმეტ-
 ყუბლოთა წიგნთა მთარგმნელისასა, რომელთაგანი მცირედი რად
 გაიგონების უსწავლელთა, გინათუ ზოგსრე სწავლულთა მიერ, გარ-

ნა სიტყუად სიტყვასა ხაცვალი შედარებულია ბერძულისა უჭყერესული ვე მე, დაღაცათუ უმრავლესი ამათ თავთაგანი ჯერეთუ უკურნები მოგზაურებულია ნებია, არამედ წყალობითა ღმრთისა[ც]თა და მომადლებითა საფულოება და ცხვეველსმყოფელისა საფლავისათთა, სიტყუად შედარებული ბერძულისა და მართებითი არა აკლს; ხოლო ძალა სიტყვასა გულისკმისყოფად ესე ზოგად ყოველთა ღმრთისაგან ვითხოვთ და შეუორგულებელმცა ვართ; რ მოვილოთცა, უკუპოუ ღდენ მოუწყინებელად ვპრეკდეთ ზედაქსხედა კითხვითა, და უეჭუცლად განგულოს კარი გულისკმისყოფისა; და დაღაცათუ ყოველივე ვერ გულის ესე ვერთ, გარნა ესე ხოლო საღმე უწყოდით, ვითარმედ ესევითარი არს საფილოსოფოსსო სწავლაა, რომელი იგი აქაცა საკიროდ საკმარის შემოუღებიეს წმიდასა იოვანე დამას კლსა, რ ა ამათ მიერ წინააღმდეგბოდინ შვილნი კელესისანი გარეშეთა მათ ფილოსოფოსთა და მათითავე ისრითა განპირებენ მათ; რ თვნიერ ამათ სიტყუათასა სხუცბძრ შეუძლებელ არს სიტყვსგება[ც] წინააღმდეგომთაა, სიტყუად გვგებდენ რად გარეშენი იგი განუკუპთელისათვს, რომელ არს გუამი, და ბუნებისათვს; რომლისათვსცა ჯეროვნად მოუხუმან ესე წმიდასა იოვანე დამასკელსა და ამათითა ეკლოვნებითა მოუზღუდავს ვენავისა ამის თვისისა ნაყოფთა შუცნიერებაა. ხოლო, უშინაგანეს რად ვენაკისა შევიდოდეთ და ტევნებისა მაღლოთასა განხილვად გუწიდოდის, ესე წინააღმარ გუცუწყოს ზანდუკისა ამის მიერ; რ ა რომლისაცა პირისათვს გვკემდეს, მალიად მოვისთლოთ სიტყბოებაა.

ა. თევი პირველი. პითარმედ

25 არა ჯერ არს გამოძიებაა მიუწოდელისა რად გამოსამე, რომელი არა სწავლულ იყოს ჩუცნდა წმიდათა მიერ.

ბ. თქუმულთათვს და გამოუთ-

30 ქუმელთა, საცაურისათვს და უცნაურისა.

გ. გამოჩინებაა, ვითარმედ არს ღმერთი.

დ. თუ რად არს ღმერთი, ვი-

ნ თარმედ მიუწოდელ არს.

ე. გამოჩინებაა, ვითარმედ ერ-

თი არს ღმერთი რ არა მრავილნი.

ვ. სიტყვათვს ღმრთისა.

ჟ. სულისა წმიდისათვს.

ზ. წმიდისა სამებისათვს.

თ. ღმრთისათვს თქუმულთა სიტყუათათვს.

ი. შეერთებისათვს და განკოფილებისა საღმრთოთა საქმეთაასა.

ის. კორციელად ღმრთისათვს თქუმულთა სიტყუათათვს.

ის. გათვე პირთათვს.

ის. პდგილისათვს ღმრთისა და ვითარმედ მხოლოდ ღმერთი არს გარეშეუწერელ, დაუსაბამოებისათვს ღმრთისა.

ის. თვებანი საღმრთოსა ბუნებისანი.

- ი१. ხაუკუნეთათვეს.
 ი२. დამბადებელობისათვეს.
 ი३. ანგელოზთათვეს.
 ი४. ეშვისისა და ეშვიაკთათვეს.
 ი५. ხილულისა დაბადებული-
სათვეს.
 კ. ცისათვეს.
 კ१. ნათლისათვეს და ცეცხლისა,
მნათობთათვეს და მზისა, მთოვარი-
სათვეს და ვარსკულავთა.
 კ२. ჰერისა და ქართათვეს.
 კ३. წყალთათვეს.
 კ४. ძუტყანისა და მისგანთათვეს.
 კ५. ხამოთხისათვეს.
 კ६. ძაცისათვეს.
 კ७. გულისთქმითათვეს.
 კ८. გწუხარებისათვეს.
 კ९. შიშისათვეს.
 ლ. გულისწყრომისათვეს.
 ლ१. ოცნებითისათვეს.
 ლ२. გრძნობითისათვეს.
 ლ३. მოვონებითისათვეს.
 ლ४. მოქსენებითისათვეს.
 ლ५. სიტყვესათვეს კმოვანისა და
უკმოხესა.
 ლ६. პეპასათვეს და მოქმედე-
ბისა.
 ლ७. მოქმედებითისათვეს.
 ლ८. ნეფსითისა და უნებლიე-
რისათვეს.
 ლ९. ჩუცნ შორის მყოფისათვეს,
რომელ არს თვთმფლობელობად.
 ვ. ძმნაღთათვეს.
 ვ१. თუ რომლისა გაზეზისათვეს
თვთმფლობელად შევიქმნენით.
 ვ२. არა ჩუცნ შორის მყოფისა-
თვეს.
 ვ३. განგებულებისათვეს.

- მდ. წინაცნობისა და წერილობისა-
საზღვრებისათვეს. გიგანტური გა-
მომართებულები-
სათვეს [და ჩუცნდა მომართისა წყა-
ლობისა და ჩუცნისა ცხოვნებისა- 5
თვეს].
- მ१. სახისათვეს მუცლადლებისა
სიტყვესა ღმრთისა. ა²⁷
- მ२. ორთა ბუნებათათვეს.
 მ३. სახისათვეს ურთიერთის მი- 10
ცემისა. ა²⁶
- მ४. რიცხვესათვეს ორთა ბუნება-
თისა: ა²⁵
- მ. ვითარმედ ყოველივე საღმრ-
თოე ბუნებად ერთისა მის გუამი- 15
სა მიერ მხოლოდ შობილისა ძისა
შეერთო ყოველსავე კაცობრივისა
ბუნებასა და არა კერძო კერძოსა.
 მ१. ერთისა მისთვეს გუამისა
სიტყვესა ღმრთისა. ა²⁴
- მ२. თუ რაოდენობად აღიყვანე-
ბიან ბუნებანი ქრისტესნი. ა²³
- მ३. წინააღმდეგობად, ვითარმედ
არა არს ბუნებად უგუამოვ. ა²²
- მ४. სამწმიდაობისათვეს. ა²¹
- მ१. თუ ვითარ გულისკმად იყო-
ფების ერთი ბუნებად სიტყვესა
ღმრთისად განკორეცელებული. ა²⁰
- მ२. ვითარმედ ღმრთის მშობელ 20
არს წმიდად ქალწული. ა¹⁹
- მ३. თვებისათვეს ერთა ბუნე-
ბათადსა. ა¹⁸
- მ४. ნებათათვეს და თვთმფლო-
ბელობათა თვთმფლისა ჩუცნისა იე- 25
სოვ ქრისტესთა. ა¹⁷
- მ५. ორთა მოქმედებათათვეს.
 ვ. მათდა მიმართ, რომელი ა¹⁶



- იტყვან, ვითარმედ, უკუციუ ორთა
ბუნებათაგან არს კაცი, საჭიროდ
არს ქრისტესთვის სამთა ბუნებათა
თქმად.
- 5 ებ. განლმრთობისათვს ბუნებისა
და წებისა და კორცთა ოკულისა-
თასას.
- ებ. მერმეცა ნებათათვს და თვთ-
შელობელობათა.
- 10 ებ. ღმერთ-მამაკაცებრივისა მოქ-
მედებისათვს.
- ებ. ბუნებითთა და თანაწარუალ-
თა ვნებათათვს.
- ემ. უმეცრებისათვს და მონე-
15 ბისა.
- ემ. წარმატებისათვს.
- ეჲ. მოშიშებისათვს.
- ეტ. ოკულისა ლოცვისათვს.
- ეთ. განკუთნევისათვს.
- 20 რ. წნებისათვს კორცთახსა და
უცნებელობისათვს ღმრთებისა.
- რა. ვითარმედ განუშორებელ
იყო ღმრთებად სიტყვასა სული-
საგან და კორცთა სიუდილსა ში-
- 25 ნა ოკულისასა.
- რბ. განყოფილებისათვს ხრწი-
ლებათახსა.
- რბ. ჯოჯოხეთად შთასლვისათვს.
- რდ. შემდგომიდ ილდგომისა
30 ქმნილთა საქმეთათვს.
- რდ. გარჯუცნით მამისა დაჯ-
დომისათვს.
- რც. ჩათდა მიმართ, რომელი
იყითხვიდენ, თუ ორითა ბუნებითა
35 თაყვანის იცემებისა ქრისტე.
- რჯ. თუ რახსათვს ძე ღმრთი-
სად განკაცნა და არა მამად და
არცა სული.
- რც. ჩათდა მიმართ უცნებელობა
იყითხვიდენ გუამისათვს რკვლისა-
აგებულობასა ანუ აუგებელობასა.
- რთ. თუ ოდეს ეწოდა ქრისტე.
3. უკუციუ ორი ბუნებად შვაა
წმიდამინ ღმრთისმშობელმან.
13. თუ ვითარ მხოლოდ შობი-
ლად ითქმის ძე ღმრთისად. თუ
შეკრებულისაგან რაოდნობად
ალიყვანებინან ბუნებანი ქრისტესნი
33. სარწმუნოებისათვს და ნათ-
ლისლებისა.
33. სარწმუნოებისათვს.
34. ჯუარისათვს.
35. აღმოსავალით თაყვანისცე-
მისათვს.
33. წმიდათა და უხრწნელთა სა-
იდუმლოთათვს.
36. ნათესავთმეტყუცლებისათვს
ოკულისა და წმიდისა ღმრთის-
მშობელისა.
37. წმიდათა ნაწილთა პატივის-
ცემისათვს.
38. წმიდათა ხატთათვს.
39. წიგნთათვს.
40. ძრინისტესთვს თქუმულთა
სიტყუათათვს.
41. ვითარმედ არა არს ღმერთი
მიზეზ ბოროტთა.
42. ვითარმედ არა არიან ორნი
დასაბამინი.
43. თუ რახსათვს დაპბაღნა
ღმერთიან, რომელთად უწყოდა
ცოდვისა შთავრდომად და შეუნა-
ნებელად დაშთომად.
44. შჯულისათვს ღმრთისა და
შჯულისათვს ცოდვისა.
45. ჰურიათა შაბათთათვს.



ზ. ძალწულობისათვეს.

გვ. წინადაცულობისათვეს.

აპა ესერი გქონან ასი თავნი საეკლესიონი ორმეტიცუდაათთა თავთა მიერ საფილოსოფოსოთა გარეშემუდვილნი; და ორცა ესენი სრულ არიან უმათოდ, არცა იგინი უამათოდ; ვინახცა ვიკადრებ და 5 ვიტყვა: რომელსა ძალი მისცეს ღმერთგან ამათდა გარდაწერად, ესე დაიმარხენ, რა უკუცო მოკლე წინამძღვარი უნდეს, წმიდისა მამისა ეფთვებს მიერ თარგმანებული, იგი შეიტყოს, რა მას მადლითა სულისა წმიდისათთა კელეწიფებოდა შემატებადცა და დაკლებადცა. ხოლო, უკუცო ახალი ესე სწადეს გარდაწერად, მას ამას თანა ნუ 10 გაძრევს, ნუცა ამას მას თანა; არამედ, უკუცო ამას დაიწერდეს, ესე ილუაწენ, რა არა რად დააკლოს არა ხოლო ას ორმეტიცუდაათთა ამათ თავთაგანი პირველით ებისტოლითურთ, არამედ არცალა ჩემი ესე კადრებული და მოზრახული. არა ხოლო შესავალსა ამას ვიტყვა, არამედ კიდესა წარწერილთა თარგმანთაცა, რომელთაგანნი რომელ- 15 ნიმე ზეპირით დაწერილნია და რომელნიმე დედისაგან. და ზეპირობისა მიზეზი ესე არს, ვინახთვან ყოველსა თარგმანსა უკმ შემატებად სიტყვად, რეცა განმაცხადებელად ძალისა. ხოლო მე, ვითარცა ყოველთა უნარჩევესა, მიზეზი იგი და შემდგომად ღმრთისა მომცემელი იგი ჩემდა თარგმანობისად ბერი ჩუბნი ამას მიბრძანებდის, 20 რა წმიდისა სიტყუად მარტივად და შეუზავებელად და შეუხებელად ვსთარგმნო, და, უკუცო რამებ ძალისა განმაცხადებელი უკმდეს ჩუბნისა ენასა, იგი კიდესა ზედა აღგილ-აღგილ და შესავალსა შინა თავსა წიგნისასა დაწერო. აშისთვეცა ყოვლად უჯერო არს ვისგან- 25 მე კიდესა წარწერილისა მის თარგმნისად შიგან გარევით დაწერად, არამედ კიდესა წარწერად, ვითარცა ვისწავეთ ჩუბნ ესე თოხას ოც- თა მათვან წიგნთა თეოდორე პატრიარქისა მიერ სვერნ წმიდას შე- წირულთა, რომელთა შინა არა რად ჰრთავს საგალობელი, თვინიერ ყოველნივე საკითხავნი არიან, გარეშენი და საეკლესიონი; და საჭი- როლესა სიტყვასა თარგმანი პატივთა ზედა წიგნისათა უწერია, ხოლო 30 შეისწავენი და განსაზღვრებად განჩინებითურთ და სამეცნიეროდ ესე არა ოდენ ამას წიგნსა, არამედ ყოველთავე წიგნთა ბერძულთა უწე- რიონ კიდესა, რა, რაეამს სამეცნიეროსა რასმე სიტყუასა ეძიებდეს ვინმე, ადვილად პოვოს და არა უკმდეს გიმყოვრებული ეამი, ანუ ყოვლისავე გარდა კითხვად. ხოლო განსაზღვრებასა და განჩინებასა ვა იგივე და ერთი ძალი იქვე; და განსაზღვრებისა თარგმანი თვკ წი- ნა გეპოების საფილოსოფოთა თავთა შინა მეათექუსმეტედ თავად.

კუალად ესეცა საცნაურ იყავნ, ვითარმედ არა ჯერ არს, რა

სხვას ვისგანმე შეკაზმულად ვპონებდეთ წიგნსა აჩას, ზრდაში მოწყობის უკანას გუასმიერ სკოლონ ლოლოთეტისა და სხუათა მეცნიერთა ბერძნებთაგან გამომდინარებულის გარნა უწყითმცა, თუ რომელთა წიგნთა ეგბის კაზმეად წიგნებისაც; გარნა უწყითმცა, თუ რომელთა წიგნთა ეგბის კაზმეად, ანუ რომელთა ულონო არს. რა იპოვს თუ ცხორება, ანუ 5 წამება, ანუ რაც რა პამბავი, გინა მოთხრობად სოფლურითა და უშუცრითა სიტყვთა აღწერილი, მას სიტყვთ განაშუცნებენ, გარდა-
კაზმენ და „მეტაფრას“ უწყოდენ, რომელ არს „გარდაკაზმული“. და ამასცა გაშინ ჰყოფენ, ოდეს აღმწერელი პამბებისაც მის ლიტონი კაცი იყოს და არა წმიდათაგანი, — ვითარ. იგი უმრავლესთა წმიდა-
10 თა წამებანი თანადახუდომილთა მონათა ვიეთგანმე აღწერილ იყვ-
ნენ, — მას შეკაზმენ ესვეითარითა სიტყვთა, რომელი. მასვე პირსა
იტყოდის და არა შექმატებდეს, არცა დააკლებდეს საქმეთა. ხოლო
წმიდათა თქუმულსა და მართლმადიდებელთა მაშათა აღწერილსა ვერ-
ვინ იკადრებს შეხებად, ვითარცა წმიდასა სახარებასა და ებისტო-
15 ლეთა პავლე მოციქულისათა; რაოდენცა ლიტონითა სიტყვთა აღწე-
რილ იყოს, ბრძენთა და მართლმადიდებელთაგანი ვერვინ შეეხების,
არათუ ვინმე იყოს სულელ, უფროოსი მწვალებელ და განვრდომილ
ეკლესისისაგან.

ამას ყოველსა თანა ესეცა საცნაურ იყავნ, ვითარმედ „წინამძ-
20 ლუარი“ სახელად წმიდისა ანასტასი სინელისა თქმულთათვს მინა-
ხავს ბერძულსა შინა, ხოლო ამის წიგნისათვს არასადა, თვინიერ ქარ-
თულისა. ამისთვის ესრეთ ჯერუჩნდინ სიჭმიდესა თქუმნსა, რა, ვი-
თარ იგი ზედაშარწერილსა ამისსა შინა ითქმის, „გარდომცემაც“
25 უწყოდდეთ წიგნსა ამას, რომელი იგი ბერძულსა შინა ესრეთვე წარ-
უწოდდეთ წიგნსა ამას; და „წინამძლუარ“ მასვე წმიდისა მამისა ეფთვმეს
თარგმნილსა სახელედებოდენ, რა თვთ იგი ამისგანვე გამოკრებული
არს. ხოლო ესე არა უწყი, თუ თვთ მამისა ეფთვმეს გამოუკრებია,
ანუ ბერძულად ესრეთ უპოვნია, რა სხუნი წიგნი გამოკრებული,
ვითარ იგი არს „მარგალიტი“ და „უავილკრებული“ და სხუანი
30 მსგავსნი მათნი, ბერძულად ეგრეთვე გამოკრებული არიან.

ამის ყოველისა თანა მრავალებ უგულებელს ქმნილსაცა ბრძა-
ნებასა აწლა აღსრულებისათვს თავს იდევით და მომიტევეთ მცირედ
განგრძობად სიტყვსაც, რა, ვიდრელი იგი ჯერეთ ჩუპნ თანა იყო ნე-
ტარი იგი და ყოველად რჩეული მოლუაწეთა შორის ბერი იმვანე
35 ფარავნელი; მან მოწლედ გამოიკითხა ჩემგან და მიბრძანა ამათ პირ-
თათვს: ვინახთვან პირეველთა მათ თარგმანთა არა რა ელუაწა წერ-
ტილითა გაკუცონისათვს საკითხავთავასა, ამისთვისცა ზეპირით უკმდა
გაკუცონად ყოველთა სახელოვანთა მკითხულთა. ხოლო ბერძულად

არა ესრეთ არს, არამედ ესოდენ მისანდობელ არს წიგნები შეთი
შართლად გაკუტალობისათვს, ვითარ ჩუპნი საგალობელი, რაოდე-
ნი დიდისა შის მნათობისა ვიორგი მთაწმიდელისაგან თარგმნილ
არს. ამისთვისცა მე ძალისაებრ ჩემისა არა უგულებელს მიქმნიეს,
არამედ ყოველივე ჩემ შიერ თარგმნილი წიგნი ერთწერტილად და 5
ორწერტილად, სამწერტილად და ექსწერტილად გამცეუცია: ერთ-
წერტილი უკუც მცირედ სასუმნად; ორწერტილი განსაკუცითელად
სიტყვასაც, და სამწერტილი დიდად სასუმნად; და ექსწერტილი
სრულიად დასაბოლოებელად და ახლად დასაწყებელად სიტყვას. არს
ოდესმე იშვით, რომელ არა დასაბოლოებელად ზის ექსწერტილი, არა- 10
მედ კმისა საქცევლად ოდენ; რომელი ესე მეტაფრასთა შინა უფ-
რო იპოების: რაეას. მოწამე მსაჯულისა მიშართ მეტყუცლებდეს და
მყის ღმრთისა მიმართ ცვალოს მეტყუცლებაც, ესევითარსა მას ად-
გილსა ექსი წერტილი უზის, არა რა დააბოლოოს, არამედ რა 15
კმაც იქციოს მკითხველან.

აშ უკუც ადრე გამოკითხული კეთილისა მის გულის კმისშეყვე-
ლისაგან და ჩემ შიერ მისდა თხრობილსა აქა დაწერად ბრძანებული
აწლა ვიიძულე დაწერად, რა უფროხს ყოვლისასა სარწმუნოებისა და
ღმრთისმეტყუცლებისათვს თქმულთა წიგნთა შინა საკმარ არს კრძალ-
ვაც მკითხუცლისაგან და მწერლისა და მსმენელისა. 20

გევედრები უკუც, რა წერტილი შეიკრძალოთ და მე ყოველი-
ვი ცოორილებაც ბორიტეოთ და ლოცვა ჰყოთ პირველმიკსენებულთა
შეთ მამათა: ბერისა საბახესთვს, რომელი იყო შემდგომად ღმრთისა
მიზეზი და მომცემელი ჩემდა თარგმნიბისაც, და მღუდელისა გაბ-
რიელისათვს, რომლისა ბრძანებითა და ლოცვითა მოსცა ღმერთიან 25
წმიდად ესე წიგნი ყოველსა ნათესავსა ჩუპნსა,—ამათ ყოველთა თა-
ნა მე შემიწყოლოთ უსასყიდლოდ; და ითხოვთ ღმრთისაგან მოტო-
ვებაც ურიცხუთა ბოროტთა ჩემთაც და თქუცნმცაბცა გიბოვნიეს წყა-
ლობაც დღესა მას სასჯელისასა მრავალმოწყალისა ღმრთისაგან, რომ-
ლისაც არს დიდებაც და სიტკიცე და ძალი, აშ და ყოველთა საუ- 30
კუნეთა უკუნისამდე. ამინ!

დამატება II.

წმიდასა და ღმრთივპატივცემულსა მამასა კოზმანს, ღირსეა
ეპისკოპოზსა მაიომახესასა, იოვანე უნდოხ იკუფლისა მიერ გახარებ! 35

იწროებაც უკუც გონებისაც და ულონოებაც ენისა ჩემისაც უწ-
ყოდი; ამისთვისცა მცონოდა, ჭ სანატრელო, კელყოფად საქმეთა



ძალისა უზეშთაესთა და შეკადრებად შეუვალთა, ვინახთგან სილა-
ლედ და კადნიერებითა აღსავსედ ვპპოებდ ესევითარისა მეადრებელ-
თა. რ უკუტთუ საღმრთოე იგი სჯულისმდებელი მოსე განეყენა რად
ხედვათა კაცობრივთა, დაუტევნა მღელვარებანი საწუთროესანი და
5 განიყარნა ყოველნი სიჩრქენი ნივთთანი, რ ა განიწმიდოს თუალი
სულისად და ყოს იგი მარჯუტ საღმრთოთა ხედვათათვე; რომელი
იგი კაცომოყუარებით ჩუმნდა მომართ გარდამოსლვასა სიტყვას
ღმრთისასა ზეშთაბუნებისა განკორციელებასა მისსა ღირს იქმნა
ხილვად მაყუალსა შინა და ცეცხლსა უნივორსა, რომელი ეგზებოდა
10 და სწუვიდა ეკალსა მას, რ ა შეცვალოს იგი თვისისა მიმართ ბრწყინ-
ვალებისა, ხოლო არა დასწუვიდა, არცა უჩინო ჰყოფდა, არცა განიყ-
ვანებდა მას თვისისაგან ბუნებისა; რომელსა იგი პირველ ყოველთასა
ეუწყა სახელი იგი ნამდვლვე ჭეშმარიტისა მის არსისა უზეშთაესისა
ყოველთა არსთახესა, და თვისთა მათ ნათესავთა ზედა დგომად და
15 ფლობად კელთ ედვა ღმრთისა მიერ; უკუტთუ ესე და ესევითარი კა-
ცი კმაწულილად და ენამძიმედ უწოდდა თაესა თვისსა, ვითარმეცა
ვერ შეუძლებდა მსახურყოფად საღმრთოესა განზრახვისა, რომელი
ამის ყოვლისა შემდგომად სიმაღლედ აღყვანებულ იქმნა და დადგი-
ნებულ შუამდგომელად ღმრთისა და კაცთა.—ვითარ უკუტ მე გარე-
20 მოცვულმან ყოვლითავე ზიწითა და ცოდვითა, რომელსა ესე თვისა
შორის ჩემსა მქონან მრავალსაშტოოთნი იგი გულისისიტყათა ფო-
ტინებანი, არცა გონებად და გული განმიწმედიან სარკეყოფად
ღმრთისა და საღმრთოთა ხედვათა, არცა სიტყუაპოვნიერ ვარ გა-
მოთქმად ძალთა მაღალთა გულისკმისყოფათასა, ვითარ მეტყუტლ
ვიქმნე სიტყუათა აღმატებულთა ყოვლისავე კაცობრივისა დაბადე-
25 ბულებისა და ქმნულებისათა!

ამას რად გულს ვეტყოდე. მცრნდაცა სიტყუად და მეშინო-
დაცა ურჩიყოფად ბრძანებულისა, რ ჯერ არს თქუმად ჭეშმარიტი-
სად, ნუ უკუტ ორთავე ამათ მიერ თანამდებ ვიპოო სიცილისა ურ-
ჩებისათვეს, გინა უგუნურებისა; რომელი ესე უძრეს არს. რ შესან-
30 დობელ არს ბრალი უსწავ* ლელობისად უკუტთუ ოდენ არა იყოს ნა-
შობ უდებებისა, ხოლო უსწავლელობასა თანა შექუსული სიმაღლე
ცნობისად საძაგელ არს და ბილტ და ულირს ყოვლისა შენდობისა
და მომასწავებელ უმეტესისა უსწავლელობისა, რ ა არა ვთქუა, ვი-
თარმედ მწუტრვალ და დასასრულ ყოველთა უსწავლელობათა.

* ამას ქვემოთ იწყება A ხელნაწერის ძელი ტექსტი და ჩვენს გამოცემა-
საც აქედან საფუძვლად უდევს A ხელნაწერი.

ძალისა უშეშთაესთა და შეკადრებად შეუვალთა, ვინახთგან მდგრადი და ლედ და კადნიერებითა აღსავსედ ვპპოებდ ესევითარისა მკაფიოდ მართვა
 თა. რ უკუტთ საღმრთოე იგი სჯულისმდებელი მოსე განეყენა რაც
 ხედვათა კაცობრივთა, დაუტევნა მღელვარებანი საწუთროესანი და
 5 განიყარნა ყოველნი სიზრქენი ნივთთანი, რა განიშვიდოს თუაღმი
 სულისაც და ყოს იგი ბარჯუც საღმრთოთა ხედვათათვე; რომელი
 იგი კაცომუყარებით ჩუტნდა მომართ გარდამოსლვასა სიტყვა
 ღმრთისასა ზეშთაბუნებისა განკორციელებასა მისსა ღირს იქმნა
 ხილვად მაყუალსა შინა და ცეცხლსა უნივორსა, რომელი ეგზებოდა
 10 და სწუვიდა ეკალსა მას, რა შეცვალოს იგი თვისისა მიმართ ბრწყინ-
 ვალებისა, ხოლო არა დასწუვეთდა, არცა უჩინო ჰყოფდა, არცა განიყ-
 ვანებდა მას თვისისაგან ბუნებისა; რომელსა იგი პირველ ყოველთასა
 ეუწყა სახელი იგი ნამდვლვი კეშმარიტისა მის არსისა უშეშთაესისა
 ყოველთა არსოახსა, და თვისთა მათ ნათესავთა ზედა დგომაც და
 15 ფლობაც კელთ ედვა ღმრთისა მიერ: უკუტთუ ესე და ესევითარი კა-
 ცი კამაშულილად და ენამძიმედ უწოდდა თაესა. თვისისა, ვითარმეცა
 ვერ შეუძლებდა მსახურყოფად საღმრთოესა განზრახვისა. რომელი
 ამის ყოვლისა შემდგომად სიმაღლედ აღყვანებულ იქმნა და დადგი-
 ნებულ შუამდგომელად ღმრთისა და კაცთა, — ვითარ უკუც მე, გარე-
 20 მოცვლილან ყოვლითავე ბიწითა და ცოდვითა, რომელსა ესე თაესა
 შორის ჩემსა მქონან მრავალსაშოთონი იგი გულისისიტყუათა ფო-
 ფინებანი, არცა გონებაც და გული განშიშვედიან სარკეყოფად
 ღმრთისა და საღმრთოთა ხედვათა, არცა სიტყუაპოვნიერ ვარ გა-
 მოთქმად ძალთა მაღალთა გულისებრისყოფათასა, ვითარ მეტყუბლ
 ვიქმნე სიტყუათა აღმატებულთა ყოვლისავე კაცობრივისა დაბადე-
 25 ბულებისა და ქმნულებისათა!

ამას რაც გულს ვეტყოდე, მცონდაცა სიტყუად და მეშინო-
 დაცა ურჩყოფად ბრძანებულისა, რ ჯერ არს თქუმაც კეშმარიტი-
 საც, ნუ უკუც ორთავე ამათ მიერ თანამდებ ვიპოო სიცილისა ურ-
 ჩებისათვე, გინა უგუნურებისა; რომელი ესე უძვრეს არს. რ შესან-
 30 დობელ არს ბრალი უსწავ* ლელობისაც უკუტთუ ოდენ არა იყოს ნა-
 შობ უდებებისა, ხოლო უსწავლელობასა თანა შექუსული სიმაღლე
 ცნობისაც საძაგელ არს და ბილწ და უღირს ყოვლისა შენდობისა
 და მომასწავებელ უმეტესისა უსწავლელობისა, რა არა ვთქუა, ვი-
 თარმედ მწუტრვალ და დასასრულ ყოველთა უსწავლელობათა.

* ამას ქვემოთ იწყება A ხელნაწერის ძველი ტექსტი და ჩვენს გამოცემა-
 საც აქედან საფუძვლად უძვეს A ხელნაწერი.

გარნა, ვინახოთგან ნაყოფ ურჩებისა არს სიკუდილი, ხოლო მწერლის გარნა და მორჩილი ქრისტეს მოწაფედ იჩინების და სიმაღლეზე დამატებულ იქმნების და ღმრთისა მიერ მაღლად მიიღებს განათლებასა, აღალებს პირსა და აღივეხების სულითა, განიშვიდნების გულითა და განბრწყინდების გონებითა, მიეცემის სიტყუად აღებასა პირისასა 5 და არა ზრუნავს, რად თქუას, ვინახოთგან ორლანო ქმნილ არს მის შორის მეტყუბლისა მის სულისა.—ამის უკუც ჯერისათვის თქუცნ-ძლით ვირწმუნე მისი, რომელი იგი თქუცნ შორის მღდელთმთავ-რობს—ქრისტე, და მორჩილ ვექმნები ბრძანებასა თქუცნსა. აღვა-ლებ პირსა მინდობითა ლოცვეთა თქუცნთავთა, რა აღისტოს სული- 10 თა, და ვიტყოდე სიტყუათა, რომელი არა გონებისა ჩემისა იყვნეს ნაყოფ, არამედ ნაყოფ ბრმათა განმაბრძნობელისა მის სულისა; რ არარას თავით ჩემით ვიტყოდი, არამედ ყოველსავე მას, რაოდენი იგი მოცემით მოვილო და პირველად უკუც განვაწესნე წიგნსა ამას შინა ჩუცნსა წარმართთა მათ ბრძენთა სიტყუცბისაგან უმჯობესნი 15 და უკეთესნი; ვინახოთგან უწყით, ვითარმედ, რაოდენი რად არს კე- თილი, ყოველივე ზეგარდომ ღმრთისა მიერ მონიშებულ არს კაც- თადა; რ ყოველი მოცემად კეთილი და ყოველი ნიჭი სრული ზე- გარდამო გარდამომავალ არს მამისაგან ნათელთავსა. ხოლო ყოვე- ლივე ჰეშმარიტებისა წინააღმდგომი საეშმაქოსა საცოტრისა და 20 ბნელისაგან მოპოვნებულ და გონებათაგან ბოროტად ეშმაკეულთა შეწმასნებულ არს.

არამედ მე მსგავსად დიდისა მის ღმრთისმეტყუცლისა გრიგო- ლისა ვემსგავსო სახეობასა ფუტერისასა და უცხოთაგან თვისნი მსგავსნი ნიგონი ჰეშმარიტებასა შემოუკრიბნე და მტერთაგან მაც- 25 ხოვარებად მოვისითულო, ხოლო გარემივაქციო ყოველი, რაოდენი რად იყოს ბოროტ ცუდისახელისა მას მეცნიერებასა მათსა შინა.

ამისსა შემდგომად შეუდგინნე ღმრთისმოძულებულთა მათ წვა- ლებათა ზრახეანი, რა, რაეამს ტყუცილსა მათსა მეცნიერ ვიყვნეთ, ჰეშმარიტებასა ზედა უფროს დამტკიცებულ ვიქმნეთ. 30

ამისსა შემდგომად მომწყუცლელად საცოტრისა და უჩინო- მყოფელად ტყუცილისა შეწევნითა ღმრთისავთა განვაწესო სიტყუად ჰეშმარიტებისაც. რომელსა იგი მაღლითავე მისითა სამეაულად და სამოსლიდ გარემოვასხა ფესუცდი ოქროსაც, სიტყვასაგან ღმრთივ- სულიერთა წინაახსწარმეტყუცლთა და ღმრთივსწავლულთა მეთევზურ- ვა 35 თა და ღმერთშემოსილთა მწყემსთა და მოძღვართავსა განშუცნებუ- ლი; რომლისა იგი შინაგანი ბრწყინვალებად პაროვნებით განაათ- ლებს ყოველთა რომელი მიემოხუცოდინ მას ჯეროვნად განწმედილ-

ნი და აღმაშენოთებელთა გულისსიტყუათაგან წარვლტოლუაჭურული
ხოლო, ვითარ იგი პირველ ვთქუ, ჩემსა არარას ვიტჟალისრუსუკ
მედ წარჩინებულთა მათ მოძლუართა ნამუშავევი ერთად შევკრიბო
და, რაოდენ ძალ მედვას, შევამოკლო სიტყუად ყოვლითურთ მორ-
ა ჩილუფფად თქუცნ მიერ ბრძანებულისა მის.

არამედ თანამზრუნველ მექმნენით მე, ღმრთივპატივცემულნო, ჰე
გლოცავ, მცნებათა თქუცნთა მორჩილქმნული ესე! მიითუალეთ მორჩი-
ლებად და უკუმომიზლეთ ლოცვათა მიერ სასყიდლის კეთილად გებად!

დამატება III.

ყოვლად ღირსხა და ღმრთივპატივცემულსა მამასა კოზმას, წმი-
დასა ეპისკოპოსსა მამუმადსასა—იოგანე უნდოხ.

- 15 იწროებასა ეიღრემე გონებისასა და ულონოებასა ენისა ჩემისა-
სა მეცნიერსა მცონოდა, გ სანატრელო, ეყლყოფად უაღრესთა ძა-
ლისათა და შეკადრებად შეუძლებელთა, ვითარუა ღალსა ვისმე და
კაფნიერსა და მოშიშსა ესევითარისა მკადრებელთათვს განმზადებუ-
ლისა ძვრის ხილვისასა.
- 20 რ, უკუცთუ მოსე საღმრთოო იგი შჯულისმდებელი, განეშორა
რად ყოვლისაგანვე კაცობრივისა ხედვისა და დაუტევნა სამ მოქცევ-
ნი ღელვანი ცხორებისანი და ყოველივე სიზრქე ნივთიერი განაგდო
და განიშიდა მხედველობითი ძალი სულისახ, ეგრეთლა იქმნა მარ-
ჯუც ღმრთისმხილველობისა მიმართ, რომელი კაცომოყუარესა მას
25 ჩუცნდა მომართ, თანაშთამოსლვასა სიტყვას ღმრთისასა და ბუნებისა
უაღრესსა მას განკორციელებასა შისსა ზაყუალსა შინა და უნივერ-
სა ცეცხლსა ღირს იქმნა ხილვად, აღმაგზებელსა და განმაცეცხლე-
ბელსა მაყულისასა, და ბრწყინვალებისა მიმართ თვისისა გარდამცვა-
ლებელსა მისსა, ხოლო არა დამწუცვლსა, არუა უჩინომყოფელსა,
30 არუა კუცბულმყოფელსა მისსა თვისისა ბუნებისაგან; რომელმან იგი
ნამდვლვე მყოფისად მის და კეშმარიტად ზეშთაარსებისად მყოფი-
სად პირველიდ ისწავა სახელი და თვისთა და თანამნათესავეთა
მისთა ზედამდგომელობად კელთ ედვა ღმრთისაგან, კამწულილად და
ენამძიმედ უწოდდა თავსა თვისსა, ვითარუა ვერშემძლებელი შსახურ-
ან ყოვასა საღმრთოოსა ნებისმისა და სრულყოფასა მისსა და ღმრთისა
და კაცთა შუამდგომელყოფასა, —ვითარ მე, ყოვლითავე უკუც ბი-
წითა ცოდვისახთა შებლალულმან და მომღებელმან თავსა შორის
თვისსა მრავალშფოთიინისა გულისსიტყუათა მლელვარებისამან და

არცა გონებისა და გავონებისა მომენტელმან, ვითარცა სარკის უკანი ურთიერთობაში რახსმე საღმრთოსა ღმრთივშუტნიერთა გამოცხადებათა შემცირებულისამან, არცა სიტყვისა მქონებელმან კმაყოფად მოგონებათა შემძლებელისამან, გამოვთქუნე საღმრთონი და გამოუთქუნელნი, ზესთააღმავალნი მიწოდებისა ყოვლისა სიტყვერისა დაბადე- 5 ბულისასა.

ამათსა მგონებელსა მე მცონოდა სიტყუად და ვეშიშვლი ბრძანებულსა, იოქმოდედ კეშმარიტი, ნუსადა მრჩებლი თანამდებ ვიპოვო სიცილისა ერთბამად უშუტრებითა უსწავლელობისა და უგუნურებისა- ხთა; ო შესანდობელ არს ბრალი უსწავლელობისა, არათუ იყოს ნა- 10 შობი და კასნილობისა, ხოლო უსწავლელობასა თანა მოგებად სილალესა ცნობისასა უსახურ არს და საბრალობელ და ულირს ყოვლისავე შენ- დობისა, და უმეტესისა სასწაულ, ო არა ვთქუა, ვითარმედ უკუ- ნახსნელისა უსწავლელობისა. გარნა ვინახთგან ურჩებისა ნაყოფი სიუდილი არს, ხოლო მდაბალი და მორჩილი ქრისტესა მიემსგავსე- 15 ბის და სიმაღლედ ალევანებული განმანათლებელსა მადლისა მოიღებს ღმრთისაგან და აღმღებელი პირისა აღივსების სულითა, განიშმიდე- ბის გულითა და განათლდების გონებითა და მოიღებს სიტყუასა აღ- ბასა პირისასა არა კერძობით რახსმე თქმად, არამედ ორანოდ გამოჩნდების მის შორის მეტყუტლისა სულისად. თქუცნ მიერ თქუცნ 20 შორის მლდელთმთავრისა ქრისტესა მრწმუნებელი, დავემორჩილები ბრძანებასა და აღვალებ პირსა და მივენდები ლოცვათა თქუცნთა, ვითარმედ აღიგსოს სულითა, და აღმოვთქუნე სიტყუანი, არა ნაყოფ- ნი ჩემისა გონებისანი, არამედ ნაშობნი ბრმათა განმაბრძნობელისა სულისანი, რაოდენი მიიხუნა ქსრეთ მეტყუტლმანცა ამათმან. და 25 პირელად უკუც ელლენთა ბრძნებითი დავსხნე ურჩეულესნი, ვითარ- ცა მეცნიერმან, ვითარმედ, რაოდენი რაც არს კეთილი, ზეგარდამო ღმრთისა მიერ მონიჟებულ არს კაცთადა, ვინახთგან ყოველი მო- ცემად კეთილი და ყოველი ნიჭი სრული, ზეგარდამო არს გარდამო- მავალ მამისაგან ნათელთახასა; ხოლო რაოდენი რაც არს წინააღმდ- 30 გომ კეშმარიტებისა, საეშმაკოსა საცოტრისა მოპოვება არს ბნელ და შეწმასნილ გონებისა ეშმაგბოროტისა, ვითარცა იტყვს ღმრთის- მეტყუტლებათა შინა ფრიადი გრიგოლი. ამისთვის მიმსგავსებითა სა- ხესა ფუტკრისასა, მახლობელნი უკუც კეშმარიტებისანი გამოვკრიბ- ნე და მტერთაგან მაცხოვარებად მოვისტულა, ხოლო განვეარნე ყო- 35 ველნი, რაოდენი ურგებ და სახელმტყუფვარისა მეცნიერებისა მქონე- ბელ იყვნენ. მერმე შემდგომად მათსა დავაწესნე ღმრთისმოძაგე ბულთა წვალებათა წარჩევანი, ო შემეცნებითა ტყუვილისახთა უმე- ბული მიმომხილო 1



ტეს საკუთარ ვექმნეთ ჭეშმარიტებასა. და ესრეთ საცოლეს ჭეშმარიტებასა. პობელი და ტუილისა უჩინომყოფელი ჭეშმარიტება, ჭიშპრუმუტებელი სუბდითა ოქროანითა, ღმრთივსულიერთა წინ ახსწარმეტყუბლთა და ღმრთივსწავლულთა მეთევზურთა და ღმერთშემოსილთა მწყემსთა და 5 მოძლუართა სიტყუბითა განშუცნებული და შემკობილი. შეწევნითა ღმრთისა და მაღლისა მისისადთა წარმოვადგინოთ, რომლისა დიდებად შინაგან მისსა განბრწყინვებული /სათანადოსა თანა განწმედისა მახლობელქმნილთა მისთა და შთოთებისა გულისიტყუათადსა 10 განგებელთა განანათლებს საკვრველებით;. ხოლო ვთქუა ჩემი არა- რამ, ვითარ იგი ვიტყოდე, არამედ უწარჩინებულესთა მოძლუართა ნამუშაკევისა ერთად შემერებელმან შემოკლებულ ვყო სიტყუად. რა 15 ოდენ მეძლოს, ყოველსა შინა დამორჩილებულმან ბრძანებათა თქუცნ- თამან; არამედ თანალმობილ მექმნენით მე,—გევედრები ღმრთივპა- ტივცემულნო,— მრწმუნებელსა მცნებათა თქუცნთასა, და მიმოუალ- ველთა მორჩილებისათა მომიზლენით სასყიდელნი ლოცვათანი.

1919. IV. 22—1926. V. 6.

ტფილისი.

გასაღები აუხავურ ბზერათა ფიზიოლო- გისათვის.

აფხაზურს—ზოგიერთ სხვა კავკასურ ენებთან ერთად— მოპოლება მთელი რიგი ქართულისაგან განსხვავებულ ბეჭრათა, რომელთა ფიზიოლოგიური ოლტერა წარმოდგენილი იქნება ჩვენს საზოგადოებაში¹ მათი ჩვენს მიერ უნაკლო გამოთქმის მიღწე- ვის კვალობაზე, ვინაიდან დამკვირცხებლის მიერ უნაკლო გა- მოთქმას ჩვენ ვთვლით აუცილებელ პირობად ამა თუ იმ ბგე- რის მართებულად ოლტერისათვის.

ჰუ. გულიას და ს. ჯანაშვილს მიერ.

I. ჰუ. გუ.

(ჰუ „ხმალი“, ჰუ „საჯდომი“, ჰუ „ჩალა“, აზუ „ლვი- ნო“, აზუ „მშრალი“, გუ „ორი“).

ჰუ: პირის ღრუ საკმოდ ლიაა. წინა ენა თითქმის უმოქ- მედოა; უკანა ენა ეშვება ძირს და ოწარმოებს სივიწროვეს ფა- რინგსის (ხახის) უკანაკედელთან. რბილსასის უკანა კამარა და- კიმულია და ებჯინება ხახის კედელს. დამახასიათებელია ჰუ- სათვის ბაგეთა მომრგვალება, დაახლოებით, როგორც ფართე თ-სათვის. ხმოსან სიმებს საჩურჩულო მდგომარეობა იქვეთ ჰუ-ს დაწყებისას (შემართვა-დაყოვნებისას), ხოლო პაერის ნაკადს დაბრკოლებას უქმნის ყელის სარქველი თავისი დახრით: ოლ-

¹ იგულისხმება „ქართ. საენათმეცნ. საზოგადოება“, სადაც მოხსენებული იყო 22. XII. 1925 საერთოდ აქ მოყვარილი დაკვირვებანი. აკად. ნ. მარის შრო- მას „ახაზების ანალიტიკ. ალფავიტ“ (Труды Яфетич. семинарии, Ленинград 1926) გავიცანით ამ მოსენების შემდეგ. ჩვენი შემიშენები ამ შრომის შესახებ მოყ- ვანილია კუთხოვან ფრჩხილებში.

ბათ ამ გარემოებასაც უშევს წილი იმ როლ ჩქამში, რომელ
ლიც ჭ-ს წარმოებისას გვესმის. ამგვარად, ჭ-წარმოადგენშე შეუძლია
იქეთ ნაწარმოებ სპირანტს. ამას გარდა, ჩვენის დაკვირვებით
მას დამართვის (გათავების) მომენტში ოდნავი მეღერობაც კი
შეუძლია ქონდეს. ჩვენ მას ვუწოდებთ გალაბიალებულ ფა-
რინგალ სპირანტს (ყრუს—ჭ-საგან განსასხვავებლად). [ჭ-ს
„სამშედვენილობა“ (трехсоставность)¹ არ არკვევს მისს ფი-
ზიოლოგიურ რაობას].

ჭ-: განსხვავდება ჭ- საგან უმთავრესად მეღერობით. ამიტომ
მას ვუწოდებთ მეღერ გალაბიალებულ ფარინგალ სპირანტს.
ენის მდგომარეობის მხრივ, ჭ-საგან იგი საერთოდ არ განსხ-
ვავდება; მხოლოდ უკანაენასა და ხახის კედელს შუა მეტი-
მანძილია. რბილსასის უკანა კამარა შედარებით ნაკლებაა და-
კიმული ჭ-სათვის, ვიდრე ჭ-სათვის, რის გამოც ხახის კედელ-
ზე მიბჯენა ნაკლებ მტკიცეა, ვიდრე ჭ-სათვის; ამიტომ ჰაე-
რის ნაკადის ცხვირის გზით ოდნავი დენა გამორიცხული ვერ
იქნება. როგორც ჩანს, ყელის სარქველი არ უქმნის დაბრკო-
ლებას ჰაერის ნაკადს, რაც ალბათ იმით აიხსნება, რომ უკანა-
ენა ნაკლებად იწევს ძირს და ხახის კედლისაკენ, ვიდრე ჭ-
სათვის. ბაგეთა მომრგვალება უდრის ჭ-სას: ჭ-ს წარმოება
უახლოვდება ხმოვნისას: თანხმოვნის წინ მას (ჭ-ს) შეუძლია
მარცვლოვნობა ქონდეს (ჭ-ბა, აზ-რა).

[დკად. 6. მარს ჭ- წარმოადგენილი აქვს „w+y“-საგან ურ-
თიერთ შერწყმულ ერთ მთლიან ბერძოდ (გვ. 45); 50 ვერდ-
ზე იგი მოთავსებულია ჭ-ს გვერდით, როგორც „სამშედვენი-
ლი“, რაც აგრეთვე არ არკვევს მისს ფიზიოლოგიურ რაობას.
ყოველ შემთხვევაში, უნდა ითქვას, რომ ჭ-სა და ჭ-სათვის, რო-
გორც თანაგვარ ბერძოთათვის, ანალიტ. ანბანში საჭიროა ერ-
თი და იგივე დიაკრიტული ნიშანი, და არა სხვადასხვა, რო-
გორც ეს აკად. მარს აქვს იმის გამო, თითქოს ჭ- წარმოად-
გენდეს ყელის სპირანტის w-სთან შერწყმის (ან განუწევრებელს-

¹ Н. Марр, Абхазский аналитич. алфавит, Ленинград 1926, გვ. 48.

მისაგან), ხოლო β° — w -ს y -სთან. y -სთან შერწყმა ჩან შესრულდა (განუწევრებლობა) ხომ ბკერის ლინგვალობას მოასწავება? (გვ. 44). ამიტომ, ჩვენის დაკვირვებით, β° სრულიად არ დგას განცალკევებით, როგორც ეს აკად. ნ. მარს პგონია (გვ. 45)].

II. ტ⁰ დ⁰ თ⁰.

(ატ⁰არა „ჯდომა“, ად⁰ „მინდორი“, ათ⁰ „თივა“).

ტ⁰ დ⁰ თ⁰ რთული თანხმოვნებია, რომელთაც საფუძვლად უდევსთ შესაბამისად წინაენისმიერი ხშულები: მკვეთრი ტ, მშერი დ, მშვინავი თ¹; ხოლო გართულება შეაქვს ბაგეთა მოქმედებას, რომელიც სამივესათვის საერთოდ ერთვარია, სახელდობრ: ამ ხშულთა (ტ დ თ) სკდომას სწრაფად მოსდევს ბაგეთა განხშვა სუსტი ვიბრაციით (თრთოლით). აკუსტიკურად შევიგრძნობთ ერთ მთლიან ბგერას, რომელშიც წინაენის სკდომა ოღარ ისმის; თუ, ამისდა მიუხედავად, ტ⁰ დ⁰ თ⁰ ურთიერთისაგან განსხვავებულ აკუსტიკურ ეფექტს იძლევა, ეს დამოკიდებულია მათ პირველ კომპონენტთა (ტ დ თ) ჰეტეროგენობისაგან. ამიტომ ტ⁰-ს შევიძლია ვუწოდოთ მკვეთრი მთრთოლი (ვიბრანტი), დ⁰-ს — მულერი მთრთოლი და თ⁰-ს — მშევინავი მთრთოლი².

[შეუფერებლად მიგვაჩნია აგრეთვე აკად. მარის ანალიტ. ანბანში ერთნაირი დიაკრიტული ნიშნით (⁰) წარმოდგენა მთრთოლთა (ტ⁰ დ⁰ თ⁰), ფარინგალი სპირანტისა (ჴ) და „ლაბიო-ველართა“ (ჴ², გ², ქ²: აჴ²ც, აგ²უ, აქ²ი) გვ. 44, რადგანაც ბაგეთა მოქმედება, რომლის ნიშანიცა ეს ⁰, პირველ ჯგუფში სხვაგვარია და დანარჩენებში სხვაგვარი].

¹ ამათ შესახებ იხ. ამავე „მიმომზილელში“ ჩვენი წერილი „შენიშვნები ჭართულ თანხმოვანთა განდასებისათვის“.

² შეად. П. К. У с л а р-ის „Абхазский язык“, გვ. 12 და 13. Тифлис 1887.

ვონეტიქური დაკვირვებანი ჩართვებულ ენებში

I

ბმერით მოვლენათა თანამიმდევრობა*.

I

ჩვენი წერილის შთავარ საგანს შეადგენს ქართველური ენების ზოგიერთი სიტყვის ისტორიის გათვალისწინება, დაწვრილებით წარმოდგენა ყველა იმ ბერით მოვლენათა, რომელთა თავისებური დაჯვუფების მეოხებით ესა თუ ის სიტყვა ზოგადი ფონეტიკური წესიდან განხრილა და „გამონაკლის“-ის სახელშოდება დაუმსახურებია. იქ მოყვანილი გასალა მხოლოდ ნაწილია იმისა, რის დაგროვებაც საერთოდ წესაძლებელია: აღნიშნული ენების შედარებითი თვალსაზრისით შესწავლა მათ რიცხვს უთუოდ გაადიდებს და მოცემულ სითაურს ქვეშ ამ პირველ წერილს აღმათ სხვებიც მოჰყვება... .

მაგრამ ჯერ, ვიდრე პირდაპირ საგანზე გადავიდოდე, საკიროდ მიმაჩნია ქართველური ენების შედარებითი ფონეტიკიდან ზოგი რამ გავითვალისწინოთ. მით უმეტეს, ორუები ჩვენდა სამწუხაროდ უნდა ვთქვათ, ამ ენების არათუ მთლიანი და ჩამოყალიბებული შედარებითი ფონეტიკა არ მოგვეპოვება, არამედ ბეჭდური მასალების მიხედვით ელემენტები ნაშენებაც სრული წარმოდგენის მიღება ჭირს¹. რამდენადაც

* წაյითხულია მოხსენებად „ქართ. საენათმეცნიერო საზოგადოების“ საჯარო სხდომაზე 1925 წლ. 24 ნოემბერს.

¹ პროფ. ალ. ცაგარელის თავის დროისთვის მნიშვნელოვან ნაკველევს Сравнительный обзор морфологии иберийской группы кавказских языков, СПб. 1872, მხედველობაში ვერ მივიღებთ, რადგანაც იგი მორფოლოგიის მიმოხილვას შეიცავს და არა ფონეტიკისას.

მეგრულ-ქართულ ბერით შესატყვისობათა დადგენიშვილი და
ალ. ცაგარლის მინგრელის მინგრელის მინგრელის მინგრელის
ოპიტ ფონეტიკი მინგრელის ენის (СПБ. 1880) დავე-
ურლინით, იმდენად შეუძლებელია სვანურ-ქართულ თუ სვა-
ნურ-მეგრულ შედარებით ფონეტიკაში ვისმეზე დამყარება. მარ-
თალია, ამ მხრივ აკად. ნ. მარი ნაკლს ივსებს და ზოგჯერ
თავის ნაშრომებში ამ ენითა ბერით ექვივალენტებს იძლევა,
მაგრამ ეს ხომ წვეთია ზღვაში! და თუ ანგარიშს გავუწივთ იმ
მდგომარეობასაც, რომ აკად. ნ. მარის მიერ მაცემული ეს
მცირე კნობები განცეულია მის უამრავ წერილებში, რომელ-
თა თავის მოყრა გარკვეულ დროს მოითხოვს, ერთის მხრით,
და, რომ მეორის მხრით, მის მიერ დადგენილი ფონეტიკუ-
რი შესატყვისობანი ხანდახან ისე მერყევი და არადამაჯერე-
ბელნი არიან, როგორც ხშირად მისი ეტიმოლოგიები, და-
ვინახავთ იმ საჭიროებას, რომლის გამო ჩვენ იძულებული
ვხდებით ქვემომოყვანილ ბერითა შედარება მოვახდინოთ;
წინააღმდეგ შემთხვევაში ადვილი შესაძლებელია გამოთქმული
მოსაზრებების შესახებ იქვი დაიბალოს.

ცაგალითები შედარებიდან¹:

1. ქართ. დ = სვან. დ = მეგრ. (-ჲანურ *დ >) თ:

1. დათვი (ძვ.-ქართ. დათვ) = ს. დაშვე = მ. თუნთა (აქ ნ ჩარ-

¹ წერილში ხმარებულ შემოკლებათა გახსნა:

აკად. ნ. მარის წიგნთავის: 1. Гр. др.-груз. яз.=Грамма-
тика древнелитературного грузинского языка, Ленинград 1925.

2 Извл. св.-рус. сл=Извлечение из сванско-русского сло-
варя, Птрг. 1922.

3 Гр. чанск. яз.=Грамматика чанского (лазского) язы-
ка, СПб. 1910.

4 Др. гр.-р. сл.=Древнегрузинско-русский словарь к 1—2
главам евангелия Марка, СПб. 1913.

5 Поездка в Св.=Из поездок в Сванию: Христианский Вос-
ток, т. II, в. I, СПб. 1913.



თულია, რაც მეგრულის დამახასიათებელ თვისებაზე მეტადგრძნელი სამაგიეროდ ჭანურში გვაქვს თუთა, მ-თუთა.

2. შვად-ი (ძვ.-ქართ. შვად) = ს. ი-შვად (Поездка в Св., 19; Пол. абх. яз., 7) = გ. შვათ-ი (ჯან. შვათ, შვათ).

3. მ-დარე = ს. ხა-დრა ('ცუდი'; სვანურს ეს სიტყვა შედარებით ხარისხში შეუნახავს. ეგების იკი ქართულიდან არ იყოს ნახესხები).

4. ქურდ-ი = მეგრ. ქვართ-ი (აქედან სვანურში უნდა იყოს შესული, სადაც ქვათ'ისა ('ქურდი') და ლაქეთენ'ისა ('ქურ-დობა') სახითაა დაკული).

5. ტვედ-ი, ტვედანი = გ. წევუ 1...

6. TR=Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии.

7. ЯЭ=Яфетические элементы в языках Армении.

8. Опр. Ах.²=Определение языка второй категории ахеменидских клинообразных надписей по данным яфетического языкоznания, СПб. 1914.

9. Пол. абх. яз.=К вопросу о положении абхазского языка среди яфетических, СПб. 1912 და

10. Отн. абх. яз.=П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, СПб. 1912.

11. Гр. минг. яз.=И. Кипшидзе, Граммат. мингрельского (иверского) языка, СПб. 1914.

12. სვან. ტექსტები=არსენად კონდან, ლუმნუ ამბვარ ლუ-ლ-შეუ შემი ნინშვ, პეტროვგრად 1917 და სხვადასხვ.

სვანური მაგალითები უმთავრესად ბალსხემოურიდან მოგვყავს.

¹ აკად. ნ. მარის მაგალითი სვან. „ლიშკადი“ ('ჭედვა'),— რომლის... основа შედ [в тубал-кайнских яз.] предлежит с закономерным подъёмом შ в ჭ, так чан. ჭკად (ათ. ჭად)... [ქართ.] ჭედა (ЯЭ, I, 145)—სხვადასხვა მოსაზრების გამო ზევით არ შევიტანეთ. შეიძლებოდა იგრეთვე ამ შესატყვისობის შემაგრება მორფოლოგიური ფორმანტებით, როგორიცაა მაგ. მიმართულებითი ბრუნვისა, ნამყოფსრულისა და ოპტატივის დ (უკანასკნელისათვის იხ. Пол. абх. яз., 25] და სხვ., მაგრამ მორფოლოგია სხვაგარ მიღვომას მოიხოვს და ჩვენ(;) ამიტომ გვერდს ეუვლით მას.

2. ქართ. თ = სვან. შდ = მეგრ. (-ჭან.) თ: პილუმითიანა

1. თაგვი. (ქვ.-ქართ. თაგვ) = ს. შდუბუ = ჭან. თუბა (თუ-

ჭა, მ-თუბა—დიალექტური ვარიაციით; მეგრულში ამის ჭა-
ნონზომიერი ექვივალენტი არ მოგვეპოვება).

2. თხილი = ს. შდიხ = მ. თხირი (ნ. მარი, ქაფეთი. სახ. და გდერებ. და რას., პრ. 1915, გვ. 827, შემ. და გდერებ. და რას., სკლ., 1201).

3. დაფვი = ს. დუშდე = მ. თუნთ-ი (იხ. ზემოთ 1, 1).

4. სვან. შდა დღეს ხორბლეულის (resp. მცენარის) ‘თავ-
თავ’ს, ‘ეუვილ’ს ოღნიშნავს, მავრამ რომ მას პირველიდ ‘თა-
ვ’ის მნიშვნელობა უნდა ჰქონდა, ეს მტკიცდება ერთის მხრით
ჩერშდა კომპოზიტით, სადაც პირველი ნაწილი ჩერი—კალკი
აღებული—‘თითისტარ’ს უდრის (შდ. ჩერი), ხოლო ჩერშდა¹—
‘ჩერის თავ’ს, ‘კვირისთავ’ს და მეორის მხრით შდაშე სიტუაცით
‘ჩერის თავ’ს (კვირისთავის და მეორის მხრით შდაშე სიტუაციის
(რომელიც მოქმედებით ბრუნვას წარმოადგენს და უდრის
ქართ. ‘თავ’ს; შდ. ივლ. სვ.-რ. ცლ., გვ. 6, კვ. ს ქვეშ
და სვან. ტექსტები, 72); ამის შესატყვისი ქართულში ჩვე-
ნამდე ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნვებში გაქვავებული
სახით მოწეული ‘თავ’, თავის *თუ ძირი უნდა იყოს, ხოლო
მეგრ.-ჭანურით თა (‘თავი’: თა-მანდალთხა — თავმანდილიანი,
ქართ. თავის ტექსტები—თავტოტველი; თა-მჩეუ—თავმსხვილი „важ-
ный, знатный“ და სხვ.; იხ. ჭან. და მეგრ. ლექსიკონები.
შდ. ით. აბხ. კავ., 42, 39; იმპ. ახ²., გვ. 65; დრ. გრ.-
რ. ცლ., გვ. 9, 1. თავთ; გრ. დრ.-გრ. კავ., გვ. 93-95)².

¹ ოლბათ აქციანაა მსხლის „ჩერეშტულ“ სახელწოდება წარმო-
ებული, რაც არს. ონიანის სიტუაცით „ჩერი მაჯან იცხ“ არის („თი-
თისტარის მსგავსი მსხალი“; იხ. მეგრარეში ბალხარე უახელე ხო-
რავ, პტგ. 1917, გვ. 3).

² შერილის დამძიმების შიშით სრულებით არ ვეხებით აკად. ნ.
გარის მსჯელობას „თუ, დუდი, თავ“ის ურთიერთობისა და *თავთის
ძირის აღდგენის შესახებ. საქმის ვითარება ჩვენ სხვაგვარიდ გვაქვს
წარმოადგენილი...



5. ათ-ი = ს. ე-ჟდ = მ. გით-ი (ამის შესახებ იხ. ჩემი „ოცობითი თვლის სისტემისათვის ქართველურ ენებში“: ტფ უნ. მთამბე, VI, გვ. 295, გვ. 3).

6. ხეთ-ი = ს. ე-თხეჯიშდ (< *ხეშდ; უთ- უთხეთხეჯის ანალო-
გით უნდა იყოს დართული *ხეიმდ' ს) = მ. ხეთ-ი (კან. ხეთ).

7. თიბეგა = ს. და-შდაბ (‘მუშაობა’ს ნიშნავს საერთოდ) = მ. თიბეგა, კან. თაფადა. სვანურში, ოთვორც ვხედავთ, სე-
მასიური მნიშვნელობა გაფართოებულია. მოთიბული ბალახის სახელწოდება მეგრულ-კანურში თიბეგა გახლავთ, ომლის ექვი-
ვალენტი ქართულში *თაბა უნდა ყოფილიყო და არა თიბე-
გაშდ. ქლაბა — ქლაბეგა; ბარვა — *თაბა — თიბეგა (სათაბედი ქუმა-
ნაშ: გრგ. ხანძთ., ია.); *თაბა — თიბეგა; დებეგა — დაფეგა...]¹.

8. თოვს = ს. შდეუე = მ. თენს (კან. თემს, მ-თვეუს)
სვანურ-კანურის მიხედვით ძირად თეუე უნდა მოვიღოთ. მარ-
თლია, უ აშენყოს ჯვალუ ში -უნ-, -უმ. (მეგრ.-კან.) და -ოვ (ქართ.)
სუფიქსების დართვის წყალობით გვეკარგვის, მაგრამ დაცული
გვაქვს კან.-ის ნამყოსრულის მიმღეობაში: თვ-ირი, მ-თვ-ირი,
სადაც -ირ-ი ვნებითი გვარის ნამყო სრ. მიმღეობის მაწარმო-
ებელია. მეგრული უფრო შორს წასულა: იგი ძირეულ უ ს მი-
მღეობაშიაც ჰყარგვას: თ-ირი (‘თოვლი’), მაგრამ არა მარტო
ამ სიტყვაში, არამედ სხვებშიაც (შდ. ქ-ირი || ქ-ირი ‘ფქვი-
ლი’). თოვაში -ოვ რომ მართლაც სუფიქსია და არა ძირე-
ული, ამაში ჩვენ ქვემოთ დავრწმუნდებით. რაც შეეხება თოვდ
ნომენს, იგიც მეგრული თარის მსგავსად ნამყოსრულის მი-
მღეობას წარმოადგენს, მაგრამ -ილ სუფიქსის ნაცვლად -ლ-თ
წარმოებულს. თანამარტ მაგალითი საკმაოდ მოწეულა ჩვენამ-
დე: თესლი, ქუმლი, ღუჭა... (ამათ შესახებ მაშან ვიმსჯე-
ლებთ, როცა უქართველური ენების სრულს ხშოვანება“ზე გვიქ-
ნება ბაასი (შდ. იოლ. ანx. յა., 28)...

¹ რაც შეეხება სვან. „ლი-თი“-ს (“მყა”), შეიძლება სესხების
გზით ქართ. „თიბეგა“-საგან იყოს მიღებული.

3. ქართ. შ = სვან. სგ (|| შგ) = მეგრ. სქ (|| შგ) = მეგრული შემცირებული სახელი (კანურში აშენება, ცა არის; იხ. გде сохранилось сван. скл.: ИАН 1911, გვ. 1201 და ქფ. назв. дер. и раст., 825).
2. შენა = ს. ა-სგე = მ. სქანი (მეორე პირის ნაცვალსახელისთვის იხ. Извл. св.-р. сл., 28, №).
3. შებდი = ს. სგაბინ (‘შინ’; გде сохр. св. скл., 1203, გვ. 2).
4. შეა (< შოვა: ხელნ. № 1147) = ს. ა-სგა = მ. შქ.
5. მგადი = ს. ა-შგეაღ = მ. მქვითი (იხ. ზემოთ 1, 2).
6. სვან. შგრა = მეგრ. შქერა (ქართულში ეს სიტყვა მეგრულიდან უნდა იყოს შემოტანილი).
7. სვან. და-ფშევა (‘გახსნა’, ნაფშევა — ‘ნახსენი’; ძირია: ფიშევ) = მეგრ. ფაშქევა, ფაშქევა (ჯემქანია ‘ბატიბუტი’).
8. სვან. და-შგდე (< * და-შგედე) = მეგრ. შქიდირი (‘კადრები’); აქედან უშგდა = უშექიდარი (‘უკადრისი’) ¹ ...
4. ქართ. გ = სვან. (*გ ||) ჯ = მეგრ. (-ჭან.) გ:
1. იგი = ს. ეჯი, ეჯა (Справн. обз. морф. ибер. гр., 10 და Пол. абх. яз., 21).
2. გბობა, გბოდევა = ს. და-ჯნბ = მ. გაბუა (რაც მეგრულში აბედას ხარშვა-მზადებას ნიშნავს. ხოლო კანურში თგაბუ, თგუბუ = ‘ხარშვა’ს).
3. გვედი = ს. ჟაჯ = მ. გვერა (ნასესხებია ქართულით).
4. რგვა (ნე-რგ-ი) = ს. და-ლჯენი = მ. რგუაზა.
5. ჰგავს = ს. ხაჯეშ (და-ჯონე) = მ. გუ...
5. ქართ. ს = სვან. შ = მეგრ. (-ჭან.) = შ:
1. ასი = ს. აშირ = მ. აში (შდ. ქართ., I, 145).
2. ასე = ს. აშ = მ. აში || თ-აში.
3. სვან. -შალ = მ. შორთ (ნანშალ — ნინშორთ ‘ენასავით’)

¹ ქართ. შ და სვან. შგს შესატყვისობისათვის იხ. ქფ. назв. дер. и раст., 829, გვ. 1.



4. სივება = ს. დი-შე = მ. შინაფა.
 5. სეუნება = ს. დი-შემინე || დი-შემ (ფუძეა: შომ) = ა.
 შეანდა (|| სვანება).
 6. მისუამს = ს. მაშეა = მ. მაშემუ (სვანურ-მეგრულით
 ძირია *შე, ქართულით კი *სუ: სუმა (სუ-ამ-ს), შე-მა; იხ. იტ. ახ.
 ახ. յა., 23)...

კმარა. ეს ნაწილი ისედაც გაგვიგრძელდა. როგორც მკი-
 თხელი შეამჩნევდა, ჩვენ სრულებით არ მოგვიყვანია აქ
ხმოვნება შესატყვისაბა. ეს განვეძებით გვილებით რთულაა; იგი
 სპეციალ მიმოხილვის საჭიროებს. ამჟამად კი ჩვენი მიზანი შე-
 მოფარგლულია და იმით აიხსნება, როგორც მასალის სუ მცი-
 რე ოდენობით წარმოდგენა, ისე გვერდის ახვევა ისეთი დი-
 ლი საკითხისათვის, როგორიცაა ყად. ნ. მარის გამოთქმით
 ე. წ. „თუმალ-კახნური ფენის არსებობა სვანურში“ (იხ.
 Тубал-кайнский вклад в Сванском, СПб. 1912 და სხვა
 წერილები). მოყვანილი შედარების გამართლება მხოლოდ იმით
 შეიძლება, რომ ქვევით საანალიზოდ დაგროვილი მასალა
 სწორედ იმგვარივე ხასიათისა და ბევრითი შედგენილობისაა,
 როგორც ზემო სახელდახელოდ შერჩეული მაგალითები. ამი-
 ტომ გასაკვირი არ იქნება, თუ ჩვენ ამ წერილში არ ვიმსჯე-
 ლებთ სვან. ჭარა და შეს გენეტურ ბუნებაზე: პირველი (ჭა) მარ-
 თლა იგივე გაპალატალებული განია თუ არა, ან სვანუ-
 რი შეინიანი სიტყვები მეგრულიდან შემოხიზნულია თუ არა.
 ზემოხსენებულსა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს ჩვენ
 ცალკე დავუბრუნდებით და დაწვრილებით გინვიხილავთ...

II

ამგვარი წინასწარი შემზადების შემდევ შეგვიძლია პირ-
 დაპირ საგანს შევეხოთ და შეძლებისდაგვარად გამოვარკვით
 უცელა ის ფონეტიკური მოვლენა, რომელთა შეხვედრის წყა-
 ლობით ზოგი სიტყვა იმდენად შეცვლილა, რომ დღეს სულ

სხვა სახით გამოიყურება. მათი პირვანდელი ფორმის მრავალუბაზე
საკიროა მხოლოდ შედარებით-ისტორიულ მეთოდს მცდელობრივადაც.

1. ასიმილაცია.

შეზობელ ბერითა შორის დამსგავსება ქართულში ჩვეულებ-
რივ მოვლენადაა ქცეული. მაგრამ უფრო მეტი გავრცელება
მოუპოვებია მას კილოვებში, განსაკუთრებით კი გურულში (საი-
დანაც შეიძლება ასეთი მაგალითების დასახელება: ფხარი (< შხა-
რა); ვინცა, რაცა (< ვინც + და, რაც + და); წახოა (< წახდა < წაგდა);
გუშხამ (< გუშლამ: გრ. δρ.-გრ. ιαζ., 113); ხვია (< ხბო < გბო); ...
აგრეთვე ბერივი (< ბერშავი < ბერშავი: გრ. δρ.-გრ. ιαζ., 016) და
სხვადასხვა მრავალი). სვანურს კი ასიმილაცია მაინც დამაინც
არ ახასიათებს; მაგრამ არის ერთი შემთხვევა სვანურში, რომე-
ლიც თავიდან ბოლომდე გატარებულია: ეს გახლავთ დ' ს
ხ' თან დაყრუება, ე. ი. თ' დ ქცევა, დამსგავსება.

აი მაგალითიც: ზემოდადგენილი ფონეტიკური შესატყვი-
სობის თანახმად

1. ქართ.-მეგრ. ოთხისა და ჟან. ოთხას გვერდით სვა-
ნურში ერთგული სადაც უ ასე წინ განვითარებულია; შდ-
ჭ-თხხი) უნდა ყოფილიყო, გვაქვს კი ერთგული. ცხადია, იქ ასი-
მილაცია მომხდარია დ' ისა ხ' თან. ამ სიტყვის პირვანდელი
სახე იქნებოდა *თშდხე, რაც სწორად აქვს აღდგენილი ბკალ-
ნ. მარს (იხ. იველ. ცვ.-რ. ცლ., 18)¹.

2. ბალსზემოურიდ ‘წიხლი’ იქნება აშტე, ხოლო ქვემო-
სვანურად — იშტხე (იველ. ცვ.-რ. ცლ., 33). უკანასკნელში
ხ' ს დართვით წინამავალი დაყრუვდა... მაგრამ ასეთები არ
გვაინტერესებს. ჩვენთვის გაცილებით უფრო საყურადღებოა
სხვადასხვა ბერითი მოვლენების შეხვედრა. განვიხილოთ

¹ აქ ვერ გამოვეკიდებით აქად. ნ. მარის თვის „ოთხ“სა და „ბორდღვა ॥ ფორთხვა...“ს შორის შესაძლებელი კავშირის განხილ-
ვის (დრ. ტრ.-რ. ცლ., 8; გრ. δρ.-გრ. ιαζ., 77).

ბ. ასიმილაცია რედუქციის შემდეგ.

ეროვნული
გიგანტები
სემასიურ

სათაური გულისხმობს, რომ ერთსაღამივე სემასიურ ერთეულში ჯერ რედუქციას უნდა ჰქონდეს ადგილი და შემ-დეგ ხმოვნის დაკარგვის გამო შემთხვევით შეხვედრილ ორ თან-ხმოვანს შორის ასიმილაციას. მაგალითისათვის ავილოთ სვა-ნური სიტყვა შდის, რომლის ფონეტიკურ-სემასიური ექვივალენტი ‘თხილო’ა. თუ ამას ჩვენ ხმოვნით დათავებულს (თავში) ან ხმოვ-ნით დაწყებულს (ბოლოში) ფორმანტს წავუმატებთ, მაშინ ი და-იკარგება და დამზიდლებული და >თხილი, როგორც ამას ზემო-მოყვანილი მასალა გვიჩვენებს. მაგრამ კითხვა იჩადება, თუ რა-ტომ უნდა დაერთოს ასეთი ფორმანტი? პროფ. აკ. შანიძის განმარტებით „რედუქცია... იმაში მდგომარეობს, რომ უკეთუ პრეფიქსი ხმოვნით თავდება და მაშასადამე მისი მარცვალი ლიდა ბოლოში, იგი ჩვეულებრივ ფუძის დასაწყის თანქმოვანს მო-იკრავს და მარცვალი დაიხურება, რასაც შედეგად მოჰყვება ხოლმე უმეტვეოდ მომდევნო კმოვნის ამოლება ფუძიდან; ხო-ლო როდესაც სუფიქსი კმოვნით იწყება და მაშასადამე ლიაა თავში, მაშინ იგი წინამავალ ფუძისეულ თანქმოვანს მიიკრავს ხოლმე და ამით წინამძლოლ ფუძისეულ კმოვანს ამოილებს ხოლმე“ („შელიწადის ექიმოლოგიისათვის“: ქართ. საენაომეცნ. საზოგ. შელიწადეული, I—II, გვ. 7). მაგრამ მიუხედავად ამ-გვარი პირობის დაცვისა, სვანურში სხვა ვითარებაც არის გა-სათვალისწინებელი; სახელდობრი ის, რომ სვანური, რომელსაც უაღრესად განუვითარებია ხმოვნის შეკუმშვა-დაკარგვა, რედუქ-ციას ერთმარცვლიანებში არ ახდენს, რაც აქვე შაგალიობით შეიძლება განვამტკიცოთ: ჭან (‘ხარი’), ჭან-არ, ჭან-იშ; ჭამხ (‘უე-ხა’), ჭამხ-არ, ფეშხ აშ; ქორ (‘სახლი’), ქორ-ალ (< ქორ-არ); ცხეპ (‘ტყე’), ცხეპ-არ, ცხეპ-იშ და სხვ. ამ მხრით სვანურსა და ქართულს შორის დიდია განსხვავება და იგი, რასაკვირ-ველია, ცალკე საფუძვლიან დამუშავებას მოითხოვს. სვანურ-ში რომ რედუქციას დაურჩეს ადგილი, საჭიროა სიტყვა უსა-

თუოდ ორ- ან შეტ-შარცვლიანი იყოს, ანდა ერთმარცვლობრივი გასამარცვლიანდეს, ე ი. პრეფიქსი და სუფიქსი დაუკრძალება (იგულისხმება ხმოვნით დათავებული პრეფიქსი და ხმოვნით დაწყებული სუფიქსი!). ასე ემართება ჩვენს შდის, საც.

1. შდის ('თხილი'), ხოლო შდისინდ || შდესინდ ('თხილის ხე'); თუ უკანასკნელს მრარმოებელ ლე-პრეფიქსს დავურთავთ, მაშინ ა დაიკარგება და ზემოთქმულის თანაბმად დს—თხს მოგვცემს: *ლე-შდისინდ > *ლე-შდესინდ > ლეშთხინდ და ეს უკანასკნელი გვაქვს კიდეც. სწორედ ისეთივე გზითაა მიღებული სოფ. იქარს ახლო მდებარე აღვილის საკუთარი ლეშთხულ (< *ლა-შდის-ულ) სახელი.

2. ლი-შდეს ('შემოლევა, შემცირება, დაკლება') მიმარტებული მრივლობითობის შაჩვენებელი - ლ სუფიქსი (ან სხვა ფორმანტი) იქცევა ლიშთხულიდ (< *ლი-შდეს-ლ), რაც მართლაც ასეა ხმარებაში.

3. 'დამარხვა, დასაფლავების' აღმნიშვნელი სიტყვის ძირი სვანურში *შდეს-უ || *შდედ-უ რომ არის, ამას ცხადად ამტკიცებს ნამყოსრულის მიმღება: ნაშდედუ || ნაშდეს(უ) ¹ ('ნამარხი'). ქვემოსვანურში თუ მას ზემოაწერილის მსგავსს ფორმანტს დავურთავთ, მაშინ რელუქციაქმნილი უ მომჟევნო უს გავლენით დაიკარგვის და და ხ ერთურთს შეხვედება, რაც საკმაოპირობაა პირველის თ'დ ქცევისა: *ლი-შდესუ > *ლი-შდესუ > *ლი-შდესუ > ლი-შთხუ. ეს უკანასკნელი (და მისთანები: ხეა-შთხეა 'ვმარხავ', მიშთხუა, 'მიმარხავს'...) გ. ფოჩიანის მო-

¹ ბალსზემოურში ძირეულად ლა მიჩნეული, ხოლო ქვემოსვანურში ხ. ამიტომ დასადგენია მისი პირვანდელი სახე. ვინიცობაა დამტკიცდა, რომ პრიმარი ხანია, მაშინ დაისმება საკითხი „შდობუ-სა და ქართ. „თხ(ა)რა“ და მეგრ. (-ჭან.) „თხორუა“ს ურთიერთობის შესახებ. თუ სვანურის ფონეტიკური სიტყვისი *თხს [v = vocalis, რითაც ჩვენ ჯერჯერობით აღუდგენელს (ა'ა, ე'ა, ო'ა, თუ სხ.) ხმოვანს აღნიშნავთ] „თხ(ა)რა“ში არ აღმოჩნდა, მაშინ ეგების მოიძიოს „თხ-უნ-ელ-ა“ში (?). ერთი კი ამ თავითვე ცხადია, რომ მას არაფერი საერთო უნდა ჰქონდეს „თიკა“ და „თოკ“თან.

წმობით მართლაც ასე ყოფილი გავრცელებული ლაშეთში; ამიტომ გამოთქმის დაცვის თვალსაზრისით და ჩვენი უძრავი მეცნიერება ხედვით შეცოდნაში უნდა ჩაითვალოს ბ-ნ არსენ ონიანის მართლწერა: დაშვინვად, ჩაშვინვის, ჩელუშვინან... (იხ. მისი სვან. ტექსტები, 34₆, 37₂₄₋₃₄...).

4. ზეთკარ ('პაიჭი') თავის ფორმით — არ დაბოლოებით — თუ dualis არა, მრავლობითი რიცხვი მაინც არის; წინააღმდეგ შემთხვევაში (-არ რომ ძირის კუთნილება ყოფილიყო) რედუქციის ადგილი არ ექნებოდა. დღეს იგი შესისხლხორცებულია და ფუძისეულად მიიჩნევა. ავ სიტყვის ძირი *ზედეპ || *ზედეპ რომ არის, ეს შემტევი მიგალითებიდან ირკვევა: ზეთკარ || ზეთკარში — პირველი ხმოვანია ეს; დეზდეპარ ('საპაიჭე'), უზდეპრა ('უპაიჭო'), ღუზდეპარში ('პაიჭიანი') — ე მეორე ხმოვანია (პირველ შემთხვევაში — ზეთკარში — შეორე ე დაიკარგა რედუქციის გამო, ხოლო დანარჩენებში — პირველი ე ან ე). მაშასადამე გამოდის, რომ აქაც რედუქცია-ასიმილაციის შეხვედრასთან გვაქვს საჭმე: *ზედეპ-არ || *ზედეპ-არ > *ზედეპ-არ > ზეთკარ¹ (შდ. იაფ. ჩარ. დეр. ი რასტ., გვ. 772)...

მოგვეპოვება თუ არა ქართულში ამის მსგავსი შეგალითი?

5. ტექს ზენას თუ ვაწარმოებთ ნასახელარი ზენის *ედ² ფორმანტით, მაშინ, ცხადია, ფუძისეული ე შეიკუმშება და

¹ უნდა შევნიშნოთ, რომ დაონის ხ, კართან ასიმილაციისთვის ალბათ ერთი პირობაც უნდა იყოს დაცული, ე. ი. შეხვედრილ (რედუქციის გამო) და, და კომპლექსს წინ სხვა თანხმოვანიც უნდა უძლოდეს, როგორც ხემოთ გვქონდა ("შეზთხუ, ლიშთხულ, ლიშთხუი"), რომ ასიმილაციას დაურჩეს ადგილი, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება დამსგავსება არ მოხდეს. ამას გვაფიქრებინებს ქვემოს განური "ზედუარ" და ბალსხემოური „ლადვიზ“ (< *ლა+დვ-იზ) 'სათხე, დასამწყვდევი') სიტყვები.

² ნასახელარი ზენების შესახებ ჩვენ ცალკე (ეტიმოლოგიებში) გვექნება მსჯელობა და მაშინ შევეხებით ამ ფორმანტსაც.

ტ. კომპლექსი მოგვევლინება, რაც ასიმილაციის ფორმა და მოგვცემს; ამიტომაა, რომ ქართულში ტეხას ჰელიო-სასიკი ტერომის გვაქვს (შდ. აკ. შანიძე, ნასახელ. ზმენი ქართულში: ტფ. უნივ. მოამბე, I, 89).

6. სვან. და-ჯიშ'ის ('ქსოვა') ფონეტიკურ ექვივალენტიდ ზემოდადენილი წესის თანახმად ქართულში უნდა გვქონდეს: ჯ' ს მაგიერ გ, ა' ს ნაცვლად v² და შ' სი—ს, ე. ი. *გvს, რა-მაც -ოვ³ სუფიქსის დართვით ჯერ ხმოვანი (v) დაკარგა და შემ-დეგ გ' ს ს' თან ასიმილაცია განიცადა და მოგვცა ქსოვ (< *გvს + ოვ > *გ' ს-ოვ)⁴. ამის შესატყვისი მეგრ.-კანურში შ-უ-ადა, ღ-ე-უ-

¹ ტხ' საგან ტყ კომპლექსის მიღებაში უთუოდ ხელი უნდა შეეწყო ტხ' ს ჩვეულებრიობას ქართულში: „სიტყვა, ტჟუილი, ტჟვე“ და სხ.

² ჯერ გამოსარკვევია ეს ი („ლი-ჯიშ“-ში) ნამდვილად ძირე-ულია, თუ თანხმოვანთ გასაყარი, როგორც ამას მეგრულში ხშირად აქვს ადგილი; მაგრამ ეს ცალკე. მანამდე კი პირობითად დავტოვოთ ის ძირეულობა.

³ -ოვ'ის სუფიქსის დამტკიცებას ამტკიცებს: 1. მისი გაქვავებული სახით ხშირი არსებობა ზმენბში: „წოვა, ძოვ-ნ-ა, პოვ-ნ-ა, თოვა (შდ. ზემოთ გვ. 202), გლოვა, თხოვ-ნ-ა“... 2. ის, რომ იგი ძევლს ქართულში ჯერ კიდევ ალბათ ცოცხალი ელემენტი იყო, როცა აწარ. მოებდა „კრემლოვინ“ (ი ბოლნ. 50_{II}); ცოცხლოვოდა (TP, III, ლდ₃₀); პეროვიდა (მრკვ. IX, 20, ბენეშევიჩის გამოცემით); თესლოვოდა (გამოსლვათაც 9₃); მალლოვინ“ (ი ბოლნ. 54_{II}, 60_I)... 3. ისიც, რომ სხვადასხვა ფორმანტებით წარმოების დროს იგი იკარგვის: კხ-ოვ-ნ-ა : კხ-ენ-ებ-ა; ქხ-ოვ-ა : ქხ-ელ-ი (ს. ჯანაშიას ზენიშენით); მი-ტ-ტვ-ებ-ა : და-ტ-ტვ-ებ-ა... 4. ვასდარის სუფიქსების სისტემა: -ამ:-ემ:-ომ || *-აბ:-ებ:-ობ || -ავ:-ევ:-ოვ (ამათ შესახებ დაწვრილებით ცალკე) და უკანასკნელ 5. მეგრულ-სვანურში მისი უგულებელყოფა: გლ-ოვ-ა = ლი-გენ-ი = ნ-გარ-ა ("ტირილი"; პროფ. ა. შანიძის ჩვენებით); წოვა = წუალა [ძირია წ(უ?); შდ. ითხოვ. ახ. յა., 46; გრ. დρ.-გრ. յა., 150]; თხოვნა = თხუალა (ძირია: თხ) და სხვ. -ოვ რომ მართლაც ძირისული ყოფილიყო, იგი მეგრულსა და სვანურში უსათუოდ იქნებოდა წარმოდგენილი.

* ამგვარსავე დასკვნამდე მისულა პროფ. აკ. შანიძე, როგორც ეს მისთან პირობებიდან აზრის გაზიარების დროს გამოირკვა.

გვაქვს, რომლის შ ძირი, აკად. ნ. მარის სამართლის შემცირები ნიშვნით, სის ეთანაბრება, მაგრამ არ არის ქართ. ქ შეგრულ ში წარმოდგენილი. მას ჩვენ არც მოველოდით, რაღვანაც უკანა- ენისმიერი ბგერები (ხ, პ, ტ...) ან ლაუტში, ციშლაუტების (ს, შ, ტ...) წინ მდგომი, მეგრულს ნიადაგზე იყარგვის: ქ-ოვა = *ქ-უადა > შუადა; ქსენ-ება = *ხშინ-აფა > შინაფა; ქცე = ხჩე (ახეა ქანურში, მაგრამ მეგრ.-ში) > ჩე... (ამის შესახებ ცალკე გვექ- ნება წერილი). ყველა ამის შემდეგ ჩვენ უმართებულოდ გვეჩვენება როგორც პ. ჭარაიას, ისე აკად. ნ. მარის ქსოვა ზმნასთან დაკავშირებული მსჯელობა (ОТН. абрх. яз., 25).

7. პროფ. აკ. შანიძეს ძვ.-ქართულში ხმარებული შთა წინდებული (შთაბერა, შთაბეჭდილება, შთაკადა..,) შე+და პრეპო- ზიციებისაგან წარმომდგარად მიაჩნია, რასაკვირველია, ეს ამო- ვარდნითა და შდ'ს ასიმილაციით.

შეიძლებოდა ახალი-ქართულიდან თანიბარი მაგალითების საკმაოდ წარმოდგენა, როგორიცაა, ვთქვათ, ფაჭაჭმნისაგან მიღე- ბული ცთას (გამოცთა) და სხ., მაგრამ ესენი იმდენად ადვილი გამოსარკვევი არიან, რომ მათ შესახებ ბაასით წერილის და- ტვირთვა მიზანშეწონილია არ მიგვაჩნია¹... ახლა ვნახოთ:

8. ასიმილაცია თანხმოვნის დაკარგვის შემდეგ.

მაგალითები გვექნება ახალი-ქართულიდან. ძველი-ქარ- თულის ენობრივი მასალა ახალში თანხმოვნის ამოვარდნით საკმაოდ გამარტივდა; ამას ზოგიერთ შემთხვევაში სხვა ფონე- ტიკური მოვლენა (კერძოდ: ასიმილაცია) დაერთო და სიტყვაც შეიცვალა. ით ფაქტი:

1. ძვ.-ქართ. ხლდომა (ფიდოდა და ხლდებოდა: ს. ჯან ა- შია, ცხ. წმ. საბახესი, 18₃₉; მოვადს ხლდომით შთათა ზედა:

¹ რაც შეეხება „საბრეე“ სიტყვას, მიღებულს „სა-ფერეი“-სა- გან, მას ცალკე (ეტიმოლოგიებში) განვიხილავთ.

ალ. ცაგა რელი, Свед. I, 25) ახალში ხტოჭეჭურიშვილი იქცა, რასაკვირველია, დას გამოცლის შემდეგ.

2. ღრწენა (ღრწენამ კიდეთამ: ადიშ. სახ., მათე VIII, 12; ადრწენი კიდეთა: ib., მრკზ. IX, 18...) თანამედროვე ქართულში ხტენა, დ მოგვევინა (ჰეკდა კიდელებ-დასტენიდ ძადდს: პ. ლომთათიძე, II, 20₁; ხტენს კიდეგებს: მისივე, ტ. I, 158₂₂)... ასეთივე გჩითაა მიღებული, ვთქვათ, გურულში: აბრა (== აკლდა; ძ. საქართ., IV, 47₁₁); მთკრა (ib., 47₁₅); განთა (ib., 51, 58₁₃...) და სხვადასხვ., რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

მეგრულიდან მხოლოდ ერთ ცნობალ მაგალითს მოვიყან, სახელდობრ დღეების ნომენებს:

3. ოუთაშეს, თახაშეს, ჯუმაშეს, ცაშეს... (შდ. ჭანური), რომლის გენეზისი პროფ. ი. ყიფ შიძემ მშვენივრად წარმოგვიღ გინა: ოუთაშ ('მთვარე'—ნათ. ბრ. ფორმას) + დდა ('დღე'); ცაშ ('ცა') + დდა... აქედან დას გამოცლითა და დას შესთან დამსგავსებით მივიღეთ ზემოხსენებული სახელები (იხ. გრ. მინგრ. յა., § 129 და იმ წიგნის შესახებ აკად. ნ. მარის რეცენზია, გვ. 5; შდ. პოლ. ახ. յა., 33)... კმარა მსგავსი შემთხვევების ჩამოთვლა. ახლა განვიხილოთ

ღ. ასიმილაცია მეტათესის შემდეგ.

ვარგისი მაგალითი უნდა იყოს მხოლოდით რიცხვში მოცუმული

1. სვანური დაკუდ ('თხა'), რომლის -ედ ნაწილი ალბათ მის კნინობითობის მაჩვენებელია, თუმცა სვანთ ეს სიტყვა კნინობითად არ ესმისთ (შდ. ჯუმილ, დაშდუდ: იხ. ქვემოთ). მრავლ. რიცხვში -ედ ნაკვეთი ზოგიერთ კილოში ჩვეულებრივ იკარგვის და ასე გამოთქვამენ: დაკარ, დაკრეშ (ნათ. ბრ.; იხმარება, რასაკვირველია, დაკარან'იც, უდაკუდა—'უთხო'...), რაც გვაძლევს საბუთს -ედ ფორმანტად მიღიჩნიოთ და *დაკ ძირად გამოვაცხადოთ. ამ უკანასკნელს ქართულში სემასიურად და ფონეტიკუ-

რადაც ‘თხა’-სიტყვა ჰეთავის [ძვ.-ქართულითაც უწევს გერმანული და ინგლისული მისათა სადგური... არა (ხანძთ., პე); აქედან: თხიერი (იბ. დრ. გრ.-რ. ცლ., 10): არავინ შთასსის დუნთა ასაღი თხიერთა ჩედთა შეკეთე არა განხეთქის (sic)... თხიერნი... თხიერნი იგი წარწერიან... თხიერთა ახალთა შთასსინ (ალიშ. სახ., მ-რკზ I, 22; შდ. მათ IX, 17; ლკ. V, 37, 38)]. მაგრამ კითხვა იმადება, თუ როგორ შეიძლება ფონეტიკურად შევუთანხმოთ ერთორთს *და და თხა? ამ საკითხის გასაშუქრებლად საჭიროდ მიგვიჩნია შევეხოთ სვანურსა და ქართულში არსებულ ხმოვანთა განრიგებას. ჩვენი ექსკურსი, ცხადია, მეტისმეტად მოკლე იქნება ამ შემთხვევაში (მას ცალკე დავუბრუნდებით), მაგრამ საყურადღებო. აღსანიშნავია, ერთის მხრით, ის გარემოება, რომ როცა ქართ-მეგრულში ხმოვანი ბოლოებიდურია, მაშინ იგი სვანურში ინ-ლაუტიდ გვევლინება, რაშიაც ქვემოჩამოთვლილი მაგალითებიც დაგვარწმუნებს: ღღე || ღღა—ღღა-ღღდ; მჴე || ბჴა—მიჴ (ღემჴ ‘სამზეო’). და თუ, მეორის მხრით, მხედველობაში მივიღებთ იმ აღვილად დასაშვებს (და ვგონებ, სწორს) მოსაზრებას, რომ ქართულშიაც სვანურის მსგავსად დღეს გარემოქცეული ხმოვანი ოდესლაც ინლაუტი უნდა ყოფილიყო, რომლის მშვენიერ საილუსტრაციოდ ძაშ-ია მიგვაჩნია (შდ. ღედაია, მაშაია, დაა...), სადაც ძა ფორმანტია; ძაშ —ძირი (წოდებითში: ძაშ-თ) > ძმად და არა ისე, როგორც პროფ. ნ. მარს ესმის (Яф. про-ისხож. абх. терминов родства, 1912, გვ. 429; შდ. ქართ. ერის კულტ შუბლი... „მნათობი“ 1925 წ. № 5-6, გვ. 295; ხოლო ხმოვანთა „მოძრაობისათვის“: Заметки по яф. кли-нописям: ИРАИМК, III, Ленг. 1924, 298)] და უკანას-კნელ, მესამე მხრით, ბგერით შესატყისობასაც გაუწევთ ან-გარიშს, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ ქართულში დღევანდე-ლი თხა მის პირვანდელ *დაქ სახიდან უნდა იყოს წარმომდგა-რი. მაშასადამე, თხა აღდგენილი სახით *დაქ ყოფილია. სვანურს-გი უცვლელად შეუნახვეს, ხოლო ქართულში მას „პერტურ-ბაცია“ განუცდია: ჯერ ა ხოლოში გადაუტყორცნია (მეტა-

თესი) და შეხვედრილი და კი ჭა დამსგავსებია: * თქა. მაგრამ უკავებები გორც ცალკე წერილში გვექნება ოღნიშნული, ქართულში შრემომზეა ნება თგა კომპლექსს ვერ იგუებს და ამიტომ გასაკვირი არ არის, თუ იგი ძველს ქართულში თხას მართლწერით გვხვდება. აქედან დასკვნა: სვან. * და და ქართ. თხა ფონეტიკურადც შეესატყვისებინ ერთმანეთს, ოღონდ უკანასკნელი თუ „განხრილად“ გვეჩენება, ეს იმიტომ, ორმ მან ჯერ მეტათესი და შემდეგ ასიმილაცია შეიწყნარა: * და > * და > * თქა > თხა.

რაც შეეხება მეგანულს, მასში ეს სიტყვა ქართულიდან გაღმოტანილად უნდა აღვაროოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი იქნება მისი ამ სახით არსებობა (მეგრ. თხას ქართ.-ში * თხე შეესატყვისებოდა, ოფორც ეს არის: ღდა — ღდე; ტჟა — ტჟე; ბჟა — ბჟე; ში... და თუ მართლაც ეს ასეა, მაშინ თხალ-ეფ, ში (plur.) დას ფლძისეულად მიჩნევა საკითხის გადასინჯვეს მოითხოვს)¹.

2. სვან. ლი-შგუდი (ძირია: * შგუდ; ლუ-შგუდ 'დამხრივალი') = მეგრ. შევიდა || შევიდავა და ჭან. ღშევიდუ || ღშევიდუ [‘ხშობა’; ძირია: * შევიდ (< * შეუდ). აქედან: შევიდერი (‘ხშობილი’), ჭა-შევიდუ || ჭა-შევიდა (მცენარ.; სესხების გზით სვანურშიაც შესულა: ჭა-შეუტახ (არს. კონისნ, მეგმ. იბალხ... ხორავ, 39) და სხ.). ამის სემასიური და ფონეტიკური შესატყვისი ქართულში * შედ ძირი იქნება, ხოლო ზმა — * შედობა, რელუქციით: * შეჭირა. აქედან ნომენი: * სი-შედ-ილი > ში-შედ ილი². ნამდვილად კი ოფორცია ეს სიტყვა ძველს ქართ.-ში წარმოგვენილი? აღმოსაცენდეს გვადნი და შემთვეს იგი (აღიშ. სახ., მათე XIII, 7; ლკ. VIII, 7); და შტერი... მთამთვე წეალთა შინა (ძვ. სახ. პ., ოვII¹⁵-ე); წელით რდვნისა შთვილნი (TP, IV, 3, 43); ბავისმიერი ბერია თუ დაერთო, ეს ვ' ც იკარვის: შეიშურა იგა და შემთობდა მას (აღიშ. სახ., მათე XVIII, 28); შემთობდა

¹ ეგების რამე გენეტური კავშირი იყოს „თხა“-სა და „თხილუა“-ს („წყესეა“) შორის, ოფორც ამას არნ. ჩიქობავა ჰქონიერობს.

² მშვენიერი მაგალითია ჭას გენეზისისათვის (ჭას საკითხს ძველი ქართულის ძევლების მიხედვით ცალკე გავაშუქებთ).

ምას (კიმენი, 33₃); შემხედველთა შეა შთ თბდა (o. ტარტოვის 1873 ვეფხ.-ტუ. 694₂)... ამგვარად, მოყვანილი მაგალითების მიხედვით, ძირად *შევ უნდა მივიღოთ, შედარების გზით კი—*შევ. როგორ შევათანხმოთ ერთურთს? იქნებ სხვადასხვა ძირია? თუ ერთიდაიგივეა, რად არის ასეთი სხვაობა? პასუხი გავსცეთ იმავე ძველი ძეგლებით: ჯერ ერთი—თეს ნაცვლად დ იყო მასალოდნელი. გვაქვს კიდევ: საცთურმან... შეა შდ ვის სიტუაც (ადიშ. სახ., მათე XIII, 22); ადმისტრისტეს ექალინი და შეაშდ ვეს იგი (ib., მ-რკ. IV, 7); გა შ-ს ექალთა... არა დაიშდ ვნან (TP, III, მ₂₈₋₂₉); რ-ნი შიშდ ვიდნა თავთა თვ-სთა შეიმთხუებენ (ib., LI)... და შეორეც — უ თანხმოვანთა შუა მოქცეული: და დააგდა ვეცხდი იგი ტაძარსა მას და მივიდა და ში შევდილ იან (ადიშ. სახ., მათე XXVII, 5). მაშასადამე, ჩვენ მიერ აღდგენილი *შევ-ობა სწორი ყოფილა; მას ძველი-ქართულიც აჯერებს. ამიტომ მიუღებელია იყად. 5. მარის რწმუნება, რომ თითქოს *შეთ იყოს ძირი (ქთ, VII, 358, შნუ. 1). მაგრამ ზემოდასმული კითხვისთვის — შოვ და *შევ-ის ურთიერთობის შესახებ — ჯერაც არ გაგვიცია პასუხი. ეჭვს გარეშეა, რომ პირველი უკანასკნელისგანაა მიღებული, რასაკვირველია, ბეგრათგადასმითი გზით: შდვ (< *შევ¹; -უ ხომ რედუქტია ქმნილი უ-ა. შეკუმშვა, ცხადია, მეტათესამდე განიცადა. ადიშის სახარების გადაწერის დროს მას, როგორც ჩანს, მეორე საფეხურიც (ასიმილაცია) განვლილი ჰქონია...). ამის მაგალითები ზემოთ ვნახეთ. შდვ-ს რომ შემდეგში ასიმილაციით შოვ მოეცა, აქ გასაკვირი არაფერია. დასკვნა: ძველსა და მით უმეტეს საშუალო-ქართულში ხმა-რებული შაშვილი, შთოა და სხ. წარმომდგარია მისი პრიმარისახის შ-შევ-იჯი. შედობა და სხ. სიტყვიდან. მან ორი ფონეტიკური მ-ოვლენა შეითავსა: მ-ეტა-თეს-ი და ა სიმილაცია).

ახლა გადავიდეთ უფრო რთულ პროცესზე, სადაც ორის მაგიერ სამი ბეგრითი მოვლენა იყრის თავს; ეს გახლავთ

¹ გადასმის შემდეგ უ გამოთქმის მხრით ალბათ ძალიან ახლოს იდგა ვ-სთან, თორემ სხვა პირობებში მისი (უ-ს) არწერა გაუგებრობად (შეცომიად) უნდა ჩაითვალოს.

ე. ასიმილაცია რედუქციის შემდეგ ბერის დაკარგფოზები
დართვით.

ესეც შედარებითი გზით გამოიწვლილება.

1. სეანური დეთხელ (შედარებითი ხარისხით: ხთ-დთხელა ‘ოხელი’) მიღებულია *დეთხ (< *დითხ) ძირისაგან -ელ სუფიქსის დართვით. უკანასკნელი (-ელ ბოლოსართი) თუ ქართულისაგან არ არის შეხიზული (მისი ქართულობა ადვილად დასაშვებია), მაშინ სვანურს ნიადაგზე უნდა აიხსნას (შდ. ჭერნ-ელ ‘ძველი’). ამის ფონეტიკურ შესატყვისად მეგრულში, როგორც მოველოდით, თათხუ¹ გვაქვს, ხოლო კანურ-ში — თათხუ, თუთხუ, თუთხი. ქართულში კი ბერითი ექვივალენტების დაცვით *დეთხ² უნდა გვქონოდა, ნამდვილად თხე-

¹ რაც შეეხება მეგრულშივე ხმარებულს „თხითხუ“ ფორმას, ე. ი. პირველ მარცვალშიაც ხს გამოყენებას, უნდა ვთქვათ, რომ იგი, როგორც ი. ყიფ შიძეს სამართლიანად შეუნიშნავს, მეორე მარცვლიდანაა გაღმოსული (შდ. „უზორუხალი, შხაშხი... გრ. მინგრ. კა., 07, § 3, 1).

² გამოდის, რომ სვანურშიაც და ქართულშიაც ერთიდაიგი-
ვი (*დეთხ || *დეთხ) სახე გვქონია, რაც, ამ შემთხვევაში ფონეტიკუ-
რი კანონზომიერების დაუცველობის გამო, მიუღებელია. ამიტომ უნ-
და გვეფიქრა, რომ სვანურმა (რომელშიაც *დეთხ < *დეშდე უნდა
ყოფილიყო) იგი ქართულისაგან (*დეთხ) ისესხა, მაგრამ ამას ვერ გა-
ვამართლებთ, რადგანაც სვანური თუ ისესხებდა, ისესხებდა მას -ეს
სუფიქსით, რა დროსაც ქართულში დ-ეს შორის ხმოვანი შეუძლებე-
ლია ყოფილიყო (სვან.-ში ხომ „დეთხელ“ არის, ქართულში კი *დთ-
ხელ || *თთხელ იყო!). ჩვენის მოსაზრებით, რაც ჰქეუასთან ახლოა,
სვანურს იგი „*დითხ“-ს სახით მაშინ უნდა გაღმოეტანა მეგრულიდან,
როცა ამ უკანასკნელშიაც *დითხ იქნებოდა, ხოლო შემდეგში -ეს
ფორმანტის დართვით დეთხელ მოგვცა. რომ მეგრულში ქართ.-სვან.
დ-ს შესატყვისად დ უნდა ჰქონოდა, ამას მრავალი ფაქტი უპერს
მხარს, მაგრამ თუ იგი დღეს თ-დ მოგვევლინა, ამის მიხეზი სხვაგან
უნდა ვეძიოთ; კერძოდ კი: „თუნთსა, თუთასა, თითხსა“ და სხვ. მის-
თანებში პირველი მოსალოდნელი დ-ს დაყრუება (დ>თ) მომდევნო
თ-ს ზეგავლენას უნდა მიეწეროს, როგორც ეს პროფ. ა. შანიძე მ
მოხსენებით გამოწვეული მსჯელობის უამს აღნიშნა.



ჯა მოგვეპოვება. საიდან? ცხალია *დღთხსაგან. თხელი შეკრიტული ქრისტიანობის მაჩვენებელი ეს სუფიქსია (შდ. კმ-ედა—გმ-თა; გრძ-ედა — გრძ-თა, სი-გრძ-ე; სქ-ედა — უსქ-ეს-ი, სი-სქ-ე; წით-ს (ცაშ) — წით-ედა; ვრც-ედა — სი-ვრც-ე; გურ-ედა — გურ-ეტა და სხვ.), რომლის მიმარტვით *დღთხს ში ხმოვანი (v) რედუქციისგამო მოილებოლა და *დთხელ სახეს მოგვცემდა. უკა. ნასკნელი კი ასიმილაციით *თთხელად იქცეოდა; და თუ მოვიგონებთ ქართულისათვის დამახასიათებელ წესს, რაჭ ორი თანაბარი თანხმოვნილან ერთი იყარგვის, მაშინ ჩვენთვის ნათელი წარმოსადგენია თანამედროვე და თუნდაც ძველს ქართულშივე გავრცელებული თხელას (ხოდო იქ... კორცათა თხელ: გრგ. ხანძთ. ბ₆₃) *თთხელად წარმოშობა. ამგვარად, თხელას ისტორია თვალსაჩინოდ ასეთია: *ჭყას (ძირი)+ ჭლ-ი (ადექტ. სუფ.) > *დთხელი > *თთხელი > თხელი. რომ ჩვენი მოსაზრება სწორია და ასეთი რისამე დაშვება შესაძლებელია, ამაში მეორე შაგალითით დავრწმუნდებით.

3. ასიმილაცია მეტათესის შემდეგ ბგერის დაკარგვის დართვით.

ამის მაგალითად და ზემოთქმულის პრეცედენტად ძველი-ქართ.-ის თთუე გვიგულება, რომლის ისტორია მეგრულ-სვანურის მეონებით გაიგება.

1. სვანური დთხელ ('მოვარე') კნინობითი ფორმითა წარმოდგენილი, სადაც კნინობითობის მაჩვენებელი -უდ სუფიქსი ახალი მინალები უნდა იყოს. მისი არაძირეულობა და შედარებით ახალი წარმოშობა მტკიცდება ამ სიტყვის ძველიდანვე შემონახული ნათესაობითი ბრუნვის ფორმით, სადაც მას ადგილი არა იქვს; ეს გახლავთ დღის სახელწოდება დთხელი (დთხელი, დთხელი, დემდიშ, დემდიშ—დიალექტური ვარიანტებია: ჩვლ. ცვ.-რ. ცლ., 22), რაც სიტყვა-სიტყვით 'მთვარისა' იქნება და ისე კი 'ორშაბათს' ნიშნავს (შდ.

ფორმით მსგავსი ჟეშებ—‘ფერკისა, ფერხული’, ხოლო უცნობი ურად მეგრ.-კან. თუთა შეს || თუთაჩეს—იხ. ბ, 3). ნათესაობით პრონოვაში მოქცეული დოშებიშ კი საშუალებას იძლევა, რომ ძირად *დოშე (+ იშ—ნათ. ბრ. ფორმანტია) მიიჩნიოთ და მეგრ.-კან.-ში დაცული მისი კანონზომიერი ფონეტიკური ექვივალენტით, როგორიცაა მაგ. თუთა (< *დუთა), შევამაგროთ. ამათ შესატყვისად ქართულში, თუ, რასაკვირველია, ზემომოყვანილი შედარების მონაცემით ვიხელმძღვანელებთ, უყოყმანოდ *დუთ-ე უნდა გამოვიყხალოთ, რომელის მსგავსი, მართლია, ჯერ ოსად ძეგლებში არ შეგვხვედრია, შავრამ ასეთი რისამე არსებობას ძველი-ქართ. თუთუ ერთის მხრით და მეორის შერით მეგრ.-სვან. თუთა (< *დუთა) და *დოშე გვაფიქრებინებს. ძველი-ქართ. თუთუს კი შემდეგი მაგალითებით შევაჯერებთ: უკე შემშეც თთკე არს (აღიშ. სახ., ლკ. I, 36); გიორგიშიაზობისა თთუებ რამ დადგეს (ხანძთ., იზ₃₁); თთუესა იანვარსა (კიმენი, 106₂₁; 111₁₆); თთუესა მიჭრავნისასა... (TP, IX, 13₁₀); თთუესა მას... მიიღდიანა (ლკ. I, 26); ადესრულნეს გქუსნა თთუენი (№ 1147, 10 b²) და სხ. ახლა კათხვა ისმება, თუ რა ურთიერთობაა *დუთე-სა და თთუეს შორის? ჩვენ გვგონია, რომ მათ შორის ისეთივე მიმართებაა, რასაკვირველია, პირველი ბერითი მოვლენის გამორიცხვით, როგორც *დოთხე-სა და თხელეს შუა ღუა ღოუა ღოუა თთუეს კი დოშელი-ქართულითაც დავადასტურეთ. მაშიალადმე, აკად. ნ. ვარის მოსახრება არ შეიძლება გაზიარებულ იქნას იმდენად, რაზდენადაც მას ძირად *თკო¹ მიაჩნია და არა

1 აკად. ნ. მარის მაერ აღდგენილ *თკო ძირს თითქოს ძველი-ქართულიც უმაგრებს ზურგს, სახელდობრ აღაშის სახარებაში იკითხება: „და იმალვიდა თავსა თვესსა ხუთ თკო და თქუა“ (ლკ. I, 24), მაგრამ ეს ჩვენ უბრალო lapsus calami-დ მივიღეთ.

*დუთ-ე (Др. гр.-р. сл., 10; შდ. Opr. Ax.², გვ. 64, № 65) არც პროფ. ი. ყიფ შიძეა მართალი, როცა იგი ბეჭდის მიუღია
თავმოყრას (თოუებში) მათ შუა მოქაული ხმოვნის თითქოს-
და გამოცლის (ვამოვარდნის) შედაგად თვლის („ასიმილაც. და
დისიმილაც. წესი...: ტფ. უნივ. მოამბე, I, გვ. 3).

ამგვარად, ძვ.-ქ. თოუე ორი ბგერითი მოვლენის წყალო-
ბით არის *დუთესაგან მიღებული: ჯერ მეტათესითა და შემ-
დეგ ასიმილაციით მაგრამ პროცესი ამაზე როდი შეჩერებულია:
მან საერთოდ ქართულისათვის დამახასიათებელი წესიც, რომ-
ლის მიხედვით ორი თანიბარი თანხმოვნისაგან ერთი იკარ-
გვის, შეიწყნარა, და სიტყვა გამარტივდა, ერთ თა მდე დავი-
და. ერთ-ერთ თას გაქრობას კი დასაბამი ძველსავე ქართულ-
ში მიეცა; იქ ვკითხულობთ: სამ წელ და ქქს ფკ (ლკ. IV, 25);
ოუესა შარტსა (TP, IX, დვ₂); ნეუბრასა თვსა დადეგით გან
(ხანძთ., იზ₃₅) და სხ.; მაშასადამე, ახალი-ქართულის თვე (ძვ.-
ქ. მართლწერით: ფკ) <თოუესაგან ერთი თას დაკარგვით,
ხოლო უკანასკნელი, როგორც ზევით იყო ნაჩვენები, <*დუ-
თესაგან. აქედან დასკვნა: თვე რომ *დუთესაგან მიგველო,
საქირო ყოფილა სამი ბგერითი მოვლენის შეხვეურა, მათი მო-
ქმედების თანამიმდევრობის დაცვა: მეტათესი + ასიმი-
ლაცია + ბგერის დაკარგვა. ამდენადვე ჩვენი სათაურიც
გამართლებულია.

რაც შეეხება *დუთეს სემასიურ მხარეს, უნდა ვთქვათ,
რომ მას ქართულში ოდესლაც ისეთივე მნიშვნელობა უნდა
ჰქონდა, როგორც დღეს მეგრ.-ქან. თუთასა აქვს, ე. ი.
იგი მატარებელი იქნებოდა როგორც ‘მთვარის’, ისე 30 || 31
დღის (მთვარის მოქცევის, ‘თვის’) სახელწოდებისა, მაგრამ
პირველი შინაარსი (შნათობის სახელი) ქართულში მას წაართ-
ვა თავს შმინისაგან ნაწარმოებმა შთობარე (ახ.-ქართ. > მთვარე)
მიმღეობამ (მთვარემან არა გამოსცეს ნათედი თვის: შ. გ. XXIV,
29; გრ. XIII, 24; იუს სასწაული შზესა და მთვარესა: ლკ. XXI, 25), ხოლო მეორე მნიშვნელობისაგან (‘თვის’,

30 // 31 დღის, ნომენისაგან) სვანურში იგი დაცალა უკანონობა
ლიდან შექრილმა ფუქ, სიტყვამ (შდ. Opr. Ax^{2.}, § 65;
ნ. მარი ცოდბა, რომ მას სვან. თრპ, თრ, თეპ [მისი მაგალი-
თებია] ბოლო თ მოკვეცილად მიაჩნია); მეგრულ-ჭანურმა კი
მისი პრიმარი შინაარსი დღემდე შემოინახა.

ახლა გვრჩება ერთი საკითხი, რომლის გადაჭრას ჩვენი
უკანასკნელი მაგალითების განსამტკიცებლად მნიშვნელობა
აქვს. კითხვა ეხება ისევ ძველი-ქართ. მართლწერით დაცულ
თხელება და თუუეს: რატომ არის, რომ უკანასკნელი ორი თა-
ნითაა ძველს ძეგლებში დადასტურებული და ჩვენთვის მოსა-
ლოდნელი და აღდგენილი *თთხელი კი მუდამ ერთი თანითაა
(იმავე ძეგლებში) გაღმოცემული? განსხვავება დროში უნ-
და ვეძიოთ. ჩვენ გვვონია, რომ თხელები თას წარმოშობა
და ერთი მათგანის დაკარგვა იმ დროს უნდა განეკუთნებოდეს,
როცა მწერლობა ან ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არ იყო,
ან სულ არ არსებობდა. მწერლობის დაწყების უამს ალბათ
იქ ორი თ არ ისმოდა და ამიტომ, ცხადია, გრაფიკულ გამო-
ხატულებასაც ვერ იპოვიდა. ხოლო თუუე სახე კი შედარებით
გვიან, ყოველ შემთხვევაში მწერლობის დაწყების ეპოქაში,
მიღებული უნდა იყოს და ამის გამო მისი ორი თას დაზღვე-
ული აღმოჩნდა.

იოანე გრგვაძის პინაკისათვის.

ტბეთის სახარება მეათე საუკუნის შიწურულისა, რომელიც დაულია ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკაში (ითანე ბატონიშვილის კოლექცია, ძველად № 212), საკმაოდ ცნობილი ძეგლია: იგი აღწერილია პროფ. ა.ლ. ცაგარლის მიერ¹ და ნაწილობრივ (სახელდობრ მათეს და მარკოზის თავი) გამოცემულიც არის პროფ. ვ.ლ. ბენეშვერიჩის მიერ².

ამ სახარების მომენტი ყოფილა ითანე მტბევარი, რომელიც ხელ ქორონიკონს (995 წელს), როდესაც ეს ძეგლი გადაუწერიათ, უკვე მაწყვერლად ყოფილა. ეს ითანე მტბევარ-მაწყვერელი თავის დროისათვის გამოჩენილი პირი იყო, — იგი ცნობილია როგორც საგალობლების ავტორი³. მის შესახებ რაიმე ცნობები არ არის შენახული. მცირეოდენი რამ ირკვევა ერთი მინაწერიდან, რომელიც დართული აქვს მის მიერ მოგებულ სახარებას და რომელიც აქამომდე ცნობილი არ იყო, ვინაიდან მელანი, რომლითაც დაწერილია იგი, თითქმის სულ ამომქრალა და ძნელი გასარჩევია. რამოდენიმე ალაგის სიტყვები აღარც კი ირჩევა.

შინაწერს უჭირავს 4 გვერდი (303v—305r), თვითეულ გვერდზე ოროლი სვეტია, თვითეულ სვეტში ცხრამეტ-ცხრამეტი სტრიქონი⁴. ნაწერია ნუსხა ხუცურით, გარდა აბზაცების ინიციალებისა, რომლებიც მრგვლოვანი ასოებითაა გამოყვანილი. თავში ქან-წილი და მინაწერის პირველი ასო (კ) წითურად არის გამოყვანილი, დანარჩენი კი სულ შავი მელნით არის დაწერილი. მომყავს მინაწერი ისე, როგორც წამიკითხავს 1915 წელს:

¹ Сведения о памятниках груз. письменности, Вып. 1, гл. 17—22.

² პეტერბურგის, მათეს თავი 1909 წ., მარკოზისა 1911 წ.

³ კ. კვანას ძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. I ტომი 1(უ. 1923), გვ. 170—171.

⁴ უკანასკნელ სვეტს გარდა, სადაც ორი სტრიქონია მხოლოდ.

203 v¹ კურთხეულ ორს ღ-თი ყ-ლთა
მ(ოწყალე?) კეთილის მყოფე-
ბითა მონათა (?)² ზ-ა რ-ი მო-
გუმადლა გარდარეუ-
5 ლითა მით სიყუარულითა
კაცთ მოყუარებისა თვისი-
სახთა რ-ლითა ძესაცა
თვისსა არა პრიდა ვ-ი
მოციქული იტყვს:³
10 რ-ი იგი მოვიდა სიგლახაკ-
ედ მამულისაგ-ნ სიმდი-
დრისა რ-ა დაგლახაკე-
ბულისა მის ბურებისა
შემოსითა განამდიდ-
15 როს ქნინი იგი სიგლახა-
კე და ღ-თ ყოს რ-ლსა
იგი პირველ უამისა
გულშან უთქუა
ღ-თ ყოფად

v² და დამძიმდა უნდილისა
შის ხილისა ჭამითა და დას-
ნეულდა მძიმისა მისგან
ხორშაკისა ვ-ე (?) სიკუდ-
5 ილდმდე მწარითა მით
სიკუდილითა დაშჯილი
გარდასლვისა⁴ პატიუთაგ-ნ:
პყრობილ იქმნა და ექ-
უსორია (?) კელსა ქუეშც
10 თავისა მის ბოროტისასა
ხ-რ-ნ იგი რისხევისა შ-ა მოიკ-
სენა წყალობად მოწევ-
ნისა უამიასა ხც იგი
ცხორებისად აღმოსცენდა
15 მისგ-ნე საშოხესა რ-ლითა

¹ ან: მოსავთა (?)

² შდრ. II კორინთელთა 8,9.

³ ან: გარდარეულთა (?)

სიკუდილი სოფლად ურთიერთება
შემოვიდა⁵ სავსტ ნაყო-
ფითა უკუდავებისა-
ხთა რ-ი ნეფსით დაიწნიხა
ჯ-ა ზ-ა და ასხური ცუარი
უკუდავებისად პირველ
შექმნულსა მას რ-ლითა
განცხოველდა: და კელ-
მიყოფით მიიღო ნაყოფისა
გ-ნ განმაცხოველებელისა:
რ-ლ არს თავადი ქ-ე კორ
ცთა მათგან საუფლოთა
ჭამა ნაშობითურთ და
ცხოვნდა ო-კე >
და ცხად იქმნა სიტყუად იგი
გ-დ აპა ადამ იქმნა
ვ-ა ერთი ჩ-ნგანი⁶ ვ-ა
გუესმა წ-თაგ-ნ მახა-
რებელთა რ- თუალმან
არა იხილა და ყურსა
არა ესმა და გულსა
კაცისასა არა მოჰკდა
რ-ლი მრავალთა მორწმუნეთა (?)
პსწადოდა ხილვად და
ხმენად და ვერ მიემთხვნეს:⁷
ესე არს წყაროე იგი რ-ლი
სამარიტელისა მიმართ
ითქუა: ვ-დ რ-ნ სუას
არა ოდეს პსწყურო-
დის: ⁸ და კ-ლდ რ-ლსა
პსწმენეს სიკუდილისა
გემოე არა იხილოს:

¹ ან: შემოვიდა (?)

² შექმნათა 3, 22.

³ მათე 18, 17.

⁴ იოანე 4, 14.

⁵ შდრ. მათე 16, 28; მარკ. 9,1;
ლუკა 9, 27.

და რ-ლსა უპყრიეს
სულსა შ-ა თვისა ამის
თანა (?) საგანც¹ აქუს
მამასა და ძესა (sic)

და სულისა მიერ წ-დისა
ოღმოიკსების მ-დს ცხო-
ველებისა წყალსა:

რ-ლსა მეცა გლახაკი და
უნარჩევესი ყ-ლთა შ-ს
მორწმუნეთა იოვანე
არა კუებულ მყო ლ-ნ
წესსა მონაზონებისასა
და პატივსა მლდელობის-სა
და სახელად მეწოდა
რეცა ეპისკოპოსი წ-ა
საყდარსა ტბეთისასა
და მოვიგე წ-დ ესე სხ-რბდ
მცველად თავისა ჩემისა
და სასოდ საწყალობ-ლისა
სულისა ჩემისა და

სალოცველად ლ-თივ გვ-
რგვნოსანთა მეფეთა ჩ-თა
დ-თ კრ-პლტისა და გუ-
რგენ მეფეთა მეფისა
და ბაგრატ აფხაზთა
მეფისა (დ-ბლმტა არიან
სასუფლველსა ცათასა)

და სალოცველად ყ-ლთა
თვისთა ჩემთა ცოცხალთა
და მიცვალებულთა

და მოსაქსენებელად ს-ლსა
შშობელთა ჩემთასა
არსენისა და მარიამისსა:

და რ-ა სურვილთა წადირერე-

ბისახთა მაქუნდეს გა- უროვნეული
ნუშორებელად უამსა გილაკორიცხა
კრინაკისა ამის მწირობისა
ჩემისასა და მოსალოდ-
ებელსა მას დღესა გან- 10
სლვისა ჩემისასა ამას
მივაყრდენ უ-ი სასოვე-
ბაა ჩემი

რ- მოვიქსენე მცნებად იგი

შველისად რ-ლსა იტყვს 15
ვ-დ შეიგენ ესენი მ-დს
ყ-ვლსა¹ შენსა ჯდომასა
და ოღვომასა ყ-ლდევ
საცოდ შენდა და იყვნენ
შეურყვეველ წ-ე თუა-
ლთა შენთა

და ესრეთ შევიყუარე

ესე უფროსს ყ-ლთა
საფისტთა და რ-ა შე
მდგომად მითარევისა ჩე-
მისა გეესენოს სიგლა-
ხაკი ჩემი: და წყალობით
კსენებად ჩემ საწყ-
ალობელისად მსახურნო
ქ-ესნო რ-ნი ლირს იქნ-
ნეთ აღმოკითხვად

და შემთხუევად წ-ა
ამას სხ-რბდსა მომნიჭე-
ბელსა კსნისა ჩ-ნისსა

რ-ა ერთობით ლირს ვიქ-
მნეთ მოტევებასა ცოდ-
ვათასა და აღმოვ-
თქუათ ქებად სამებისა
წ-დისად რ-ლი კუთხ-ლ არს
ო-კე ა-ნ.

ა. შანიძე.

¹ ან: საფასც?

¹ ან: ყოფნა (?)

კვლავ განვითარების ფართისა და განვითარების შესახებ¹. ურთისებული
გიგანტური ცენტრი

მანგლისის წარწერების შესახებ იმდენია დაწერილი², რომ
რისამე ახალის თქმა თითქმ ძნელი საქმეა. მაგრამ მაინც ვგედავ,
რომ ორიოდე სიტყვით შევეხო აღნიშნულ წარწერებს, რადგანაც
ჩემი შესწორებანი ზოგიერთი წარწერის წაკითხვაში არსებითად
სცელის საკითხს მანგლისის ტაძრის აღმზენებლის ვინაობის შესახებ.

მანგლისის გამგზავრებისას³ (1922 წელს, 29 მარტს საღამოს და
30 მარტს დილას) მე უმთავრესად წარწერები მაინტერესებდა, მაგ-
რამ ყველა კი არა, არამედ ერთი, სახელდობრ ღოდომას ძეთად
(ანუ ღოდომის ძეთად), სადაც გვხვდება ასეთი ჯგუფი ასოებისა: შჟვნ,
რომელსაც პროფ. ე. თაყაიშვილი ასე პკითხულობდა: შეჭუნდ-
ვნენ. ასეთი არა ჩვეულებრივი ფორმა⁴ მეტის-მეტად საყურადღებოა
და მე მსურდა, რომ იგი ადგილობრივ შემემწმებინა. მაგრამ წარ-
წერების გადმოწერისა და შემოწმების პროცესში არა ნაკლები ყუ-
რადღება სხვა წარწერებში მიიღორ, რადგანაც, ჯერ ერთი, ყველა
მათგანის შესახებ ლიტერატურაში როდია ცნობა და, მეორეც, რომ-
ლებიც გამოქვეყნებულია, ყველა სისწორით ვერ არის გადმოცემული.

¹ ქველი ქართული შრიფტის უქონლობის გამო იძულებული ვტდებით, რომ
რუცური წარწერები მხედრულად დავდევდოთ, რასაც მხოლოდ წინაშერი გამო-
ცემის მნიშვნელობა აქვს.

² ლიტერატურა: I) Надписи Манглисского храма. I. Извлечение
из письма И. А. Бартоломея (1—3); II. Обяснения Г. Броссе (4—8).
დართული აქვს ტაბულა. (გადმობეჭდილია ამ ურნალიდან: Записки Имп.
Русск. Археол. Общ., IV).

2) Brosset, Essai de déchiffrement des inscriptions de l'Eglise de
Manglis (lu le 31 mai 1850) Mélanges Asiatiques, I, 1852, pp.
259-260. დამატებანი და შენიშვნანი: Mél. As. II, pp. 83-84, 300; III. p. 36.

3) Bartholomaei, Lettres numismatiques et archéologiques.

4) Сливицкий, Древний храм в Манглисе. Оfrage 1902.

5) Е. Такайшвили, Археологич. экскурсии, разыск. и заметки:
Сборник материалов, т. XLIII, отд. II, გვ. 130-141 (отд. оттиск:
Археол. экск., разыск. и зам., вып. IV. 130-141).

6) Г. Чубинов, Заметки о Манглисском храме: საქართველოს მუ-
ზეუმის მოამბე. I. 1922.

³ ამ გამგზავრებაში ხელი შემიშუო ბ. ალ. ნეიმანშა, რომელსაც ამი-
სათვის გულითად მადლობას მოვაბენებ.


⁴ არა-ჩვეულებრივი იმ დროისათვის, როდესაც ეს წერილი იშერებოდა,
ვ. ი. 1922 წელს.

5.



თურცველი
უმუშობრეული

სამხრეთის სტოას ოღონისავლეთ კედელზე, გარიდან, პირველი სტრიქონი აღნავ არის სამ-სტრიქონიანი წარწერა, რომლის პირველი სტრიქონი ოდნავ არის დაზიანებული, როგორც აქვთ ბოთავსებული სურათი გვიჩვენებს¹,



იგი იყითხება ასე:

+ ო-ო. მაკესინე ს-ლი
ლოდომ-ს ძეთა შპ
ვნ კო-სტ-ნტი

წარწერაში პირველად ჯვარია გამოყენილი, რომელიც აქ სურათზე ძლიერ ჩანს. ამას გარდა, სურათზე პატივებიც არა ჩანს ფარგად, მაშინ როდესაც ორივინალზე ესენიც მკაფიოდ არის გამოყენილი. კო-სტ-ნტი ჯგუფს ორი პატივი უზის. პირველ პატივს ფანქრით ძირს ხაზი ჩამოუდის (ალბათ, ვინმე მკვლევრის წყალობით) და ეს ფანქრით გამოყენილი ხაზი ფოტოგრაფიულ სურათზედაც გამოსულა. შეიძლება ვინმეს იგი შეცომით ასო ეგონის, მაგრამ არა! ონსა და ს'ანს შუა თვით ტაძრის კედელზე მანგლისში არაფერია, გარდა, ვიმეორებ, ფანქრით ჩამოყენილი ხაზისა.

როგორ უნდა წავიკითხოთ წარწერა, რომელშიაც დაბრკოლებას უმთავრესად შევნ ჯგუფი წარმოადგენს? შეიძლება ვითომ ამ ჯგუფში ზმნის ფორმა კი არა, არამედ სახელი, საკუთარი სახელი,

¹ ამ წარწერის კლიშე და აგრეთვე ბალათურის წარწერის ორი კლიშე მათხოვა ბ. იროდიონ სონ დულაშვილმა პროფ. ე. თაყაიშვილის კოლექციიდან.

ვიგულოთ იმ გვარადვე, როგორც კონტანტი უპნაური კიაუტრენცაული ამ უკანასკნელს ორი პატივი აძის. პირველი თითქო უადგილზე ფლიტერია არ ვიტყვით, რომ იქ ნარია გამოტოვებული: კო(ნ)სტ(ა)ნტი.

შპ36 ჯგუფი შეგვეძლო შაჰენ'ად წაგვეეითხა, ე. ი. ვ'ინის ნაცვლად ე'ნი გვეგულა; ეს გაააზრიანებდა წარწერას, მართლაც ამ ადგილას საკუთარ სახელს უნდა მოველოდეთ: სული ღოდომზე ძე-თავაც'ო, რომ ნათქვამია, ამის შემდეგ გარდაცვლილ ღოდომის ძეთა სახელებია მოსალოდნელი. შაჰენ ამ შემთხვევაში ერთის სახელი იქ-ნებოდა, კონსტანტი კი მეორესი. მართალია, თუ ასე გავიგებდით წარ-წერას, მაშინ ერთი დაბრკოლება მაინც დარჩებოდა, —უხეირო (ორმა-გი) სინტაქსური შეთანხმება წინადადებაში (სული ვისი? ძეთაცკონ-სტანტისი), მაგრამ მთავარი დაბრკოლება მაინც ის არის, რომ შაჰენ'ად წაკითხვის ნებას არ გვაძლევს ამოკვეთილი ასოს სახე: კადელზე გარკვევით ვ'ინია გამოყვანილი, და არა ვ-

ძალიან დამაფიქრებელია ორი პატივი კონტანტი სიტყვაზე, მართალია, წარწერებში ზოგჯერ პატივი უადგილო-ადგილას არის ხოლმე ნახმარი, ზოგჯერ სიტყვა შეუმოკლებლადაც არის ხოლმე და-წერილი, მაგრამ პატივი მაინც აძის, მაგრამ ასეთი მოვლენა აქ თითქო არ უნდა იყოს. შეიძლება აღნიშნული ჯგუფის ისე განა-წილება, რომ პატივები სხვადასხვა სიტყვაში მოჰყვეს. უკანასკნელი ოთხი ასო ტ-ნტი შეიძლებოდა ამ შემთხვევაში ტანუტერ'ის სახელო-ბით ფორმად მიგვეჩნია, მაგრამ განძლენდებოდა მის წინ მდგომ ასო-ებიდან ისეთი ჯგუფების მიღება, რომ აზრიანი წინადადება მიგვე-ლო. თუ ნერ-ს, ასე თუ ისე, დიდის გაჭირვებით, ნიკოლაოს'ად შეგ-ვეძლო წაგვეეითხა. შპ37 ჯგუფისთვის რაღა უნდა გაგვეწყო? იმის ფიქრი კი არ შეიძლება, თითქო შპ38 ჯგუფში ჰ შეცოობით არის ლ'ასის ნაცვლად დაწერილიო (რომ, ვთქვათ, შალვა წაგვეეითხა), არც იმის ეჭვი შეიძლება, თითქო წარწერას რაიმე იკლდესო, ვთქვათ, რომ თითქო მისი გაგრძელება მეორე ქვაზე იყო გადატანილოთ და ან სხვა ამისთანა რამ. წარწერის ადგილობრივ დათვალიერების შემ-დეგ შეიძლება დაბეჯითებით თქმა, რომ წარწერას იმ სახითვე მოულ-წევია ჩვენამდის, როგორც ამოუქრიათ თავის დროს. ასოები უკე-ლა კარგად და გარკვევით ჩანს. მაშასადამე, ახლა საქმე ის არის, თუ როგორ უნდა წაგვეეითხოთ და როგორ უნდა გავიგოთ იგი.

ერთი ვერსია წარწერის გაგებისა ასეთი იქნებოდა:

— ოკუალო მოიქსენე სოკლი | ღოდომადს ძეთა მარწევე გვეტა
(და?) კონსტანტინი.

პროფ. ე. თაყაიშვილი, უკანასკნელ ისოებს ასე კითხულობდა: შემუნდვენ კონსტანტი, ² მაგრამ თუ პირველ ჯგუფს ასე წავიკითხავთ, მაშინ მეორე სიტყვა მიცემითის ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი (შემუნდვენ ვის? კონსტანტის).

ერთი სიტყვით, არც ბროსეს წაյითხვაა დამაქმაყოფილებელი, არც ე. თაყაიშვილისა, მაგრამ ვერც მე შემომაქვს რაიმე გარკვეულობა. მე პირადად ძალიან მესიამოვნებოდა, რომ წარწერაში მართლა შემუნდვენ ყოფილიყო, რადგანაც ასეთი ფორმა თეორიულად სავსებით შესაძლებელია, ³ მაგრამ რა უნდა ვქნათ, როდესაც მომდევნო სიტყვის ფორმა არ ამართლებს მის ასეთს წაკითხვას?

8.

აბოლირას ანუ უკეთ აბულირას წარწერა კარგად აქვს წაკითხული პროფ. ე. თაყაიშვილს, ოღონდ მას ეს წარწერა ჰგონია დასავლეთის სარქმლის თავზე, ⁴ მაშინ როდესაც იგია მოთავსებული სამხრეთ-აღმოსავლეთის თათხის სარქმლის თავზე, როგორც უკვე შენიშნა პროფ. გ. ჩუბინაშვილმაც (გვ. 44). იგი ასე იკითხება: ქვე აბოლირა. ქარიგმა პირველ სიტყვის (ქვ) არ აქვს, ყოველ შემთხვევაში ძირიდან არ ჩინს. ამას გარდა, აბოლირაში ი ძალიან პატარაა გამოყვანილი.

8.

სამხრეთის სტოას შესავალი კარის თავზე, თაღზე, გარეთი მხრიდან, გამოყვანილია წარწერა, რომელიც შენიშვნული ჰქონდა ე. თაყაიშვილს, რომელიც ამის გამო წერდა (გვ. 137): „სამხრე-

¹ დღეს აღარ გვხვდება სახელად არც ღოდომა და არც ღოდომი, მაგრამ გვარი კი ყოფილა ღუდუმიძე (მაგალითად კახეთში, სოფ. ბუშეტში, წინანდალს ახლოს).

² თან ასეთ შენიშვნას უკუთებდა: „Мы должны отметить, что форма შემუნდვენ, вместо შეუნდვენ, необычная и неправильная, но тем не менее надпись не допускает иного чтения.“

³ ამ შენიშვნის დაწერის შემდეგ ეს თეორიული შესაძლებლობა რეალურ ფაქტად იქცა. პალიმფსესტებში აღმოჩნდა ისეთი ტექსტები, რომლებიც ჰაემეტის სახელით არის ცნობილი. ნახეთ ამის შესახებ: ა. შანიძე, ჰაემეტი ადგიშის საბარებაში („ტფილ. უნივ. მოამბე“, II, 417); ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართ. ენის ისტორიისათვის („ტფ. უნივ. მოამბე“, III, 353).

⁴ „Над наличником западного окна“, გვ. 136.

თის სტოას შესავალ თაღზე წარწერა ყოფილა, რომელიც მარტინული ზიანებულია და ოლარ ირჩევა“-ო. გ. ჩუბინაშვილი უკირისძე, რომ სწორედ ეს წარწერა უნდა იყოს ის წარწერა, რომელშიაც ტაძრის აშენების, ანუ გადაკეთების თარიღი ($168 = 1020$ წ.) იყო გამოყვანილი (გვ. 55), რომელიც ტაძრის რესტავრაციის დროს 1857 წ. დაიღუპა, და დასძნდა: „მაშასადამე, ამბები და გოდება წარწერიანი ქვების მოსპობის შესახებ, ამ შემთხვევაში მათი გამოღება ტაძრის კედლებიდან, მხოლოდ ზერელე და სრულიად უსაფუძვლო განცხადებაა“-ო. არ შეგვიძლია დავვთანხმოთ ამაში პატივცემულ კოლეგას, ვინაიდან ეს წარწერა სხვაა და სულ სხვაა ის, ახლა უკვე 30 დაღუპული, თარიღიანი წარწერა, რომელიც გამოსცა ბროსებ (Надписи Манглисского храма. Тაბულა. №=J. Bartholomaei, Lettres numismatiques et archéol., ტაბ. IV, № № 5, 6, სადაც fac-simile არის მოყვანილი, ალბათ ოდნავ დაპატარავებული, ვინაიდან ბროსე ამბობს, (გვ. 115), რომ ასოები სამ-დუიმიანია, en caractères de 3 pouces de hauteur, ტაბულაზე კი ასოები ორი დუიმიც ვერ არის).

თაღის წარწერა, რომელზედაც აქ საუბარია, მოთავსებულია ერთ სტრიქნად რკალებრი სახით ოთხს ქვაზე. იგი გამოყვანილია შვენიერი მრგვლოვანი ასოებით, რომელიც დამახასიათებელია მეთერთშეტე საუკუნის წარწერებისათვის, წარწერა პირველ ქვაზე სულ გადალებულა და ალარაფერი ირჩევა. ჩანს მხოლოდ, რომ იქ ოდეს-ლაც წარწერა ყოფილა, მაგრამ შემდეგ სულ გადალებულა, უფრო წვიმისა და ქარისაგან, ვიდრე ადამიანის ხელის წყალობით. მეორე ქვაზე პირველად არა ირჩევა-რა და შემდეგ კი ცხრა ასო კარგად ჩანს და ზედ სამი პატივი. ზესაღოვდებული შემდეგ დაახლოვებით სამი ასოს ადგილია, სადაც ალარა ირჩევა და შემდეგ სულ ბოლოს ინის თავით, მაგრამ მეორე ქვა თავდება და ინის მთელი ტანი მესამე ქვაზეა დაწერილი. რომელზედაც ამ ინიანად სულ ბუთი ასოა ამოკვეთილი: იხაგ-ი, მაგრამ მომდევნო ასო ყ მხოლოდ დაწყებულია ამ მესამე ქვაზე, თორემ ტანი მას მეოთხეზე გადაუდის. აქ იყიოხება: ყ-ლიხაალმოხავლ და შემდეგ კვლავ ალარაფერი ირჩევა. აქც ალ-მოხავლ ჯგუფში თავები დაზიანებული აქვს პირველ ა-სს და მ-ასს, უკანასკნელი ორი ასოც (ვლ) ნაწილობრივ მოჩანს. ნაშთი წარწერი-სა შეიძლება ასე წავიკითხოთ:

....(მფ) ზეა ღ-თვ დმყ(რ-ბლ)იხა გ-ი ყ-ლიხა ალმოხავლ(ეთი-სა.....), ე. ი. „მფფობახა ღუთივ დამყარებულისა გიორგი ყოვლისა ალმოხავლ(ეთისა წოველისიმოსისასა?)“



წარწერის ბოლოს რაღაც ტიტული არის მოსალოდნერი და დამოსაფლეთისა ნოველისიმხოსნასა (ნოველისიმხოსნა), ან დიდისა კურაპალატისასა, ან კიდევ: უფლისა აღმოსაფლეთისა და დასასვლეთისა თვთმშერობელისასა. მაგრამ ამოდენა ვრცელი ტიტული ვერ დაეტეოდა, თუნდაც პატივი ხშირად ყოფილიყო ნახმარი, მით უმეტეს რომ სულ ბოლოს ქორონიკონიც უნდა მჯდარიყო. ამიტომ ყველაზე უფრო მისაღებად, წარწერის ადგილის მიხედვით, ნოველისიმოსის ტიტული მიმაჩნია.

საქმისათვის ტიტულს იმოდენა მნიშვნელობა არა აქვს, როგორც ქორონიკონს, რომელიც აღარ შენახულა. მაგრამ უფრო სავალოო ის არის, რომ აღარ იყითხება წარწერის დასაწყისი, რომელიც მთლიად გადალეულია. რაზედ უნდა ყოფილიყო წარწერის თვაზი საუბარი? ტაძრის აშენებაზე, თუ მის გადაკეთებაზე, მეორედ აშენებაზე? აი საკითხი, რომელიც ქორონიკონზე უფრო ასესებითიც არის, ვინაიდან წარწერის დათარიღება დაახლოვებით მაინც შეიძლება შიგ მოხსენებული გორგი მეფის მიხედვით და წარწერის პალეოგრაფიული ნიშნების წყალობით. ხოლო პირველი აშენებისა თუ მეორედ აშენების (ე. ი. გადაკეთების) საკითხის გადასაჭრელად ჯერ-ჯერობით მხოლოდ არქიტექტურული ფორმების გაგება არსებობს. ამ თვალსაზრისით პროფ. გ. ჩუბინაშვილმა ამ ტაძრის ძირითადი ნაწილების აგება VI—VII საუკუნეში გადაიტანა და მეორეობერე საუკუნეს კი მხოლოდ მისი გადაკეთება მიაწერა. და სწორედ აქ წამოგვეველებოდა წარწერის მოწმობა, რომ მისი დასაწყისი აქამიმდე შენახულიყო.

დ.

სამხრეთის სტოაში, ეკლესიაში შესავალ კართან, მარცხენა სვეტზე იყითხება ორ-სტრიქონიანი, მრგვლოვანი ასოებით გამოყვანილი წარწერა, რომელიც პროფ. ე. თაყაიშვილს კარგად აქვს გამოცემული (გვ. 137):

ო თ [.] წე ხ ლსა
სყრ ლისსა ა ნ.

ე.


იმავე სტოაში, ეკლესიაში შესავალ კართან, მარჯვენა სვეტზე სამიღა ასოა შენახული, მრგვლოვანი ასოებით: ქ ე. სხვა აღარაფერია. ეგების იმიტომ, რომ ქეა ხელახლა გათლილი ჩანს. ისიც უნდა

ითქვას, რომ ეს ასოები ძველი წარწერის შთაბეჭდილებული დამაინც ვერ სტოვებს, — თითქო შედარებით ახალიაო.

3.

სამხრეთისავე სტოაში, თაღის ჩრდილო დასაყრდენზე მოიპოვება ცხრა-სტრიქონიანი მრგვლოვანი წარწერა, რომელსაც ე. თაყაი შვილი (როგორც გ. ჩუბინა შვილმაც შენიშვა) სრულებითაც არ იხსენიებს.

წარწერის მარცხნა მხარე დაზიანებულია და ამიტომ სტრიქონების დასაწყისის აღდგენა მხოლოდ ზოგან ხერხდება. პირველ სტრიქონში კარგად იკითხება ორი ასო, მეორეშიც ამდენივე. მესამე სტრიქონიდან მოყოლებული უკვე ცალკე სიტყვების გარჩევაც შეიძლება. ასოები ამ წარწერისა ისეთივე მოყვანილობისაა, როგორც



შემდეგი (၆) წარწერისა და შეიძლება მეთერთმეტე საუკუნის დასასრულსა ან მეთორმეტის დასაწყისს მივაკუთვნოთ. აქვეა წარწერის სურათიც.

ცხადია, რომ წარწერა აღაპურია. სამწუხაროდ, აღარ გრძელდებოდა
თუ კისთვის არის დაწესებული აღაპი, რომელიც რომელიღაც თვის
თორმეტს ყოფილა დადებული. იგი შეგვიძლია დაახლოვებით ასე
წავიკითხოთ:

თხ [.]

66

: იბ : დღს ს(?)
იოვნე მო(?)წ
ი(?)სა დღვალპ
[ი]ღმსთვთ უმს
თ | ს ვნ[შ]ეო
[ცვლ]ოს ცდვთამ

[ცა] მსთა გრძედის ე: ი. დაახლოვებით:

...იბ დღესა იოვანე მოწამისასა(?) [ან: დღე არს იოვანე მოწა-
მისას(?)] დავდევ აღაპი ღამის წირვით, უამის წირვით. ვინ შე-
უცვალოს, ცოდვათამცა მისთა გარდიდის.

%

სამხრეთის სტაში, აღმოსავლეთის კედელზე, მოიპოვება ექვს
სტრიქონიანი წარწერა, რომელიც ბროსეს ოთხი კოპიოს მიხედ-
ვით აქვს გამოცემული (Надписи Манглисского храма, Грабуллашэ
A, B, C, D), ხოლო ე. თაყაიშვილს ორი ჭოტოვრაფ. სურათი-
სა. ქვემოთ მოგვყავს წარწერის ორივე სურათი. ზოგიერთი ასო
ერთ სურათზე უფრო ჩანს, ზოგიც მეორეზე, ასე რომ სურათები ერ-
თი-მეორეს ავსებენ.

რაიცა შეეხება წარწერის წაკითხვას, ჯერ ერთი, თუ დავეთან-
ხმებით ე. თაყაიშვილს, თითქმიშეიძლებოდეს, რომ მეორე სტრი-
ქონის თ ევგენისძისა ასე იქმნეს გაგებული: თეოდორე ერისთავ
ვაჩინას ძიხად, და არა ასე: თ(ევდორ)ე ევჩინ(ად)ს ძიხ(ა)დ, სინ-
ტაქსური შეთანხმება მაინც უნდა დავიცვათ: თ(ევდორ)ე ე(რისთვი-
სა) ვ(ა)ჩინ(ად)ს ძიხ(ა)დ. მეორე და უმთავრესი კი ის გახლავს,
რომ უკანასკნელ სტრიქონში ბ. ე ქვთი მე კითხულობს: ქ შ ბა-
ლუ(ა)შ. სად არის აქ ბალუაშ? ლანს თავზე ქარავმა აქვს, შემდევ
ნათლად ჩანს თ'ანი, შემდევ გაურკვეველია ერთი ასო, რომელიც
მოხაზულობის მიხედვით უნდა იყოს ან თ და ან ა, უფრო თ, ხო-
ლო სულ ბოლოს მშვენიერად ჩანს რ, რომელსაც ბროსეც კარგად
არჩევდა სლივიცისა (B) და ბართოლომეს (D) კოპიოებზე.

ბ. ექვთიმე იგი შ'ინად მიულია შეცომით ფრთხოების ქადაგზე ტყეაში ბალუაში და დაუნახავს. ნამდევილად კი აქ იკითხება ბალ თ(ო)რ. მაშასადამე, წარწერა ასე უნდა წავიკითხოთ:

თო-სა ნობრსა : ღ : მთ-ვრან

გ(ლ)ზთხა ალპი თ-ე ე ვჩინს ძის

ა უმსწრევთ რდნი მღდლი იყ-ს

უამი ოწიოს ვნ შეოცვლს

ცდვთამცა მ-სთა გრ

დიდს : ქ-ე შ-ე ბალ-თ(ო)რ

ე. ი.

„თუესა ნოემბერსა ჩვახა, (sc. ღლესა) მთავარანგელოზთახა, ალა-პი თევდორე ერისთავისა ვაჩინავს ძისად ფამის წირვით. რაოდენი მღდელი იყოს, უამი უწიროს. ვინ შეუცვალოს, ცოდვათამცა მისთა გარდიკლის! ქრისტე, შეიწყალე ბალათურ!“ უნდა შეენიშნოთ, რომ სახელს ჩვენ ბალათურ' ად ვკითხულობთ, და არა ბალათურ' ად¹, რადგანაც ამ წარწერაში ო გამოყენებულია უნის გაღმოსაცემადაც (შლრ. ოწირს=უწიროს, შეოცვლს=შეუცვალოს)


ჯერ მ. ბროსე, შემდეგ დ. ბაქრაძე (ბართოლომეზე დაყრდნობით)² და უკანასკნელად ე. თაყაიშვილი უკანასკნელ სიტყვას ამ წარწერისას ბალუაშ' ად კითხულობდენ, რომელიც მათ ლიპარიტ ორბელიანად მიაჩნდათ, თანაც იგინი ფიქრობდენ, რომ ლიპარიტ II ყოფილა ეკლესიის ამშენებელიო. გ. ჩუბინაშვილმა როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მანგლისის ეკლესიის აშენება VI—VII საუკუნემდე დახიდა უკან, ხოლო მეთერთმეტე საუკუნეში მისი განახლება და გადაკეთება აღიარა. ლიპარიტ II ბალუაში კი მასც დასჭირდა, თუმცა არა აღმშენებლად, არამედ განმაახლებლად 1020 წელს (გვ. 56, 61). ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს ზღაპარი ლიპარიტ ორბელიანის შესახებ უნდა უკუგდებულ იქმნეს. თუ ვინმე ისტორიული პირია მოხსენებული მანგლისის ტაძრის წარწერებში, ეს არის მხოლოდ „ლუთივ დამყარებული გიორგი (პირველი), ყოვლისა აღმოსავლეთისა (ნოვლისიმოსი)³“, როგორც დავრწმუნდით ზემოთ (გვ. 227), ასე რომ თუ ვისმე მიეწერება მანგლისის ტაძრის აგება ან გადაკეთება მეთერთმეტე საუკუნეში, ისევ გიორგი პირველს და არა ლიპარიტ ორბელიანს, მიუხედავთ იმისა, რომ 1047 და 1048

¹ უფრო საეკვერა, რომ აქ ბალათარ იყოს.

² ვახუშტი, საქართვ. ისტორია. განმარტებული და შეესებული ახლად შექმნილის არხოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ბაქრაძის მიერ I. ტფ. 1885. გვ. 148.



לונדון 2 Sept 1945
בגדי צבאיים ולבושים
לארמונו של ינשוף
על גולן 2 גודל
אל-טַּבְּרִיאָן תְּבִרְיָה בְּרִיאָה



შელს სწორედ მანგლისს გადაწერილს ხელნაწერში, რომელიც
ძველად კაცხისთვის ყოფილი შეწირული და შემდეგ გელათში ინა-
ხებოდა, მოხსენებულია სწორედ ლიპარიტ ერისთავთ-ერისთავი და



მაგისტროზი, მაშინდელი მფლობელი მანგლისისა, და განუშერებული ხელის მეფე, ამ დროს უკვე ბაგრატ მეოთხე¹.

ც.

წარწერები ყოფილი ავტოვე დასავლეთის სტოაში, სახელ-დობრ თაღის დასაყრდნობ ორისავე აღმოსავლეთის სვეტის თავზე. ეს წარწერები, როგორც ჩანს, სვეტის თავებიდან თვით სვეტებზე ჩამოდიოდა, მაგრამ რადგანაც სვეტები და მათი თავები რბილი მოყვითალო ქვისაგან არის აშენებული, ამიტომ წარწერები სულ ერთიანად გადალეულია. სამხრეთისაზე² აღარაფერი ჩანს. ნიშანია მხოლოდ იმისი, რომ სვეტის თავზე წარწერის ხუთი სტრიქონი სცერია. მრგვლოვანი ასოები აქ უფრო მომსხვ უნდა ყოფილყო, ვიდრე ჩრდილოეთისაზე³. ჩრდილოეთის სვეტის თავზე კი წარწერა ექვს სტრიქონიანი ყოფილა. თითო-ოროლა ასო აქ დღესაც კი გაირჩეა, მაგრამ სამწუხაროდ ეს სვეტის თავი ჩამოტეხილია მარცხნა მხარეს (დაახლოებით ოთხი თითოს დადებაზე) და ამიტომ სტრიქონების დასაწყისი აღარ არის. წარწერაში სიტყვებსა და სიტყვებს შუა სამსამი და ორ-ოლი წერტილი გეხვდება. პირველ სტრიქონში იკითხება : .მაგლ:, ებს (მანგლელი ებისკოპოსი), დანარჩენიდან აზრის გამოტანა მნელია.

თ.

შიგნით გუმბათში, სამხრეთის ორ ფანჯარას შუა, ნაშთი ოთხ-სტრიქონიანი მრგვლოვანი წარწერისა დურბინით ასე გავარჩიე: ლნი | ნი(?) და მკლავი ო ისა.

ი.

ეზოში ბევრი ვეძიე, მაგრამ ვერ ვიპოვე ე. თაყაიშვილის მიერ დასახელებული ქვის ნატეხი, რომელზედაც წერებულა (მრგვლოვანი ასოებით): ძრ.. ბრტ. მაგრამ ვიპოვე სხვა ქვა, კარნიზისა, რომელზედაც ნაშთია ექვსი ასოსი, რომელთაგანაც მეოთხე, ხ, კარგად ირჩევა.

¹ ნაბეჭ ამის შესახებ შენიშვნები თ. ქორდანიასი (ქონიკები I, 195) და აგრეთვე დ. ბაქრაძის კავკას აღმოსავლეთის ხელის 1875, გვ. 77.

² აგრე მიწერია უბის წიგნში. იგულისხმება აღბათ სამხრეთ-აღმოსავლეთის სვეტი.

³ აღბათ ჩრდილო-აღმოსავლეთის სვეტი იგულისხმება.

ქ ღ თო: შეიწყალე | ამისი: ამშენებელი. მნგლელი. | ეფისკა-
პოზი² | არსენ ოსტატი თებერ გ ქ კ ს რნე

დასასრულ უნდა შეენიშნო, რომ სხვა წარწერა მანგლისში მე არ მინახავს³. გარიდან ბევრი ვუჭვრიტე ეკლესის კედლებს, მაგრამ ვერაფერი შეენიშნე. ამიტომ ბართოლომეს ჩივილი ბერძენ კალა-ტოზთა ვანდალობის შესახებ⁴, ჩივილი, რომელსაც უტყვად ე. თ ა-
ყავა იშვილიც იზიარებს⁵. მეც საფუძვლიანად მიმართია, წინააღმ-
დებ გ. ჩუბინა შვილისა, რომელიც ფიქრობდა, რომ წარწერე-
ბის დაკარგვის ამბავი ზერელე დაკვირვების ნაყოფიაო.

ზოგიერთი წარწერის სამუდამოდ დალუპვა მართლაც რომ სა-
ტრალია, რადგანაც აღარ გადეს საშუალება მათი შემოწმებისა და
შეცოდების გასწორებისა. კობიოები კი ცუდად არის შესრულებუ-
ლი, იმდენად ცუდაც, რომ, მაგალითად, ერთი და იგივე წარწერა
პროფ. ე. თ აყავიშვილს ორ სხვადასხვა წარწერად მიუჩნევია (გვ.
138): a) სამხრეთის კარის თავზე (წარწერა, რომელშიაც სტრიქონე-
ბი უკულმა არის მოთავსებული: 3, 2, 1) და b) სამხრეთის ფასადის
სარქმლის თავზე⁶.

აკ. შანიძე.

1922. IV. 23. ტფილისს.

¹ ს ლ ი ვ ი ც კ ი ს წიგნშიც (Древний храм в Манглисе. Тифлис 1902,
გვ. 26) არის იგი გამოცემული, მაგრამ უხეროვდ.

² ე. თ აყავიშვილით: „ეფისკაპოზი“.

³ რუსული წარწერები ეკლესის რესტავრაციის შესახებ ჩემს საგანს არ
შეადგინდა, რადგანაც სულ ახალია და მერმე გამოვლენებულიც არის.

⁴ Lettres numismatiques et archéol., v. 104.

⁵ ე. თ აყავიშვილი პირდაპირ არა სტრიის ბართოლომესავით წარწერე-
ბის დაკარგვას, მაგრამ ბართოლომეს აზრს კი იზიარებს, რომ წარწერები სამუ-
დამოდაა დალუპული.

⁶ ეს გარემოება უკვე გ. ჩუბინა შვილ მაც აღნიშნა.



არადეთის ფართისაბი.

ურთისესები
გიგანტის მეცნიერება

არადეთი სოფელია ქართლში ფრონის პირას¹, საღოლაშნის პირდაპირ, რუსიდან ექვსიოდე კილომეტრის მანძილზე, დასავლეთით. აქ ორი ეკლესია. ერთი ძველს ნასოფლარში, დანგრეული, წმ. გიორგის სახელობაზე, და მეორე ახალს. სოფელში, წმ. საბას სახელობაზე. წარწერა მოიპოვება იქაც და აქაც.

პ.

წმიდა გაიორგის ეკლესიში გდია ოთხუთხიანი კვარცხლბეკი, ანუ ბაზისი ქვა-ჯვარისა. ეს ბაზისი სიმალლით სამ მტკაველზე მეტია ერთი მხრით, მეორე მხრით კი სამი მტკაველია. შუას ქვემოთ იგი უფრო ვიწროა და უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ქვემო ვიწრო ნაწილით იგი ერთ დროს მიწაში იყო ჩასობილი. ზემო თავში შეასე ამოლრმავებული აქვს ჯვრის ჩასასმელად. კვარცხლბეკს სამი მხრით წნული ჯვრები აქვს და ერთი მათგანის მარჯვენა კუთხეში მოიპოვება მოქლე წარწერა ოთხ სტრიქონად გამოყვანილი. მრგვლოვანი ასოები ლამაზად არის ამოჭრილი და მოხაზულობის მიხედვით შეიძლება მეთერთმეტე საუკუნეს მიეწეროს. პირველ სტრიქონში ორი ასო გადარჩენილი (ად), მესამისა კი (ი) ნაწილი ლა მოიპოვება. მეორე სტრიქონში იყითხება მჩ-დლა, მაგრამ აქ უკანასიერელი ასოს (ნარის) ზემო პორიზონტალი ხაზი აღარ არის. დანარჩენი კარგად იყითხება. წარწერა ასეთია:

ად(ი)... | მრდ-ლნ. | მმს-ხლ | ხნი ე. ი. ქარიგმების გახსნით და ნაკლის შეესებით:

ადიდენ მარადელნი მამასახლისნი.

ამ წარწერაში ჩვენთვის საყურადღებოს საღაურობის აღმნიშვნელი სახელი: მარადელი, რომელიც მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი (მარადელნი). საყურადღებოა მხთ, რომ ახლა ვამბობთ არადელი², მაშინ როდესაც ძევლად მის ნაცვლად მარადელი ყოფილა, მაშასადამე სიტყვა სწორედ ისე ყოფილა ნაწარმოები, როგორც მრაველი, მეგრელი, მარგუელი, მაჩაბელი.

¹ ფრონე რამოდენიმეა ქართლში. აქ დასახულებული ფრონე ის წყალია. რომელიც დირბს ჩამოიკლის და ქარელს ზემოთ ჩაერთოის მტკარს.

² მაგალითად, ცნობილია ამ სოფლიდან გამოსული მსამიობი არადელი იმ შეს ელი, რომელიც რამოდენიმე წლის წინად გარდაიცვალა.

მეგვებთელი¹, ე. ი. მანის დართვით თავში, რაიცა ჩამოყალიბება წარმოებაა ვინაობის სახელებისა სვანურში.

პ.

წმ. საბას ეკლესიაზე, სამხრეთით, შესავალი კარის თავზე ეჭვს სტრიქონიანი წარწერაა მრგვლოვანი ასოებით. წარწერისათვის დამხასიათებელი ის არის, რომ ასოები ასოებშია ჩამჯდარი და ერთმანეთში გადახლართული. ამის გარდა თ' ანის რკალი შუაზე შივნით არის შეხრილი, იყითხება:

ჩ-ნ დადიანის: ასლმ-ნ: დედფმნ: პატ
რ-ნმნ: მრმ: აღვ-ზ-ნეთ: ეკლ-სია: ესე: და შ-ვსწ
ირ-თ: წ-ა: და ლ-თ: შემოსილსა: მ-მთ: მმ-სა:.
ს-ბას: რ-ა: ოკ-ე: ეგ-ს: მ-ს: შ-ა: და მ-ხ: ექ-
ნ-ს: ს-ლსა: ჩ-ა: დღ-სა: მს: გ-წკითხვის-სა: ა-ნ:.
ჭ-კს: ტ-დ:.

ქარაგმების გახსნით: „ჩუენ დადიანის ასულმან დედოფალმან პატრიონმან მარიამ აღვაშენეთ ეკლესია ესე და შევსწირეთ წმიდასა და ღმერთ-შემოსილსა მიმათ მამასა საბას, რათა უკუნისამდე ეგოს მას შინა და მეობ ექმნეს სულსა ჩემსა დღესა მას განკითხეისასა. ამინ. ქორონიკონს ტცდ“ (1666 წ.).

აკ. შანიძე.

1924. VII. 20. სალოლაშემს.

კრიპტოგრაფიული მასალები

თანდათან იზრდება რიცხვი ქართული კრიპტოგრაფიული ნიმუშებისა. ზოგი მათგანი უკვე გამოქვეყნებულია². ერთ-ერთ სისტემას, რომელიც ჩემ მიერაა ამოშითერული³, შეიძლება ანჩინურის სახელი დაერქვას, ფარსადან გორგივანიძის ანჯანურის ანალოგით⁴.

1 ა. შანიძე, Два чанс-мингр. суффикса в груз. и арм. языках. Записки Вост. Отд. XXXIII (1916), 368; ვინაობის სუფიქსი არ ქართულ ენაში („განათლება“, 1918, № 1, გვ. 25).

2 ივ. ჯავახი შვილი, ქართული პალეოგრაფია (ტფ. 1926), გვ. 129—123.

3 ქართული კრიპტოგრაფიის ახალი ნიმუშები („საქართ. მუნიციპ. მოამბე“, I).

4 უცერხული ითქვას „საიდუმლო ანუ ანჯანური დამწერლობა“ (ივ. ჯავახი შვილი, O. c., 129), რადგანაც „ანჯანური“ მხოლოდ ერთი სახეა საიდუმლო წერისა.

ფარსადან გორგივანიძის ანჯანური ანბანი ათბაშეურ სისტემაზეა აგებული. აქ ქართული ანბანის უკანასკნელ ასოდ ჯ არის მიღებული, რადგანაც ფარსადანის დროს მხედრულ ანბანში ჯ იჯდა ბოლოს და არა კ, რომელიც შერვე ადგილზე იყო გადმონაცელებული.

1.

ანჩინური კრიპტოგრამები ძველადვე გვხვდება.

ა) სინას მთის ერთს ხელნაწერში (№ 26), რომელშიაც „დასდებელნი“ ყოფილა მოქცეული და რომელიც, პროფ. ივ. ჯავახიშვილი აღმართდა, X საუკუნეს ეკუთხნის, ასეთი მინაწერი ყოფილა (ფ. 185a): ქ-ე შ-ე რხფვ. რაიცა ნიშნავს: ქ-ე შ-ე ივნე იმავე გვერდზე ქვეშ აგრეთვე წერებულა: ოქ: იხფვ, მაგრამ აქ მეორე სიტყვის პირველი ასო (ი) შეცდომით არის დაწერილი, რადგანაც მის ნაცვლად რ უნდა ყოფილიყო. (ი და რ ერთი-მეორის ნაცვალი ასევებია ანჩინის სისტემით). თუ პირველ სიტყვაშიც შეცდომა არ არის, მაშინ იგი ასე გადმოიწერება: დვ: ივნე.

б) მეათე საუკუნის ერთს ხელნაწერში, რომელიც ამჟამად დაცულია ტფ. უნივერსიტეტის მუზეუმში (ძველი ფონდი, № 144) და რომელშიაც, სხვათა შორის, მოთავსებულია იმანე ბოლნელის ქადაგებანი, ორ გვერდზე გვხვდება კრიპტოგრამა:

1) ე-ჭ ე-ცლ-თლ ჩჲ = ქ-ე ქ-ბო(კ)ლო ა-ნ

2) გვ. 193: ჩჲ ზ-ა. (ა-ნ ?)

(შდრ. იმანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი. საეკლესიო მუზეუმის გამოცემა, № 14. ტფილისს 1911. გვ. V და გვ. 47).

ც) იმავე მუზეუმის 734 ხელნაწერში (ც. ფ.) გვხვდება ასეთი მინაწერი:

ოუკილ ხრფბ ჭკ კე კილჩსრ ძჩჩჩლკ ოუკმუჩიც მუხჭტლკ. რაიცა ამას ნიშნავს:

ლმერ(თ)ო ვინც ეს ჯატიკი გა(ა)თაოს ლმე(რ)თმან უშველოს.

2.

ტფილისის უნივერსიტეტის სიძველეთა მუზეუმის ერთს მეთვრამეტე საუკუნის კელნაწერში (ძველი ფონდი, № 246), რომელშიაც მოთავსებულია „პორფირის შეყვანილობა“¹, არშიერბე მინაწერებია გაკეთებული განსაკუთრებული კრიპტოგრაფიული ანბიოთ. ამ ანბანს საფუძვლად ლათინური ანბანი უძეეს, მაგრამ რაც

¹ ეს „პორფირის შეყვანილობა“, იქნება, ის „L'Introduction à Porphyre“ იყოს, რომელიც უნაბავს ბროსეს მარტყოფის ეკლესიაში („sur les marges de laquelle le possesseur a fait des notes en un alphabet secret, très singulier“: I Rap. 53–54.).

ლათინურს აკლია, ის ქართულიდანაა შევსებული.¹ მინაწერში მასალები კლეი და მათი რიცხვი ბევრი არაა. ამიტომ ყველა ასო არჩ გვეუძღვ-ბა. არ გვხვდება, სახელდობრ:

ც, ხ, ჟ, ჰ, ძ, წ, კ, ჰ.

ლათინური რთული ch ხან ქართულ ქ' ანს უდრის, ხან კი ბ' ანს, თუმცა ეს უკანასწერი ქართული სახითაც არის გამოყვანილი. კრიპტოგრაფს ხანდახან გაეპარება ხოლმე თითო-ოროლა ქართული ასოები, რომელთათვისაც ლათინური შესატყვისი ასოებიც მოიპოვება.

ანბანი ასეთია:

a b g d e v z (ც) t i j l m n (ჰ) o ჸ (ჟ) r s t u ფ
ch (ქ) ღ y შ h ც (ძ წ) ჭ ch (ხ) კ ჳ (ჰ)

ქართულ ასოთაგან, მაშისადამე, ნაკმარია:

თ, კ, ჸ, ფ, ღ, შ, ჩ, უ, ჷ, ჸ, ჰ, ც, ჰ. ამას გარდა ნაწილობრივ ავრეთვე: ა, ე, ღ, ბ.

აი თვეთ მინაწერებიც, რომლებიც წარმოადგენენ შენიშვნებს ტექსტის შესახებ.

№ 1 (გვ. 1 რ)

a) nanqvili amisovis ზეისმია sajiroze rom oraდ
ietchmis ჭ' აrsaდ da უჭ' აod | უჭ' აos გanyora
ნანდვილი ამისთვის შეისმინა საჭიროზე რომ ორად
ითქმის ჭ' არსად და უჭ' ტოდ | უჭ' ტოს განყარა
b) sameuფo gza სამეუფო გზა

№ 2 (გვ. 1 ვ)

eromisa raimti ზedgombiოs გanyora
ერთისა რაიმთი (?) შედგომბის (?) განყარა

№ 3 (გვ. 2 ვ)

unaotesavesi ar uvis amisovis ar gansazlvra
უნათესავესი არ უვის ამისათვის არ განსაზღვრა
თითოეული ganrheuli და თითოეული ganurheveli es კაცი is კაცი
anu romel me კაცი ხ' ganrheuli.. sojroti
თითოეული განრჩეული და თითოეული განურჩეველი ეს კაცი
ის კაცი ანუ რომელიმე კაცი ხ' განრჩეული.. სოკრატი

№ 4 (გვ. 4 რ)

¹ თ. ცორდანია, ამ ხელნაწერის აღწერისას კრიპტოგრამების შესახებ ამბობს: попадаются буквы неизвестного алфавита на полях (Описание. გვ. 260).

² აქ. ცხალია, ქარაგმა აკლია.



es sami sazvari erotmaneotsa შ-s moylen
ეს სამი საზღვარი ერთმანეთსა შ-ს მოვლენ

№ 5 (გვ. 4 v)

ათ შესმენას ამბობს

№ 6 (გვ. 7 v)

mrvalli es igi sirdeti მრავალი ეს იგი სირპეტი (?)

№ 7 (გვ. 8 r, ტექსტშია ჩაწერილი)

nu ujve ოვალმარჩბობა ნუ უკვი თვალმარჩბობა

№ 8 (გვ. 8 v)

sityvieri moçinari da sbvani სიტყვიერი მოცინარი და სხვანი

№ 9 (გვ. 15 r)

յარგად გაშინჯე საბასოა კარგად გაშინჯე საბასოა

№ 10 (გვ. 16 v)

mgryviad ოთებზე ზემოიფარგლე

მგრგვლად თითებზე შემოიფარგლე.

№ 11 (გვ. 17 r)

nache ნახე

№ 12 (გვ. 17 v)

a) viri schvis teslisagn verasa შიბს

ვირი სხვის თესლისაგნ ვერასა შიბს

b) moskra ფეჩი mainც or ფეჩაც iochmis

მოსკრა ფეხი მაინც ორ ფეხად ითქმის

№ 13 (გვ. 20 v)

ესენი ეპიდაფუსისანი არიან ესენი ეპიდაფუსისანი არიან

№ 14 (გვ. 32 v)

saatnoeba ars suli sulisa სათნოება არს სული სულისა.

3.

სამაგიეროდ „საისტორიო და საეთნოგრაფიო“ საზოგადოების
1384 ნომერი ხელნაწერში (ფ 238 r) ქრიპტოგრამა ბერძნულ-სლაურ-
ქართული ასოებითა გამოყენილი, რომელიც ასე უნდა წავიკითხოთ:
ურიათა: ჯვარცმას: უინ: (?) რა: დაემართათ: აჭ: ნახე:.
რომელსა: აღსწერს: იოხიძოს:

4.

ერთს თედო ქორდანიასეულ ხელნაწერში, რომელიც უნივერ-
სიტეტის მუშეუმს გადმოეცა (ახალი სერია, № 1164), გვხვდება (ფ. 55 r)
საიდუმლო ასოებით დაწერილი ცნობილი ლექსი: „აღმართნა სვეტნი

ბროლისა” და სხვ., რომელიც ამოუშიფრავს განსვენებულ სტრიქონს. რომელსაც იქვე მიუწერია: „კვემო საიდუმლო ასოებით, მაგრამ მას მარტინ და წიგნის ასოები) დაწერილს მე ასე ვკითხულობ... (მოჰყავს მთლიად და შემდეგ განაგრძობს) ესენი ამოვიკითხ ჩას შემდეგ, რაც გამოვიცან გამოცანები ზემო მეორე გვერდზე¹, სადაც გამოსაცნობი ამ საიდუმლო ანბანებით არის დაწერილი. 1889 წ. კასპი.“

„ძველ ქართულ ქურუმთ ასოებით (ზენდურ-ფარნავაზულ) დაწერილი ყოფილა ნ. ტ. დადიანის ძის ნაქონი ნებროთიანი, რომელიც დაწერვა სახლთან ერთად ყვირილაში, მაგრამ ასოების გამოხატულება ახსოვდა და მე დავაწერინე ისე, როგორც შესძლო. მესამე დღეს ხელახლა მივედი, გამოუტადე, დამეკარგა-მეტე და მეორეთაც დავაწერინე. ორივე დაწერილი ჩემს ქალალდებშია. ამ საიდუმლო ასოებს მოვავს. თ. ქორდანია.“

5.

ალექსანდრე ბატონიშვილის მიერ ფრანგულიდან გადმო-თარგმნილი სამხედრო სახელმძღვანელოს (საისტ. და საეთნ. საზოგ. მუზ. № 2165) პირველი ნაწილის ბოლოს (ფ. 83 ბ) სწერია:

„17⁸ 92 ამ დროს 6125952419 7112171521“, სადაც ციფრე-

ბით დაწერილი სიტყვები ამას ნიშნავს: „ვაკეთებდით ზარბაზანსა“. კრიპტოგრამა აქ ციფრებით არის გამოყვანილი, მაგრამ ისე,

რომ უწერტილო ციფრები ერთეულების ასოებს აღნიშნავს, ერთ-წერტილიანები ათეულებისას, ორ-წერტილიანი ასეულებისას და თუმცა ათასეულების ასოები აქ არ გვხვდება, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ მათ გამოსახატავად საში წერტილი იქნებოდა გამოყენებული:

6.

საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 2077 ხელნა-წერში (ფ. 225 რ) მოიპოვება იამბიკო, დაწერილი განსაკუთრებული ნიშნებით და ცოტა ზემოთ, იმავე გვერდზე სამი სიტყვა იმავე ნიშნებით, როგორც ამას აქვე დართული სურათი გვიჩვენებს:

¹ წიგნის მეორე გვერდზე ორი გამოცანაა ლექსად, და მათი ასრა სწორედ იმავე ასოებითაა დაწერილი, როგორც ბროლის სვეტების ლექსი: 1) ქალალდი. საწერელი. კალამი და წერა; 2) სათვალე.



შოთ დე ილიაშვილი

მოხვედი ლიტერატურული კვერცხები

მეცნიერებების მუზეუმი. მინიჭებული 4362.

ასახული 4360 მოხვედი 94362.

92 მოხ 92 გამოვლინ 64 მოხ ის მიზანი 4362.

106 მ წილი 92 გამოვლინ 4362 მოხვედი 4362.

სამი სიტყვა ამის ნიშნავს: „ღ-თო შენ წარმიმართე“, ხოლო
იამბიკო ასე გადმოიწერება:

გონებათ რჩეულ მეკელოვნესა ძესა
გიტყვი უუთქვესა სათქვოდ საწყურად ზესა
უუცნაურსა ზესთ გონებათა მზესა
მაგრამ მაცურევად სურვისა წინა გთქვესა
იოსებ ვითხოვ შეწევნასა პროლეტესა.

ამ კრიპტოგრამაში ნახმარი ნიშნები რამდენადმე განსხვავდება
იმ გასაღებისაგან, რომელიც მოყვანილია ლენინგრადის აზიის მუ-
ზეუმის 88 a ხელნაწერში (ანტონ კათალიკოზის გრამატიკაში), პირ-
ვილ ფურცელზე, და აგრეთვე იმისაგანაც, რომელიც არის საქ. საისტ.

და საეთნოგრაფიო საზოგადოების 2257 ნომერ ხელნაწერზე შემოტკიცებულის 1.

ა. შანიძე.

შენიშვნები ქართულ თანხმოვანთა განდასებისათვის.

E. Polivanov-ის სტატიის „La classification des consonnes géorgiennes“ გამო: Bulletin de l'Université de l'Asie Centrale (Tachkent). Livraison 8. 1925.]

1. აქ დასახელებულ შრომაში ავტორს განუზრახავს წარმოგვიდგინოს ქართული ენის თანხმოვანთა განდასება (კლასიფიკაცია) „ფსიო-ფონეტიკური“ ნიშნების მიხედვით. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ტერმინოლოგიური ხასიათის განსხვავებებს, ასეთი განდასება თითქმის საესპილ იგულისხმება აკად. ნ. მარის მრავალ ნაშრომში და დაახლოებით ამგვარივე სქემით ლაგდება ქართული თანხმოვნები ზოგადი ფონეტიკის კურსში ტუ. უნივერსიტეტში, სახელდობრ:

- I. სამეულოვანნი: პ ბ ფ, ო დ თ, წ ძ ც, ჭ ჯ ჩ, კ გ ქ, ყ — კ²
- II. წყვილოვანნი: (ფ) ვ, ს ზ, შ ჟ, ხ ღ.
- III. ცალოვანნი: მ, ნ, რ, ლ, ჰ, ჵ, ჰ³.

მათ შორის (III.-ის გამორიცხვით):

- ა. წარმოების გვარობის მიხედვით:

1. ხშულნი:

მკვეთრნი: ჰ ტ წ ჰ კ ჟ ჸ⁴

მელერნი: ბ დ ძ ჯ გ —

ყრუ მშვინავნი: ფ თ ც ჩ ქ კ⁵

2. სპირანტნი:

მელერნი: ჰ ზ ჸ — უ ღ —

ყრუნი: (ფ) ს — შ ხ —

3. აფრიკატნი:

სისინანი: წ ძ ც

შიშინანი: ჭ ჯ ჩ]

1. კაცმა რომ თქვას, ეს ნაწილობრივ არის ხელნაწერი და ნაწილობრივ კანაბეჭდი წიგნია. იგია 1788 წელს პეტერბურგს დაბეჭდილი კლეოპატრა სარაფო-კის ქალის „ცოდნის კლიტი“, რომელიც წარმოადგენს უმთავრესად სომხურ-რუსულსა და რუსულ-სომხურ დექსილონს, რომელსაც აშეებზე ქართული თარგმანი აქვს დართული ხელნაწერად.

² ამ უკანასკნელი სამეულოვანის ბეჭედი ქართულს აკლია.

³ ჰ ყელის ყრუ სპირანტია.

⁴ ავტორით „ჰამბათანები“.

⁵ ავტორით უყრუ quasi-მშვინავები“.



ბ. წარმოების აღგილის მიხედვით:

სრულშვილი
შემდეგიც

1. ბაგისმიერნი: პ ბ ფ, — — — (ფ) ქ
2. წინაენისმიერნი: ტ დ ლ, წ ქ ქ ი, ს ზ
3. ალექოლარნი: — — ჭ ჯ ჩ ი, შ ქ ე
4. უკანაენისმიერნი: კ გ ქ ქ ე — — ხ ლ
5. ფარინგალნი: ყ — კ ა ს

ასეთია ქართ. თანხმოვანთა ჩვენი განდასება და დაახლოებით ამგვარადვე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ ავტორისაც, რომელიც თანხმოვნებს სხვა სქემით აღავებს, რაც თავისითავად არ ქმნის განსხვავებას ჩვენსა და მის განდასებას შორის. მაგრამ თანხმოვანთა შეფასებაში წარმოების გვარობისა და აღგილის მიხედვით ჩვენს შორის რამოდენიმე ძირითადი განსხვავებაა, სახელდობრ: „მკვეთრთა,“ „ყრუ შვინავთა,“ „ალექოლართა,“ „უკანაენისმიერთა“ და „ფარინგოთა“ შესახებ.

2. ჩვენ რომ „პ ტ წ ჭ კ ყ“-ს მკვეთრებს ვეძახით, ხოლო პროფ. პოლიგანოვი ჰამზათიანებს, აქ მარტო ტერმინოლოგიური განსხვავება როდია. რამდენადც ყოველი ტერმინი ბოლოსდაბოლოს შეთანხმების საქმეა, იმდენად შეუძლებელი არაა ჰამზათიანებიც ვუწოდოთ მათ; მაგრამ ვერ დავეთანხმებით პატ. ავტორს, თითქოს მათი წარმოებისა პირის ხშვას ხეთქდეს ყელის ხშვის სკდომით ამონადენი ჰაერის ნაკადი (114 გვ.). ნამდვილად, ჩვენი დაკვირვების თანაბმად (იხ. ჩვენი „მკვეთრი ხშულნი ქართულში“, ტფ. უნ-ტის მოამბე № 2, 1922-23 წ.), ჯერ სკდება პირის ხშვა და შემდეგ ყელისა: ასეთი თანამიმდევრობა სავალდებულოა ქართულის მკვეთრებისათვის. ყელის სკდომა — ტკაცნის გვარად რომ გვესმის — იწყებს მომდევნო ბგერას (უფრო ადგილად გასარჩევია ეს მომენტი, როცა მკვეთრს ხმოვანი მოსდევს). მკვეთრებს ვუწოდებთ მათ აკუსტიკური შთაბეჭდილების მიხედვით.

3. ქართული „ფ თ ც ქ ჩ კ“ სრულშვინოვანი ხშულებია, თუმცურთიერთშორის ამ მხრივ განსხვავებულნი. ავტორი მათ „quasi-შვინავებს“ ეძახის და განმარტავს, რომ მათ ახასიათებს შესამჩნევად ნაკლები მშეინოვნობა, ვიდრე, მაგ. გერმანულსა, ჩინურსა, მონლოლურსა და სხვა ენებში (114 გვ.). რაღგანაც სრულიად მარ-

¹ ავტორით წინაენისმიერნი.

² ავტორით დორსალნი.

³ ავტორით „არალრმადუკანაენისმიერნი.“

⁴ ავტორით „ლრმადუკანაენისმიერნი.“

ტივი დაკვირვება ცხად ყოფს, რომ ქართულისას მეტი მშვიდეულობა აქვთ, ვიდრე (სალიტერ.) გერმანულისას, ამიტომ შესჭრებულობა ვა ვიზუალოთ, რომ ამ მხრივ ავტორი ცდება სხვა ენებთან შედარების დროსაც.

4. აგრეთვე შეუძლებლად მიგვაჩნია „ჭ ჯ ჩ“-ს ეწოდოს წინაენის-მიერი ხშულები იმავე აზრით, როგორც „წ ქ ც“-ს და, მით უფრო, როგორც „ტ დ თ“-ს. თუ ამ ორი ჯგუფის გაერთება კიდევ შესაძლებლად მიგვაჩნია „წინაენისმიერის“ სახელწოდებით, „ჭ ჯ ჩ“-სათვის იგი გამოუსადევგარია: ამ უკანასკნელთათვის წინაენის ფორმის ცვლა („წ ქ ც“-სთან შედარებით) აგრეთვე აშკარად ჩანს უბრალო დაკვირვებით. „ჭ ჯ ჩ“-ს ჩვენ უუწოდეთ „აღვეოლარი“ (შეიძლება „სუპრადენტალიც“). ისეთივე სახელწოდება გვაქვს „შ ე“-სათვის. ბართალია, ქართ. შ ე განსხვავდება რუსული „ა ჯ“-საგან, რომელგართალია, ქართ. შ ე განსხვავდება რუსული „ა ჯ“-საგან, რომელნიც „მაგარნი“ არიან, მაგრამ აქედან იმის დასკვნაც არ შეიძლება. თითქოს ქართ. შ ე „დორსალები“ („რბილები“) იყოს, როგორც ეს ავტორს წარმოუდგენია (115 გვ.). „შ ე“-ს ჩვენ უუწოდებთ ალვარ-ლარ სპირანტებს, რადგანაც ლრიქე (სივიწროვე) კეთდება მათთვის იმ ადგილას, სადაც ხშეა „ჭ ჯ ჩ“-სათვის. ენის ზურგი კი ოდნავ ძირსაა დაშვებული.

5. უკანაენისმიერთა სახელით ჩვენ აღვნიშნავთ „ქ გ ქ“-ს და „ხ ლ“-ს, თუმცა ვიცით, რომ „ხ ლ“ უფრო უკან იწარმოება, ვიდრე „ქ გ ქ“ ავტორიც „ქ გ ქ“-ს „არალრმადუეანაენისმიერს“ უწოდებს, ხოლო „ხ ლ“-ს და „უ კ“-ს იერთებს ერთ ჯგუფში „ლრმადუეანაენისმიერთა“ სახელით. ჩვენით კი უ და კ ფარინგალი ხშულებია. საქმე ის არის, რომ „ქ გ ქ“ მართლაც განსხვავებულია, როგორც ვთქვით, წარმოების ადგილით „ხ ლ“-საგან, მაგრამ ორთავ ჯგუფის ვთქვით, წარმოების ადგილით „ხ ლ“-საგან, მაგრამ ორთავ ჯგუფის ვთქვით, წარმოების ადგილით „უ კ“-ს, პირ-წარმოება მაინც პირის სფეროში ხდება. რაც შეეხება „უ კ“-ს, პირ-წარმოება მაინც პირის სფეროში ხდება. რაც შეეხება „უ კ“-ს, პირ-წარმოება მაინც პირის სფეროში ხდება. ამიტომ გამოვყავით ისინი ცალკე ჯგუფად.

6. თანამედროვე ქართულში კ იშვიათი ბგერა არისო; იგი ნასესხებია სხვა იაფეტური ენებიდანამ (116 გვ.). კ თანამედროვე ქართულში იშვიათი კი არა, მხოლოდ დიალექტურადაა შენახული, მაგ-ხევსურულში; მაგრამ მას სასტრიკად იცავს ძველი ქართული. არა მეონია, რომ აქედან იმის დასკვნა შეიძლებოდეს, რომ კ ქართულში ნასესხებია.



7. აღსანიშნავია აგრეთვე ავტორის ერთი (მეტი ამჟამად უკვე მომდევნობის გარეშე) შენიშვნა: ქართ. ხ და ლ მას ჰქონია თავის ული *კ-ს და *გ (ფარინგალი მედერი ხშული)-ს ბერინაცვლად; ავტორი შენიშნავს, რომ სამი არქ. ფარინგალი ხშულისაგან (*ყ *გ *კ)-მხოლოდ ყ-მ შეინახა ხშულობა, ხოლო *გ და *კ გასპირანტდენო; ამბათ *გ უფრო ადრე, ვიდრე კ-ო (116 გვ.). თუ რატომ გასპირანტდა *გ, ხოლო *ყ-მ კი შეინახა ხშულობა, ამას ავტორი ხსნის ფიზიოლოგიურად: მედერთა ხშა ნაკლებად ენერგიულია და ამიტომ ნაკლებ გამძლენი არიან მედერნიო (იქვე). კიდევაც რომ დავეთანხმოთ ავტორს მის მთავარ დებულებაში (ლ ხ<*გ *კ), ვერ გავიზიარებთ მის ფიზიოლოგიურ ახსნას, რადგანაც ცნობილია, რომ ყრუ ასპირატები სუსტია მედერებზე: ამიტომ კ-ს არა ნაკლები შესაძლებლობა ქონდა გასპირანტებისა. *გ-ს ადრე გასპირანტებას რომ გულვობს კ-სთან შედარებით, ავტორის ერთ-ერთი მოსაზრება იმაში მდგომარეობს, რომ „ხომ მაინც შენახული აქვს კ ზოგ (იაფეტ.) ენას, საიდანაც ქართულშიც კ მოხვდა“ (იქვე). ამ მოსაზრებასაც არავითარისაფუძველი არა აქვს ქართულის (resp. წინარექართულის) მიმართ. ჩვენის აზრით, თუ კი „*გ *კ *ყ“-ს დღევანდელი „ლ ხ ყ“-ს პროტოტიპებად ვცნობთ, ყ-ს მიერ ხშულობის შენარჩუნება აიხსნება მისი სიმკვეთრით: ყოველ მკვეთრ ხშულს შეუძლია გამკვეთრათრიკატდეს, მაგრამ გასპირანტებისაგან ივი დაზღვეულია, ვიდრე მას მკვეთრობა შერჩენია¹.

გ. ახვლედიანი.

ტფ. 25. V. 26.

¹. ამ მოვლენის შესახებ იხ. ჩვენი „ოსური ენის ისტორიისათვის:“ ტ ჭუნ-ტის მოამბე, ტ. V. 1925, გვ. 316, ფერ. 4.



ქართული ეთნოლოგია

(1917—1926).

ს 1. არ არსებობს მეცნიერება ფაქტების გარეშე. ფაქტი კი სინამდვილის, არსებული ობიექტური სინამდვილის, ასახვაა. და რამდენადაც ზედმიწევნით სწორადაა სინამდვილე აქმნილი ფაქტების რეალში,—იმდენად მასზე დაყრდნობილი მეცნიერება სწორია და მისი პოსტულატები—სახე-სრული კეშმარიტება. მართალია თვით ობიექტური სინამდვილე არ არის მუდმივი და უცვლელი რამ, მაგრამ როგორც ვიცით არა მარტო შესაცნობი სინამდვილე, არამედ ადამიანის შემეცნებაც თავის-თავად მუდმივ ცვალებაშია.

ეთნოლოგიური მეცნიერებაც პირველ-ყოვლისა ფაქტების მეცნიერებაა. უწინარეს ყოვლის მასაც სკირია უტყუარი, შედარებით ურყევი და დადგენილი ფაქტები. თუ თანამედროვე ეთნოლოგია, რომელმაც ესე მძლავრად გაშალა ფრთხები, ნახევარი საუკუნის მანძილზე გასაოცრაო დაწინაურდა, რომელმაც მრავალი მიმართულება და სკოლა შექმნა, ავიდა კონების სპეციალისტის უმილეს საფეხურზე, ჩაულრმავდა პირველ-ყოფილი ადამიანის ალოლიკურ აზროვნებას, რომელიც კომპლექსური მეთოდით კულტურის კომპლექსებს არკვევს და თვით სახელგანთქმული აინშტაინის რელატივიობის თეორიასაც იშველებს, ყოველივე ეს იმ გარემოების შედეგია, რომ შის ვანკარცულებაშია საუცხოო ეთნოგრაფიული აღწერილობები, ნაყოფი მრავალ ეთნოგრაფთა ხანგრძლივი, თავგამოდებული შრომისა და ბევრ შემთხვევაში უტყუარი და მყარი ეთნოგრაფიული ფაქტები. ცხადია, სამეცნიერო თეორიები მხოლოდ ასეთ ფაქტებზე დაყრდნობით შენდება. ამიტომ ბუნებრივი და გასაგებია, რომ ეთნოგრაფიული ფაქტები უდიდესი ყურადღებით უნდა იქმნეს შეგროვილი. ყოველივე აღწერა გარკვეული მეთოდოლოგიური მიდგომით და განსაზღვრული ამოცანების მიხედვით უნდა ხდებოდეს. მხოლოდ ასეთ აღწერილობას ეძლევა მნიშვნელობა და შემდეგ გამოსადეგია სამეცნიერო თეორიების დასადგენად.



ჩვენი ეთნოლოგიური მეცნიერება უპირველეს ყოფილი და მიმდინარე რედ ასეთ ეთნოგრაფიულ აღწერილობებს საჭიროებს. მისი მოთხოვნილებაა უტყუარი, ურყევი და დადგენილი ეთნოგრაფიული ფაქტები ეთნოლოგიის ყველა დარგიდან.

მას შემდეგ, რაც ქართული ეთნოლოგია არსებობს, მას ერთი ძირითადი ნაკლი ახასიათებს. თეორიები და დასკვნები მუდამ ბევრი იყო, მხოლოდ ფაქტები მეტად მცირე და ცალმხრივი. საკიარისია მოვიგონნოთ ისეთი პირველხარისხოვანი მეცნიერები, როგორიც იყვნენ ს ენ-მარტენი, მ. კოვალევსკი და კ. ინოსტრანცევი, რომ ეს დებულება ურყევად მივიჩნიოთ. მთელი მეცხრამეტე საუკანასიანზე და მეოცის დასაწყისში ეთნოგრაფიული ფაქტები უფრო მეტად შემთხვევით გროვდებოდა, ყოველივე სისტემის გარეშე, ხოლო შეგროვების სტაციონარულ ხასიათზე ლაპარაკიც მეტია. ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ ქართული ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება ჩვენს ეთნოლოგიურ სინამდვილეში სადა და უბრალო ხაჭებების როდია. ერთი ხელის მოსმით აქ ვერც ევროპის ეთნოლოგიური მეცნიერების ის მეთოდები გამოგვადება, რომლებსაც პირველ-ყოფილ ხალხთა ყოფა-ცხოვრების შესწავლის დროს იყენებენ.

საქართველოსა და კავკასიაში, მის მკვიდრ ხალხთა შორის პირველ-ყოფილი ხალხები არ არის. აქ მხოლოდ შენახულია პირველ-ყოფილობის რელიგიური მოვლენები, რომელთა გვერდით მაღალი კულტურული მიღწეულებია და მრავალი ისტორიული ფაქტები. ამიტომ ამ ხალხთა შესწავლისათვის საჭიროა ორმაგი — ეთნოლოგიური და ისტორიულ-კულტურული მეთოდი, ხოლო თვით ეთნოგრაფიული მასალების შეგროვება ამგვარსავე როლი ხასიათის მიღებობას მოითხოვს.

სიძნელე სხვათა შორის მდგომარეობს იმაში, რომ ეთნოგრაფიული ფაქტები: ფიზიკური ტიპი, ენა, სარწმუნოება, ბინა, ტანისაცმელი, სამაკულა, ხალხური სიტყვიერება და სხვა — გამოკვლეული უნდა იქმნეს ერთის მხრით ხალხურ-კულტურული თავისებურების ნიადაგზე, ხოლო მეორეს მხრით წოდებრივ, სამოქალაქო-სარწმუნოებრივ კულტურულ-ისტორიულ ქანში. დაახლოებით აღწერილობითი კვლევა აქ იმავე მიღებით უნდა იწარმოოს, როგორც ეს ხდება ევროპის ისტორიის მქონე ხალხების ეთნოგრაფიის შესწავლის დროს (ნახ. M. Haberlandt, Die indogermanischen Völker des Erdeiteils, 1926, Stuttgart; განსაკუთრებით A. Haberlandt, Die volkstümliche Kultur Europas in ihrer geschichtlichen Entwicklung, 1926,

Stuttgart)¹. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული და მარჯვენა კულტურების სური ეთნოლოგიური მასალა ზოგიერთი თავისებური, დამოუკიდებელი ქვალიტატივობისა გამო—განსაკუთრებულ მიდგომისაც საჭიროებს. და იქ, სადაც ეს თავისებურება აშკარად ჩენებს თავს, ჩვენის ფიქრით, ფაქტების აქმა სხვა შეფარდებით უნდა მოხდეს და მეთოდოლოგიური განხრაც აუცილებელი იქნება.

მაშასადამე ეთნოგრაფიული ფაქტების, განსაკუთრებით ინდივიდუალური ფაქტების, დეტალური სისრულით შეგროვება წინათ გარკვეული მიდგომის მხედვით, მათი სტაციონარული შესწავლა და ამ რიგად ეთნოგრაფიული სინამდევილის უტყუარი ასახვა—ი, ის ამოცანა, რომელიც ქართული ეთნოლოგიის წინაშე დგას და რომელიც უნდა შესრულდეს შესაძლებელი სისწრაფით და კარგად. ვიდრე ეს შეგროვებითი ხანა არ გავვივლია, რასაკვირველია, ძნელია და შეუძლებელი ფაქტების ანალიზე, მათ სინთეზზე, თეორიებზე და ეთნიურ გრძელი კაზე ყოველგვარი ლაპარაკი. ყოველ შემთხვევაში დარღვების შექმნისათვის დრო ნააღრევთ, მით უფრო თუ გავიხსნებოთ ფიუსტელ დე-კულანუის სიტყვებს, რომ „pour un jour de synthèse, il faut des années d'analyse“.

და თუ ასეთი უნდა იყოს ქართული ეთნოლოგიის სადღეის მოთხოვნილება—ვიკითხოთ თუ დღეს დღეობით რა კეთდება ქართულ ეთნოლოგიაში.

§ 2. როგორც შემოთაც მოგახსნეთ, ჩვენში ეთნოგრაფიული მასალის შეგროვებას სისტემატური ხასიათი არ ჰქონია. ის შემთხვევითი გამჭველების და მოხალისეთა ხელით კეთდებოდა. რასაკვირველია ამ შრომაში არა ერთი და ორი ნიჭიერი, მუყითი და დაკვირვებული მუშაკიც იღებდა მონაწილეობას (ხიზანი შვილი, ჯანაშია, სახოკია, ამუკანასკნელის ქართულ-რუსულ წერილებს გარდა ნახე: La culte de la petite verole en Géorgie, Paris 1903; Les proverbes Géorgiens, Paris 1903, ორივე Extrait de la Revue Traditions Populaires, 1903. Paris და სხვები), რომელთა მასალები მართლადაც სანდოა. მაგრამ მასალების უმრავლესობა ნაკლები ლიტსებისაა და მათი გამოყენება უკონტროლოდ არ შეიძლება.

¹ ეთნოგრაფიული და ისტორიის წინაპირობის კომპლექსური კვლევის შესახებ იხილეთ S. Günther, Ziele, Richtpunkte und Methoden der modernen Völkerkunde, Stuttgart, 1904, გვ. 22—25; აგრეთვე P. W. Schmidt, Das ethnologische Alter von Pfeil und Bogen, Zeitschrift f. Ethnologie etc. Brl. 1925, Hef. 1—2 გვ. 74.



ՀԱՐԿԵՑՑՈՒՅՑ

Մարդու պատմոბის და უსისტემობის ბრალია, რომ ჩვენ აն թվականում მեծ მաս է მտლიანი და ამომწურავი ეთნოგრაფიული მასალა ჩვენი ქვეყნის თუ გინდ ერთი პატარა კუთხისაც კი. წარმოდგენილი მასალის ცალ- მხრივობის ნიმუშია სხვათა შორის ის გარემოება, რომ სრულიად ყურადღება არ ჰქონია მიქცეული ჩვენი ხალხის ფსიქო-ფიზიოლო- გიურ ხასიათს და ამ მხრივ არც რაიმე მასალაა შეგროვილი. რო- გორც ვიცით ზოგადი ეთნოლოგისათვის ამ გვარ მასალას ბიოლო- გიური მომენტების ჩართვით ხალხის კულტურული განვითარების მი- ზეზების გამოსაკვლევად დიდი ღირებულება აქვს¹.

თვით ისეთ სპეციალურ ორგანოც საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების კრებულებია—ეთნო- ლოგიური მასალის შეგროვებას სისტემატური ხასიათი არ ჰქონია; ამ მხრივ 1924 წ. ლაიპციგში გამოცემულს უურნალს Kaukasica- საც არა დატყობია რა². ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, თუმცა ლინგვისტური თვალთასზრისით შეგროვილი, პეტროგრადში გამო- ცემული მასალა, სერიაში *Материалы по яфетическому языкоznанию.* მაგალითად: არსენა კონდან მესსაშიშ, ლუმნუ ამბგარ ლელაშ- ხუ შუმი ნინშე, IX, 1917. აგრეთვე ი. კიპшиძე, *Грамм. минг.* (ивер.) ჯз. с хрестоматиею и словарем, Птб. წიგ. VII, რომლის ლექსიკონში ეთნოგრაფიული მასალის შესახებ ლიტერატურაც არის დასახელებული. ზოგი ეთნოგრაფიული მასალა მოიპოება: ვ. ბერი- ძის სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა. პეტ. 1912 და ილ. კუონიას, სიტყვის კონა. პეტ. 1910. და სხვ. საგულისხმო ეთნოგრა- ფიული მასალაა აკ. შანიძის რედაქტორობით დაბეჭდილი ბესარი- ონ გაბუური, ხევსურული მასალები, ქართული საენათ. სახ. წე- ლი წდეული I-II, 1923—1924, ტფ. გვ. 119—336 და სხვა. ძე- ლი ხანის ეთნოგრაფიული მასალების შემცველია ჩვენი უნივერსიტე- ტის გამოცემა: M. Полиевктов. სტოლნიკი ტოლოჩინოვისა და დიაკო- იევლევის ელჩობა იმერეთში, ტფ. 1926. ე. გაბლიანის, ძელი და ახალი სვანეთი (ტფილისი 1925), ს. მაკალათიას, ფშავური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა (ტფ. 1925) და ლ. მეტრევა-

¹ M. Haberlandt, Völkerkunde, Sammlung Göschen, გვ. 15. რადგან ცნობილი ეთნოლოგის Leo Frobenius-ს ახალ შრომებს ტფილისამდე ჯერ-ჯერო- ბით არ მოუღწევათ. ამ საკითხისათვის ვასახელებთ მისი მოხსენების რეცენზიას—“Vossische Zeitung” № 33, 1925.

² ამ უურნალის პირველი ტომის რეცენზია იზიდე „ჩვენი მეცნიერება“—ში ტფ. 1926 წ. № 5 გვ. 98—102. უურნალის მეორე ტომი ჯერჯერობით ტფალისში არ მოიპოება.

ლის ქართული ანდაზები (ტფ. 1926 წ.) — ბევრში იმეორებენ ჟუჟუსკიცნაშვილი უკვე დაბეჭდილ მასალას და სამეცნიერო ჩაწერის ნიმუშად უქმდას ეთნოგრაფიული გამოდებიან. ამ მასალებთან ერთად დასახელებულ უნდა იქმნას ნიკო დადიანის ძევლი რომანიდან დაბეჭდილი ნაწყვეტი („ლომისი“ 1922, № 156), რომელშიაც მრავალი საეთნოგრაფიო ტერმინი გვხვდება. მეტად საინტერესოა მასალის მხრივ ს. შანშიაშვილის ლექსი დალი, ქართული ღმერთების პანთეონი, ს. შანშიაშვილი, ტომი I. ტფ. 1925. გვ. 113)¹. აღსანიშვანია „რაუბადინ ბელადის და ერეკლე მეფის“ აღდგენილი ტექსტის გამოცემა (კავკასიონი, № 1-2 ტფ. 1924. გვ. 83).

ამ მხრივ ბევრია გასაკეთებელი, წინ დიდი სამუშაო გვიძებს და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ უნივერსიტეტის ეთნოლოგიური კათედრის მუშეულების და ჩვენი საზოგადოების ორგანოს მიმომხრილ ველის შეერთებული ძალობრივი მოხდება ჩვენი მრავალფეროვანი ქვეყნის ეთნოგრაფიული მასალის სისტემატური შეგროვება და აღწერა. რასაკვირველია ამ საქმისათვის გამოყენებული უნდა იქმნას ნ. მარის წამოწყების გამოცდილება (იხ. H. Mapp, Племенной состав населения Кавказа. ТКИПСНР, 3, Птг, 1920 გვ. 1—6, წინასიტყვაობაზი) და აგრეთვე მხედველობაში მიღებული მწერალთა კავშირის დადგენილება, 3. ინგოროვას მოხსენების გამო, ხალხური სიტყვიერების შეგროვების შესახებ (იხ. ქართველი მწერალთა ყრილობა, სტენოგრაფიული ანგარიში. სახელგამი. ტფილ. 1926 გვ. 223. § 3).

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ეთნოგრაფიული ყოველმხრივობის სისტემატური შესწავლა საწინაო საქმეა, ჩვენ გვაქვს ამ ხანად გამოცდული რამდენიმე ნაშრომი, რომლებიც ჩვენს ეთნოგრაფიულ მასალებს იკვლევენ.

§ 3. დაკავშიროთ ა. ლადაცტერის და გ. ჩურსინის გეოგრაფია კავკაზ-თი (ტიფ. 1924). ამ წიგნში ეთნოგრაფიული ნაწილი საკუთრივ გ. ჩურსინის კეუთონის. იგი უკვე დიდი ხანია, რაც კავკასურ ეთნოგრაფიულ მასალებზე მუშაობს და ბევრი ნაშრომიც აქვს დაბეჭდილი. მაგრამ მისი შრომების მთავარი ნაკლია წინასწარ გამომუშავებული ნორმების მირგება კავკასიის ეთნოგრაფიულ სინამდევი-

¹ სამხატვრო ლიტერატურაში საგულისხმო ეთნოგრაფიული მასალა გამნეულია კ. გამსახურდიას, დიონისის ლიმილში (ტფ. 1925 წ.), საინტერესოა კვანძის ძევლი კონბილი ჩვეულება ლექსში—ალ. ქუთათელი, ჩალვადარები კავკასიონი № 3—4, გვ. 57. ტფ. 1924) და ტატიშვილის ეთნოგრაფიული სურათები «ვარა ვისტოკა»-ში 1925—26 წწ.



ლეზე და კომპლექსური მეთოდის უგულებელყოფა. ეს უკავშირის მიზანია აშკარად ჩანს.

ამ ნაშრომში ავტორს ზოგი ისუთი დებულება აქვთ წამოყენებული, რომ მათი გადაჭრა დაუკითხავად საქართველოს ისტორიის ფაქტებისა და განათხარი მასალების გარეშე—ყოვლად შეუძლებელია.

კერძოთ სადაც ის ძირითადი საკითხი, რომელიც კავკასიის ხალხთა კლასიფიკაციას შეეხება. ნ. მარის მიერ წამოყენებული ლინგვისტური კლასიფიკაციის (ისიც როგორც სამუშაო პროცესების) ¹ — გადმოტანა ეთნოგრაფიული ხასიათის შრომაში, როგორც ამას ჩვენი ავტორი სჩადის — ვერას გზით ვერ იქნება გამართლებული. მეორეს მხრით, თუმცა ჩვენ გვაქვს კავკასიის ხალხთა ანთროპოლოგიური კლასიფიკაციის ცდები (უკანასკნელად ნახე აღ. ჯავახიშვილი, კავკასიური მოდგმა, ტფ., უნ. მოამბე ტ. III. გვ. 53-81.), ვინ გადასწუვიტა, რომ იაფეტელები უძველესი ძირითადი მოსახლეობაა კავკასიაში. ამ საკითხის შესახებ ჯერ ხომ ამოწურვით დაკითხული არ არის არქეოლოგიური განათხარი მასალა და შეჯერებული კავკასიურ ანთროპოლოგიურ სინამდვილესთან. გამოკვლევამ შეიძლება აქა-იქ კიდეც აღმოჩინოს კავკასიის ავტოხტონების ნაშთები, ან იქნებ ეგრეთწოდებულნი იაფეტიანები არცკი არიან ანთროპოლოგიურად ერთი მოდგმისა (შეადარე: ნატუხელები, ავარები, ტალიშები) ².

ერთი შეხედვით გ. ჩურსინის ამ ძირითადი შეცომისაგან თითქმის თავისუფალი A. V. h a n' i s ნაშრომი: Kaukasus, Ost-und Nordrussland. Finnland. გვ. 661 და შემდ. ³, როდესაც ის კავკასიის ენობ-

1. H. Mapp, Племенной состав населения Кавказа, ТКИПСНР. , 3, Петроград, 1920.

² გვ. ჯავახიშვილი, ქართველ ერის ისტორია, წ. I. ტფ. 1913 გვ. 64—65; ამიერ-კავკასიის უძველესი მოსახლეობის საკითხის შესახებ შრომას ამზადებს გ. ჯავახიშვილი, ნახე მისი, Ueber einige Quermaasse am Affen und Menschenschädel, ტფ. უნ. მოამბე, ტ. IV ტფ. 1924, გვ 161. რადგან ჩვენ აქერთ რსინის სახელმძღვანელოს შევეხეთ, საჭიროა დაგასახელოთ აგრეთვე დ. დონ-დუას სასკოლო წიგნი „ჩვენი მახრე, ქართლი“ ტფ. 1925. ამ წიგნის ეთნოგრაფიული ნაწილი წარმოდგენილია სალი მასალებით. ბეს. ყავრიშვილის, სკანეთი (ტფ. 1926) სასკოლო დამზარე წიგნი ეთნოგრაფიული შედმიწვევილობას ვერ დაიკვენის. ზოგადი პირველ-ყოფილი კულტურის სახელმძღვანელოებიდან ნახე—დ. უზარეს, პირველყოფილი კულტურის ისტორია, მეორე გამოცემა ტფ. 1922 წ. თარგმანებიდან აღსანიშნავია გერმანელი მეცნიერის ნაშრომი—კუნო რელიგიის წარმოშობა 1922, ტფილისი.

³ ნახე G. Buschan'is კრებული Völkerkunde II, Zw. T. Stut. 1926.

რივი კლასიფიკაციის (დამყარებული A. D i r r-ზე)¹ დამატებითი მონაცემებით უკავშირი პოლოგიურ საფუძველსაც იშეველიებს (დაყოფა: ჯგუფი საკუთრივ კავკასური, პონტური — ამაში შედის მოსახლეობა საქართვე, სამხედრო გზიდან ტამანის ნახ. კუნძულით ფოთამდე, ირანული და ურალ-ალტაური). მაგრამ ეს დაყოფაც წინააღმდეგობაში ვარდება და ჩერქეზები, ავტორის შეხედულებით წმინდა პონტური ტიპი, საკუთრივ კავკასურ ჯგუფშიც თავს კონტა.

მაგრამ, ეს ცოტაა. В у h a n'ი ეთნოლოგიური ოლწერისათვის საქართველოს ყოფს ორ ნაწილად: მთისა და ბარის მოსახლეობად; ეს დაყოფა უსათუოდ მიზან-შეწონილად უნდა მივიჩნიოთ; მას ერთგვარი ტრადიციაც აქვს ჯერ კიდევ სტრაბონის დროიდან (Strabo Geographica XI, 3^o). მაგრამ ცოტა არ იყოს ძნელია ჩერქენი ზოგიერთი კუთხეების მთისა თუ ბარისათვის მიეკუთვნება და სადემარჯაციო ხაზის მკაფიოდ გავლება. საქართველოს ეთნოგრაფიულ ოლწერას ავტორი წინუმდლებრებს ისტორიულ მიმოხილვას. აქ ის უძნესობას იჩინს. ქართული ისტორიოგრაფიის მელეუ საუკუნის მიღწევები ავტორისათვის ცხრაკლიტულში დაბეჭდილი წიგნია. ბროსეს დროის საისტორიო ცოდნის გამოყენებით კი ჩერქენის ხანაში ბევრი არა გაკეთდება რა².

მით უფრო ასეთი საისტორიო ცოდნით ვერაფერი ქართული ეთნოლოგია დაიწერება. აქ საჭიროა, როგორც ეთნოგრაფიული, კიდევ უფრო მეტად ისტორიული და ორქეოლოგიური ფაქტები. განსაკუთრებით ისტორიული ფაქტებია მიუცილებელი. და თუ მკელევარს ხელთ არ აქვს ასეთი და „საძირკველი დანგრეულია, მაშინ კადლების აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია“.

საკირველი კია, რომ იქვე იმავე კრებულში, სადაც В у h a n'ის შრომაა დაბეჭდილი, უგრობის ხალხთა ეთნოლოგიას არკვევს ორი

¹ A. D i r r, Anthropologischer und ethnographischer Bestand der kauk. nationen, KK 1910 წლისა.

² ანტონოპოლოგიური მასალის ეთნოგრაფიული მიზნით გამოყენების შესახებ იხილე გ. ჯავახი შვილი, ანტონოპოლოგიის მიზანი და ამოცანები ჩერქენი, ჩერქენი შეცნიერება, № 5. 1926 წ. გვ. 51 და შემდეგი.

³ მოიცვანოთ ავტორის შეხედულება ქართული საისტორიო წყაროების შესახებ: Ueber die Geschichte Georgiens berichtet eine Chronik (Kharthlis Tzchowréba), die König Wachtang V. (1703 bis 1722) auf Grund alter Handschriften der Kirche von Mtzchet und des Klosters Gelathi von Pitzunda (!) u. a. zusammenstellen liess" გვ. 675.

საყურადღებოა, რომ უკვ 1857 წ. ბროსეც კი ალარ მიაწერდა ქ. ც. შედგვნას ვახტანგ მეფეს. ნახ. მისი წერილი დ. ბაქრაძისადმი 1857 წ. 18 იანვ. თარიღით: „ტყუილად არა (ვახტანგს) მიაჩემდენ ცხოვრებასა“ ხელინაწ. წ. კ. ს. № 1258.

მკვლევარი M. და A. Haberlandt¹, რომლებიც შშენივრად იკვებენ ისტორიულ და არქეოლოგიურ ცნობებს ამ ხალხთა განვითარების დასადგენად. კავკასიის ეთნოლოგიამ რაღა დააშავა — უძებლივ იდ ისმება საკითხი.

საილუსტრაციოდ მოვყავს ერთი-ორი მაგალითი, თუ როგორ აშეუქებს ავტორი ჩვენს ეთნოლოგიურ საკითხებს. საქართველოში ისტორიის ადრინდელი და ისტორიის უძველესი ხანის ბინების არსებობის შესახებ *B y h a n-i შენიშვნაებს*:

ამ დროისთვის ბარად მიწურები იყო, ხოლო მთებში გამოქვაბულები და ამ უკანასკნელთ ასახელებს მცხეთისთან, თელავთან და აგრეთვე უფლისციხეს². უნდა მოგახსენოთ, რომ გამოქვაბულებთან ერთ ხაზზე უფლის ციხის მოხსენება ყოვლად მიუღებელია. მაშინ, როდესაც გამოქვაბულები ქვის ხანის ნაშთები უნდა იყვნეს, აშკარაა უფლის ციხე, ვარძია და ვანის სამეფოს დასავლეთის ნაწილის მღვიმეები დაწინაურებული ისტორიული ეპოქის კუთვნილებაა. ამ უკანასკნელთა შესახებ საკითხი დიდი ხანია, რაც დასმულია მეცნიერებაში, ის დეტალურ შესწავლას მოითხოვს და მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება გადაწყდეს³.

მაგრამ თვით გამოქვაბულების საკითხიც არ ჩაითვლება ჯერაჯერობით გადაწყვეტილად. გვაძეს ცნობები მხოლოდ ზოგიერთების შესახებ, ისიც მეტად მცირე ნაწილის; ასე — გვარჯილას კლდე რგანთან (მუსტიქერის ეპოქის კულტურა)⁴, რუდოლფ-ვიტხოვის ქვაბული და უფაროვის და ბარათაშვილის გროტები მოწამეთასთან (ვალეოლიტი)⁵, აგრეთვე ქვახრელი⁶. თვით მიწურების ხსენების დროს დაციწყებული არ უნდა იქმნეს მათი სხვადასხვა სახეები. ერთი მათგანია გლეხური დარბაზი, საცხოვრებელი ბინების ძეველი ტიპი, რომელთა შესახებ გ. ჩუბინაშვილმა ჯერ კიდევ 1922 წელს გერმანულ ურნალში

¹ M. Haberlandt, op. c.; A. Haberlandt, op. c.

² Solche zum Teil zahlreichen Höhlen finden sich bei Mzchet und bei Telawi; die ausgedehnteste Höhlehsiedlung ist wohl Uplos-tziche im Tale der Kura bei Kutais “(!) გვ. 680.

³ ნახე *Lemann-Haupt, Armenien einst und jetzt*, Berl. 1910 გვ. 102.

⁴ И. Круковский, Гвардзилас-Кладе (საქართველოს მუშეულის ხელთაწირი).

⁵ Max Ebert, Südrussland im Altertum, Bonn u. Leipzig, 1921, გვ. 27.

⁶ Л. Меликset-Беков, Пещерный город Квакрели,, Изв. Кав. Муз. т. XI), გვ. 208. (54) ციკლომიურ შენობათა შესახებ, ნახე ამავე ავტორის, К археологии и этнографии Туапской Осии, ТЗА Тиф., 1925, т 1, გვ. 280—61.

გამოაქვეყნა თავისი შენიშვნები¹, გამოსცა გეგმები და ნახაზეჭურულება წელს (ნახ. გლეხის დარბაზი დილმში ტფ. 1922) და რომელსაც ცხრაშემარტინი მწენოებრივი და სოციალური დანიშნულება თანდათან აშერავდება.

შევხელთ *B y h a p i s* შეხედულებას ქართველთა სარწმუნოების შესახებ. ავტორის აზრით ბარის საქართველოს სარწმუნოება ამოიწურება ქრისტიანობით, რომელსაც პირველ ორ საუკუნეში ებრძოდა ზარატუსტრის რელიგია, ხოლო „voriranische und vorchristliche einheimische Religion verherte einen obersten Gott Armas, Naturkräfte und Ahnenseelen“ (გვ. 714.). რაში მდგომარეობს ეს „einheimische Religion“, ან რამდენად ქართული ღვთაებაა არმაზი—ამის საბუთებს ავტორს ნუ მოსთხოვთ. ის ერთი ფრაზით ქმაყოფილდება: „mancherlei Reste davon findet sich im Kult und Glauben des Swanen, Pschawen, Tuschen und Ossen (იქვე, შეადარე აგრეთვე გვ. 739—743).

ამ საკითხის ასე იოლად თავიდან აცილება, როდესაც ჩვენ გვაშვის ივ. ჯავახიშვილის კლასიკური ნაშრომი², საღაც აღდგენილია ქართული წარმართობის დროინდელი პანთეონი; ამავე საკითხის შესახებ ო. ფონ გეზენ დონ კის ამომწურავი წიგნი³; მ. წერეთლი ის შრომა: ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა (გამოცემა კონსტ. ქ. კ. საგანისა. კონსტანტინეპოლი 1924 წ. გვ. 91 და შემდეგი);⁴ აგრეთვე ნ. მარის: Боги языческой Грузии⁵ ამათ შემდგომ მეტი რომ არა ეთქვათ უკან დახევა და ჩამორჩენილობაა ოცი წლით მაინც.

განა მარტო ამ საკითხში იჩენ ჩვენი ავტორი ჩამორჩენილობას. სამწუხაროდ ეს აშერავდება სხვა საგნებშიც. მაგალითად იგივე ავტორი დღესაც იმეორებს ძველს ზღაპარს, თითქოს ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება პირწავარდნილი ბიზანტიური რიგისა

¹ G. Tschubinashwili. Die christliche Kunst im Kaukasus und ihr Verh. z. allgem. Kunstgeschichte Monatsheft f. Kunsthissensch. 1922. № 7—9 გვ. 226.

² ივ. ჯავახიშვილი, ქარ. ერის ისტორია, წ. 1. თავი 3. ქართული წარმართობა. ტფ. 1913 წ.

³ O. von Wessendonk, Ueber georgisches Heidentum, Leipzig. 1924, განსაკუთრებით თავი: Einheimische georgische religiöse Vorstellungen გვ. 92. რეცენზია იხილე აჩვენი მეცნიერება“ № 3—4, 1925, ტფ. გვ. 162.

⁴ რეცენზია ამ შრომაზე იხილე „წიგნის მეცნიერება“ ტფ. 1925 № 1—2 გვ. 162.

⁵ ამ ნაშრომის შესახებ იხილე უკანასკნელი აზრი H. Marr, Яфетический Кавказ и третий этнический элемент в образовании средиземноморской культуры = МЯЯ XI, Лейпциგ, 1920, გვ. 11.



იყოს (გვ. 713); ამის თქმა მას შემდეგ, რაც ჩეკოვნის დღეს გ. ჩიუბაშვილი შვილის შრომები გვაქვს¹, ვერაფრით ვერ გამართლდებოდა მართვა.

მაგრამ ყველა ზემოთ მოყვანილ გარემოებასთან ერთად, საკ-
ვირელია, რომ Byhan's თვით ეთნოგრაფიულ ონტერაში ისეთი
მხარეები აქვთ გამოტოვებული, რომ ვერ აგვისტინია, თუ როგორ მოუვი-
და ეს ავტორს. ჩვენ სახეში გვაქვს ხალხის ფსიქო-ტიზოლოგიური
თვისებები. ამ მხრივ ერთი სიტყვაც არ არის დაძრული. ამის მიზე-
ზი ის გარემოება უნდა იყოს, რომ Byhan's ი უმთავრესად ძვე-
ლი ეთნოგრაფიული ონტერილობებით სარგებლობდა, სადაც ამ გვა-
რი მასალა მეტად მცირეა, ხოლო საკუთარი დაკვირვებები და კლე-
ვა-ძება ან სრულიადაც არ უწარმოებია, ან კიდევ მეტად მცირე
მასშტაბით და მცირე დროით. ამდენად საკმარისად მივგაჩნია, რაც
აქ ბიჟანის შრომას შევეხეთ.

კერძო ეთნოგრაფიული ქავეასურ-ქართული კოსტუმების, საკითხს ეხება თავის შრომაში Max Tilke, Orientalische Kostüme im Schnit und Farbe, Brl. 1923., სადაც თარგებში და ფერებით წარმოდგენილია მრავალი ჩვენი ტანსაცმელი. ამ წიგნით ჩვენებური ტანსაცმელი პირველად ხდება წმინდა მეცნიერული კლევის ობიექტიდან და ჩვენ მოუთმენდად მოველით ავტორის მიერ შეპირებულს ამავე ნაშრომის შემდეგ გაგრძელებას².

ზოგად კავკასიური ტიპის ერქვანის საკითხს გაკვრით ეხება
Paul Lesero Pflüge von Wehr, „Abhand. d. Ethn. u. Urgesch.
der Frank. Ges.“ B. II, Festschrift, Frankfurt am Main, 1925³.

ჩევნი ხალხური მუსიკის საკითხები გარკვეულია დ. არაყი-
შვილის, ქართულ მუსიკაში, ქუთაისი, 1925 წ.

მატერიალური კულტურის ერთი კერძო საგანი დაწუშავებულია
გ. ჩიტაიას ეთნოლოგიურ შენიშვნებში: სვანური „საკურუცხილ“
(საქ. მუზ. მოამბე, ტ. II, 1925.)

² M. Tilke-ს წიგნის რეცეზია ინ. „ჩვენი მეცნიერება“. ტფ., 1924, № 2, ვ. 184.

» სხვათა შორის ერტვანის წარმოშობის გარშემო ატენილი მეტად საინტერესო მეოთხოლოგიური ხასიათის კამათი იხილე—P. Leser, Der Pflug von Dabergotz, *Zeitschrift f. Ethn. d. Berl. G. f. A. Ethn. u. Urg.* Berlin 1925, Hef. 1—2 გვ. 45. და Mielke, Bemerkungen zu P. Lesers Abhandlung Ueber den Pflug von Dabergotz, op. c. გვ. 59.

§ 4. შევჩერდეთ მითოლოგიის ცნობილი მკვლევრის, უკრაინული მეცნიერის აქსელ ოლრიკის ნაშრომზე, რომელიც გერმანულად გამოვიდა 1922 წ. ამ სათაურით: *Ragnarök, die Sagen vom Weltuntergang. Untersuchung von A. Olrik, Übertragen von W. Ransch, Brl. u. Leipzig. 1922.* გვ. 484. + I—XIV.

ამ წიგნის ერთი მესამედი კავკასური მითოლოგიური მასალების გარჩევას უკირავს. მეტად საყურადღებოა ავტორის საკელევი საგნის მეთოდოლოგიური მხარე. ის ტექსტების დადგენით და მათი კრიტიკით იწყებს; სადაც კი შესაძლებელია არქეოლოგიურ მასალებს მიმართავს; ამის შემდეგ იძიებს თქმულებებში ჩარჩენილი ბუნებრივი წარმოდგენების ფენებს და ამათი გამოყოფისას გადადის მეორე საფეხურის მასალაზე, ხალხურ-მითიურ წარმოდგენებშე. თქმულებების შედარებას აწარმოებს არა მათი აბსტრაქტული იდეების მიხედვით, არამედ მათი პლასტიური მიმართებით (გვ. 3)¹.

ასეთი სწორი მეთოდოლოგიური მიღვომით Olrik'ი ამირანის ლეგენდასთან დაკავშირებული თქმულებების ქართულ (ავტორი ქართულად გულისხმობს სამწუხაროდ მხოლოდ ქართლს და კახეთს) ვერსიაში არჩევს უძველეს კავკასურ ელემენტებს, სპარსული მითის და ქრისტიანული ხანის გავლენებს. ავტორი კავკასურს იმ წარმოდგენაში ხედავს, რომელიც ბუნებრივ მოვლენას, მიწის ძრას (მითი იალბუზის გარშემო), მთებში დატყვევებული გმირების შეტორტმინებას მიაწერს (გვ. 287). თუმცა ამასთანავე შენიშნავს, ქართულ ვერსიაში მაინც და მაინც არ ჩანს მეაფიოდ ეს შეხედულება, ვინაიდან ქართველების შეხედულებით მიწის-ძრაის მიზეზი ის ვეშაპია, რომელზედაც დედამიწაა დაყრდნობილი (გვ. 219). აქ ჩვენ უნდა შეენიშნოთ, რომ თუ საზოგადოდ გამართლდა, რომ ამირანის თქმულება რაიმე სახით ბუნებრივ მოვლენებს უკავშირდება (მიწის-ძრა—ვეშაპი).— შესაძლებელი იქნება ამირანის მამის სულა-კალმახის მეორე ნაწილის სახელის ახსნაც. ამირანი კალმახს, ლვთაება-თევზს დაუკავშირდება და მისი ლვთაებრივი თვისებებიც გასაგები გახდება. ხოლო თვით კალმახი ვეშაპ-ლვთაებასთან ახლო იქნება დასაყენებელი².

¹ „Die Verwandtschaft der Sagen (und damit die Wege ihres Wanders) muss nach den Zügen bestimmt werden, die sie wirklich enthalten, nicht nach dieser oder jener Bedeutung, die sich unter der Oberfläche der Sage verbirgt“, გვ. 286.

² გელამის ვეშაპის ქანდაკებათა შესახებ ნახე Н. Марр, ქავკას ი მამი- ნი დუხოვნო კულტური იან. СПБ, 1912, გვ. 77; სულა-კალმახის შესახებ ივ. ჯავახიშვილი, ქარ. ერის ისტ. წ. I, თავი IV, გვ. 149.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ სვანურ კერძიაში, მუსეუმზე მოქალაქეობა უკვე და ამდენად უკვე დაპატიჟი უკვე მიწის დამუშავებაზე მიგვითითებს და ამდენად უფრო ბარს უკავშირებს.

K. Krohn'ის მიხედვით ჩვენი აეტორიც იმ აზრისაა, რომ ამირანის სახელი სპარსულ აპრიმანი იდანაა წარმომდგარი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეფარდება მისალები არ არის. მარმა და ჯავახი შვილმა გამოარკვიეს, რომ ამირანს სპარსულ აპრიმანთან კავშირი არ აქვს, არც თავისი მახასიათებელი თვისებებით და არც სახელწოდებით. ქართული ამირანი აფხაზურ: A-berskil და სომხ. Meher-თან არის დაკავშირებული. ხოლო აფხაზურიდან ნათლად ჩანს, რომ ამირანი შეეგმირია და არა სპარსული მითის ავი სული¹.

ბევრი სხვა დებულებაც საკამათოა ამ მეტად საგულისხმო წიგნში, მაგრამ ჩვენ მათ ველარ გამოვყენდებით. საკამათოა თვით ტექსტების კრიტიკაც, ვინაიდან ავტორი რუსულიდან თარგმნილებით სარგებლობს და არა თქმულების დედნებით. მიუხედავად ამისა გამწეულია დიდი შრომა, მოხდენილია ამირანის ლეგენდის კლასიფიკაცია და თუ ამასთან ერთად გავიხსენებთ ივ. ჯავახი შვილის გამოკვლევას—შემდეგი ზედმიწევნითი კვლევა-ძიებისათვის კორდი გატეხილია და ნიადაგი გასუფთავებული.

ამირანის თქმულების შესწავლის შემდეგი მუშაობა სხვათა შორის არქეოლოგიური მასალების დაგროვებითაც უნდა მოხდეს². ამ მხრივ ბევრი უკვე აღმოჩენილი ძეგლები ჩვენს მუზეუმებში აუბსნელი ძევს და კიდევ უფრო მეტი შეგროვებას საჭიროებს. მათი ამეტყველება სპეციალისტების შრომას მოითხოვს.

ამ მხრივ საყურადღებოა И. Мещанинов'ის მუშაობა, რომელიც ამ მიმართულებით იკვლევს კავკასური მატერიალური კულტურის განათხარ მასალებს. მაგრამ მის ნაშრომებს ჯერ-ჯერობით ერთი ნაკლი ახლავს, რაც მის ნამუშევარს ცარავს და მნიშვნელობას უკარ-

¹ Н. Марр, Кавказоведение и абхазский язык. ЖМНП, кнв сер. LXIII, 1916 წ. გვ. 22—23. ივ. ჯავახი შვილი. оп. сіл. გვ. 159. თითქას ამის საწინააღმდეგო აზრს იცავს თ. ბეგია შვილი, ქართული სიტყვიერების ისტორია. ხალხური სიტყვიერება, ტფ. 1925 წ. გვ. 51. შეადარე ამ წიგნს გ. ბარნოვი, გაკვეთილები ქართული ლიტერატურისა, რვ. I. ტფ. 1925 წ. ხალხური სიტყვიერების შერჩევულ მასალას იძლევა ს. გორგაძის კრებული, ჩვენი ხალხური პოეზია, ტფ. 1925. ეთერიანი, ნახ 3. მირიანა შვილის გამოცემაში, ტფ. 1920.

² საგმირო ქარისის მატერიალური საფუძვლებით გამოგრების შესახებ ნახ 6. მარტი, Термины из абхазско-русских этнических связей „лошадь“ и „тризна“, Ленинград, 1924, გვ. 2; აგრეთვე ლ. Мелик-Беков, К археологии и этнографии Туальской Осции, გვ. 262—63.

გავს. ის ჭინასწარ აღმაღული იაფეტიდოლოგიური თვალით უკავშირდებოდა მიხედვით უდგება საკითხების დამუშავებას. ეს კი პირველყოფილისა საზოგადოდ დაუშვებელია, ხოლო მეორეს მხრივ რამდენად იაფეტიური თეორია ჯერხნობით ძიებას და დადგომის პროცესშია¹, მასზე დაყრდნობა მაინცდამაინც ნაყოფიერი ვერ გამოდგება².

§ 5. დასასრულ ჩვენ გვინდა გაკვრით შევეხოთ ერთს საკითხს, სახელმისამართი — საგვაროვნო წეს-წყობილებას, რომელიც ჩვენი მკვლევარების სადღეის მიების საგნად არის გადაქცეული.

ამ საკითხს ეხება თავის გამოყვლევაში ს. კაკაბაძე (ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტის გენეზისის საკითხები, „სიისტორიო მთამბე“, ტ. I., ტფ. 1925 წ. გვ. 90-91 და სხვა), რომლის დებულებების დეტალურ განხილვას ჩვენ აქ ვერ შევუძღვით. ვიტყვით მხოლოდ, რომ ავტორი მაინცდამაინც ირანიზმის გავლენას ქართველთა უძველესი ხანის, როგორც სოციალურ წეს-წყობაზე, ისე მის სარწმუნოებაზე მეტის-მეტად დიდ როლს მიაკუთვნებს, მაშინ, როდესაც ჩვენ ვიცით, რომ თვით პირველი ავტორი ქართლზე ირანული გავლენის თეორიისა ნ. მარი, რომლის თხზულებასაც უმთავრესად ემყარება ს. კაკაბაძე — უკვე ამ შეხედულებას არ იზიარებს³.

გრ. ნათაძე თავის ნაშრომში — საქართველოს ისტორიის მუკლე სოციოლოგიური მიმოხილვა, ტფ. 1925, ნაშ. I, თავი IV, გვ. 58. საგვაროვნო წეს-წყობილების საკითხში უმთავრესად გამომდინარეობს ივ. ჯავახი შვილის უკვე დაბეჭდილი შეხედულებებიდან და ამიტომ ახალს თითქმის არაფერს არ შეიცავს.

როგორც ვიცით ივ. ჯავახი შვილმა თავისი შეხედულება ძველი საქართველოს საგვაროვნო წეს-წყობილების შესახებ პირველად ჩამოყალიბა თავის სადისერტაციო მონოგრაფიაში⁴ და შემდეგ შეი-

¹ Л. Меликset-Беков, Введение в историю государственных образований Юго-кавказа, Caucasica I, Тиф. 1924, გვ. 33—34.

² И. Мещанинов, Змея и собака на вещевых памятниках архаического Кавказа, Зап. Кол. Вост. Ленг., т. I, გვ. 192; მისვე, Змея-зигзаг — длиная линия, и змей-дракон-собака, З. Кол. Вост. I, 1925. ნ. მარის ბოლო ხანების მზავალმხრივი ეთნოლოგიური შენიშვნები ქართული ეთნოგრაფიული მასალების შესახებ გაბნეულია მის სხვადასხვა შრომებში. უკანასკნელი დროის ნაწერების ნუსხა ნახე: Л. Меликset-Беков, Академик Н. Я. Марр и яфетическая теория, Тифlis, 1926. განხრახვა გვაძეს ნ. მარის ჩვენთან დაკავშირებულს ეთნოლოგიურ შეხედულებებს ცალკე შევხოთ.

³ Н. Марр, Яфетический Кавказ и третий этнический элемент в сознании культуры, Лейпциг, 1920, გვ. 11.

⁴ И. Джавахишвили, Государственный строй древ. Груз. и др.—Арmenии, СПБ. 1905, ТР. Кн. VIII.



ტანა თავის „ქართველ ერის ისტორიაში“ (ტფ. 1913 წ. № 12) შეხედულებასთან ერთად საინტერესოა, რომ ივ. ჯავახიშვილი კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს (იხ. მისი საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში წაკითხული მოხსენება: ძველი და გაერთიანებული ხანის ქართული სახელმწიფო და სოციალური წყობილების მთავარი საკითხები,— ამ წლის 17 აპრილის სხდომის ოქთი, № 241). ამ მოხსენებაში ივ. ჯავახიშვილი წინანდელთან შედარებით კიდევ უფრო აფართოებს საგვაროვნო წეს-წყობილების მასალების გამოძიებას, უკვე მეტი ნდობით ეპურობა ქართულ საისტორიო წყაროებს¹ და საგვაროვნო მოვლენების უფრო ღრმა ანალიზს ახდენს.

„შეყრილობის წიგნების“ განხილვით მომხსენებელი იმ დასკვნამდე მიღის, რომ ჩვენს მთაში შენახული ეგრეთწოდებული გვაროვნული წეს-წყობილების ნაშთები უკუჭცევთი პროცესის შედეგად, მეორადი მოვლენაა და მათი გამოყენება ქართლის ძველი ხანის სოციალური ცხოვრების აღსაღენად შეუძლებელია. საკითხავია თვით-სტრაბონის დროინდელი საგვაროვნო წყობილება, ხომ არ წარმოადგენს ამგვარსავე მეორად პროცესს? მომხსენებელი გაკვრით შეეხო მატერინიტეტის საკითხს, რომელიც ნ. მარმა წამოაყენა იაფეტიანთა მახასიათებელ ინსტიტუტად² და რომელსაც მხარს უჭერს ლ. შტერნ ბერგიც³ და ახალი კომენტარი მოგვცა „მოქცევაზე ქართლისადან“-ს ცნობის 8 და 10 სახლის დედა-და მამამშექეთა მოსვლის შესახებ:

¹ საგულისხმოა, რომ ბოლო ხანებში ნ. მარი ცმეტი ნდობით ეპურობა ქართულ მემატიანეთა „ზღაპრულ“ ნაწილს (H. Mapp, op. cit., გვ. 11). შეადარე მ. შტერგ თვე ლი, op. cit., ბოლო თავი.

² H. Mapp, Яфетич, Кавказ, etc. გვ. 41.

³ იხილე ლ. შტერნ ბერგის მოხსენება შავიზვის სანაპიროების და დასავლეთ კავკასიის სამხარეთმცოდნეო მეორე ყრილობაზე—Яфетическая теория при свете этнографии: твёрдый доказательство—(Втор. Краев. Съезд Черн. поб. и Зап. Кавказа, Постан. и резолюции, Батум, 1925, გვ. 45). ამ ყრილობაზე წაკითხული მოხსენებებიდან ჩვენ უნდა აღნიშვნოთ: ს. მაკალათია, ფალოსის კულტისაქართველობი; დ. გულა, ვიზუალური ხასიათი აბხაზის; ს. გულა, არა აეტორის ისტორია აბხაზი. თ. I, თიფ. 1925. რეცენზია ნახე: ს. მაკალათია, საქართველოში არა აეტორის ისტორია, მუშავი, 1925, № 4. წიგნის ეთნოგრაფიული ნაწილი სამეცნიერო მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს; აგრეთვე კრიტიკას ვერ იტანს ს. ბასარიას, აბხაზია ინგლისურ ენაზე და ეთნოგრაფიულ ენაზე დასახელებულ წიგნში).

რასაკვირველია, ეს გამოკვლევა მეტად საგულისხმოა. პერსპექტივებს ქმნის და ახალს მიმართულებას იძლევა ჩვენი სოციალური ინსტრუტების კვლევისათვის. მაგრამ ამასთანავე ამ გვარი კვლევა-ძიებისათვის მეტად მნიშვნელოვანი იქნებოდა, რომ, კერძოდ, ძირფესვიანად იყოს შესწავლილი მთაში დაცული სოციალური წესწყობილების ნაშთები, ვინემ ეს დღეს არის და საზოგადოდ ჩვენი ეთნოგრაფიული სინამდვილე ზედმიწევნით და სტაციონალურად და არა შემთხვევით და გზადაგზა, იყოს შესწავლილი; მომხდარიყოს ეთნოგრაფიული ფაქტების კლასიფიკაცია და სხვადასხვა საფეხურის ფენების გამორჩევა,— რომ მტკიცე ეთნოგრაფიული ფაქტების გამოყენებით და მათი ისტორიულ და ორქეოლოგიურ მასალებთან გადაჯვარედინება—კონვერგენციის გზით შესაძლებელი შეიქმნეს ჩვენი წარსულის ბნელით მოცული საკითხების დამაკმაყოფილებლად გადაჭრა. სამწუხაოდ ჯერ-ჯერობით ჩვენ სწორედ ეს მტკიცე ეთნოგრაფიული ფაქტები გვაკლია, ქართული ეთნოგრაფიის გარდუგალი მოთხოვნილებაა სისტემატურად და სათანადო სისწრაფით ამ გვარი ფაქტების შეგროვება, რაზედაც ჩვენ ამ წერილის დასაწყისში მოგახსენეთ.

გ. ჩიტაია.

სანერტი და ჰაემეტი ტექსტები.

პროფ. ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის (ტფილ. უნივერს. მოამბ. II, 313—391); პროფ. ა. შანიძე, უძველესი ქართული ტექსტების აღმოჩენის გამო (იქვე გვ. 398—424), მოსივე, ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის (ტფ. უნ. მოამბ. III, 554—588). დროისა, ი. მარკოვი, ეთნოგრაფიული ტექსტების გარდუგალი მოთხოვნილებაა სისტემატურად და სათანადო სისწრაფით ამ გვარი ფაქტების შეგროვება, რაზედაც ჩვენ ამ წერილის დასაწყისში მოგახსენეთ.

1923 წელი მეტად საყურადღებო გამოდგა ქართველთმეტყველების ისტორიაში: ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა, ი. ჯავახიშვილმა და ა. შანიძემ, აღმოჩინეს უძველესი ჰალიმფესტური ძეგლები, რომელთაც მეცნიერებაში დაიმკვიდრეს სახელწოდება ხანმეტი და ჰაემეტი ტექსტებისა. ამ აღმოჩინამ ფართე პერსპექტივები გადაუშალა თვალწინ ქართულ ფილო-



ლოგიას, მან წამოაყენა მრავალი საკითხები და გამოიწვია პუნქტუალური და ლებო წერილები, რომელთა სათაურები ზემოთ ამოვწერეთ. ამ მოკლე შენიშვნაში ჩვენ გვინდა შევეხოთ ამ აღმოჩენასა და მის მიერ გამოწვეულ სამეცნიერო ლიტერატურას იმდენად, რამდენადაც მათ მნიშვნელობა აქვთ ჩვენი ძველი მწერლობის პრობლემების გაშუქებისათვის.

რას ჰმატებს მატერიალურად, შინაარსის მხრივ, ეს აღმოჩენა ყვენ მწერლობას? ბევრს არაფერს: აღმოჩენილია და წაკითხული მხოლოდ ბიბლიური ტექსტები (ძველისა და ახალი აღთქმის) მათთან ისტორიულ-ლიტერატურულად დაკავშირებულის აპოკრიფული მწერლობის ერთერთი ფრაგმენტით, ერთის მხრით, და ტიპიკარული ფრაგმენტი ეგრეთშოდებულის „იერუსალიმის განჩინებისა“, მეორე მხრით. ასეთი მასალების არსებობა და პირველადობა ჩვენს მწერლობაში აქამდისაც უცილობელი და უდავო ფაქტი იყო. აღმოჩენა იმდეს გვაძლევს მხოლოდ, რომ, ამავე გზითა და მეთოდით, მუშაობისა და ძებნის გაღრმავებისა და გაფართოების შემდეგ, ჩვენ მივაგნებთ სხვა მრავალს, დღემდე უცნობ, ძეგლებსა და მასალებს.

არც იმისი თქმა შეიძლება, რომ ეს აღმოჩენა რედაქციულად მაინც იძლეოდეს რაიმე არაჩვეულებრივსა და სენსაციურს: ახლად აღმოჩენილი ბიბლიური მასალა, მეცხრე-მეათე საუკუნეთა ტექსტთან შედარებით, მეტს ვარიანტებს არ იძლევა (პრეტიქსებს არ ვიღებთ მხედველობაში), ვიდრე თვით მეცხრე-მეათე საუკუნეთა ტექსტები, ურთიერთშორის შედარებულნი.

არც იმის გამოსარცვევად გვაძლევს ეს აღმოჩენა ახალს, დღემდის უცნობ მასალას, თუ რომელი ენიდან ითარგმნა თავდაპირველად ქართული ბიბლია, ეს უძველესი და უპირველესი ძეგლი ჩვენი მწერლობისა.

უკველ შემთხვევაში, კულტურული თვალსაზრისით მაინც უნდა იყოს დაუფასებელი ეს აღმოჩენა, ვინაიდან ის არღვევს იმ შეხედულებას, თითქოს ქართული მწერლობა დაწყებულ იყოს მხოლოდ მეხუთე საუკუნის დამდეგს; დამწერლობის ჩამოყალიბებული, დამთავრებული სახე ამჟავნებს, რომ ახლად აღმოჩენილ ძეგლთა გადაწერას ქართული ანბანის შემოღება რამდენიმე საუკუნით მაინც უნდა უსწრებდეს წინ (ივ. ჯავახიშვილი, გვ. 368). ეს მართალი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ ამ ძეგლებს მართლა მეხუთე-მეექვეს საუკუნეში გადაწერილად ვიგულისხმებოთ. მაგრამ ეს ჯერ საბოლოოდ დამტკიცებულად ვერ ჩაითვლება. მართლაც, ამის დასამტკიცებლად არ კიარა მარტო ის გარემოება, რომ ამ ძეგლებში ბანი ჯერ კი-



დევ თავშეექრულია, ვინაიდან, როგორც ირკვევა, თავშეექრული ბანი მეცხრე-მეათე საუკუნის ძეგლებშიაც ყოფილა (ზენკო, კაკაბაძე დე, ჩიქობავა). ხოლო, თუ მხედველობაში გვექნება ის გარემოება, რომ ტექსტი ახლად აღმოჩენილი ძეგლებისა. სირიულ-სომხურ ელე-მენტებთან ერთად, ბერძნული სეპტანტის ელემენტებსაც შეიცავს (6. მარტი), იგი შეგვიძლია მივაკუთვნოთ, უკეთესს შემთხვევაში, მხოლოდ მეექვეს საუკუნის გასულს, როდესაც პირველად იჩინა თავი ჩვენს მშერლობაში ელინოთილურმა ტალლამ; და თუ ეს ასეა, ამ ტექ-სტის შემცველ პალიმფსესტებს, ყოველ შემთხვევაში. მეშვიდე საუ-კუნის დასასრულზე უადრეს ხანაში ვერ გადმოვიტანთ (მერვე-მეცხ-რე საუკუნით დათარილება მათი, როგორც ამას ლენინგრადის მეცნი-ერები სჩადიან, მეორე გაუმართლებელი უკიდურესობაა). მეხუთე სა-უკუნის დასაწყისიდან კი მეშვიდე საუკუნის გასლვამდე, სამი საუკუ-კუნის სივრცეზე. შეუძლებელი არაა ჩამოყალიბება იმ სახის დამშერ-ლობისა, რომელიც ჩვენ პალიმფსესტებში გვაქვს.

ამნაირად, მართალია, კარდინალური ისტორიულ-ლიტერატუ-რული საკითხების გადასაწყვეტად ახლადაღმოჩენილი ძეგლები ხელ-შესახებს არას გვაძლევს, მაგრამ მნიშვნელობა მათი მაინც დიდია. ყოველ-შემთხვევაში, იმ მხრივ, რომ, როგორც უნდა იყოს, დამშერ-ლობით იმათზე უფრო ძველი წმინდა ლიტერატურული ძეგლი ჯერ ჩვენ არ მოგვეპოვება.

პალიმფსესტური ძეგლების აღმოჩენამ წამოყენა საკითხი ორი ტერმინის შესახებ, რომელიც მოხსენებულია გიორგი მთაშმიდელის ცნობილს ან დეკრეტი; აი ეს ანდერძი: „ესე საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წმიდად მოხატვი არათუ ახლად გვითარგმნია, არამედ ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთმე სულიერთავთა ბერძულთა სა-ხარებათა და შეგწამებია ფრიადითა გამოწულილვითა¹. და ვინცა ვინ სწერდეთ, ვითა აქა პპოოთ, ეგრე დაწერეთ. თუ ამისაგან ჯერ გიჩნდეს დაწერაა, ღმრთისათვის სიტუათა ნუ სცვალებთ, არამედ

¹ პროფ. ა. შანი ძე მ უპირატესობა მისცა ამ „ანდერძის“ მეორე ვა-რიანტს. რომელიც ამბობს: ესე ოთხთავი „აბლად გვითარგმნია ფრიადითა იძუ-ლებითა ძმათა ვიეთმე სულიერთავთა და ბერძულთა სახარებათადა შეგვწამებია“, და დასკვნა რომ გიორგიმ ხელახლად თარგმნა სახარება ბერძნულიდნაო. მა-გრამ ეს რომ ასე არ არის და რომ სიმართლე იმ ვარიანტშია, რომელიც აბლად თარგმანშე კი არა, არამედ მხოლოდ „შეწამებაზე“ ლაპარაკობს, ამას ადასტუ-რებს გიორგის ბიოგრაფის სიტყვები: „და კუალად სხუანი რომელნიმე ბერძულსა შეა წამნა და ყოვლისა ნაკლულევანებისაგან განასრულა.... ვათარცა თვე თავა-დი სახარებაო“ (ათონ. კრებ. გვ. 310), ამასვე ადასტურებს XI ს. სახარების (სიძ. მუშ. 845, ფ. 297 ბ) ანდერძიც.



ვითა აქა სწერია, ეგრე დაწერეთ. და თუ რაშე გაშუნდება ჩემი მიზანი
ყოველი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნია და კეთი-
ლად, ხანმეტნიცა და საბაზმიდურნიცა, მუნით დაწერეთ".
როგორც ვხედავთ, გიორგი ასახელებს აქ „ხანმეტსა“ და „საბაზმი-
დურ“ სახარებას, რას უნდა ნიშნავდეს ეს?

პროფ. ა. შანიძე მ ნათელყო, რომ „ხანმეტი“ ჰეროისმობს
სწორედ ახლად აღმოჩენილ პალიმფსესტურ ძეგლებს, რომელთაც ახა-
სიათებს ხანის ზედმეტად (რასაკვირველია მე-11 საუკუნისათვის) ხმა-
რება. ამ ძეგლებს, უკველია, „ხანმეტი“ მაშინ ეწოდა, როდესაც ხა-
ნის ბუნება და დანიშნულება, როგორც პრეფიქსისა, დავიწყებული
იყო და ის ზედმეტად ეჩვენებოდა მკითხველს. ნამდვილად რომ ვთქ-
ვათ, სახელწოდება „ხანმეტი“ უნდა მიეკუთხნოს არა მარტო სახა-
რებას ან რომელიმე მის რედაქტიას, არამედ ყოველგვარ ლიტერა-
ტურულ ძეგლს და ყოველგვარ რედაქტიას ამათუმი ძეგლისას გარ-
კვეულს პერიოდში. ეს რომ ასე, ახლად აღმოჩენილი ძეგლები-
დანაცა ჩანს: ამ ძეგლებში ჩვენ ვვაქვს არა მარტო სახარება, არა-
მედ ბიბლიის სხვა წიგნებიც, და არა მარტო ბიბლიის წიგნები,
არამედ აპოკრიფიც; ამ ძეგლებში „ხანმეტობა“ ახასიათებს არა
ერთს რომელიმე რედაქტიას, არამედ ორს სხვადასხვას, როგო-
რიცაა, მაგალითითისათვის, მათ. VII, 5—15, ამიტომ კატეგორიულად
უარყოფილ უნდა იქმნეს ს. კაკაბაძის მტკიცება, თითქოს „ხან-
მეტობა“ უფრო ახასიათებდეს ბერძნულთან დაკავშირებულს სახარების
ტექსტს და ძლიერ ნაკლებ სახარების უძველესს ქართულს ვერსიას“
(გვ. 35, 36); „ხანმეტობა“ ერთნაირად ახასიათებდა ამ პერიოდში
აღმოცენებულ ყველა ვერსიას, იქნებოდა ის ბერძნულთან დაკავში-
რებული თუ სომხურთან.

ამ პერიოდში, რომელიც, გიორგის ანდერძის მიხედვით, წინ
უსწრებს „საბაზმიდური“ სახარების გაჩენას და რომელიც ამიტომ მერვე
საუკუნის ნახევარს არ უნდა სცილდებოდეს, ლიტერატურულ ენას
საფუძლად ედვაჭისეთი დიალექტი, რომელიც „ხანმეტობის“ მატარე-
ბელი იყო. ეს დიალექტი უნდა ვეძიოთ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც
ეკუთხნდა, სხვათაშორის, მცხეთისა და ბოლნისის რაიონი (მათი
„ხანმეტი“ ეპიგრაფიული წარწერებით). ესე იგი ძველი დროის
ეთნოგრაფიული ქართლი, რომელსაც ბერძნები გოგარენეს, ხო-
ლო სომხები გუგარეს ეძახდენ და რომლის ერთს ნაწილს შემდე-
გში ქართველებმა სომხითი უწოდეს. ცნობილია, რომ ამ რაიონში
ყველაზე აღრე შემოვიდა ქრისტიანული კულტურა, ამიტომ აქ ჩაუ-
ყარა საფუძველი ჩვენს მწერლობას (ანბანის შემომლებნი, სომებ

ისტორიულსთა ცნობით, აქ მოქმედობენ); ამ რაიონში ჩაიგრძნილი კულტურული ჰეგემონია მეოთხე საუკუნის ნახევრიდან გაერთიანებულის აღმოსავლეთ-საქართველოსი (გუგარქი-იბერიია). ეს ჰეგემონია გრძელდებოდა იბერიის საბოლოოდ ქრისტიანიზაციამდე, რომელიც არც ისე მაღლე დამთავრებულა; ყოველ შემთხვევაში მეექვსე საუკუნეში, სირიელ მამათა მოლვაწეობისას, ეს მხარე ჯერ კიდევ „ახალნერგ იყო“ და მასში „ურწმუნონი იყვნეს მრავალნი“ (საქართ. სამოთხე, გვ. 199, 210), მეშვიდე საუკუნეში ანტიპატრიიოზი ვარაზბაკური აქრისტიანებს გარდაბანელთ (ქართ. ცხოვრ. მარიამ დედოფლისა, გვ. 342), ხოლო ლეონტი მროველის წყარო, რომელიც ეკუთვნის მეშვიდე საუკუნის გასულს, თუ მერვის დამდეგს, ამბობს, რომ მთეულთაგან „რომელნიმე დარჩეს წარმართობასავე დღესადმდევ“ (ქართ. ცხოვრ. მარიამ დედოფლ. გვ. 107).

ის გარემოება, რომ ონიშნულ რაიონში ოდესაც უცხოვრიათ თითქოს სვანებსაც, რომელთა ენა დღესაც „ხანმეტობის“ მატარებელია, არ კიარა იმის დასამტკიცებლად, რომ თავდაპირველად ქართული ბიბლია „სვანურ“ ენაზე ითარგმნა, ვერც ის გააძლიერებს ამ დებულებას, რომ ქართულს ბიბლიაში სამი-ოთხი სვანური სიტყვა შეიძლება მოიძებნოს. ქართული ბიბლიის „სვანურობა“, რომელსაც თავგამოდებით იცავს ნ. მარრი, გაუმართლებელი ჰიპოთეზია, რომელიც „როგორც სამართლიანად დაუწერია D-r Blake-ს, დროა დატოვებულ იქნეს. მართლაც. თუ ეს თავდაპირველი თარგმანი ქართველთათვის იმდენად გაუგებარი იყო, რომ მათთვის საჭირო შეიქნა განსაკუთრებული თარგმები. რომელთაც, ნ. მარრი ის ახალი ჰიპოთეზით (ცტ. 63—64), ახლად აღმოჩენილი პალიმფსისტები უნდა წარმოადგენდეს. ის „ქართული“ თარგმანი არ ყოფილა, მაშასადამე იმაზე ლაპარაკიც ზედმეტია, რადგანაც ჩენ ამ შემთხვევაში გვაინტერესებს არა სვანური, არც კავკასური (?) საზოგადოდ, არამედ ქართული ბიბლია კერძოდ და მისი დასაწყისი.

მეშვიდე საუკუნის გასულის თუ მერვეს დასაწყისისათვის ქართულს კულტურულ ასპარეზზე აქტიურ ძალად გამოღიან ამდროინისათვის საბოლოოდ გაქართებული იბერები. ამას ხელი შეუწყო უმთავრესად იმ შინაგანმა დუღილმა და ძალების გადაჯგუფებამ, რომელიც გამოწვეული იყო არაბთა ბატონობის დამყარებით. ცნობილია, რომ არაბების შემოსევისას პირველი მახვილი გოგარენ-გუგარქს მოხვდებოდა ხოლმე გულში, პირველი სისასტიკე და სიმწვავე დარბევისა მას დაატყდებოდა ხოლმე თავს, ამიტომ, იბერიისათან შედარებით, ის უფრო მეტად გატყდა წელში და მერვე საუკუნისათვის კულ-



三六四〇五九二二〇

აი ეხლა, მერე საუკუნიდან, როდესაც მთავარი ცენტრი ქართული მწიგნობრობისა საბას ლავრაშიაც გაჩაღდა, გაჩნდა ის „საბაჭმიდური“, სხვათაშორის, სახარებაც, რომელსაც გიორგი მთავარი მინდელი ასახელებს თავის ანდერძში. რა უნდა იყოს ეს „საბაჭმიდური“ სახარება?

ურუვნელებელი

გიორგი მთაწმიდელი პეტრელისხმობს ეკრეთშოდებულება ჯუმურიული რულს ან გამოკრებილ ტიპს სახარებისას, რომელშიაც ტექსტი და-ლაგებულია არა ოთხთავად, არამედ საეკლესიო-საწელიშიდან საკითხა-ვებად. საქმე ისაა, რომ ასეთი ლექციონნარული სახარება ქართულ ენაზე გაჩნდა სწორედ მერვე საუკუნის გასულიდან, როდესაც საბას-ლაგრაში ითარგმნა „იერუსალიმის განჩინება“, რომელშიაც გვაქვს პირველი ტიპი ასეთი სახარებისა (განსაკუთრებით იმ ვერსიაში, რო-მელსაც შეიცავდა ა. შანიძის მიერ აღმოჩენილი პალიმფსესტური ფრაგმენტი მისი).

ამნაირად, „ხანმეტი“ სახარება შეიცავდა სხვადასხვა რედაქ-ციის სრულს ოთხთავს¹⁾, ხოლო „საბაწმიდური“ — გამოკრე-ბილს ლექციონნარს, მერვე საუკუნის გასულიდან შემოსულს ჩვენს მწერლობაში; ამით, პირველ კოვლისა, განსხვავდებოდა ეს ორი სახა-რება ერთმანეთისაგან, ამავე დროს, უეჭველია, „საბაწმიდურ“ სახა-რებას „ხანმეტისაგან“ განსხვავებდა იგრეთვე „ჰაემეტობაც“, ვინაი-დან მისი შემოსლვა ჩვენს მწერლობაში სწორედ „ჰაემეტობის“ დამ-ყარებას და განმტკიცებას დაემთხვეთ. გიორგი მთაწმიდელი, რასა-კვირველია, „ხანმეტის“ პარალელად „ჰაემეტს“ არ პეტრელისხმობდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ის იტყოდა არა „ხანმეტნი და საბაწმიდუ-რნი“, არამედ „ხანმეტნი და ჰაემეტნიო“; ის არ პეტრელისხმობდა ამ ტერმინებით არც ტექსტურალურს, რედაქციულ განსხვავებას თანამე-დროვე მეცნიერული გაგებით, არამედ სრულს ოთხთავებს, მათ შო-რის ისეთებსაც კი, რომელთაც ზედმეტი სანები ახასიათებდა, და საბაწმიდაში შემუშავებულს გამოკრებილს ლექციონნარებს.

პ. ქ.

¹⁾ ამ აზრს მიტაბლოვდა თავის დროს პროფ. ა. ცაგარელიც (Сведение III, стр. XXVIII—XXIX).



Prof. Dr Heinr. Goussen, Über georgisch. Drucke und Handschriften. Die Festordnung und den Heiligenkalender des altchristlichen Jerosalems betreffend, B. Kühlen, München-Gladbach 1923, SS. 42.

ავტორს, ბონის უნივერსიტეტის პროფესორს, განუზრახავს ქველი იერუსალიმის ქალენდრის აღდგენა; ამ მიზნით მას უსარგებლნია მეცნიერებაში უკვე ცნობილი ქართული წყაროებით, რომელიც გამოქვეყნებულია პროფ. კ. კეკელიძის მიერ (Иерусалимский Канонарь VII века, Тифлис 1912 г., Грузинские литургич памятники и их научное значение, Тифлис 1908 г.), მაგრამ მთავარ წყაროდ და საფუძვლად მას აულია პარიზის ეროვნულ წიგნთ-საცავში არსებული ქართული ხელნაწერი № 3 (ancien fonds 2) მეთერთ-შეტე-მეთორმეტე საუკუნისა, რომელიც ევროპაში გაუგზავნია 1731 წელს მაშინ ჩვენში მყოფ კაპუჩინთა ორდენის წინამდლვარს (ამ ხელნაწერის ფორმოგრაფიას პატივცემული Gousseen'ი ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰპირდება საჩუქრად). ეს ხელნაწერი შეიცავს იმავე ტიპის კალენდარს, რაც პროფ. კეკელიძის მიერ გამოქვეყნებულს „იერუსალიმის განჩინებაში“ გვაქს სის „განჩინება“ უკვე გადათარგმნილია გერმანულად პროფ. A. Baumstark'ისა და Th. Kluge'ს მიერ, Oriens Christianus V B. 2 Hef. S. 201—233, VI B. 2 Hef. S. 223—239], მაგრამ ზოგიერთი მეტად მნიშვნელოვანი ვარიანტებით. საყურადღებოა განსაკუთრებით ქართველ წმიდათა ნუსხა: წმ. ნინო (აღდგომის მეორე სამშაბათს), მეფე არჩილი (8 იანვ.), რაედენი (26 ივნ.), აბიბო ნეკრესელი (6 ივლ.), შუშანიკ დედოფალი (17 ოქტომ.), ესტატე მცხეთელი (29 ივლ.), წმ. მებკამბე (? 16 აგვ.), წმ. სარმეანი (კათოლიკოზი ? 21 აგვ.), წმ. მართალნი წმიდისა საფლავისანი იოანე, სტეფანე და ისაია (4 ნოემბ.). ავტორს 24 თებერვალს მოხსენებული ეპისკოპოსი სამოელი მიაჩნია ქართლის პირველ კათოლიკოზ სამოელად, რომელიც ჩვენში თითქოს სირია-პალესტინიდან მოსულა, მაგრამ ეს საეჭვო უნდა იყოს ისევე, როგორც საეჭვოა მეორე მოსაზრება Gousseen'ისა, თითქოს ზეტულსალიმის განჩინებაში“ სამს მაისს მოხსენებული „პამა ქართლისა

კათოლიკოზი“ იყოს კათოლიკოზი ქირიონი (S. 20). „პამა“, როგორც ერთი ძეგლიდან ირკვევა, არის დამახინჯებული „მაშტამუშავებული“ ლო კათოლიკოზი მამა მ (ყოფილი ზედაზნელი) ცნობილია შემთხვევა საუკუნის ნახევრში.

კალენდარს დართული აქვს მეცნიერული აპარატი, რომელიც მრავალ სადათ საკითხებს ვკირკვევს თვით „იერუსალიმის განჩინებაშიაც“, თუმცა არის ამ აპარატში ზოგირამ ისეთიც, რომელშიც პატივურებულ ავტორს ვერ დავეთანხმებით. საერთოდ შრომა დიდის ინტერესს წარმოადგენს ჩვენი ძველი კულტურისა და კალენდრის შესასწავლად. იმდი უნდა ვიქონიოთ, რომ პროფ. Goussenი, რომელმაც საკმაოდ იცის ძველი ქართული ენა, ისეთივე წარმატებით გამოიყენებს ქართულ მასალებს, როგორადც იყენებს სომხურს, ასურულს, არაბულს და კოპტურ-ეთიოპურ მასალებს.

კ. კ.

Kirsopp Lake and Robert P. Blake, The Text of the Gospels and the Koridethi Codex (Reprinted from the Harvard Theological Review, vol. XVI, № 3, Juli, p. 267—286, 1923).

მეცნიერებაში ღიდუ სახელი მოიპოვა ეგრეთწოდებულმა კოროდეთის ბერძნულმა ოთხთავმა [G. Beermann und C. R. Gregory, Die Koridethi Evangelien, Leipzig 1913; Материалы по Археологии Кавказа, вып. X, Москва 1907, Н. Mapp, Грузинские приписки Коридетского Евангелия, Изв. Акад. Наук 1911 г.]. რომელიც, როგორც დღეს ცნობილია, ქართული წარმოშობისაა; ამ ეს ძეგლია მიმოხილული შრომაში, რომლის სათაური ზემოთ ამოცვერეთ. შრომა იხილავს ამ ოთხთავის ტექსტის თავისებურებას და ამისდა მიხედვით უძებნის მას ადგილს ანალოგიურ ძეგლთა შორის. განხილულია აგრეთვე ხელი ამ ძეგლისა, რომელიც ქართველის მიერ უნდა იყოს გადაწერილი, და, მისი მსგავსების გამო კოპტურ დამწერლობასთან, ლაპარაკია ქართულ-კოპტური კულტურული ურთიერთობის შესახებ, რომელიც თითქოს ჯერ იერუსალიმში და მერე სინას მთაზე გაიკვანდა. ჩვენ გვგონია, რომ თუ ქართულ-კოპტურ კულტურულ ურთიერთობაზე მართლა შესაძლებელია სერიოზულად ლაპარაკი [იხ. ამის შესახებ აგრეთვე O. Lemm, Iberica, Mém. de l'Acad. d. Sciences de St.-Petersb. VIII série, hist.-phil. Vol. VII, № 6], ეს ურთიერთობა უნდა დაწყებულიყოს თვით ეგვიპტეში, პეტრე მაცუმელის დროს. ცნობილია პეტრეს ბიოგრაფიიდან, რომ 457—475

წლები მან, თავისი შეგირდებით, გაატარა ეგვიპტეში, იქაურ პონა/ სტრებსა და სკიტებში, ქართული. ბიბლიოგრაფიით საკუთაროზე მრჩევაში ტერიც კი გააშენა იქ (B. მარტის გამოცემა, თ. 27), და შემნახულებელ აბას ღებულობდა თანამედროვე ეკლესიურ-დოლმატურს მოძრაობაში (O. Bardenhewer, Geschichte der altkirchlichen Literatur, IV Bn. 1924. S. 315).

პ. პ.

Robert P. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque patriarchale grecque à Jérusalem, Paris 1924 (Extrait de la Revue de l'Orient Chrétien 3-e série, T. III (XXIII). № 3 et 4 (1922-23, p. 345—413).

დასახელებული შრომა პროფესორის R. Blake'ისა შეიცავს აღწერილობას ჯვარის მონასტრის (აშენებულია XI. საუკ. ნახევარში) ქართული ხელნაწერებისას, რომელნიც უკანასკნელად იერუსალიმის პატრიარქის წიგნთაცავში გადაუტანიათ. ცნობილია, რომ ჯვარის მონასტერი ერთერთი მნიშვნელოვანი ცენტრი იყო ჩვენი ძველი მწერლობისა, აქ თავმოყრილი იყო უამრავი ძეგლები ქართული ლიტერატურისა. ერთ დროს შესაძლებელი იყო ამ ძეგლების გადმოტანა საქართველოში: 1820 წელს ცნობილს გიორგი ავალიშვილს ბერძნები თვითონ სთხოვდენ — წაიღეთ ეს ხელნაწერები და გაგვანთავისუფლეთ მათგანაო. მაგრამ, რადგანაც ეს ვერ მოხერხდა, უბატრონოდ მიტოვებული კოლექცია თანდათან იღუპებოდა, ასე რომ დღეს იმაში, როგორც დასახელებული შრომიდან ვტყობილობთ, მხოლოდ 161 ხელნაწერი დარჩენილა.

ამ კოლექციის პირველად უურადლება მიაქცია პროფ. ა. ცაგარელმა, რომელმაც პალესტინაში ყოთნისას აწერა ის და ეს აღწერილობა შემდეგში დაბეჭდა კიდევაც (Сведения о памятниках грузин. письменности, вып. II, Петерб. 1889). უკანასკნელ ხანებში ცაგარლის აღწერილობა ვეღარ აქმაყოლებდა უკვე საკმაოდ განვითარებულს ქართულ ფილოლოგიას, ვინაიდან ის მეტად მოკლეა, ამასთანავე აღსავს შეცომებით თხზულებათა არამც თუ დათარიღებაში, დასახელებაშიაც კი.. ამიტომ 1902 წელს ეს კოლექცია მონახულა პროფ. ნ. მარტიმა, რომელმაც, სამწუხაოდ, მთლიანად ვერ მოახერხა მისი აღწერა, ვერც აღწერილობის გამოქვეყნება. ამიტომ არ შეგვიძლოა სიხარულით არ მივეგებოთ პროფ. Blake'ის წა-

მოწყებას, რომელიც ავსებს ერთერთ მნიშვნელოვან ხარვეზს ჩვენს
წარსულთმცოდნეობაში.

წინამდებარე შრომაში, 90 გვერდის მანძილზე, აღნუსხულია 44
ხელნაწერი; ავტორი ავგიშერს ძეგლებს მეცნიერებაში მიღებული მე-
თოდით, თუმცა, სამწუხაროდ, როგორც ეს ს. ყაუხჩი შვილმაც
აღნიშნა („ჩვენი მეცნიერება“, წელიწ. III, № 3—4, გვ. 186), სა-
სურველი სისრულით ვერც იმას მოუხერხებია ეს, ალბათ იმიტომ,
რომ ამ საქმისათვის მის განკარგულებაში მხოლოდ ორი კვირა ყო-
ფილა; კარგი იყო, უფრო ვრცლად მოყენა მას „ანდერძები“ და
მინაწერები, ეს მეტს საშუალებას მოგვცემდა ხელნაწერთა დათარი-
ლებისა და მათი თავგადასავალის გათვალისწინებისათვის. ავტორი,
რომელიც საუკეთესო პირობებში იმყოფება ასეთი საქმისათვის, ყო-
ვლოდის არ აღნიშნავს ქართული სტატიის ბერძნულს დედანს და
გამოცემას, ეს კი ჩვენში, სადაც ვერც Migne'ს პატრიოლოგიას, ვერც
ბოლანდისტთა Acta sanctorum'ს, ვერც სხვაგვარ სამეცნიერო გამო-
ცემას ვერ იშვიის მკვლევარი, მეტად დიდს უხერხელებასა ჰქმის.
ბერძნული დედნისა და გამოცემების აღნიშნვა მას მხოლოდ შემდეგ-
ში მოჰკონებია, თავში კი ქართულ სტატიებსა და მათ დასაწყისს
ის მხოლოდ ფრანგულადა სთარგმნის. ქართული ამონაწერები ხელ-
ნაწერებიდან იმდენი არაა, რამდენიც სასურველია ჩვენთვის, მაგრამ,
სამწუხაროდ, ისიც, რაცა გვაქვს, სულერთიან სავსეა კორექტურული
შეცოთმებით, იშვიათად შეხვდებით ისეთს სტრიქონს, რომ არ ვთქვათ
სიტყვას, რომ ის თავისი უფალი იყოს ამგვარი შეცოთმებისაგან; აიხ-
სნება ეს, ალბათ, იმიტოც, რომ ავტორი, როგორც გვატყობინებს,
თვითონ არ აწარმოებდა კორექტურას.

მიუხედავად ამისა, პროფ. Blake'ის შრომა დაუფასებელია
ჩვენი მწერლობის ისტორიისათვის, მარტო ის რადა ლირს, რომ ჩვენ
ეხლა ვიცით დაწვრილებით, თუ რა სტატიები და თხზულებებია
მოთავსებული ჯვარის მონასტრის ქართულს ხელნაწერებში. უსურ-
ვოთ ახალგაზრდა მკვლევარს, რომელიც ევროპიელ მეცნიერთა შო-
რის საუკეთესო მცოდნეა ძველი ქართული მწერლობისა და რომე-
ლიც იმდენად აფასებს ამ მწერლობას, რომ ჰარვარდის უნივერსი-
ტეტის სტამბაში ქართულ განყოფილებასაც კი აწყობს, რომ დაწ-
ყებული შრომა მალე მიეყვანოს სასურველ ბოლომდე.

ს. კაკაბაძე, საისტორიო ძეგლანი, ტფილისი, 1924 წ. გვ. 193 ქართული
ხელმწიფო გამომცემლობა.

დასახელებული შრომა შეიცავს ოთხს მონოგრაფიულ გამოკვლევას: 1) სახარების ქართულ თარგმანთა შესახებ, 2) ოოდის არის დაწერილი ტრაქტატი „განყოფისათვს ქართლისა და სომხითისა“, 3) მოქცევას ქართლისა და 4) ძველი ქართული მატიანეები. პირველს მათგანს უკვე შევეხეთ რამოდენადმე, როდესაც „ხანჩერ“ და „ჰაემეტ“ ტექსტებზე გვქონდა ლაპარაკი; ამ შემთხვევაში, ისტორიულ-ლიტერატურული თვალსაზრისით, საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ მესამეზე („მოქცევას ქართლისაც“, გვ. 56—92), რომელშიაც უსაზღვრო პრეტენზიებია წამოყენებული და რომელიც დამახასიათებელია მოთლი წიგნისათვის.

ამ სტატიაში აკტორს მიზნად დაუსახავს გადმოაყირავოს ჩვენი ისტორიულ-ლიტერატურული ცნობები და დაგვაჯეროს, რომ ჩვენში არამც თუ მეოთხე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ, პირველ საუკუნეშიაც კი რომელი ისტორიული შრომები იწერებოდა. პირველ ყოვლისას. კაკაბაძე სცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ეგრეთწოდებული „მოქცევას ქართლისაც“, რომელიც მეშვიდე საუკუნემდეა მოყვანილი, ორი ნაწილისაგან შესდგება, გამყოფ მიჯნად მათ შორის ის სდებს მირიანის სიკვდილის შესახებ მოთხოვთას. ეს იქიდანა ჩანსო, ამბობს ავტორი, რომ ორი ცნობილი ვარიანტი ამ თხზულებისა, შატბერდული და ჭელიშური, პირველს ნაწილში მოცულობით, სტილით და ლექსიკით თვალსაჩინოდ განსხვავდება ერთიმეორისაგან, მეორე ნაწილში კი ასეთს განსხვავებას ადგილი არ აქვსო. ეს სიმართლეს არ შეესაბამება, საქამარისია გადაიკითხოთ „ორივე ნაწილი“, რომ დარწმუნდეთ, რომ პირველს ნაწილში, შედარებით მეორესთან, ეს ვარიანტები არც იმდენს განსხვავებას იძლევა, რომ ამ განსხვავებაზე ასეთი კარდინალური დასკვნები გავაკეთოთ; განსხვავება მეორე ნაწილშიაც ყოფილა, როგორც ამას უნდებლიერ თვით ავტორიც ადასტურებს, როდესაც ამბობს: მირიანის სიკვდილიდან ორსავე რედაქციაში იწყება გადამშერლობით ასახსნელი ვარიანტები და... შატბერდის ხელნაწერი წარმოგვიდგენს შედარებით ჭელიშისასთან ნართაულ ადგილებსო (გვ. 61). თუ ეს ასეა, რად დასჭირდა მას „ორი ნაწილის“ მოგონება ამ თხზულებაში? მხოლოდ იმიტომ, რომ, თუ მთელი თხზულება არა, რომელიც მეშვიდე საუკუნემდეა მოყვანილი, „პირველი ნაწილი“ მისი მაინც გადაეტანა „365—400 ან 380—400 წლებში“ (გვ. 71).

შატბერდისა და ჰელიშური ვარიანტების՝ განსხვავებულ პურუშული ველს ნაწილში ავტორი ხსნის იმით, რომ ეს ნაწილი თავდაჭყაფული იყო დაწერილი იყო ბერძნულს ენაზე (გვ. 69). მერე კი ის „ორჯერ ითარგმნა“ ქართულად, ერთი თარგმანი შემოუნახავს ჰელიშურს, ხოლო მეორე შატბერდულ ვარიანტსაც (გვ. 64, 67, 69). მიუხედავად ასეთი კატეგორიული მტკიცებისა, რამოდენიმე გვერდის შემდეგ ს. კაკაბაძე სულ სხვა სურათს გვიშლის თვალშინი: ავტორს, მისი სიტყვით, ჯერ შეუდგენია ეს თხულება ბერძნულად, მერე მასვე იგივე თხულება დაუწერია (კი არ უთარგმნია) ქართულად (ჰელიშური ვარიანტი), ხოლო რამოდენიმე გვ. შემდეგ ბერძნული დედნიდან გაღმოთარგმნილა შატბერდული ვარიანტი (გვ. 85). რომელი უნდა დავიჯვეროთ ამ ერთიმეორის საჭინააღმდეგო დებულებათაგან!

საიდანა ჩანს, რომ თავდაპირველად ეს ნაწილი ბერძნულად იყო დაწერილი? 1) საკუთარი სახელი „პრომი“ იხმარება ბერძნული ასპირატით ჭრულ-ო, ამბობს ის (გვ. 68); მაგრამ ამით არაფერი არ მტკიცდება, ასეთი ასპირატი ავტორს შეეძლო ეხმარა მაშინაც, თუ ის პირდაპირ ქართულად სწერდა თავის შრომას (უკველეს ძეგლებში, ორიგინალურია ის თუ ნათარგმნი, იშვიათად შეხვდებით ამ სიტყვებს უასპირატოდ). 2) სიტყვა „სტაგი“ შესაძლებელია ჰგულისხმობის ბერძნულს საკუთარი-საკუთარი (იქვე); მაგრამ ეს „შესაძლებელიც“ არაა, ვინაიდან ამ სიტყვის წარმოშობა უკვე დიდი ხანია სხვანაირადაა გარევული (ნ. მარრი, ვBORAO, IX, 192—195). 3) ერთისადაიმავე ცნების გაღმოსაცემად ერთს ვარიანტში გვაქვს სიტყვა „დაბა“, მეორეში — „სოფელი“, რაც ბერძნული არაულ-სა და კურა-ს დამწერლობის ნიადაგზე აღრევით მოხდა (გვ. 69); მაგრამ ამ სიტყვების აღრევა „დამწერლობის“ ნიადაგზე ძნელი დასაჯერებელი და წარმოსადგენია, ხოლო რედაქციული მუშაობის დროს ქართულ ნიადაგზე ძალიან აღვილი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათი ნამდვილი მნიშვნელობა დავიწყებული იყო.

ვინ დაწერა ბერძნულად ეს ნაწილი? გრიგოლ დიოკონ მაო, ამბობს ს. კაკაბაძე (გვ. 72), ვინაიდან ჰელიშურს ვარიანტში ნათქვამია: „ვითარება სწერია მცირესა მას მოქლედ აღწერილ—სა მას წიგნსა ქართლის მოქცევისასა, გრიგოლი დიაკონის მიერ აღწერილსათ“. მაგრამ რა გარიანტია, რომ ჰელიშური ვარიანტი ვრიგოლ დიაკონის შრომად სწორედ ბერძნულად დაწერილს ორიგინალს ჰგულისხმობს? არავითარი! მეორე, როგორც ზევითაც ვთქვით; კაკაბაძეს საქმე ასე აქვს წარმოდგენილი: გრიგოლმა ერთიდა-

იგივე შრომა დასწერა ჯერ ბერძნულად, მერე ქართულად კრიტიკა შური ვარიანტი), მაშასადამე—ეს შრომები მხოლოდ ჰასტენსექსუებული დებოდა ერთი მეორისაგან, და განა ასეთს პირობებში წარმოსადგენია, რომ ერთს მათგანს მეორე მოწმედ მოეყვანოს?

ამ ნაწილის შედგენისას გრიგოლ დიაკონს, კაკაბაძის სიტყვით (გვ. 79—81), ხელთა პქნია ერთი ისტორიულ-ლიტერატურული შრომა, რომელიც დაწერილი იყო არამეულს ენაზე პირველი საუკუნის ნახევარში ქრ. შემდეგ და რომელიც მოგვითხრობდა ქართველთა მოსლვას შიდაქართლში თანამომდევნო ლირსშესანიშნავი ფაქტების აღნიშნევით (გვ. 80). არას ვიტყვით იმის შესახებ, რომ ასეთი ისტორიულ-ლიტერატურული შრომის არსებობის სასარგებლოდ არც ერთი ფაქტი, არც ერთი ლოლიკურად შესაწყყნარებელი მოსახრება არ მოჰყავს, აღნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ცოტა ქვემოთ ის უარყოფს უკვე არამეული დენის გამოყენებას, ეს არამეული შრომა გრიგოლ დიაკონს ქართულად პქნდა ხელშიო, მაშასადამე—ის ქართულად უთარგმნიათ, და უთარგმნიათ „უკვე პირველს საუკუნეშივე და ეგებ ამ საუკუნის ნახევარშიი“ (გვ. 83). საბუთი ასეთი ქრონოლოგიური გამოანგარიშების სისწორისა? არავითარი! ავტორისათვის საჭირო იყო სენსაციური დეკლარაცია, რომ „პირველს საუკუნეში ქართველებს უკვე პქნდათ მოთხოვნილება საუფთარი ისტორიული ლიტერატურისა თავისი წარსულის პერსპექტივის შესაქმნელად“ (გვ. 81), რომ პირველს საუკუნეში მათ პქნდათ მდიდარი მწერლობა, რისთვისაც გამოყენებული იყო არამეულ-ფაქლაურ ნიადაგზე წარმოშობილი და განვითარებული ანბანი. რაც უფრო საუკუნედღებო და სენსაციურია, ამ ანბანის ნაშთი კაკაბაძემ აღმოაჩინა კიდევაც ს. ნინოწმინდის ეკლესიის კედელზე ამოჭრილს რაღაც უცნობსა და გაურკვეველს სამსტრიქნიან „წარწერაში“, რომელსაც ის ასე ჰქითხულობს: „ლმერთო, შეეწიე იოანე იაყუბ მთავარ ეპისკოპოსს.“ იოანე არისო, ამბობს ის, პირველი მთავარ-ეპისკოპოსი და იაკობი მისი შემდეგი მღვდელ-მთავარი მცხეთაში, ამიტომ „წარწერა“ უნდა ეკუთვნოდეს 360 წლის ახლო ხანებს, უკეთ 360—370 წლებსო, ასევნის ის. (გვ. 82). როდესაც მეცნიერები გაუგებარი ლურსმული წარწერების კითხვას შეუდგებოდენ, მათ უკვე პქნდათ ხელში უცილობელი და ეპემიუტანელი გასაღები, კაკაბაძეს ამგვარი გასაღები არ წარმოუდგენია, ამიტომ არ გვაქვს არავითარი საბუთი დავიჯეროთ, რომ ზემოდასახელებულს „წარწერაში“ ჩვენ მართლაც ქართული წარწერა გვაქვს, ისეთი შინაარსის, როგორც კაკაბაძე გვარწმუნებს, და ისიც მეოთხე საუკუნისა. და რომ

ასეთი შინაარსის წარწერა მართლაც არა გვაქვს აქ, ეს თუ რა მართლაც კი კითხული "ტექსტიდანა ჩანს: იოანე და იაკობი (იაყუბი) ან წაკითხებით ხვით ცოცხლები არიან (ნათევამი „შეეწიე“), ამივე დროს, თუ ორივენი ერთად არ იგულისხმებიან მთავარ-ეპისკოპოსად, ყოველ შემთხვევაში ისე გამოდის, რომ მთავარ-ეპისკოპოსი იაკობია, იოანე კი უბრალო პირი; მაგრამ ისტორიიდან ვიცით, რომ პირველი მთავარ-ეპისკოპოსი იყო იოანე, იაკობი მის სიცოცხლეში მთავარ-ეპისკოპოსად არ ყოფილა.

ასეთია სისტორიო „ძიებანი“ ს. კაკაბაძისა, რომელთა მთავარი არგუმენტია სიტყვები: „შესაძლებელია, ალბათ, უნდა იყოს, ეგების“ და სხვ. სასურველია, ასეთს „ძიებას“ ნაკლებად ჰქონდეს ადგილი ჩვენს მეცნიერულს ლიტერატურაში, ვინაიდან ის უფრო ანელებს საკითხებს, გვაშორებს კეშმარიტებას და თავბრუს ასხამს მოუმზადებელ მკითხველს უნიადაგო ჰიპოთეზებით და სენსაციური დეპლარაციებით.

პ. პ.

Paul Peeters Histoires monastiques Géorgiennes, Bruxelles,

1923, p. 317.

დასახელებული შრომა ცნობილის ორიენტალისტის P. Peeters'ისა, რომელიც ამოღებულია *Analecta Bollandiana's* XXXVI—XXXVII ტომიდან, შეიცავს, ნამდვილად რომ ვთქვათ, მასალებს ქართული სამონასტრო ცხოვრების ისტორიისათვის; იმაში მოცემულია ლათინური თარგმანი 1) ექვთიმე ათონელის, 2) გიორგი მთაწმიდელის, 3) სერაპიონ ზარზმელის და 4) გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა. თვითეული ცხოვრების თარგმანს წინ მიუძღვის მიმოხილვა ხელნაწერებისა და გამოცემებისა და დართული აქვს შენიშვნები ისტორიულ-გეოგრაფიული და ტექსტუალური შინაარსისა. P. Peeters' ს პირდაპირ ტიტანური შრომა უკისრნია და პირნათლურაც შეუსრულებია იგი; გადათარგმნა ამოღნა, უმეტეს შემთხვევაში არაკრიტიკულად გამოცემული, მასალისა და დაძლევა იმ სიძნელეთა, რომელნიც აქ მრავლად გვხვდება, ერთგვარი ლეაჭლია, რომლითაც მან დაუფასებელი სამსახური გაუწია მეცნიერებას საზოგადოდ და ქართულ ფილოლოგის კერძოდ. მიუხედავად დიდი ლირსებისა, ამ კაპიტალურ შრომაში გვხვდება ზოგიერთი დეფექტებიც, რომელთა აღნიშვნებს თხოვლობს თვით შრომის სერიოზული ხასიათი. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების თარგმანი განხილულია კ. დონ-

დუას მიერ სპეციალურს რეცენზიაში [Творение Мерчула შარქოსტავია
ском переводе бельгийского ориенталиста, Тексты и разыскания
по Кавказской филологии, т. I, стр. 14—25], ამიტომ ჩვენ დანარ-
ჩენებშე შევხერდებით მხოლოდ.

როგორც აღვნიშნეთ, თარგმანს დართული იქნეს მდიდარი ის-
ტორიულ-გეოგრაფიული და ტექსტუალური ხასიათის შენიშვნები;
ზოგიერთი მათგანი, პირდაპირ განსაცვიფრებელი ავტორის ერუდი-
ციით და გონიერა-მახვილობით, სპეციალისტებისათვისაც არაა ინტე-
რესს მოკლებული, მაგრამ არის ისეთებიც, რომელნიც, არამც თუ
სპეციალისტებისათვის, საშუალო დონის მკითხველისათვისაც აუცი-
ლებელ საჭიროებას არ წარმოადგენენ, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი
ამ უკანასკნელთაგან აბსოლუტურად მიუღებელი და შეუწყნარებე-
ლია. ასეთებია, მაგალითად:

I. ექვთიმე ათონელის ცხოვრებაში: 1) ბერძენთა მე-
ფედ, რომელმაც „ზემონი ქუფანანი დავით კუროპატაშა შისცნა“
(გვ. 6), ავტორს მიმწინა იოანე ციმისხი (969—976, VII, 1), ნამდვი-
ლად კი, როგორც ეხლა გარკვეულია, ეს იყო რომანოზ მეორე (კ. კეკე-
ლიძე), ორი ექვთიმე ძველს ქართულს მშერლობაში, „ჩვენი მეცნიე-
რება“, 1923 წ. № 2—3 გვ. 104—106). 2) ეკლესია იოანე მახარე-
ბელისა (გვ. 9) და იოანე ნათლისმცემელისა (გვ. 13), რომელნიც
ქართველებმა მთაწმიდას ააშენეს, ავტორის აზრით ერთიდაიგივე ეპ-
ლესია (p. 19, not. 4), რომელიც ცნობილი იყო „ლავრასა შინა დი-
დას უშქს, საყოფელას წმიდისა ნათლისმცემელისასა“. მაგრამ ეს ასე
არაა: იოანე მახარებელის ეკლესია ააშენეს ქართველებმა თორნიკეს
მოსლვის შემდეგ ნიკიფორეს თუ ციმისხის მეფობაში, ხოლო იოანე
ნათლისმცემლის—ბარდა სკლიაროსის დამარცხების, ესე ივი 979
წლის, შემდეგ; თან აშქის ლავრა იოანე ნათლისმცემელისა ათონე
არას დროს არ ყოფილა (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერ. ისტო-
რია I, 99). 3) ქართველებმა შესწირეს ბერძნებს, სხვათ შორის,
„ორნი წიგნი მერობირისანი—მარგარიტნი“ (გვ. 17), Peeters'ის
თარგმანით—„duos Chrysostomi libros gemmis distinctos“ (p. 25);
ეს სწორი არაა, ვინაიდან აქ იგულისხმება ორი ცალი იქრობირის
თხულებისა, რომელსაც „მარგარიტი“ ეწოდება (ქართულად ის ექვ-
თიმეს მიერაა თარგმნილი). 4) შეუძლებელია ეთნიური წარმოშობის
ტერმინი „სამცხე“ ითარგმნოს trium Arcium, tres Arces (p. 17, VII,
2, p. 80, IV, 1).

II. გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში, რომლის შე-
სავლის (p. 69—74) ქრონოლოგია დღეს უკვე მოძველებულია (კ. კე-

კელიძე, ქართული ლიტერ. ისტორია I, 212—221), სწორი მნიშვნელობის გაცემის გარეშე მაგრამ მისი მიხედვით „რომლისადა“—ს მაგიერ უნდა წავიკითხოთ „რომელსა“. ზოგი განმარტება და კორექტურა ავტორისა აქაც არ უნდა შეესაბამებოდეს სიმართლეს, მაგალითად: 1) ტაძრისი, როგორც ბიოგრაფიაშია აღნიშნული, იყო „მონასტერი სადედო სამცხეს“ (გვ. 286); Peeters' ს ეს სახელი გამოჰყავს სომხური თავადი — templum'იდან და ამიტომ ათავსებს მას იქ, სადაც დღეს moscovito sermone dicitur храм — templum, ესე იგი მდინარე ხრამზე (p. 81, V, 2), თითქოს მდინარე ხრამი რუსული ხრამიდან იყოს წარმომდგარი. 2) თუ ალელის (ილარიონ, გვ. 289) შესახებ ივტორი ამბობს: ductum nomen a sede episcopali vel monasterio, cuius memoria evanuit (p. 85, XI, 2); ნამდვილად ეს იყო მონასტერი თუალისა, resp. თუალთან ანტიოქიის მახლობლად (კ. კიკელიძე, I, 102, 213). 3) „პავლე შემქობილი საწელიწდო“ (გვ. 298) გადათარგმნილია ერთი სიტყვით „Paulum“ (p. 95), აღბათ იმიტომ, რომ „შემქობილი საწელიწდო“ გაეცემული ვერაა; აქ კი ჩვენ გვაქვს დამახინჯებული „შემოქლებული საწელიწდო“ პავლე, ესე იგი გამოქრებული (excerptus) სამოციქულო (seriem annuam). 4) წინადაღება „ესრუთ იქმნების ქვად“ (გვ. 351) შესწორებულია ასე: „ძელი იქმს ეშმის ქვად“ (p. 158, CII, 9); ჯერ ერთი, ასეთი კორექტურა არაფრით არაა გამოწვეული, მეორე ასეთი კორექტურისას უნდა გვქონდეს ან „ძელი იქმს ეშმისა ქვასა“ ან „ძელი იქმნების ეშმისა ქვად“ და არა „ძელი იქმს ეშმის ქვად“.

III. სერაბიონ ზარზმელის ცხოვრების გადათარგმნისას Peeters' ის უცილობელ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს, რომ მან პირველმა შეამჩნია მ. ჯანა შვილის ხელნაწერის არქეტიკში ქვაცერნიონიბის აღრვევის გამო მოთხოვის თანმიმდევრობის დარღვევა, რის გადა ა) გაგრძელება სიტყვებისა „ნაელულევანებისა სრულ ყოფად“ (გვ. 32, 17) ჩვენ გვაქვს გვერდებზე 38,₂₂—41,₂₇ (განვებულებით რამეთაუ აპა ესერა მოეგებნეს... პირველ დაწყებულთა სიტყუათა შემდგომითი შემდგომად); ბ) 41,₂₇—ის გაგრძელება იკითხება გვერდებზე 32,₁₈—38,₂₂ (და ვითარცა იქმნა დაწყნარებად... განეხუნეს კარნი და შევიდეს წმიდად); გ) გაგრძელება 38,₂₂—ისა გვაქვს 41,₂₇ გვერდზე (ეკლესიად და აღვიდეს საკურთხეველად); დ) აკლია რაღაც 30 გვერდზე სიტყუებს შუა: „დღენი რავდენიმე... ხოლო ვითარცა იყო წმიდად გვი“. ამ ცხოვრების თარგმანშიაც გვაქვს ზოგი რამ შაეჭვო და საცილობელი: 1) მიქელ პარეხელი Peeters' ს მართლაც

შიო მღვიმელის მოწაფედ მიაჩნია (p. 165), მაგრამ, ჯერ ერქეზურულული ბიოგრაფიაში ეს ცნობა გადმოცემულია არა როგორც „ეჭვმიშვრუსეული“, ეს— ივე— როგორც გარდამოცემა; თან ეს ადგილი ბიოგრაფიისა (გვ. 5), ეტყობა, დამახილებულია. მართლაც, აქ ვკითხულობთ: „რამეთუ ალეშენა რაც შემიდაც და დიდი უდაბნოს ობიზაც მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი, ხოლო ამისსა შემდგომად მოვიდა მუნიც და ალაშენა უწყებითა სალმრთოეთა მცი- რე ეგუტერი და შესაკრებელი ძმათა ადგილსა კლდოანსა და უვალ- სა კაცთაგან, რომელსა პარებ უწოდინ". ვინ მოვიდა „ამისსა შემდ- გომად მუნიც“, ესე იგი ობიზით, და ვინ ალაშენა პარები? ამის შე- სახებ არაფერია ნათქვამი, ჩანს— აქ ბიოგრაფიის რალც უნდა აკლ- დეს. 2) არ შეიძლება სიტყვა „უტყვსა“ (გვ. 8) შესწორებულ იქმნეს როგორც „უტყვეოსა“ (*silvis carens*, p. 174 not. 5), ვინაიდან ბიო- გრაფიაში პირდაპირაა იქვე ნათქვამი, რომ ადგილი „უტყვსა“ არა თუ „უტყეო“, პირიქით „შეცულ იყო ტყეთა“ მიერო. 3) და კურ- თხევითა სალმრთოეთა აკურთხნა სამნივე იგი ყრმანი მსგავსად სამთა ყრმათა აბრამიანთა“ (გვ. 40) გადათარგმნილია: *tribus eius pueris* *divinam benedictionem precatus est, quali (benedicti fuerant) tres pueri Abraham* (p. 196—7) შემდეგი შენიშვნის თანდართვით: *ver- bum e verbo: „instar trium puerorum Abrahamicarum“, quod ineptum est. Hagiographus, ut videtur, scribere voluit aut debuit: „benedictione, quam tres illi viri Abrahamo precati sunt.“* არც თარგმანია სწორი და არც, მით უმეტეს, შენიშვნა. აზრი ამ სიტყვებისა ასეთია: სერაპიონმა აკურთხა სამი შვილი ლატარასი, ისე, როგორც იკურ- თხენ ოდესლაც სამნი ყრმანი აბრამიანნი; „აბრამიანნი“ ტექნიკური- თქმა ძველს ქართულს ლიტერატურაში, ის ვგვედება, მაგალითად, გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფიაშიც: „კურთხევითა მით აბრამია- ნითა“ (ათონ. კრებ. გვ. 289). უფრო ხშირია „ყრმანი აბრამიანნი“ (ეგრეთწოდებულს ოქტოიხოსის თარგმანში), ესე იგი— სამნი ყრმა- ნი, — ანანია, აზარია და მისაელი, — რომელიც ცეცხლის ღუმელში იქმნენ ჩაყრილნი ნაბუქოდონოსორის მიერ. 4) „ხუფათის“ შესახებ (გვ. 42), რომლის მნიშვნელობა გავებული არა (p. 203, XXXV, 2), იხ. დანიელ მესუეტის ცხოვრებაში (К. კეკელიძე, ისტორიკო- აგიოგრაფიческие отрывки, Христ. Вост. II, 188, 190).

რაც შეეხება თვით თარგმანს, შეიძლება ითქვას, რომ *Pee- ters'* ს მოუცია ცველაფერი, რაც საკირთა ამ ტექსტების აზრის სის- ტორით შეგნებისათვის და რის მოცემაც შესაძლებელია ამ არაერი-

ტიკულად გამოცემული ტექსტების უცხო, ისიც ლათინურ, ენგლისურული და შოუერმისას. რასაკირველია, ვიწრო, ფილოლოგიური თემაზე შემთხვევა სით შეიძლება ბევრი desiderata იქმნეს გაცოთქმული, შაგრამ ისტორიულ-პაგიოგრაფიული მიზნისათვის თარგმანი ზოგადად დამატა- ყოფილებლად შეიძლება ჩაითვალოს. ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ თარგმანში შეცომები არაა, იმ ზოგიერთი, სანიმუშოდ, lapsus'ები: „თვისი“ (ათონ. კრ. გვ. 8) არ არის magnus (p. 18), არამედ მახლო- ბელი, ნათესავი (proximus); „თქმულნი“ (გვ. 28) არ ნიშნავს მარტო orationem (p. 34), არამედ ყოველგვარ თხზულებას (opera); „ყოვლი- თურთ სრულ ყო წმიდად ეკლესია“ (გვ. 302)—omnibus partibus ab- სoluta fuit sancta ecclesia (p. 100),—„ყოვლითურთ“ არ არის omnibus partibus (უფრო სწორი იქნება omnino.) „პინა ზღვსად“ (გვ. 350) არ არის spuma (p. 158); „საბეჭური“ (გვ. 313) სხვა და cucus (p. 114) სხვა: „საბეჭური“, რომელიც ბერძნულ ოსტატის (K. Kekelidze, Иерусалим. Канонаръ, стр. 336), იგივეა, რაც „სამკარი“ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებისა, სადაც ვკითხულობთ: „მაშინ უბრძანა მამასახლისმან, რათა მოილონ სამკარი და კუნკული და ილკულონ კაცი იგი“ (გვ. 37); აქ „სამკარი“ Peeters'ს გაუ- გია როგორც „საკმარი“ და გადაუთარებმნა „rebus necessariis (p. 202). „მოქლა ლა კლაქმან დის ძე თვისი“ (სერაპ. ცხრ. გვ. 40—41), გადმო- თარგმნილია როგორც sororis suae filium (p. 197), მაგრამ ქართულ- ში იკულისხმება არა „დის ძე“, ესე იგი-დის შვილი, არამედ „დის ქმარი“, საერთოდ ძველს ძეგლებში „დისიძე“ იხმარება დის ქმრის მნიშვნელობით.

საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ შრომით ქართუ- ლი მასალების ერთი კატეგორია ხელმისაწვდომი ხდება დასავ- ლეტ-ევროპის მეცნიერებისათვისაც, რასაც უნდა ვუმადლოდეთ პატივ- ცემულს P. Peeters'ს; ვუსურვოთ, რომ მას ეს საქმე განეგრძოს შემდეგშიაც, დარწმუნებული ვართ, რომ ქართული ძველი ლიტე- რა წურა მეცნიერებს მისცემს არანაკლებ მასალას, ვიდრე რომელიმე სწერ აღმოსავლური მწერლობა.

P. Peeters, La passion géorgienne des SS. Théodore, Julien, Malcamon, Mocimus et Salamanes (Analecta Bollandiana, t. XLIV, fasc. 1 et 2, Bruxelles 1926).

ორიენტალისტმა P. Peeters'მა ჰავიოლოგიას შესძინა ერთი ახალი ქართული ძეგლი, რომელსაც ეწოდება: „წამებად წმიდათა მოწამეთა თევდოროსი და ივლიანისი და ევბულოსი და მალკამოსი¹ და მოკიმოსი და სალამონესი“. ტექსტი, სამწუხაროდ დეფერტიანი (ბოლოში აკლია), ამოღებულია საქართ. საისტ.-საეთნოგრ. მუზეუმის ხელნაწერიდან № 341 ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის R. P. Blake'ს მიერ (1919 წელს), რომელსაც ის დაუთმია გამოსაცემად, თავისი საკუთარი შენიშვნებით, P. Peeters-ისათვის. უკანასკნელს გამოუკია ტექსტი და დაურთავს მისთვის ლათინური თარგმანი, ვრცელი შესავალი (p. 70—87) და კრიტიკული აპარატი, რომელიც მაჩვენებელია, სხვათა შორის, იმისაც, რომ P. Peeters'ის ქართველობოგიურ შტუდიებს ყოველწლივ წარმატება ეტყობა.

ხელნაწერი, რომელსაც P. და B. მეცამეტე საუკუნეს აკუთვნებენ (p. 71), ნამდვილად მეათე საუკუნის გასულს უნდა ეკუთვნოდეს. მართლაც. ტექსტში შიგადაშიგ, სათაურებისა და რუბრიკების გარდა, ნუსხახუცურთან ერთად ასომთავრულიც გვხვდება, ასეთი აღრევა ამ ორი დამწერლობისა დამახასიათებელია უფრო X—XI საუკუნენაწერებისა. ნუსხახუცური ძლიერ წააგავს მეათე საუკუნის ძეგლების ხელს (მაგალ. № 95 სიძველ. მუხ.), მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში ხელნაწერის ანდერძი: „წმიდაო ვიორგი მთავარმოწამეო, მეორ ექმენ მამათმთავარსა სტეფანეს“ (გვ. 1); „ქრისტე ღმერთო, აღიდე მამათმთავარი სტეფანე სულიერად და კორცელად;“ „ქრისტე ღმერთო, აღიდე მამათმთავარი სტეფანე... ყოველი სამწყსოე და კრებული მათნი;“ „ქრისტე ღმერთო, აღიდე მამათმთავარი სტეფანე... ორთავე სუფევათა შინა და წმიდათა მღდელმოძღვართა თანა დაუსაყდრე“ (იხ. ბოლო 5, 7, 9 სტატიებისა). ეს ს ტეფანე უნდა იყოს მეათე საუკუნის უკანასკნელი მეხუთედის მოღვაწე, ეპისკოპოსი კუნძიდიდისა ს ტეფანე სანანოს ძე, რომელიც ცნობილია ჰავიოლოგიული შრომებითაც (კ. კიკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია I, 176—180) და რომელიც ხან-

¹ მალკამონ თითქოს ქალი უნდა იყოს, ვინაიდან ერთს ადგილას ნათქვამია: „ხოლო ქრისტეს ს ძალ მან მან მალკამონ თქუა“ (97, ვ-1).

დახან „მამათმთავრის“ ტიტულითაც იხსენიება ხოლმე. იმავე ცოდნები ამ ხელნაწერში ჩენ გვაქვს უძველესი ნიმუში საქართველოს ისტორიაზე ანდერძიდანა ჩანს, ეინმე ი იანეს მიერ („ლოცვა ყავთ იოანესთვეს უცადმისხელეკლისა და დაკლებული ყოველივე შემინდვეთ“) სხვა, უფრო ძველი, ძეგლიდან, რაც, სხვათა შორის, იმითაც მტკიცდება, რომ ხელნაწერში აქა საგანგებოდ დატოვებულია თავისუფალი ოდგილები, აღათ დელნის ლაკუნების შესავსებად სხვა ხელნაწერიდან.

ტექსტი, ტიპური წარმომადგენებული ეგრეთწოდებულის კი-შენისა, შეიცავს ერთერთს საინტერესო ძეგლს ჩენი უძველესი მწერლობისას, რომელიც via armeniaca დაკავშირებული იყო აღმომწერლობისას, რომელიც სირიულ, მწერლობასთან. როგორც ასეთი, ის სავლეულს, კერძოდ სირიულ, პალესტინაში, ვერც, მით უშერეს, ვერ იქნება წარმოშობილი ვერც პალესტინაში, ვერც, მით უშერეს, ტაოელიარჯეთში (p. 77), არამედ თვით ქართლში (შეად. პ. კი კე-ლი ი ძე, ქართული ლიტერატ. ისტორია I, 92), სადაც მეხუთე-მემკვდებელი შესაუენებელი ბიბლიურ ტექსტთან ერთად ითარგმნებოდა, უფრო ხშირად სომხურიდან, ჰაგიოგრაფიული ტექსტებიც. მართლაც, ძეგლი უშეალოდ სომხურიდანაა ნათარგმნი, ხოლო სომხური მისი დედანი გადმოთარგმნილი ყოფილა სირიულიდან. ამით ასესნება, რომ გას შემოუნახავს 1) მრავალი სომხური სიტყვა, რომელთაგან უფრო საყურადღებოა კარინი, სპასიაკი, ურაკბარაკი, მარიალი და სხვ., 2) სპარსულ-სომხური გზით შემოსული ფალაური სიტყვა (p. 76—78) ზარმაბირ (91, 1) resp. შავრდაბირ (scriba regionis, p. 91), 3) ფალაურ-ასურული ფრომინი (96, 5), რაც „რომაულს“ ნიშნავს¹ (p. 96, 78—79); 4) ირანულ-სომხური კარნაპაში (91, 2) > კარნაშაპრი (B.) > კორნაკლარი (P), რაც უდრის სომხ. կորնակլարի | կորնակ-ლაրի = cornicularius (p. 79—80, 91).

მნიშვნელობა ძეგლისა ჰაგიოგრაფიისა (სხვა ენაზე ის დღეს-დღეობით არა ჩანს) და ქართული ფილოლოგიისათვის გვავალებს ჩენ აღვნიშვნოთ გამოცემის დეფექტებიც.

ამ მხრივ პირველყოველისა უნდა დავისახელოთ, საფიქრებელია, კორექტურული, სტამბის, შეცოორინი.

¹ „ფრომინს“ ხომ არ აქვს რაიმე, თუგინდ შორეული, კავშირი იმ ტომ-თან, „რომელსაც პრეპარ ფროტა თოს“ და რომელიც ალექსანდრე მაკედონელმა მოიყვანა ჩვენში „ქუმანით პრომით“ და „მისცა აზონს“? (ჭართ. ცხოვრ. მარიამ დედოფლისა, გვ. 15).



დაბეჭდილია:

სელნაწერში
უძველესი მინისტერები

განძლიერებოდა (88, 11)	განძლიერდებოდა.
და გადგინეთ (89, 15)	დაგადგინეთ.
აცილობდეს (90, 1)	აცილობდეს.
მუნთქუევე (90, 4)	მუნთქუესვე.
მოშუულელი (91, 1)	მოშუულელი.
მენთა (94, 13)	შენთა.
ნეფით (96, 17)	ნეფით.
წარსაშემედელისამ (98, 15)	წარსაშემედელისამ.
საბორგილითა (98, 19)	სიბორგილითა.
იბრდღუნდა (99, 3)	იბრდღუნდა.
მიშევნულ (99, 15-100, 1)	მიშევნულ.
მამამა (101, 8)	მამამ.

კრიტიკულ აპარატში აღნიშნულია, თითქოს

სელნაწერში იყოს:

ნამდვილად კი არის:

ეგი (98, 1)	ეგი.
გამოუთქმილი (98, 17)	გამოუთქმელი.
მან (95, 5)	მათ.
ასწოდე (98, 18)	ასწორე.
მიიგვყვანნეს (100, 1)	მიგვყვანნეს.

გამოცემაში ვვაქვს შემთხვევები შემცირი წაკითხვისა:

დაბეჭდილია:

სელნაწერშია:

დაურვასა (90, 3)	და ურვასა.
ბაქალანდ (90, 5)	ბაკათანდ ¹ .
ვითარცა (90, 13; 91, 6; 93, 2, 12, 96, 3, 101, 3)	ვითარ.
ევბულოს (88, 2, 96, 8, 12)	ევბოლოს.
დაადგეს (91, 9)	დააგეს.
თქუა (92, 6)	ჰრქუა.
მისლვად (92, 12)	მსოუად.
თაყუანის-სცემად (93, 13)	თაყუანისცემად.

¹ ამისდა მიშედვით უნდა გადაისინჯოს Peeter ქის გეოგრაფიული ინ-ტერპრეტაციაც (p. 85).



გამოუკილეველითა (94, 6)	გამოუკილეველითაზე ბეჭდების შემახადება.
ურჩულობდენ (94, 12)	ურჩულობდენ.
შემან (94, 18)	შემწემან.
მტარვალმან (95, 2)	მტარვალთა მათ 1.
ბჟემან (95, 8)	ბჟიანმან.
ამას (96, 8)	იმას.
სიკედილისა (96, 17)	სიკუდილისა:
ეგრესა (97, 2)	ეგრესა.
გარეწარდენ (97, 6)	გარეწარდენ.
ეგრეთვე (97, 7)	ეგრეთვე.
მას (97, 11)	მის.
რახთა (97, 8)	რამეთუ.
ცხონდებოდით (97, 12)	სცხონდებოდით.
შეძლებულ (98, 2)	შეძლებელ 2.
დაგვდგაძს (98, 3)	დაგვდგაძს 2.
დიდ ოქუმა იყო (99, 1)	დიდ ოქუმა იყო.
მუკლისა თავსა (99, 5) ³	მუკლისა თავსა.
დაივიწყობდეს (101, 2)	დაივიწყობდეს.
ამას გარდა გამოცემაში გამოტოვებულია ზოგიერთი სიტყვები და წინადადებანი, რომელნიც ქვემოთ აღნიშნულია ჯვარის შემდეგ:	
მოვლინებული] + იგი (90, 10); შემთუალეს] + მაშინ ბჟე იგი აღისა გულის (92, 8); სადა] + იგი (93, 2); მრავალფერისა] + მის (94, 10); იგინი] + ივლიანოს და ევბოლოს (95, 5) ⁴ ; კორცთა] + თქუენთა (97, 2); მას] + შინა (97, 4); ბრძოლად] + უშიშად ლუაწლისა მის (97, 6); შეიყვანეს] + იგინი (101, 5); ღრიანკალთა და] + ყოვლისა (101, 13).	

ამასთანავე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგირამ ხელნაწერისა, რაც გამოცემაში უცვლელად შესულა, კორექტურას უნდა თხოულობდეს, მაგალითად: მოყუარსა (89, 11)—მოყუარესა, თზონი (100, 7) —თეზონი ⁵, წერდა (95, 1)—სწერდა. საერთოდ აღსანიშნავია ისიც, რომ ძეგლი, რომელმაც არ იცის კლასიკური ნორმები ც-ს ხმარები-

¹ ასეთი წაკითხვით ისპობა Peeter's-ის მიერ აღნიშნული გაუგებრობა (p. 95, შენ. 1).

² მ და = ხელთნაწერში ძალიან ჰგვანან ერთმანეთს, ამ კორექტურის შემდეგ თავისთავად მოხსნილ უნდა იქნეს Peeter's-ის შენიშვნა ა-ს შესახებ, p. 75.

³ მით უფრო მიუღებელია Peeter's-ის კორექტურა: მუკლის რთვისა.

⁴ ამით მართლდება Peeter's-ის კონცექტურა p. 95.

⁵ შეად. Peeter's-ის მოსაზრება p. 75.



სა, არ მოითხოვდა გამომცემლისაგან ისეთ არქაეულ ტერმინზე უძლია
გორიცა „რახთა“, „რახთამცა“ (88, 8, 89, 4, 91, 8-9, პ100-ია). მაგრავა
არქაზაციის თვალსაზრისით უფრო კანონიერი იქნებოდა ხელ-

ნაწერის „წინა წარმეტყუელთა“ აღდგენილიყო როგორც „წინაას-
წარმეტყუელთა“ და არა „წინასწარმეტყუელთა“ (98, 7).

დასასრულ, ორიოდე სიტყვა ლათინური თარგმანის შესახებ; თარ-
გმანი საერთოდ სწორი და დედნის აზრის გადმომცემია, თუმცა ზო-
გიერთ შემთხვევაში ის პერიფრაზის ხასიათს ატარებს და ზედმი-
წევნილობას მოკლებულია; მაგალითისათვის მოვიყვანთ რამოდენიმე
ადგილს:

1) ქრისტიანებმა „არამცირე-
დი გინებად შეამოხვნეს მის აღ-
გილისა მთავართა მათ“ (88-89)

2) „ხოლო მან დიდითა კრძა-
ლულებითა შეიწყნარა არაწმი-
ლად იყი უწესობად, რომელი
იყი მტერმან მან კეშმარიტები-
სამან თვეთა სუსახურთაგან ღმრ-
თისა მოსავთათვეს მოიმაუ“
(90, 7-10).

3) „რამეთუ არღა ვინ შჯულ
იყო მათვანი გარნა მოსე და სი-
ლოვანე, რომელ იყი საპყრობი-
ლედ მიეცნეს ვიდრე დალიჭად
მიყვანებამდე მათდა“ (91, 13-15)

4) „და უნდა მას რახთამცა
თავი თვესი შეასწავა ბჭესა მას“
(92, 2-3).

5) „ხოლო ბჭესა მას უნდა
სარწმუნოდ კითხვად მისი თუ
ყოველთა უგეს“ (92, 4-5)

6) „ხოლო ქურუმნი იყი კერპ-
თანი იშუებდეს და იხარებდეს
დროსა მას ზედა და არაწმიდასა
ბრძანებასა მეფისასა, უგებდეს
და უზორვიდეს ბაგინთა მათ ში-
ნა“ (93, 4-6).

Quos (christianos) non medio-
cri contumelia affecerunt princi-
pes huius loci“.

Itaque multa cum observantia su-
scepit impuram illam foeditatem,
quam veritatis inimicus ministrorum
suorum opera in eos qui Deo con-
fidunt machinatus erat.

Adeo ut ex eo numero nemo in
iudicium vocatus fuerit praeter Moy-
sen et Silvanum, qui in custodiam
traditi fuerunt, donec coram tribu-
nali sisterentur.

Qui ipse iudicem (aliquid) doce-
re volebat.

Iudex autem ut fidem sibi face-
ret, eum interrogare voluit utrum
omnes (sacris) operati essent.

Idolorum autem sacrificuli ad
tempus gaudebant et laetabantur,
atque impurum regis mandatum ex-
sequentes, in fanis suis sacrifici-
abant.

H. Mapp. Грамматика древнелитературного грузинского языка. Материалы по яфетическому языкознанию XII. Ленинград 1925. 8° XXIV+30+216.

ეს პირველი მეცნიერული გრამატიკაა ქართული ენის, არა მხოლოდ ძველი-სამწერლობოსი, არამედ საერთოდ ქართულისაც.

ქართული ენა ტიპოლოგიურ ად ძირითადად განსხვავდება ინდო-ევროპულ ენათაგან, არსებითად — სემიტურთაგან. არა ერთი სხვა ენა ემსგავსება ამ შემთხვევაში ქართულს; მრავალი ენა თავისი აგებულებით კიდევ უფრო შორდება ინდო-ევროპულს; ასეთი ენები ბლომად მოიპოვება არა მარტო აზიის სხვადასხვა კუთხესა და ავსტროალია-აფრიკა-ამერიკაში, არამედ ჩინენ მეზობლადაც, — კავკასიაში. მაგრამ მათ შორის ქართული (თითქმის) უნიკუმია: ის არის ტიპოლოგიურად თავისებური და იმავე დროს ისტორიის მქონე ენა; წერილობით ძეგლებშია წარმოდგენილი ეს ისტორია; აგად. ნ. მარის სიტყვებით რომ ვთქვათ ქართული სამწერლობო ენის ისტორია „გადაშლილია სივრცეზე არა ნაკლებ თოთხმეტი საუკუნისა“¹.

ძველი-ქართული ანუ კლასიკური სამწერლობო ქართული მეთორმეტე საუკუნის წინადროინდელი ძეგლების ენაა. უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ენას ქართველური (და არა მხოლოდ ქართველური) ენათმეცნიერებისათვის: შედარებით — ისტორიული ძიებისას ქართველურ ენათა წილში მის მაგივრობის გაწევა არაფერს შეუძლია.

ამით უკვე განსაზღვრულია ის პრინციპული მნიშვნელობა, რომელიც ძველი სამწერლობო ქართულის გრამატიკის გამოსვლას აქვს.

სამი მთავარი ამოცანა აღიმართება ქართული ენის გრამატიკის ავტორის წინაშე: ერთი — ტექნიკური; ორი — პრინციპული; პირველი — როდიი სპეციფიკურ-ქართული, მეორე ნაწილობრივ გაინცა ქართულით არის გამოწვეული, მესამე — მთლიანად ქართულის კუთვნილებაა; იგულისხმება: 1. მასალათა სიმრავლის მოვლა; ძველი-ქართული მდიდარია წერილობითი ძეგლებით; მათი უმრავლესობა შესწავლილი არ არის; მეცნიერულად გამოცემული ძეგლების რიცხვი კი თითხე ჩამოითვლება; ამიტომ ეს ტექნიკური ამოცანა მძიმეა და არც თუ ადვილად მოსავლელი. 2. ზოგად მეთოდოლოგიურ მოთ-

¹ „Грузинский представлен не только диалектически в живых говорах, ...но и исторически, на протяжении по крайней мере четырнадцати веков в многочисленных письменных памятниках...“ об. Основные таблицы к грамматике древне-грузинского языка... СПБ. 1908, გვ. 10.

ხოვნილებათა დაცვა და გატარება; გრამატიკის მეცნიერულ წარმოშობა სიპატიასთან დაკავშირებით ეს საქითხი მწვავედ დგას მართვის მიზანის მიზანის პულ ენათმეცნიერებაში; ქართულში მისი სირთულე და სიმწვავე საკმაოდ ნათელი იქნება თუ მოვიგონებთ, რომ ქართულის მეცნიერული გრამატიკა დღემდე ორც დაწერილა, ხოლო ის, რაც დაწერილია ჰერმანისა და ვოლფიუსის ხანის მეოდოდოლოგიურ წინნამდვრებელს ემყარებოდა და ხსენებული საქითხის სიმწვავეს არც კი გრძნობდა. სანიმუშობა გასახელებთ: მეტყველების ნაწილების კლასიფიკაციას, ქვემდებარე-დამატების კვალიფიკაციას... 3. ქართულის აგებულების სპეციფიკურ სიძნელეთა დაძლევა: ეს ნიშნავს: უნდა შეუქი მოეფინოს იმ ძირითად თავისებურებათ, რომელიც ქართულს ახასიათებენ და სხვა ენათაგან განასხვავებენ, ასე მაგალითად: ზმნათა ულვლილების ზოგადი პრინციპები... მოქმედებითი, საშვალო და ენებითი გვარის ზმნათა ურთიერთობა... გარდამავალ ზმნებთან ქვემდებარისა და დამატების ბრუნვათა საქითხი: რატომ არის: კალატოში (სახელობ.) აშენებს სახლს (მიცემ.), მაგრამ: კალატოშმა (მოთხრ.) ააშენა სახლი (სახელობ.)... რას წარმოადგენს თვით ეს მოთხრობითი ბრუნვა... და სხვა.

უკანასკნელი ორი ამოცანა, როგორც ითქვა, პრინციპული ხასიათისა: ერთი მათვანი: ზოგად მეოდოდოლოგიურ-პრინციპული, მეორე, თუ შეიძლება ითქვას: სპეციფიკურ-პრინციპული, რამდენადაც სათანადო პრინციპები განსაკუთრებული ქართული ენობრივი სინამდვილის გასაგებად მოიხმარებიან. ერთიც და მეორეც გულისხმობს საენათმეცნიერო მსოფლმხედველობას, ამ პრინციპების ჩამოყალიბებულობაზე დამკვიდრებულს.

აკად. 6. მარის სხენებული გრამატიკის განხილვისას ჩვენი ყურადღება ამ მომენტებს ექნება მიპყრობილი...

„ძველი სამწერლობო ქართულის გრამატიკა“ აკად. 6. მარისა გარკვეული თვალსაზრისით არის დამუშავებული, სახელდობრ, იაფეტიდოლოგიურის, ვიტყოდით ჩვენ, რომ იაფეტიდოლოგია მეტად ფართო ცნება არ იყოს. ამ თვალსაზრისის გამომუშავებისას გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო აკად. 6. მარის ერთი ზოგადი თეორიული წინნამდვრები: ქართველური ენები ენათესავებიან სემიტურ ენებს; ქართველური პლუს ზოგიერთი სხვა ენები წარმოადგენს ერთშრომს; იაფეტურს; იაფეტური კორელატია სემიტურის: ისინი შეად-

გენენ ერთი ენობრივი ოჯახის ორ შტოს¹. ნათესაობის ეს ჭიპორული იყო ის თეორიული მაღლობი, რომლიდანაც დასცექროდა აუკლიტ-ჩელია მარი ქართველური ენების სინამდვილეს და სათანადო ჭრის მიზანის და მას. უშუალოდ ჩანს ეს ისეთ დებულებებში, როგორიცაა 1. რომ ქართულში ძირები სამთანხმოვნიანია... 2. ძირითადია სამი ბრუნვა; არივე ეს დებულება სემიტური ენებისაა... მაგრამ ამით როდი თვე-დება ჰიპოთეზის მნიშვნელობა; როგორც აკად. 6. მარი ამბობს, მხოლოდ ამ ნათესაობის ჰიპოთეზზე „დაყრდნობით შესაძლებელი გახდა ვლედომოდით, ბოლოსდაბოლოს ქართული ენის აგებულებას და გაგვეხსნა როტული, თითქოს, გადაუწყვეტარი (непразречимый) საკითხები ქართული გრამატიკისა, ასე მაგ. ქართული ზმნების ულვ-ლილება.“ (იხ. Основные табл. გვ. 7).

არის ერთი დიდმნიშვნელოვანი დებულებაც აკად. 6. მარის პრინციპულ მოსაზრებათა შორის: ის ზმნების ფუქტა ბუნებას ეხება და ამბობს: ზმნათა ულელილებისას ფუქტე არ არის ერთნაირი: აწმყოსა და მის ჯგუფში, ე. წ. პირველ ჯგუფში, იგი აქტიურია, აორისტია და მის ჯგუფში, ფუქტე პასიურია. რა იწვევს ერთს შემთხვევაში აქტიურობას, მეორე შემთხვევაში — პასიურობას, — იქნება მოხსენებული ქვემოთ. აქ კი ალენიშვნათ, რომ ამასთან შეთანხმებულია მეორე დებულება: რომ მოთხრობითი ბრუნვა თვისი ბუნებითა და აგებულებით არის მიცემითი...

აორისტის ფუქტის პასიურობა და მოთხრობითის მიცემითობა, არივე ერთად მოწოდებულია გადასწყვიტოს ქვემდებარის პრობლემის ურთულესი ამოცანა: რატომ არის გარდამავალ ზმნებთან ქვემდებარე მოთხრობითში: რატომ ვამბობთ: მან ააშენა იგი? — „ააშენა“ — თვისი ფუქტით პასიურია და ამიტომ ბუნებრივია თუ მასთან ქვემდებარედ მან გვევლინება, მიცემითი ბრუნვა, ბრუნვა „ვნებითობის“ როგორც მას აკად. 6. მარი უწოდებს.

ეს შეხედულება ყველაზე მნიშვნელოვნად შეიძლება მივიმჩინოთ; იგი ზმნის ისეთ თვისებას ააშკარავებს, რომელიც შესიტუვებათა (Wortzusammensetzung, — ძირითადი სინტაქსური ერთეული) მექანიკას განსაზღვრავს. ეს შეხედულება გატარებულია „პანური ენის გრამატიკაში“ (1910 წ.), რომელიც აკად. 6. მარს ეკუთვნის და „მეგრული ენის გრამატიკაში“ (1914 წ.) რომელიც განსც. პროფ. ი. ყიფ ში-

¹ შემდეგში იაფეტური მინენულ იქნა თავისთვალ თჯანად, რომელიც სერიტურ თჯანად ს ენთესავება. „შემდეგში“ ეს იაფეტური სხვა ოდენობად იქცა, მაგრამ ეს ამეამად საინტერესო არ არის.



ძის მიერ არის დაწერილი და მთლიანად იმეორებს აკატ. ჭრის შესახებ გვიპარებული ციტაციების უკანასკნელი პრინციპულ დებულებებს.

პოსტულატი ძირთა სამთანხმოვნიანობის შესახებ აგრეთვე და დად საყურადღებოა: მის გამოყენებას ჩვენ წავაშვდებით ოფიციალურ ფონეტიკის, ისე მორფოლოგიის ყოველ კუნძულში.

ფუძეთა პასიურობა თუ აქტიურობა და ძირთა სამთანხმოვნიანობა პირველ რიგში უნდა იქნებ განხილული. დავიწყოთ უკანასკნელით.

1. ძირთა სამთანხმოვნიანობა.

აკად. ბ. მარი წერს: „В корнеслове грузинский язык роднит с семитическими и то основное положение, что коренными служат лишь согласные, и то характерное явление, что грузинские корни трехбуквенные¹, или что бывает реже, двухбуквенные“ (იხ. Основ. таб. ვვ. 2;—ხაზი ჩვ.—ა. ჩ.).²

როთ ავხესნათ ის შემთხვევები, სადაც ძირში სამი თანხმოვანი არა ჩანს; ეს მეორადი მოვლებაა, ამბობს აკად. ბ. მარი: „Отступления от этой нормы в сторону единства или множества обясняются позднейшою историою грузинских звуков: В одних случаях присутствие двух тождественных согласных, сливающихся в один, сводило трехбуквенность на двухбуквенность (sic!) или при наличии в корне слабых согласных, постепенно изчезавших, число коренных уменьшалось также до двух, даже до одного согласного, а иногда устраивался и этот последний представитель корня, оставляя на лицо лишь один гласный элемент, в других случаях удвоение твердых согласных..., а также вовлечение согласных формативов в корень, вростание их в коренные, уве-

¹ ასოსა და ბერის ურთიერთობის შესახებ აქ აკად. მ. მარი გავრცელებულ შეჯსაბამობას იმეორებს; შემდევ მან ეს გამოასწორა: ორი წლის შემდევ „პრენური ენის გრამატიკაში“ ის წერს: „Приходится отказаться не только от термина „трехбуквенный“, совершенно устаревшего (ხაზი-ჩვენია ა. ჩ.), но и от более реального--„трехзвучный“, чтобы не вводить путаницы в совершенно ясное дело“ (Грам. ჯან. ენ. 7, შენიშვნა 1). ოღონდაც!

² საერთოდ, „ძირითად ტაბულებზე“ დაწყრდნობა საესტილ შესაძლებელია, რამდენადაც „გრამატიკა“ ჰერილისმობს მასში მოცემულ მასალას და თვით წარმოადგენს „ტაბულებში“ წარმოდგენილი პრინციპების ხორცესხმას.

личивало число коренных до 4-х или даже более согласований (იქვე, §3. 2, ზენიშ. 1).

სამხე ნაკლები თანხმოვანი თუა ძირში, ეს იმიტომ, რომ დაიკარგა; სამხე მეტს თუ შეიცავს ძირი, ეს იმიტომ, რომ არაძირეული ელემენტი ძირს შეერთო, შეექსოვა; უნდა იყოს ყველგან სამი თანხმოვანი; თუ არ არის, უნდა გავხადოთ... ითქვეა, გაკეთდა. არაბულში სამთანხმოვნიანობის ნიმუშად მიჩნეულია კთლ (კათალაზნისაგან: — „მოყლა“), აკად. 6. მარმა მისი როლი დააკისრა ქართულში ქვე კომპლექსს (ქმნა-ზმნისაგან!).

აი სანიმუშო შემთხვევები სამთანხმოვნიან ძირთა:

კრბ (კრებ-ს—კრიბ-ი) იხ. გრаммат. древнелитератур. груз.

яз., § 178, გვ. 146;

ანდა: ტჰვ (< წყვ) > წყ (> ცხ) > ც ; „ეს ძირი სამი სახეობით არის წარმოდგენილი; აღნიშნავს—ცოდნას“ (იქვე, § 238, გვ. 202).

ანდა: კლვ (< კლ) — აორ. : ვ-კალ

ხრვ (< ხვრ) — „ ვ-ხარ (იქვე, იხ. გვ. 158); მათ

ასეთი განმარტება უძღვის: Слабые пустые корни с перемещенным на 3-ье место ვ (sic!), в аористе бесследно исчезающим“. შდრ. § 188, В, а, გვ. 154, სადაც აგრეთვე ვს გადასმის შესახებაა ლაპარაკი.

ანდა: სემ (სუამ-ს), ცემ (ი-ცუამ-ს), დგმ, (დგამ-ს)... ამათ კი შემდეგი განმარტება მოსდევთ:... первые (ე. ი. სემ, ცემ), сливаю-
с ვ (ვ) характер ა в თ, скрывают коренной согласный в этом глас-
ном, напр. სტვ — прясть—სტო (< სტვა) прядь, вязал“ (იქ-
ვე, § 177, გვ. 145).

ანდა ძირები: ჯდმ || ჯდბ, კვდ+მ || კვდ+ბ, დგმ || დგბ; მიმა-
ტების ნიშნით შეერთებული მ ბ ფუნქციონალი ბერაა, როგორც იქ-
ვეა განმარტებული (იქვე, გვ. 145).

ანდა: კენ, ხრწ-ნ, ცრცეპ-ნ: ვ-კენ, ვ-ხრწენ, ვ-ცრცეპენ: ამ ძი-
რების შესახებ ვკითხულობთ: сильные корни с последним корен-
ным или функциональным ნ. (იქვე, § 189, ა, 3, გვ. 156—157...)

§ 244, გვ. 208 ვკითხულობთ: ... ე есть эквивалент народ-
ного ე, наличного напр. в гур. ეი-ს сидит. Это ე в свою оче-
редь остаток корня народного უდბ || უდნ (უდება, უდანა), экви-
валента Гдр.-лит. (ჯდმ || ჯდნ...)

აქ იმავე ზმნის ერთერთმა დერივატმა ფორმამ ავტორს საშვა-
ლება მისცა ძირეული სამი თანხმოვანი გამოეძებნა. რა საშვალე-
ბით, ეს სხვა საქმეა; ამის შესახებ ქვემოთ.



მაგრამ არის შემთხვევა, სადაც ზმნა ასეთ შესაძლებლობას ამ იძლევა; იქ ავტორი აღადგენს დაკარგულ ძირს; ამ ამის ნიმუში: „Корень *აბლ...>ბლ может терять третий коренной ლ, как теряет его ზბლ>ზბ рождать, делать и тогда от спирантного вида корня „творить“, „делать“ остается лишь один губной согласный ბ* (§ 161, გვ. 127). მაშასადამე ბ არის ნაშთი სამთანხმოვნიანი ძირის, რომელიც „ქმნა“ს აღნიშნავდა.

ძირის სამთანხმოვნიანობა რეგულატიური პრინციპია. რა ღირებულება აქვს მას? რად უნდა ყოფილიყო თავდაპირველად ძირი სამთანხმოვნიანი? რა აპრიორი აუცილებელი პირობა იყო ის, რომელ-საც უნდა დაეკანონებინა სამი თანხმოვნის ხმარება, და არა ოთხის ან ორის? ასეთი რამ არ არსებობს. ძირი მორფოლოგიური ანალიზის შედეგად მიღებული ხელოვნური ერთეულია. მისთვის საესებით საკარისია ერთი მარცვალი; ამ უკანასკნელისთვის სრულიად არ არის საჭირო სამი თანხმოვანი, ორიც სავსებით საკარისი იქნებოდა. ჩვენ ღონავადაც არ გვსურს აპრიორ სამთანხმოვნიანობას აპრიორი ორთანხმოვნიანობა დავუპირდაპიროთ. მეცნიერული აზროვნება შორს ვერ წავა აპრიორი მსჯელობით. და თუ მაინც ორთანხმოვნიანობის რეზონი გავხაზეთ, ეს იმისათვის რომ გვეთქვა: სამთანხმოვნიანობა ფატალურ აუცილებლობას როდი წარმოადგენს, მისი მაგივრობა თავისუფლად შეუძლია გასწიოს ორთანხმოვნიანობასაც¹; ორთანხმოვნიანობა არა ნაკლებ საფუძვლიანი იქნება, თუ მეტი არა.

სამთანხმოვნიანობის ღირსების გასათვალისწინებლად ის მაგალითებიც საკარისია, რომელიც ზემოთ მოვიხსენეთ. არას ვიტყვით *კბლ და მაგვარი ძირების შესახებ; ასეთი ზმნა არ არსებობს, იგი აღდგენილია; მაშასადამე, მისი ჰიპოთეტურობა ავტორისთვის ფაქტია, მის რეალობას ავტორიც არ იცავს. აქ შემოწმება შესაძლებლობათა ფარგლებს ვერ გასცილდება. ავიღოთ სხვა მაგალითები კლვ, ხრვ, სკმ, ცკმ, დგმ, ჯდმ || ჯდბ (უდბ || უდნ), კკდ+მ || კკდ+ბ; კსნ, ხრწ-ნ, ფრცქ-ნ... მათი სახელმწინები: კლვა, ხრვა, სკმა, ცკმა, (სუმა, ცუმა), დგმა, ჯდომა, კკდომა (კუდომა), კსნა, ურწნა, ფრცქ-ნა (ფრცქუნა) ზოგიერთის გამონაკლისით მართლაც სამ თანხმოვანს შეიცავენ... ეგვენი ითქმის გდვ >გდბ ძირის შესახებ (იხ. § 207, გვ.

¹ ქართველურ ენათა მიმართ ორთანხმოვნიანობას იცავდა მის. წერ ეთ ე-ლი ერთ-ერთ თავის წერილში. ისიც უნდა ითქვას, რომ მას მეტი საფუძვლები გააჩნდა თავის დებულებისთვის, ვინეშ აკალ. ნ. მ ა რ ს. სამწუხაოდ, ეს წერილი ხელთ არა გვაქვს და მის სათანადოდ გამოყენდების შესაძლებლობასაც მოკლებული ვართ.

169), მაგრამ მხოლოდ ერთის შეხედვით. უკანასკნელი თეორეტიკული თითქმის ყველგან არის ნაშთი იმ სუფიქსისა, რომლის საშალებით ეს ზმნები აწყოს აწარმოებენ: კლვა < *კლ-ავ-ა: კლავს; ხრვა < *ხრ-ავ-ა¹: ხრ-ავ-ს; სუმა < *სუ-ამ-ა: სუ-ამ-ს; ცუმა < *ცუ-ამ-ა: იცუ-ამ-ს; დგმა < *დგ-ამ-ა: დგ-ამ-ს; კსნა < *კს-ენ-ა²: *კს-ენ-ის(< კსნის); ხრწნა < ხრწ-ენ-ა: *ხრწ-ენ-ის (> ხრწნის); ჯდომა: კუდომა-ში კი -ომ ისეთივე სუფიქსია, როგორც -ოლ ზმნებში: ბრძ-ოლ-ა; ძრწ-ოლ-ა; სრ-ოლ-ა... რა უფლება გვაქვს აწყოს სუფიქსების ეს თანხმოვნები ძირს: მივაკერთო? ისნინ აორისტის ჯგუფში ბომ სრულებით არ ჩანან: კლავ-ს - კლ-ა; ხრავ-ს ხრ-ა; სუამ-ს სუ-ა; იცუამ-ს იცუ-ა; დგამ-ს — დგ-ა; (კსნის, ხრწნის თვით არის აორისტ-პერმანსივის ფორმა და ორსავე ჯგუფში ერთი და იგივე ფუძე აქვს...); ჯდებ-ის — ჯდ-ა... ქართულ ზმნებში ძირი აორისტის პირველსა და მეორე პირში უნდა ვეძიოთ: ჰ-კუედ... ს-დევ... ჰ-სუ... ჰ-კალ... ი-ცუ... და სხვ. შეიძლება თვით ამ ყველაზე სადა ფორმების ანალიზმა მათშიც აღმოაჩინოს ფორმანტები და ისიც არ დაუტოვოს მთლიანად ძირს, მაგრამ ძირისათვის ამაზე მეტის განკუთვნების უფლება არავითარ შემთხვევაში არა გვაქვს: ძირი ხომ ანალიზის გზით მიღებული მინიმალი, უცვლელი ერთეულია; მაქსიმალი სიმარტივე მოეთხოვება მას... ამიტომ არ შეგვიძლია ვთქვათ: აწყოში უნდა ვეძიოთ ძირი, აორისტში მესამე თანხმოვანი იკარგებათ... ვერ ვიტაუეთ ამას იმიტომ, რომ ეს „დაკარგვა“ ეხება აწყოს ყველა ფორმანტს, იქნება ის ებ, ობ; ემ, ოფ; აფ, ამ, თუ სხვა რამ... არც ერთი მათგანი არა ჩანს აორისტში; მაშასადამე, მათი უჩინარქმა ფონეტიკურ ნიადაგზე კი არ ხდება, სამთანხმოვნიანი ძირი, აწყოში დაული, ფონეტიკურ ნიადაგზე კი არ მარტივდება აორისტში, არამედ პირიქით აორისტის მარტივი კომპლექსი რთულდება აწყოში ახალი სუფიქსის დართვით; აქ მორფოლოგიური პროცესია „გართულების“, მარტივ კომპლექსზე, ძირ-

¹ სხვათა შორის ავტორი ამბობს კლვ-კვლ, ხრვ-ხრ; ვ ბოლოში მოვქცა შემდეგაო... ეს იმ შემთხვევაში. იქნებოდა მართალი, თუ აწყოს სუფიქსი ფრინ-ავ-ს, ფარ-ავ-ს, ფარ-ავ-ს და მაგვარებში ავ კი არ იქნებოდა არამედ „ალ“ ან „არ“, ხოლო „ვ“ ძირებული... ასეთი უცნაური დაშვებისათვის არავითარი საბუთი არ მოიპოვდა; თანამედროვე კვლა თითონ არის ვს გადასმის შემდეგ მიღებული *კლავა-კლვ-კლვლა...

² კსნის, ქმნის-ში -ენ ფორმანტის არსებობა აღნიშნული იყო ვარ. თო-ფურიას მიერ მის ერთეულთ მოხსენებაში ქართ. საენათმეცნიერო საზოგადოების სტდომაზე.



ზე ახალი ფორმანტის დართვის და არა ფონეტიკური სტრუქტურული სამთანხმოვნიანი კომპლექსის გამარტივების... ამიტომ მიგვაჩინია შეუწყნარებლად აკად. ნ. მარის აზრი, როცა ის ამბობს: „კლვ, ხრვ სუსტი ცარიელი ძირებია მესამე ადგილზე გადასმული ვ'თი, რომელიც აორისტში უკვალოდ იკარგებათ (გვ. 154).“

ეს მით უფრო შეუწყნარებელია, რომ თვით აკად. ნ. მარი ამბობს:

„В 3-ем лице аориста действ. залога корень появляется в найлучшей сохранности. Из трех лиц именно 3-е в аор.— самое простое образование...“ (§ 177, გვ. 145). მართალია, იგი იქვე დასძენს: გამოსავალ წერტილად დროთა წარმოებისას ეს ფორმა არ გამოვვადგებათ. მაგრამ იმის თქმა ხომ არ შეიძლება: მართალია, ეს უველაზე მარტივი წარმონაქმია (самое простое образование), მაგრამ ძირისთვის სხვა უფრო რთული კომპლექსი უნდა ვეძოთოთ... ადვილი წარმოსადგენია, რა უცნაური შინაარსი მიეცემოდა მაშინ ძირ-ცნებას...“

რამდენად უკულმართია სამთანხმოვნიანობის პრინციპი, ჩანს შემდეგიდან:

კლ-ბ-ში ბ ფუნქციონალ ელემენტად არის აღიარებული ტ სავ-სებით მართებულად: კუდ-ებ-ის (აწმყო) — კუდ-ა (< *კუდ-ა); ეს ბ (< ებ) აწმყოს მწარმოებელი სუფიქსია... მაგრამ: ჯდა-ში ბ ძირის სალართ-შია გადარიცხული. რა უფლებით? ჯდ-ებ-ის: — ჯდა (< *ჯედ-ა); კუდ-ებ-ის: კუდა... ორსავე შემთხვევაში ერთი და იგივე-ებ ფორმანტია ტ მისგან მომდინარე ბ; ერთს შემთხვევაში ეს ბ ფუნქციონალ ელემენ-ტად არის მიჩნეული, მეორეში არა... სრულიად ასეთივე ამბავი ხდება მეორე შემთხვევაში: კსნ, ხრწ-ნ, ფრცეპ-ნ... ერთი და იგივე ნ ორ შემთხვევაში ძირში არ შედის, ფუნქციონალი ელემენტია, კსნ-ში კი ფუნქციონალი არაა, ძირში შედის... ჭეშმარიტად, მეტი უსამართლობა (ამ ბ, ნ'ის მიმართ) წარმოუდგენელია... ამ უსამართ-ლობის წყაროა დოგმატი ძირის სამთანხმოვნიანობისა: უნდა იყოს სამი თანხმოვანი: არის ოთხი: მაშასადამე, მეოთხე უნდა გამოეყოს, როგორც ფუნქციონალი ელემენტი... (კუდ+ბ... ხრწ+ნ...); არის ორი; უნდა მოიძებნოს მესამე... და იგივე ფუნქციონალი ელემენტი ცხადდება ძირისეულად...

თვით იმ ქმნა' ძირმა, რომელიც აკად. ნ. მარს სამთანხმოვ-ნიანი ძირის ნიმუშად აქვს წამოყენებული, მესამე თანხმოვანი (ნ) ანექსის გზით მოიპოვა: ფუნქციონალი ელემენტი ნ (< ენ) ქმ ძირის კუთვნილებად გამოაცხადეს.

ფუნქციონალი ელემენტების ასეთი ბედი საქმაოდ ცხადი ჰყოლს, თუ რა მეცნიერული ღირებულებისაა ძირთა სამთანხმოვნო წერილების გორც რეგულატორი პრინციპი ქართულ სიტყვათა ანალიზისა.

სემიტურ ენებიდანაა გადმონერებილი ეს პრინციპი. ქართულში ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხებულა მისი გამართლება. ყოველ შემთხვევაში აკად. ნ. მარის სათანადო ცდა სანუგეშო პერსპექტივას არ იძლევა.

ზედმეტი არ იქნებოდა ორიოდე სიტყვა გვეთქვა იმის შესახებაც, თუ რამდენად აბსოლუტურია ამ პრინციპის მნიშვნელობა თვით სემიტური ენების სინამდვილეში და რას გვავალებს მისი იქაური ვითარება ქართველურ ენებში, თუ უკანასკნელთა ნათესაობა სემიტურ ენებთან დამტკიცებული იქნება.

ცნობილი სემიტოლოგი ა. კრიმსკი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ არაბულში სამთანხმოვნიან ძირებში თუ პირველი ორი თანხმოვანი ერთნაირია და მხოლოდ მესამე განასხვავებს მათ ურთიერთისაგან, დიდ წილ შემთხვევებში ეს ძირები ერთი ზოგადი იდეის სხვადასხვა ნახანსებს აღნიშნავენ ხოლმე. მაშასადამე, ძირითადი ზოგადი იდეის აღმნიშვნელი პირველი ორი თანხმოვანია, მესამის დანიშნულებაა ამ იდეის დიფერენციაციის აღნიშვნა. ამიტომ ა. კრიმსკის შესაძლებლად მიაჩნია ასეთი დასკენა გააკეთოს: აღბათ, წინარესემიტური ძირები თავდაპირველად მხოლოდ ორი თანხმოვნისაგან შედგებოდათ (იხ. Семитские языки и народы Т е о д о р а Н е л ь д е к е в обработке А. К р ы м с к о г о . Труды по Востоковедению, вып. V, Москва 1903, გვ. 3—4, შენიშვნა 6).

C. Brockelmannი პირიქით იმ აზრისაა, რომ უარყოფილ უნდა იქნეს შეხედულება (Mayer Lambertის პოსტულატი!) თითქმის ყველა სამთანხმოვნიანი ძირების ორთანხმოვნიანებამდის დაყვანა. შეიძლებოდეს (იხ. Grundriss der vergleichenden Grammatik der semitischen Sprachen. Berlin, 1908, Bd. I, გვ. 285).

Marcel Cohen-ის სამთანხმოვნიანობა, მართალია, მიაჩნია სემიტურის ყველაზე დამახასიათებელ ნიშნად, აღნიშნავს. რომ იგი დაუცავს ყველაზე კონსერვატულ ენას — არაბულს, მაგრამ შესაძლებლად სთვლის, რომ ეს თავისებურება სემიტურ ენებს ქამიტურის დაცილების შემდეგ შეეძინათ: საფიქრებელია, იგი ქამიტურ-სემიტური ზოგადი პერიოდიდან არ მომდინარეობდეს... „არსებობენ სემიტურის მონათესავე ჯგუფები, რომელთაც ან მრავლად (ეგვიპტურსა და განსაკუთრებით ბერძერულს) გააჩნიათ ორთანხმოვნიანი ძირები ანდა ნორმალურად აქცით ორთანხმოვნიანი ტიპი, ჩაურთავენ რა ხმოვანს, რო-



მელიც არ არის ნახევარი ხმოვნის ბგერინაცვალი (კუშიტურშტარშტარ) ზოგს სემიტურშიაც სუსტდება სამთანხმოვნიანობაო...¹

ამრიგად, Cohen'ი მაინც აღნიშნავს, რომ ყველა სემიტურ ენებში როდია მტკიცედ დაცული და გატარებული სამთანხმოვნიანობა, და რაც უფრო მნიშვნელოვანია: არსებობს სემიტურის მონათესავე ენები, რომელთაც სამთანხმოვნიანობა არ ახასიათებს. მაშასადამე: თუნდაც რომ დამტკიცდეს ქართველურ ენათა ნათესაობა სემიტურებთან, მაინც ლიად დარჩებოდა საკითხი სამთანხმოვნიანობის შესახებ, მაინც არ იქნებოდა სავალდებულო იმ თავითვე გადმოგვენერგა ეს დოგმატი ქართველურ ენათმეცნიერებაში: აյი სემიტურის მონათესავე ქამიტური ენები: ეგვიპტური და ბერძერული, რომლებშიაც ორთანხმოვნიანი ძირები მრავლად არის წარმოდგენილი, ხოლო კუშიტურის ჩვეულებრივი ტიპია ორთანხმოვნიანი ძირი... ქართველური ენები ყოველ შემთხვევაში ხომ ვერ დაიჩემებენ მეტს სიახლოვეს სემიტურ ენებთან, ვიდრე ქამიტურნი...

სამთანხმოვნიანობის შესახებ ჩვენი ზოგადი დასკვნა ასეთი იქნება: სემიტურ ენებთან ქართველური ენების ნათესაობის აღიარებიდან შინაგანი აუცილებლობით ხრულიადაც არ გამომდინარეობს საჭიროება ქართველურ ენებშიაც ძირთა სამთანხმოვნიანობის პრინციპი წამოვაყენოთ. ამის აპრიორული აუცილებლობა არ არ სებობს. ა პოსტკრიონი კი ამ პრინციპის გამოყენების ცდა (აკად. ნ. მარისა) გვარწმუნებს, რომ ამ დოგმატური პრინციპის გატარება შეიძლება მხოლოდ ფაქტებზე ძალადობის საშვალებით.

2. პორტიკის პასივობა.

დებულება აორისტის ფუძის პასივობისა და აწმუნის აქტივობის შესახებ აკად. ნ. მარმა პირველად „ჰანური ენის გრამატიკაში“ წამოაყენა და გაატარა. გარტივია ეს შეხედულება და ამიტომ სიცხადისათვის ზედმეტი არ იქნებოდა მისი აქ მოხსენება: აორისტის ფუძე პასიურია, აწმუნის კი აქტიური (იბ. გვ. 47). რატომ? იმიტომ რომ აორისტის ფუძე შედგება ძირისაგან პლუს ი(< ვი), მეშველი ზმნის

¹ „Il est assez probable que la trilitéralité générale ne date pas de la période chamito-sémétique... Les groupes apparentés ou bien ont en abondance (égyptien et surtout berbère) des racines à deux consonnes, ou bien ont normalement (couchitique) un type à deux consonnes encadrant une voyelle qui n'alterne pas avec semi-voyelle... (Les langues du monde, Paris, 1924, გვ. 92).

მიმღეობა ვნებითი გვარისა; აშშურს ფუძეს კი შეადგენს ძირი მულტიუზული
resp. აფ ან უმ resp. უც, მეშველი ზმნის მიმღეობის ფონზე მაკვეცე
დებითი გვარისა (იხ. იქვე: გვ. 43). — ფუძეს აპასიურებს თუ ააქტი-
ურებს მეშველი ზმნის მიმღეობა: თუ იგი ვნებითი გვარისაა — ფუძეც
პასიურია, თუ იგი მოქმედებითისაა, ფუძეც აქტიურია. ამიტომ არის
ამრ.: ბჭარ-ი პასიური კონსტრუქციის, ხოლოს აშშურ.: ბჭარ-უმ აქ-
ტიურისა... ჭანურში ასე მარტივია საქმის ვითარება იმიტომ, რომ
იქ ცველა ზმნები იულვლება ნართაული მეშველი ზმნის შემწეობით.

ქართულში მდგომარეობა გაცილებით უფრო რთულია, პრინ-
ციპი მაინც უცველელი რჩება. „Аорист и производное от него сос-
лагательное д. залога в основе пассивного происхождения, и в
этой особенности ключ понимания грузинского спряжения“ (ხაზი ჩვე-
ნია, — ა. ჩ.), она придает своеобразный характер всему строю гру-
зинской речи.

Форма аориста д(ейст.). залога у всех без исключения гла-
голов воспринимается, как пассивное образование“ (§ 178, გვ.
146) და აქიდან გამომდინარეობს, რომ „аорист и производное от
него сослагательное по природе своих основ — об'ективного строя“
(§ 198, გვ. 163).

ამ ფაქტის ზოგადი თეორიული დასაბუთება შეიძლება დავი-
ნახოთ შემდეგ სიტყვებში, სადაც ლაპარაკია ზმნის „პირველყოფი-
ლი მდგომარეობის“ შესახებ: „В глаголах действия производитель
(суб'ект) является страдающим, работающим (?!), а произведение
(об'ект) состоянием покоя, потому первоначально суб'ект (логи-
ческий суб'ект) выражался падежом страдания || действия (пря-
мой винит. || дательн.), а об'ект (логический об'ект) — падежом
состояния (прямой именит.). Впоследствии такое положение сбы-
товалось чисто формально в пассивной конструкции“ (§ 210, გვ.
174).

ამრისტის პასიურობა სწყვეტს ამნაირად მოთხრობითის სა-
კითხს; ზემოხსენებულს გარდა ეს ჩანს შემდეგი აღგილიდან: „Форма
аориста дейст. залога... пассивное образование... Естественно
поэтому, что и при аористе и производном от него времени — сос-
лагательном логический суб'ект стоит в Дат. падеже, именно Д.
втором სპასლარ-მან (იგულისხმება ფრაზა: სპასლარმან კრიბა ლაშ-
ქარი—ა. ჩ.), а логический об'ект — в Имен. падеже — ლაშქარ-ი“
(§ 178, გვ. 146).

რის მეოხებით ხდება აორისტის ფუძე პასიურად? ამის პასუხად მოვიყვანთ შემდეგ აღვილს: „აօრისტ имеет всегда и в действительном залоге ту или иную форму страдательного залога, именно—

I. Или это грузинский характер аориста страд. залога—ე, самостоятельно, или в составе наращенного вспомогательного, звучащего так же ე (<ე>) (ვ-ხუეჭ-ე).

II. Или это... усвоенный грузинским сванский характер аориста страд. залога—ა : (ვ-ჯალ).

III. Или это основа в форме причастия страдат. залога с характером ი (ვ-ქრიბ-ე)" (§ 179, გვ. 146—147, ნიმუშები ჩვენ მოგეყავს,—ა. ჩ.).

ჭანურში ზმნის ძირს მეშველი ზმნის ვნებითის მიმღეობა დაერთვოდა აორისტში და ის ხდიდა ფუძეს პასიურად; ქართულში ამას აღვილი აქვს მხოლოდ ზმნათა ერთ (პირველ: I) ჯგუფში, ისიც ნაწილობრივად, მეორე (II) ჯგუფი სვანური ვნებითის ფორმანტით იწარმოება, მესამეში კი (III) ოვით ფუძე ატარებს „ვნებითი გვარის მიმღეობის ფორმას“.

აწმყოს ფუძე აქტიურია; აწმყოს გააქტიურებას იწვევენ: 1. მრავლობითობის მაჩვენებელი ელემენტები და 2. მეშველი ზმნის მიმღეობის ფორმები.

„Глагольные основы, получаемые с помощью показателей множественности, служат для указания действенности значения, выражаемого корнем“ (§ 148, გვ. 122). მრავლობითობის ასეთი მაჩვენებლებია: ტ, ნ>ლ, ვ||მ, ბ>ფ, ს (იქვე); ამათგან ტ, ხ იშვიათად იხმარება, ლ—ნასახელართა მხოლოდ ერთ კატეგორიას ახასიათებს, ხოლო ფ—განსაკუთრებულ ზმნებს (იქვე). ჩვეულებრივ ხმარებულია ვ||მ, ბ და ნ (§ 149, გვ. 123). საგულისხმოა შემდეგი გარემოება: მრავლობითობის მაჩვენებელი ბ გამოიყენების აწმყოს ფუძის საწარმოებლად (საერთოდ აწმყოს ჯგუფს არ სცილდება!), „არქაული ნ კი აწმყოს ფუძისა (აწმყო, ხალხ. აწმყო=პერმანსივი, ნატერითი) და აორისტის ფუძისათვის, რომელთაც გარდამავალი და ორმაგად გარდამავალი (კაუზატიური) მნიშვნელობა აქვსთ...“ (§ 149, გვ. 123).

მეშველ ზმნებში აკად. ნ. მარი არჩევს ორნაირებს: ისეთებს, რომელნიც თავისთავადად აწარმოებენ დროებს (არის, ვიყავ), და ისეთებს, რომელნიც ზმნასთან შერთულან, ცალკე არ არსებობენ.

პირველთ იგი ნათლავს სახელშოდებით: განცალკევები ჭრის მიზანი (ძельный), მეორეთ ნართაული (наращенный) მეშველი ჭრის მიზანი ჩერების სინტერესობის საინტერესო სწორედ ეს უკანასკნელები; ასეთებია:

1. Спирантный вид грузинского корня ვ 3 существовать, быть, именно ვ (< *ვ). От спирантного вида ვ (< *ვ) образуется: а) основа по трем главным типам грузинского спряжения 1) ვ (< *ვავ), 2) ვვ (< *ვვ) и 3) ვვი (< *ვვი) и б) аористная основа по типу страдательного залога —*ვვ; последняя с потерей и последнего коренного появляется в виде —ე, редко с удлинением его в виде ევ... (§ 152, ვვ. 124).

2. Спирантный вид грузинского корня შ 3 производить, делать, именно ბ (< *ბ) (§ 157, ვვ. 125).

3 < *ვ არის ოურმე გამარტივებული სახე *ვლ ძირისა; აქიდანაა ოურმე ველ (< ველ) არსებულის (сущий) მნიშვნელობით და იგი აშარმობს მოქმედებითი გვარის მიმღებებს; მაგალ. ფრ-ნ (ფრენი), მისი პასიური ფუძე არის ფრინ-, აშმურს მიმღება კი: ფრინ-ვლი (§ 158, ვვ. 126).¹

თუ 3 < *ვ სამთანხმოვნიან ჰვლ'ამდი ავათრიეთ ყურით, სამართლიანობა მოითხოვს ასევე მოვიქცეთ მის მომზე ბ'საც. ნემესიდა აქც არ იგვიანებს და ჩვენ ვეითხულოთ:

„В параллель корню *ვლ > ვლ быть, спирантному виду сибилянтного სვლ, в роли наращенного вспомогательного со значением делать имеется (!) корень *ბლ (ყფლ) > ბლ, спирантный вид сибилянтного შბლ рождать, творить, делать. Твердый ბ в этом корне при стечении с согласным смягчается в ვ и тогда ბლ, звучит ვლ, как звучит შბლ в том же положении, совпадает с корнем ვლ быть“ (§ 160, ვვ. 126).

თუ *ვლ'საგან-ველ მივიღეთ, ბლ'საგან ვლებულობთ მიმღებებს:
 а) მოქმედებ. — მბელ (< *მბელ) ან -ველ.
 б) ვნებ. — 1. ნიშანდობლივ უ'თი — -ვულ.

¹ არა იაფეტიდოლოგიურად მოაზროვნე ამ ველს *ველ'იდან კი არ გამოიყეანდა, არამედ: *ავ-ელ'იდან; ცალკე ეს -ველ არსად მოიპოვება; ფრინველ' და მსგავს შემთხვევაში მართალია ასეთი ფორმანტი არის, მაგრამ ის შმოვნის ამოვარდნის გზითაა მიღებული *ფრინ-ავ-ელ'იდან; აშმურში რომ -ავ არ გვქონიდა, ამც მიმღებობაში გამოჩენდებოდა -ავ: ჩხრებს: მჩხრეკ-ელი; მდრეკ-ელი... ასე რომ, ვისაც კეთილი საქმე სურს მოიმოქმედოს -ავ და -ელ ელემენტების გენერალოგია უნდა ეძიოს, არა თუ დააბნელოს საკითხი რაღაც მითიური ველ < *ველ'ით.



2. " o - ობილ¹ (< *^{მუსტენიშვილი}
ბიბლიოგრაფია)

ფილ) ანუ — ვილ (§ 160, გვ. 127).

ამით არ ამოიწურება ამ მეშვეოლ ზმნათა ამბავი: *ჰ'საგან (= ყოფნა) ვ გვაქვს, *გ'საგან (= ქმნა) ბ; მაგრამ თითოეულ მათ-განს შეიძლება ჰქონდეს მესამე თანხმოვანიც: *ჰ' < *ჰელ; ებ < *ებლ... აი ამ ებლ'ს ლ შეიძლება ნ'ს ბერინაცვალი იყოს *ებლ < *ებნ < ყონ; (*ჰელ'ს ლ არის ნ'საგან მიღებული)². ყოველივე ამიდან ავტორი ასეთ დასკვნას აკეთებს: (*ჰელ ძირი ყოფნას აღნიშვნას, *ებნ ძირი კეთება, ქმნას; ერთმანეთს უპირდა-პირდება ვ, ლ (პირველის) და ბ, ნ (მეორის); პირველს მედიალი ხა-სიათი აქვს, მეორეს ტრანსიტიული; ამიტომ, როდესაც ეს ელემენტები ენამ მრავლობითობის მაჩვენებლად გამოიყენა, ის ძირები, რომელთაც ბ, ნ დაირთეს, ტრანსიტიული შინაარსით აღიჭურებული, ხოლო რო-ბ, ლ—გარდაუვალი მნიშვნელობა მიღებს (იხ. § 161, გვ. 127).

მაგრამ ეს კოტაა: ბ, ნ'ს ფონეტიკური ვარიაციაა ფ, ლ (ესე-ნიც ტრანსიტიულობის ემანაციას ატარებენ); ვ'საგან აგრეთვე ფონე-ტიკურად მივიღეთ მ (რომელსაც მემკვიდრეობით გამოჰყვა ინტრა-სიტიულობა!) (იქვე, § 161).

საბოლოო ანგარიშში: გატრანსიტივებელნი

ალმოჩნდენ: ბ, ფ; ნ, ლ.

მედიალნი 3. მ; ლ.

ლ მედიალი არის (თუ პირველადია) და ტრანსიტიულიც (თუ: ლ < ნ!).

მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ აწყველს ფუძის მწარმოებელთა შორის არის კატეგორია ე. წ. მრავლობითობის მაჩვენებელთა; ესე-ნია ვ || მ, ბ, ნ (აგრეთვე: ფ < ბ; ლ < ნ და ტ, ს...), რომელნიც ფუ-ძეს ტრანსიტივობას ანიჭებენ.

გამოდის, რომ ნართაულ მეშვეოლ ზმნათაგან მიღებული ელემენ-ტები და ე. წ. მრავლობითობის მაჩვენებელნი ერთურთს ხვდებიან; ავტორიც აღნიშვნას ამას (§ 162) და ასე განმარტავს: „Это созву-чие не случайное совпадение. Оно коренится в генетическом

1 ობელ, ობილ როდის პირველადი მონაცემი, რომ ჩვენ შევძლოთ მათხე-დაყრდნობით მათი შემცველი ფორმები (მაგალ. მგმ-ობელ-ი, გმ-ობილ-ი) გავი-გოთ; ისევე, როგორც ველ (< *ავ-ელ), ესენიც იშლებიან ობ-ელ და ობ-ილ-ად, და კვლავ ეს ელემენტებია (ობ, ებლ, ილ) საკვლევი. პიროვნეული ბლ-ძირის მისრეობად კი მათი მიჩნევა მეთოდოლოგიურად დაუშევებელია (ამაზე ქვემოთ), ფაქტიურად კი ეს მეტი არაერთია, თუ არ „ამათოება ამაობათა.“

2 რატომ *ჰელ'ს ლ არ შეიძლება იყოს აგრეთვე ნ'საგან მიღებული—საი-დუმლობაა, რომლის საწვდომად თვით წიგნში არაფერია მოცემული.

родстве тождественных звуков, восходящих со своими ^{ნაწილების} ~~ნაწილების~~ ходящимися значениями „делать“ и „множество“ к одному семантическому прототипу, т. е. корню, знаменующему одно общее понятие, напр. „рождение“ (> „размножение“): „племя“ > „дети“ || „производство“ > „делание“ и т. п.“ (§ 162, гл. 128).

სრულებით ბუნებრივი იქნებოდა თუ აქიდან ასეთ დასკვნას გამოვიტანდით: მრავლობითობის მაჩვენებელნიცა და ნართაულ მეშველ ზმნათა „ძირებიც“ (თუ ძირის ნაშთები!) თუ ფაქტურად ერთ-მანეთისაგან არ განსხვავდებიან, და გენეტურადაც ზოგადი წყაროდან მომდინარეობენ, აღარც ფუნქციურად გაირჩეოდენ იქნება: ერთ-საც და მეორესაც თანაბარი მნიშვნელობა უნდა პქნდეს, ერთს მეორის მონაცელობა უნდა შეეძლოს: მოკლედ რომ ვთქვათ, მათი გარჩევისათვის არაეითარი საფუძველი არ არსებობს.

მაგრამ... „ფაქტური მდგომარეობა (ხაზი ჩევნია—ა. ჩ.)¹ კი ისე-თია, რომ აღნიშნული თანბერეობანი (созвучие) ხელს უშლიან კვი-ლი ამ თანაბრად ნართაული ელემენტების განაწილებას სხვადასხვა ჯგუფებს შორის კუთვნილებისამებრ“... (გვ. 128) ძნელდება იმის გარკვევა, ...ებ რომელიმე ზმნისა ნართაული მეშველი ზმნის ბ'დან მომდინარეობს, თუ მრავლობითობის ფუნქციური ბ ელემენტია, გახმი-ერებული.

ამით შეიძლება დამთავრებულად ჩავთვალოთ აორისტისა და აწყოს ფუძის დახასიათება; რასაკირველია, ჩევნ გარდამავალი ზმნები გვაინტერესებს, სწორედ ისინი, რომელთაც აორისტში „მან“ აქვსთ ქვემდებარედ. საბუთების რიგია მოყვანილი აორისტის ფუძის პასიურობისა და აწყოს ფუძის აქტიურობის ნათელსაყოფად. განვიხილოთ იგინი.

პირველი საკითხი, რომლის გარკვევა ამთავითვე აუცილებელია, არის შემდეგი: რა აზრით არის ნახმარი აქ „პასიური“? რას ნიშნავს:—„ფუძე პასიურია“?

თანამედროვე გრამატიკულ ტერმინოლოგიაში „პასიური“ გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია: იგი „აქტიურის“ ანტიპოდია; მაგრამ ამ მნიშვნელობას ამ ტერმინს ვერ მივაკუთვნებთ: ეს იქნებო-

¹ საინტერესოა ეს თქმა: „фактическое же положение таково“..., პე-ტიტით მინატებული; ისე გამოდის, თითქოს ფაქტური მდგომარეობა კი არ იყოს ის, რასაც მეცნიერული აზროვნება ეძიებს, არამედ ის ნორმები, რომლებიც რო-მელიმე ჰიპოთეზის თვალსაზრისით სვალდებულოდ არის მიჩნეული... თუ ფაქ-ტური მდგომარეობა ასეთია, რაღა აზრი აქვს იმ „არაფაქტურს მდგომარეობას“, რომელშედაც ზევით იყო ლაპარაკი.



და ანაქრონიზმი: აკი ავტორი თვითონ ამბობს, რომ ასეთი უკრძალული რიც „კონსტრუქტივისა აორისტისა დანალექია პირვანდელი შდგომარეობის; მაშინ ზმა ჯერ კიდევ არ იყო; იყვნენ ელემენტები, და ამ ელემენტების სხვადასხვანაირი განრიგება გამოხატავდა მოქმედებას თუ მდგომარეობას (იხ. გვ. 210, გვ. 174). ცხადია, მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ჩვენებური კატეგორია „აქტიურისა“; და მაშასადამე, არ იქნებოდა მისი დერივატი „პასიური“. ასე რომ „პასიურს“ თანამედროვე შინაარსი ვერ განეკუთვნება.

ვამოვიდეთ უარყოფითი განსაზღვრიდან: „პასიური“, ე. ი. არა-ტრანსიტივი; ამ უკანასკნელთა შორის გვექნება: 1. ოლწერითი ფორმები: კლულ არს, — იყო, — იყოს; წერილ — არს, — იყო, — იყო... ან 2. ვნებითები ი, ე პრეფიქსით, ან 6 (<ენ> || დ(<ედ>) სუფიქსით ნაწარმოები: და-ი-წერა; და-ი-კლა; და-ე-წერა, და-ე-კლა; გან-კაც-ნ-ა; გან-მრავლ-დ-ა... ან 3. რელატიური ფორმები ტრანსიტივებისა (როგორც ეს გვხვდება დრო-კილოთა მესამე ჯგუფში: უ-წერ-ი-ეს/ა; უ-კლ-აე-ს) ან მედიებისა: უ-დგა-ს; ჰ-რწამ-ს...

ამათგან პირველი უნდა მოიხსნას, რადგანაც აორისტი არ არის ოლწერითი ფორმა: ესენი კი ოლწერითნი არიან და აორისტის ბუნების გასათვალისწინებლად ველარ გამოვადებიან.

ვნებითები ი, ე პრეფიქსით, თუ 6 || დ სუფიქსით ნაწარმოები აგრეთვე გამოუსადეგარია: ყოველი მათგანი უკვე გულისხმობს იმ ფორმის არსებობას, რომლის ბუნება ჩვენთვის პრობლემად ქცეულა: კლა — იკლა; უ/ა-წერა — ეწერა... განამრავლა — განმრავლა...

ეგების უკანასკნელმა ჯგუფმა გვიშველოს: მიწერია, მიქალის; მი-დგას; მ-რწამს... ეგების ამათ მაინც გაგვაგებინონ რა შინაარსი უნდა ჰქონდეს ტერმინს „პასიური“, როცა იგი: დაწერა, მოქლას მიმართ არის ნახმარი; ასეთი იმედი მით უფრო საფუძვლიანია, რომ ავტორი ერთ ადგილას ასეთ რასმე ამბობს: „... аорист и производное от него сослагательное по природе своих основ об'ективного строя... Что же касается прошедшего совершенного, давнопрошедшего и прошедшего сослагательного, в действительном залоге они — явно об'ективного строя, а в страдательном — описательны“ (§ 198, გვ. 163). „კლა“ — აორისტია; ის ობიექტური კონტრუქციის ყოფილა; მიქლავს, — ნამყო სრულია: — ისიც ობიექტური კონსტრუქციისაა. შეიძლება ამ ტიპის საშვალებით მაინც გავიგოთ თუ რა შინაარსის მატარებელია „პასიური“, როცა ამბობენ: „კლა“ პასიურიათ!

მით უმეტეს, რომ რეალი სუბიექტი¹ ორსავე უმიზუდეს შესავაჭრა „ერთს“ ბრუნვაშია: მიცემითში: მას უკლავს (მას—მიცემითი პირ-ველია), მან კლა (მან—მიცემითი მეორეა). მაგრამ ეს საბუთი საბუთი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წინასწარ დამტკიცებდენ, რომ „მან“ მართლაც მიცემითია... მაგრამ ეს ხომ ჯერ კიდევ დასამტკიცებელი თეორემაა და არა აქსიომა... ამას გარდა, ჩენ მაინც გვრჩება თვალსაჩინო განსხვავება: არ შეიძლება ერთ სიბრტყეზე მოთავსება „კლა“-სი და „უკლავს“ (ან თუნდაც „პრწამს“), ას, არ შეიძლება ორივეს ობიექტურად მონათვლა, რადგანაც პირველს არა აქვს ის, რაც მეორეს ხდის ობიექტურად: ვ-კალ; მი-კლავს, მ-რწამს-ს; პირველში რეალი სუბიექტი ქვემდებარება და ვ-სუბიექტური პრეფიქსით არის წარმოდგენილი, მეორეში კი რეალი სუბიექტი დამატებაა და მ-ობიექტური პრეფიქსით არის აღნიშნული... ამას გარდა, თუ „კლა“ ობიექტურია, რალად მაშინ „მ-კლა, ვ-კლა...“ მი-კლავს, მრწამს-სის კორელაცი კონსტრუქციის მხრით სწორედ ეს „მ-კლა“ არის, იგია ობიექტური, და არა „კლა“.

რას ნიშნავს ეს? მხოლოდ იმას, რომ, როცა ამბობენ აორისტი თვისი კონსტრუქციით „პასიურია“ და „ობიექტურიო“ ამ სიტუაცის არა აქვთ ის მნიშვნელობა, რომელიც მათ უნდა ჰქონდეთ, ისინი სხვა მნიშვნელობას ატარებენ, საკუთარი მნიშვნელობისაგან განსხვავებულს, მაგრამ სრულიად გაურკვეველს.

ყოველ კვალიფიკაციას მხოლოდ იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც გასაგებს ხდის გაუგებარს. როცა ვინმე ამბობს: „ხილი შაქარიფიტ ტებილიაო“, ამ თქმას: „შაქარივით ტებილია“ იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც ეს ხილი მართლაც აღმოჩნდება „შაქარივით ტებილი“. წარმოვიდგინოთ, რომ ეს ხილი სრულიადაც არ არის ტებილი, (არც შაქარივით, არც თაფლივით...), არამედ სხვა გემო აქვს, ტებილი კი არა, სხვანარი, რალაც უცნაური, ძალიან თავისებური (და იმავე დროს გამოურჩევილი!); რა აზრი აქვს მაშინ იმის თქმას: „ეს შაქარივით ტებილიაო“; ან კიდევ მეტი: რა უფლება გვაქვს ვიხმაროთ ასეთ შემთხვევაში სულ სხვა შინაარსის მქონე სიტყვა...

აორისტი „პასიურია“ და „ობიექტური“... ოლონდ არა ჰგავს

¹ თუმცა აქ ერთი მომენტი უპირდაპირდება რეალს მომენტს, მაგრამ მაინც შეგნებულად უშვერთ გვერდს გამოთვებს, როგორიცაა: „გრამატიკული ქვემდებარე“, „გრამატიკული დამატება“; ეს იქნებოდა აუტანელი ტავტოლივია: დამატება და ქვემდებარე შეიძლება იყოს მხოლოდ გრამატიკული.



არც ერთი ტიპის პასივს (თუ რელატივ-მედიებს), არა იქვეს არავითარი ობიექტური პრეფიქსი

ამიტომ უქმი სიტყვაა და შეუფერებელი აქ „ობიექტური წყობილება“, „პასიური კონსტრუქცია“. ამიტომ ვაღდებული ვართ ვთქვათ: აორისტი არ არის არც პასიური, არც ობიექტური, ის სხვანაირია, თავისებური, გაურკვეველი ჯერ კიდევ-ყოველ შემთხვევაში, აკად. ნ. მარის სათანადო შეხედულებათაგან სხვანაირი დასკვნა ვერ გაკეთდება.

აორისტის ფუძის პასივობას იწვევს ან 1. ე. ან 2. ა ან და ი (იხ. ზემოთ). მაგალ. ვ-ქმენ; ვ-ხუჭ-ე; ვ-კალ; ვ-ქრიბ-ე¹.

პირველი მათგანი (ე) ან თვით არის აორისტის ვნებითის დამახასიათებელი ნიშანი ანდა მიღებულია ევ'საგან, რომელიც აგრეთვე შეიძლება იყოს ე'ს სახით წარმოდგენილი.

მაგრამ საიდან ჩანს, რომ ე ვნებითის აორისტის დამახასიათებელია? ამის დასაბუთებას ვერსადა ვპოებთ... პირიქით ჩვენ ვიცით რომ „ე“ აქტიურობის მატარებელია, მაგალ. ქრებს, გლეჯს და და მსგავსს ზმნებში (იხ. § 178); მართალია, ავტორი ანსხვავებს ამ ორ ე'ს; იგი ამბობს:

„Один ე—огласовка основы настоящего времени, другой ე—гласовка основы аориста.

ე в основе наст. вр., постоянный, представляет грузинский природный гласный характер причастия действ. залога.

ე в основе аориста то беглый, то постоянный, представляет грузинский природный гласный характер пассивного аориста и сосл., где ე <ად< აი (-ი характер страдательн. залога). (§ 182, 33. 148—149).

მაგრამ ამ დებულებას მოოლოდ იმ შემთხვევაში ექნება ძალა, თუ შინანშარ იქნება დამტკიცებული რომ ეს ე მართლაც აი'საგან არის მიღებული, და ამ უკანასკნელის ი მართლაც პასიურობის აღმნიშვნელია; სანამ ეს არ მომზდარა, ეს „ახსნა“ დასაყრდენად არ გმოდგება:...

პასიურობის აღნიშვნა ევალება აგრეთვე ევ'ს, ნართაული მეშვეობი ზმნისაგან მიღებულს: *ჰევ—аористная основа по типу страдательного залога, ვკითხულობთ სათანადო ადგილას (§152). მერე

¹ მაგალითები შერჩეულია ჩვენ მიერ; სათანადო ადგილას ამ შემთხვევაში და საკმარის ხშირად, სხვაგანაც, დებულებებს საიმუშო მაგალითები თან არ ახლავს, რაც ფრიად უხერხულია ავტორის შეხედულებათა გათვალისწინებისათვის.



საიდან ვიცით, რომ ეს ევ (თუ: *ჰევ) ოორისტის ფუძეა, ისიც მეტად მას შეუძლია გვარის ტიპისა? ან საიდანა ჩანს, რომ იყო *ჰევ მეშველი ზმნა? მივის, მესვა—ზმნა მართლაც არსებობს, მაგრამ ეს ხომ იმას არ ნიშნავს, რომ შეიძლებოდეს „ხატისა და მსგავსებისაებრ მისა“ სპირანტული *ჰევ ძირის არსებობა დაუშვათ? რატომ უნდა გამოყენებინათ მაინც და მაინც სპირანტული *ჰევ ძირი (მასთან არც არსებული!) მეშველ ზმნად და არა ოცით სიბილანტი ხევ ძირი, რომელიც უვნებლად გადაურჩა ამ ბევრას.

ანდა თუნდაც რომ დაუშვათ ჰევ ძირის არსებობა, საიდანა ჩანს, რომ მას ექნებოდა ოორისტის ფუძე, ისიც ვნებითი გვარის ტიპისა? სხვა რომელ საშვალო გვარის ზმნას (ისიც „არსებობა“-ს მნიშვნელობით) აქვს მეორე, ოორისტის ჯგუფის დრო-კილო? ¹

ამას გარდა როგორ შეიძლება *ჰევ ზმნას, რომელიც არსებობა ან ს აღნიშნავს, „ვნებითი გვარის ტიპის“ ოორისტი ჰქონდეს? საშვალო ზმნას—ვნებითი? ისიც როდის? როდესაც მსგავსი კატეგორიები არც კი არსებობდენ.

პირდაპირ უნდა ითქვას: ეს *ჰევ (ისევე როგორც *ჰევლ და მისი თანამომებელ < აბლ >) თავისუფალი შემოქმედების ნაყოფია, რომლის შემეცნებითი ლირებულება ნულს უდრის; იმავე *ჰევსაგან აფ'ც არის გამოყვანილი, ვი'ც, ევ'ც და *ჰევ'ც: „ქართული ულვლილების სამი ტიპის მიხედვით“, როგორც ავტორი გვეუბნება (§ 152). თითქოს იმ ფრიად არაახლობელ ხანაში „ქართული ულვლილების სამივე ტიპი“ არსებულიყო; ავტორს ავიწყდება (თუ ივიწყებს) რომ *ჰევ ზმნამ კი არ გამოიმუშავა ულვლილების სამივე ტიპის ფორმები, პირიქით ეს ულვლილების ტიპები ავტორს ამ რეალი ელემენტების: ავ, ევ, ვი'ს მიხედვით აქვს ჩამოყალიბებული.

არა ნაკლებ საინტერესოა შემდეგი: ევ (< *ჰევ) ორგან არის სკენაზე გამოყვანილი: ერთგან ის გვერდს უმშვენებს ავ'სა და ვი'ს, მეორეგან—ოორისტული ფუძეა ვნებითი გვარისა... და მერე რისთვის? რათა მისი საშვალებით შემდეგ „ახსნილ იქნას“, როგორც აწმყოს ევ (ვთქვათ: ვლევ ან: ვძლევ)², ისე აოორისტის ე<ევ>: (<ვაქევ>)... ნუ თუ ამ *ჰევ ძირს ნატვრის თვალივით ყოველგვარი საჭიროების და-

¹ თვით „მესვა“, „გესვა“: ავტორს ნამყო უსრულად მიაჩინია (და მხოლოდ ფრინილებში მიუმატებია: (აორ.) (იხ. § 212 გვ. 176) მაგრამ ეს ხომ რელატიური ფორმაა და არა აბსოლუტური. „დგას, წევს, ზის... არც ერთს არა აქვს აოორისტი; დადგა, დაწვა—დგების, წევბის’ის რაგისაა.

² შეიძლება აქ ივულისხმებოდეს: ვ-ფარ-ვვ-დ-ი, რომელსაც ნამყო უსრულებით ეწვდებით.

ქმაყოფილება შეუძლია? პასუხი, რასაკვირველია, იქნება უძრავი და უძლიერი უძრავი თუ მოვიგონებთ, რომ საქმე გვაქვს ვარსკვლავიან ძირებთან, „აღ-დენილებთან“. კეშმარიტად: იშვიათად, თუ უნახავს ენათმეცნიერებას ამ ცოდვილი ვარსკვლავის ასეთი თავისებური გამოყენება!

მწუხარებით უნდა აღინიშნოს. რომ აორისტის ესი, თუ ევის საკითხი ყოველივე ამის შემდეგ ადგილიდან არ დაძრულა: ჩვენ ისევ გვაქვს მარტივი ფაქტი: ევ (>ე) აორისტი და ევ აშმუში, ხოლო მათი ახსნისაგან ახლაც ისევე შორსა ვართ, როგორც ვიყავით ავტორის შეხედულებათა გათვალისწინებამდის.

ყოველ შემთხვევაში, ეს, ეს პასიურობა ოდნავადაც არ მიიმჩნევა დამტკიცებულად². ავილოთ ა: ისიც აღიარებულია ვნებითური აორისტის დამახასიათებლად (სვანურად!) მაგრამ აშმუშიც ა გვაქვს (ვ-კალ: ვ-კლ-ავ < *ვ-კალ-ავ). და ი ავტორიც ასეთ განმარტებას იძლევა: „ ა в основе настоящего времени представляет усвоенный из шипящей группы (мегрельского и чанского языков) гласный характер причастия д. залога.

ა в основе аориста представляет усвоенный из спирантной ветви (см. спирантный слой сванского языка) гласный характер пассивного аориста“ (§ 182, ვ. 148).

ე. ი. ვ-კალ”ში ა სვანურით მომდინარეობს, ვ-*კალ-ავ”ში კი მეგრულ-ჭანურით? რატომ არა პირიქით? საბუთი? ე უნდა იქნეს ნაგულისხმევი აშმუში, რათა შესაძლებელი გახდეს სათანადო თემის აქტიურად გამოცხადება (ეს ხომ „სხვა“ ე’ა და არა ის ე, რომელიც აორისტს პასიურად ხდიდა!), ა სვანური ვნებითი აორისტისა ასევე უნდა იქნეს ნაგულისხმევი აორისტში! დაახ, უნდა, საკიროა, (წინააღმდეგ შემთხვევაში აორისტის პასიურობისა და აშმუს აქტიურიბის საკითხი გართულდებოდა!); მაგრამ ის, რაც არის (ფაქტური) და ის, რაც უნდა იყოს (ნორმატული) იდენტური როდია. ამდენადვე ას პასიურობა ისევე დაუმტკიცებელია, როგორც ევს პასიურობა.

უფრო საგულისხმოა ი, როგორც პასიურობის მატარებელი: ვ-კრებ:—ვ-კრიბ-ე... მაგრამ აქაც დაბრკოლებებია; ჯერ ერთი: თუ „ვკრიბე“ პასიურია რალაა ვკერბ (შვეერბ); მეორეც, და ეს უფრო საყურადღებოა, თუ ი აპასიურებს ფუძეს, რილას მაქნისია ე: ვ-კრიბ-ე:

¹ რასაკვირველია, თუ დამტკიცებად არ ჩავთვლით ასეთ მსჯელობას: აორისტის ფუძე პასიურია, რადგანაც მასში (ან მასთან) ე, ევ არის; ევ პასიურის აღნიშნავს, იმიტომ რომ იგი აორისტში გვხვდება!

ის ხომ პასიურობის ფუნქციის მატარებელია. ამის შესახებ კლემანტ ერეკა ბიან: „Вспомогательный 3 (<*3) с этим характером 9 (<9) нарастает иногда на готовые формы аориста с характером 5 (qman-e) или с причастным образованием (qmīn-e) и в таких случаях дополнительно нарастающий вспомогательный 9 называется спутником“ (§ 180, გვ. 147),

ეს ბოლოებით ე (ვ-კრიბ-ე) დამატებით უჩნდება ზმნას და იწოდება „მხლებლადო“, მაგრამ ეს მოვლენის აღწერაა და არა ახ-სნა. ამის ახსნის გარეშე კი „ვ-კრიბ-ე“ს პასიურობის საკითხი ღიად რჩება.

აორისტის პასიურობა, ამრიგად, დამტკიცებული და ოდნავადაც ვერ ჩაითვლება.

ამით შეიძლებოდა ეს საკითხი ამოვევეწურა; დამატებით გვინდა მხოლოდ ერთი საკითხი დავსვათ: § 150-ში ავტორი ამბობს: „არ-ქაული 6 გამოყენების აწმყოისა და აორისტის ფუძეთა¹ საწარმოებლად გარდამავალისა და კაუზატიურის მნიშვნელობითო“...

მე ვესნი (<*ვეს-ენ-ი: აწმყო—პერმანსივის ფორმა!): მე ვეს-ენ: (აორისტი); ერთი და იგივე 6 (>6) ფორმანტია აწმყოშიცა და აორისტშიც. როგორი უნდა იყვნენ ფუძეები: ორივე აქტიური თუ ორივე პასიური? ყოველ შემთხვევაში აკად. 6. მარის შეხედულებათა ლოგიკით აორისტზე უმაღლ შეიძლება აწმყო მივიჩნიოთ „პასიურად“, იქ ხომ ყველა პირებში ის დაბოლოება (აორისტში კი ი, როცა იხმარება, ფონეტიკურ ნიადაგზე განვითარებული—იხ. ქვ.). მაგრამ ეს ხომ არ შეიძლება დავუშვათ; როგორ ახსნიდა ამას ავტორი, ჩვენ არ ვიცით და საკითხს საკითხად ვტოვებთ.

აწმყოს აქტიურობის საკითხი ჩვენთვის არ იქნება ცალკი განხილვის საგანი. მას არც ისეთი სიმწვავე აქვს, არც ისეთი პრინციპული მნიშვნელობა, როგორც აორისტის პასიურობის საკითხს; მით უმეტეს ზევით უკვე იყო შესაძლებლობა გამოვეტქვა ჩვენი აზრი იმ ნართაული მეშვეოლი ზმნების შესახებ, რომელთა ელემენტები (თუ ფორმები?) მონაწილეობენ აწმყოს წარმოებაში².

თუმც უღველილებას არ ეხება, მაგრამ პირველხარისხოვანი პრინციპული ღირებულებისაა მოთხრობითი ბრუნვის საკითხი და

¹ შესაძლებლად ვთვლით ვიხმაროთ: ფუძე, „возвращенный“ вид корня’s ბადლად.

² თვით აწმყოს აქტიურობას, რასაკვირველია, ვიშიარებთ; რა ხდის აწმყოს აქტიურად და რაში გამოიხატება ეს აქტიურობა—ამასე სწავა დროს.



ამიტომ, გვგონია, მიზანშეწონილი იქნეს, თუ მის შესახებ უჩიტესად უკირავეთ ჯელებთ.

შევ იყო ზემოთ აღნიშნული, რომ ამ ბრუნვის ბედი წყდება აორისტის ბედთან დაკავშირებით; ჰიპოთეზი აორისტის შესახებ და ჰიპოთეზი მოთხრობითის შესახებ ერთმანეთთან ჰარმონიულად არის შეხვებული: აორისტი პასიური კონსტრუქციისა და რეალი სუბიექტიც (ანუ ლოგიკური სუბიექტი, როგორც ავტორი ხმარობს) მიცემითს ბრუნვაშია; ე. წ. მოთხრობითი არის მიცემითი; ჩვენ გვაქვს ერთი მიცემითი: „მას“; ეს იქნება მიცემითი პირველი; ე. წ. მოთხრობითი (მან) კი არის მიცემითი მეორე.

მიცემითია ის სინტაქსურად: ეს ჩანს მისი ხმარებიდან აორისტთან; მიცემითია იგი მორთოლოგიურადც: ამ მხრივ საკითხსა წავეტს ა ხმოვანი (მან); ბრუნვები დახასიათდება ხმოვნებით; ა ახასიათდებს მიცემითს, (ი ნათესაობითს, უ—კი სახელობითს § 20, გვ. 17). რაც შეეხება ნ'ს, იგი ბრუნვათი მწიგნობრული დამახასიათებელი ელემენტია (§ 22, გვ. 17). ამ ნ'ს, გენეალოგიას საბოლოო ანგარიშში მივყავართ „სონ-მესხური ენის საკუთრივ მესხური ფენისაჲნ, რომელიც ამჟამად წარმოდგენილია სვანურით; ამიტომ მას შეიძლება ეწიდოს ბუნებით მესხური (ხაზი ჩენია-ა.ჩ.) და შეთვისების მიხედვით სვანური“ (мож ноби называть месхским природно и сванским по усвоению § 39, გვ. 27).

თუ არ ვცე ბით, მესხური ენის ძეგლები არ არსებობს, და, ამრიგად, სრულიად მოკლებული ვართ საშვალებას შევამოწმოთ ეს მნიშვნელოვანი დებულება და დავრწმუნდეთ მის კეშმარიტებაში.

აյ მხოლოდ შემდეგს ვიტყვით: მოთხრობითი ბრუნვა მხოლოდ ერთს სიტყვას აქვს ქართულში: ეს არის ნაცვალსახელი მან (თუ მაგან'საც მივუმატებთ, იქნება ორი. ყველა სხვა ბრუნვადი სიტყვა მთელს ამ მანს დაირთავს მოთხრობითის წარმოებისას) ¹... ეს ართულებს მდგომარეობას და სხვა მიმართულებას აძლევს საკითხს: მანის ფონეტიკურ-მორთოლოგიური მეგრული ეჭვივალენტი მუ-²მუნ (მუნ-ეფ-ი) სახელობითშია; ქართულში კი მანს სახელობითი არ გააჩნია, ისევე როგორც ჭანურს. დაუმატეთ ამას ის ფაქტი, რომ ჭანურსა და მეგრულში მოთხრობითის ფორმანტს ხმოვნითი ელემენტი სულ არ გააჩნია ², ფორმანტი კი არის ჭ (<გ).

¹ ძოლან, სხვაგან, ერთგან, ყოველგან, შიგან (იხ. § 39, გვ. 25)-ში გამოსარჩევია—ფორმანტი და მისი გენეზისი.

² საინტერესოა, არის თუ არა ასეთი ფორმა-ბრუნვა? თუ ბრუნვები „ხმონით დახასიათდებიან“, როგორც აკად. ნ. მარი ამბობს (§ 21), ჭანურ-მეგრულის მოთხრობითი (ჯა-ქ) ბრუნვა, ცალია, ვერ იქნება!

უფელივე ეს იმის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს, რომ მან მა-
 ცემითად მივიჩნიოთ მორფოლოგიურის თვალსაზრისით; რაც შეეხება
 სინტაქსურ თვალსაზრისს, ის უფრო საინტერესო ჩვენებას იძლევა:
 მიცემითი ბრუნვა ძველს ქართულში მუდამ დამატებაა; ოფორტულ-
 თი, იგი სამსავე პირში არის წარმოდგენილი ობიექტური პრეფიქ-
 სებით: მ-თხოვ-ს; გ-თხოვ-ს; ხ-თხოვ-ს; მ-თხოვ-ა, გ-თხოვ-ა; ხ-თხო-
 ვ-ა... ეს ე-წ. პირველი მიცემითი (აკად. ნ. მარის ტერმინი რომ
 კიბემართო); მაგრამ მეორე მიცემითს (ე. ი. მოიხრობითს) არაფერი
 ამის მსგავსი არ ახასიათებს: მან კლა, წერ-ა... აქ ობიექტური პრე-
 ფიქსები არსადა ჩანს, სუბიექტური პრეფიქ-სუფიქტ. კი უველგან: ვ-კალ,
 ხ-კალ-ა...

ამიტომ არ შეგვიძლია სხვანაირი დასკვნა გავაკეთოთ თუ არ
 ასეთი: მოთხოვ ბითი ბრუნვის მეორე მიცემითად მიჩ-
 ნევა მისაღები არ არის.

ამას უნდა დაემატოს შემდეგი: ავტორი ერთ ადგილას მუნ-ის
 შესახებ ასეთ რამესაც ამბობს: „...палеонтология речи вскрывает
 в местоименной основе имя сущ. **тиг* 'голова', ср. бск. *bur*-и
 'голова', как твъ-и от твъ 'голова' (§ 117), и, естественно, теперь
 приходится возвращаться и формально к анализу **მუნ** с суффиксом -ნ
 <ნა, отброшенному было как обяснение „по первому впечат-
 лению“ (§ 133, а, 3а) (იხ. წინასიტყვაობის მაგიერ, V. ხაზი ჩვე-
 ნია ა. ჩ.).

ცოტა ზევით კი ავტორი ამბობს: **მუნ** მიცემით ბრუნვად მი-
 გვანდა (ლოგოტივის მნიშვნელობით); აგრეთვე სათანადო ადგილას
 ნათქვამია: „**მუნ** (<მ-ნ—იქ) მიცემითი ბრუნვაა შიშინა ჯგუფის
 ვოკალიზაციით“... (§ 133). რატომ—მიცემითი? იმიტომ, რომ ხმოვ-
 ნითი ელემენტი ორი მიცემითს ახასიათებს: ***მან** ისევე მიცემითი,
 ოფორტულ-**მან**.

ახალი ანალიზი სწორედ იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მი-
 ცემითობის მაჩვენებელი ო (<ა) განუკუთვნა ფუძეს, ფორმანტად არ
 მიიჩნია (მხოლოდ ნ (<ნა) არის გამოცხადებული სუფიქსად). მაშა-
 სადამე, მუნ არ არის მიცემითი ბრუნვა, და ამით უკვე წყდება მან-
 ის საკითხი: მუნ ხომ მანის კანონზომიერი სახეა შიშინა ჯგუფის
 მიხედვით: არ არის „**მუნ**“ მიცემითი, არ იქნება არც „**მან**“ მიცემი-
 თი და ეს კი ნიშნავს: მოთხოვ ბითი არ შეიძლება იქნეს გაგებული
 მეორე მიცემითად. ავტორმა თქვა ანი, ლოგიტა მოითხოვს ბანს:
 ჩვენს შემთხვევაში მეორე პირველისაგან ხომ შინაგანი აუცილებლო-
 ბით გამომდინარეობს.



მაგრამ, ვიდრე ბანი არ თქმულა, უნდა დავისკვნათ: გრამატიკაში წარმოდგენილი (ძველი?) შეხედულება: მოთხრობითი მეორე მიუმითია, მიუღებელია¹.

ოპრისტის პასიურობისა და მოთხრობითის მიცემითობის განხილვიდან სხვა დასკვნის გამოტანა შეუძლებელია, თუ არ ის, რომ ქართულის აგებულების ხარისხი სიძლიერეთა დაძლევის ამოცანა გრამატიკაში გადაუწყვეტელი რჩება.

3. ჯოგადი გათოდოლოგიური ამოცანებისათვის პრაგმატიკაში.

უპირველესად: ქვემდებარისა და დამატებისათვის. ქართული მეტყველება, ისევე, როგორც ყოველი სხვა ნორმალური, სინამდვილის აღნუსხვას ემსახურება. რეალ პროცესს (მოქმედებას) გააჩნია რეალისუბიექტი და რეალი ობიექტი. ქართულ ენას კი, ზედმიწევნით რომ ვთქვათ, არ გააჩნია ქვემდებარე და დამატება, როგორც მევეორად ერთურთისაგან დაცილებული ენობრივი მონაცემი. დამნაშავეა ქართული ზმნა,—დასაბაძი ყოველგვარი სირთულისა და სიძლიერისა... ვარობულს ენებში ქვემდებარე არის არა მარტო მმართველი სახელი (განსხვავებით დამატებისაგან:—მარტოლი სახელისაგან), იგი არის მმართველი სიტყვაც. ზმნის-შემასმენლის ფორმები მორჩილებით მისდევინ ქვემდებარე-სახელის მოთხოვნილებას, დამატების ბედი კი ზმნაზეა დამოკიდებული. გარდაუვალი ზღვარია ქვემდებარესა და დამატებას შორის იქ; ასეთი ზღვარი ქართულში არ არის; ამას იმ თავითვე უნდა მოველოდეთ იმ ენაში, სადაც ზმნაში რეალი სუბიექტიცაა წარმოდგენილი და რეალი ობიექტიც. მმართველისა და მართული სახელის (ე. ი. ქვემდებარისა და დამატების) დაცილება-დაპირდაპირება აქ ძნელია; ახალს ქართულში, ზოგიერთ კილოშიც, თითქმის შეუძლებელიცაა.—მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამიტომ უნ-

¹ ეპვი, რომ მუნ შეიძლება არ იყოს მიცემითი, ავტორს მეტყველების პალეონტოლოგიამ დაუბადა. პალეონტოლოგიას ჩვენ დღი ნდობით არ უკუნტრიცაა წარმოდგენილი და რეალი ობიექტიც. მმართველისა და მართული სახელის (ე. ი. ქვემდებარისა და დამატების) დაცილება-დაპირდაპირება აქ ძნელია; ახალს ქართულში, ზოგიერთ კილოშიც, თითქმის შეუძლებელიცაა.—მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამიტომ უნ-

და უარყოთ გრამატიკული ტერმინები; პირიქით, ეს სიძნელე შესატანული ლებს გავარკვიოთ მათი შინაარსი ჩვენი სინამდვილის მიხედვამ რეალურად უნდა იქნეს მოცემული ის შინაარსი, რომელიც ეძღვევა ქვემდებარესა თუ დამატებას ქართულში, იმდენად, რამდენადაც მათი მორფოლოგიურ-სინტაქსური ფუნქციები მათ დაპირდაპირება-ურთიერთგანსაზღვრას შესაძლებელს ხდის: ჩვენ არა გვაქვს ქვემდებარე-დამატება ევროპულ ენათა საგრამატიკა ნორმებით, ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ ამ ცნებათა შინაარსი ჩვენის ენობრივის ნორმების მიხედვით. ძელს-ქართულში გაცილებით უფრო ადვილია ეს, ვინემ ახალში.

წინააღმდეგ შემთხვევაში გრამატიკასთან ჩვენ მივალთ უცხო, — ლოგიკურის საზომით და გავიმორჩებთ ყველა იმ შეცომებს, რომელიც გაუჰქონდია ლოგიკისტურ გრამატიკას.

ვართალია, აյად. ნ. მარის სასარგებლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ სინტაქსი მის გრამატიკაში სრულიად არ მოიპოვება; თავისთავად ეს გრამატიკის ლირსება არ არის, მაგრამ პასუხისმგებლობისაგან განათვალისუფლებდა ავტორს, რომ... სინტაქსური ცნობები საქმაოდ არ იყოს შეტანილი მორფოლოგიაში. ეს ბუნებრივია, თუ მოვიგონებთ, რომ მორფოლოგია-სინტაქსს შორის გარდაუვალზღვარი არ არსებობს, მით უფრო ქართულში.

საინტერესოა, როგორ იქცევა ამ შემთხვევაში ავტორი. ივი ხმარობს ტერმინებს: ლოგიკური სუბიექტი, ლოგიკური ობიექტი, თან: ობიექტური, სუბიექტური — „ლოგიკურად სუბიექტურის“, „ლოგიკურად ობიექტურის“ გვერდით...

თუ რა მდგომარეობა იქმნება ამ ნიადაგზე, ჩანს შემდეგი ადგილებიდან:

„Суффикс логического об'екта — *-ი>-ე*, в 1-м и 2-м лицах мн. числа имеет вид инфиксса, так как показатель множественности *თ* ставится после него. Этот показатель об'екта ставится при логически суб'ективных префиксах: *მო-ვ-კალ-ი-თ* „мы убили его“ (§ 145, 1, გვ. 119).

ჩვენ ვიტუონით: ორისტური მესამე პირის ობიექტური სუფიქსია *ი* (რომ ეს *ი* მართლაც ობიექტური სუფიქსი იყოს: იგი ფონეტიკურად მიღებული მეორადი მოვლენაა — იხ. ქვ.); ხოლო ზმნას რომ სუბიექტური პრეფიქსებიც გააჩნია, ამის მტკიცება ორისტისათვის ცალკე — ზედმეტია.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი; ავილოთ მეორე მაგალითი:

„[Для образования множ. числа употребляется...]. . . —аб в настоящем суб'ективного строя при исходе глагольной основы



на -о и в наст. об'ективного строя при логическом ^{მნიშვნელობის} ^{გამოყენების} ან; უყუარ-ან... (§147, с. 2, გვ. 121).

სუბიექტური აგებულება, ობიექტური აგებულება... რანაირია ეს სუბიექტური, ობიექტური, ლოგიკურადაა სუბიექტური, ობიექტური თუ ვრამატიკულად? რა მიმართებაა მათ შორის?

(გრამატიკული ტერმინოლოგით:—ან არის სუბიექტური სუფიქსი მესამე პირისა მრავ. რ.). ანდა ასეთი ადგილი:

„Суффикс логического об'екта -ს (?) появляется при логическом суб'екте, выражаемом об'ективным префиксом: მი-ხილა-ს „я видел его“, მ-წამ-ს „я верю в него“ (§ 145, 2, გვ. 119—ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

Суффикс логического об'екта ალბათ ლაპსუსია (უნდა ყოფილიყოს ავტორის აზრების მიხედვითაც: суб'ектა შდრ. § 169); მაგრამ ამის შემდეგაც უნუგეშო სურაოთი რჩება: „ლოგიკური სუბიექტის -ს სუფიქსი ჩნდება ლოგიკურ სუბიექტთან, რომელსაც ობიექტური პრეფიქსი გამოხატავს“. მარტო ეს ადგილიც კმარა იმის ნათელსაყოფად, თუ რა უბედურებაა ლოგიკური საზომით ენობრივი სინამდვილის გაზომვა (გრამატიკის იმანენტური საზომით -ს ყველგან სუბიექტური სუფიქსია)¹.

ავტორიც ხმარობს, როგორც ჩანს, სუბიექტურს, ობიექტურს (გრამატიკული გაგებით), მაგრამ აგრეთვე ხმარობს ლოგიკურის გაგებითაც, რის გამოც ასეთ ადგილსაც ვპოულობთ:

„Местоименные аффиксы в глаголах по функции бывают а) суб'ективными, иногда по положению, логически суб'ективными, б) об'ективными и с) логически об'ективными (§ 113, გვ. 92, ხაზი ჩვენია — ა. ჩ.). ლოგიკური და არალოგიკური აქ ერთმანეთის მიჯრით არის მიწყობილი და გამოდის დაახლოებით ასეთი თქმა: „ევროპელები არიან რუსები, ფრანგები, მეახალშენენი, გერმანელები, ვაჭრები...“.

სუბიექტ-ობიექტის სხვადასხვა მნიშვნელობით ხმარების (სათანადო შედეგებითურთ) აპოთეოზია შემდეგი ფრაზა: „Выразителем логического об'екта всегда служит суб'ективный суффикс ს—ს“ (§ 113 გვ. 92, ხაზი ჩვენია — ა. ჩ.).

თქმა არ უნდა: სანამ გაირკვეოდეს რა არის ქვემდებარე, რა არის დამატება, და, ამისდა მიხედვით, რომელი ფორმანტია ქვემდება-

¹ რასაკვირველია „სუბიექტური“ გულისხმობს, რომ სუბიექტი უკვე გარკვეულია; ესე იგი ვიცით, რაა ქვემდებარე და რაა დამატება (ობიექტი)... ამის გარეშე გრამატიკის იმანენტურ საზომშე ლაპარაკი შეუძლებელია.

რისეული (სუბიექტური), რომელია დამატებისეული (ობიექტური), აუცილებელია გარეშე საზომის მოშველება; და ეს საზომი უნდა იყოს სინამდვილე (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით); შესატყვისად უნდა ვიხმაროთ: რეალი სუბიექტი, რეალი ობიექტი; ლოგიკური სუბიექტი, ლოგიკური ობიექტი უხერხულია თუნდაც იმიტომ, რომ „ობიექტი“, როგორც ცნება ლოგიკისა, — არ არსებობს (მსჯელობაში მხოლოდ სუბიექტია და პრედიკატი!)¹.

ამ უცხო ცნებების წამოშველება აუცილებელია პრელიმინარიად სათანადო გრამატიკულ ცნებათა გამომუშავებამდე, მაგრამ სრულიად დაუშვებელია თვით მოვლენათა კვალიფიკაციისას.

ლოგიკიზმის ნიშნები მკაფიოდ ჩანან „ძვ.-ქართულის გრამატიკაში“; ეს ზოგადი მეთოდოლოგიური მსხვილი ნაკლია.

ზოგად მეთოდოლოგიურ ნაკლად უნდა ჩაითვალოს შემდეგიც:

§ 112, გვ. 91 ვკითხულობთ: „Р[იდ.] падежом местоименного префикса служитгласный უ-, слияние по сванской норме группы ვი || ვი, Р. падежа от корня ვ=ვი... „Сам звук უ по сванской норме представляет слияние ვი=ვი (< *ვი-), т. е. действительно требуемый Р. падеж от местоименного корня ვ || ვ (< *ვ- ხაზი ჩვენია — а. ჩ.). ნაცვალსახელების ბრუნება, როგორც ცნობილია, ყოვლად უჩვეულო ფორმებში მიმდინარეობს და საერთო შაბლონს არ ექვემდებარება; ცხადია, რატომ: საერთო შაბლონი მაშინ, როცა მათ ფორმები გაიჩინეს, ჯერ კიდევ არ არსებობდა; ავტორი კი ვ-ძირის ნათესაობით ბრუნვის იძლევა კანონზომიერი სახით და ვიწყდება, რომ არა თუ პიპოთეტური ვ ძირი, არამედ პირველისა და მეორე პირის ნაცვალსახელებიც კი (ზე, შენ) ვერ აწარმოებენ შაბლონით ნათესაობით ბრუნვას.

იბრუნვის კი საერთოდ ძირი, შიშველი ერთ თუ ორგვერიანი ელემენტი!²

ასეთივე მეთოდოლოგიური ნონსენსია მოცემული შემდეგ სიტუაციებში: „Основа ვი представляет форму страдательного причастия на ი от корня ვ<ვი, имеющего свое самостоятельное спряжение“ (§ 211, გვ. 175).

¹ შერილში „კენაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით“ (საენაომ. საზოგ. შელიშვილი ტ. I-II) გვეკონდა შემთხვევა ჩვენც გვეხმარა „ლოდიგური სუბიექტი“, „ლოდიგური ობიექტი“ (გვ. 38), მაგრამ სრულიად გარე კვეჭლი შინაარსით, ამ შინაარსის გადმოსაცემად გაცილებით უჰეთესი იქნებოდა რეალი ობიექტი, რეალი სუბიექტი.

როგორც თვით ავტორი გვიჩვენებს (§ 215), ეს ძირულურულური ში: გიეს [თუ: ჰეის?], გია... ეგების, ეგებოდა, ეგებოდეს — ეგების... მიმღეობა ენებითი:: გებული. მიმღეობის ვნებითის ძირი მხოლოდ გ'-ა, ფუძე: გებ. მაშ საიდან ვიცით, რომ გი არის ვნებითის მიმღეობის ფორმა ი'თი: აპრიორი მოსაზრებიდან: ი ვნებითობის დამახასიათებელი! ვთქვათ ი მართლაც ვნებითი მიმღეობის ფორმას აწარმოებს: წერ-ი-ლ-ი. როგორ შეიძლება ამ ი'ს გათანაბრება გი'ს ი'სთან: გაშინ ხომ უნდა დავუშვათ: გ-ძირი აწარმოებს ვნებითის მიმღეობას ი'თი...

შეიძლება კი ასეთი რამ დავუშვათ?

ორიოდე სიტყვა პალეონტოლოგიის შესახებ. წიგნში შეხვდებით ასეთ ადგილს, მაგალითად: „По сравнит. грам. выходит следующее: звезды: звёзды || звёзды (звёзды-звезды) звезда (< „светило ночи“), но палеонтология вскрывает иную действительность“ (გვ. 139, შემ. 2); უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვებს ეს დაპირდაპირება; კუმარიტება ერთია: „გარსკელავი“ თავდაპირველად რალაც ერთს წარმოდგენას აღნიშნავდა. ამ წარმოდგენას ეძებს შედარებითი გრამატიკა, ლებულობს გარკვეულს შედეგს; „მაგრამ“ პალეონტოლოგია სულ სხვა რასმე ააშკარავებს...

რასაკვირველია, შეუძლებელი სრულებით არ არის შედარებითი გრამატიკის ძიება მცთარი აღმოჩნდეს; უფრო მართებული გაგება სხვანაირი გზით მივიღოთ. მაშინ უცნაური ამონაწერშიაც არა ბა სხვანაირი გზით მივიღოთ. მაშინ უცნაური ამონაწერშიაც არა ფერი იქნებოდა... არის კი; და უცნაური არის საერთოდ დაპირდაპირება—შედარებითი გრამატიკისათვის პალეონტოლოგიის. ეს როდია შემთხვევითი: წიგნში წითელი ზოლივით გადის აზრი პალეონტოლოგიის განსაკუთრებულობის შესახებ; ავილოთ, მაგალ. ასეთი რამ: „წველა დისტъ, ნо палеонтология слова иная: она восходит к молоку и к молочным продуктам“ (გვ. 150, შემ. 3).

პალეონტოლოგია ცხადდება საენათმეცნიერო აზროვნების უმაღლეს სააპელაციო ინსტანციად; აი მაგალითიც: „В семантическом отношении интерес за пределами лингвистики представляет связь нашего корня გვლ || გვრ (საქმე ეხება „გუალე“—ა. ჩ.) с тождественным корнем слова г. გვლო-ი змея || м. გვერ-ი id. Между прочим при принятии этой связи становится мифологически конкретно понятным, почему в Бытии 3, 14 проклятие змеи выражается низведением ея с хождения, природно присущего ей, допустим и по названию, на ползание; в яфетическом первоисточнике легенда в таком случае должна была быть (ხაზი ჩვენია) изложена в ча-

сти проклятия не словами „отныне ты будешь ходить на чреве“, как это находим во всех версиях Библии (въбо бъзбоъ злѣхътъ), фразой: „ты будешь ползти на чреве“ в противоположность прежнему нормальному для нее, судя по названию, в бытовом народном представлении состоянию, когда она, предполагалось, „ходила“, „ступала“, „ходила ногами“ (§ 230, 33. 194—195).

საერთოდ: ძირითად მეორდოლოგიურ საკითხებში „ძველი-ქართული გრამატიკა“ ორივე ფენით მოიკლება.

4. ჭრის გერთი უადიშვენები კირქვი ხასიათისა.

ბრუნვადი სიტყვები. აეტორს ძირითად ბრუნვად სამი მიაჩნია: სახელობითი, ნათესაობითი და მიცემითი (§ 27); ამ სქემის შეუფერებლობა ოუნდაც იქიდან ჩანს, რომ პირველ ძირითად ბრუნვად სახელობითია მიჩნეული, მოთხრობითი კი მიცემითანაა დაკავშირებული, გაშინ, როდესაც სახელობითიც, მოთხრობითიც გენეტურად ერთს ჯავაში შედის; ეს არის წრფელობითი, რომლის დიფერენციაციითაც მიღებულია დროული თანამიმდევრობის მიხედვით ჯერ-მოთხრობითი, მერე სახელობითი.

ძირითადი ბრუნვების დაბოლოებებად მიჩნეულია: *უნ || *უს; ინ || ის; ან || ას. არავითარი *უნ || *უს ქართულმა არ იცის. ეს სემიტური სისტემით ნაკარნახევი სქოლასტიკაა და ამას ვერ უშველის

¹ სხვათა შორის აეტოორი ყურადღებას აქცევს გამოთქმებს: „თუალ გასწენდა არა ხედავთ და ყურ გასჩენ და არა გესმის“ და „შენიშვნავს: „განსაკუთრებულ პალეონტოლოგიურ ინტერესს წარმოადგენს ის, რომ „თუალ“ და „ყურ“ არა მხოლოდ ამ ფრაზაში აღმული, როგორც მრავლ რიცხვის ფორმები, თათქოს გვერდეს, „თუალინი“, „ყურნი“ (§ 244 b, გვ. 208—209); ვიტქომბოთ, რომ ამას პალეონტოლოგის გარეშეც უშველება: აქ ა ჭრის მიხედვით უნდა ხდებოდეს შეთანხმება, როგორც მაგალითად, შემთხვევებში: „წარმართთა ერთ მიეგებუან ღმერთსა“ (ძვ. სას. პოეზია, გვ. 290); „კაცსა ვისმე ესწენს ორ ძე“ (ადგიშის სატ. ტაბ. 45 b₂)... ასეთი რამ ძველს ქართულში არ არის იშვიათი.



იმის თქმა: სახელობითის ი დაბოლოებაში თავს უყრის ორჟარეტული თი ნაცვალსახელური წარმოშობის (<*პი), მეორეცი უს ჰუმინისტური ლიო (§ 20, 23, 28); სახელობითში მართლაც არის ი ნაცვალსახელით წარმოშობისა, მაგრამ არავითარი საფუძველი არ არსებობს ვიგულოთ კიდევ მეორე ი (<უ); ერთად-ერთი მოსაზრებაა — ანალოგია არაბულთან, მაგრამ ეს მოსაზრება საბუთად ვერ ჩაითვლება.

არას ამბობს აგრეთვე დებულება: ძეველი-ქართულის ბრუნებაში თავი მოიყარა ორმა კანკლედობამ: ერთია მწიგნობრული (ნ თანხმოვნით დახასიათებული), მეორეა — ხალხური (ს თანხმოვნით დახასიათებული). თქმას „მწიგნობრული“ მაშინ ექნებოდა გამართლება, თუ ჩვენ გვეცოდინებოდა, რომ ძეველი-ქართულის სამწერლობმ ენის შექმნისას მასში შევიდა ხელოვნურს მეტყველებაში უხმარი ფორმები რომელიმე სამწერლობმ ენისა. წინააღმდეგ შემთხვევაში „ხალხურისა“ და „მწიგნობრულის“ დაპირდაპირებას აზრი ეკარგება: ვთქვათ ნ ერთი ეთნოური ფენისაგან მომდინარეობს ძეველს ქართულში, ს მეორისაგან; ორივე ფორმა თანაბრად ხალხური იქნებოდა, რამდენადაც ორივე რეალური, ხმარებული იყო.

სადათ თითქოს მოქმედებითის თ<ც<ხ (§ 32); არის მოსაზრებები¹ იმის სასარგებლოდ, რომ ეს თ მიღებულიყოს დს დაყრულებით ისევე, როგორც ამას აქვს ადგილი მიმართულებითს ბრუნვაში: კაცად > კაცათ... (ახალი-ქართულისა); ეს დ (|| 6) სრულებით არ უარყოფს მოქმედებითის კავშირს ნათესაობითთან, რის სასარგებლოდ ბევრი რამ ლაპარაკობს და რაიც ავტორსაც სავსებით შართებულად აქვს აღნიშნული.

მიუღებელია თითქოს მიერზი ფორმანტი იყოს -ერ, მი- კი ნათესაობითი ბრუნვა განსაზღვრებითი მ-ნაწევარისა შეკვეცილი სახით (§ 24); აქ ფორმანტი -იერ არის; შდრ. თვნ-იერ (§ 49, a), მასთან დაკავშირებით უნდა შოიხსნას ყველაფერი, რაც ზის ნათესაობითად მიჩნევიდან გამომდინარეობს.

მიუღებელია ავტორის მოსაზრება, თითქოს ეთ || ათ დაბოლოება მდედრობითი სქესის მაჩვენებელთა ნაშთს წარმოადგენს (§ 52, გვ. 36): ქართველურ ენებში სქესის კატეგორიის არსებობა ჯერ-ჯერობით დადასტურებული არ არის, ხოლო ყველა ის ელემენტები, რომელთაც სქესის კატეგორიის იღნიშენას ავალებდენ (იხ. აკად. ნ. მარის კანური ენის გრამატიკა, გვ. 8, § 55, ი. ყიფ შიძის მეგრული ენის გრამატიკა, გვ. 015--016, § 9), სხვანაირ განმარტებას მოითხოვენ.

¹ ამ მოსაზრებების მოყვანა აქ ტექნიკურად შეუძლებელია, არსებითადაც ზედმეტი.

§ 74 (გვ. 60): ხუცეს სიტყვის შესახებ ნათქვამია: ხუც- ფუ-
ძე არის შემოკლებული ხუცა;- ეს უკანასკნელი კი არის ნასწილზე შემოკლებული სვანურიდან (заимствована из сванского): იგივეა რაც სვანური
შედარებითი ხარისხი ხო-შა (=უფროსი, დიდი), ოღონდ: შ გადა-
გვარდა ხ(>ც) დ', ქართულის სისინა ბუნების მიხედვით, და ო'ჲაც
პრეფიქსში დიალექტურად გადაინაცვლა უ'სკენ (с диалектическим
передвижением τ в υ в префиксе ხუ-).

აქ ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზეა: სვანური ჩ თავკიდუ-
რადაა (როგორც ხოშა'ში): ზ, ვინ დაამტკიცებს, რომ არ შეიძლე-
ბოდა გადაგვარებულიყო ს'დ და შემდეგ ქცეულიყო ც'დ; ო'დან
უ'ნამდე, ხომ ერთი ნაბიჯი ლაა! ერთი სიტყვით, წამოყენებული დე-
ულების წინააღმდეგ ბრძოლა უწინ განწირულ საქმედ ჩაითვლე-
ბოდა; დებულება კი მკიდრად.

ახლა, რასაკვირველია, შემოვლითი მსჯელობისა და ანალიზის
გარეშეც ვიცით, რომ „ხუცეს“ ფუძე სვანურიდან ნახესხები არ
არის; ის ორდინარი ხანმეტი ფორმაა, უძველესი სახე ქართული სამ-
წერლობო ენისა. კიდევ მეტი: შეუძლებელია არა მარტო ფორმის
(ხუ-), არამედ ძირეული ც'ს მიხედვით იმის თქმა, რომ ის იყოს სვა-
ნური, იყოს არა ქართული (ანდა აკად. ნ. მარტს ტერმინი რომ
ვიხსროთ: იყოს არა სისინა შტონისა), არა მარტო იმიტომ, რომ ეს
ც მეგრულში (შიშინა შტონში) ჩ'ს გვაძლევს (უ-ჩ-ა-შ-ი), არამედ
იმიტომაც, რომ სვანური ზ ამ ც || ჩ'ს კანონზომიერი შესატყვისია¹.

ხუცეს'ის ანალიზის ბეჭი დამატიქტებელია; იაფეტიდოლოგი-
ურს აზროვნებაში ასე დასაბუთებულიც ბევრი ეტიმოლოგია არ არის.
და თუ მათ ხუცეს'ის ბეჭი არ ეწვევათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ბეჭი
სწყალობს: ისინი ისეთ შორეულ სინამდვილეში ბინადრობენ, სადაც
მამხილებელი ფაქტები ვერა სწვდება.

ამასთან დაეკვირებით: უნდა შესწორდეს § 87, სადაც ზედ-
სართავთა მწარმოებელ პრეფიქსალ უ' მიჩნეული და არა ხუ, რო-
გორც ამას ადგილი აქვს უძველი-სამწერლობო ქართულის „უძველეს
ფორმებში (ხანმეტ ტექსტებში)...

¹ ვემყარები ვარ. თ ოფურიას ერთ მოხსენებას, სადაც ამ შესატყვისო-
ბის (ც:ჩ:შ) დამატებული საბუთები საქმაოდ იყო მოყვანილი: ხუცესი—უჩაში-
—ხოშა: რეცვა—რჩაფა—ლი ირ ში და მაგგვარები. რასაკვირველის საესებით შე-
საძლებელია: ქართ. ც'ს და ეს ს' იყოს ეჭვივალენტი სვანურში დაცულ შინ
უამად არ არის საინტერესო).



ნაცვალსახელთა განხილვას აქ გვერდს ვუვლით¹; მხრიდან შრესა და წერილმან საკითხს შევეხებით: მ-ცა ნაწილაკის მს შესახებ ჩანს მარტივი ს-ი-მ-ც-ა...) ავტორი ამბობს: „არ არის გამორიცხული შესაძლებლობა მ ამ შემთხვევაში იყოს ნაშთი განუსაზღვრელი ნაწილაკის -მენ (|| მელ > მე > მ), რომელიც აძლიერებს მნიშვნელობას ძე.-სომხური სამწერ. ენის ჩან-ის მსგავსად“-ო (§ 81). სვანურში ამ მს მაგივრობას ეწევა შ (ჰ: უმარცვლო უ: სიუ ნარ ლეგუანე: შენამც გვყავ (გაგვიხდი) სატირალი.—წყევლია). ეს შ და ქართულის მ ფონეტიკურადაც ერთი და იგივე ოდენობა უნდა იყოს.—გაუგებარია, რად ჰელნია ავტორს, რომ ათას-ი-მ-ცა და მსგავსი შემთხვევები არის „ნაშთი განსაზღვრული სიტყვის კანკლედობისა მასთან შერთულ მ ნაწევრით“ (§ 81). იგივე მ ხომ ზმებთანაც იხმარება (მოკლამცა, ვარმცა...), უფორმო სიტყვებთან: ნუმცა, რავთამცა... და სხვ. ნუ თუ ყველგან კანკლედობა და მ კი ნაწევარი... უფრო ბუნებრივი იქნებოდა მასში უბრალო ნაწილაკი გვენახა.

უ ღ ლ ი ლ ე ბ ა დ ი ს ი ტ უ ვ ა: ზ მ ნ ა.

ზმის მნიშვნელოვანი თავისებურებაა—ქცევა. ავტორი არჩევს ოთხ ქცევას მოქმედებით გვარში და სამს ენებითში (§ 172, გვ. 136)². ქცევების სისტემა შედარებით მარტივია; მისი განხილვა სხვა დროსთვის გადაგვიდვია; აქ ერთს გარემოებას ვაქცევთ ყურადღებას: ავტორს არსად ერთი სიტყვაც არა აქვს ნათქვამი იმის შესახებ, რა არის ქცევა? თითქოს ეს მეორეხარისხოვანი საკითხი იყოს, მაშინ როდესაც ამაზეა დამოკიდებული რამდენ ქცევას მივიღებთ. მაგალითად, ავტორი ამბობს: ვ-წერ; ვ-წუხ პირველი ქცევაა; რა აქვს საერთო მათ? ის, რომ მათ „არავითარი განსაკუთრებული ნიშანი ქცევისა არა აქვსთ“, გვეტყვის ავტორი (§ 172); მაგრამ ეს ხომ გარეგნული ნიშანის მიხედვით ნაწარმოები განდასებაა: მაგალითად: ა-კლავს; ა-ცხადებს... იქნება თუ არა ისინი ერთი და იმავე ქცევისა? გარეგნულად ორსავე ა ნიშანი ახასიათებს, მაგრამ ეს ა მორფოლოგიურად სულ სხვადასხვა ფუნქციების მატარებელია: პირველი ვნებითში ეს

¹ სხვა საკითხთან დაკავშირებით საშუალება გვექნება ისინი დაწვრილებით ფანგიზილოთ სხვაგან.

² თუმცა ოთხ გვერდს იქით ავტორი გვესაუბრება მე ბ უ თ ე ქცევის შესახებ, რომელიც „ძირითად ტაბულებში“ არ არის „შეტანილი“ (გვ. 140); თითქოს აქ კი არ იყოს გამოტოვებული. არა ნაკლებ უწაურ გულმავიშეობას იჩენს ავტორი მეორე აღგილას. სადაც ვკითხულობთ: „в каждом залоге четыре поро-дьи“ (გვ. 164).

გვაძლევს (ა-ქლავს: ე-ქლვის), მეორე კი იყარგება (აცხადებს: ცხად-დება) ¹... ეს მეორე (ა-ცხადებს) კაუზატიურობის ნიშანია, პირველი ქცევითობის. ავტორის თვალსაზრისით როგორ გავარჩიოთ იგი? ან: უნდა კი გავარჩიოთ?

ავტორი იღებს ოთხ კილოს: თხრობითს, თანულვლებითს, ნატვრითსა და ბრძანებითს (§ 153). არა გვგონია ქველს-ქართულში საჭირო და შესაძლებელი იყოს თანულვლებითისა და ნატვრითის განსხვავება: ერთსაც და მეორესაც შეუძლია „თავისებური ბრძანებითი“-ს შინაარსი იქნიოს, აგრეთვე მყოფადის მაგივრობა გასწიოს. ავტორი თითონ ამბობს: „ნატვრითი და თანულვლებითი მკვეთრად არ განიჩინება თხრობითი კილოსაგან“-ი (გვ. 142), მით უფრო ითქმის ეს ნატვრითისა და თანულვლებითის შესახებ; მნიშვნელობის გარდა დაბოლოებაც მათ ერთნაირი აქვთ ². ამიტომ უფრო მიზანშეწონილი იქნება კიბმართ თანულვლებითი პირველი, მეორე, მესამე (თითო თითო ჯუფში).

არის რვა დრო: აწყო, ნამყო უსრული, ნატვრითი, აორისტი, თანულვლებითი, ნამყო სრული, ნამყო წინარეწარსული და ნამყო თანულვლებითი... არსადა ჩანს ჰერმანისივი (ანუ ჰაბიტუალისი): მან კლის... დიალექტური აორისტის სახელწოდებით არის იგი მონათლული „ძირითად ტაბულებში“ და მოხსენებულია „სინტაქსურად აღმოცენებულ ტორმათა შორის“ (იბ. გვ. 11); ყოველ შემთხვევაში ულვლილების სისტემაში ადგილს მოქლებულია.

ეს ფორმალურად უმართებულოა: ქველს-ქართულში ჩვეულებრივია ფორმები როგორიცაა, მან კლის, დაწერის, დაფარის... მაშასადამე, არავითარი უფლება არა გვაქვს ფორმათა აღწერა-დალა-გებისას სათანადო ადგილას (აორისტის ჯუფში) ეს არ შევიტანოთ. გვის განმარტება, სამწუხაროდ იმდენად ფართო, რომ ქცევა, როგორც ასეთი, სრულიად აჩქმალება, ითქვევება რა სხვა კატეგორიებში.

¹ ვნებითების წარმოება, როგორც ზმანათა საკლასიფიკაციო ნიშანი, მშენივრად აქვს გამოყენებული პროფ. ა. შანი ძე ს (იბ. ქართული ზმნის საქცევი): ტულუნივერსიტეტის მოამბე, ტ. VI, გვ. 312—338); იმავე წერილში მოცემულია ქცევის განმარტება, სამწუხაროდ იმდენად ფართო, რომ ქცევა, როგორც ასეთი, სრულიად აჩქმალება, ითქვევება რა სხვა კატეგორიებში.

² თანულვლებით მეორეში ამ უამად, მართალია, დაბოლოებანი აპრელუბულია (ეს, ას, ას), მაგრამ მოსაზრებათა რიგი გვაიქრებინებს, რომ პირველადი და მირითადი იყო უსა— დანარჩენები მეორადია. პირვენდელი სახე თანულვლებით მეორის დაბოლოებისა შენაბულა უცვლელად თანულვლებით პირველში, ისე-ვე როგორც აორისტისა და პერმანისის დაბოლოებანი ნამყო უსრულის დაბოლოებაში (ე. წ. ერთგზითში და პერმანისულში).



არსებითად ამ ფორმის უგულებელყოფა მით უკეთეს უმცირესი უკეთესი უნარებელია, რომ იგი თავისებურ, მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ულვლილების სისტემაში: მას შეუძლია აწმყოს გვერდით მოგვევლით პირველი ჯგუფის დროთა წარმოებისას დახაურდენად; თავდაპირველადი მისი შინაარსი არ უნდა ყოფილყო დაშორებული აწმყოისას; დროთა სათანადო ფორმების შაბლონი როცა შემუშავდა, ის აორისტის ამაღაში აღმოჩნდა (ფუძის აგებულების წყალობით). პირვენდელი მდგომარეობის კვალი მაინც დარჩა: ეს არის ზოგიერთ ზმნათა ულვლილება:

1. ვიდის (აწმყო=პერმანს.)—ვიდოდა/ის (ნამ. უსრ.)—ვიდოდეს (თანულვლებ. პირვ.) აწმყოის „ვალს“ სხვა რიგისაა: ვალს, ვლიდა, ვლიდეს; მო-ვლო, მო-ვლის, მოვლოს... (ტრანსიტივია).

2. მან იცის, უწყის (აწმყო=პერმანსივი): იცოდა, უწყოდა; იცოდეს—უწყოდეს.—შემდეგ ამათ აღარ უწარმოებიათ მეორე ჯგუფის ფორმები, ისევე როგორც ზმნებს: ყვრის, ტირის, ქრის (მათი მეორე ჯგუფი—ი-თავსართიანი, მედიალი აღარ არის!); სამაგიეროდ ტრანსიტივებმა: ესნის, გზავნის—თავდაპირველი პერმანსივი ფორმიდან აწარმოეს პირველი ჯგუფი, გაიჩინეს მეორეც და ამან გამოიწვია ფორმათა შეხვედრა: იგი გზავნის (აწმ.); მან გზავნის (პერმ.); მხოლოდ კონსტრუქციით არიან ესნი გარჩეული; იყვნენ კი ერთი და იყვევ ფორმა... ამ ტიპის ზმნათაგან ბევრმა შემდეგში ფუქუებიც განასხვავა: აწმყო-რედუქციანი (შლის, თხრის), აორისტი—ურედუქციო (შალის, თხარის <შალა, თხარა>), რაიც შემდეგი ხნის ამბავია; დამახასიათებელია, რომ რედუქციანი ფორმა (პირვენდელი პერმანსივი) შერჩა აწმყოს...

ავტორს ვესნის ი სვანურ მეშვეელ ზმნისეულად მიაჩნია (ჩ 188, A, c, გვ. 154). ამ ტიპის ზმნებს სვანურ ტიპს უწოდებს, მაშინ როდესაც პერმანსივის სათანადო გაგებას შეუძლია ეს ფორმებიც აგვიხსნას ქართულში და სვანურსაც გამოადგეს გ დ ა რ გ ლ ი ტიპის ზმნათა აგებულების ანალიზისათვის. ავტორის თეალსაზრისით სრულიად ოუხსნელად ჩრება, რატომ ხედება: ვ-ქმნი, ქმნი (თუ ჰქმნი?), ქმნის იგი, რომელიც აწმყოს სახით გვევლინება (იხ. გვ. 187) პერმანსივის ფორმებს: ვ-ქმნი, ჰქმნი, ქმნის მან... არას ამბობს „უწყის“, უიცის“ პერმანსიული წარსულის შესახებ, თუმცა „მან“ ქვემდებარის გადმოტანა აწმყოს ჯგუფში მაინც დამაინც მოითხოვდა განმარტებას (იხ. ჩ 238, გვ. 202-203); „მოვედ“-ს გვერდით მოჰყავს „მო-ვიდ-ი“ (ხალხური აორისტის სახელწოდებით), მაგრამ არ უკავშირებს მას: ვიდ-ოდ-ის (ნამყო უსრ.), თუმცა ამის გარეშე შეუძლებელია აიხს-

ნას, საიდან გაჩნდა პირველ ჯგუფში, ნამყო უსრულში: ვად-ფუძე . (აორისტულ-პერმანსიული) (იხ. გვ. 196, და შემდ.) ; მხოლოდ ერთგან შენიშვნას: „განსაკუთრებული ყურადღების ღირსია აორისტული ფუძიდან წარმოება პირველი ჯგუფის სემანტიკითაო“ (გვ. 198) და მოჰყვეს ფრაზა: მოვიდის ლომი და წარმოილის ვერძი ანუ ვაცი (მოვიდის=მოვიდოდა)... და ამით ქმაყოფილდება¹.

§ 145, 1: ავტორი ამბობს: ლოგიკური ობიექტის სუფიქსი ი> მრავლობითის პირველსა და მეორე პირში ინტიქსის სახეს იღებს, რადგან მის შემდეგ მრავლობითობის შეჩვენებელი თ დაის-მისთ: „მო-ვ-კალ-ი-თ“. ი ობიექტური სუფიქსია. შეცომაა; ჯერ ერთი, თუ ის ობიექტური სუფიქსია, რატომ არა ჩანს მესამე პირში: მო-კლ-ა. მეორეცაა და ეს ი მეორადია: პირვანდებულია უ'ინო ფორმები: მო-ვ-კალ-თ, ვ-ი-პარ-თ... ასე რომ, ჩვეულებრივად, ის არც არის მოსალოდნელი დამატებიან ზმნებში, მაგრამ პირიქით უთუოდ გვაქს ისეთ ზმნაში, როგორიცაა: მო-ვედ-ი-თ, მო-ხ-ვედ-ი-თ. ნუ თუ იგი აქ დამატებამ გააჩინა? მას ხომ დამატება არა იქვს. ეს ი აორისტში არ არის მორფოლოგიური მოვლენა, იგი ფონეტიკურად არის განვითარებული უწინარეს ყოვლისა ისეთ შემთხვევებში, სადაც თ სუფიქსის წინა თანხმოვანისაგან ხმოვნით გაყოფის აუცილებლობა გაჩნდა: მოვედით, დავსხედით... აქიდან ის გადატანილ იქნა მხოლობითში პირველსა და მეორე პირში: იყო მო-ვ-ვედ, დავჯედ; მივიღეთ: მოვედი, დავჯედი... ასევე ტრანსიტივებში, რომელთაც არ ჰქონდათ ეს ი.

რომ ეს ი ფონეტიკურად განვითარებულია და ამ მხრივ განსხვავდება მაგალ. პერმანსივის ი'საგან, ჩანს იქიდან, რომ იგი ვერ იწვევს რედუქციას, პერმანსივის ი კი იწვევს (შდრ. ჩუქ ვკალით (აორ.); ვკლით (პერმ.); თქუნ ჰკალით (აორ.); ჰკლით (პერმ)².

¹ აქვე უნდა შევწიმოთ: აწმუნდ არის გამოცხადებული ვლ-ი (პირწავარ-დნილი პერმანსივი); უნდა იყოს: ვალს; ნამყო უსრულში ავტორი სამ ფორმასა ასახელებს: ხალხ. ვლი-დ-ი-ს (-და); ახალ ქართ: მო-ვ-და-ო-დ-ი; მწიგნობრ.: ვიდ-ო-დო. შეცომაა... ძევლი ქართულის კანონიერი ფორმა: ვიდ-ო-დ-ი, ვლი-დ-ი კი მისი ბადალი ვერ ვახდება: იგი დამატებიანი ზმნაა. მისი აწმუნ: ვალ ს ისევე იქცა შედიალად, როგორც „ვაზავ“ (-ვრებითი) იქცა მედიალად (ახალს ქართულში ვარ’ის რიგში მოწყვევის გამო)...

² ასევე უნდა განსხვავებული იქნეს ნამყო უსრულის მრავლობითში ი ფონეტიკურად განვითარებული: ვაკეთებდ; ვაკეთებდ-ი-თ და ი (პერმანსივის დაბოლოება) ყველა პირებში რომ არის: ვაკეთებდ-ი: ვაკეთებდ-ი-თ. პირველი მხოლოდ მესამე პირში იღებს დაბოლოებას: ვაკეთებდ, აკეთებდ, აკეთებდ-ა (აორისტის დაბოლოებითა წარმოებული), მეორე ვკელა პირებში: ვაკეთებდ-ი, აკეთებდ-ი, აკეთებდ-ის (პერმანსივის დაბოლოებითა ნაწარმოები).



ეროვნული
ბიბლიოგრაფია

§ 145, 3-ში აეტორი ამბობს: „თუ ლოგიკური ობიექტი მრავლობითშია, ორივე „ლოგიკურად ობიექტური“ სუფიქსი შეიცვლება მრავლობითის მაჩვენებელ ნ'თი ანდა -ან,-ენ დაბოლოებებითა... და-ვ-წერე-ნ (მე—იგინი), და-ვ-წერე-ნ-ი-თ (ჩუნ—იგინი); მ-წამ-ან (მე—იგინი), ვ-თქუ-ენ-ი (მე—იგინი)“.

დამატებითის მრავლობითობა აღინიშნება ნ'თით: დაგწერე-ნ... საჭიროა შესწორება: ნ მართლაც არის, მაგრამ როგორც ფონეტიკურად გამარტივებული სახე ენისა. დამატების მრავლობითობას -ენ აღნიშნავს, მაგრამ თუ შემდეგ ხმოვნით დაწყებული სუფიქსი მოსდევს, -ენ ჰქარგავს ეს (ხმოვნის რედუქცია ხდება) და ვლებულობთ: ნ'ს: ვ-თქუ-ენ, მაგრამ: თქუ-ნ-ეს (< *თქუ-ენ-ეს); აორისტის მეორესა და პირველ პირში მრავლობითისა არ ხდება რედუქცია¹: ვთქუენით, სთქუენით, მაგრამ პერმანსივის ი ყველგან მოახდენს რედუქციას: ვ-თქუ-ნ-ი (< *ვ-თქუ-ენ-ი), სთქუნი, თქუნის; ვთქუნით, სთქუნით, თქუნიან.

აეტორი, გვვინია, ამის გაუთვალისწინებლობას შეჰყავს შეც-თომაში, როცა ჟფ ძირის სხვადასხვა დრო მოჰყავს: აორ. ხალხ: ვყავ, ჰყავ, ყო... აორ. ძეელი სამწ.: ვყვავ, ჰყევ (მესამე პირი არ არის); ვყვენით, ჰყევით (მესამე პ. მრავ. არ არის) და საილუსტრაციოდ ასეთი ფრაზა მოჰყავს: წრფელ ყვენით ალაგნი მისნი... აბხოლ. ყველ მიმართ. მრავლობითთან: ყვენით (გვ. 186 —ხაზი ჩვენია—ა. ჩ.)

ვყვავ, ჰყევ ძეელს ქართულში დადასტურებული არსად არის; „ყვენით“ ფორმის ასახსნელად ამ არარსებული ფორმის შეწუხება არ არის საჭირო: ყვენით < *ყავ-ენ-ი-თ. ამას გარდა, როცა ფორმა (ვყვავ) დადასტურებული არაა, არ იქნებოდა ზედმეტი სათანადო ნიშნით შეგვეტყო იგი.

იმავე ზმნისაგან აეტორს მოჰყავს ვ-ყვნი, ჰყვნი, ყვნის და მას ძეელ-სამწერლ. აწმყოს უწოდებს (გვ. 186); ნამდვილიდ კი ეს არის პერმანსივი მხოლოდ დამატებითურთ მრავლობითი რიცხვისა: გუნდ (< *ვ-ყავ-ენ-ი მე—იგინი)... ყუნის (< *ყავ-ენ-ი-ს)...

საერთოდ, ე. წ.- „ძეელ-სამწერლობო ფორმის“ მიმართ არა მცირედ უსამართლობას აქვს ადგილი; აი ერთი თვალსაჩინო მაგალითი:

აეტორი ამბობს: „ნამყო უსრულს აქვს ორი ფორმა: ძეელი—სამწერლობო და ხალხური. ორივე სახეობის მაჩვენებელი აწმყოს ფუძეს მიემატებიან:

¹ იხ. 319 გვ. აორისტის ი დაბოლოების შესახებ ნათევამი.

ა) ქვ. სამწერ. სახეობის მაჩვენებელი ნ გვევლინება მესამე პირში მხოლ. რიცხვისა; ასე, მაგ. იყითხავ-ნ (ის ჩიტალ) განვიტორება (ის ისახი), გუცემ (ის დავალ ნამ), გან-გუშესებნ (ის ისახი და მის მიზანისა).
ბ) ხალხური სახეობის მაჩვენებელი—დ. ისიც გვევლინება ხშირად ყოველგვარი განმოვნების გარეშე (ნამ ამასთან მხოლოდითი ყველა პირებში: ვ-კრებ-დ, გ-კრებ-დ, კრებ-დ (§ 192, გვ. 159).

მცირე კორექტივი ამ შეკვეცილი ფორმების შესახებ ნათქვამს: მესამე პირის შეკვეცილი სახეობა ა'ს დაირთავს: ვ-კრებ-დ მე, მაგრამ: კრებ-დ-ა იგი; ამას გარდა: ამ შეკვეცილ ფორმებს მრავლობითიც აქვს: ვკრებ-დ-(ი)თ, ჰკრებ-დ-(ი)თ, კრებ-დ-ეს, პირველისა და მეორე პირის ი ისევე უნდა განვასხვავოთ სრული ფორმის ი'საგან (ვ-კრებ-დ-ი, ჰ-კრებ-დ-ი, კრებ-დ-ი-ს... ვ-კრებ-დ-ი-თ, ჰ-კრებ-დ-ი-თ, კრებ-დ-ი-ან), როგორც აორისტის მრავლობითის პერმანენციის ი'საგან: ვ-ყავ(ი)თ, ჰყავ(ი)თ (აორ.)—ვყვ-ი-თ, ჰყვ-ი-თ (პერმ.).

მაგრამ არსებითი: იყითხავ-ნ არ არის ნამყო უსრული, არამედ ე. წ. აწმყო მრავალგზითი (მას მართლა შეიძლება ჰქონდეს „ჩიტალ“-ს მნიშვნელობა, მაგრამ ეს სინტაქსურ მომენტს შეეხება: პერმანენციულ ფორმას, საერთოდ, ასეთი შინაარსი არ ეუცხოვება); ნ აქ ს'ს მაგიერია, ისევე როგორც მრავლობითში ედ (იყითხვ-ედ) ენ'ს მაგივრობას ეწევა. ეს ნ უნდა ყოფილიყო ერთ-ერთის ლიტერატურულად უძველესი ფენის კუთხით და, რომელიც ძველი-ქართულის როულ სახეშია წარმოდგენილი².

რომ ეს ნამყო უსრულში გადასახლებას ვერ ეგუება, თუნდაც იქიდანაც ცხადია, რომ ავტორმა მას მოუქმნა ერთად-ერთი ადგილი: მესამე პირი მხოლ. რიცხვის. რატომ არ არის კორელატი მრავლობითის მესამე პირში? ამას გარდა: -ავ(-ამ'ც) სუფიქსი ნამყო უსრულში ან ევ ან ვა'ს სახეს იღებს (თითქმის ყოველთვის); აქ კი გვაექს ავ: იყითხავნ; და არა მარტო აქ, მოელს ძველს-ქართულში არ მოიძებნება მაგალითი, რომ -ნ ემატებოდეს აწმყოს თემას და ამ თემას ავ, ამ შეცვლილი ჰქონდეს: ფარავ-ნ, ფლავ-ნ, დგამ-ნ... და სხვ.

ასე რომ: ნამყო უსრულის. ფორმანტად ნ'ს წამოუქნება და მისი მიჩნევა „ძველ-სამწერლობო სახეობად“ შეცომია.

¹ ავტორს აღნიშნული აქვს ამ ფორმათა ხმარების ადგილები ტექსტებში, ჩვენს ამონაშერში კი გამოიტოვებულია.

² შეად. მეცნიერების აწმყოს სულიქსი მესამე პირისა -ნ—გარდაუგალ ზმნებში



§ 177, გვ. 145-ში ვეითხულობთ: „ა ხმოვანი, როგორც ჩართულება ტის დამახასიათებელი, მისი შინაგანი გახმოვნების (იგლა და ტექსტი, მაგრამ ასე არ არის) ბა პირველსა და მეორე პირშიც: მაგ. ვ-კალ, ვ-კალ... ეს გასავები ხდება, თუ მოვიგონებთ, რომ ავტორს აორისტის მესამე პირი მიაჩინა „ყველაზე მარტივ წარმონაქმად, სხვებზე ადრე გამოყოფილად და თით-ქმის გამოსავალ, ძირითადად“ (იქვე).

რასაკირველია: თუ კლ-ა არის პირველადი, ვკალ-ში ა გაჩე-ნილი იქნება. მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს ასე არ არის. კალ-არის ამ ზმნის ფუძე აორისტიაც, აწყოშიაც, და თუ ვ-კლავ... ან-და კლ-ა გვაქვს, ეს რედუქციის წყალობით მიღებული ფორმებია: *ვ-კალ-ავ>ვ-კლ-ავ; ვ-კალ; *კალ-ა>კლ-ა (შდრ. ვდევ: დგ-ა<*დეგ-ა); ერთი სიტყვით, ა კი არ გაჩნდა აორისტის მეორე პირში, არამედ დაიკარგა მესამე პირში. ფუძე საუკეთესოდ დაცულია მესამე პირში კი არა, არამედ მეორესა და პირველში.

სხვა წერილმანზე არ შევჩერდებით¹; აღვნიშნავთ ზმნის შესწავ-ლის დადგებით მიღწევებს.

დიდმნიშვნელოვანი პრინციპული დებულებაა, რომ ზმნებს. ორი აგვებულება აქვთ: სუბიექტური და ობიექტური (§ 164); მარ-თალია, „სუბიექტური“ ფორმა ევროპული გავებით ზმნას ქართულში არ გააჩინა, მაგრამ იმის აღნიშვნა, რომ ზმნას შეიძლება ჰქონდეს სუბიექტური ფორმაც და ობიექტურიც, არსებითი მნიშვნელობისაა და მთლიანად მისაღები.

დროთა სისტემა, საერთოდ, აგებული გენეტური მეთოდით, მთლიანად მისაღებია და აგრეთვე მნიშვნელოვანი (პერმანისივის ჩართვის აუცილებლობაზე იხ. ზემ.).²

მართებულია დებულება სახეების შესახებ (§ 201).

საყურადღებოა და მისაღები თანალვლებითი მეორის ოს გენე-ზისი (<ევა, § 194), თუმცა არ შეიძლება ამ ფორმის ძირითად ნიშანდობლივ ხმოვნად ას მიჩნევა (ე უნდა ყოფილიყო პირველადი!).

ორი ფონეტიკური დებულება საჭიროებს შენიშვნას.

¹ ასე მაგალ. ჩ 244 (გვ. 208) ნაჩვენებია მრავ. რ. მესამე პირისა: „ზის“ ზმნისავან: ზი-ან: ძეველს ქართულში ასეთი რამ არ არის; ჩ 247: ნამყო უსრული კმ-და, თანალვლებითი პირე. კმ-დე-ს,—არ არსებობს; ჩ 243: ვ-ე-სავ-დი საჭიროა პარალელური: ვესევდი || ვესვიდი... და სხვ.

² არას ვამბობთ ტერმინების შესახებ; მათი თუმცაც მთლად შეცდლა სის-ტერმას არ აენებს; კერძოდ „აორისტი“ უხერხულია (პრევერბიან ფორმებში, სრულ სახესთან!).

§ 63, b (გვ. 41) ივტორი ხსნის, რატომ შეიძლება მუწიდას მარცხნიანი დუკია კანკლედობის დროს ნათესაობითსა, მოქმედებითსა და მიმართულებითს ბრუნვებში მხოლოდითი რიცხვისა, აგრეთვე ეპიან მრავლობითის ყველა ბრუნვებში და შემდეგს აზრს გამოსოქვამს: ემფატური სახე ამ ბრუნვათა ორმარცვლოვანია (იხა, ითა, ადა; ები, ებისა...), ფუძის მახვილიანი მარცვალი მოჰყვება შეოთხე მარცვალზე; ამით ირლვევა წესი (ნორმალურად მახვილი მესამე მარცვალს არ უნდა გადასცდეს) და იმ მახვილის აღგილმდებარეობა რომ ნორმალი იყოს, აუკილებელი ხდება ხმოვნის დაკარგვა: შშობელი (მახვილი აზეა-მესამე მარცვალზე); შშობელისა: აქ ო მეოთხე მარცვალში მოყვა: ეს შეუძლებელია. სტატუტის დაცვა მოითხოვს დაიკარგოს ერთი მარცვალი და ო დარჩეს მახვილის მატარებლად მესამე მარცვალზე.

ეს ახსნა დამაქმაყოფილებელი არ არის; მისი თვიაღსაზრისით გაუგებარია, რად უნდა იკარგებოდეს ხმოვანი • ორმარცვლოვან სიტყვებში, როგორიცაა: ფერკი, ძალი, ღმერთი: და რად უნდა გვქონდეს: ფრკივ, ძლივ, ღმრთივ (იხ. გვ. 30), ხმოვნის ამოვარდნა ფონეტიკური მოვლენაა და მას აღგილი აქვს არა მარტო კანკლედობაში, არამედ ულვლილებაშიც (ვდეგ, მაგრამ: დგა<*დეგა>), მას შეუძლია თავი იჩინოს ყველგან, სადაც სუფიქსი ხმოვანია ან ხმოვნით იწყება¹. რა საფუძველი აქვს ამ ფაქტს, საძიებელია; ყოველ შემთხვევაში ავტორის მიერ წამოყენებული საფუძველი სათანადო მოვლენებს ვერ ხსნის.

კ' ს ფონეტიკური შინაარსის რკვევისას ავტორი, სხვათა შორის, ამბობს: „კ ასოში დაინახეს გამოხატულება ვისათვის, მაგრამ ეს ჩვეულებრივი გაუგებრობა (ხაზი ჩვენია—ა. ჩ.), აღმოცენებული ძველი ტექსტების აღმასა და განმარტებაზე იხალი ენის ნორმების მიხედვით, რომელიც მშობლიურია და ხელს უშლის დაკვირვების ობიექტობას“ (§ 9, გვ. 6).

ეს ტირადა არ დაიწერებოდა, ავტორს რომ ერთი რამ ჰქონდა გათვალისწინებული: თანამედროვე ქართულის ვ უმეტეს შემთხვევაში ძველი-ქართულის უმარცვლო უს გადმოგვცემს: იო თუნდაც ავტორის მაგალითებში: თაგვი, შოგვი (იქვე); ვიკიოთხოთ: შეიძლებოდა თუ არა ძველს ქართულში ისეთი ვ(=უ უმარცვლო)+ი გვეგულისხმებინა კ' ში? შეიძლება თუ არა კ' შედგენილობაში ვივარაუ-

¹ ამ მოვლენის ზოგადი მიმოხილვა და სათანადო მექანიკის მთავარი საფუძველი წარმოდგენილია პროფ. ა. შანიძის წერილში: „წელიწადის ეტიმოლოგიისათვის“, (საენაომეც. საზოგ. წელიწადეული, ტ. I-II, გვ. I-III).



სამოცველები

დოთ უ+ი? რასაკეირველია, კი. და ამის ნიმუშებიც მოიპოვება: ჩატარებული მკუიდროს... (დავითი, უნივერს. სიძეველეთა, საცავის ხელნაწერი № 38, დათარილებული 974 წ. ფ. 26 რ); ეტუსის (იქვე, 30 რ); მშუილდა (იქვე, 30 რ), წუიმდეს (იქვე, 30 რ), ცუილი (იქვე, 41 რ), შეცუიოდიან (იქვე, 42 რ), დაამშუიდის (იქვე, 49 რ), ძუირსა (იქვე, 67 რ), მახუილითა (იქვე, 71 რ), სირცხუილმან (იქვე, 72 რ), რიცხუი (71 რ), სტუირისახთა (იქვე, 76 რ), მლუიმესა (იქვე, 86 რ), განილუიძე (იქვე, 90 რ)... და სხვ.

აგრეთვე იმავე სიძე. საცავის ხელნაწ. № 86 : იაკობ მოცეკვულის უამის წირვადში¹ ჩვეულებრივია: მოგუიწოდენ (ფ. 3 რ), მოგუიტევენ (3 რ), ოუით (17 რ), ლუინითა (23 რ), ეტუიფანე (33 რ), აგურსტინე (33 რ), კუირილე (33 რ), სუიმიონ (34 რ), ევოუიმე (იქვე), გუირგუინი (69 რ)....

ყველა ამ სიტყვებში ამ უამად უის ნაცვლად ვი გვაქვს, ძველი-ქართულის სხვა ძეგლებში კ. და ამიტომ საკითხივია: უნდა და-კუჯეროთ თუ არა ევტორს, როცა კატეგორიულად გვიუბნება: „ზ ბოლოში თუ შიგნით უნდა გამოვთქვათ,“ როგორც ნახევარხმოვანი კ სეანური სიტყვებისა: ბლაგვ (= ბლაგვი), მუთკრი (= მასწავლებელი)... ასეთი კატეგორიულობისათვის საბუთები არც ისე ბევრია; ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ სხევანაირი გაგება (კერძოდ: ვი=უის გულისხმობა ამ კ”ში)² თითქოს „ჩვეულებრივი გაუგებრობა“ იყოს — უადგილო აჩქარებაა.

კ და ც’ს ხმარება იმდენად ჭრელია ძველი-ქართულში (განსაკუთრებით ზოგიერთ ძეგლებში), რომ საგანგებო შესწავლის გარეშე ავტორისაებრ მსჯელობა დადებით შედეგს ვერ მოგვცემს.

§ 245 (გვ. 209): არის: ხსნ... ხსნენ-ებ-ა-ხ.... ვ-იხსენ-ებ-ვ-ა-ხსნ-ებ... მა-ხსოვ-ს..., ხსოვ-ნ-ა-ხ... ხსოვ-ნ-ებ-ა-ხ... მა-ხსოვ-არ-ი; სახსოვ-არ-ი... ყველგან ხ; უნდა—კ: ქსნ... ქს... (იხ. § 12: „ძველი-

¹ ეს ხელნაწერი გამოცემულია ჭ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს მიერ; სამწუხაროდ, გამოცემა ხელთ არა გვაქვს და ადგილები ნაწერებია ხელნაწერის მიხედვით.

² ავტორი კითხვას სვამს: თუ კ=ვი. რატომ არ იშერებოდა „შელი“ ძველს ქართულშით! ეს საბუთად მაშინ გამოდგებოდა, ვისმე რომ ეთქვა: კ=ვი (ძველი ქართულისასო; ახალქართულში უმარცვლო უ-ალინიშნება ვ’ოი. ისევე როგორც უფრო დენტო-ლაბიალისენ გადახრილი 3 ძველი-ქართულისა... ამიტომ: ახალქართულის 3 ძველი-ქართულის უი საც უდრის და ვისაც; უკანასკნელს ნაკლებ შემთხვევაში. ეს ელემენტარი ამბები მოგყვავს გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად.

უის შესახებ აქ თქმული ცხადჰორეს, რომ ძველი-ქართულის სამწუხარობო ძეგლების გამოუცემლობით შექმნილი დაბრკოლებანი ავტორის მიერ მთლიანად დაძლევული არაა.

სამწერლობო ენის ორი ბგერა კ და ხ სასტიკად განისხვადნენ უცხალის ძველს ხელნაწერებში არასოდეს აღირევის". გვ. 8). გვ. 8).

ესარგებლობ შემთხვევით აქვე მოვიყვანო პროფ. გ. აზვლე-დიანის მოსაზრებანი ფონეტიკური ნაწილის შესახებ¹.

იგი ეხება ბგერათმეტყველებიდან აღწერილობით ნაწილს, სახელდობრ: 1) ტაბ. I-ს. გვ. 027 (თანხმოვანი ბგერები წარმოთქმის ორგანოთა მიხედვით), 2) ტაბ. III-ს. გვ. 030 (ბგერათა კლასიფიკაცია, უმთავრესად აფრიკატების საკითხის გამო), და 3) 8—12 გვერდებს, სადაც წარმოდგენილია ანბანის (ტაბ. II) „დაახლოებითი ბგერითი მნიშვნელობანი" (8—10) და განმარტებანი ტაბ. III-სათვის (10—12).

1. ტაბ. I-ში (თანხმ. ბგერები წარმოთქმის ორგანოთა მიხედვით) ასეთი სურათია:

ბაგისმიერნი	წყვილბაგისმიერნი	3 ბ ფ [ჩ]
	ბაგეპბილისმიერნი	3 პ
	ბაგეცხვირისმიერნი	მ
წინაენისმიერნი	ენაქბილისმიერნი	ტ ს
	ენაყბილსასისმიერნი	ლ დ ზ წ ძ ც
	ენასასისმიერნი	რ თ შ უ ჭ ჯ ჩ
	ენასასაცხვირისმიერნი	ნ
უკანაენისმიერნი	ენასასისმიერნი	კ გ ქ ჸ ჰ
	ენაყელსასისმიერნი	ლ ხ
	ენაყელისმიერნი	ყ კ [ც]

ეს ტაბულა იწვევს მთელ რიგს შენიშვნებისას, რომელთაგან ზოგი წმინდა ტერმინოლოგიური ხასიათისაა (უხერხულად მიგვაჩნია „ბაგეცხვირისმიერნი" — „ბაგეპბილისმიერნის" ან „ენაქბილისმიერნის" გვერდით; ასეთადვე მიგვაჩნია „ენასასაცხვირისმიერნი", „ენა ჟ ლ სასისმიერნი" და „ენაყელისმიერნი") უფრო არსებითია შემდეგი: ა) [ჩ] მოთავსებულია „პ ბ ფ"—ს გვერდით წყვილბაგისმიერთა რიგში. კორექტურული შეკომა ხომ არ არის? ბ) კ უნდა მოთავსდეს წყვილბაგის მიერთა რიგში; აგრეთვე კ ნიშანი ხომ წყვილბაგისმიერსაც გამოხატავს? გ) „ტ დ თ" ერთ რიგში უნდა იყოს და არა სამ სხვადა-

¹ ამნაირად, ქვემომოყვანილი შენიშვნები ფონეტიკის შესახებ მთლიანად არიან. გ. ა ნ კ ლ ე დ ი ა ნ ს ე კ უ თ გ ნ ი ს; მოყვანილია ა ე უ ც ვ ლ ე ლ ა დ; გამოყოფილია ბრჭალებით. — ამ შენიშვნებს თავისთვავიდ ლირებულება აქვსთ; მათი თავაზიანად გადმოხატავს? პატივუმშულ პროფესორს დიდ მაღლობას ვუძლენ.



სხვაში განაწილებული; ამავე რიგში უნდა იყოს მოთავსებული კრიტიკა ც „ „ ს ზ-ც კი; ყოველშემოხვევაში ს და ჰ-ს სხვადასხვა რიგზე მოთავსება წარმოთქმის ორგანოთა მიხედვით — შეუფერებელია; აქვე იქნებოდა ლ-ც. მეორე რიგში დარჩებოდა რ, შ, ჟ, ჭ, ჯ; ჩ; ნ—კი მოთავსედებოდა, სათანადო შენიშვნით, პირველ რიგში. მაშასადამე, წინანისმიერთა ოთხი რიგის ნაცვლად უნდა იყოს ორი: ენაკბილისმიერნი ტ, დ, თ; წ, ძ, ც; ლ, ნ; ს, ზ და ენასასისმიერი რ შ უ ჭ ჯ ჩ ჩ. დ) რადგანაც *კ გ ქ“-ს ღ, ხ“-ს ღ, ხ“-საგან განსხვავებაში ყელი (гортах) არაფერ შეუძია, ამიტომ მათი მოთავსება შესაძლებელი იქნებოდა ერთ რიგში; რათქმა უნდა, ამასთანავე ვიგულებდით, რომ „ხ ღ“ უფრო უკან იწარმოება, ვიღრე კ, გ, ქ“. ვ და ე-ს აქ მოთავსება უადგილოდ მივგაჩნია: ჰ-ს უმთავრესი სახეობაა ყელის სპირანტი, მაშასადამე, უნდა მოთავსდეს ე-სთან ერთ რიგში, მაგრამ არა „ე ნ აყელისმიერის“ სახელწოდებით; ხოლო ა შეაენისმიერია. „ყ, კ“ ფარინგისის ბგერებია, ამიტომ მათთვის ცალკე რუბრიკია საჭირო. მაშასადამე, აკ. ნ. მარის „უკანანისმიერთა“ რუბრიკში დარჩება მხოლოდ „კ, გ, ქ; ღ, ხ“, ხოლო ა გამოიყოფა შეაენისმიერის სახელით, „ყ კ“ ფარინგალების და „ჭ, ყ“ ყელის მიერთა სახელით.

2. ტაბ. III-ში მოთავსებულია (კვადრატში) შემდეგი ექსი წყვილი „აფრიკატი“: წ ყ, ძ ღ, ც ხ, ჭ კ. ჯ —, ჩ კ (ჯ-ს მეცალე არ შენახულაო). ამ „აფრიკატთა“ შემაღებელობა აკ. ნ. მარის ასე აქვს წარმოდგენილი: წ<ტ+ს, ყ<*კ+ჭ; ძ<ღ+ზ, ღ<გ+ჭ; ც<თ+ს, ხ<ქ+ჭ; ჭ<ტ+შ, კ<*კ+ც; ჯ<ღ+ჟ; ჩ<თ+შ, კ<ქ+ც. ფონეტიკურ ლიტერატურაში აფრიკატებად ცნობილ თანხმოვნებს (წ, ძ, ც; კ, ჯ, ჩ) აკად. ნ. მარი უწოდებს „ასიბილატებს“, ხოლო დანარჩებს (ყ, ღ, ხ; კ, ქ) „ასპირატებს“. ასიბილატები და ასპირატები წარმოდგენილი აქვს სერთო სახელწოდებით — „აფრიკატები“. პირველი შეხედვით, ეს თითქოს ტერმინოლოგიური საკითხია, მაგრამ ნამდვილად აქ საქმე გვაქვს თანხმოვანთა თავისებურ გაგებასთან, რასაც შედეგად ზოგიერთი გაუგებრობა მოჰყვება. აკად. ნ. მარის „ასპირატ აფრიკატთაგან“ მშეინავია (ასპირაციანია) მხოლოდ კ; დანარჩენთაგან კ ღა კ ჩვეულებრივი მკვეთრი ხშულებია¹, ხოლო ღ და ხ წარმოადგენს ჩვეულებრივ უკანანისმიერ სპირანტებს. ასეთია დღეს ეს ბგერები. რაც შეეხება მათ ისტორიულ სახეს, კიდევაც რომ დავუშვათ მათი როული შემაღებელობა, როგორც ამ (III) ტაბულაშია-

¹ მკვეთრობის შესახებ იხ. გ. ა ხვლედიანის „მკვეთრი ხშულნი ქართულში“, ტფ. უნივერსიტეტის მოამბე, ტ. II, გვ. 113.

წარმოდგენილი, აფრიკატებად მათი მონათლევა მაინც არ შექმნის უძლეს მარტინის რეალურობას (შერწყმა ხშულისა მომდევნო ჰომორგანულ სპირანტთან ანუ ფრიკატივთან). უფრო მეტი გაუგებრობაც მოჰყვება აფრიკატების ასეთ გაგებას: საქმე ის არის, რომ, რადგანაც აკად. ნ. მარს ასპირაცია წარმოუდგენია აფრიკაციის ერთ-ერთ სახედ, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ასპირაცია არ წარმოუდგენია აფრიკაციის გარეშე, ამიტომ ასპირაციის მოკლებულად მიუჩნევია „ფ, თ, ქ“, რომელთა შესახებ ამბობს: „გაუგებრობის გამო ალიქმებიან, როგორც მშეინავი (ასპირაციანი ან გაასპირებული) აფრიკატებიო“ (გვ. 9). მშეინავ აფრიკატებად ითვლება „ც“ და „ჩ“ ასე რომ „ფ, თ, ქ“-ს მშეინავ აფრიკატებად ალქმა შეუძლებელია; რაც შეეხება მათ მშვინაობას (ასპირატობას), ეს ეკვს გარეშეა ობიექტურად და ამიტომაც არაეითარი გაუგებრობა არაა მათი ასეთად ალქმა. ამიტომ აკად. ნ. მარის მიერ მიზეზების ძრება, თუ რატომ გვესმის „ფ, თ, ქ“-ში მშეინაობა, ზედმეტად უნდა ჩაითვალოს: მისი აზრით, მათ (ფ, თ, ქ) წარმოთქმის უნდა განვითარდ (?) თან სდევს ჰაერის ნაკადი, რომელიც წარმოიშობა ხოლმე ხშეის ან შეხების ადგილას; ორგანოთა ხშეა ან შეხება „თ, ფ“-სათვის უფრო სუსტია, მისივე აზრით, ვიდრე „ტ, ჰ“-სათვის და „დ, ბ“-სათვისაც კი; ხოლო ქ'სათვის უფრო სუსტია ჰაერის ტალღის ჯახება ენიდან უკანასასის სათანადო ნაწილისკენ, ვიდრე ქ'სათვის და გ'სათვისაც კი (გვ. 9). ნამდვილად, ჩვენის დაკვირვებით, არც ხშეის ან შეხების სისუსტე განსაზღვრავს „თ, ფ“-ს ბუნებას და არც ჰაერის ჯახების სისუსტე ქ'სას, არამედ შესამჩნევი რაოდენობის შეინვა¹, ამომდინარე სასუნთქიდან (და არა ხშეის ადგილას წარმოშობილი). ამის დამტკიცება შეიძლება სრულიად მარტივი ცდით: შეისუნთქეთ ჰაერი, რამდენიც შესაძლებელია, და წარმოთქვით ზედიზედ თ რამდენჯერმე. შესუნთქული ჰაერი დაიხარჯება დაახლ. 15 წუთის განმავლობაში, რის შემდეგაც გაჩნდება მოთხოვნილება ხელახლავ შესუნთქვისა; არტიკულობა იმავ ადგილას შეგიძლიათ განაგრძოთ (20 წუთამდე) შესუნთქველადაც, მაგრამ თ აღარ გამოდის, არამედ თითქოს უნდა გადადიხაროთ ტ-ზე, რომლისთვის, როგორც ამ ცდიდანაც ჩანს, სრულიად საჭირო არ არის სასუნთქიდან ამოდენილი ჰაერის ხარჯვა. ასეთივე ცდა შეიძლება გამოყენებულ იქნას ქ'სა და ფ'სათვის: თითოეულ ამათვისაც „შესუნთქული ჰაერი დაიხარჯება

¹ იხ. ამავე მიმომ ჩილ ველ ში: გ. ახ ვლ ედიანი, შენიშვნები ქართულ თანხმოვანთა განდასებისათვის“, გვ. 243.



უკრაინული

15 წუთში, რის შემდეგაც ქ'ს ნაცვლად გადადიხართ კ'ზე უსამართველობა
ნაცვლად ვ'ზე.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ მშეინავი აფრიკატებისათვის (ჩ., ც.) ივივე შესუნთქული ჰაერი გვყოფნის შედარებით მეტი ხანს: 20 წუთამდე, რის შემდეგაც გადავდივართ „ჭ., წ“-ს არტიკულობაზე (ჯ'სთვის გვყოფნის 25 წუთს; ჯ'ც ამის შემდეგ გადადის ჭ'დ): აქედან ჩანს, რომ ჩ და ც'ს ნაკლები მშეინაობა აქვს, ვიდრე თ'ს (რაც შეეხება ჯ'ს, ამისთვის მიტომ გვყოფნის 25 წუთს, როგორც ჩვეულებრივ მელერ ხშულთათვის, რომ საერთოდ მელერთათვის ჰაერის ხარჯვა ნაკლებია, ვიდრე ყრუთათვის; ამ შემთხვევაში თ'სათვის). რაც შეეხება „ლ, ხ“-ს ჰაერის ხარჯვის თვალსაზრისით, ისინი ამ მხრივ უდრიან ჩვეულებრივ სპირანტებს („ს, ზ, შ, უ, -ს); ლ'სათვის 25 წუთამდე გვყოფნის შესუნთქული ჰაერი, ხ'სათვის—20-მდე „ს, ზ, შ, უ“-სათვის 20-25 წუთამდე). ცოტაოდენი განსხვავების მიზეზი მდგომარეობს წარმოების ადგილში. ამას დავუმატებ შემდეგს: რადგანაც მკვეთრთათვის (პ., ტ, კ; წ. ჭ, ყ) არ ხდება სასუნთქიდან ჰაერის ხარჯვა, ამიტომ მათი წარმოება შესაძლებელია, როგორც ჰაერის ამოლევის შემდეგ (იხ. ზემოთ), ისე სასუნთქის ჰაერით გავსების შემდეგაც (ამ უკანასკნელ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, მკვეთრთა წარმოებისას ჰაერი არ უნდა ამოდიოდეს, რის შემდეგაც მოთხოვნილება გვაქვს ამოსუნთქისა); რაც შეეხება თვითეული მკვეთრის წარმოების ხანგრძლივობას პირველ (ჰაერის ამოლევის შემდეგ) და მეორე (სასუნთქის გავსების შემდეგ) შემთხვევაში, ეს ხანგრძლივობა დაახლოებით უდრის საერთოდ ჩაუსუნთქველად (პირვ. შემთხვ.) და ამოსუნთქველად (მეორე შემთხვ.) გამძლეობის ხანგრძლივობას, ე. ი. დაახლოებ. 15 წუთს (პირვ. შემთხვ.) და 55 წუთს. (მეორე შემთხვ.).

3. რაც შეეხება ქართულ თანხმოვანთა წარმოთქმის ოღწერის, აქაც გვაქვს რამდენიმე შენიშვნა, ზოგიერთი—ჩვენ მიერ ზემოთ ნათქვამთან დაკავშირებით. აკალ. ნ. მარი ასწერს ქართ. თანხმოვნებს რუსულისათან შეპირისპირებით: რუს. „თ კ“ რომ უფრო ახლოსაა ქართ. „თ, ჭ“-სთან, ვიდრე „ტ, კ“-სთან (და აგრეთვე, დავუმატებთ ჩვენ, რუს. ი ახლოსაა ფ'სთან, ვიდრე პ'სთან), ეს კეშმარიტებაა, მაგრამ სწორი არ არის, თითქოს „ქართ. ტ, კ (პ)“ განსხვავდებოდეს რუს. „თ, კ (პ)“-საგან მეტის სიყრულით და მეტის მსკლომობით: ვერავითარი „მეტი ძალით მიბჯენა (ბილьший нахим)“ და ვერავითარი „მეტი ჰაერის მიწოლა (ბილьший напор волны воздуха)“ ვერ გადააქცევს რუს. „თ, კ (პ)“-ს ქართ. „ტ, კ (პ)“-დ; ამისათვის საჭიროა, როგორც ზემოთ ვთქვით, შესუნთქული ჰაერის ნაკადის შეწყ-

ვეტა (ან არტიკულობა ჰაერის ამოლევის შემდეგ) მათი უკარისტიკული სას. სწორედ იგივე ითქმის „წ, ჭ“-ს რუს. „Ա, Կ“-სთან შეპირისა-რების შესახებ, სადაც აკად. წ. მარი იმავე მეტის მიბჯენითა და მიწოლით ცდილობს რუს. „Ա, Կ“-ს „წ, ჭ“-დ გადაქცევის: აქაც, ჩვენის მეთოდით, საქართვისია ჰაერის ნაკადის შეწყვეტა Ա, Կ“-ს წარმოებისას, რათა მივიღოთ „წ, ჭ“.

უკანასკნელი ჩვენი შენიშვნა შეეხება აკად. წ. მარის შემდეგ თქმას: „მელერ „Ժ, Ճ“-ს რუსულში არა აქვთ დაახლოებითი შესატყვისძანიც-კიო“ (გვ. 9). ნამდვილად კი რუსულში რეალურად არ-სებობს გამულერებული „Ա, Կ“-ის, მაგ. ითებილი, დოჯბოლია-ში. ამიტომ, თავისთვის ცხადია, ვერ ჩაითვლება სწორად აკად. წ. მარის დაკვირვებისაგან მიღებული შთაბეჭდილება, თითქოს რუს. „Ա, Կ“ უფრო ახლოს იდგეს, ვიდრე „Ժ, Ճ“¹.

სქოლასტიკა და აპრიორიზმი—წიგნის ძირითადი უბედურებაა. მეთოდოლოგიური გარკვეულობისა და სიმტკიცის მხრით ბევრი რამაა სასურველი. შესავლის ერთი ადგილი ამბობს: „წიგნი გამოდის ახლა—საში-ოთხი წლის შემდეგ მისი იდეური აღნაგობის ხიცვდილისა-ო (გვ. IV, ხაზი ჩვენია—ა. ჩ.). ფაქტურად, ეს პასუხისმგებლობის თავითან მოხსნას უდრის ავტორის მიერ: იმავე დროს ეს ავტორის აზროვნებას გარკვეულად ახასიათებს: პოზიტიური იდეები შეიდწელებ მეტს ძლებენ²; აპრიორიზმი—უფრო ცვალებადია...

დასტყობია წიგნის მისი ბეჭდვის ბედი: მთლიანობა, რომელიც აკრე ახასიათებს იმავე ავტორის „კანური ენის გრამატიკას“, არსადა ჩანს; მასალის დალაგებაც, კერძოდ, ზმნები, სასურველი მდგომარეო-

¹ ესარგებლობ ამ შემთხვევით და აქცეულ იმ პრაქტიკულ ხერხს, რომლის საშუალებითაც ქართულ ბევრათა გამოთქმის არ მცოდნეს შეუძლია მიაღწიოს „პ, ტ, პ, ჭ, წ, ჭ“-ს გამოთქმას:

ედავოა, რომ ამ შეკვეთობით ჰაერის ამოლინარეობა შეწყვეტილია. ასე-თი შეწყვეტა კი შესაძლებელია ორი გზით: ჰაერის ამოლევით (პირვ. შემთხვ.). და ჰაერით საესე სასუნთქის დაზურვით, შეკავებით (მეორე შემთხვ.). პრაქტიკულად ჩვენი მიზნასათვის გამოვალინებთ მეორე შემთხვევას, სახელდობრ: შეისუნთქმეთ ჰაერი მძლავრად და შეკავეთ აბსოლუტურად; ეცადეთ ასეთ მდგომარეობაში ბ-ს ან ფ-ს თქმას—მიიღებთ (ჯერჯერობით დაახლოებით) პ-ს. ხშირი ვარჯიში მოჯცემსა ნამდვილ პ. ს. თუ იმავე შეკავებულ მდგომარეობაში ეცადებით: დ-ს ან თ-ს თქმას, მიიღებთ ტ-ს; გ-ს ან ქ-ს თქმას, მიიღებთ კ-ს; ძ-ს ან ც-ს თქმას, მიიღებთ ჭ-ს; ჯ-ს ან ჩ-ს თქმას, მიიღებთ ჭ-ს. გ. ა წ ვ ლ.

² წიგნი შეიდი შელი იბეჭდებოდა 1918—1925 წ.

საქართველოს
ეროვნული ბიბლიოთეკი

ბედან შორსაა. მეტად არსებითი რამ: 1923 წელს აღმოჩნდა მეტი და ჰაემეტი ტექსტების შესახებ შენიშვნაც არსად არის; არც სათანადო მასალაა გათვალისწინებული, მაგალ. ზმნის პრეფიქსების და ზედსართავის შედარებითი ხარისხის წარმოებისას. ამ მხრივ წიგნი უკვე გამოსვლისას იყო დაძველებული.

ენის შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება: მძიმე, კეშმარიტად მწიგნობრული (თუმცა ბევრად სჯობნის იმავე ავტორის ბოლოდრო ინდელი წერილების ენას!).

და მაინც ვიტყვით: ეს პირველი ნაშრომია, რომელშიაც მთლიანად წარმოგვიდგა ძველი-ქართულის ენობრივი სახეობა. ამდენად „ძველი-სამწერლობო ენის გრამატიკის“ მოვლენა ისტორიული ფაქტია.

იაფეტიდოლოგიის კოსმიური ჰიპოთეზებისთვის მებრძოლ აკად. ნ. გარს მეცნიერება ათასწილ უფრო მეტს მადლობას უძლენიდა, პროტოისტორიული ადამიანის დაუდევარ ცნობიერებაში შეუზღუდველი თარების ნაცვლად ისტორიულ სინამდვილეში არსებული ფაქტების შესახებ — ამ ფაქტებით განსაზღვრული აზრები წარმოედგინა, თუნდაც „ძველი-ქართულის გრამატიკის“ მსგავსად.

თქმა არ უნდა, მაშინ ასეთი გრამატიკა სხვა მეთოდოლოგიურსა და ფაქტურ საფუძველზე დამყარებული, შეუდარებლად მეტი მეცნიერული ლირებულების მატარებელი იქნებოდა.

არნ. ჩიქობავა.



პროფ. ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო მოღვაწეობის ოცდახუთი წლისთავი (1900—1925). წლისთავის აღსანიშნავად (იგულისხმება პირველი ნაბეჭდი ნაშრომის გამოქვეყნების დღიდან) გ. წ. ივნისს გამოვიდა კრებული „არილი“, რომელიც მიძღვნილია მკვლევრისადმი მისი მოწაფეებისაგან. კრებულის შინაარსია: 1. ს. ჯანაშია—უხორებად საბა ასურისად, 2. შ. ამირანაშვილი—ქართული კედლის მხატვრობის დასურათებული დედნის ფრაგმენტები, 3. თ. ლომოური—სუმბატ დავითის ძისა და გიორგი მერჩულის ცნობები მე-IX—X ს.ს. ქართველ ბაგრატონიანთა შესახებ, 4. ა. ჩიქობავა—გარე-ქახეთი დიალექტოლოგიურად, 5. ს. ყაუხჩინაშვილი—ბერძნული მამაკაცთასახელების გადმოცემისათვის ქართულში, 6. გ. ჩუბინაშვილი—ქართული ხუროთმოძღვრება საშუალო საუკუნეებში და მისი სამი მთავარი კათედრალი, 7. ვ. თოფურია—ქართლური, 8. გ. ჯაკობია—ლეილ-მაჯნუნიანის ქართული ვერსიისათვის, 9. ა. შანიძე—უმლაუტი სვანურში.

უბისის ექსპედიცია. 1925 წ. თიბათვის პირველ რიცხვებში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ, საზ-ბის საბჭოს უკვე არსებული დადგენილების (ოქმ № 237) მიხედვით, გაგზვნილ იქნა ექსპედიცია საზ-ბის წევრის შ. ამირანაშვილისა და მხატვარ-ფოტოგრაფის თ. კეუნეს მონაწილეობით უბისის (ზემო-იმერეთი, შორაპნის მაზრა) ტაძრის მხატვრობის შესწავლისა და გადალებისათვის. ექსპედიციამ გადაიღო ფოტოგრაფიულად მთელი მხატვრობა, ტაძრი, სვეტი და ყველა წარწერა და აგრეთვე თვით ტაძრის გეგმა. ექსპედიციის მიერ ჩამოტანილი მასალები იმდენად საყურადღებო აღმოჩნდა, რომ საჭიროდ იქნა ცნობილი მეორე ექსპედიციის მოწყობა მხატვრობის უკვე დეტალურად გადალებისათვის (ორივე ექსპედიციის ნივთიერი მხარე უზრუნველყოფილი იყო გ. კ. სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარმმართველობის მიერ). საგანგებოდ მოწყობილი ხარაწის საშუალებით ეს ამცანა შესრულებულ იქნა სავსებით. ამას გარდა გაკეთდა მხატვრობის პირები წამლებით. აღნიშნული მასალა გ. წ. შემოდგომით გამოფენილი იყო მხარეთმცოდნეობის მეორე ყრილობაზე ქ. ბათოშვი, სადაც გამსაკუთრებული ყურადღება მიიქცია.



ურუვაზული

ვინაიდან საბჭომ დაადგინა (ოქმი № 245) მხატვროლებულ ჯარისტრის
ცენტ სათანადო სახით, ა. წ. ოქტომბერის უბისში გაგზავნილ იქნა
მესამე ექსპედიცია ხუროთმოძღვრის 6. სევეროვისა, საქართვე-
სამხატვრო აქადემიის სტუდენტის გ. ლეზავასა და შ. ამირა-
ნაშვილის მონაწილეობით, რომელმაც გადაიღო მთავარი გეგმა-
ტაძრისა და ცენტრალური სამონასტრო შენობისა, ტაძრის გეგმა,
ორი განაკვეთი, ტაძრის აღმოსავლეთის ფასადი, კოშეის სამიერე სარ-
თულის გეგმები, განაკვეთები და აღმოსავლეთის ფასადი. ამებად
ხსენებული მასალები კაიხელად დახაზულია და მზად არის გამოცე-
მისათვის, რომელსაც საზ-ბა უკვე შეუდგა (იბეჭდება ტოტოტიპიური
ტაბულები).

მცხეოლოგიური გათხრა. ა. წ. ოქტომბერის 13-ს
საზ-ბის საბჭომ დაადგინა (ოქმი № 245) გათხრილი ყოფილიყო
მცხეთის ისტორიული ადგილები. ასეთი წამოწყება ცნობილ იქნა
მიუკილებლად განსაკუთრებით იმიტომ, რომ ზემოავჭალის ჰიდრო-
ელექტრონული სადგურის ამუშავების შემდგომ მტკერისა და არაგ-
ვის შესართავთან წყალი დიდად აიწევს და სამუდამოდ დაპუარავს
აღნიშნული რაიონის დიდ ნაწილს. უკანასკნელმავე გარემოებამ აი-
ძულა საბჭო დაედგინა (ოქმი № 246): „პირველ რიგში და აუცი-
ლებლივ გათხრილ იქნას ის რაიონი, რომელსაც წყლით დაფარვა
მოელის“, ამასთანავე, სასურველად იქნა ცნობილი შეძლებისამებრ
წარმოებული ყოფილიყო ძიება სხვა ადგილებშიც. ამ მნიშვნელოვა-
ნი არქეოლოგიური კამპანიის საერთო ხელმძღვანელობა დაეკისრა
საზ-ბის ხაარქეოლოგიო სექციის, ხოლო გათხრის წარმოებისა და
ადგილობრივი მუშაობის ხელმძღვანელად მოწვეულ იქნა საზ-ბის
წევრი, არქეოლოგი გ. ნიორაძე. საჭირო იარაღების შეძენისა და
გასათხრელი ადგილების შესწავლის შემდგომ, უკვე 22 ოქტომბერს
არაგვის ორსავე ნაპირზე, ანტიოქიის ეკლესიიდან ბებრის ცახემდე,
სხვადასხვა ალაგის საცდელი გათხრა იყო დაწყებული. ბებრის ცა-
ხესთან აღმოჩნდა ახალი დროის სამარხები, ხოლო არაგვის მარც-
ხენა ნაპირის, სამთავროს მონასტრის პირდაპირ (წიწამურში), მეტად
საინტერესო ძეგლი დროის სასაფლაო (მეორედ დამარხების წესის სა-
მარეებით), რომლის მსგავსი ჯერ ასად არის დადასტურებული,
არც საქართველოში და არც საზოგადოდ კავკასიაში (გ. ნიორა-
ძის აზრით). ეტყობა, სასაფლაოს კრუელი ალაგი უჭირავს და არა-
გვის ნაპირს მისდევს სოფ. ნატახტარისკენ. სამწუხაოდ, ბ. გ. ნი-
ორაძის ავალმყოფობამ შესწყვიტა მუშობა, რომელიც უნდა გა-
ნახლებულ იქნას უახლოეს ხანში.

არქეოლოგიური აღმოჩენები და ძიებანი კახეთში. ა. შეგრძნებული სის შეუ რიცხვებში საზ-ბის საბჭოს მოუფიდა ცნობა არქეოლოგიური რი აღმოჩენების შესახებ კახეთში, სოფ. ძეველ ანაგასა და ბაკტრიუსში. ანაგური ნივთებიდან ორი ცალი, ქალის სარტყელის ბალთა და ქინძისთვი (?), გადმოეცა საზოგადოებას მაშინვე სტ. გ. გოზალი შვილის ხელით. რადგანაც ცნობების ხასიათმა, და იგრძეთვე ვადმოცემულმა ნივთებმაც, ინტერესი გამოიწვიეს, მოწყობილ იქნა სასწრაფო ექსპედიცია საზ-ბის წევრთა, პროფ. ჩუბინა შვილისა და გ. გოზალი შვილის მონაწილეობით. ექსპედიციამ შეისწავლა აღმოჩენის ადგილები და შეკრიბა მდიდარი კოლექცია სხვადასხვა ლითონის, უმთავრესად ბრინჯაოს, ნივთებისა (ბაკურიუსული ნივთები ინახებოდა ქ. თელავში, სხვადასხვა დაწესებულებებში, ძეველ-ანაგური კი შეგროვებულ იქნა ადგილზე). აღნიშნული ადგილების გათხრა განხრახულია ა. ჭ. შეგოდომისათვის.

ქართული საენათმეცნიერო საზოგადოება. უკანასკნელ წლებში ჩეგნი სამეცნიერო ცხოვრებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების დაარსება (1923 წლ. თებერვლის 18-ს). დღიდან დაარსებისა საზოგადოება განსაკუთრებული ინტენსიონით მუშაობს (მრავალრიცხოვანი საჯარო კრებები, სამეცნიერო ექსპედიციები და სხვ.). 1925 წ. თებერვალში გამოვიდა საზ-ბის ორგანო „წელი წლეული“ (I-II), რომელიც მდიდარს, როგორც კვლევით-აღწერილობითი, ისე საღიალექტოლოგიო ხასიათის, მასალას შეიცავს. მწუხარებით უნდა აღინიშნოს, რომ ამეამად აღნიშნული ორგანოს გამოცემა უსახსრობის გამო შეჩერებულია.

ქართველთმეტყველების მდგომარეობა ევროპასა და ამერიკაში. იმ პირთ გარდა, რომელნიც დიდიხანია ამ დარგში მუშაობენ (როგორც მაგ. პროფ. Hugo Schuchardtი გრაცში, Paul Peetersი ბრუссელში და სხვ.), ამეამად ქართველთმეტყველების საკითხებს ამუშავებენ: დოკ. Richard Meckleleinი ბერლინში, პროფ. Heinrich Gousseno ბონში, Robert Bleichsteinი ვენაში, პროფ. Joseph Karstი სტრასბურგში (ცნობილი არმენისტი და ირანისტი, ამეამად კითხულობს სპეციალ კურსებს ქართველმეტყველებიდან სტრასბურგის უნივერსიტეტში), პროფ. Robert Blake ჰარვარდში (ამერიკა).

პროცესორი იოსებ ჭილაძი

I

ბაგშობა და ჭაბუკობა. სარევოლუციო მუშაობა.

ყიფშიძიანთ საგვარეულო უმთავრესად ორ შტოდ არის ცნობილი: ზემოიმერეთისა და ზემოქართლის ყიფშიძეები; უკანასკნელნიც იმავე ზემოიმერეთიდან არიან გადმოსულნი; და ორივე შტოცნობილია ქართულს მწერლობასა და მეცნიერებაში: საქმიანი დავასახელოთ ქართლის ყიფშიძეთაგან აწ განსვენებული ძმები გრიგოლ და ალექსანდრე ყიფშიძეები, რომელთაგან უკანასკნელი „ფრონელი“-ს ფსევდონიმით სწერდა ხოლმე წერილებსა და გამოკვლევებს საქართველოს ისტორიიდან; ხოლო იმერეთის ყიფშიძეთაგან აგრეთვე აწ განსვენებული ახალგაზრდა მეცნიერნი ძმები იოსებ და დავით ყიფშიძეები. წინამდებარე მასალების მიზანს იოსებ ყიფშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის გათვალისწინება წარმოადგენს.

განსვენებულის დაბადების წელი დანამდვილებით ორ არის ვამორკვეული: ზოგი მისი ბიოგრაფი მისი დაბადების წლად 1881 წელს ასახელებს, ზოგი—1882 წელს, ზოგიც—1885 წელს. ამ საგნის შესახებ, როგორც ჩანს, თვით განსვენებულსაც ორა ჰქონია ეკვმიუტანელი მასალები, რისგამც თავის „ავტობიოგრაფიას“ ასე იწყებს: „დავიბადე 1885 წელს 25 აგვისტოს, როგორც პმოწმობს მეტრიკული წიგნები; მაგრამ სავსებით შეეფერება, თუ არა, სინამდვილეს მეტრიკული წიგნების ჩვენება, არ შემიძლია მისი თავდები ვიყო: ამბობენ, რომ მე დავბადებულვარ თითქმის ორი წლით ადრე, ვიდრე ზემოხსენებულ საბუთებშია ნაჩვენები. მაინცადამაინც, აქ ჩვენ ვერ გამოვუდებით მღვდელმსახურთა მიერ მეტრიკული წიგნების შედგენის საიდუმლოების გამორკვევასო“, შენიშვნავს ორონიულად განსვენებული და განაგრძობს თავის „ავტობიოგრაფიას“ (იხ. „რვ. სხვადასხვა შენიშვნ.“, ფურც. 120, გვ. 1).

მისი სამშობლო იყო სოფელი რგანი, ზემო იმერეთსა და ქვემო კუთხით მისი მახლობლად, როგორც „ავტომბიოგრაფიაში“ უკვე მოიხსენია კუთხით კვამი, ცნობილია არა მარტო ჩვენში და რუსეთში, არამედ საზღვარგარეთაც, როგორც ცენტრი შავიქვის წარმოებისა. და, აი, ამ მსოფლიო ხასიათის წარმოების ცენტრის მახლობლად, სადაც ათიათისობით ირეოდა მუშახელი და მწარმოებელი, გაატარა თავისი ბავშვის პირველი პერიოდი მონავალმა რევოლუციონერმა და მეცნიერმა. მეშვიდე წელში იყო გადამდგარი, როდესაც ქართული წერა-კითხვა დააწყებინეს, ხოლო ერთი წლის შემდეგ სოფლის სკოლაშიაც მიამარეს. როგორც ბევრგან სხვაგან, ისე ამ სკოლაშიაც, მაშინ საშუა-



პროფ. იოსებ ყიფშიძე

ლო საუკუნეების წესები და მეთოდები ყოფილა გამეცემული: მას-წაელებლის მხრით ტლანქი და უხეში მოპყრობა მოწაფეებისადმი, ყურის აწევა, ხელისგულზე სახაზევის ცემა, სიმინდის მარცვლებზე დაჩიქება და მისთანანი, — აი როგორ ახასიათებს განსვენებულის „ავტომბიოგრაფია“ მაშინდელ სოფლის სკოლას (იქვე, ფურც. 121, გვ. 1). „ვცდილობდიო, — ამბობს განსვენებული, — რამდენადაც კი შეიძლე-



ბოდა, წესიერად მოვქცეულიყავი, მაგრამ ერთხელ, გაუფართხოებულით, გაკვეთილის დროს, ამხანაგს გადავუჩრებულე, რისთვისაც შასწავლებელმა წამოავლო სახაზაგს ხელი, მეც ხელი გამაშვერინა და, რაც ძალი და ლონე ჰქონდა, მხეთება ზედ ისე, რომ ხელი დამისივდათ” (იქვე).

საბედნიეროდ, აქ დიდხანს არ დარჩენილა. ერთი წლის შემდეგ მამამისმა, რომელიც სოფლის მღვდელი იყო, ქუთაისს გადაიყვანა და სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. ეს მოხდა 1892 წელს. მაშინდელი სასულიერო სასწავლებლები დაბალი ტიპის სკოლებს წარმოადგენდენ, რომლებშიაც სწავლა შვიდ წელიწადს გრძელდებოდა: სამი მოსამზადებელი განყოფილება იყო (სამწლედი) და ოთხი – პროგინაზიული კლასი (თოხწლედი). „მე ეგზამენი დამაჭერინეს და საშუალო მოსამზადებელ განყოფილებაში მიმიღესო“, — ამბობს „ავტობიოგრაფიაში“ განსვენებული (იქვე, ფურც. 121, გვ. 2). მაგრამ ვერც ამ სასწავლებელმა მიიჩიდა მომავალი რევოლუციონერის კული. მართალია, „სწავლით კარგად ესწავლობდი და კლასიდან კლასში თითქმის ყოველთვის პირველ მოწაფედ გადავდიოდიო, — ამბობს იგი „ავტობიოგრაფიაში“, — მაგრამ ჩვენ უმთავრესად მხოლოდ გაკვეთილებს ესწავლობდით და, რომ კლას გარეშე კითხვეც საჭირო იყო, ამაზე კი არაფერს გვეუბნებოდენ, არამც თუ ხელმძღვანელობას გვიწევდენ“ (იქვე, ფურც. 122, გვ. 1). ერთადერთ გამონაკლისს მთელ სასწავლებელში მხოლოდ ქართული ენის მასწავლებელი წარმოადგენდა, ამ განსვენებული პოლიევეტოს კვიცარიძე (ცნობილი მოღვაწის ისიდორე კვიცარიძის უფროსი ძმა), რომელსაც არაერთ თავის მოწაფებელი მოუწდენია სასიკეთო გავლენა და შეუყვარებია თავისი საგანი—ქართული ენა: ეს პირადად ამ სტრიქონების დამწერსაც შეუძლია დაამოწმოს; და განსვენებულის მეცნიერის და ქართული ენის პროფესორის „ავტობიოგრაფიაშიაც“ შემდეგს ვკითხულობთ: „გამონაკლისს შეადგენდა ქართული ენის მასწავლებელი, ამასწინათ გარდაცვლილი, კვიცარიძე, კაცი კარგად განვითარებული და ქართული ენის ლრმა მცოდნე, რაც ქართული გრამატიკის შედგენით დაამტკიცაო. ის არ სჯერდებოდა მარტო იმას, რომ მოწაფეები კარგად ამზადებდენ გაკვეთილებს,—კითხვისადმი სიყვარულსაც გვიღვიძებდა: გაკვეთილის მეოთხედი, ზოგჯერ მეტიც, გადადებული ჰქონდა კითხვისათვის. მოწაფეები, მანამდე უყურადღებონი და მოდუნებულები, როგორც კი კითხვა დაიწყებოდა, სრულიად გამოიცვლებოდენ ხოლმე: გულმოდგინედ უგდებდენ უურს, და გაკვეთილის გათავების ზარი, ესოდენ სასიამოვნო და სასურველი სხვა გაკვეთილების ბოლოში, იქ

ჩვენში უსიამოვნებას გამოიწვევდა ხოლმე, რადგან სასიამოვნებლების უნდა შეგვეწყვიტა. ამ მასწავლებლის შესახებ დღემდე ფრიად ნათელი წარმოდგენა ჩამრჩა მეცნიერებაში; ის გამოვიწერდა ხოლმე საბავშო უურნალებსა და სხვ.; ასე რომ სასულიერო სასწავლებელში ბევრი საბავშო წიგნი გადავიკითხე, როგორც ქართულად, ისე რუსულად. სხვათა შორის დიდი ხალისით წავიკითხე მაინ-რიდისა და უზლ-ვერნის თხზულებებით” (იქვე).

წარმატებით დაათავა განსვენებულმა კურსი სასულიერო სასწავლებელში 1898 წელს და ვაიგზავნა ქუთაისისავე სასულიერო სემინარიაში „პირველ მოწაფედ“ (შეად. „ავტობიოგრაფია“, ფურც. 122, გვ. 1) ¹.

ქუთაისის სემინარია იმ დროს სულ რაღაც ოთხიოდე წლის დაარსებული იყო რუსეთის სინოდის მიერ იმ მოსაზრებით, რომ, ცნობილი ბუნტის შემდეგ ტფილისის სემინარიაში (1894 წელს), მკვირცხლი მოზარდი იმერელი მოწაფეობა ჩამოგშორებინათ ამერელი ახალგაზრდობისათვის და ამით ტფილისის სემინარია მაინც უზრუნველეყოთ შემდეგში მოუსვენარი ელემენტებისაგან. ეს იმედი ნაწილობრივ მართლაც გაუმართლდათ, მაგრამ სამაგივეროდ თვით ქუთაისის სემინარია გადაიქცა ყოველგვარი მოუსვენრობისა და „ქრა-მოლის“ ბუდედ (რასაკვირველია, ნიკოლოზ მეორის მთავრობისა და სინოდის მიერ მოვლენილი რუსის „პედაგოგების“ თვალსაზრისით). სარევოლუციო პარტიებმა აქცა მალე გაიჩინეს მიმდევარნი, დაარსდა არალეგალური წრეები და გაჩაღდა მუშაობა. სწორედ ამ დროს იწვრონებოდენ ამ წრეებში ისეთი შემდეგში ცნობილი პოლიტიკური მოლვაწეები, როგორც, იმავე სემინარიის ყოფილი მოწაფენი: ნოე რამიშვილი, კოტე ცინცაძე და სხვანი.

და, აი, ასეთ დროს და ასეთ პირობებში იწყება იოსებ ყიფ-შიძის მოწაფეობა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში. სამწუხაროდ, მასალები, რომელთაც ხელი მიგვიწვდება, არას გვეუბნებიან იმის შესახებ, თუ რა გზით მიმდინარეობდა იოსებ ყიფშიძის განვითარე-

¹ ავტობიოგრაფიის ცნობას საცხებით ადასტურებს ოფიციალური „სახარის სია ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა, შედგენილი 1898 წ. მასში მომხდარ წლიურ გამოცდათა შემდეგ“ და დაბეჭდილი „საქართველოს საექსარხოსის სასულიერო მოამბები“ 1898 წელს მკათათვებში № № 13-14. ამ სიაში მოწაფეების გვარები დაწყობილია ორ ხარისხად და პირველი ხარისხის მოწაფეთა შორის იოსებ ყიფ შიძეს პირველი ადგილი უკირავს: „მეოთხე ნორმალური კლასი. პირველი ხარისხი: 1. ყიფშიძე იოსები“ და სხვანი (გვ. 19).



ბა სემინარიის I, II, III და IV კლასებში, ე. ი. 1902 წლამდექლაში მომდინარეობდა „რვეული სხვადასხვა შენიშვნებისათვის“, რომლის პირველ გვერდზე თარიღიად ზის „1902 წლის 17 მარტი“, ხოლო პირველი შენიშვნა ფურც. 2, გვ. 1) დათარიღებულია. 1902 წლის 1 ოქტომბრით, უმთავრესად 1902—1903—1904-ს (და ნაწილობრივ 1905 და 1906) წლებს შეეხება, ე. ი., როდესაც განსვენებული სემინარიის უკანასკნელ (V და VI) კლასებში იმყოფებოდა. ამავე ხანას შეეხება მისი მოკლე „დღიურიც“, რომელიც იმავე რვეულშია მოთავსებული (ფურც. 116 — 117). მაგრამ ამ უკანასკნელის ზოგიერთი შენიშვნა გვიჩერებს, რომ ზოგი რამ იმ მასალიდან, რაც განსვენებულს სემინარიის უკანასკნელ კლასებში წაუკითხავს, მას წინათაც ჰქონია წაყითხული. მაგალითად აქ, 1903 წლის 22 იანვრის ქვეშ ვკითხულობთ: „წავიკითხე მეორეთ დ. კონქაძის მოთხრობა „სურამის ციხე“ და შემდეგ დასძენს საუზრადლებო შენიშვნას, რომელიც იმედავნებს განსვენებულის ტემპერატურასა და განშეყობილებას სოციალური უსამართლობისამდი: „შესანიშნავი მოთხრობაა, როგორც პირველი გამომტარება იმ ხიხაძეგლითა, რასაც ბატონყმობა წარმოადგენდა საქართველოში—(ხაზასმა ჩვენია. ხ. გ.). ამავე დროს იგი ჰკითხულობს სკაბიჩევს ლიტერატურის ისტორიას (იქვე, 3 იანვრის ქვეშ: „განვაგრძე სკაბიჩევსკაგი ისტ. ლიტ.-ის კითხვა“), ეცნობა დარვინიზმს (იქვე, 28 ოქტომბრის ქვეშ), სწავლობს გერმანულ ენას (1903 წლის 12 იანვრის ქვეშ) და სხვას.

მაგრამ უველაშე უფრო საინტერესო მასალებს თვითონ შენიშვნათა რვეული იძლევა, სადაც წაკითხული მასალები დარგებადაა წარმოდგენილი და საიდანაც ნათლად ჩანს, თუ როდენ ფართო ყოფილა განსვენებულის გონიერივი ინტერესები ახალი ჭაბუკობის ხანა-

¹ ჩვენ აქ ვლაპარაკობთ თვითგანვითარებაზე და არა ოფიციალური საგნების სწავლაზე სემინარიაში, რის შესახებაც საკათა წარმოდგენას ოფიც. „სახარისხო სიები“ გვაძლევს. ეს სიები ამჟამდ ჩვენს ხელთ არის, იმავე „სასულიერო მოამბეჭი“ დაბეჭდილი 1899-იდან 1904 წლამდე და ყველაზე იოსებ ყიფშიძე აღნიშნულია „პირველი ხარისხის“ მოწაფეთა შორის, ჩვეულებრივ პირველ მოწაფედ, იშვიათად—მეორედ. ასე უვლია მას მე-VI-ე კლასმდე, რომელშიაც იგი გადასულა მეტეთე კლასიდან 1903 წლის მაისის გამოცდების შემდეგ მეორე მოწაფედ (იხ. ხანგძელი უფრნალი 1903 წ. №№ 13—14, გვ. 17). მეტეს კლასში მისი ყოფინის ღრუა კი (1904 წელს), ცნობილი არეულობის გამო, ქოთაისის სემინარია დაიხურა და მე-VI-ე კლასს მოწაფებს წება მიეცათ კურსის დამთავრების გამოცდები და დები ტფილისის სემინარიაში ჩაებარებინათ 1904 წლის 21-დან 28 აგვისტომდე (იხ. დუხსნაში ვესტნიკ გრუზიკ. ტკარქათ, 1904 №№ 13—14, გვ. 9: განვიდება ტფილისას სასულიერო სემინარიის გამგეობისა).

ში, რომელიც ჩვეულებრივ გარკვეულისა და მტკიცედ ჩამოყალიბდებოდა ბული სოფლმხედველობის ძეგის პერიოდს წარმოადგენს ხოლმე ყოველი სერიოზული ახალგაზრდის ცხოვრებაში. აქ ერთმანეთს სცელიან: ასტრონომია (ფურც. 2, გვ. 1: ფლამარიონის ასტრონომიული რომანიდან „В небесах“) და ფილოსოფია რელიგიითურთ (ფურც. 3, გვ. 1: „Что такое научная философия“ ლესევიჩისა და „Иисус Христос—Чудо истории“ შაფუისა, გვ. 2), მსოფლიო ლიტერატურა (ფურც 4, გვ. 1: „გლეხიკაცის ისტორია“ ერქმან-შატრიანისა)¹ და ქართული მწერლობა ურცლად (ფურც. 6—26), ზოგადი საისტორიო საკითხები (ფურც. 39, გვ. 1: „О матер. понимании истории“ ნ. კამენსკისა, გარჩევა ლამბრიოლას წიგნისა) და საქართველოს ისტორია (ფურც. 108—114). მაგრამ უდიდესი ადგილი ამ შენიშვნებში დათმობილი აქვს საკითხებს „პოლიტიკური ეკონომიკან“. ეს განყოფილება შეიცავს ფრიად ვრცელს ამონაშერებს ნ. კაბლუკვის თხზულებიდან: „Об условиях развития крестьянского хозяйства в России“ (ფურც. 41—54), კარიშვის „Экономические беседы“-დან (ფურც. 69—75), ისაევის „Начала политической экономии“-დან (ფურც. 85—97) და ცნობილს კლასიკურ ადგილს საწარმოო ძალთა განვითარებისა და სოციალ-ეკონომიური კრიზისების შესახებ კარლ მარქსის „Zur Kritik“-იდან, რუსულად (ფურცელი 76, გვ. 1—2).

ადგილი და დრო ნებას არ გვაძლევს, თვითეული დარგის შენიშვნებშე ცალ-ცალკე შევჩერდეთ და განსვენებულისათვის დამახასიათებელი ადგილები ამოვკრიფოთ. ამიტომ მხოლოდ ორ დარგზე შევჩერდებით: ლიტერატურულსა და სოციალ-ეკონომიურზე, საიდანაც რამდენიმე დამახასიათებელ შენიშვნას ამოვკრებთ. როგორც დავინახავთ, შემდეგში სწორედ ეს ორი დარგი დაედო საფუძვლად მის პრაქტიკულ საქმიანობას, რევოლუციონური მუშაობისა და სამეცნიერო მოღვაწობის სფეროში.

როცა განსვენებულს ერქმან-შატრიანის „გლეხიკაცის ისტორია“ გადაუკითხეს (1903 წლის 6—19 ივნისს), თავის რვეულში ვრცელი შენიშვნები ჩაუწერია (ფურც. 4—5) და შემდეგი ადგილები ხაზგასმით აღუნიშნავს: „შესანიშნავი წიგნია: ნათელ[სა] ფენს 1789 წლის რევოლუციის, ცხად ჰყოფს დიდებულთა ვერაგობას, რომელიც სისხლს სწორდენ ხალხს, აჩლუნებდენ გონებრივად, რომ

¹ შეად. იმვე ფურცელები 32—38 და 61—67—შენიშვნები და მთელი ამონაშერნი რუსული მხატვრული და კრიტიკული ლიტერატურიდან.



შესრულებული

უფრო ადვილად ებატონებით მასზე, არაფერი სწამდათ, ჯოზაფათ შესრულებული რადი კეთილდღეობისა და მასთანავე თავი მოქმენდათ, როგორც ხალხის კეთილდღეობით". (ფურც. 4, გვ. 1). შემდეგ აწერილია, თუ რა საშინელი ბეგრით და გადასახადებით სტვირთავდენ ბატონები ხალხს, ყმებს, როგორ ულმობელად ამშავებდენ და „ამდენი შრო-შისათვის აძლევდენ დღეში ერთ მკაფს და ერთ თავ ხახვს! პი-რუტყვს დაკლავდა გლეხი—ტყავი ბატონის ჯალათისა იყო. ამას გარდა იყო კიდევ მეათედი (გლეხის შემსავლისა), რომელიც მიჰ-ქონდა მდვდელს; ბერები რამდენი იყო, რომ არაფერს არ აეკიც-დენ და გლეხის შრომით რჩებოდენ! მეოცედი გლეხის მოსავლისა მეფეს მიჰქონდა. მებატონები და სამღვდელოება კი თავისუფალი იყო (სახელმწიფო) ხარჯებისაგან" (იქვე).

როგორც ვხედავთ, ამ შენიშვნებში უკვე მოცემულია მომავალი რევოლუციონერი, „გლეხიერის“ ინტერესებისათვის მებრძოლი მოვაწე.

მაგრამ განვაგრძოთ ამოწერა.

„მტკუანს სიმართლის კარებამდე უნდა მიჰყვე, თორემ ქვე-
ყანას მართალი ეგონება და სიმართლე დაიჩაგრებაო“ სწერს იგი
ხაზგასმით ცოტა ქვემოთ იმავე „გლეხიერის ისტორიის“ შენიშვნებ-
ში. ხოლო მე-5 ფურცლის პირველ გვერდზე შემდეგი საგულისხმო
ადგილი აქვს ხაზგასმული:

„ხადაც თავისუფლება არ არის, იქ კანონი ცარიელი სიტუ-
ვა“; „გინც თავის უფლებას ცოტაც არის შეალაპვინებს ვისმე, ლა-
ჩარია, თავზე ქუდი არა ხურავს; ის კაცი კი არა, პირუტყვზედაც
უარესია! და ვინც თავის მომებს ხედავს დაჩაგრულს და იმის უფლე-
ბათა აღსაღენად არ მიეშველება, ის კიდევ უარესი ლაჩარია და
თავისი ქვეყნის მოლალატე!“ ცოტა ქვემოთ: „კაცს უნდა ჰქონდეს
თავისი თავისწრებული და უბედუ—ებაშიაც გამარჯვებული გამოვა“,
ხოლო ამის წინ შემდეგი ქლასიკური ადგილია მოყვანილი მეფისა
და ერის ინტერესების დაპირდაპირების შესახებ: „როდესაც მეფის
კეთილდღეობისათვის ერის დალუპვა ხდება აუცილებელ საჭიროებად,
მაშინ მეფის გამწირვა აუცილებელია“ (ფურც. 5, გვ. 1).

ქართული მწერლობიდან განსვენებულს უკვე მოწაფეობის დროს
ინტერესებდა როგორც ძევლი, ისე ახალი ლიტერატურა, როგორც
სამეცნიერო და სისტორიო, ისე მხატვრული მწერლობა (შეად ფურც.
7, გვ. 1—2); მაგრამ „შენიშვნებში“ უფრო მეტი ადგილი აქვს და-
თმობილი მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობას, სახელდორ: ორ-
სავე ობელიანს (ფურცლ. 19 და 20), ორსავე წერეთელს (ფურც.

6, გვ. 2: „აკაკი“ და ფურულები 9—10: „წერეთელი გიორგე მარტინეს შემადგრევული მელიც 1903 წლის დეკემბერსა და 1904 წლის იანვარში გადასცემის შემადგრევული ხავს), ანტონ ფურულების (ფურც. 12—13), ილია ჭავჭავაძეს (ფურც. 16), სოფრომ მგალობლიშვილს (ფ. 22), გაერ-ფშაველას (ფ. 23), დუტუ მეგრელსა (ფ. 24) და ეგნატე ნინოშვილს (ფურც. 26). ამ უკანასკნელის გულსაქლივ ბიოგრაფიას განსვენებული მეცნიერი შემდეგი სიტყვებით ათავსდა: „ასე გაჭირვებულიდ გაატარო დრო ერთმა უნიჭიერესმა ჩვენმა ბელეტრისტმაო“... (ფურც. 26, გვ. 2). ამ სიყვარულმა ქართული მწერლობისადმი, რომელიც მას დაბალი სასწავლებლიდანვე ჰქონდა, როგორც ვნახეთ, ჩანერგილი კეთილი მასწავლებლის პ. კვიცარიძის მეობებით, განსვენებული ბოლოს ქართული ენისა და ქართული ლიტერატურის კათედრამდე მიიყვანა.

მაგრამ სემინარიაში ყოფის დროს, 1902—1904 წლებში, როცა უმთავრესად მისი „შენიშვნების რვეული“ იწერებოდა, მწერლობაზე უფრო მეტად მისი ყურადღება, როგორც უკვე ვნახეთ, სოციალურსა და პოლიტიკურ-ეკონომიკურ საკითხებს ჰქონდა მიპყრობილი; და კერძოდ ამ საკითხთა შორის განსვენებულის უურადღების ცენტრს, როგორც ჩანს, მიწის მეურნეობა, სახელდობრ სასოფლო-საცლებო მეურნეობა, და ზიწისმცულობელობის საკითხები წარმოადგენდა.

განსვენებული თანდათან პრაქტიკულ პარტიულ მუშაობაშიც ებმებოდა. ეს იყო დაახლოებით 1903—1904 წელს. მაგრამ აქ სიტყვას დავუთმობთ თვით განსვენებულის უმცროს დას, კატო ყიდშიძისას (ამ თოიძის მეულლეს), რომელიც შემდეგს ძვირფას ცნობებს იძლევა თავის პატარა მოგონებაში „იოსებ ყიფშიძის პარტიული მოლვა წერობიდან“. მოგვავს ეს წერილი თითქმის უკლებლივ და უცვლელად:

—ჯერ კიდევ ქუთაისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა იოსები, როდესაც დაიწყო მუშაობა რუსეთის სოც.-რევოლუციონერთა პარტიის ქუთაისის კომიტეტმა, იმ დროს, 1903—4 წწ., ეს მიმართულება ახლად შემოსული იყო და მიმდევართა რიცხვიც მცირე ჰყავდა. 1905 წელს, როდესაც განსაუტორებით გაცხოველებული მუშაობა უზდებოდა ყველა პარტიებს, იოსებიც მთლად პარტიული მუშაობით იყო გატაცებული და დაუღალავიდ ეწეოდა ყველა დავალების შესრულებას, რომელიც კი წილად ხდებოდა პარტიაში: თუ სოფლიად აგიტაციისთვის სიარული, თუ ქალაქში რაიმე კრებების და ჯგუფების შეკრება და მეცადინეობა, თუ კიდევ პარტიის ხაზინადრობა და მდივნობა სრულიად ჰყლაპავდენ მის თავისუფალ დროს. პარტია მალე გაიზარდა, მაგრამ სათავეში პირველად ძლიერ მცირე

ურთიერთები

რიცხვი უდგა. მაგრამ 1905-შივე, რუსეთის რევოლუციის დამტკიცებულების ცხების შემდეგ, როდესაც ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმები ცეცხლითა და მახვილით მოეშურებოდენ იმერეთისაკენ, სხვადასხეა პარტიების ხელმძღვანელნი იძულებული შეიქნენ თავი შეეფარებინათ ჩვენი ქვეყნის უფრო ყრუ ადგილებში. იოსებიც, თავის პარტიულ ამხანაგთან და ბიძაშვილთან, აწ განსვენებულ გიგა ჯულელთან, ერთად გაემგზავრა ლეჩხუმში, სადაც დაბა ლაილაშვილი უნდა შეეფარებინათ თავი ახლო ნათესავებთან. რამოდენიმე ხანს იქ დაჰყვეს, მაგრამ ჩაქეციის ტალღამ იქაც მაღალ მიახწია და ისინიც იძულებული შეიქნენ მიეშურებინათ სეანეთისათვის. სეანეთის მთებზე გადასვლა იმ დროს, შუა ზამთარში, თითქმის შეუძლებელი იყო, მაგრამ დიდის ვაი-ვაგლაბით გადალახეს მოები და იქაც ახლო ნათესავ მასწავლებელ კორნელი ჯულელში პპოვეს თავგანწირული და გულუხვი მასპინძელი. ბ. კორნელი და მისი აწ განსვენებული მეუღლე ყოველ ღონეს ხმარობდენ, რომ მათ იქ ყოფნას ეჭვი არ გამოიწვია ხალხში და კიდევაც რამოდენიმე ოვე გაატარებინეს იქ; ზოგჯერ მთელი კეირაობით კერზე ჰყავდათ ხოლმე დამალული. მაგრამ გაზაფხულზე იქაც გავრცელდა ხმა, რომ დამსჯელი რაზმი მათაც ეწვეოდათ და მაშინ კი ხალხმა მოითხოვა სტუმრების წასვლა. მაგრამ კორნელიმა და მისმა მეუღლემ აქაც ხერხი მოიგონეს და მახლობელ გამოქვებულებში დამალეს ისინი, სადაც მოაწყვეს იმდენად, რომ ცხოველება შესაძლებელი ყოფილიყო; იქ უზიდავდენ სანოვაგეს. მაგრამ იქ ყოფნაც აუტანელი შეიქნა და გადასწყვიტეს „დაბრუნება ქუთაისში. გადმოლახეს მოები და ისევ ლეჩხუმში ჩამოვიდენ. უკვე მიუახლოვდენ დ. ცაგრის, რომ გზაზე შემოეყარნენ სტრაუნიკები და პრისტავი. იოსები და გიგა, სვანი-მუშების ტანსაცმელში გამოწყვიბილნი, საეჭვო პირებად ეჩვენათ. გიგას პასპორტი ჰქონდა შესაფერისი, იმსებს კი არა და ამიტომ ის დაატყვევეს და წაიყვანეს ცაგრის ციხეში¹, გიგამ კი მარტო განაგრძო გზა. ცაგრის ციხეში აუტანელი პირობები იყო: არავითარი საწოლი—ცალიერი ფიცრები და თავქვეშ მისადები ქვა, საშინელი საზრდო და უდინერი მოპყრობა. აქ დაპყო

¹ მთელი ამ ლტოლვისა (სვანეთში) და დატყვევების შესახებ გამსვენებულის „დღიურის“ ბოლოშიაც (ფურც. 117, გვ. 1) მოიპოვება მოკლე შენიშვნა, საკუთარი ხელით ჩაწერილი: „1906 წ. იანვრის 28, შაბათ დღეს, რეაქციის დროს გადავითარ სვანეთის მთა „მუშური“. 27 მარტს დამიჭირეს“. გიგა ჯულელზე არას ამბობს, ალბათ, სიფრთხილისა გამო, თუ ვინიცომაა ეს დღიური ჩაუვარდებოდა ვისმე ხელში.

იოსებმა ერთი კვირა. ამასობაში გიგამ მიახწია ქუთაისის მუნიციპატების იოსების ამბავი მის დება და სიძეს (პლატონ გოგოძეს). ვნების კვირა იყო მიწურული. იმ დროს ტკვეებს გზაენიდენ ხოლმე ქუთაისში პლასტუნების თანხლებით, რომლებსაც ეზარებოდათ ასეთი ხშირი მოგზაურობა და ხშირად ტუსალებს ხოცავდენ იმ მიზეზით, რომ თითქოს ისინი გაქცევას აპირებდნენ. საჭირო იყო წასვლა ცაგერში და უყობრივი პლასტუნების ხელში არ ჩავარდნილიყო და ნაცნობობით მოხერხებულიყო ჩვენი ყარაულით წამოყვანა. მიუხედავად იმისა, რომ საჭირო იყო კარგა დიდი თანხა, არავითარ შრომას არ დაერიდა სიძე მისი პ. გოგოძე და გაეშურა მის საშველად. ცაგერში ნაცნობების დაბმარებით მოახერხა მისი წამოყვანა ისე, რომ თვითონ თითქმის გვერდით მიჰყებოდა. ასე გადაარჩინა აუცილებელ სიკვდილს და ჩამოყვანა ქუთაისში, სადაც პოლიციამ სრულიად გაათავისუფლა... 1906 წელი იყო უკვე მაშინ. ამ წლის ზაფხული ისევ პარტიულ მუშაობას განაგრძობდა და აგვისტოში კი გადასწყვიტა პეტროგრადს გამგზავრება და უმაღლეს სასწავლებელში შესვლა. პირველ წელიწადს იქ, რუსეთშიაც განაგრძობდა პარტიულ მუშაობას და კიდეც წლის ბოლოს სრულიად გამოიძევს პეტროგრადიდან: ის ძლიერ ადრე დაბრუნდა ქუთაისში. გავლენიანი პირების დაბმარებით ისევ დართეს ნება ჩასულიყო პეტროგრადს 1907 წელს. ამ წელს ის შევიდა ოღონისალეოთის ფაქულტეტზე და ჩაება მეცნიერულ შრომაში¹.

II

უნივერსიტეტი. სამეცნიერო მუშაობა და პროფესორობა. კერძო ცხოვრება და სიკვდილი.

როგორც ვნახეთ, 1906 წელს იოსებ ყიფშიძე პეტერბურგის უნივერსიტეტში • შესულა, მაგრამ სარევოლუციო მუშაობის გამო იქიდან მალე გამოუძევებით და მხოლოდ 1907 წელს მოუხერხებია იმავე უნივერსიტეტში მტკიცედ ფეხის მოკიდება. ამის შესახებ განსენებულის „Curriculum vitae“-ში, რომელიც 1914 წელს უნდა

¹ განსვენებულის ნაწერებში დაცულია რვა საკმაოდ სქელი სასტუდენტო რევული; საიდანც ჩანს, თუ რამდენად ინტენსიურ სამეცნიერო მუშაობაში ჩაბმულა განსვენებული: ქველ-ქართული ენა და მეცრული, სვანური და სომხური, სპარსული და გერმანული, აგრეთვე ლურსმული წარწერები და მათი ენა, დასასრულ ლიტერატურა ქართული, სომხური და სპარსული,—აი როგორია დაახლოებით მრავალმრიგი და მდიდარი შინაარსი ამ რევულებისა.

იყოს შედგენილი, ვკითხულობთ: „1906 წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის პეტროგრადის უნივერსიტეტში ფიზიკურ-მათემატიკური ფაკულტეტის საბუნების მეტექცელო განცოცილების საგეოგრაფიო დარგზე, და იმავე დროს ქართული ენისა და ისტორიის ლექციებსაც ისმენდა აღმოსავლეთის ფაკულტეტზე. ერთი წლის შემდეგ გადავიდა აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1911 წელს პირველი ხარისხის დიპლომით. სტუდენტობაშივე, მე-III-ე კურსზე რომ სწავლიდა, 1909 წლის ზაფხულის თვეებში მიღლინებულ იქნა ფაკულტეტის მიერ სამეცნიეროში მეცნიერული ენის შესასწავლად და გამოსაცვლევად. მეორე წელს, იმავე მიზნით ფაკულტეტის მიერ მიღლინებულმა, სამეცნიერო აკადემიისგანაც მიიღო მიღლინება რუსეთის ლაზისტანში მასალების შესაკრებად ჭანური ენიდან¹. უნივერსულებულის დამთავრების შემდეგ დატოვებულ იქნა უნივერსიტეტთან მის მიერ არჩეულ სპეციალობაში სამეცნიერო მუშაობის განსაგრძობად, სახელდობრ ქართულ ენათმეცნიერებაში, პროფესიონის ნიკ. მარის ხელმძღვანელობით. ორჯელ კიდევ იმოგზაურა სამეცნიეროში: 1911 წელს სამეცნიერო აკადემიის მიღლინებით², ხოლო 1912 წელს მიღლინებული იყო რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოების მიერ. 1913 წლის მაისში შეუდგა გამოცდებს ქართული ფილოლოგიის მაგისტრის ხარისხისათვის. იმავე წლის ზაფხულს იყო გერმანიაში გერმანულ ენაში სამეცნიერო, ხოლო შემოდგომაზე, პეტროგრადში დაბრუნების შემდეგ, დაათავა სამაგისტრო გამოცდები“.

1911 წელს მიწვეული იყო ქართული ენის მასწავლებლად ეგრეთწოდებულ „აღმოსავლეთის პრაქტიკულ აკადემიაში“, ე. ი. კავკასიონი ენების პრაქტიკული შესწავლის კურსებზე, პეტროგრადის ორიენტოლოგიის საზოგადოებასთან, და ამ კურსებზე მუშაობამ იმავე წელს მისცა მას შემთხვევა გამოეცა ლითოგრაფიული კურსის

¹ ამ მიღლინების შედეგად დაიბეჭდა მისი შრომა „Деполнительная свидетельств о чанском языке“ Спб. 1911 წ. და ჭანური ლექსი „ბიჭი და ბოზო“ (სამეცნიერო აკადემიის ბიულეტენში 1911 წ., გვ. 1123—1124); აგრეთვე ეთნოგრაფიული წერილი „ჭანები და ჭანეთი“ („ნაკადულში მოხრდილთათვის“ 1911 წ. №№ 8—10). თუ როგორის თავდადებით მუშაობდა ამგვარი მიღლინების დროს განსცენებული, ამის შესახებ ის. ფრიად საგულისხმო ფაქტები ლ. გეგემეკორის მოვონებებში „სამაგალითო ადამიანი“ (გან. „სახალხო საქმე“ 1919 წ. 25 თებერვალი, № 466, გვ. 3, სვეტი 2).

² განსცენებულის ქალაქდებში დაცულია სამეცნიერო აკადემიის მანდატი ამ მიღლინების შესახებ 1911 წლის 24 მაისის თარიღით და № 1632-ით, რომელშიცაც ნოთქვამია, რომ ი. ყიფშიძე „მიღლინებულია ქუთაისის გუბერნიაში საენათმეცნიერო კვლევათათვის და მასალების შესაგროვებლად მეცნიერული ენიდან“.

სახით „ქართული ენის გრამატიკა“ (რუსულად. პეტერბურგში 1875-ის წ.). ამავე „აკადემიისათვის“ ამზადებდა იგი „ახალ ქართულ ქართული ტომათიას“, რომლის მასალები მის ხელნაწერ ქაღალდებში ინახება.

1913 წელს „საქრისტიანო ომოსავლეთში“ (ტ. II, წიგნ. 1, გვ. 54—104) დაბიბეჭდა ფრიად საყურადღებო ნაშრომი: „Житіе св. Антонія-Раваха“ (ქართული ტექსტი, რუსული თარგმანითა და გამოკვლევით), რომელსაც სპეციალისტები აღტაცებით შეხვდენ. *

1914 წელს, მარტში, არჩეულ იქნა რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოების წევრად-თანამშრომლად (იხ. განსვენებულის საბუთებში დასახელებული საზოგადოების უწყება 1914 წლის 17 მარტიდან № 42).

განსვენებული მონაწილეობას იღებდა სამეცნიერო აკადემიის კომისიაში ქართული ბიბლიისა და ქართულ-რუსული ლექსიკონის გამოსაცემად. ამასთანავე, სამეცნიერო აკადემიის მინდობილობით, დასაბეჭდად ამზადებდა მეორე გამოცემისათვის სულხან-საბა თრბელიანის ლექსიკონს ტფილისისა და პეტროგრადის ხელნაწერთა მიხედვით; და ამ მიზნით 1914 წელს, ზაფხულის თვეებში, გამოიკვლია ტფილისში რამდენიმე ათეული ხელნაწერი საბა თრბელიანის ლექსიკონისა. *

იმავე 1914 წელს გამოავეუნა თავისი კაპიტალური შრომა და ვეირგვინი ჰელლა თავისი სამეცნიერო კვლევაძიებისა მეგრულ ენაში: „Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем“ (შეიცავს XL+0150+424 გვერდს და მოთავსებულია სერიაში: „Материалы по яфетическому языкоизнанию“, вып. VII), რომელიც იმავე წელს 23 ნოემბერს კიდევაც დაიცვა აღმოსავლეთის ენათა ფაკულტეტის სიჯარო კრებაში სამაგისტრო ხარისხის მოსაპოებლად. დღესაც ბევრს ახსოვს ოფიციალური მანნენტის პროფ. ნიკ. მარის აღტაცებული რეცენზია ამ ნაშრომის შესახებ, ჯერ კრებაში სიტუციერად წარმოთქმული და შემდეგ „რუსეთის საარქეოლოგიო საზოგადოების“ ორგანოში გამოქვეყნებული (იხ. „Записки восточн. отдел. имп. русск. археологич. общества“ т. XXIII, გვ. 202—216). მოვკვავს ამ შესანიშნავი რეცენზიის ბოლო სტრიქონები სრულად და უთარგმნელად: „Я не откажусь повторить

* იხ. ამის შესახებ ლ. მელიქიშვილ ბეჭის წერილი „Памяти проф. I. A. Кипиашвили“, განეთ „Тифлисский Листок“-ზე 1919 წ. 1 მარტი, № 48.

² ამავე ხანებში დაიბეჭდა მისი ფრიად საბუთიანი რეცენზია თ. კლუბ ეს Beiträge zur Mingrelischen Grammatik-ის შესახებ (იხ. „Зап. Восточн. Отд. Имп. Русск. Археол. Общества“, т. XXII, გვ. 239—246; ცალკე ამონაბეჭდი, გვ. 1—8).



мое мнение о научных достоинствах книги. Факультет Восточных языков автора ея удостоил степени магистра грузинской словесности. Однако „если бы она была представлена в качестве диссертации на степень доктора грузинской филологии, автор ея также со спокойной совестью мог бы быть удостоен высшей ученоей степени, как сейчас я нахожу его вполне заслуживающим степень магистра грузинской филологии“ (იქვე, გვ. 216; ცალკე მომნაბეჭდისა გვ. 14).

ეს იყო, როგორც მოგახსენეთ, 1914 წლის ნოემბრის ბოლო კვირეში (23 ნოემბერს). სამითე თვის შემდეგ, სახელდობრ 1915 წლის მარტის დამდეგს, მან მიიღო პეტროგრადის უნივერსიტეტის კანცელარიიდან შემდეგი უწყება (7 მარტს, 1915 წ. № 817):

„ქართული ფილოლოგიის მაგისტრს ითხებ ალექსის ძეს ყიფშიძეს.

„უნივერსიტეტის საბჭოს კანცელარიას პატივი აქვს გაცნობისთ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, რომ პეტროგრადის სასწავლო ოლქის მზრუნველის წინადადებით, ა. წ. 2 მარტიდან № 5758-ით, ნება გეძლევათ 1915/1916 სასწავლო წელს, პრივატ-დოცენტის ხარისხით, იკითხოთ ლექციები პეტროგრადის საიმპერატორო უნივერსიტეტში კურსებიდან: „ძევლი სალიტერატურო ქართული მსებუქი ტექსტების კითხვით“ (2 ლექცია კვირაში) და „მეგრული ენა“ (1 ლექცია კვირაში); ამასთანავე, იმავე რიცხვიდან, თქვენ ჩარიცხული ბრძანდებით ხსენებული უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტთა შემადგნლობაში“ (ხელს აწერს „საბჭოს მდივანი“).

ამგარად 1915 წლიდან იწყება განსვენებულის ჩვეულებრივი საპროფესორო მუშაობა იმ სასწავლებელში, რომელმაც იგი აღზარდა და და ესეთის გულმუშურვალებით მიიღო თავის პროფესორთა კორპორაციაში. ამ თანამდებობაზე დარჩა განსვენებული პეტროგრადში 1917 წლამდე.

1916 წელს, მისი რედაქტორობით, სამეცნიერო აკადემიის მიერ იყო გამოქვეყნებული პეტროგრადის ქირთველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის შეკრებილი მასალების ერთი ნაწილი ქართული ბიბლიოგრაფიიდან, სათაურით: „Грузинская библиография. I. Указатель статьям и материалам в грузинской периодической печати (1852—1910). Языкознание, Этнография, География, Археология, История, Народная словесность и Древняя литература“ (პეტროგრადი. 1916).

იმავე წელს „საქართველოს აღმოსავლეთის“ მეოთხე წელში (წიგნი III) დაიბეჭდი განსვენებულის შენიშვნები: „Мингрелизмы в грузинских надписях из Мингрелии“ (გვ. 315—317); ხოლო 1917 წელს, იმავე კრებულის V ტომის II წიგნში, მოქლე, მაგრამ საგულისხმო, შენიშვნები: „Еще о мингрелизмах в грузинских надписях из Мингрелии“ და ე. ა. პახომოვის „Монеты Грузии“-ს შესახებ (გვ. 155—156).

პეტროვადის უნივერსიტეტში პრივატ-დოცენტობის დროს (1915—1917 წლებში) განსვენებულის მიერ იყო შედგენილი და დასაბეჭდად გადაცემული „ძელი ქართული ქრესტომატია“, რომელიც მხოლოდ 1918 წელს გამოვიდა, როცა განსვენებული უკვე პეტროვადში აღარ იყო. მას ამ დროს უკვე სულ სხვა საქმე ჰქონდა განენილი და სხვა ვალი დაკისრებული.

ჩვენ ვგულისხმობთ ქართული უნივერსიტეტის დაარსებას ტფილისში; ამ საქმეს, სხვებთან ერთად, განსვენებულმაც დიდი ლგაწლი დასაცდო და დიდი ძალა შეალია; და ბოლოს ხომ მის მოვლა-პატრონობაში დალია თავისი ხანძოელე სიცოცხლე.

საქმე ის არის, რომ ქართული უნივერსიტეტის დაარსება და მოწყობა განსაკუთრებულ, არჩევულებრივ, პირობებში მოხდა: კერძოს მთავრობა ამ საქმეს არცთუ საჭირო გულწრფელობით ეპირობოდა და ამიერკავკასიის სეიმიც კერძო იჩენდა საქმით გულმხურვალებას: ქართველობას საქართველოს საშუალებათაგან უხდებოდა მეცნიერების ახალი კერის მოწყობა და გაძლობა. ამას უნდა დაგუმატოთ თებერვლის რევოლუციის შემდეგ აქ შემორჩენილი ხულიგნური ელემენტების კბილთა ღრმენა და გველური სისინი და საქართველოს სამეცნიერო ძალა სიმცირე. ასეთ პირობებში, რასაკეირველია, იმ ორიოდე თავგანწირულ პიროვნებას, რომელნიც ამ საქმის სათავეში იდგენ, დიდი შრომა, სიტრობილე, თავდადება და მომჭირნეობა უნდა გამოეჩინათ, რომ საქმე თავიდანვე არ გამრუდებულიყო და თანდათან მტკიცე ნიადაგზე დამდგარიყო. ამ პატარა წრეში იყო განსვენებული იოსებ ყიფშიძეც.

მოსკოვ-პეტროვადში ოქტომბრის რევოლუციის აფეთქებისათანავე მან დასტოვა რუსეთი და მთაშურა საყვარელ სამშობლოს, სადაც მხნედ გვერდში ამოუდგა ეროვნული უნივერსიტეტის დაარსების დიდ ინიციატორს და თავის ყოფილ მასწავლებელს ივ. ჯავახიშვილს, რომელთანაც ერთად, ბოლოს, ბრწყინვალედ დააგვირგვინა ეს დიდი და ისტორიული საქმე 1918 წლის 26 იანვარს. როგორც მოგეხსენებათ, ყოველ დიდ საქმეს თავდადებული და ნი-



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

შემადგროვებელი

ჭიერი ტექნიკური განმახორციელებლები ესაჭიროება, და განვითარებული იოსებ ყიფშიძეც თავდავიწყებით მიეცა ამ საყვარელ საქმეს. როგორც მოგახსენეთ, ნივთიერ საშვალებათა და ამ საქმეზე გულმხურვალედ მომუშავე პირთა სიმცირე მოითხოვდა უზომო მომჯირნებაბასა და ენერგიის გამოჩენას. და ვეონებ დღესაც ბევრს იმის ნაცნობს ეხსოვდება ის უმაგალითო ენტუზიაზმი, რომლითაც განსვენებული ამ საყვარელ საქმეს ემსახურებოდა: როცა ამ საქმეზე მუშაობდა, მისთვის ორავითარი დალლილობა, უძილობა, სიცივე და სიმშილი აღარ არსებობდა; ამასთან ერთად ორავითარ „შავ“ სამუშაოს არ ერიდებოდა: ხშირად, ძალიან ხშირად, რომ საქმე არ გაჰიანურებულიყო, საბარვო ერლებსა და აეტომობილებზედაც კი იჯდა ხოლმე და შოთერ-მეტლებთან ერთად მოაქანებდა უნივერსიტეტის შენობისაკენ, წყნეთის ქუჩაზე, საჭირო ივეჯხა და მოწყობილობას მთავრობის მიერ გაუქმებულ სხვადასხვა დაწესებულებათაგან.

ამასთან ერთად ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში მას ჩაბარებული ჯეონდა ერთერთი ძირითადი კათედრა სიბრძნისმეტყველების ფაულტეტზე — ქართული ენისა და სიტყვიერებისა და ფაულტეტის მდივნობა; 1918 წლიდან კი, ამ უკინასკენის ნაცვლად, მას ეკირა უნივერსიტეტის საბჭოს მდივნობა და გამგეობის წევრობა; ხოლო იმავე წლის დამლევს არჩეული იყო ხსენებული ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ და ამ თანამდებობაზე ითვლებოდა გარდაცვალებამდე.

მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი იყო განსვენებულის უდიდესი და უსაყვარლესი საქმე, მაინც მარტო უნივერსიტეტისათვის ზრუნვითა და მუშაობით არ განისაზღვრებოდა მისი მოღვაწეობა მას შემდეგ, რაც იგი სამშობლოში დაბრუნდა და დაბინავდა. ჯერ კიდევ 1914 წლიდან იგი არჩეული იყო „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების“ ნამდვილ წევრად და, როგორც ასეთი, მხურვალე მონაწილეობას იღებდა ამ საზოგადოების მუშაობაში სამეცნიერო მოხსენებათა კითხვითა და მიელინებათა ასრულებით. მაგალითად 1914 წელს „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში“ მან წაიკითხა მოხსენება: „მეგრული ენა და მისი შესწავლის ისტორია“, რომლის შავი დღესაც დაცულია მის ხელნაწერებში (№ 7); ხოლო 1918 წლის ზაფხულს, იმავე „საზოგადოებისა“ და კავკასიის ხარჯეოლოგიო ინსტიტუტის მინდობილობით, ერთხელ კიდევ იმოგზაურა ლაზისტრაში, სადაც შეკერიბა მრავალი მასალა ენისა და ეთნოგრაფიისათვის (შ. ბერიძე — პროფ. იოსებ ყიფშიძე). ტფიო. 1920, გვ. 2, სადაც შეცომით „1919 წლის ზაფხუ-

ლია” დასახელებული, როდესაც განსვენებული ჟკვე ცოცხალზე დასტურდა იყო). ტფილისშივე 1915 წელს იგი მუშაობდა კომისიაში, პროცესუალურ მაც იმავე წელს გამოსცა (განსვენებულის მიერ შედგენილი) „სახელ-მძღვანელო ვრცელი ქართული ლექსიკონის შესადგენად” (ტფილისი, 1915 წ. კომისიის შემადგენლობა იყო ასეთი: ივ. ჯავახიშვილი, კორნ. კეკელიძე, ს. ვორგაძე, აკ. ზანიძე, იუსტ. აბულაძე და სხვინი).

ამას გარდა, მართალიცა, წმინდა სამეცნიერო მუშაობამ 1907 წლიდან იგი ჩამოაშორა პოლიტიკურ პარტიებსა და პარტიულ მოღვაწეობას, მაგრამ იგი შეძლევშიაც, უკანასკნელ წუთებამდე, ცხოველის ინტერესით ადგენებდა თვალს ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების მაჯისცემის და რამოდენადმე მონაწილეობასაც იღებდა მშობელი ერის პოლიტიკურად აღმოჩნდინებისა და გამაგრების საქმეში. როგორც ყოფილ რევოლუციონერს, მას დიდად ახარებდა ყოველი ნაბიჯი, რომელიც კი მიმართული იყო ძველი, დახმარებული, მონარქული რევიმის დასარღვევად.

ამასთან ერთად, როგორც სოციალისტი და ეროვნული თეით-არსებობის თვალსაზრისხე მდგრმი მოაზროვნე, 1917 წლის თებერ-ვლის რევოლუციის შემდეგ, ჩევნში არსებულ პოლიტიკურ პარტია-თა შორის, შედარებით მეტ სიმპათიას იჩინდა სოციალისტ-უფლე-რალისტთა პარტიისადმი, და ხშირად მისი გვარი და სახელი ამშე-ნებდა ხოლმე ამ პარტიის საარჩევნო სიებს როგორც დამფუძნებელი კრებისა, ისე ქალაქის თვითმართველობისათვის. (შეად. ლ. მელიქსეთ-ბეგის ზემოხსენებული წერილი თიფლ. ლისტოკ-ში, 1919 წ. № 48). ამასთანავე ის ხშირად ესწრებოდა ხოლმე „საქართველოს ეროვნული საბჭოს“ სხდომებს („დამფუძნებელი კრების“ გახსნას ის ვეღარ მო-ესწოო), რისთვისაც მას საგანგებო მუდმივი წიგნაჟიც ჰქონია მიცე-მული ეროვნული საბჭოსაგან, შემდეგი შინაარსისა: „საზოგადოებ-რივისა და რევოლუციონურ თრვანიზაციათა წარმომადგენელთა-თვის მოწმობა, მუდმივი № 126: ამ მოწმობის პატრონს ტფ. სა-ხელმწ. უნივერსიტ. პროფესორს, საქართველოს დემოკრატიულ რეს-პუბლიკის მოქალაქეს იოსებ ყიფშიძეს, უფლება ეძლევა საბჭოს სხდო-მებს დაესწროს“. ხელს აწერს: „ეროვნული საბჭოს ქვესტორი—ერ-ელობიანი“ (ეს მოწმობა დაცულია განსვენებულის საბუთობში).

დასასრულ, ამავე ინტერესს პოლიტიკური საქმეებისადმი ჰმოწმობს შემდეგი დოკუმენტი, აგრეთვე მის საქმეებში დაცული, ომლიდანაც ვრცყობილობთ, ომი 1918 წლის ვაზაფხულზე იგი მონაწილე ყოფილა ჩე სამშენებლობო დელეგაციისა, რომელსაც ამიერ-

კავკასიის სეიმისაგან დავალებული ჰქონდა ოსმალეთში არისტოკრატიული მოლაპარაკებათა გაძლოლა. აი ეს დოკ მენტი:

„Делегация Закавказского Сейма по мирным переговорам с Турцией. 9/22 марта 1918 г. № 32, г. Трапезунд, Удостоверение. Сие удостоверение выдано I. Кипшидзе в том, что он состоит советником при делегации Закавказского Сейма по ведению мирных переговоров с Турцией. Председатель делегации А. Чхенкели“.

ამგვარად, განსვენებულის პოლიტიკური სტაჟი და სამეცნიერო ერუდიცია (განსაკუთრებით ლაზისტანის და ჭანური ენის ღრმა ცოდნა) საბოლოოდ თავს იყრიან სამშობლო ქვეყნის უდიდესი განსაკლელის ქამს, რომ ხელი-ხელ ჩაკიდებით სათანადო სამსახური გაუწიონ პოლიტიკური აღორძინების გზაზე ახლად შემდგარ სამშობლოს.

ასეთი იყო განსვენებულის პოლიტიკური ღვაწლი და სამეცნიერო დამსახურება იმ მასალების მიხედვით, რომელთაც ხელი მიგვიწვდებოდა¹.

¹ განსვენებულის ნაშრომთა და ნაწერთა ზემორე მოყვანილი სიის შესავსებლად ჩვენ შევგიძლია დავასახელოთ კიდევ შემდეგი ნაწერები;

1) სტატია ნ. მარის „Основные таблицы“-ს შესახებ („ამომავალ მხე-ში“ 1909 წ. № 1).

2) ლაზების შესახებ „თეატრსა და ცხოვრებაში“ 1915 წლის ივნისის ერთ ერთ ნომერში.

3) „პროფესორი ნ. მარი უკიცობის სამსჯავროს წინაშე“ ხელმოწერილია განსვენებულის ფსევდონიმით: „მაკოშვილი-ალექსიძე“ („დროება“ 1910 წ. №№ 42, 44, 48, 49).

4) „ანის ნაგრევებშე“ („კოლხიდა“ 1911 წ. № 68), იმავე ფსევდონიმით.

5) „ოდიშა და სამურზაყანოში“ („კოლხიდა“ 1911 წ. № 117).

6) „ნ. მარი იახალი წიგნი“ (გ. მეტრიული), გამ. „კოლხიდა“ 1911 წ. № 62.

7) „მცირე შენიშვანა“ (კანების შესახებ). „სახალხო განეთი“ 1912 წ. № 779.

8) „ქართული სასულიერო კონცერტი პეტროვგრადში“ ibid, 1914 წ. № 1151.

9) „Кн. Акакий Ростомович Церетели“ (некролог) „Биржевые Ведомости“ 1915 წ. 27 იანვ. № 14636.

10) „დღვეუნდელი ეთნოგრაფიული საღამო-კონცერტის გამო“ („სახ. ფურც. 1917 წ. 31 მაისი“).

11) „ნიკო ჭანაშიას ბსოვნას“ („სახალხო საქმე“ 1918 წ. № 219, 12 აპრილი).

ამ თერთმეტი ნაწერის შესახებ ცნობები ჩვენ ამოვილეთ განსვენებულის რვეულიდან. რომელსაც სათაურად აქვს: „ჩემი ნაწერების სია“. (აბზ. 12) ამას გარდა განსვენებულის წიგნებში აღმოჩნდა მის მეორე შედგენილი მოკლე „Очерк истории Грузинской литературы до конца XVIII века“ (из „Отечества“).

13) მის ხელნაწერ ნაშრომთაგან ჩვენ აქ საქმაოდ მიგვაჩნია დავასახელოთ: „ერეკლე მეორის შინაური პოლიტიკა“ მოხსენებად ჭაკითხული ქართულ სამეცნიერო წრეში, პეტროგრადში“ 26 მარტს 1908 წელს;

დაგვრჩა სათქმელი კიდევ ორიოდე სიტყვა განსვენებულის ჟურ-
ნალის ცხოვრებისა და პიროვნების შესახებ.

კერძო ცხოვრებაში განსვენებული მეტად მიმზიდველ პიროვნე-
ბას წარმოადგენდა: ამას პშოჭმობენ როგორც მისი ყოფილი ამხანა-
გები (სკოლისა), ისე თანამსახური, მსმენელ-მოწაფენი და მეგობარ-
ნათესავები. პირადად მე განსვენებულს მისი ცხოვრების უკანასკნელ
პერიოდში გავეცანი, სახელდომრ 1914 წლიდან, და მასში ყოველ-
თვის მიზიდავდა მისი ხასიათის სისადავე, უბრალობა, უბომო თავა-
ზიანობა და გულშროფელი თანაგრძნობა ყოველი ადამიანისადმი, ვინც
კი რამე საქმისათვის მიმართავდა, ცხოველი, თავდავიწყებასა და
თავეგანწირულებამდე მიმავალი, ინტერესი გაჭირვებაში მყოფ მეგო-
ბართა და ნათესავებისადმი; ამასთან ერთად საოცარი აულელებ-
ლობა (თავდაჭერილობა) და სიღინჯე, მტკიცე ნებისყოფა, დაუღა-
ლავი ენერგია და შრომისმოყვარეობა. ერთი მისი თანამსახურთა-
განი (ტფილისის უნივერსიტეტში), ლეონ მელიქსეთ-ბეგი, ასე ახა-
სიათებს განსვენებულს, როგორც კერძო ადამიანს:

„Нужно сказать, что покойный сумел вообщe снискать к
себе всеобщую любовь и уважение со стороны всех, кто только
знал его: будучи человеком кристалически-чистым, обладающим
ровным и спокойным характером, он в тоже самое время наде-
лен был всеми лучшими качествами хорошего семьянина и чест-
ного общественного деятеля“ და სხვანი (იხ. მისი წერილი თიფ-
ლისკ. ლისტოკ-ში, 1 მარტს 1919 წ. № 48).

ხოლო მისი მეორე თანამსახური (იმავე უნივერსიტეტში) და
მეგობარი ლადო გეგეჭორი შემდეგს საგულისხმო სტრიქონებს უძ-
ღვნის ახლად გარდაცვალებულის მეგობრის ხსოვნას:

14) შესავალი ლექცია წაკითხული პეტროგრადის უნივერსიტეტში 1915 წ.
9 ოქტომბერს—„Ассимиляция и диссимиляция в грузинском и мингрельском
языках“ რომლის ქართული თარგმანი, ჩერგ მიერ შესრულებული, შემდეგ და-
ბეჭდა „ტფილისის უნივერსიტეტის მოაბებში“ № 1);

15) შესავალი ლექცია წაკითხული ტფილისში ქართულ უნივერსიტეტში
1918 წელს;

16) ჭანეთში მოგზაურობა და მასალები ჭანერი ენისა (რომელიც ჩაიბარა
პროფ. გ. ჩუბინაშვილმა „კავკასიის საარქეოლოგიო ინსტიტუტისათვის“ ვადასა-
ცემად).

17) სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, გამოსაცემად დამზადებული, არ-
სებულ ხელნაწერთა აღწერილობით (გადაეცა ტფილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტს).

18) რუსულ-მეგრულ-ჭანური ლექსიკონი (რომელიც გადაეცა იმავე უნი-
ვერსიტეტს).



„ქართული თვით უბადლო მოქალაქის ხელშიც კი უნდა მოიქმედო რეპეტიცია ხატოს პროფ. ი. ყიფშიძის დიდმუნებოვნობა, მისი მდგრადი მიზანითაც. კარგი კაცობა და გულებეთილობა! იშვიათი ქართველი იყო, შრომის და მეცადინეობის განხორციელება. საკუთარ ტანჯვას არავის გაუმ-ხელდა, სხვის ტანჯვას კი მუდამ ინაწილებდა; ჩუმი მუშაკი იყო, წყნარი; დევიზად დაესახა: მეტი საქმე და ნაკლები სიტყვა; შრო-მა!.. მის მეგობრებს არ ახსოვთ, რომ ოდესაյ იოსებს რაიმეს გაკე-თება დაზარებოდა... ხშირად მუშაობა იმ რიგად გაიტაცებდა, რომ ავიწყდებოდა საკუთარი ოჯახი, ავიწყდებოდა თავისი უსაყვარლესი პაწია ვოკი... როდესაც საქმე მოითხოვდა, მთელი დღე განუწყვეტ-ლივ დარბოდა დაწესებულებიდან დაწესებულებაში, როგორც უბრა-ლო კანცელარიის გზირი, ან წერილის დამტარებელი... მის მიერ განაწყენებულს ვერავის შეხვდებით. მისგან ამაღლებული სიტყვაც კი არ ახსოვთ მის ხელქვეითებს. ამ სტრიქონების დამწერი მთელი წელიწადი უნივერსიტეტის საქმეების გამო მასთან მუშაობდა და ერთჯერაც არ ახსოებს მისი აჩქარება ან გაწყრობა; მუდამ პირი-დან შაქირი სცვივოდა კურთხეულს და ჩეენ ამის გამო მას ვეძახ-დით: ფაბილს იოსებს“... (იხ. „სახალხო საქმე“ 1919 წ. 26 თე-ბერებულის № 466).

ასეთივე განსვენებულის ერთერთი მსმენელის, სტუდენტის ვარლამ ძიძიგურის, სიტყვებიც განსვენებულის შესახებ (იმავე გაზე-თის იმავე ნომერში): „სიკედილი უგულო ქურდია: ფარულად შემო-ვეყარა მდიდარ სამშობლოში და... ყოველი დარგიდან იტაცებს საუკეთესო განძს. გუშინ მან ჩენი ნორჩი უნივერსიტეტის კადლებ-შიც შემოიხედა და იქიდან მოვგვარა ლამაზი სული ახალგაზრდა მეცნიერისა. სიკედილის ღმერთს რომ სცოდნოდა, ეგ რა დანაშა-ული ჩაიღინა, როგორ დაგვაობდა, რარიგ მწარედ დაგვითუთქა გული, — ჩენს საყვარელს, წყნარს, შშეიდს, მომზადებულს მასწავლე-ბელს არ წაგვაროთმევდა. რა გაუკეთდა იმის ფასი, რაც ჩენ და-გვაკლო?... მშვიდობით, მასწავლებელო, სიტყვებს არ გეტყვით; ცრემ-ლების დღე!..“

1914 წელი საგულისხმო წელიწადი იყო განსვენებულის ოთველიც სამეცნიერო მოღვაწეობაში (ამ წელს ვამოვიდა მისი შესანიშნავი ნაშრომი მეგრული ქნის შესახებ და ამავე წელს მოხდა ამ ნაშრომის ბრწყინვალე დაცვა საჯარო კრებაში, როგორც თავის აღავს მოვისხენთ), ისე მის კურძო ცხოველებაში. სწორედ ამ წელს, ტფილისის სიძეველეთსაცავებში მუშაობის დროს, მან ვაიცნო მას-წავლებელი ქალი ევგენია ყითელის ასული. მოწონა, დაუახ-

შრომისადა

ლოვდა და მალე კიდევაც დაქორწილდენ. ტკბილად ჭრული დროებისა თითქმის ხუთი წლის განმავლობაში, ვიდრე ულმობელმა სიკვდილმა არ დააშორა ერთმანეთს. ამ ქალისაგან მას დარჩა ორი ობოლი: ვაჟი—გოგი და ასული—თინა. განსვენებულის ქალალდებში მოიპოვდა შენიშვნები სათაურით: „გოგის ენა, 2—3 წლისა“, რომელიც წარმოადგენს დაკვირვებებს თავისი ვაჟის ენაზე. არავითარი სახსარი განსვენებულისაგან მის ქვრივ-ობლებს არ დარჩენიათ; და მისი სადარდელიც სიკვდილის წინ სწორედ ეს გარემოება იყო, როგორც ერთ-ერთ თავის მომვლელს თურმე ვაჟზიარა: „გულს ის მიკლავს, რომ ცოლსა და შვილს ვერაფერს ვუტოვებონ“.

იგი გარდაიცვალა 1919 წელს 21 ოქტომბერის სასტიკი სენისაგან — წინწერებინან სახადისაგან, რომელიც მაშინ მოულს ამიერკავკასიაში მდგინგარებდა და, ჯარებისა და ლტოლვილების მეოხებით, თვით ტფილისის უნივერსიტეტის კედლებშიაც შემოაწია. რამდენადაც მის თვალსა და ახლო მეგობარ-ნათესავებს შეეძლოთ, მოვლა არ დაუკლიათ, განსაკუთრებით თავი გადასჭო მისმა სკოლის ამხანაგმა და მეგობარმა ექიმმა ვალერიან კაკოშვილმა, რომელიც ერთ წუთსაც არ მოშორებია განსვენებულს; მაგრამ იმასვე ვერ ვიტყვით ცველა მის ნაცნობ და თანამსახურ-ექიმთა შესახებ, რომელთაგან ზოგიერთებმა, მართალია, დახედეს თითოჯერ, ძაგრამ როცა უკვე ვეგიან. იყო, ხოლო ზოგიერთმა სულაც არ მოისურვა პირადად მომაკვდავი ავადმყოფის ნახვა. ამგვარ ბოლოს თითქოს წინასწარ კიდევაც ჰერძნობდა განსვენებული, როცა ამ საშინელი ავადმყოფობის პირველ დღეებში, ლოგინად ჩავარდნილი, როდესაც თავს ჯერ კიდევ მაგრად ჰერძნობდა, თავის უმცროს დას, კატო ყიფშიძისას, შემდეგი საოხუნჯო ლექსი უკარნახა ძველი ქართული ენით და ჩააწერინა:

„მოდით, მურნალნო-ექიმნო,

მობრძანდით, მოიჯარენით!

კირსა და სენსა დაჰკვირდით,

ცოდნაა მოიხმარენით...

„წყეული ოქრო არა მაქვს,

ეძიეთ სხეა გზით, არენით,

და ჩემ მხრივ კი უფულ-უქანქროდ

თავი სახლისკენ არენით!“

ასე. ტკბილად, ჩვეულებრივის სიდინჯითა და უბოროტო ღიმილით ტუქებზე, შეეგება განსვენებული მეცნიერი და ყოფილი რევოლუციონერი ულმობელ სიკვდილს, რომლის ბრჭყალებშიაც იგი უკვე მიმოშილველი 1



ურთისესად

იმყოფებოდა, როცა ამ სიტყვებს აწერინებდა თავის დაჭმულებისას საკუთარი მაგალითით, გვიჩენა, თუ როგორ კვდებიან ჰეშმარიტად დიდბუნებოვანი ადამიანები, რომელთაც სწამთ და იციან, როგორც ფასი და ლირებულება შათ მიერ განვლილის ცხოვრების გზისა და მათ მიერ გაცემებულის საქმისა, ისე წუთიერობა, წარმავილობა და ორარობა ყოველგვარი სნეულებისა, ტანჯვისა და სიკედილისა. უფრო სისწორით რომ ვთქვათ, ამგვარი ადამიანებისათვის „სიკედილი“ არ არსებობს, რადგან მათი საქმე და პიროვნება უკვდავნი არიან ჩამომავლობისათვის.

დასისულ, ორიოდე ამონაწერი განსვენებულის ერთი პატარა ხელნაწერიდან, რომელშიაც სულ რვა აფორიზმია მოთავსებული; მოგრავეს უცვლელად ზოგიერთი მათგანი:

1. „თავდაბირველად შენი თავის იმედი გქონდეს, და არ დარწმუნდე იმაზე, რომ შენს გიაკეთებელ საქმეს სხვა გააკეთებს.“
2. „ცუდად ყოვნა ერთხელ და სამუდამოდ დაივიწყე; ცხოვრება შეუჩერებელი ბრძოლა-მუშაობად (რასაკირველია, სინიდი-სიერი).“

3. „ნურც სხვას შეურაცხყოფ, და ნურც ვინმეს მისცემ ნებას, შენი პირადობა ან შენი რწმენა შეგვინონა!“

4. „მეცადინეობის დროს იქნიო სულის სრული სიმშვიდე“.

5. „წარსულს ველარ დაიბრუნებ; ამისათვის უნაყოფოა იმაზე წუხილი, თუ წარსულში რამე დაგრჩა გაუკეთებელი. წუხილისა და უიქრების მიზიური ახლა მოჰკიდა საქმეს ხელი მედგრად და მომავლისკენ იცირე. წარსულს თუ გადახედო, მხოლოდ იმისათვის, რომ უკვე ჩადენილი შეცდომა მეორედ აღარ ჩაიდინო“.

6. „ცუდ ჩვეულებათ მუდამ ებრძოლე; ეცადე ერთხელვე დაბეჯითებით მიცემული სიტყვა არ გაამტკუნო. კიდევ და კიდევ ეცადე!“

ამგვარი პრინციპებით ხელმძღვანელობდა განსვენებული თავის ცხოვრებაში და ესევე უანდერა სიკედილის შემდეგ ყველას, ვისაც მისი სიტყვა შეირად ულირს და მისი ხსოვნა ძვირფასად მიაჩინა.

უკვდავია შენი ხსოვნა და სახელი ჩვენს გულში, ისე როგორც უკვდავია თავისდათავეად შენი საქმე და ნაღვაწი, „ტებილო იოსებ“.

ს. გორგაძე.

1924. XI. 12.

შენი შვია: წინამდებარე პიონერაფიის შედგენის დროს ჩვენ ესარგებლობდით შემდეგი წყაროების:

1) თვით განსცენებულის ი. ყიფშიძის „რვეული სხვადა მწერე ჩემის და განსცენებულის 6 ი შვებისა თვის“, რომელიც მას უწარმოებია მაწაფების ტექნიკური მისამართის 17 მარტიდან 1906 წლის 27 მარტამდე, და რომელზიაც, სხვათა შორის, მოთავსებულია: а) მისი მოკლე „დღიური“, სადაც ლაკონიურად აღნის სხვლია განსცენებულის შთაბეჭდილებანი და თვეგადასავალი 1903—1906 წლების ფარგლებში; და ბ) რუსულად: „ეს მი ავტობიოგრაფია“. რომლის შედგენა მას დაწყია 1904 წლის 6 დეკემბერს და სადაც აწერილი აქვს თვეისი ცხოვრება სასტუდიოზე სემინარიაში შესელამდე. მოელი ეს რევული საინტერესო მ. სალას იძლევა განსცენებულის ბავშვობისა და გაბუკობის ხანაზე, დაბალ და საშუალო სასწავლებელში სწავლის დროს.

2) ამ რვეულის ერთგვარს დამატებასა და გაგრძელებას წარმოადგენს განსცენებულის ხელით დაწერილი „Curriculum vita e“ რუსულად, რომელიც მოყვანილია 1914 წლის 23 ნოემბრამდე.

3) ასეთივე და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მისივე დის, კატო ყიფშიძის, ამ მხატვრის პროფ. მოსე თოიძის მეუღლის, ხელით ნაწერის მოგონებებს, სათაურით: „იოსებ ყიფშიძის პარტიული მთლვა წეობი და ან“, რომელშიცაც საკმარი დაწერილებით აწერილია განსცენებულის მუშაობა სოც.-რევოლ. პარტიაში და სკანდიტში თავის შეფარება 1906 წელს შაფ-ბნელი რეაქციისაგან. ამავე საგანს ხეხება განსცენებულის სიძის, პლატონ გოგოძის, მოგონებანი, ხელნაწერად დაცული იოსების ქაღალდებთან ერთად.

4) განსცენებულის ხელით შედგენილი „ეს მი ნაწერების სია“, რომელშიაც ნაგულისმეურა მხოლოდ ნაბეჭდი ნაწერები და რომელიც მოყვანილია 1918 წლამდე.

5) ოუგიალური საბუთები განსცენებულის შესახებ, რომელიც მის ქაღალდებში აღმოჩნდა, დაწყებული მის სამოწაფო მოწმობით 1897 წლიდან და გათავისებული აღმიგრ-კავკასიის სეიმის სახავა დელგაციის მიწმობით (ოსმალეთთან ველული ამიგრ-კავკასიის სეიმის სახავა დელგაციის მიწმობით 1897 წლის 9/22 მარტის თარიღით).

6) მისი ხელნაწერი სამეცნიერო შრომანი და შენიშვნანი, რომელთაგან ზოგი უკვე სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა, ხოლო ზოგი დღემდე განსცენებულის ოჯახობას აქვს დაცული, ტუილიშვილი. ამავე ჯგუფს უძა მიკაკონომ განსცენებულის ხელით ნაწერი სახელმძღვანელო პორალური სენტენციები და ლექსიდ გამოთქმული ექსპრომტები და ერთიც მის მიერ ნაკარნახევი და მისი დის დაუთ, ხელით ჩაწერილი უკანასკნელი ავადმყოფობის დროს რვატაციანი (ზსტრიქონიანი) ლექსი-ხუმრობა მკურნალებისადმი.

ამ ხელნაწერი წყაროების გარდა გათვალისწინებული გექონდა შემუგინდები და შენიშვნები:

1) აკადემიკოსის ნიკ. მარის რეცენზია განსცენებულის ნაშრომის შესახებ: „Грамматика мингрельского (иверского) языка с крестоматией и словарем“ (ის. „Зап. Восточн. Отдел. Имп. Русск. Археологич. Общ.“ т. XXIII), განსაკუთრებით საყურადღებოა ამ რეცენზიის დასკვნა.

2) გ. ბერიძის წერილი: „პროფესიონი იოსებ ყიფშიძე“, რომელიც დაიბეჭდა 1920 წელს გაზეთ „საქართველოში“ (№ 39 და შემდეგი) და შემდეგი იმავე წელს ცალკე წიგნიკადაც გამოვიდა (ტუილისი, 192.). ამ წერილში გათვალისწინებულია უმთავრესად განსცენებულის სამეცნიერო მოღვაწობა.



- 3) ლადო გეგეტია რის: „სამაგალითო ადამიანი“ ჟურნალისტის საქმე“ 1919 წ. 26 თებერვალი, № 466) და ვარლამ ძიძიგურის: „პროფ. იოსებ ყიფშიძე“ (იქვე).
- 4) ვ. ფ — ძის სტატია ქუთათურ განეთ „ხალხის მეცნიერება“ (1919 წ. 26 თებერვალი, № 384), სათაურით: „იოსებ ყიფშიძე“.
- 5) აკადი შანიძე: „პროფ. იოსებ ყიფშიძე“ („სახალხო საქმე“ 1919 წლის თებერვლის 23).
- 6) ს. ფაუჩი იშვილის წერილი განეთ „სახალხო საქმის“ 1919 წლის 24 თებერვლის ნომერში სათაურით: „იალეტიდოლოგის გლოვა“. დანარჩენი წყაროები თავ-თავის ალაგას არის ნაჩვენები.

ს. გ.

დავით ყიფშიძის და სილიბისტრო ლომიას ხსოვნას.

ეს საქართველოს ისტორიის ბრძან ბედის გარდაუვალი კარნანით იყო გამოწვეული, რომ მისი სამეცნიერო-სამწერლობო ცენტრები მომეტებულად მრავალ საუკუნეთა მანძილზე მის გარეთ, შშობლიურ მიჯნებს იქით, ეწყობოდა. ამ ცენტრებში მყოფი ქართველებისაგან გამონატყორცი სამეცნიერო ძიებისა და მიღწევების უხვი სხივი—შშობლიურ კულტურას თავს შარავანდედად ედგა და ეროვნული ცხოვრების წარმატების და წინსელის მძლავრ ბერკეტად ხდებო-



დავით ყიფშიძე

და. აქ, ამ ცენტრებში სამეცნიერო კვლევა-ძიებასთან ერთად აზრის ბრძმედში იწროთობოდა და იქედებოდა ეროვნული შეგნება და მძლავრად ყალიბდებოდა ქართული მსოფლმხედველობა.

ძველად ასეთი ცენტრები იყო იერუსალიმში, სინას მთაზე, ათონს, ულუმბოსა და პეტრიწონში. საქართველოს ისტორიის უილბლო ტრი-



აღმა მეცხრამეტე საუკუნეშიც ამგვარივე ცენტრის არსებობის შედებაში უცხოეთში მოითხოვა. ეს იყო პეტერბურგის სამეცნიერო კერა, რომელიც, საუკუნის დასწუსიში საქართველოდან გადახვეწილი ბატონიშვილების მიერ დანთებული, თანდათან გაძლიერდა ამ საუკუნის ბოლოს 6. მარის მიერ, ხოლო უკანასწერელ ხანებში ივ. ჯავახიშვილის მეთაურობით მძლავრ სამეცნიერო სკოლად გადაიქცა — სადაც ქართველობის მეთაურობით მძლავრ სამეცნიერო ძიება და ეროვნული თვითშემეცნების გამოკვერვა ხდებოდა.

აქ ივ. ჯავახიშვილის გარშემო თავმოყრილი ახალგაზრდობა დაუღალავ და თავგანწირულ მუშაობას აწარმოებდა ქართული მეცნიერების შესაქმნელად. მარტვილური თავგანწირებით, სიცოცხლის დაუზოგავად, „მოსწრაფებით, წადიერებით და გულს-მოდგინებით“ ეს ახალგაზრდობა ქვას ქვაზე სდებდა ქართული სამეცნიერო ტაძრის ასაგებად. და ოდესაც ჩვენ მოეიგონებოთ იმ პატარა, ნახევრად ბნელ, ოთხებს (ვოლხოვის შესახვევზე, ფილოლოგიურ ჩიხში), სადაც დღე და ღამ განუწყვეტლივ მუშაობდენ და მბეჭუავ სანათურთან ჩვენს წარსულს ჩხრეკდენ აღმოსავლური ფაკულტეტის ქართველი სტუდენტები, — ანალოგია ჩვენი სამონასტრო ცენტრების ბერ-მოღაწეებთან, რომლებიც სენაკებში კანდლის მურთალ შუქზე თავგანწირულ გონებრივ მუშაობას აწარმოებდენ ანალოგია აშერა ხდება. აქაც და იქაც იღწოდენ სამშობლოსათვის თავდადებულნი და სამეცნიერო ძიებისათვის ტარიგად გამზადებულნი, ლრმა და გულწრფელი სიყვარულით აღფრთოვანებულნი, საქართველოს შვილნი. პეტერბურგელთა მცირე კრებული ერთგვარი მძაღნაფიცთა წრე იყო, რომელიც სამეცნიერო გრდებულზე ერის მომავალ ბედნიერებას კვერავდა და როდესაც მთელს საქართველოში შეიძლება ერთიც არ იყო ვინმე, ქართული უნივერსიტეტის შესახებ ეოცნება აქ ეს წრე ამისათვის უკვე ბალვარს ჰქირავდა.

ამ სკოლას ეკუთვნოდენ უდროვოდ და უიღბლოდ დაფერფლილნი დავით ჭითებულება და სილიბის ტრო ლომია. მათი შინაგანი წვა სამეცნიერო ძიება იყო. მათ შესისხლორცებული ჰქონდათ ის აზრი, რომ სამეცნიერო სამსახური მარტვილობაა და მძიმე ჯვარის ზიდვა. მაგრამ ისინი ამ ხვედრს არ შეუშინდენ. თავის მოწოდებად ეს აირჩიეს და სამშობლოს სამსახური ამ გზით დაისახეს.

ამას მათი ბუნება და ხასიათიც ეთანხმებოდა.

ორივე მშვიდი, ბუნებით თანაზიარი, ცნობისმოყვარეობით სკოლის სკამიდანვე აღზნებული, მაღალგანვითარებული აღლოთი დაჯილდოებული, wollen und sollen-ის შემძლენი სიყრმეშივე გამოსავალს

ექებდენ თავიანთი შინაგანი წვისათვის. პირველი მათგანი მუჭატვიშვილი მღიმარი სახით, ხოლო მეორე — სევდის იქრით, თავიანთ ტექსტი და სევდაში რწმენას, ენერგიას და ნების-ყოფას აძუღავნებდენ ერთხელ დასახული მიზნის მიღწევისათვის.

ეს მიზნები ორთავესათვის საქართველოს წარსულის ძიებაში იყო დამარხული. კონკრეტულად დავითს იმ თავითვე უფრო წმინდა ისტორიული საკითხები იზიდავდა, ხოლო სილიბისტროს ქართული ძველი მწერლობა და კერძოდ ვეფხისტყაოსნის პრობლემები აინტერესებდა.



სილიბისტრო ლომია

მას შემდეგ, რაც მათ საშუალო სასწავლებელი დაამთავრეს, პირველმა ქუთაისის კლასიური გიმნაზია, ხოლო მეორემ ექსტერნად (ემზადებოდა სამსახურში, — ნოტარიუსის კანტორაში გადამწერად, — ყოფნისდა მიუხედავად) ფოტის გიმნაზიაში, — მათ წინაშე საკითხი დაისვა, თუ როგორ უნდა მიეღწიათ თავის მიზნებისათვის. მათ კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული, რომ მიზნის მისაღწევად უმრავი წინასწარი შრომაა საჭირო, აუცილებელია თანამედროვე სამეცნიერო მეთოდებით აღჭურვა და ლრმა ცოდნის შექმნა.



მაშინდელ პირობებში ყოველივე ამის მოპოება მხოლეული უმცირესი განვითი 1910 წ., ხოლო სილიბისტრი 1913 წ. იქ იწყება თავ-აულებელი, განუწყვეტელი და ჯერ კიდევ უჩინარი მოსამზადებელი მუშაობა. პეტერბურგის მოშაბამველი ჰავა საშინალად მოქმედობს მათ სუსტს აგებულებაზე. დავითი იძულებულია ფილტვების დასნულების გამო ღროვებით მიატოვოს მეცადინეობა, ის ექიმობს სოხუმში, ექიმობს ფინლანდიაში. ცოტათი გამობრუნების შემდეგ ის კვლავ პეტერბურგს უბრუნდება და მუშაობას განვირობას. იქ სილიბისტრიც ხშირად ავადმყოფობს, მაგრამ ავადმყოფობას თავს არ უდებს და შრომობს გამალებით.

რაც უფრო და უფრო ულრმავდებიან ისინი სამეცნიერო მუშაობას, მით უფრო ბასრდება მათ ხელში სამეცნიერო იარაღიც. ცოდნის შეძნას თან სდევს შემოქმედების პროცესი. დღე-დღეზე ყალიბდება საკუთარი, დამოუკიდებელი, ტოტალური პიროვნება. დავითი და სილიბისტრო უკვე საკუთრად ამუშავებენ სხვადასხვა სამეცნიერო საკითხებს.

სილიბისტრო მუშაობს ამირანდარეჯანიანზე და ბაკურ მეფის საკითხზე; იგი სწერს შრომას: „ახალი საფუძველი ბარათაშვილის პოეზიის შესწავლისა“ (დაუმთავრებელია); „ფორმა და შინაარსის საკითხი ალ-ვესელოვსკის პოეტიკაში“¹. დავითი ბეჭდავს Житие св. Прокопия и мученичества сс. Пуки и Ник. Двали² და ამზადებს ფეზანგის შანავაზიანის ტექსტს გამოსაცემად³.

ამ ხასიათის შრომებით თანდათან იზრდებიან ჩვენი მომავალი მეცნიერები. უაღრესად ვითარდება წერილობნების დამუშავების უნარი. თქვენ უნდა ნახოთ მათ მიერ დატოვებული ხელთნაწერები, რომ გაოცდეთ ფაქიზად შესრულებული, საგნის ამომწურავი, შავი სამუშაოთი.

ნურავინ იფიქრებს, რომ მათ მიერ დამუშავებული თემები თითქოს შორს იყოს დავითის და სილიბისტროს მიერ დასახული ძირითადი მიზნებისაგან (დავითის ბოლო ხანებში განხრა ჰქონდა უფრო

¹ ს. ლომიას წელთნაწერები ამერამად ინახება ვ. ბარდაველიძე-ლომიას თან, რომელმაც საშუალება მოგვია გავრცელოდით მათ, რისთვისაც მაცლობას მოვახსენებთ.

² ნახე ხ. ვ. თ. V, ვალ. 2.

³ ხელთნაწერი ინახება ს. გორგაძესთან. სხვათა შორის დ. ყიფშიძე პეტერბურგში ყოფნის დროს თანამშრომლობდა „პროსვეშენიეს“ დიდ ენციკლოპედიაში, სადაც მისი მრავალი პატარა წერილებია მოთავსებული საქ. ისტორიიდან.

მატერიალური კულტურის საკითხებისაკენ). არა. პირიქით, მათ დანართი მარტინ შემადგრევების იცოდენ, რომ სწორედ თავიანთი მთავრი მიზნებისათვის ზემოთ მა-
ყვანილ თემებს უსათუოდ კავშირი ჰქონდათ. საისტორიო საკითხე-
ბის დამუშავება მატერიალური და სამწერლობო ისტორიის მკვლე-
ვარისათვის აუცილებელი მოთხოვნილებაა. კარგი სპეციალისტისა-
თვის ეს საჭიროა. ეს კარგად იცოდენ ჩენება ახალგაზრდა მკვლე-
ვებმა.

მაგრამ დავითმა და სილიბისტრომ თავისი ხანძოელე მოღა-
წეობის მანძილზე სხვა სამუშაოებზედაც გამოიჩინეს თავი. დავითმა
ე. მიქელ აძესთან და ნ. ტიხონოვთან ერთად არქეოლოგი-
ური გათხრა აწარმოვა მურში მაქსიმე აღმსარებელის საფლავის აღ-
მოჩენის მიხნით, 1914 წელს¹. 1915 წელს ის იკვლევს ანისის მღვი-
მებს და გამოკვლევას დასაბეჭდად ამზადებს², 1917 წელს ის და
სილიბისტრო, კავკასიის არქეოლოგიური ინსტიტუტის დირექტო-
რის ნ. მარის დავალებით და მისივე პროფესიონის, მიემგზავრებიან
სამუშაოდ გესხეთში, პირველი — ვარძის გამოსაკვლევად, ხოლო მეო-
რე გესხეური კილოკავის. ამ ექსკურსიის შედეგებიდან უკვე დაიბეჭ-
და დათიკოს სიკვდილის შემდეგ მისი „О росписи большого храмо-
вого пещерного сооружения Вардзии.“ (Извлечение из черновых
мат., изд. под ред. Д. П. Гордеева с предисл. и прим. посл.),
ხოლო ს. ლომიას ნაშრომი იმავე ინსტიტუტში ინახება და გამ-
ცემას მოედის.

ამ ექსკურსიიდან დაბრუნების შემდგომ ისინი მუშაობენ ტფი-
ლისში, როგორც ქართულ უნივერსიტეტთან საპროფესოროდ მომ-
ზადებისათვის დატოვებულნი. 1918 წელს დავითი უკვე სომხეური
ენის ლექტორადაც იყო მიწვეული.

სხვათა შორის დავითი და სილიბისტრო იყვნენ წევრები სა-
ქართველოს ეროვნული საბჭოს განათლების სექციასთან არსებული
ქართული ენის და ლიტერატურის კომისიისა, რომლის მდივნად ს.
ლომია იყო და სადაც დ. ყიფ შიძე არა ერთი და ორი მოხსე-
ნებით გამოსული³.

უნდა ითქვას, რომ თავიანთი სიცოცხლის ბოლო ხანებში ისი-
ნი მეტად მოსწრაფებულიად მუშაობდენ და იღვწოდენ. და აი, სი-

¹ ნახე N. Mag'р, პამяти I. A. и D. A. Кипшиძэ и С. Ломия, ХВ,
г. VI, გვ. 336.

² რამდენადაც ვიციოთ ეს ნაშრომი უკვე იძებედება კავ. Arch. Inst. Из-
вестия-ზე. ტ. II.

³ ი. კომისიის ოქმები.

ცოცხლეს და მოქმედებას მოწყურებულნი, რომელთაც პრესტიჟი მიუკრია
სიძნელენი დაძლეული ჰქონდათ და სამეცნიერო-საზოგადო მიერთებული
წევობისათვის ნიადაგი მოსუფთავებული — სიკვდილის მსახვრალმა
ხელმა აღარ დაინდო და უდროვოდ და უილბლოდ ცხოვრებას გა-
მოასალმა.

ქართული უნივერსიტეტის მიერ სპარსული ენის შესასწავლად
გაგზავნილი ს. ლომია პარტახტიანი სახადით ქ. რეზტში გარდა-
იცვალა 1919 წ. 10 აპრილს (დაიბადა 1891 წ. სოფ. ოქტომბერში),
ხოლო დ. ყიფ შიძე, დაუძლურებული ულმობელი სენიორ (ტუბერკუ-
ლოზით), უფროსი ძმის სიკვდილის გამო საშინელ მწუხარებაში ჩავარ-
დნილი, სოფ. სეირში 1919 წ. გათავდა (დაიბადა 1890); მას ძმის
სიკვდილის შემდეგ სამი თვეც არ უცოცხლია.

ასე გათავდა ორი სიცოცხლე, მომავლის იმედებით აღსავსე,
რომელიც უკვე ნაწილობრივად გამომეულავნებული პატენტის მიხედ-
ვით მოწოდებული იყო ჩვენი ნორჩი მეცნიერების ყამირზე ღრმა
კვალი გაეცლო, ჩვენი წარსულის ბნელით მოცული მრავალი საკით-
ხი მზის სინათლეზე გამოეტანა და წარსულის სული შეეცნო.

და მას შემდეგ, რაც ჩვენ მათ დავცილდით, დღითი-დღე უფ-
რო და უფრო მწვავედ ვერძნობით ამ მწარე დანაკლისს. მაშინ, რო-
დესაც ჩვენი დარგის მეცნიერება თანდათან ფრთხებს შლის და ჩვენი
დარგის სამეცნიერო ფალანგა იზრდება, ჩვენ ვერ ვხედავთ ძეირფასს
მეგობრებს დ. ყიფ შიძეს და ს. ლომიას თვითან სადარაჯობზე
მდგომოთ, ჩვენ სევდა გვიპყრობს. ამ სევდის დაძლევა მხოლოდ სერიო-
ზული შრომით და თავგამოდებული მუშაობით თუ შეიძლება — იმ
საქმისათვის, რომელსაც განსვენებულნი ემსახურებოდენ. იმათოვისაც
მხოლოდ ამგვარი შრომა იქნება საუკეთესო მოვონება და საუკეთესო
ჯილდო. ქართული მეცნიერების სამსხვერპლოშე მიტანილი პირველი
ზეარაჟი ჩვენგანაც ასეთ თავგამოდებას მოითხოვს. შრომაში მათს
მაგალითს მიებაძოთ. უბედოდ დაფურტლილთა სულები დიდების და
რეზტის (სადაც მათი ნეზტები განისვენებენ) ადგილის დედას, genius loci-ს, მიეაბაროთ და გულში მათი ხსოვნა საუკუნოდ დავი-
მარხოთ.

გ. ჩიტაია.

22. VI. 1926.





შემჩერებული შეცოცხლი

33.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
9 ₁	შატბერდულსა.	შატბერდულსა
9 ₂₂	მოგველინებოდა	მოგველინებოდა
20 ₁₃	გაევრცელებიოს	გაევრცელებინოს
21 ₉	სომხის	სომხეთის
24 ₁₇	კოხლიდისა	კოლხიდისა
24 ₂₀	მოეთავსებია	მოეთავსებინა
85	(პიროვნებულია პირული საჯუცი *)	
86 ₈	გადასახადებისა.	გადასახადებისა.
95 ₃₁	სიტყვა	სიტყვა
95 ₃₁	(არაპული ჰიცყვება განდა- ცრიალუპულია)	
101 ₂₃	გარემოებანი	გარემოება
115 ₂₁	არავის	არავიქ
119 ₃₁	ანტიოქეისი	ანტიოქიის
142 ₃₀	მისთანანით ² .	მისთანანი ² .
197 ₁₀	მშეღრი	მუღერი
225 ₁₆	სიტყვაზე.	სიტყვაზე.
255 ₁₃	des	der
257 ₃₇	ა(შე)რაპუნისა	2
285 ₁	კრიტიკი	კრიტიკა
323 ₂₈	ობიექტობას	ობიექტურობას
33 ₃₃	ქართველმეტყველებიდან	ქართველთმეტყველებიდან

*) რედაქტირა ბოლოში იხდის საზოგადოებისა და აკტორის (პროფ. ი. ჯ ა-
ვაბიშვილის) წინაშე, რომ მან თავის დროზე ვერ შეამჩნია ეს სამშუბარო შე-
ცოლი: გამოტოვებული სვეტი აღდგენილია ავტორის „ქართული დასულობა-
კის“ ცალკე გამოტომიშვილი, სადაც აქ მოთავსებული გამოვლენა („ქართული საბუ-
თების აღმინშენები ტერმინები“) მოიწოდება თავად შედის და რომელიც ამ ნოკლე
ხანში გამოვა.

